ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

IX

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

IX

გამომცემლობა „მერიდიანი“
Meridian Publishers
თბილისი
Tbilisi
2015

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
გიორგი ჟუჟუნაშვილი
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Giorgi Zhuzhunashvili
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge

© ტექსტი – ავტორები, 2015
© შედგენა – თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, 2015

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

აკაკი ჩიქობავა
კოლხური თეთრი – პირველი ტიპის დიდრაქმის სტილის შესახებ 9

Akaki Chikobava
Kolkhidki – About Stylistic Peculiarities of
I Type Didrachm (Summary) 14

თემურ თოდუა
პომპეუს ტროგუსის ერთი ცნობის დეფინიციისთვის 15

Temur Todua
Commentary of One Note from Pompeius Trogus (Summary) 19

მარიკა მშვილდაძე
აფროდიტეს კულტის გავრცელების საკითხისათვის
ქართლში/იბერიაში (ურბნისი)..... 20

Marika Mshvildadze
Cult of Aphrodite in Kartli/Iberia (Summary) 31

ნათია ფიფია
არგონავტები და ძველი კოლხეთი გვიანანტიკური ხანის თხზულებაში
“De Excidio Trojae Historia” 32

Natia Pipia
Argonauts and Ancient Colchis in “De Excidio Trojae Historia” Written in
Late Antiquity (Summary) 42

ემილ ავდალიანი
ბიზანტიის „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“ 43

Emil Avdaliani
Byzantium's “Geopolitics of Christianity” (Summary) 59

ლერი თავაძე
სილენტიარიოსის ტიტული საქართველოსა და ბიზანტიაში 60

Leri Tavadze
The Title of Silentiarios in Georgia and Byzantium (Summary) 88

მიხეილ ბახტაძე
ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ
ბაგრატიონთა დინასტიაში 89

Mikheil Bakhtadze
Georgian titles in the Bagrationi Dynasty,
Rulers of Tao-Klarjeti (Summary) 123

ნესტან სულავა
ქართული ჰიმნოგრაფია, როგორც საისტორიო წყარო და პოლიტიკური
იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი 125

Nestan Sulava
Georgian Hymnography as a Historical Source and Basis of Political
Ideology (Summary) 141

ჯაბა სამუშია
ისევ სვეტის ციხის შესახებ 143

Jaba Samushia
Sveti Fortress (Summary) 153

მამუკა წურწუმია
შუა საუკუნეების ხმლები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 154

Mamuka Tsurtsumia
Medieval Sword and Sabre from the Georgian National
Museum (Summary) 180

მაია შაორშაძე
XIV-XVI საუკუნეების ქართლის მთავარეპისკოპოსთა
ქრონოლოგიური რიგი 181

Maia Shaorshadze
Chronology of Archbishops of Kartli
in the 14th-16th Centuries (Summary) 192

როლანდ თოფჩიშვილი
ქართული სამოსის ისტორიიდან: *ჩოხა-ახალუხი* 193

Roland Topchishvili
From History of the Georgian Clothing: Chokha-Akhalukhi (Summary) 229

აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი
რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის წერილი 230

Apolon Tabuashvili, Giorgi Zhuzhunashvili
Letter of Alexander I, Emperor of Russia (Summary) 238

ოთარ გოგოლიშვილი
ეროვნული მოძრაობისა და სოციალური მდგომარეობის გავლენა ბათუმის
ოლქის სტატუსის შეცვლაზე (1900-1904 წლები) 239

Otar Gogolishvili
The Influence of the National Movement and the Social Condition on the
Change of the Status of Batumi Region (1900-1904) (Summary) 252

დიმიტრი შველიძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი – სახელმწიფოს მშენებელი ანარქისტი 253

Dimitri Shvelidze
Varlam Cherkezishvili – State Builder Anarchist (Summary) 260

თენგიზ სიმაშვილი 261
იოსებ ჯუღაშვილისა (სტალინი) და „ნიჟარაძის“ იგივეობის შესახებ .....

Tengiz Simashvili
About the Identification of Joseph Jughashvili (Stalin) and
“Nizharadze” (Summary) 277

ნიკო ჯავახიშვილი
ირანის ბოლო სამეფო დინასტია და ქართველები 278

Niko Javakhishvili
The Last Royal Dynasty of Iran and Georgians (Summary) 315

გიორგი ბერიძე
საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია
(საკითხის დაყენების ცდა) 316

Giorgi Beridze
About Periodization of Military History of Georgia (Summary) 337

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

თედო დუნდუა
სამონეტო საქმე კოლხეთსა და იბერიაში (ზოგადი მიმოხილვა –
ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის
პრეზენტაცია) 338

Emil Avdaliani
Nobels’ Activities in Georgia 349

რეცენზია

მიხეილ ბახტაძე, როლანდ თოფჩიშვილი,
ბონდო კუპატაძე, დიმიტრი შველიძე
საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ
გამოცემებში 355

იუბილე

მერაბ კალანდაძე
ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი – დიდი ერუდიტი და ინტელიგენტი 373

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია 377

ქრონიკა

ლერი თავაძე, თედო დუნდუა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს
ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია Georgia Between the
Empires before the Coming of Islam
(თბილისი, თსუ, 2015 წლის 26 ივნისი) 381

ხსოვნა

გამოსათხოვარი გიორგი ჟუჟუნაშვილს 385

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

აკაკი ჩიქობავა

კოლხური თეთრი – პირველი ტიპის დიდრაქმის სტილის შესახებ

კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა.

I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთისა და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. ყოველივე ეს I ტიპის დიდრაქმის კოლხურ გენეზისზე მიუთითებს.

მონეტის აღწერილობა ასეთია:

ვერცხლი. წონა: 10 გრ., 10,1 გრ., 11,3 გრ., 11,4 გრ. – სპარსული სტატერი; 7,9 გრ., 8,1 გრ., 8,6 გრ., 8,6 გრ., 9,4 გრ. (?) ატიკური დიდრაქმა

d=17/20-20/21მმ.

შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის (ხვადის ფაფრით და ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული.

ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ სწორკუთხედში) მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის

მოხაზულობა) ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ. ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. ყელთან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი? ნიღაბი?).[1]

I ტიპის დიდრაქმა. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ცალი.

I ტიპის დიდრაქმა. ბრიტანეთის მუზეუმის ცალი.

კოლხური თეორის საკითხთან დაკავშირებით თ. დუნდუა საინტერესო პრობლემად მონეტების ნომინალის განსაზღვრას გვისახავს. ამ მხრივ, მისი აზრით, მონეტის ნორმიდან წონითი გადახრის ლოგიკური ოდენობის დადგენა აუცილებელია. ატიკური დრაქმის (4,2 გრ.) წონის თანდათანობით შემცირე-

[1] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 30, 32; კოლხური თეორი. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი (ავტორები: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, აკ. ჩიქობავა, ე. ავდალიანი). თბ. 2013, გვ. 17-27.

ბას 3,5 გრამამდე ახალი ნომინალის შექმნა არ მოჰყოლია. თავისთავად 0,7 გრ. ერთ ატიკურ ობოლს უდრის. სხვაობა დიობოლის ფარგლებში, როგორც ამას მკვლევარი აღნიშნავს, მეტისმეტია. ის ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ერთი ემისიისა და ნომინალის მასშტაბით ფაქტობრივი გადახრის შემთხვევები უზუსტობის დასაშვებ ოდენობას 0,9 გრამით განსაზღვრავს, რაც თითქმის აბსოლუტური უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგი ფორმულა:

N = P+/0,7-0,2/ ზედა წონა. P-/0,7+0,2/ ქვედა წონა

სადაც N – ნომინალია. P – ზუსტი წონა.[2]

ზემოთ მოცემული ფორმულიდან გამომდინარე I ტიპის დიდრაქმის ასე მოხსენიება, ალბათ, პირობითია. მძიმე ცალები (10 გრ., 10,1 გრ., 11,3 გრ., 11,4 გრ.) სპარსული სტატერი უნდა იყოს, მსუბუქი (7,9 გრ., 8,1 გრ., 8,6 გრ., 8,6 გრ., 9,4 გრ.) კი ატიკური დიდრაქმებია.[3]

ფული ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიაა სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით. ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად. ამას მოჰყვა ადამიანის თავების გამოსახულებიანი ფული, როგორც ატიკური სტანდარტის დიდრაქმა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორე მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: III ტიპის დიდრაქმა უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა.

---

[2] ნომინალის განსაზღვრა და შესაბამისი ფორმულა იხ. თ. დუნდუა. კოლხური თეორი და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ. 2000, გვ. 3-7.

[3] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 254-255.

I ტიპის დიდრაქმის დასათარიღებლად მეცნიერებას მტკიცე კრიტერიუმი არ გააჩნია, მაგრამ ანალოგიების, სტილისტური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით შეიძლება ითქვას, რომ ის უნდა მივაკუთვნოთ ძვ. წ. VI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს. თუმცა კონკრეტულ ტიპოლოგიურ ფარგლებში მკაფიო ტენდენცია ნომინალური გაწვრილებისკენ სერიული კატეგორიის არსებობის მამტკიცებელია. სიმპტომატურია ბოლო ეტაპის ატიკური სტანდარტი. განსახილველი ემისიების თარიღი უფრო ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარი-V საუკუნეა.[4]

კოლხური თეთრის თანადროულად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი უცხოური მონეტა მიმოიქცეოდა. 1990 წელს ვანის რაიონ სოფელ სულორში აღმოჩნდა მეორე ტიპის ნახევარდრაქმების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ვერცხლის სამი უცხოური მონეტა. სამი უცხოური მონეტიდან ორის განსაზღვრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მესამეს ატრიბუცია კი სათუოა. ვერცხლის ერთი მონეტა მოჭრილია ლიდიაში ძვ. წ. 561-546 წლებში. შუბლი: ერთმანეთის საპირისპიროდ გამოსახული დაღრენილი ლომის და ხარის თავები. ზურგი: ორი quadratum incusum. მცირე ზომის ვერცხლის მეორე მონეტაზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფაფარიანი ლომის თავი, ხოლო ზურგზე – გამარტივებული ვარსკვლავისმაგვარი ფიგურა. შუბლის მოტივის მიხედვით, პირობითად ისიც შეიძლება ლიდიას მივაკუთვნოთ (გამორიცხული არაა მისი ემისია კარიაში) და ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღოთ. რაც შეეხება მესამე მონეტას, აქემენიდური ხანის – ძვ. წ. V საუკუნის სპარსული სიკლია (შუბლი – მარჯვნივ მიმართული ირანის „მეფის“ გამოსახულება. ზურგი – quadratum incusum).[5]

[4] კოლხური თეთრი. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი (ავტორები: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, აკ. ჩიქობავა, ე. ავდალიანი), გვ. 17-27; ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგი. http://geonumismatics.tsu.ge/ge/catalogue/types/?type=4. ბოლო ნახვა 2015 წლის 5 ოქტომბერი.

[5] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 42, 44.

სპარსული სიკლი. ვერცხლი. ძვ. წ. V-IV სს.

ჩემი აზრით, სიმპტომატურია ის, რომ ბრიტანეთის მუზეუმში არსებული I ტიპის დიდრაქმა სწორედ მძიმე ცალების კატეგორიას განეკუთვნება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მძიმე ცალები სპეციალისტების მიერ სპარსულ სტატერად განისაზღვრა. მასზე გამოსახული მარჯვენა მხარეს მიმართული ხარისთავიანი ქალი ერთ ფეხზეა ჩამუხლული, რაც, ჩემი აზრით, მას სქემატურად აახლოებს აქემენიდური ხანის სიკლებთან, რომელთა შუბლზე ასევე მარჯვენა მხარეს მიმართული ერთ მუხლზე დაჩოქილი „მეფე“ ან რომელიმე მითოსური გმირია გამოსახული, რომელსაც ხელთ მშვილდი და შუბი უკავია. ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის მუზეუმის მძიმე ცალზე ხარისთავიანი ქალი მხოლოდ მარჯვენა მუხლზეა დაჩოქილი, მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ რადგან ეს მონეტები წარმოადგენს სპარსულ სტატერებს, I ტიპის დიდრაქმის კონკრეტული მონეტის ზურგის მხარე სწორედ აქემენიდური ხანის სიკლის შუბლის მიბაძვით უნდა იყოს შექმნილი. ამ კონკრეტული მონეტის მსოფლიო მარაგი მხოლოდ ერთი ცალით განისაზღვრება, ამიტომ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზის სახით შეიძლება გავიზიაროთ და შორსმიმავალი დასკვნებისგან თავს შევიკავებ.

Akaki Chikobava

KOLKHIDKI – ABOUT STYLISTIC PECULIARITIES OF I TYPE DIDRACHM

Summary

5 out of 9 pieces of I type didrachm were found in West Georgia, 3 of which – in Colchian coin hoards of Poti and Akhalsopeli (Zugdidi district).

The majority of the coins found in these hoards represents the II type hemidrachms.

Calling the I type didrachm this way is conventional. Heavy coins (10 gr., 10,1 gr., 11,3 gr., 11,4 gr.) must be staters of Persian system, whereas light ones (7,9 gr., 8,1 gr., 8,6 gr., 8,6 gr., 9,4 gr.) – the didrachms of Attic system.

Normally, reverse of I type didrachm shows female figure with a bull's head, kneeling. And the stater of theBritish Museum shows female figure with a bull's head kneeling only on one, right knee, like archer on Achaemenid siglos. So, reverse of t type didrachm sometimes and partly could be patterned on Achaemenid siglos.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

თემურ თოდუა

პომპეუს ტროგუსის ერთი ცნობის დეფინიციისთვის

ახ. წ. I ს-ის რომაელი ისტორიკოსის პომპეუს ტროგუსის ღვაწლი ისტორიული მეცნიერების წინაშე განსაკუთრებულია. მისი „ფილიპიკების ისტორია“, რომელიც 40 წიგნისაგან შედგება და ფაქტობრივად მსოფლიოს ისტორიას წარმოადგენს, მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ხმელთაშუაზღვისპირეთისა თუ წინა აზიის ქვეყნების ისტორიის შესახებ. პომპეუს ტროგუსი სანდო ისტორიკოსად ითვლება, რადგან იგი პირველწყაროებით სარგებლობდა.[1]

მართალია, „ფილიპიკების ისტორია“ პირვანდელი სახით ჩვენამდე არ არის მოღწეული, მისი ეპიტომა ეკუთვნის ახ. წ. II ს-ის ავტორს იუსტინეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაშრომში მრავალი ორიგინალური ინფორმაციაა დაცული. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XXXVIII წიგნში მინიშნებული ცნობა: „მითრიდატეს ბოსფორი და კოლხეთი მემკვიდრეობით გადაეცა,[2] რაც კოლხეთის პონტოს სამეფოსთან მიერთების ხასიათის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია. მსგავსი ხასიათის ცნობა არ დასტურდება პომპეუს ტროგუსის წინამორბედი ავტორების თხზულებებში, სადაც პონტოს სამეფოსთან კოლხეთის შეერთების ფაქტი განსხვავებულადაა წარმოდგენილი. მაგალითად, სტრაბონი საკმაოდ გაურკვევლად აღნიშნავს, რომ „ქვეყანა მის ხელში გადავიდა“.[3] კოლხეთი „მან შეუერთა პონტოს“,[4] მითრიდატე „გახდა კოლხეთის ბატონი“;[5] მემნონი წერს, რომ პონტოს მეფემ „ფასისის ირგვლივ არსე-

[1] ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები. თბ. 1998, გვ. 208-209; А. Бокщанин. Источниковедение древнего Рима. М. 1981, გვ. 95.
[2] Just., XXXVIII, 7, 10.
[3] Strabo. XI. 2, 18.
[4] Strabo. XII. 3, 1.
[5] Strabo. XII. 3. 28.

ბული ტერიტორიები ომის გზით დაიმორჩილა“.[6] აპიანე კი გადმოგვცემს: მითრიდატემ „დაიმორჩილა მრავალი ხალხი და მათ შორის მეომარი კოლხები“.[7]

რაც შეეხება პომპეუს ტროგუსის ზემოთ მოტანილ ცნობას, პირველმა მას ყურადღება დ. შელოვმა მიაქცია. მკვლევრის ვარაუდით, „მითრიდატემ კოლხეთის სამეფო დაიპყრო რაღაც ფორმალური გზით, მაგალითად, რაღაც სამემკვიდრეო დოკუმენტით, მისივე მსგავსით, როგორიც მას ბოსფორზე ჰქონდა“.[8] დ. შელოვის ამ ჰიპოთეზას მე ადრე არ ვიზიარებდი,[9] მაგრამ ამჯერად ის მართებულად მეჩვენება, ვინაიდან ბოსფორი, როგორც ეს დოკუმენტურად დასტურდება, მითრიდატე VI-მ მემკვიდრეობითი უფლებებით შეიერთა, როგორც ბოსფორის მეფის – პერისადეს – აღზრდილმა.[10] როგორც ჩანს, პომპეუს ტროგუსის მოტანილი ცნობა რეალურია და რომელიღაც კონკრეტულ წყაროს ეფუძნება. არანაირი საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ მითრიდატეს კოლხეთში გაბატონებაზე პრეტენზია ჰქონოდა, როგორც მეფეთა მემკვიდრეს. დ. შელოვი კონკრეტულად არ ასახელებს, თუ რა მექანიზმით უნდა გადაცემოდა მითრიდატეს კოლხეთი. ვფიქრობთ, ამგვარი მექანიზმი მითრიდატიდების დინასტიურ ჩამომავლობასა და მათ მემკვიდრეობაში უნდა ვეძებოთ. ჯერ კიდევ პოლიბიოსი წერდა, რომ „მითრიდატე III-ის მტკიცებით, იგი შთამომავალია შვიდ სპარსთაგან ერთ-ერთის, რომელმაც სპარსეთში ცრუ სმერდისი (გაუმატა – თ. თ.) მოკლა, ხოლო პონტოს მომიჯნავე მიწები მემკვიდრეობით მიიღო იმ წინაპრებისაგან, რომლებსაც ისინი დარიოს I-მა უბოძა“.[11] პოლიბიოსი ნაშრომის სხვა ადგილზე მიუთითებს, რომ მითრიდატიდები სპარსელთა ერთ-ერთი მეფის შთამომავლები იყვნენ.[12] დიოდორე სიცილიელიც პირდაპირ მიანიშნებს, რომ არიობარზანეს შვილი მითრიდატე (IV – თ. თ.) შვიდ სპარსელთაგან ერთ-ერთი მეფის შთამომავალია, რომელიც მამაცობითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა.[13] აპიანე ალექსანდრიელი კი მითრიდატიდების გენეალოგიის კონკრეტიზებას გვთავაზობს.

[6] Memn. 30.
[7] App. Mithr. 101.
[8] Д. Шелов. Колхида в системе понтийской державы Митридата VI. Вестник древней истории (ВДИ). 3. 1980, გვ. 30-31.
[9] თ. თოდუა. ძველი კოლხეთი და გარე სამყარო. თბ. 2008, გვ. 21.
[10] А. Немировский. Митридат Евпатор, Боспор и восстание скифов. Византиноведческие этюды. Тб. 1978, გვ. 68-69.
[11] Polyb. V. 43.
[12] Polyb. V. 45.
[13] Diod. XIX. 40. 2.

აპიანეს თანახმად, მითრიდატე VI ევპატორი დარიოს I-ის შთამომავალთა მეთექვსმეტე თაობაა, ხოლო მითრიდატე I კტისტის მერვე თაობა იყო.[14]

ასე რომ, ზემოხსენებული ანტიკური ხანის ავტორები ერთხმად აღიარებდნენ მითრიდატიდების სპარსულ წარმომავლობას და აქემენიანთა უშუალო შთამომავლებად მიაჩნდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ არმენიის მეფეები ორონტ-ერვანდის მმართველობამდე (ძვ. წ. II ს-ის დასასრული) აქემენიდებთან დაახლოებული პირები იყვნენ. ისინი „შვიდ სპარსელთაგან" ერთ-ერთის – ჰიდარნას – შთამომავლებად ითვლებოდნენ.[15] ხოლო ოტანიდები, რომელთა შთამომავლებადაც აღიარებდნენ თავიანთ წარმომავლობას მითრიდატიდები და არიარატიდები, ასევე „შვიდი სპარსთაგანის" მემკვიდრეები იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ დიდი არმენიის მეფეს – ტიგრან II-ს და მითრიდატე VI-ს ახლო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ. მცირე არმენია კი, საფიქრებელია, ამგვარი მექანიზმით მემკვიდრეობითი წესით უნდა გადაცემოდა მითრიდატე ევპატორს.

რაც შეეხება კოლხეთს, მართალია, აიეტიდების დინასტიას არანაირი ნათესაური ურთიერთობა არ აკავშირებდა აქემენიანებთან ან მითრიდატიდებთან, მაგრამ ის ფაქტი, რომ კოლხეთი დარიოს I-ის დროს მისი ერთ-ერთი სატრაპიის,[16] შესაძლოა, არმენიის ნაწილს წარმოადგენდა და ამავე დროს დარიოსმა „პონტოს მიწები მითრიდატიდებს უბოძა",[17] გვაფიქრებინებს, რომ მითრიდატე VI-ს დარიოს I-ის მიერ გაცემული სამემკვიდრეო დოკუმენტი უნდა ჰქონოდა, რაც მას საშუალებას მისცემდა კოლხეთის მიერთებაზე პრეტენზია განეცხადებინა. ნიშანდობლივია, რომ აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, სპარსელები მოგვიანებით, ახ. წ. VI ს-ში, კოლხეთზე პრეტენზიას აცხადებდნენ: ირანის მეფის კავადის ელჩები უმტკიცებდნენ ბიზანტიელებს, რომ „კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო...".[18] იმავე აგათიას ცნობით, ლაზები კი ხოსრო I ანუშირვანს შეახსენებდნენ, რომ ლაზებისა და სპარსელთა სამეფო საგანძურებში ახლაც არის დაცული წერილობითი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ კოლხების ძველთაგანვე სპარსელთა მოკავშირეობას.[19] არ არის გამორიც-

[14] App. Mithr. 112.
[15] Strabo. XI. 14, 15.
[16] ვ. ლიჩელი. კოლხეთი ძვ. წ. I ათასწლეულში. აღმოსავლური ტენდენციები. ქართველოლოგი. თბ. 2011. №2, გვ. 3.
[17] Polyb. V. 43.
[18] Agath. BP. I. 11.
[19] Agath. BP. II. 15.

ხული, რომ პომპეუს ტროგუსს ან მის წინამორბედს ამგვარი ხასიათის დოკუმენტები ჰქონოდათ მითრიდატესათვის კოლხეთის მემკვირეობით გადაცემის შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ პონტოს სამეფოს სისტემაში კოლხეთის ინკორპორირება არა იძულებით, არამედ, მცირე არმენიისა და ბოსფორის მსგავსად, მემკვიდრეობითი უფლებებით უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, ამ გზით აღნიშნული აქტის განხორციელება მითრიდატე VI-ს უნდა გაადვილებოდა.[20]

ასეა თუ ისე, ძვ. წ. 105-90 წლებში მითრიდატემ კოლხეთი შემოირ - თა და აშკარაა, რომ იგი დიდ წინააღმდეგობას არ წაწყდომია[21]. როგორც ჩანს, პროპონტურმა დაჯგუფებებმა, სამეფო ხელისუფლების დაუძლურებამ, ქვეყნის დეზინტეგრაციამ მითრიდატეს დასახული ამოცანის შესრულება შეუმსუბუქეს და პონტოს სამეფოს სისტემაში ქვეყნის სწრაფი ინკორპორირება განაპირობეს.

[20] შესაძლოა, ამითაც იყო განპირობებული ის, რომ სტრაბონი, მემნონი და აპიანე საკმაოდ ბუნდოვნად მიანიშნებდნენ პონტოს სამეფოსთან კოლხეთის შეერთების აქტის შესახებ.

[21] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2006, გვ. 75-76; Т. Тодуа. Колхида в составе понтийского царства. Тб. 1990, გვ. 53.

Temur Todua

COMMENTARY OF ONE NOTE FROM POMPEIUS TROGUS

Summary

"Historiae Philippicae" of Pompeius Trogus, 1st c. Roman author, is well packed with original information. Book XXXVIII runs as follows: Mithradates took Bosphorus and Colchis as hereditary possessions. That means much for reconstruction how Colchis was incorporated into Pontic kingdom. Information of Trogus seems to correspond to reality and derives itself from certain source. The following could happen: Darius I kept Colchis as part of a satrapy; at the same time the king gave to the Mithradatids the Pontic lands. They also had the king's special charter about hereditary right over Colchis. So, Mithradates VI's rule over Colchis was nothing but a hereditary one.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

მარიკა მშვილდაძე

აფროდიტეს კულტის გავრცელების საკითხისათვის ქართლში/იბერიაში (ურბნისი)

ანტიკური პერიოდის (ელინისტური, გვიან ანტიკური) ქართლის სამეფო საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. შესაბამისად, იბერია ანგარიშგასაწევი ძალა იყო მეზობელი ქვეყნებისა თუ იმპერიებისათვის. წერილობითი წყაროებისა („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) და არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ქართლში აყვავებული ჩანს როგორც სოფელი (სოფლის მეურნეობა), ისე საქალაქო ცხოვრება (ეკონომიკა, ვაჭრობა, ხელოსნობა...). ამ დროს ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებს წარმოადგენდა მცხეთა – ქვეყნის დედაქალაქი, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, ოძრხე, ნეკრესი. სტრაბონის გეოგრაფიის მიხედვით, იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბებად (Strabo, XI, II-III). რის საფუძვლადაც სხვადასხვა მიზეზებთან ერთად ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობაც უნდა დავასახელოთ.

იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი ხდება, რომელზეც გადის მეზობელი ქვეყნებიდან – სომხეთიდან, კოლხეთიდან, ჩრდილოეთიდან მომავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები.[1] არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ იმპორტული საქონელი გავრცელებულია არა მარტო დიდ ქალაქებში და ადმინისტრაციულ ცენტრებში, არამედ სოფლებშიც. რომ ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე ანტიკური ხანის იბერიისთვის არ ყოფილა უცხო. კერძოდ, აქ ცხოვრობდნენ ქართველები, ბერძენ-რომაელები, ზოროასტრიზმის აღმსარებლები, ებრაელები, მანიქეველები და სხვ.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ საკითხის გარკვევა, თუ რამდენად იყო გავრცელებული ანტიკური ხანის იბერიაში, კერძოდ კი, ქალაქ

[1] გ. მელიქიშვილი. ქართლის სამეფოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფო წყობა. საქართველოს ისტორია. I. თბ. 2008, გვ. 69-82.

ურბნისში ანტიკურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაების აფროდიტეს (ვენერა) კულტი და რამდენად თავსდება, ამ მხრივ, ქართლი (ურბნისი) ანტიკურ ხანაში არსებულ საერთო რელიგიურ კონტექსტში.

აფროდიტე (ბერძნული – Ἀφροδίτη, ლათინური – Venus), მითების თანახმად, ცის ღმერთის ურანოსის შვილი, ზღვის ქაფისგან იშვა, ხოლო მსუბუქმა ქარმა იგი კვიპროსამდე მიიყვანა.[2] აფროდიტე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებად გვევლინება ანტიკურ სამყაროში. ბეოტიის მოსახლეობა უძველესი დროიდან თაყვანს სცემდა არესსა და აფროდიტეს, როგორც მთავარ ღვთაებებს, რომლებიც მათ სიკვდილისა და სიცოცხლის მბრძანებლებად თვლიდნენ. მას შემდეგ, რაც ბერძნები ფინიკიაში შევიდნენ, მათ ერთმანეთს დაუკავშირეს აფროდიტე და ფინიკიური ასტარტა და ციური უწოდეს, რადგან ასტარტას საცხოვრებელს ცა წარმოადგენდა. სწორედ აქედან აიღეს ბერძნებმა აფროდიტეს სახელი „ციური". აფროდიტეს კულტი კვიპროსშიც გაბატონდა, რომლიდანაც წარმოდგა ღვთაების მეორე სახელი „კიპრიდა".

დელფინები და გედები აფროდიტეს წმინდა ცხოველები იყვნენ. ისინი აცოცხლებდნენ ზღვის ტალღებს, ხოლო მათ მიერ ანთებული ვარსკვლავები მანათობელ შუქურად იქცეოდნენ მეზღვაურთათვის. ასე რომ, აფროდიტე იყო ზღვის, მეზღვაურების მფარველი ღვთაებაც. ილიადაში ღვთაება ტროელების დამცველია.

აფროდიტეს ტაძრები შენდებოდა ამაღლებულ ადგილას, ზღვისკენ მიმართული. იგი ითვლებოდა, აგრეთვე, სილამაზისა და სიყვარულის ღვთაებად, ერთ-ერთ ოლიმპიურ ღმერთად. ნიშანდობლივია, რომ პტოლემაიოსების დედოფლებს სწორედ ისიდასა და აფროდიტეს სახით გამოსახავდნენ.[3] როცა რომაელებმა პირველ პუნიკურ ომში დაამარცხეს კართაგენელები და აიღეს ერიკსომი (ძვ. წ. 249 წ.), იტალიაში ახალი კულტით დაბრუნდნენ. მანამდე აპენინის ნახევარკუნძულზე თაყვანს სცემდნენ გაზაფხულის ღვთაება ვენერას. ერთმანეთს შეერწყა აფროდიტესა და ვენერას კულტი, რომელიც აფროდიტე ერიკინელის სახელით არის ცნობილი.[4] რომში, კაპიტოლიუმზე ააშენეს ტაძარი და იგი რომის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად იქცა (Tacitus, Annales, IV,

---

[2] Н. А. Кун. Легенды и мифы древней Греции. Фрунзе. 1984, გვ. 44-45.

[3] О. Я. Неверов. Античные камеи в собрании Эрмитажа. Л. 1988, გვ. 9.

[4] ვერგილიუსის „ენეიდას" (V) მიხედვით, სიცილიაში ვენერას საპატივცემულოდ ტაძარი ჯერ კიდევ ენეუსმა ააგო.

43). აფროდიტეს უძღვნიდნენ ვარდს, ვაშლს, ყაყაჩოს. მტრედებისა და დელფინების გარდა, ღვთაების წმინდა თანმხლები ცხოველები იყო ბელურა და კურდღელი, რომლებთან ერთადაც ხშირად გვხვდება გემებზე გამოსახული.

აფროდიტე (ვენერა), ერთი მხრივ, ითვლებოდა ქორწინების დამცველად, რომელსაც რომაელი მატრონები (matronae – ოჯახის დედები) სცემდნენ თაყვანს. მეორე მხრივ, იგი გვევლინება მსუბუქი ყოფაქცევის ქალების (meretrices) ღვთაებად. იმავდროულად, მას თაყვანს სცემდა სულა „ბედნიერი ვენერას“ (Venus Felix), ხოლო პომპეუსი „გამარჯვებული ვენერას“ (Venus Vicrtix) სახით. იულიუს კეისარმა ფარსალოსთან ბრძოლის შემდეგ, ძვ. წ. 46 წელს, ტაძარი აუგო და მას „ვენერა წინაპარი“ (Venus Genetrix – ენეასის გვარის, რომელსაც იულიუსებიც განეკუთვნებოდნენ, ღვთაებრივი წინაპარი) უწოდა (Suetonius, De vita Caesarum, Iulius, 6; Velleus Paterculus, Historiae Romanae libri, II, 41).[5] ავგუსტუსის რელიგიური რეფორმიდან მოყოლებული კი ვენერა, მარსთან ერთად, უკვე რომაელი ხალხის წინაპრად ითვლებოდა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებშიც.

უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგიური მონაცემების შესწავლა საფუძველს გვაძლევს ვერწმუნოთ ისტორიულ წყაროებს. მართლაც, ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი – ნაქალაქარის ნაშთები – საფორტიფიკაციო და სხვა ნაგებობები: გალავნები, კოშკები, აბანო, არხები, მონეტები... არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ქალაქს სამი მხრიდან მტკიცე გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ქალაქი უბნებად ყოფილა დაყოფილი. იგი უზრუნველყოფილი იყო წყლით. მოქმედებდა წარმართული „ცეცხლთა, ქვათა და ძელთა“ თაყვანისმცემელთა ტაძარი, ებრაელთა სამლოცველო.[6] წმინდა „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ჯავახეთიდან მცხეთაში მიმავალი ნინო გზად ურბნისში გაჩერდა და იქ „შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაულისა“.[7]

[5] ძვ. წ. 44 წ. მოჭრილ მონეტის ავერსზე იულიუს კეისარი, ხოლო რევერსზე გამარჯვებული ვენერაა (Venus Vicrtix) გამოსახული.

[6] ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. თბ. 1964.

[7] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 88. ჩვენი აზრით, „ბაგინი ჰურიათასა“ – ბეით-ქნესეთი – სინაგოგა უნდა ყოფილიყო, რომელთა არსებობა, ზოგადად, ელინისტური ხანიდან დასტურდება.

არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა გლიპტიკურ მასალას, რადგანაც გლიპტიკური ძეგლები ნივთიერი კულტურის ის მხარეა, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის, ქალაქის განვითარებას, ის საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ მის სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე და სხვ.

ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აფროდიტეს გამოსახულებიანი სამი გემა. მათ შორის ორი – ურბნისის სამაროვანზე, ხოლო ერთი ურბნისის ტერიტორიაზე (გემა ინახება საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის სიძველეთა განყოფილებაში, რომელშიც 1900 წელს გლიპტიკის სხვა ნიმუშებთან ერთად მოხვდა. დავთრის მიხედვით, გემების კოლექცია, სულ 8 ერთეული,[8] მოპოვებულია კავკასიაში, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ეს გემები მოხვდა ბარონ დე ბაის (გრანდ არმეს ქუჩა №58) ხელში, რომლისგანაც შეძენილი იქნა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მიერ).[9]

იმის მიხედვით, თუ როგორ არის გამოსახული ესა თუ ის ღვთაება, შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რის ღმერთად გვევლინება იგი კონკრეტულ შემთხვევაში. განვიხილოთ ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გემები თანმიმდევრულად.

უძველეს გემას ჩვენ შემთხვევაში წარმოადგენს ურბნისის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გრანატისთვლიანი ინტალიო (ინვ. 1044), რომელზეც ღვთაება შიშველი, ნახევრად ზურგით არის გამოსახული და მარცხენა იდაყვით სვეტს ეყრდნობა. აფროდიტეს (ვენერა) მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს. ღვთაების თავს დიადემა ამკობს[10] (სურ. 1). ვენერას (აფროდიტეს)

---

[8] აქედან კამეა და სამი ინტალიო საქართველოშია მოპოვებული, სამი ინტალიო სომხეთში, ერთის წარმომავლობა კი უცნობია.

[9] М. Мшвилдадзе. О Нескольких геммах из Национальной Библиотеки Франции, найденных на территории Грузии. ჟურ. „კავკასიის მაცნე“. №3. თბ. 2001, გვ. 161-167.

[10] (ინვ. 1044), 1960 წ. სამარხი № 189. ინტალიო გრანატისა (პიროპი) ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური, პირი ამობურცული აქვს. ზურგი – ბრტყელი. პირზე გამოხატულია აფროდიტე. ღვთაება დგას ნახევრად ზურგით. მარცხენა იდაყვით სვეტს ეყრდნობა. ტანის სიმძიმე მარცხენა ფეხზე აქვს გადატანილი, მარცხენა ფეხი მოხრილი აქვს და ქუსლი სვეტზე აქვს მიბჯენილი. მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს. ღვთაებას თავს დიადემა უმკობს, რომლის ბოლოები კეფასთან უფრიალებს.

შუბით გამოსახვა უცხო არ იყო ანტიკური სამყაროსათვის. რაც მის მებრძოლ ხასიათზე მეტყველებს. იკონოგრაფიულად ურბნისის გემა ძალიან წააგავს პომპეის ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულ ვენერას მარსთან ერთად, სადაც ღვთაებას ხელში ასევე შუბი უჭირავს, თავს კი ურბნისის აფროდიტეს მსგავსი დიადემა უმკობს.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ სარდიონის ინტალიოზე (ინვ. №9149) ღვთაება გამოსახულია ნახევრად შიშველი, მას მარჯვენა ხელში მუზარადი უჭირავს, მარცხენა ხელით კი სვეტს ეყრდნობა. ღვთაების მარჯვენა ფეხთან მოჩანს შუბი[11] (სურ. 2). ამ ფორმით გამარჯვებულ აფრო-

ნიადაგის ზოლი გრძელი წვრილი ხაზით არის გამოხატული. გამოხატულება ძალიან მკაფიოა და საკმაოდ პლასტიკური, პროპორციები გრძელი და მოხდენილი, მაგრამ ღვთაების პოზა რამდენადმე გაყინულია და თავისუფლებას მოკლებული. ქვა შესანიშნავად არის გაპრიალებული, გამოხატულება – ნაწილობრივ. შეად. A. Furtwängler. Beschreibung der geschnittenen Steine im Antiquarium. Berlin. 1896, 313, 1314, №2388-2391, 3697 (სიუჟეტი რამდენადმე განსხვავებულია). ვერცხლის ბეჭედი, რომელშიც ინტალიო იყო ჩასმული, დამახასიათებელია რესპუბლიკის ბოლო წლებისა და ავგუსტუსის ეპოქისათვის.

დაცულობა: ბეჭედი დეფორმირებულია. ბუდის ნაწილი მოტეხილია, ვერცხლი – რეკრისტალიზებული; ქვა ამოვარდნილია ბუდიდან, გატეხილია ორ ნაწილად.

ზომები: ინტალიოს სიგრძე – 16 მმ, სიგანე – 13 მმ. ბეჭდის დიამეტრი – 16 მმ, სიმაღლე 27 მმ.

გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო ძვ. წ. I ს. ბოლო წლებითა და ახ. წ. დასაწყისი ხანით თარიღდება. იგი რამდენადმე უფრო გვიან სამარხშია მოხვედრილი. ამავე სამარხში იყო კიდევ სამი საბეჭდავი (ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972, გვ. 23).

[11] (ინვ. №9149) საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა. მონეტების, მედლებისა და სიძველეთა დეპარტამენტი. ოვალური ფორმის სარდიონის საბეჭდავი დეპარტამენტში შევიდა 1900 წლის 25 მაისს. აღმოჩენის ადგილი ურბნისი (საქართველო).

ზედაპირზე გამოსახულია ვენუს ვიქტრიქსი (Venus Vicrtix) – გამარჯვებული ვენერა თავით პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას ჰორიზონტალურად მდებარე მარჯვენა ხელში მუზარადი უჭირავს. მის წელსა და მარცხენა ხელის მტევანზე შემოხვეულია ქიტონი. მარცხენა ხელით სვეტს ეყრდნობა. ღვთაების მარჯვენა ფეხთან მოჩანს შუბი. მარცხენა ფეხი სვეტზე აქვს მიდებული. კვეთა საკმაოდ ღრმა, სხვადასხვა სიღრმეზე. გამოსახულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: А. Димитрова-Милчева. Антични геми и камеи. София. 1980. №№ 28, 28а, 29, 30 31; H. Guiraud. Intailles et camees de I'epoque romaine en Gaule. Paris. 1988. pl.

დიტეს (ვენერა) გამოსახავდნენ. შესაბამისად, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ვენერასგამოსახულებიანი ინტალიოს ზედაპირზე Venus Vicrtix-ია გამოსახული.

განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი ღვთაება ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილ მეორე გემაზე (ინვ. №1018). აფროდიტე გამოსახულია გრძელი ქიტონით შემოსილი, თავით პროფილში მარჯვნივ. მარჯვენა ხელში სარკე უჭირავს და შიგნით იყურება, მარცხენათი კი თმას ისწორებს[12] (სურ. 3). აღნიშნულ შემთხვევაში აფროდიტე სილამაზისა და სიყვარულის ღვთაებად გვევლინება. ქალღმერთის ამ ფორმით გამოსახვა, რომელიც გვიან რომაულ ხანაში ყველა სხვა სიუჟეტთან შედარებით ძალზე გავრცელებული ჩანს, ხშირია. შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური ხანის ბოლოს აფროდიტეს მხოლოდ ეს ფუნქციები აქვს შემორჩენილი.

ჩვენ მიერ განხილული გლიპტიკური ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები, როგორც ვნახეთ, ძვ. წ. I ს-ის ბოლო წლებითა და ახ. წ. III ს-ით განისაზღვრა, რაც გვიან ანტიკურ პერიოდს ემთხვევა. კვლევის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პერიოდში ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გლიპტიკური მასალის მიხედვით, მართლაც ჩანს გავრცელებული აფროდი-

---

XXI. №320; A. Furtwängler. Beschreibung der geschnittenen Steine im Antiquarium. Berlin. 1896, tab. 22, №2388-2391.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შემონახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე – 18 მმ, სიგანე – 14 მმ.

გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. II საუკუნით თარიღდება.

[12] (ინვ. №1018). 1960 წ. სამარხი №168. ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭდის ფრაგმენტში. ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია აფროდიტე. ღვთაება დგას გრძელი ქიტონით შემოსილი, მარჯვენა ხელში სარკე უჭირავს და შიგ იყურება, მარცხენათი თმას ისწორებს. ნიადაგის ზოლი წვრილი ხაზით არის აღნიშნული. კვეტა დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა, მაგრამ მთლიანად ქალღმერთის ფიგურა ძალიან მოხდებილია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. გამოსახულება მქრქალია. მსგავსი გამოსახულებები იხ. Т. В. Кибальчич. Южнорусские геммы. №№ 67, 69. ამავე სამარხიდან არის №№ 107 და 109 გემიანი ბეჭდები.

დაცულობა: ქვა კარგად არ არის შემონახული, ბეჭდიდან შემონახულია მხოლოდ დაჟანგული ნატეხი.

ზომები: ინტალიოს სიგრძე – 9 მმ, სიგანე – 6 მმ.

გამოსახულების სტილისა და № 107 ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. III საუკუნით თარიღდება (ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972, გვ. 72).

ტეს (ვენერას) კულტი, რაც ჩვენი აზრით, ქალაქის ხელსაყრელი მდებარეობით შეიძლება აიხსნას. ურბნისის მოსახლეობისათვის აფროდიტეს კულტი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო უცხო, მაგრამ ღვთაების ამა თუ იმ ტერიტორიაზე შესვლა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მისი გაცნობა ერთი საკითხია, ხოლო პოპულარობა – მეორე, რასაც ურბნისის ტერიტორიაზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე აფროდიტესთან დაკავშირებით ვერ ვიტყვით. შესაბამისად, მოპოვებული მასალა საკმარისად არ მიგვაჩნია ურბნისში ღვთაების პოპულრობის მტკიცებისათვის.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული სამი გემა სხვადასხვა საუკუნეებით თარიღდება. შესაბამისად, ერთი გემის ფიქსაცია საუკუნეში აფროდიტეს (ვენერა) პოპულარობის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება. ზემოაღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ღვთაებასთან დაკავშირებით საკმაოდ მწირი არქეოლოგიური მასალა მოგვეპოვება.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფროდიტეს კულტის გავრცელება ძირითადად გემების მეშვეობით დასტურდება, ისიც მცირე რაოდენობით, განსხვავებით დასავლეთ საქართველოსაგან, სადაც ღვთაების გამოსახულებები გვხვდება როგორც ქანდაკების სახით (ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი, სამ. №244. ძვ. წ. V ს-ის შუახანები),[13] ისე კერამიკის ნიმუშზე (წითელფიგურული ჰიდრია, ფიჭვნარის სამაროვნიდან. სამარხი № 36, ძვ. წ. V ს.)[14] და გლიპტიკურ ძეგლებზე.

ჩვენ მიერ განხილული გემები რომაული გლიპტიკის ნიმუშებს წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, იბერიის რომაულ სამყაროსთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირით შეიძლება აიხსნას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გვინდა აღვნიშნოთ. ურბნისში სახეზე გვაქვს ანტიკურ სამყაროში მიღებული ღვთაების გამოსახვის იკონოგრაფიული სახე ძვ. წ. I ს-ის ბოლოდან მოყოლებული ახ. წ. III ს-ით დამთავრებული. თუ აფროდიტეს პირველი იკონოგრაფიული გამოსახულება ანტიკურ სინამდვილეში (ადრეანტიკური პერიოდი) საკმაოდ მოკრძალებული იყო – ღვთაება გამოისახებოდა გრძელი ქიტონით, რომელსაც ერთ ხელში ვაშლი, ხოლო მეორე ხელ-

[13] ნ. ძნელაძე. პოსტაფროდიტეს ჯგუფის ტერაკოტა ფიჭვნარიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები. III. ბათუმი, 2005, გვ. 40-45.
[14] თ. სიხარულიძე. ანტიკური მოხატული ვაზები ფიჭვნარის სამაროვნიდან. კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. 1987, XVI, გვ. 51-106.

ში ყვავილი ეჭირა, მოგვიანებით, ელინისტურ პერიოდში აფროდიტეს იკონოგრაფიული სახე კარგავს სიმკაცრეს და უფრო მგრძნობიარე, მაცდური ხდება. შესაბამისად, იცვლება მისი ჩაცმულობაც. ჯერ ქიტონი ხდება უფრო ჰაეროვანი, შემდეგ კი ღვთაება სამოსისგან ნელ-ნელა თავისუფლდება, რაც კარგად ჩანს ელინისტური პერიოდის ქანდაკებებში. ანტიკური პერიოდის ბოლოს კი აფროდიტე ნელ-ნელა უბრუნდება თავის პირვანდელ, არქაულ იკონოგრაფიულ სახეს და იმოსება.

დანართი 1

სურათი 2

სურათი 3

Marika Mshvildadze

**CULT OF APHRODITE
IN KARTLI/IBERIA**

Summary

Three gems with the effigy of Aphrodite were found in Urbnisi (Eastern Georgia). Their chronological frames are as follows: end of the 1st c. B.C.-3rd c. A.D. The research comes to conclusion that three pieces are not enough for stating of popularity of this deity in Eastern Georgia; still the good relations with Rome are well traced.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ნათია ფიფია

არგონავტები და ძველი კოლხეთი გვიანანტიკური ხანის თხზულებაში "De Excidio Trojae Historia"

არგონავტების მითი ანტიკურ ხანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მითი იყო. თუმცა, მითის პოპულარობა ამით არ დასრულებულა. არგონავტებისა და კოლხეთის შესახებ შუა საუკუნეებშიც წერდნენ, თანაც თავისი დროისთვის საკმაოდ ცნობილი ავტორები. მოგვიანებით, რენესანსის ეპოქაში, ეს თემა ისევ პოპულარულია, თუმცა შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში ამ მითის შესახებ ინფორმაციის, ასე ვთქვათ, ისტორიული მეხსიერების, არსებობა, სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული: რენესანსის ეპოქაში, განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ ანტიკურ ცივილიზაციასთან დაკავშირებული ყოველგვარი ასპექტით და დასავლურმა ცივილიზაციამ, ფაქტობრივად თავიდან აღმოაჩინა ჰომეროსი. შესაბამისად, არგონავტების მითის შესახებ ცოდნა ეფუძნებოდა ბერძნულ ვერსიას, რომელიც ისევ ხელმისაწვდომი გახდა დასავლეთისთვის. შუა საუკუნეებში რენესანსის ეპოქისგან განსხვავებით არგონავტების შესახებ მითი და იმხანად მასთან ორგანულად დაკავშირებული ტროას ომის ისტორიის შესახებ წარმოდგენა, ძირითადად, ეყრდნობოდა ნაკლებად ცნობილ გვიანანტიკური ხანის ორ თხზულებას: დარეს ფრიგიელის "De Excidio Trojae Historia" და დიქტის კრეტელის "Ephemeridos Belli Trojani". დარეს ფრიგიელის თხზულება შესავლის შემდეგ იწყება არგონავტების ამბებით, ხოლო რაც შეეხება დიქტის კრეტელს, მასთან არგონავტები არ იხსენიება და ის თხრობას პირდაპირ ტროას ომის ამბებით იწყებს, სამაგიეროდ, მასთან ტროას ომის შემდგომი ამბებია მოხსენიებული და ოდისევსთან კავშირში იხსენიება კირკე და მისი კუნძული აიაია. შუა საუკუნეების ტექსტებში, როგორც აღვნიშნეთ, არგონავტების მითი ყოველთვის დაკავშირებულია ტროას ომთან, ტროას ომის მრავალი ვერსია არგონატების მითით იწყება, რაც, როგორც ჩანს, სწორედ დარეს ფრიგიელის გავლენაა. შუა საუ-

კუნეების არგონავტიკა ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ამჟამად და რადგან ეს ტრადიცია დარეს ფრიგიელს ეფუძნება, ამჯერად ყურადღებას სწორედ მასზე გავამახვილებთ. მისი თხზულება რამდენიმე მიზეზის გამო არგონავტიკასთან კავშირში ნაკლებად ცნობილია ქართული სამეცნიერო წრეებისთვის. თხზულების სათაურიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, მასში არგონავტების თემას არავინ ეძებდა. ამასთან, თვითონ თხზულების თავდაპირველი საეჭვო წარმომავლობა (იხ. ქვემოთ), როგორც ჩანს, განაპირობებდა ქართველი მეცნიერების ნაკლებ დაინტერესებას ამ ავტორით. ეს თხზულება არ არის მოხსენიებული აკ. ურუშაძის ნაშრომში „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში".[1] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აკ. ურუშაძე ძირითადად ისტორიულ მასალებს ეძებდა ძველი კოლხეთის შესახებ. ამ მხრივ დარესის თხზულება ქართველოლოგიისთვის ნაკლებად ღირებული იყო, რადგან ისედაც კარგად ცნობილ მასალებს ეფუძნებოდა და, ამასთან, საკმაოდ შეკვეცილ ვერსიას წარმოადგენდა. შესაძლოა, სწორედ ამან განაპირობა აკ. ურუშაძის მიერ ამ თხზულების იგნორირება. თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ ურუშაძე ამ წყაროს, არც იცნობდა. მიგვაჩნია, რომ ის მაინც არ გამოტოვებდა ამ წყაროს და თავის კრებულში აუცილებლად შეიტანდა. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის დარეს ფრიგიელის თხზულების გაცნობა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელი დარეს ფრიგიელი, როგორც მეცნიერები დღესდღეობით მიიჩნევენ, ნაყალბევია. თხზულება დაწერილია ლათინურად ახ. წ. V საუკუნეში,[2] თუმცა მისი ავტორი შესავალშივე ცდილობს დაამტკიცოს, რომ თხზულება ჰომეროსის „ილიადაზე" ძველია და, ამდენად, უფრო სანდო ცნობებს შეიცავს ტროას ომის შესახებ. ამ საკითხის არარეალობა, არაერთხელ დამტკიცებულია ტექსტის გამომცემლების მიერ და ამჯერად ჩვენ მას არ გავიმეორებთ.[3] თხზულების შესავლის თანახმად, კორნელიუს ნეპოტმა სალუსტიუს კრისპუსს გაუგზავნა წერილი

[1] იხ. აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ. 1964.
[2] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia: Philological Commentary and Translation. Gent. 2011-2012, გვ. 31. ხელმისაწვდომია: http://lib.ugent.be/fulltxt/RUG01/001/891/500/RUG01-001891500_2012_0001_AC.pdf.
[3] იხ. J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 31; The Trojan War. The Chronicles of Dictys of Crete and Dares the Phrygian. Translated by R. M. Frazer (Jr.). Indiana University Press. 1966. ხელმისაწვდომია: http://www.theoi.com/Text/DaresPhrygius.html.

და თან დაურთო თხზულება, რომელიც, მან ათენში იპოვა. რადგან ის შეიცავდა ტროას ომის „თანამედროვის თვალით დანახულ“ ისტორიას, ანუ დარეს ფრიგიელის მიერ აღწერილს, საჭიროდ მიიჩნია მისი თარგმნა ლათინურად. ე.ი. კორნელიუს ნეპოტი თავისი შემოქმედების ნაყოფს უგზავნის სალუსტიუს კრისპუსს. ეს უკანასკნელიც, სავარაუდოდ, ფრჩხილებში უნდა მოვიხსენიოთ. თხზულების შესავალი ნაყალბევი ტექსტია. გიუდმანი აღნიშნავს, რომ დარესის მიერ თავისი თხზულების დაკავშირება ცნობილ ავტორთან მკითხველის თვალში თხზულების ავტორიტეტის გაზრდას ისახავდა მიზნად.[4] ჯ. კორნილიც მიიჩნევს, რომ ტექსტის ნამდვილმა ავტორმა ცნობილი ისტორიკოსების სახელი გამოიყენა მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი მდარე თხზულებისთვის მეტი ავტორიტეტი მიეცა.[5] ამით მან განზრახ გააყალბა თხზულების წარმომავლობა და იგი მიაწერა ლეგენდარულ პირს, ტროას ომის მონაწილეს, დარეს ფრიგიელს, რომელიც, ჰომეროსთან ტროელი ქურუმია (Hom. Il. 5.1),[6] მოხსენიებულია ასევე ვერგილიუსთანაც (Verg. Aen. V, 375-377).[7] თუმცა ნ. გრიფინი აღნიშნავს, ზუსტად არ ვიცით, რომ ჰომეროსის და ვერგილიუსის დარესი და ამ თხზულების ავტორი დარესი, ან ყოველ შემთხვევაში, ადამიანი, რომელსაც მიეწერება მისი ავტორობა, ერთი და იგივეა.[8] მკვლევრები ძირითადად ემხრობიან იმ ვერსიას, რომ დარესის მიზანი თხზულების ავტორიტეტის გაზრდა იყო. თუმცა, ჩვენი აზრით, ავტორის მიზანი მხოლოდ მითის, ამ ისტორიის გადარჩენა იყო, როგორც ჩანს, ქრისტიანობის მზარდი პოპულარობის ფონზე მან გადაწყვიტა ისტორია ღვთაებრივი ელემენტებისგან დაეცალა, თხზულებისთვის ჰომეროსზე უფრო ავტო-

[4] A. Gudeman. Literary Frauds among the Romans. Transactions of the American Philological Association Vol. 25 (1894), გვ. 140-164. ხელმისაწვდომია: http://penelope.uchicago.edu/Thayer/E/Journals/TAPA/25/Literary_Frauds*.html.

[5] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 6.

[6] Homer. The Iliad with an English Translation by A.T. Murray, Ph.D. in two volumes. Cambridge, MA., Harvard University Press; London, William Heinemann, Ltd. 1924. available at: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.01.0134%3Abook%3D5%3Acard%3D1.

[7] Vergil. Aeneid. Theodore C. Williams. trans. Boston. Houghton Mifflin Co. 1910. ხელმისაწვდომია: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.02.0052%3Abook%3D5%3Acard%3D362.

[8] N. E. Griffin. Dares and Dictys; An Introduction to the Study of Medieval Versions of the Story of Troy. Baltimore. 1907. ხელმისაწვდომია: http://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=hvd.32044010636504;view=1up;seq=14.

რიტეტული ავტორი მოეძებნა და მისთვის მიეწერა მისი შექმნა. როგორც ჩანს, ავტორს კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებდა, ის არ აყალბებს საკუთარი თავის განდიდების მიზნით. ეს უკანასკნელი სურვილი რომ ჰქონოდა, მაშინ საერთოდაც საკუთარ სახელს დაუტოვებდა ისტორიას და არ მიაწერდა საკუთარ ნაშრომს სხვას. ის აყალბებს ისტორიის განდიდების სურვილით. გარდა ამისა, კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც განამტკიცებს იმ აზრს, რომ დარესის მიზანი მხოლოდ ისტორიის გადარჩენა იყო, არის ის, რომ ეს თხზულებები მითოლოგიურ-ფანტასტიკური ელემენტებისგან არის დაცლილი.[9] რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ თხზულების ავტორი ქრისტიანი ყოფილიყო და წარმართული ელემენტები ამიტომაც მოაშორა ანტიკურ ვერსიას. თანაც ჰომეროსის ავტორობა არასარწმუნოდ მიიჩნია იმის საფუძველზე, რომ, „ილიადის" თანახმად, ღმერთები და ადამიანები ერთად იბრძოდნენ, რაც, მისი აზრით, „არარაციონალურად" აღიქმებოდა მისი ეპოქისთვის. ჯერჯერობით რაიმეს გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, არის ის, რომ ამ თხზულების ავტორს მიზნად ჰქონდა, მის ნაშრომს ქრისტიანული ცენზურისთვის გაეძლო და საუკუნეებს შემორჩენოდა, რასაც მიაღწია კიდეც. მეხუთე საუკუნეში ისტორიული კონიუნქტურა ისეთია, რომ წარმართული ღმერთების ისტორიებით დახუნძლული თხზულების გადარჩენა, შესაძლოა, სათუო გამხდარიყო და სწორედ ამიტომაც მიმართავს ავტორი ამ ხერხს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამორიცხული, დარეს ფრიგიელი მოგვიანო ხანის ლიტერატურული სტილის ადრეულ წინამორბედს წარმოადგენდეს. შესაძლოა, წიგნის წინასიტყვაობას ის იყენებს არა მიზნობრივად გაყალბების მიზნით, არამედ როგორც ლიტერატურულ ხერხს. მაგალითად, როგორც ამას აკეთებს, უმბერტო ეკო რომანში „ვარდის სახელი" ან პასკალ კინიარი თავის საკმაოდ საინტერესო თხზულებაში „აპრონენია ავიციას ჩანაწერები ფირფიტებზე", სადაც ავტორი ნაწარმოებს ურთავს „სამეცნიერო" შესავალს, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ფირფიტები და რა ფუნქციას ასრულებდა რომაელი მატრონას ცხოვრებაში. ორივე ნაწარმოების შესავალი მხოლოდ ლიტერატურული ხერხია მეტი დამაჯერებლობისთვის და არა ნამდვილი ამბავი. თუმცა მსგავსი მოსაზრება დარესთან დაკავშირებით საკმაოდ ფრთხილი ვარაუდის სახით უნდა გამოითქვას, რადგან ამ ავტორის შე-

[9] დაწვრილებით იხ. J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 17.

სახებ პრაქტიკულად არანაირი ცნობები არ მოგვეპოვება და მის არც სხვა თხზულებას მოულწევია ჩვენამდე, თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ არსებობდა.

ერთი სიტყვით, ამ თხზულების ავტორმა კარგად შენიღბა საკუთარი სიყალბე, რისთვისაც რამდენიმე მეთოდი გამოიყენა: 1) თხზულების შექმნა მიაწერა ტროას ომის თანამედროვეს, 2) თხზულების ლათინურად თარგმნა მიაწერა ცნობილ ისტორიკოსს, 3) ლიტერატურულ სტილად აირჩია სადა, როგორც კორნილი შენიშნავს, სამხედრო ისტორიკოსებისთვის დამახასიათებელი სტილი,[10] რათა ნაწერი მკითხველს მიეჩნია ომის მონაწილის ჩანაწერად. მიუხედავად ამისა, ენობრივი მონაცემებით დღესდღეობით უკვე დადგენილია, რომ დარესის თხზულება ახ. წ. V ს-ის ბოლოს დაიწერა.[11]

მეორე საკითხი, რაც ამ ავტორთან დაკავშირებით იქცევს ყურადღებას, არის მისი კავშირი დიქტის კრეტელთან. დიქტისი ახ. წ. IV საუკუნის ავტორია, რომელიც ასევე ტროას ომის ისტორიას წერს. დარესის თხზულება, ჯ. კორნილის აზრით, დიქტისის თხზულების ლიტერატურული პასუხია. თუკი დიქტისის მიზანი პრობერძნული ვერსიის წარმოჩენა იყო, დარესი უფრო ობიექტური და ნეიტრალურია.[12] დარესის თხზულება დიქტისისგან განსხვავდება ჩვენთვის საინტერესო ერთი ასპექტით, მასში არ მოიხსენიებიან არგონავტები და კოლხეთი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მოიხსენიება კირკე.[13]

რაც შეეხება დარესის წყაროებს. იგი სამ სხვადასხვა წყაროს ეფუძნება: დიქტისს, ილიადასა და დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკას“.[14] თუმცა ჩვენთვის საინტერესო ნაწილში, გამომდინარე იქიდან, რომ დარესი არგონავტების მითს ძალიან ზოგადად ახსენებს და სულ ერთ გვერდზე ათავსებს ამ ისტორიას, ძნელია კონკრეტული წყაროს დასახელება. შეიძლება ითქვს, რომ არგონავტების ისტორია, ისევე როგორც ტროას ომისა, მას მაქსიმალურად შეკუმშულად აქვს გადმოცემული.

დარეს ფრიგიელის ენა საკმაოდ მარტივია, ზოგჯერ პრიმიტიულიც. თუმცა, ალაგ-ალაგ ის სრულიად გამართული ლათინურით წერს, რამაც ჯ. კორნილს აფიქრებინა, რომ დარესი განზრახ წერს არაიდეალური გრამატიკული ნორმებით, რათა სამხედრო მოქმედებების მონაწილის ჩანაწერების იმი-

[10] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 31.
[11] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 31.
[12] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 20.
[13] The Trojan War. The Chronicles of Dictys of Crete and Dares the Phrygian.
[14] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 27.

ტირება მოახდინოს.[15] თარგმანის შესრულებისას ჩვენც ეს სტილი შევინარჩუნეთ. ლათინური ვერსიით ვისარგებლეთ ჯ. კორნილის გამოცემის მიხედვით, მას თანდართული აქვს მისი შესრულებული ორი სხვადასხვა თარგმანი ინგლისურ ენაზე. რიგ შემთხვევებში ვთარგმნით კორნილის ორივე თარგმანისგან, ისევე ვიყენებთ ფრეიზერის თარგმანს, რომელშიც ჩანს მცირედი განსხვავებები. მაგალითად, შესავლის თარგმნისას კორნილი ამატებს ერთ ფრაზას, რომელიც ორიგინალში არ არის:

"Cui nihil adiciendum vel diminuendum rei reformandae causa putavi, alioquin mea posset videri. Optimum ergo duxi ita ut fuit vere et simpliciter perscripta, sic eam ad verbum in Latinitatem transvertere, ut legentes cognoscere possent, quomodo res gestae essen".

ეს მონაკვეთი ჩვენ ვთაგმნეთ შემდეგნაირად: „არც არაფერი დამიკლია და არც არაფერი მიმიმატებია [ტექსტისთვის], არც ჩემი შეხედულებისამებრ შემიცვლია. შესაბამისად, საუკეთესოდ მოვიქეცი, ზუსტად და მარტივად შევისწავლე და სიტყვასიტყვით ლათინურად გადავთარგმნე. ამგვარად, ამ მონათხრობის მიხედვით, მკითხველები შეძლებენ გაიგონ, როგორ მოხდა [სინამდვილეში] ეს ყველაფერი". ბოლოში კორნილი ამატებს ტექსტს: „წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი იფიქრებდა, რომ ჩემი დაწერილია". ეს ფრაზა ორიგინალში არ არის და, შესაბამისად, ქართულ თარგმანში ჩვენ არ გადმოვიტანეთ. თავად კორნილმა ეს ფრაზა ჩაამატა მხოლოდ ერთი მოსაზრებით: ზოგადად კორნილის კონცეფციით, De Excidio Trojae Historia-ს ავტორი მაქსიმალურად ცდილობს ავტორიტეტი შემატოს საკუთარ თხზულებას. ამ მიზნით ის არ ერიდება თხზულების შესავალში ხელნაწერის ისტორიის შეთხზვას და მაქსიმალურად დამაჯერებლად მტკიცებას, რომ De Excidio Trojae Historia-ს ავტორი ნამდვილად ტროას ომის მონაწილეა და შესაბამისად, უფრო სარწმუნო წყაროა, ვიდრე ჰომეროსი, რომელიც ტროას ომიდან მრავალი წლის შემდეგ ცხოვრობდა. კორნილისთვის მთლიანი შესავალი მხოლოდ მკითხველთა მოტყუებისთვისაა გამიზნული. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად კორნილს მოყავს ამ ნაწყვეტის მისეული თარგმანი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, უზუსტოა და შესაბამისად, ჩვენ არ შეგვაქვს ქართულ ვერსიაში.

ქვემოთ მოგვყავს დარეს ფრიგიელის თხზულების ლათინური ვერსია და მისი თარგმანი:

[15] J. Cornil. Dares Phrygius' De Excidio Trojae Historia, გვ. 31.

"CORNELIUS NEPOS SALLUSTIO CRISPO SUO SALUTEM.

Cum multa ago Athenis curiose, inveni historiam Daretis Phrygii ipsius manu scriptam, ut titulus indicat, quam de Graecis et Troianis memoriae mandavit. Quam ego summo amore complexus continuo transtuli. Cui nihil adiciendum vel diminuendum rei reformandae causa putavi, alioquin mea posset videri. Optimum ergo duxi ita ut fuit vere et simpliciter perscripta, sic eam ad verbum in Latinitatem transvertere, ut legentes cognoscere possent, quomodo res gestae essent: utrum verum magis existiment quod Dares Phrygius memoriae commendavit, qui per id ipsum tempus vixit et militavit, cum Graeci Troianos oppugnarent; anne Homero credendum, qui post multos annos natus est, quam bellum hoc gestum est. De qua re Athenis iudicium fuit, cum pro insano haberetur, quod Deos cum hominibus belligerasse scripserit. Sed hactenus ista: nunc ad pollicitum revertamur.

[I] Pelias rex [in Peloponneso] Aesonem fratrem habuit. Aesonis filius erat Iason virtute praestans: et qui sub regno eius erant, omnes hospites habebat, et ab eis validissime amabatur. Pelias rex, ut vidit Iasonem tam acceptum esse omni homini, veritus est ne sibi iniurias faceret, et se regno eiceret. Dicit Iasoni Colchis pellem inauratam arietis esse dignam eius virtute: ut eam inde auferret, omnia se ei daturum pollicetur. Iason ubi audivit, ut erat animi fortissimi et qui loca omnia nosse volebat, et quod clariorem se existimabat futurum, si pellem inauratam Colchis abstulisset, dicit Peliae regi se eo velle ire, si vires sociique non deessent. Pelias rex Argum architectum vocari iussit, et ei imperat ut navem aedificaret quam pulcherrimam, ad voluntatem Iasonis. Per totam Graeciam rumor cucurrit navem aedificari in qua Colchos eat Iason pellem auream petiturus. Amici et hospites ad Iasonem venerunt, et pollicentur se una ituros. Iason illis gratias egit et rogavit ut parati essent, cum tempus supervenisset. Internea navis aedificatur et cum tempus anni supervenisset, Iason litteras ad eos misit qui erant polliciti sese una ituros et ilico convenerunt ad navem, cuius nomen erat Argo. Pelias rex quae opus erant in navim imponi iussit et hortatus est Iasonem, et qui cum eo profecturi erant, ut animo forti ad perficiendum irent quod conati essent. Ea res claritatem Graeciae et ipsis factura videbatur. Demonstrare eos qui cum Iasone profecti sunt non videtur nostrum esse: sed qui volunt eos cognoscere, Argonautas legant.

[II] Iason, ubi ad Phrygiam venit, navem admovit ad portum Simoenta. Deinde omnes de navi exierunt in terram. Laomedonti regi nuntiatum est mirandam navim in portum Simoenta intrasse et in ea multos iuvenes de Graecia venisse. Ubi audivit Laomedon rex commotus est: consideravit

commune periculum esse, si consuescerent Graeci ad sua litora adventare navibus. Mittit ad portum qui dicant ut Graeci de finibus discedant; si non dicto obaudissent, sese armis eos de finibus eiecturum. Iason et qui cum eo venerant graviter tulerunt crudelitatem Laomedontis, sic se ab eo tractari, cum nulla ab eis iniuria facta esset: simul timebant multitudinem barbarorum, si contra imperium conarentur permanere, ne obprimerentur: cum ipsi non essent parati ad proeliandum, navim conscenderunt et a terra recesserunt, Colchos profecti sunt, pellem abstulerunt, domum reversi sunt.

[III] Hercules graviter tulit a rege Laomedonte contumeliose se tractatum et eos qui una profecti erant Colchos cum Iasone, Spartamque ad Castorem et Pollucem venit."

„კორნელიუს ნეპოტი მიესალმება სალუსტიუს კრისპუსს.

როდესაც ათენში გაცხოველებით ვმუშაობდი, შემთხვევით ვიპოვე დარეს ფრიგიელის მიერ დაწერილი ისტორია, რომელიც, როგორც თავად სათაური მიუთითებს, მან ბერძნებისა და ტროელების შესახებ დაწერა. ფრიად აღფრთოვანებულმა სასწრაფოდ ვთარგმნე ტექსტი. არც არაფერი დამიკლია და არც არაფერი მიმიმატებია [ტექსტისთვის], არც ჩემი შეხედულებისამებრ შემიცვლია. შესაბამისად, საუკეთესოდ მოვიქეცი, ზუსტად და მარტივად შევისწავლე და სიტყვასიტყვით ლათინურად გადავთარგმნე. ამგვარად, ამ მონათხრობის მიხედვით მკითხველები შეძლებენ გაიგონ, როგორ მოხდა [სინამდვილეში] ეს ყველაფერი.[16] უნდა ვირწმუნოთ თუ არა ის, რასაც დარეს ფრიგიელი გადმოგვცემს, რომელიც იმ დროში ცხოვრობდა და იბრძოდა [მაშინ] როდესაც ბერძნებმა ტროა დაამხეს. თუ ჰომეროსს უნდა დავუჯეროთ, რომელიც ამ ომის დასრულებიდან მრავალი წლის შემდეგ დაიბადა. როდესაც ათენელებმა ეს საქმე განიხილეს, გადაწყვიტეს, რომ ჰომეროსი გაგიჟდა, რადგან ის ღმერთების ადამიანებთან შერკინებას აღწერდა, თუმცა ეს დღესაც ასეა. ახლა დავუბრუნდეთ იმას, რასაც შეგპირდით.

[1] მეფე პელიასს (პელოპონესში) ჰყავდა ძმა ესონი. ესონის შვილი იყო იაზონი, მამაცი და გამორჩეული [ვაჟკაცი]. სამეფოში ის ყველას გულითადად და მეგობრულად ექცეოდა და ისიც ძალიან უყვარდათ: მეფე პელიასს, რომელიც ხედავდა, რომ იაზონი ყველამ მიიღო, სჯეროდა, რომ მას იაზო-

[16] აქ კორნილი თარგმანში ამატებს ტექსტს „წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი იფიქრებდა, რომ ჩემი დაწერილიაო", რაც ორიგინალ'ში არ არის და, შესაბამისად, ქართულ თარგმანში ჩვენ არ გადმოვიტანეთ.

ნისგან რაღაც ცუდი შეემთხვეოდა და მისი მმართველობა დასრულდებოდა. მან იაზონს უთხრა, რომ კოლხეთში იყო ოქროს საწმისი, და მისი სიქველისთვის შესაფერისი იყო, რომ წასულიყო მის მოსატანად. ხოლო თუ შეძლებდა მის ჩამოტანას, შეჰპირდა, რომ მისცემდა ყველაფერს, რასაც მოისურვებდა. როდესაც იაზონმა ეს გაიგო, აღფრთოვანდა, და რადგან მრავალი ადგილის ხილვა სურდა, ამასთან ეს გმირობა, კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა, მას დიდებას მოუტანდა, პელიასს უთხრა, რომ თანახმა იყო, წასულიყო, თუმცა მეომრებისა და თანამგზავრების გარეშე არ წავიდოდა. მეფე პელიასმა არქიტექტორ არგოსს უხმო და უბრძანა, რათა აეგოთ ულამაზესი გემი, ისეთი როგორიც იაზონს სურდა. მთელ საბერძნეთში ხმა გავრცელდა, რომ კოლხეთში წასასვლელად გემს აშენებდნენ. იაზონთან მეგობრები და უცხო ადამიანები მოვიდნენ და შეჰპირდნენ, რომ მასთან ერთად წავიდოდნენ. იაზონმა მათ მადლობა გადაუხადა და უთხრა, წასულიყვნენ და შეკრებილიყვნენ, როდესაც დრო მოვიდოდა. ამასობაში გემიც აშენდა და [გამგზავრების] დროც დადგა, იაზონმა მათ წერილები გაუგზავნა დაპირებისამებრ და ისინიც მყისვე მისკენ გამოეშურნენ. ხოლო გემს ერქვა არგო. როდესაც მეფე პელიასმა ეს დაინახა, ბრძანა, რომ გემზე აეტანათ ყველაფერი. მან იაზონი და მისი მხლებელნი გაამხნევა, უთხრა, რომ სულით მამაცნი უნდა ყოფილიყვნენ და აღესრულებინათ თავიანთი საქმე. ეს საქმე დაამტკიცებდა ბერძნებისა და მათ სიმამაცეს და დიდებით აღავსებდა მათ. იაზონისა და მისი გმირობის წარმოჩინება ჩვენი საქმე არ არის, თუ ვინმეს ეს აინტერესებს, არგონავტიკა წაიკითხოს.

[2] როდესაც იაზონი ფრიგიაში მივიდა, ღუზა ჩაუშვა სიმოენტის პორტში. იქიდან ყველანი გადმოვიდნენ მიწაზე. ტროელების მეფე ლაომედონტმა მალევე შეიტყო, რომ სიმოენტის პორტში საოცარი[17] გემი შემოვიდა და მასთან ერთად ბერძენი ახალგაზრდები. ამის გაგონებაზე მეფე ლაომედონი შეშფოთდა და მიიჩნია, რომ მისთვის და მისი ხალხისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, თუ ბერძნები ნაპირზე გადმოსხდებოდნენ. ბერძნებს მოსალაპარაკებლად მოციქულები გაუგზავნა, რათა ისინი გემზე დაბრუნებულიყვნენ და თუ ეტყოდნენ, რომ არ ემორჩილებიან მის სურვილს, მაშინ აპირებდა, რომ ნაპირთან ჯარი მიეყვანა. იაზონი და მისი თანამებრძოლები ძლიერ შეწუხდნენ იმით, თუ როგორ ცუდად დახვდა მათ ლაომედონი, მაშინ როდესაც მათ მეფისთვის არაფერი დაეშავებინათ. ამასთან, რადგან ომისთვის მზად არ იყვ-

[17]კორნილი თარგმნის როგორც „უცნაური“.

ნენ, ეშინოდათ, რომ ბარბაროსთა ბრბო მათ დაჯაბნიდა, თუკი მეფის ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ. ისინი გემზე დაბრუნდნენ, დატოვეს ნაპირი, წავიდნენ კოლხეთში, მოიპარეს საწმისი და დაბრუნდნენ შინ.

[3] ჰერაკლე შეურაცხყოფილი დარჩა მეფე ლაომედონის საქციელით, გაბრაზდა იმაზე, თუ როგორ მოექცა ის იაზონს და მის მხლებლებს, რომლებიც კოლხეთში წავიდნენ მასთან ერთად. ის სპარტაში წავიდა და კასტორი და პოლიდევკე წამოიყვანა, რათა დაესაჯა ტროელები."

მიუხედავად იმისა, რომ დარეს ფრიგიელის თხზულება საკუთრივ კოლხეთის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო სიახლეს არ შეიცავს, არგონავტების მითის კოლხეთთან კავშირის გამო ქართველოლოგიური თვალსაზრისით მაინც საინტერესოა. მით უფრო, რომ ამ თხზულებაში წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო ვერსია, თუ როგორ გახდნენ თავისდაუნებურად იაზონი და მისი თანამგზავრები ტროას ომის მიზეზი. ტექსტის თანახმად, ბერძნები შურისძიების მიზნით დაბრუნდნენ ტროაში და ასე დაიწყო ტროას ომი. მართალია, ელენას მოტაცების საკითხიც განხილულია თხზულებაში, თუმცა ავტორი ტროას ომის თავდაპირველ მიზეზად არგონავტებისა და მეფე ლაომედონტის ცივ შეხვედრას მიიჩნევს.

ვინაიდან აქამდე არ არსებობდა ამ წყაროს ქართული პუბლიკაცია, ჩვენი სტატიაც ამ ხარვეზის შევსებას ისახავდა მიზნად. მით უფრო, რომ ტექსტის მცირე მოცულობის მიუხედავად, შუა საუკუნეებში ამ მითმა ყურადღება მაინც დარეს ფრიგიელის დამსახურებით მიიქცია და შემდეგ უკვე სახე იცვალა, გამდიდრდა და გაიზარდა შუა საუკუნეების რეალიების გათვალისწინებით. საბოლოოდ, შედეგად მივიღეთ არგონავტების მითის შუასაუკუნეობრივი რაინდული ელფერის ტექსტები. ამჯერად ჩვენი პუბლიკაციის მიზანს შუა საუკუნეების ავტორები არ წარმოადგენს. უახლოეს მომავალში მათ შესახებაც შემოგთავაზებთ გამოკვლევას, მანამდე კი, ვიმედოვნებთ, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება წინამდებარე პუბლიკაცია.

Natia Pipia

ARGONAUTS AND ANCIENT COLCHIS IN "DE EXCIDIO TROJAE HISTORIA" WRITTEN IN LATE ANTIQUITY

Summary

Two forgeries about Trojan War were written in late antiquity – "De Excidio Trojae Historia"ascribed to a certain enigmatic author Dares Phrygius and "Ephemeridos Belli Trojani", also ascribed to another enigmatic author Dictys Cretensis. Both authors claimed to be eye-witnesses of Trojan War and thus more trustworthy that Homer himself. One of the authors – Dares Phrygius begins his Trojan story with the history of Argonauts. According to Dares, Jason unintentionally triggered the Trojan War. This version of the Troy story with the introduction about Argonauts became the basis for medieval accounts about the Argonauts and Troy. Since this source, despite being somewhat interesting from Kartvelological point of view, was not published in Georgia before, we decided to present it in this paper.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ემილ ავდალიანი

ბიზანტიის „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“

ქართლის გაქრისტიანება IV საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ რთული ეკონომიკური და სოციალური პროცესების თანმდევი მოვლენა იყო. უფრო მეტიც, ახალმა რელიგიურმა მრწამსმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართლის საგარეო პოლიტიკაზეც. გაქრისტიანებამ ქართლი რომის და შემდეგ ბიზანტიურ სამყაროსთან უფრო მეტად დააახლოვა, ხოლო სასანური ირანის რელიგიური თუ პოლიტიკური შეტევა რეგიონისადმი კი გაამძაფრა. საკმაოდ ბევრი დაიწერა საქართველოში თუ დასავლეთში ქართლში ქრისტიანობის გავრცელებაზე და მის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებაზე.[1] თითოეულ ნაშრომში ყურადღება უშუალოდ საქართველოში მიმდინარე რელიგიურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე არის გამახვილებული, ხოლო ნაკლებია ნათქვამი იმდროინდელ რომაულ სამყაროში მიმდინარე რელიგიურ პროცესებზე, კერძოდ კი, ქართლის პარალელურად IV-V საუკუნეებში კიდევ რომელ ქვეყნებში მიმდინარეობდა გაქრისტიანება. შეგვიძლია თუ არა დავინახოთ საერთო მახასიათებლები, მაგალითად, გუთებში, ეთიოპიელებსა და ქართველებში? რამდენად დიდი იყო კონსტანტინოპოლის ჩარევა იმპერიის სამეზობლოში მცხოვრები ხალხების გაქრისტიანებაში? შეგვიძლია თუ არა ვილაპარაკოთ რომაელი/ბიზანტიელი იმპერატორების ერთგვარ „სტრატეგიაზე“ ქრისტიანობის გამიზნულ გატანაში იმპერიის საზღვრებს გარეთ? სხვა სიტყვებით, ცდილობდნენ თუ არა იმპერიული მესვეურები ხელი შეეწყოთ, პირველ რიგში, ხალხებისა და ტერიტორიების გაქრისტიანებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო კონსტანტინოპოლისთვის როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე საზღვრების უსაფრთხოების კუთხით.

ქვემოთ მოყვანილ სტატიაში განხილული იქნება რომის იმპერიის პე-

[1] C. Haas. Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia. Journal of Late Antiquity 1.1 (Spring). The Johns Hopkins University Press. 2008.

რიფერიაზე არსებული ამა თუ იმ სამეფოს გაქრისტიანების პროცესი. მოყვანილი იქნება ეთიოპიელების, ისლამამდელი არაბების, გუთებისა და სომხების მაგალითი, ხოლო ამის შემდეგ გადავალთ ქართლზე. ნაჩვენები იქნება, რომ იმპერატორები ზოგ შემთხვევაში ქრისტიანობის გავრცელების პირდაპირი ინიციატორები იყვნენ, ზოგ შემთხვევაში კი ახალი რელიგიის გავრცელება იმპერიის პოლიტიკოსებთან შეთანხმებლად მიმდინარეობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე შემთხვევაშიც კი, როდესაც იმპერიის მესვეურები მოგვიანებით იღებდნენ შეტყობინებებს ამა თუ იმ მეზობელი ხალხის (მაგ. ქართველები თუ ეთიოპიელები) გაქრისტიანების შესახებ, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის გამოყოფა, როგორც წესი, არ აგვიანებდა.

ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიაში ახალი წელთაღრიცხვიდან დაიწყო, თუმცა ახალი რელიგიის ინსტიტუციონალიზაცია, ან ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობა, IV საუკუნის დასაწყისიდან გვხდება. კონსტანტინე დიდის მიერ 324 წელს ლიციინიუსზე, თავის აღმოსავლელ იმპერიულ კოლეგაზე, გამარჯვების მოპოვებისა და რომაული სამყაროს ერთპიროვნულ მმართველად გახდომის მიუხედავად,[2] ქრისტიანობა არ გამოცხადებულა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად. არც 313 წლის ოქტომბერში გამოცემული „მილანის ედიქტი“, არც 325 წელს კონსტანტინოპოლის მოპირდაპირე სანაპიროზე მოწვეული ნიკეის კრება, ან, თუნდაც, იმპერატორის მონათვლა 337 წელს მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში, არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც სახელმწიფოს გაქრისტიანების ცალსახა ნიშნები. ერთ-ერთი დამატებითი არგუმენტი ამისა იქნება ისიც, რომ მილანის ედიქტის შემდეგაც, 322 წლამდე, კონსტანტინემ გააგრძელა თავის მონეტებზე წარმართული ღმერთების – მარსის და იუპიტერის გამოსახვა.[3]

მიუხედავად იმისა, რომ მილანის ედიქტი და ნიკეის კრება არ არის მიჩნეული როგორც იმპერიის გაქრისტიანების უპირობო ნიშნები, ქრისტიანობამ მყარი საფუძველი ზუსტად მისი მმართველობის დროს მოიპოვა. 324 წელს ლიციინიუსზე გამარჯვების შემდეგ კონსტანტინემ ცვლილებები შეიტანა კანონმდებლობაში და საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა მომავალში

[2] Histoire. Le Figaro. Numéro 8. Comment le Monde est devenu Chrétien. 2013, გვ. 45-65; T. D. Barnes. Constantine and the Christians of Persia. The Journal of Roman Studies. Vol. 75. 1985, გვ. 126-130; A. Cameron. The Mediterranean World in Late Antiquity. AD. 395-600. 2003, გვ. 57-65.

[3] C. Haas. Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia, გვ. 101.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთვის.[4] შემდგომ კონსტანტინემ იმპერიის მოხელეებს აუკრძალა წარმართული რელიგიური რიტუალების გამართვა. აგრეთვე აიკრძალა წარმართული კერპების აღმართვა და ორაკულებისთვის მიმართვა.

ქრისტიანობის წინა პლანზე წამოწევამ კონსტანტინეს მმართველობაში გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე. ასე, მაგალითად, 332 წელს გუთებზე და 334 წელს სარმატებზე მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებში ცალკე თავები იყო შეტანილი ქრისტიანობისა[5] და ამ ახალი რელიგიის მიმდევრების ხელშეუხებლობაზე ამ ორ დამარცხებულ ხალხში. კონსტანტინე თავის თავს არა მარტო ქრისტიანობის დამცველად, არამედ იმპერიის გარეთ მცხოვრებ წარმართ ხალხებში ახალი რელიგიის გამავრცელებლადაც მიიჩნევდა. კონსტანტინეს ამბიციებზე მეტყველებს მისი ბარბაროსებთან დადებული ზემოხსენებული ხელშეკრულებები და მის მიერ სასანიან შაჰის შაბურ II-ისადმი მიწერილი წერილიც (დაახლოებით 324 წელი).[6] გზავნილში იმპერატორი არაპირდაპირ აცხადებს პრეტენზიას იყოს ქრისტიანების დამცველი არა მარტო თავისი იმპერიის შიგნით, არამედ იმპერიის გარეთაც, კერძოდ, ირანში, მესოპოტამიაში მცხოვრები მრავალი ქრისტიანისა. ეს არ იყო უბრალო რიტორიკა. კონსტანტინემ კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა მახლობელ აღმოსავლეთში და გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რა გლობალურ ძალასთან მოუწევდა მეტოქეობა შავი ზღვიდან არაბეთამდე ტერიტორიაზე ბატონობის მოსაპოვებლად. ახალგაზრდობაში კონსტანტინე გალერიუსის ჯარში იბრძოდა და ირანის დედაქალაქს ქტესიფონსაც კი მიაღწია.

შაბურს ყველა მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ ეჭვის თვალით შეეხედა ბიზანტიის იმპერიაში ახლად აღმოცენებული სახელმწიფო რელიგიისთვის. სასანიანები თავიდანვე მიხვდნენ, რომ ქრისტიანობა კონსტანტინოპოლის მიერ გამოიყენებოდა, როგორც დამატებითი ხერხი საგარეო პოლიტიკაში მეზობლებზე გავლენის მოსაპოვებლად. ირანის სტრატეგიული მდგომარეობა გაუარესდა, როდესაც მის ჩრდილოეთით არსებულ სამხრეთ კავკასიის სამეფოებში, ქართლსა და სომხეთში, IV საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსთვის

[4] T. D. Barnes. Constantine and the Christians of Persia, გვ. 126-130.
[5] P. Heather. Empires and Barbarians. Migration, Development and the Birth of Europe. 2009, გვ. 81-90.
[6] T. D. Barnes. Constantine and the Christians of Persia, გვ. 126-130.

ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.[7] შაბურს კარგად ესმოდა, რომ მესოპოტამიაში არსებული მსხვილი ქრისტიანული დასახლებები შეიძლებოდა კონსტანტინეს საგარეო პოლიტიკის სამომავლო მიზანი გამხდარიყო. ამიტომაც, 336 წელს შაჰინშაჰმა პრევენციული თავდასხმა განახორციელა სომხეთზე და ირანისთვის მისაღები კანდიდატურა დააყენა ტახტზე. კონსტანტინემ ეს ამბავი საბაბად გამოიყენა, მზადება დაეწყო აღმოსავლური კამპანიისთვის. წყაროებიდან ვიცით, რომ მასთან ერთად ბევრი სასულიერო პირი უნდა წამოსულიყო, თვითონ კი მდინარე იორდანეში უნდა მონათლულიყო, სანამ მესოპოტამიაში შევიდოდა. ცნობების მიხედვით, მას სურდა თავისი ნათესავის ჰანიბალიანეს დაყენება სასანიანთა ტახტზე, რისთვისაც წინასწარ ახალი მონეტებიც გამოუშვა, სადაც ჰანიბალიანე *rex*-ად იყო წოდებული.[8] მაგრამ კონსტანტინეს მთელი წამოწყება 337 წლის 22 მაისს ქალაქ ნიკომედიაში მისი გარდაცვალებით დასრულდა.[9]

ბიზანტიის იმპერიაში ქრისტიანობის სტატუსის ამაღლებამ და საგარეო ურთიერთობებში მეზობლებზე გავლენის მოსაპოვებლად მისმა გამოყენებამ გამოიწვია სასანიანთა საწინააღმდეგო რეაქცია. ქრისტიანები მესოპოტამიაში კონსტანტინეს რომაულ სამყაროში ერთპიროვნულ მმართველად გამოცხადებამდეც ცხოვრობდნენ, თუმცა ახალი რელიგიის პოლიტიკურ ფაქტორად გადაქცევა ზუსტად კონსტანტინემ მოახდინა. მან შაბურს იგივე ულტიმატუმი წაუყენა ირანში ქრისტიანებთან მიმართებით, რაც 312 წელს მაქსენტიუსს, ხოლო 324-ში კი – ლიციინიუსს. ის, თუ როგორ უყურებდა კონსტანტინე ქრისტიანობას და როგორ ესმოდა ახალი რელიგიის როლი რომის საგარეო ამბიციებთან მიმართებით, კარგად ჩანს ეუსებიუსის *Vita Fonstantini*-ში. ავტორი საკმაოდ ბევრ ფაქტს გადმოგვცემს იმპერატორის ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების შესახებ, თუმცა ერთ-ერთ პასაჟში იმასაც ვკითხულობთ, რომ კონსტანტინეს საკუთარი თავი აღქმული ჰქონდა ქრისტიანობის გამავრცელებლად იმპერიის საზღვრებს გარეთ.[10]

ქრისტიანობის გავრცელება ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. თუ იმპე-

[7] C. Haas. Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia, გვ. 101-123.
[8] T. D. Barnes. Constantine and the Christians of Persia, გვ. 9.
[9] T. D. Barnes. Constantine and the Christians of Persia, გვ. 9.
[10] Eusebius. *Vita Constantini*. Ed. F. Winkelmann, *Eusebius Werke*, *Band* 1.1: წიგნი IV: 24.

რიის შიგნით ქრისტიანობის გავრცელება ძირითადად შემოიფარგლებოდა ხმელთაშუა ზღვაზე არსებული მსხვილი საპორტო ქალაქებით, იმპერიის შიდა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა, ძირითადად, წარმართული რელიგიის მიმდევარი რჩებოდა. საინტერესოდ მიმდინარეობს ახ. წ. IV-VI საუკუნეებში ქრისტიანობის გავრცელება ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ე. წ. „ქრისტიანობის ექსპორტი“ ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც იმპერიას მისი საზღვრებს გარეთ ძლიერი მტრებისგან შემდგარი რკალი ეკვრება.

IV საუკუნის მეორე ნახევარში ევრაზიულ სტეპებში პოლიტიკური მდგომარეობა კარდინალურად იცვლება. ვითარება იცვლება აგრეთვე იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც დუნაის და რაინის მდინარეების გაღმა ჩნდებიან გერმანიკული ტომების ძლიერი კონფედერაციები. გუთებს, ალემანებსა და ფრანკებს მარტივად შეეძლოთ ძლიერი სამხედრო კოალიციების შეკვრა რომის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერიული ჯარი კლასობრივად კვლავინდებურად უფრო მაღლა იდგა ბარბაროსთა ჯარებზე, თუმცა წინა საუკუნეებთან შედარებით ერთი ფუნდამენტური ცვლილება მოხდა. ამიერიდან; იქნება ეს კონსტანტინე დიდის თუ იულიანე განდგომილის ჯარები, იმპერიას აღარ შეეძლო ბარბაროსული კონფედერაციების დაშლა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ IV საუკუნის 70-იანი წლებიდან ევრაზიის შიდა რეგიონებიდან მომდინარე ჰუნების სამხედრო ძალამ სრულიად თავდაყირა დააყენა არსებული რომაულ-გერმანული პოლიტიკური ძალთა ბალანსი. ჰუნები – ნომადები – გერმანული ტომებისგან განსხვავებული სამხედრო კულტურის მატარებელნი იყვნენ. ბრძოლებში ცხენისა და ე. წ. „შედგენილი“ მშვილდის გამოყენებით ჰუნებმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს გუთებთან ბრძოლაში და 376 წლისთვის მოახერხეს მათი ძირითადი ძალების დამარცხება,[11] რაც კარგად არის ასახული ამიანე მარცელინეს მონათხრობში გუთების მცდელობის შესახებ 376 წელს მდინარე დუნაი გადაელახათ და იმპერიის ბალკანურ პროვინციებში დასახლებულიყვნენ.[12] შესაბამისად, IV საუკუნის ბოლოს რომის იმპერია მნიშვნელოვანი სტრატეგიული დილემის წინაშე დადგა ჩრდილოეთის საზღვრის გამო. გარდა ჰუნების განსხვავებული სამხედრო ტაქტიკისა, რომაელთა პრობლემას ისიც ამძიმებდა, რომ ჰუნებმა მოახერხეს დუნაისპირეთის, შავი ზღვისა და კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ტერი-

[11] P. Heather. The Fall of the Roman Empire. A New History of Rome and Barbarians. 2006, გვ. 145-158.

[12] P. Heather. The Fall of the Roman Empire, გვ. 158-167.

ტორიებზე დარჩენილი გუთების, სკირებისა და სხვა გერმანული ტომების გაერთიანება, ერთგვარი კონფედერაციის შექმნა და იმპერიისთვის, როგორც შავი ზღვის დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ მხრიდან სამხედრო საფრთხის შექმნა.[13]

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში, მიუხედავად დიოკლეტინესა და მაქსიმიანესგან განცდილი მარცხებისა, სპარსეთის იმპერიას უარი არ უთქვამს თავის ამბიციებზე (ყოველ შემთხვევაში, რიტორიკულად) რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების მიმართ. 299 წლის ნიზიბინის ზავის შემდეგაც სასანიანები აგრძელებდნენ შეტევებს ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სომხეთზე.[14] სასანიდები აგრეთვე გავლენას ავრცელებენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზეც – პოლიტიკური თუ რელიგიური წნეხი ქართლსა და ალბანეთზე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პართიის იმპერიის არსებობის პერიოდში.

მართალია, რომის იმპერიისთვის პალესტინის საზღვარი სხვა საზღვრებთან შედარებით ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა, თუმცა, როგორც ნაჩვენები იყო რომისა და არაბ ტომებს შორის არსებული ურთიერთობების განვითარებით, V საუკუნის ბოლოდან და VI საუკუნის დასაწყისში ვითარება პალესტინის საზღვარზე იმპერიის საწინააღმდეგოდ იცვლება.[15] სასანიდების მოკავშირე არაბი ტომები მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს აყენებებდნენ რომის აღმოსავლურ პროვინციებს და, უფრო მეტიც, მარტივად შეეძლოთ ჩაეჭრათ იუსტინეს, ანასტასისა და იუსტინიანეს მიერ განახლებული სავაჭრო გზები წითელი ზღვით ინდოეთამდე.[16]

ასეთი რკალი იკვრება გვიანი რომის იმპერიის საზღვრების გასწვრივ ახ. წ. IV საუკუნის განმავლობაში. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რა სამხედრო სტრატეგიებს მიმართავდნენ რომაელები/ბიზანტიელები იმპერიის საზღვრისპირა პროვინციების დასაცავად, აგრეთვე, ყურადღება გავამახვილეთ იმპერიული პრესტიჟის (წოდებები, ფული) გამოყენებაზე არაბ ტომებს თუ დუნაის გადაღმა გერმანულ ხალხებთან მიმართებით. თუმცა, არაფერი

[13] P. Heather. Empires and Barbarians, გვ. 227-238.
[14] B. Dignas, E. Winter. Rome and Persia in Late Antiquity. Neighbours and Rivals. 2007, გვ. 84-88.
[15] G. Fisher. Between Empires. Arabs, Romans, and Sasanians in Late Antiquity. 2011, გვ. 35-49.
[16] G. Fisher. Between Empires, გვ. 144-153.

გვითქვამს იმაზე, თუ რა როლს ასრულებდა ქრისტიანობა რომის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში. შეგვიძლია თუ არა დავინახოთ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება იმპერიის უშუალო მეზობელ ქვეყნებში, როგორც გამიზნული საგარეოპოლიტიკური კურსი არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ბევრი მაგალითი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ რომაელმა და შემდეგ კი ბიზანტიელმა იმპერატორებმა ქრისტიანობის გავრცელებაში საკუთარი იმპერიის საზღვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება დაინახეს. სხვა სიტყვებით, IV საუკუნეში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იმპერიის შიგნით ქრისტიანობის გამარჯვება სულაც არ იყო გარანტირებული, ხოლო ტახტზე რამდენიმე წლის განმავლობაში წარმართული რელიგიის მიმდევარი იულიანე განდგომილიც (361-363) კი იჯდა, იმპერიის მმართველები გამიზნულად ავრცელებდნენ ახალი რელიგიას მეზობელ ხალხებში. ამავდროულად ქრისტიანობის გავრცელება ძირითადად იმ მიმართულებებით ხდებოდა, რომელიც რომის/ბიზანტიის იმპერიისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდა სამხედრო თუ ეკონომიკური კუთხით. ამ მხრივ საინტერესო მაგალითია ეთიოპია, რომელიც გვიან ანტიკურ პერიოდში აქსუმის სამეფოს სახელით იყო ცნობილი და სამხრეთ არაბეთის (იემენი) – ჰიმიარის სამეფოს სახელით ცნობილი – ურთიერთობა და მათი როლი ბიზანტიის იმპერიის სამხრეთული პოლიტიკის წარმოებაში.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ბიზანტიის იმპერიის ეგვიპტის პროვინციის სამხრეთით თანამედროვე ეთიოპიისა და ერითრეის ტერიტორიაზე არსებული აქსუმის სამეფოდ წოდებული საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო. აქსუმის სიძლიერეზე, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეთიოპიელები ჭრიდნენ ოქროს მონეტებს, რითაც გვიანი ანტიკურობაში მსგავსი წარმატების მქონე ოთხ იმპერიათა შორის ერთ-ერთს წარმოადგენდნენ,[17] ხოლო ქვეყნის მმართველი მეფეთა მეფედ[18] იწოდებოდა. IV საუკუნის დასაწყისში აქსუმში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომელმაც ფუნდამენტური გავლენა მოახდინა ქვეყნის კულტურულ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საგარეო პოლიტიკურ ორიენტირზე მომდევნო საუკუნეების განმავლობაში.

[17] C. Haas. Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia, გვ. 102.
[18] „ნეგუსა ნაგასტ“ ეთიოპურად.

დაახლოებით იმავე წელს, როდესაც კონსტანტინემ ლიცინიუსზე გამარჯვება მოიპოვა, ეთიოპიის მეფე ეზანა I-მა მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა საკუთარ მონეტებზე. თუ აქამდე ეთიოპიელი მეფეები მონეტებზე გამოისახებოდნენ დიადემაში მთვარის და მზის ელემენტებთან ერთად,[19] ეზანამ ეს ელემენტები ჩაანაცვლა ტრადიციული ქრისტიანული იკონოგრაფიით – ჯვრით. მონეტებზე ჯვრის გამოსახვა წინ უსწრებდა რომის იმპერიაში მსგავსი ტრადიციის ჩამოყალიბებას და ეთიოპიაში VII საუკუნემდე გვხვდება.[20] ყველაფერი კი ქალაქ ტივროსიდან წამოსული და ეთიოპიის ნაპირებთან საზღვაო უბედური შემთხვევის შედეგად ორი ახალგაზრდა ქრისტიანის – ედესიუსისა და ფრუმენტიუსის მოღვაწეობით დაიწყო.[21] თავდაპირველად ისინი ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი მონებად გაყიდეს, თუმცა მათმა განათლებულობამ და ბერძნული ენის ცოდნამ აქსუმის მეფის (სავარაუდოდ ელა ამიდა) ყურადღება მიიპყრო. ორ ახალგაზრდას უფლება მიეცა ქრისტიანობა გაევრცელებინა მთელი სამეფოს მასშტაბით, ხოლო ბიზანტიელ ვაჭრებს კი თავისუფლად ევაჭრათ ეთიოპიის წითელი ზღვის პორტებში. რადგან ედესიუსი და ფრუმენტიუსი ახლოს იყვნენ ალექსანდრიის მღვდელ ათანასიუსთან, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მათი მოღვაწეობა ირიბად ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა.

საინტერესოა, თუ რითი იყო განპირობებული აქსუმის სამეფოსა და ბიზანტიას შორის არსებული ახლო კონტაქტები. ამის გასარკვევად საჭიროა IV საუკუნიდან VI საუკუნის დასაწყისში გადავიდეთ, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობს კონსტანტინოპოლი ქრისტიანობის გამოყენებას საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. VI საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს მმართველობაში, ეთიოპიასა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობებმა სტრატეგიულ დონეს მიაღწიეს. იუსტინიანეს დროს ეთიოპია ბიზანტიური ქრისტიანული „სამეგობროს“ წევრი გახდა. თანამედროვე რუკების არარსებობის გამო, იუსტინიანეს სჯეროდა, რომ ეთიოპია უშუალოდ ინდოეთს ემეზობლებოდა, რაც ამ უკანასკნელთან

[19] ხშირად მთვარისა და მზის ნაცვლად მონეტებზე დატანილი იყო მებრძოლი ღმერთი მაჰრემი, რომელსაც ეთიოპიელი მეფეები თავის დამცველად აღიქვამდნენ.

[20] ერზანას მემკვიდრეებმა IV საუკუნის მოგვიანო პერიოდში მონეტებზე გამოსახული ჯვარი უფრო გაადიდეს, რამაც მონეტების ზურგის მთელი ნაწილი დაიკავა.

[21] C. Haas. Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia, გვ. 102.

პირდაპირი სავაჭრო გზის შექმნას გააადვილებდა სასანური ირანის სახმელეთო თუ საზღვაო პუნქტების გვერდის ასავლელად. ფაქტი, რომ ეთიოპიაში ქრისტიანული მრწამსის მონოფიზიტური ვერსია (რომელიც სასტიკად იდევნებოდა იუსტინიანეს ხელისუფლების მიერ) იყო გავრცელებული, ხელს არ უშლიდა კონსტანტინოპოლს, აქტიური მოლაპარაკებები ეწარმოებინა აქსუმთან და ეს უკანასკნელი ახლო მოკავშირეებში შეეყვანა. ბიზანტიელებმა ეთიოპიის გაქრისტიანება ჯერ კიდევ IV საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინე დიდის მემკვიდრის კონსტანციუსის დროს მოახერეს. თუ კონსტანტინოპოლის პოზიცია აქსუმთან ალიანსის შესახებ გასაგები იყო, მონოფიზიტი ეთიოპიელების ლტოლვა თავის „მთავარ რელიგიურ მტერთან“, დიოფიზიტ იმპერატორთან შეეკრათ პოლიტიკური კავშირი, თავდაპირველად გაკვირვებას იწვევს. თუმცა აქსუმელებისთვის, ისევე როგორც ბიზანტიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ სხვა მონოფიზიტი ხალხებისთვის, კონსტანტინოპოლში მჯდომი იმპერატორი წარმოადგენდა ღვთის მიერ დანიშნულ ერთადერთ მმართველს. რა თქმა უნდა, ეთიოპიელებს კარგად ესმოდათ ისიც, რომ ბიზანტიელების სამხედრო მხარდაჭერის გარეშე კონტროლის დამყარება ვერ მოხერხდებოდა წითელი ზღვის სამხრეთ ნაწილზე და, მით უმეტეს, სამხრეთ არაბეთზე, რაც ეთიოპიელებისთვის მსხვილი ეკონომიკური მოგების გარანტია იყო ინდოეთთან ვაჭრობის ხარჯზე.[22] გარდა ამისა, აქსუმელებს კარგად ესმით ისიც, რომ, ერთი მხრივ, სამხრეთ არაბეთსა და მათ შორის, ხოლო მეორე მხრივ კი ბიზანტიელების და ინდოელების ვაჭრობის შეზღუდვაზე აგრეთვე სასანიანებიც ფიქრობდნენ. შესაბამისად, ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობის მიუხედავად, ბიზანტიელები და ეთიოპიელები თავიანთი ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებს უფრო მაღალ დონეზე აყენებდნენ.

384 წლიდან 502 წლამდე მახლობელ აღმოსავლეთში, წინა საუკუნეებთან მკვეთრი განსხვავებით, კავკასიონიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე სიმშვიდემ დაისადგურა. ომი რომსა და ირანს შორის ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა, გარდა მოკლე კონფლიქტისა (421-422) და იმპერიები ძირითადად ჩრდილოეთიდან მომდინარე ნომადური საფრთხის მოგერიებით იყვნენ დაკავებულები. ვაჭრობა ბიზანტიასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის ძირითადად სასანური ირანის ტერიტორიის, კერძოდ კი, მესოპოტამიის მდინა-

[22] ეს ყოველივე მიუხედავად იმისა, რომ IV-V საუკუნეებში ეთიოპია უკვე აწარმოებდა წარმატებით ვაჭრობას ინდოეთის პორტებთან.

რეების მეშვეობით მიმდინარეობდა უშუალოდ სპარსეთის ყურემდე. ამრიგად, ტვირთი ამ სავაჭრო გზაზე გავლისას უმეტეს ნაწილს წყალზე გადიოდა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა ტრანსპორტირებას და აგრეთვე ნაკლები დროც იხარჯებოდა. ბიზანტიელები აგრეთვე მოლაპრაკებებს აწარმოებდნენ სტეპებში მცხოვრებ ნომად ხალხებთან ჩრდილოეთ სავაჭრო გზის[23] გააქტიურებასთან დაკავშირებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტვირთის ბრუნვის მასშტაბებიდან გამომდინარე, სამხრეთის სავაჭრო გზა მეექვზე საუკუნეში უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ყველაფერი შეიცვალა 502 წელს შაჰინშაჰ კავადის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყებით და ბიზანტია-ინდოეთს შორის სავაჭრო გზის გამიზნული ბლოკირებით, თუ მასზე დამატებითი გადასახადების დაწესებით. ვითარება განსაკუთრებულად გაუარესდა ხოსრო ანუშირვანის 531 წელს ტახტზე ასვლის შემდეგ. 525 წელს ბიზანტიელებმა დაიბრუნეს იოტაბეს კუნძული – პირველი პუნქტი წითელი ზღვის გასაკონტროლებლად. იმავე მიზნის მისაღწევად ამავე ზღვის სამხრეთ ნაწილში საჭირო იყო ქრისტიან ეთიოპიელებთან დაკავშირება და მათი მეშვეობით სამხრეთ არაბეთის დაკავებაც, რათა მომავალში ირანს ვერ მოეხერხებინა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის ხელში ჩაგდება.

ბიზანტიელებმა ოსტატურად გამოიყენეს თავისი და ეთიოპიელების საერთო რელიგია და წააქეზეს ეს უკანასკნელები იემენზე გასალაშქრებლად. ეთიოპიელებმა იემენზე პირველი თავდასხმა 507 წელს განახორციელეს. თავდაპირველი წარმატებების მიუხედავად – რაც აისახა კიდეც ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაში – აქსუმელების პირდაპირი მმართველობა იემენზე არ იყო ხანგრძლივი. დაახლოებით ახ. წ. 524 წელს ვინმე იუსუფი, ეროვნებით ებრაელი, აუჯანყდა ჰიმიარის სამეფოში ეთიოპიელების მიერ დანიშნულ მეფეს და საკუთარი თავი მთელი იემენის მბრძანებლად გამოაცხადა. ამის შემდეგ იუსუფმა დაიწყო ქრისტიანების დევნა, სანამ მათ იუდეველობაზე მოაქცევდა. იუსუფმა გაანადგურა ეთიოპიელების სამხედრო შემადგენლობა, რომელიც ქალაქ ზაფარში მდებარეობდა, ხოლო შემდეგ კი ჩრდილოეთით ქალაქ ნაჯრანში ქრისტიანების მასობრივად გაანადგურა. დაახლოებით 2000 ქრისტიანი ცოცხლად დაწვეს ერთ-ერთ ეკლესიაში.

ამის საპასუხოდ ეთიოპიის იმდროინდელი მეფე კალები დაუკავშირდა

[23] მენანდრე პროტექტორთან დაცულია საინტერესო ცნობები ბიზანტიური ელჩობების შესახებ ცენტრალურ აზიაში თურქ ჰაკანის კარზე.

ბიზანტიის იმპერატორს იუსტინე I-ს, მისთვის სამხედრო დახმარების თხოვნით. კონსტანტინოპოლმა თანხმობა განაცხადა და 524-525 წლების ზამთარში ბიზანტიელ ვაჭართა ფლოტმა თავი მოიყარა ეთიოპიის უმთავრეს საპორტო ქალაქ ადულისში, საიდანაც ორი სამხედრო კამპანიის მოწყობით მოხერხდა იუსუფის ძალაუფლების დამხობა. კალები შეუდგა დაკარგული ძალაუფლების აღდგენას, პირველ რიგში, ქრისტიანობის აღდგენით. თუმცა, საბოლოოდ მის ჯარებს იემენში აუჯანყდა ერთ-ერთი ყოფილი ეთიოპიელი მევაჭრე, სახელად აბრაჰა. მიუხედავად აბრაჰას ავჯანყების წარმატებისა, იემენი დარჩა ეთიოპიელ მმართველთა გავლენის ქვეშ, ხოლო აბრაჰაზე ვიცით, რომ ხარკსაც უხდიდა აქსუმს. ვითარება არ შეცვლილა 570-იანი წლების ბოლოს სამხრეთ არაბეთის და, მათ შორის, იემენის ხოსრო ანუშირვანის მიერ დაპყრობამდე.

მეორე საინტერესო მაგალითი ქრისტიანობის ბიზანტიისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში გავრცელებისა არის ამბავი ულფილაზე[24] და მის მოღვაწეობაზე გუთებში. ულფილა დაიბადა VI საუკუნის დასაწყისში გუთებში, რომელნიც მაშინ დუნაის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. ულფილა წარმოშობით იყო იმ რომაელთა ტყვეების შვილი, რომელიც გუთებმა აიყვანეს მცირე აზიიდან[25] III საუკუნის ბოლო მეთოხედში განხორციელებული ლაშქრობებისას. ულფილას გუთური სახელი მეტყველებს იმაზე, რომ გუთებში მცხოვრები რომაელები მინიმუმ ლინგვისტურად მიესადაგნენ ახალ გარემოს, რომელშიც მოუწიათ ცხოვრება ტყვეობის შემდეგ. შესაბამისად, როგორც ტყვეობაში მყოფი მეორე თაობის რომაელი, ულფილა თავისუფლად საუბრობდა ლათინურად, ბერძნულად და გოთურად. დიდი ალბათობით, გუთებში მცხოვრები რომაელი ტყვეები IV საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ქრისტიანები იყვნენ, რადგან რელიგია იყო ერთ-ერთი საშუალება საკუთარი თავი გუთებისაგან ეთნიკურად გაემიჯნათ. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ ულფილამ უკვე ახალგაზრდობაში დაიწყო ეკლესიაში მოღვაწეობა, რომელიც მეორე თაობის რომაელი ტყვეების მიერ იყო აგებული. ულფილა გააგრძელებდა თავის მოღვაწეობას დუნაის ჩრდილოეთით და არ იქნებოდა ისეთი ცნობილი, როგორიც გახდა შემდგომში მისი პერსონით კონსტანტინოპოლის დაინტერესების გამო.

[24] მისი სახელი გოთურად „პატარა მგელს“ ნიშნავს.

[25] ულფილას ოჯახი ტყვეთ ჩავარდნამდე ცხოვრობდა მცირე აზიის ქალაქ ფარნასოსში (კაპადოკია).

340 წლების დასაწყისში კონსტანტინე დიდის მემკვიდრემ, ღრმად მორწმუნე იმპერატორმა კონსტანციუს II-მ გადაწყვიტა, რომ კონტანტინე დიდის დროს გუთებზე მოპოვებული პოლიტიკური გავლენა საკმარისი არ იყო დუნაის ჩრდილოეთით მცხოვრები მძლავრი გუთური სახელწიფოებრივი ერთეულის შეკავებისათვის. გუთებში მცხოვრები ქრისტიანი რომაელი ტყვეების მხარდასაჭერად მან 341 წელს ულფილა კონსტანტინოპოლში მოიპატიჟა და გუთებში „ქრისტიანების ბერად" დანიშნა. ამის შემდეგ ულფილა გაგზავნეს გუთებში, სადაც, როგორც ჩანს, მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში წარმატებით ახორციელებდა ქრისტიანობის გავრცელებას არა მარტო რომაელ ტყვეებში, არამედ უშუალოდ გუთებში. სავარაუდოდ, ზუსტად ამან გამოიწვია გუთების უკმაყოფილება, რადგან ქრისტიანობის გავრცელებით რომს, სამხედრო საშუალების გარდა, კიდევ ერთი არანაკლებ ძლიერი ხერხი გამოუჩნდებოდა დუნაის გაღმა საკუთარი გავლენის გასავრცელებლად. შედეგად, 347 წელს გუთებმა ულფილა თავის ქრისტიან მომხრეებთან ერთად აიძულეს დაეტოვებინა ქვეყანა. იმაზე, თუ კონსტანტინოპოლისთვის სტრატეგიულად როგორი მნიშვნელოვანი იყო გუთებში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება, ისიც მეტყველებს, რომ კონსტანციუსი თვითონ ჩავიდა დუნაისთან ულფილას დასახვედრად და მას ახალი მოსეც კი უწოდა.

ულფილას გუთების მიწიდან ამ განდევნით თითქოსდა უნდა დასრულებულიყო ყველაფერი, მაგრამ იმპერიის მესვეურებს ხელი არ აუღიათ გუთებში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე. ულფილა და მისი მომხრეები ქალაქ ნიკოპოლისში დუნაისთან ახლოს დაასახლეს ისე, რომ მას კავშირი მთლიანად არ გაეწყვიტა მდინარის ჩრდილოეთით დარჩენილ ქრისტიანებთან. ზუსტად ნიკოპოლისში ცხოვრებისას ულფილამ ბიბლია თარგმნა გუთურ ენაზე. იგი, გერმანიკულ ენაზე შესრულებულ პირველ წერილობით წყაროს წარმოადგენს.

გადავინაცვლოთ ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვარზე, კერძოდ კი სირიის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით სინაის ნახევარკუნძულამდე. გეოგრაფიულად ბიზანტიის ეს საზღვარი დაუცველი იყო, რადგან სირია-მესოპოტამიის უდაბნოსა და პლესტინას დასახლებულ პუნქტებს შორის რეალურად არ არსებობდა გეოგრაფიული ბარიერი. სხვა სიტყვებით საზღვრის ეს მონაკვეთი დაუცველი იყო არაბი ტომების მოლაშქრეებისაგან. 224 წელს სასანური ირანის ჩამოყალიბებამ და ამით მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გამოწვეულმა ძალთა ბალანსის შეცვლამ თავისი კვალი დატოვა არაბებთან

ურთიერთობაშიც. თავდაპირველად რომაელები ცდილობდნენ სამხედრო გზით მოეპოვებინათ უპირატესობა, რაც კარგად აისახა III საუკუნის დასასრულს იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ უდაბნოს მხრიდან სირიის დასაცავად ე. წ. *Strata Diocletiana*-ს აგებით. მაგრამ IV საუკუნის დასაწყისში ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელებით, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს უკვე ქრისტიანობისთვის ლეგალური ბაზის შექმნით ბიზანტიელებსა და არაბებს შორის არსებულ ურთიერთობებში ჩნდება ახალი მნიშვნელოვანი ფაქტორი – რელიგია. ამრიგად, IV საუკუნის ბოლოდან კონსტანტინოპოლი სულ უფრო მეტად ცდილობს გავლენა მოახდინოს არაბ ტომებზე არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ტიტულების თუ ფულის დარიგებით, არამედ მათი ქრისტეს რჯულზე გადმოყვანით.

არაბებში ქრისტიანობა ვრცელდებოდა პალესტინა-სირიის ტერიტორიაზე არსებულ ბერ-მონაზონთა მრავალ ცენტრში მცხოვრებ რელიგიურ პირებთან. რადგან საფრთხე საზღვრის ამ მონაკვეთიდან არ იყო იმავე დონის, როგორიც დუნაისპირეთიდან, ხოლო კონსტანტინოპოლი არაბების მეშვეობით არ გეგმავდა სხვა ხალხების გაკონტროლებას ისე, როგორც ეს ეთიოპიელების შემთხვევაში იქნა განხორციელებული. ბიზანტია მიზნად არ ისახავდა არაბების სწრაფ გაქრისტიანებას. პროცესი შედარებით ნელი ნაბიჯებით მიმდინარეობდა. V საუკუნეში მცხოვრები სასულიერო პირის კირილე სკითოპოლისელის ნაშრომში წმინდა ევთიმეს შესახებ მრავლად მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მოდიოდნენ ევთიმესთან არაბი ბედუინები უდაბნოდან ქრისტიანული რელიგიის მისაღებად. ევთიმეს მაგალითი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა სირია-პალესტინის საზღვარზე. მაგალითად, ისტორიკოს სოზომენთან გვხვდება ცნობები ერთ-ერთი არაბი დაჯგუფების ლიდერის ზოკომოსის გაქრისტიანების შესახებ მის მომხრეებთან ერთად.

გაქრისტიანებით არაბებს საშუალება ეძლეოდათ უფრო მეტი სარგებელი ენახათ იმ სიმდიდრეში, რომელიც იმპერიიდან მომდინარეობდა. კონსტანტინოპოლელ იმპერატორებს უფრო მარტივად შეეძლოთ გაქრისტიანებული არაბების საიმპერიო სტრუქტურებში (ადმინისტრაციასა თუ ჯარში) ჩაბმა, რაც უფრო მეტად სარგებლიანი იყო არაბი დაჯგუფებისათვის.

ისტორიული სომხეთის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიად მას შემდეგ გადაიქცა, რაც მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. წ. II საუკუნეში რომი და პართია გამოვიდნენ, ხო-

ლო ახ. წ. 224 წლიდან კი პართიის იმპერია სასანურმა ირანმა ჩაანაცვლა. სომხეთი, რომლის ჩრდილოეთითაც კოლხეთი და იბერია, ხოლო აღმოსავლეთით ალბანეთი მდებარეობდნენ, ძირითად წნეხს განიცდიდა სამხრეთის მიმართულებით სასანური ირანისგან და დასავლეთიდან ბიზანტიის სახით. სომხეთი სამხრეთით უშუალოდ ჩრდილოეთ მესოპოტამიას ესაზღვრებოდა და გადასვლა ერთი ტერიტორიიდან მეორეში და პირიქით შეზღუდული არ იყო რომელიმე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბარიერით. ხოლო ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მოხვედრისას ამ რეგიონის ლანდშაფტი ძალიან კარგ შესაძლებლობებს იძლეოდა, იქნება ეს ვაჭარი თუ ჯარისკაცი, მარტივად გამოეყენებინა მდინარეები და სამხრეთის მიმართულებით გაეგრძელებინა სვლა. ისევე როგორც პართელებს, არდაშირ I-მა ახ. წ. 224 წელს ახლად ჩამოყალიბებული იმპერიის დედაქალაქად ისევ ქტესიფონი აირჩია. შესაბამისად, სასანიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო რომაელები/ბიზანტიელები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში არ შეეშვათ. მაგრამ, როგორც ვთქვით, რადგან ჩრდილოეთ მესოპოტამია ორგანულად იყო დაკავშირებული სომხეთის სამხრეთ ნაწილთან, პირველი სასანიანი შაჰების საგრეო პოლიტიკური პრიორიტეტი იყო ამ რეგიონის გაწმენდა რომაელებისაგან. არდაშირის და მისი მემკვიდრის შაბურ I-ის ომები ამის ნათელი მაგალითებია.

ბიზანტიის იმპერიასა და სომხეთს შორის მდებარეობდა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბარიერი – ტავრის მთები, რომელშიც იყო სამი საკვანძო გადასასვლელი. იმ შემთხვევაში, თუ ირანელები მოახერხებდნენ ამ გადასასვლელების ხელში ჩაგდებას, ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების სირია-პალესტინისა და მცირე აზიის უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრებოდა. რა თქმა უნდა, სომხეთი არ იყო ერთადერთი ტერიტორია, საიდანაც ხორციელდებოდა ჯარების გადაყვანა ირანიდან სირიაში ან პირიქით. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ირანელები ან მათი არაბი მოკავშირეები მდინარე ევფრატის გასწვრივ გადადიოდნენ სირიასა და მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში.

სომხეთის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრებოდა, რომ ამ ტერიტორიის დაკავებით კავშირი ებმებოდა ჩრდილოეთით მდებარე იბერიასთან, აღმოსავლეთით ალბანეთთან. გარდა ამისა, სომხეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები ცენტრალური აზიიდან მცირე აზიისა და სირია-პალესტინის მიმართულებით. ზემოთმოყვანილი გეოგრაფიული ანალიზი არ ნიშნავს იმას, რომ რომაელები ან სასანიანები სომხეთის ტერიტორიის უშუალოდ დაკავება-

ზე ფიქრობდნენ.[26] ხშირი იყო ჯარების შეყვანა ორივე იმპერიის მიერ, მაგრამ ორივე მოწინააღმდეგეს ერჩივნა, პირველ რიგში, საკვანძო გადასასვლელების და ციხე-სიმაგრეების დაკავება, ხოლო სომხეთის შიდა საქმეებში მხოლოდ ირიბად ჩარეულიყვნენ. ამ გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ განაპირობა სომხეთის სტრატეგიული მნიშვნელობა და, ამავდროულად, სისუსტეც ორი იმპერისთვის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების განხილვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიის სამეზობლოში სულაც არ იყო შემთხვევითი, ხოლო ქართლის და შემდეგ ლაზიკის (დასავლეთ საქართველო) გაქრისტიანება კი წარმოადგენს იმ საერთო რელიგიური პოლიტიკის ნაწილს, რომელსაც ატარებდა კონსტანტინოპოლი საკუთარი საზღვრების უკეთ დაცვისთვის. წმინდა ნინოს მოღვაწეობის დეტალების უმრავლესობა უცნობია, თუმცა ცალსახაა, რომ მისი ქართლში ჩამოსვლა არ იყო კონსტანტინოპოლიდან მოსული ბრძანების შედეგი. გუთ ულფილასგან განსხვავებით, წმინდა ნინოს იმპერიული სანქცია არ გააჩნდა. თუმცა, მხარდაჭერა რომელიც მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან, თუნდაც, საეკლესიო პირების გამოგზავნით მეფე მირიანის გაქრისტინებისთანავე პირდაპირ მეტყველებს იმაზე, თუ რა სწრაფად გაიაზრეს კონსტანტინოპოლში ამ მოვლენის მნიშვნელობა რეგიონული პოლიტიკისთვის.

ქართლისა და ლაზიკის მნიშვნელობა იმპერიისთვის, პირველ რიგში, გამოწვეული იყო სამხედრო მიზეზებით. კავკასიონის გადასასვლელებისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გაკონტროლება აბსოლუტურად მნიშვნელოვანი იყო რომაელებისთვის/ბიზანტიელებისთვის საკუთარი იმპერიული დედაქალაქის დასაცავად. პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ლაზების ელჩობა ირანში ხოსროს კარზე ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლი ლაზიკასა და ქართლს.[27] შესაბამისად, ისტორიული საქართველო იმ ტერიტორიულ რკალში ხვდებოდა, რომლითაც კონსტანტინოპოლი ცდილობდა საკუთარი საზღვრები დაეცვა მოწინააღმდეგე სასანური იმპერიისაგან.

ბიზანტიის პერიფერიაზე მცხოვრებ ხალხებში უმეტესწილად ქრისტიანობის „არაორთოდოქსული“ ვარიანტის გავრცელება ხელს არ უშლიდა კონსტანტინოპოლს, პირდაპირი დიპლომატიური და ზოგ შემთხვევაში სტრა-

[26] B. Dignas, E. Winter. Rome and Persia in Late Antiquity, გვ. 173-188.
[27] Procopius. De Bello Persico. II. 15.

ტეგიული ურთიერთობა ჰქონოდა ამ ხალხებთან. ბიზანტიელი იმპერატორებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო იმპერიის პერიფერიის ნებისმიერი ფორმით გაქრისტიანება, რადგან ამით ხერხდებოდა არაპირდაპირი პოლიტიკური გავლენის მოპოვება მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ტერიტორიულ ერთეულებზე. ასე, მაგალითად, იუსტინიანეს არ ანაღვლებდა იყვნენ აქსუმელები თუ ნუმიდიელები ქალკედონური მრწამსის მიმდევრები თუ არა. უფრო მნიშვნელოვანი იყო მათი ბიზანტიურ პოლიტიკურ ორბიტაში მოქცევა, რითაც მოხერხდებოდა მათი და სასანური ირანის კავშირის შექმნის თავიდან აცილება. იმავე იუსტინიანეს მაგალითი რომ მოვიყვანოთ, მონოფიზიტ, მაგრამ ქრისტიანი ეთიოპიელების მეშვეობით იმპერატორი წარმატებით (ყოველ შემთხვევაში გარკვეული დროის მანძილზე) ახერხებდა სამხრეთ არაბეთის დაცვას ინდოეთთან ვაჭრობისთვის და რეგიონში სასანიანების გავლენის შესაჩერებლად.[28]

[28] Н. В. Пигулевская. Арабы у границ Византии и Ирана в IV-VI вв. М. 1964, გვ. 57-81; 156-161.

Emil Avdaliani

BYZANTIUM'S “GEOPOLITICS OF CHRISTIANITY”

Summary

The paper analyses the spread of Christianity among the peoples living on the periphery of the Roman world during the late antiquity. A major question posed in the work is whether the Roman emperors pursued a long-term “strategy” of proselytizing the neighbouring peoples. Examples of the spread of Fhristianity among the Ethiopians, Georgians, Goths, Armenians and Arab tribes were given with a number of conclusions. It was shown that Fhristianity in the fourth century made its way into those territories which were strategically important for the Empire. Ethiopia was important for Roman trade relations with India and contacts with the South Arabia. The spread of Fhistianity among the Goths and the Arab tribes was paramount to at least partially pacify them on the Danubian and Syrian frontiers respectively. Armenians were important for better controlling the North Mesopotamia; Georgians – for their strategic position close to the Faucasus mountain range and the Black Sea coast. Written sources provide numerous examples of how emperors sanctioned activities of bishops beyond the imperial borders. Imperial commitment to the spread of Fhristianity and strategic importance of each newly converted people in the fourth century leads to the conclusion that the imperial officials had a long-term policy.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ლერი თავაძე

სილენტიარიოსის ტიტული საქართველოსა და ბიზანტიაში

სილენტიარიოსი (σιλεντιάριος) ბიზანტიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობა, ხოლო მოგვიანებით საკარისკაცო ტიტული იყო. თავად ტერმინი „სილენტიარიოსი" მომდინარეობს ლათინური „სილენტიუმიდან", რაც სიჩუმეს ნიშნავს. სილენტიაროსის თავდაპირველი მოვალეობა საიმპერატორო სასახლეში სიჩუმისა და წესრიგის უზრუნველყოფა იყო.[1]

[1] ODB. III, გვ. 1896. სილენტიარიოსის ტიტულთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos. London. 1911, გვ. 24-25; O. Seeck. RE. 2. R 3. 1929, გვ. 57; E. Stein. Histoire du Bas-Empire. Tome I: De l'État romain à l'État byzantin (284-476). Paris. 1959, გვ. 111, 470; E. Stein. Histoire du Bas-Empire. Tome II: De la disparition de l'Empire d'Occident à la mort de Justinien (476-565). Paris. 1949, გვ. 303; A. H. M. Jones. The Later Roman Empire, 284-602. Vol. I. Oxford: Basil Blackwell. 1964, გვ. 490; R. Guilland. Le silentiaire. Titres et fonctions de l'Empire byzantin. Variorum Reprints, London. 1967, გვ. 33-46; N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris. 1972, გვ. 296; ODB. III, გვ. 1896. ასევე წყაროები: Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies. Trans. by Ann Moffati and Maxeme Tall with Greek edition of the CSHB (Bonn, 1829). Vols. I-II. Canberra. 2012; N. Oikonomides. **Les listes** de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 62-63, 88-89, 94-95, 98-99, 124-125, 128-129, 156-157, 168-169, 180-181, 188-191, 204-205, 210-211, 232-233. იხილეთ ასევე შრომები ბიზანტიურ სფრაგისტიკაზე, რომლებშიც მრავალი საბეჭდავი მოგვეპოვება სილენტიარიოსის მოხსენიებით. ასეთი ნაშრომები ბევრია, შესაბამისად, თვალსაჩინოებისთვის ვასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ვრცელ გამოკვლევას: V. Laurent. Le corpus des sceaux de l'empire byzantin. Vol. 1-3. Paris. 1962-72; G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. Vol I in three parts. Basel. 1972; Catalogue of Byzantine Seals At Dumbarton Oaks and in the Fogg Museum of Art. Vol. I-VI. Ed. by J. Nesbitt and N. Oikonomides. Dumbarton Oaks Research Library and Collection. Washington. 1991-2009; I. Jordanov. Corpus of Byzantine Seals from Bulgaria. Vol. I-III. Sofia. 2003-2009.

საიმპერატორო სასახლის მოხელე სილენტიაროსები წმინდა კუბიკულის პრეპოსიტოსს ექვემდებარებოდნენ, რომელსაც ოფიციორუმის მაგისტრი ხელმძღვანელობდა. სილენტიაროსები პირველად იმპერატორი კონსტანტინე I დიდის (306-337 წწ.) დრო იხსენიებიან და მათი გაჩენა სწორედ მის ღონისძიებებს უკავშირდება.[2]

სილენტიაროსთა ჯგუფის სენატორული სტატუსის შესახებ განმარტება მოცემულია იმპერატორ თეოდოსის II-ის (408-450 წწ.) კოდექსში, რომელშიც დაკონკრეტებულია, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კონკრეტული პირი თავისუფლდებოდა სენატორის უფლება-მოვალეობებიდან, რამაც ხელი შეუწყო ყოფილი სილენტიაროსების ჯგუფის ჩამოყალიბებას. ყოფილი და საპატიო სილენტიარიოსის წოდება ამ თანამდებობის ტიტულად გადაქცევის წინაპირობა გახდა.[3]

თეოდოსის იმპერატორობის დროს კონსტანტინოპოლის სილენტიარიოსთა ჯგუფი ოცდაათ პიროვნებას აერთიანებდა, რომელსაც სამი დეკურიონი მეთაურობდა. ამდენად, კონსტანტინოპოლის სასახლეში ოცდაათი მუდმივმოქმედი სილენტიარიოსი მსახურობდა. სილენტიარიოსების ფუნქცია სასახლის მეთვალყურეობის გარდა იმპერატორის კარზე არსებული კონსისტორიუმის მოწვევაც იყო. მათვე ევალებოდათ იმპერატორის დაცვა სხვადასხვა სამხედრო ექსპედიციების მიმდინარეობისას.[4]

სილენტიარიოსების მდგომარეობა დაბალი იყო იმპერატორ კონსტანტინე I დიდის დროს, თუმცა მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა და უკვე V საუკუნეში სილენტიარიოსი სპეკტაბილისის რანგის სენატორთა რიგში ერთიანდება, ხოლო მათი დეკურიონები VI საუკუნეში ილუსტრისებად იწოდებიან, რაც უმაღლესი სენატორული რანგია იმავე საუკუნეში.[5]

VI საუკუნის შემდეგ მათი როლი შესუსტდა და სილენტიარიოსს მხოლოდ ცერემონიალური ფუნქცია შერჩა, რასაც მოგვიანო პერიოდის ცერემონიების წიგნებსა და ტაკტიკებში ვაფიქსირებთ. ამავე პერიოდში სილენტიარიოსი, უპირატესად, ტიტულის სახით გაიცემა და მას სასახლის სამოხელეო დატვირთვა პრაქტიკულად აღარ გააჩია. სილენტიარიოსი შეიძლებოდა ყოფილიყო კატასტასიოსი, ანუ საიმპერატორო სასახლის ცერემონმაის-

[2] R. Guilland. Le silentiaire, გვ. 33-46; ODB. III, გვ. 1896.
[3] J.B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 25.
[4] ODB. III, გვ. 1896.
[5] ODB. III, გვ. 1896.

ტერი, თუმცა ამავე დროს ეს თანამდებობა შეიძლებოდა მიეღო სხვა ტიტულის მფლობელსაც. მიუხედავად იმისა, რომ კატასტასეოსი შესაძლოა სხვა პირიც ყოფილიყო, სხვადასხვა, მაღალი ტიტულის გაცემის ცერემონიალის დროს სილენტიარიოსთა ჯგუფს მნიშვნელოვანი ცერემონიული დატვირთვა ჰქონდათ, რაც მათი ძველი პრივილეგია იყო. აღნიშნულ პრივილეგიას ისინი დიდი ხნით ინარჩუნებდნენ.[6]

სხვადასხვა მოსაზრებებით სილენტიარიოსი X საუკუნის მეორე ნახევრამდე, ან XI-XII საუკუნეების ჩათვლით არსებობდა, თუმცა უკვე IX საუკუნისთვის, უპირატესად, ცერემონიალური ფუნქციის მქონე დაბალი რანგის სენატორული ტიტული მალე ვარდება აქტიური გამოყენებიდან, მას ნაკლებად იღებენ ბიზანტიის გავლენიანი არისტოკრატები, ხოლო XII საუკუნის შემდეგ აღარც მოიხსენიება.[7]

კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-959 წწ.) „ცერემონიების წიგნის“ მიხედვით სილენტიარიოსები ძალიან აქტიურად იღებენ მონაწილეობას საიმპერატორო კარზე გამართულ ღონისძიებებში. ამ ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულების გადაცემის ცერემონიალია, სადაც ცერემონმაისტერი, ანუ კატასტასიოსი, სწორედ სილენტიარიოსის ტიტულის მქონე პიროვნებაა, რომელიც სხვა სილენტიარიოსებთან ერთად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საზეიმო ცერემონიის მსვლელობაში.[8]

სილენტიარიოსის ტიტული ბიზანტიის არაერთ გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს უტარებია. ეს თანამდებობა იმდენად დაბალი მნიშვნელობისაა IV საუკუნეში, რომ მისი მფლობელები ნაკლებად თუ ფიქსირდებიან საისტორიო წყაროებში. ამ პერიოდში მათი გავლენა ძალიან სუსტია. V საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ზემოთ აღინიშნა სილენტიარიოსების გავლენა იზრდება, ხოლო ის ისტორიული პირები, რომლებიც ამ თანამდებობას ფლობდნენ რომის იმპერიაში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ რომის იმპერიაში საკმაოდ წარმატებული სახელმწიფო მოღვაწეებია, მათ შორის ერთ-ერთი, ანასტასი 491 წელს იმპერატორიც კი გახდა, მას სილენ-

[6] ვრცლად აღნიშნული საკითხები იხილეთ: Constantine Porphyrogennetos. The Book of Ceremonies. Trans. by Ann Moffati and Maxeme Tall. შემდეგ ყველგან ვიმოწმებთ როგორც – The Book of Ceremonies.

[7] R. Guilland. Le silentiaire, გვ. 33-46; N. Oikonomides. **Les listes** de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 296; ODB. III, გვ. 1896.

[8] The Book of Ceremonies, გვ. 234-236.

ტიარიოსთა დეკურიონის თანამდებობა ეკავა.[9] VI საუკუნეში სილენტიარიოსის ტიტული აქვს ეგრისის მეფე გუბაზ II-საც, თუმცა ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

V საუკუნის პირველ ნახევარში სილენტიარიოსის თანამდებობა ეჭირა ვინმე ხიონიოსს, რომელიც მღვდელმონაზონ ნილოს ერთ-ერთი ადრესატია;[10] იმავე ნილოსის ადრესატია ვინმე ჰელიოდოროსიც, ასევე სილენტიარიოსად წოდებული;[11] იმავე ნილოსის ორი წერილი ეძღვნება გაუდენტიოსს, ასევე სილენტიარიოსად წოდებულს;[12] ნილოსის ორი წერილი ეძღვნება სილენტიარიოს ნემერტიოსს;[13] ნილოსის ერთი წერილი ეძღვნება ნიკარეტოსს;[14] სილენტიარიონის პრიმიკერიოსია ვინმე ევსტათი, რომელიც 444 წელს იმპერატორი თეოდოსის მიერ იგზავნება ეფესოში ბასიანუსის ეპისკოპოსად კურთხევის საქმის გამოსაძიებლად;[15] ასევე გამოძიება ავალია მაგნუსს, იმავე თეოდოსის მიერ 449 წელს მივლინებულს ეუტიხე ბერის მართლმორწმუნეობის საკითხის გამოსარკვევად;[16] სილენტიარიოსთა დეკურიონია ვინმე იოანე, რომელიც იმპერატორ მავრიკეს (450-457 წწ.) ნდობით აღჭურვილი პირია და იმპერატორის დავალებით ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებას (451 წ.) ესწრება, ასრულებდა სხვა მნიშვნელოვან მისიებსაც იმავე იმპერატორის მმართველობის დროს;[17] სილენტიარიოსი დიომედესი იგზავნება იმპერატორ ლეონ I-ის (457-474 წწ.) მიერ, თავისი მმართველობის დასაწყისში, რომის პაპ ლეონ I-ის (440-461 წწ.) წერილით, ალექსანდრიის ახლადარჩეულ პატრიარქ ტიმოთე ელურუსთან;[18] სილენტიარიოსია ვინმე მარკუსი, დანიელ სტილიტეს ახლო მეგობარი კონსტანტინოპოლში, იხსენიება იმავე დანიელთან;[19] იმპერატორ ლეონ I-ის მიერ სილენტიარიოსი ტელეგიუსი სამშვიდობო მოლაპარაკებების მიზნით იგზავნება ოს-

[9] PLRE. II, გვ. 78-79.
[10] PLRE. II, გვ. 287.
[11] PLRE. II, გვ. 531.
[12] PLRE. II, გვ. 494.
[13] PLRE. II, გვ. 775.
[14] PLRE. II, გვ. 781.
[15] PLRE. II, გვ. 434.
[16] PLRE. II, გვ. 700.
[17] PLRE. II, გვ. 598.
[18] PLRE. II, გვ. 362.
[19] PLRE. II, გვ. 720.

ტროგოთების მეფე თეოდორიხ სტრაბოსთან თრაკიაში და ასრულებს მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიას;[20] პელაგიუსი იხსენიება როგორც სილენტიარიოსი და მერე, როგორც ყოფილი სილენტიარიოსი, ხოლო შემდეგ პატრიკიოსადაც არის მოხსენიებული. ის იმპერატორმა ზენონმა 490 წელს სიკვდილით დასაჯა ტახტის უზურპაციის მცდელობის აშკარად შეთითხნილი ბრალდებით, რეალური მიზეზი პელაგიუსის მიერ იმპერატორი კრიტიკა უნდა ყოფილიყო. პელაგიუსი, ბიზანტიელი ისტორიკოსების გადმოცემით, მრავალი ნაშრომის ავტორი ყოფილა, მათ შორის რომის ისტორიის ავგუსტუსიდან თანამედროვეობის ჩათვლით;[21] ანასტასი (491-508 წწ.), ბიზანტიის იმპერატორი და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება აღმოსავლეთ რომის ისტორიაში. იმპერატორად კურთხევამდე სილენტიარიოსთა დეკურიონის თანამდებობას ატარებდა, სწორედ ამ თანამდებობაზე იყო მაშინ როდესაც იმპერატორად აკურთხეს. იმპერატორად კურთხევის შემდეგ, ბუნებრივია, თავისი ძველი სახელოთი აღარ მოიხსენიება და გარდაცვალებამდე იმპერატორი და ქვეყნის უზენაესი მმართველია.[22]

ამდენად, როგორც ვხედავთ, სილენტიარიოსის თანამდებობა სულ უფრო წინაურდებოდა V საუკუნის მიმდინარეობისას, ამ თანამდებობის მფლობელები კი მრავალი სახის სამსახურს ასრულებდნენ იმპერატორის დავალებით, იყვნენ მოსამართლეები, ნდობით აღჭურვილი პირები, დიპლომატები და სხვა მნიშვნელოვანი მისიის ხელმძღვანელები. ისინი ირიცხებოდნენ სპეკტაბილისის სენატორულ რანგში, ხოლო VI საუკუნიდან სილენტიარიოსთა დეკურიონი ილუსტრისის რანგშია აყვანილი. სწორედ სილენტიარიოსთა დეკურიონი ანასტასი 491 წელს აღმოსავლეთ რომის იმპერატორი ხდება. ანასტასი ყველაზე ცნობილი სილენტიარიოსია, უფრო ზუსტად კი მათი ერთ-ერთი დეკურიონი, ანუ მეთაური. V საუკუნეში უნდა შენარჩუნებულიყო ოცდაათი სილენტიარიოსი, ხოლო მოგვიანებით მათი რიცხვი, სავარაუდოდ, უნდა გაზრდილიყო, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ის მყარად დამკვიდრდა როგორც საპატიო თანამდებობა, ანუ ტიტული.

იმპერატორ თეოდოსი I-ის ბრძანების მიხედვით და სილენტიარიოსი პელაგიუსის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სილენტიარიოსი უკვე V საუკუნიდან საპატიო თანამდებობის სახით გაიცემა სხვადასხვა, ყოფილ სი-

[20] PLRE. II, გვ. 1058.
[21] PLRE. II, გვ. 857-858.
[22] PLRE. II, გვ. 78-80.

ლენტიარიოსებზე, რაც ამ თანამდებობის ტიტულად გადაქცევის წინაპირობა ხდება.

VI საუკუნეში სილენტიარიოსი კვლავინდებურად მნიშვნელოვანი თანამდებობაა და მისი დაფიქსირება საისტორიო წყაროებში კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ხდება. VI საუკუნის წყაროებში დაფიქსირებული ყველაზე მნიშვნელოვანი სილენტიარიოსები არიან: ფოკასი, დიდებული წარმოშობის ბიზანტიელი არისტოკრატი, რომელიც საისტორიო წყაროების მიხედვით 526 წლამდე სილენტიარიოსია, ხოლო შემდეგ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვან თანამდებობებსა და ტიტულებს ეუფლება, იწოდება სამხედრო მაგისტრად (მაგისტერ მილიტუმ), პატრიკიოსად და ა.შ. იყო წარმათი, ძველი ბერძნულ-რომაული პანთეონის მიმდევარი. წარმართთა მორიგი დევნის დროს, 545/6 წელს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა;[23] სილენტიარიოსი თომა იმპერატორ იუსტინეს I-ის (517-527 წწ.) მიერ გაგზავნილი იყო ქალაქ აპანდას ასაშენებლად, ქალაქ ამიდას მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა იქ 526 წელს ანტიოქიის მიწისძვრით დაზარალებული ხალხი ჩაესახლებინათ. ბრალს დებდნენ მოსახლეობის ძარცვასა და კორუფციაში;[24] ადოლიუსი, წარმოშობით სომეხი, რომელიც სილენტიარიოსია 542 წლისთვის. გარკვეული დროის მანძილზე მსახურობდა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლეში, ხოლო შემდეგ ბელისარიუსთან ერთად განამწესეს სომხური რაზმის მეთაურად არმენიაში, სადაც სპარსელების წინააღმდეგ იბრძოდა. იწოდება არხონტად. დაიღუპა ირანელებთან მიმდინარე ბრძოლების დროს თავში მოხვედრილი ქვით;[25] დიომედე, სილენტიარიოსი და პალესტინის დუქსი იმპერატორ იუსტინიანეს I-ის (527-565 წწ.) მმართველობის დასაწყისში;[26] პავლე სილენტიარიოსი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მიაღწია სილენტიარიოსთა შორის უმაღლეს პოზიციას (დეკურიონის შემდეგ) და გახდა პრიმიკერიოსი. მოღვაწეობდა იუსტინიანე დიდის პერიოდში, ასევე მის შემდეგაც;[27] კონსტანტინე, ჯერ სილენტიარიოსად იწოდება, ხოლო შემდეგ უკვე პატრიკიოსია, მოღვაწეობდა VI საუკუნის შუა წლებში, ან ამავე საუ-

[23] PLRE. II, გვ. 881-882.
[24] PLRE. II, გვ. 1114.
[25] PLRE. III, გვ. 16-17.
[26] PLRE. III, გვ. 402.
[27] PLRE. III, გვ. 979-980.

კუნის მეორე ნახევარში;[28] თეოდორე, იუსტინიანე I დიდის დროინდელი წმინდა სასახლის დეკურიონი, იწოდება ასევე სილენტიარიოსად, თუმცა როგორც დეკურიონი ითვლებოდა სილენტიარიოსთა ჯგუფის ერთ-ერთ მეთაურად;[29] სილენტიარიოსია ასევე ბახუსის შვილი, თეოდორე, არმენიის მმართველი, სავარაუდოდ პროკონსული, იგივე ანთიპატოსი. მონაწილეობდა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლებსა და შაჰ ხოსრო II ანუშირვანთან (531-579 წწ.) მოლაპარაკებებში.[30]

ამრიგად, როგორც VI საუკუნის სილენტიარიოსების ჩამონათვალიდან ჩანს, ამ პერიოდში მოღვაწე სილენტიარიოსები კვლავინდებურად ინარჩუნებენ თავის მდგომარეობას აღმოსავლეთ რომის იმპერიაში და ბევრი მათგანი საკმაოდ წარმატებულიცაა, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო და საზოგადოებრივ კარიერაში. V საუკუნისგან განსხვავებით მომდევნო ასწლეულში სილენტიაროსთაგან არავინ გამხდარა ბიზანტიის იმპერატორი. ანასტასის შემთხვევა კი უფრო შემთხვევითია, ვიდრე ამას სილენტიარიოსის მდგომარეობა იძლეოდა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ დეკურიონები, რომლებიც სილენტიაროსთა უმაღლეს ფენას განეკუთვნებიან, V-VI საუკუნეების განმავლობაში მყარად იკავებენ სენატის უმაღლეს ეშელონში თავიანთ ადგილს. ამის საუკეთესო დასტური სპეკტაბილისის რანგია V საუკუნეში, ხოლო ილუსტრისის მომდევნო ასწლეულში.

სილენტიარიოსი უკვე იმდენად დაწინაურებული აღარ ჩანს მომდევნო საუკუნეებში. სფრაგისტიკის სხვადასხვა ნიმუშებზე ჯერ კიდევ ვხვდებით სილენტიარიოსების მოხსენიებას VII-IX საუკუნეებში. მათი რაოდენობა არცთუ ისე მცირეა, თუმცა მათ შორის გამორჩეული სილენტიარიოსები, რომელთაც პარალელურად სხვა თანამდებობები ან ტიტულები გააჩნიათ საკმაოდ ცოტაა.

ქვემოთ მოყვანილი სილენტიარიოსების არასრული სია ზემოთქმულის ნათელი დასტურია, VII–IX საუკუნის საბეჭდავებზე სილენტიარიოსის ტიტულის შემდეგ მფლობელებს ვაფიქსირებთ: ამბროსი, ლეონ IV ხაზარის (775-780 წწ.) დროს საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი, ვლატიონის არხონტი და გენიკოსის კომერკიარიოსი;[31] გრიგოლი, VIII საუკუნეში მოღ-

[28] PLRE. III, გვ. 344.
[29] PLRE. III, გვ. 1250-1251.
[30] PLRE. III, გვ. 1254-1255.
[31] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 349-350.

ვაწე საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი, ხარტულარიოსი და ლოგოთესიონის გენიკონი;[32] იოანე, VIII საუკუნეში მოღვაწე ჯპატოსი, სილენტიარიოსი და საიმპერატორო კარის ვესტიტორი;[33] ქრისტოფოროსი, VIII საუკუნეში მოღვაწე ჯპატოსი, სილენტიარიოსი და საიმპერატორო კარის ვესტიტორი;[34] ევსტათი, IX საუკუნეში მოღვაწე საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი, პელოპონესის კომერკიარიონი და ეპი ტონ ვარვარონი;[35] ლეონი, IX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი და აბიდიკოსი;[36] ნიკიტა, IX საუკუნეში მოღვაწე სილენტიარიოსი და საიმპერატორო კარის ნოტარიოსი, შესაძლოა გავაიგივოთ საიმპერიო კარის სილენტიარიოსთან, რომელიც ამავე დროს ვლატიონის არხონტი და გენიკოსის კომერკიარიოსია.[37] აქ ვერ გამოვრიცხავთ თანამდებობრივ დაწინაურებასაც, პარალელურად სილენტიარიოსობა შენარჩუნებული ჩანს. თუმცა, ნიკიტა ამ პერიოდში საკმაოდ პოპულარული სახელი იყო, ამდენად, სხვადასხვა საბეჭდავზე მოხსენიებული ამ ორი პიროვნების გაიგივებისთვის მეტი დასაბუთებაა საჭირო; პეტრე, IX საუკუნეში მოღვაწე საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი და ერგოდოსიის კურატორი;[38] და სხვა მრავალი.

როგორც VII-IX საუკუნეების სილენტიარიოსების ჩამონათვალიდან ჩანს ამ პერიოდში მნიშვნელოვნად დაცემულია სილენტიარიოსის ტიტულის მფლობელების გავლენა, ხოლო მის მფლობელებად საშუალო რანგის ჩინოსნები გვევლინებიან. არის გამონაკლისებიც, თუმცა ისინი იშვიათია.

სილენტიარიოსის გავლენა რომ მნიშვნელოვნად არის დაკნინებული კარგად ჩანს IX-X საუკუნეების ტაკტიკებში. „უსპენსკის ტაკტიკონის“ მიხედვით, სილენტიარიოსთა ჯგუფი ტიტულებისა და თანამდებობების ჩამონათვალის ბოლო რიგებში იკავებს ადგილს.[39]

„უსპენსკის ტაკტიკონში“ იმპერატორ მიხაელ III-ის (842-867 წწ.) და თავისი დედის, თეოდორას შემდეგ ჩამოთვლილია ბიზანტიის იმპერიის ყველა მნიშვნელოვანი საერო და სასულიერო ტიტულები და თანამდებობები,

[32] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 886.
[33] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1132.
[34] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1734.
[35] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1077-1078.
[36] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1182-1183.
[37] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1246-1247.
[38] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1767.
[39] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 62-63.

რომლებიც მათ მდგომარეობას განსაზღვრავდა საიმპერატორო კარზე.[40] ამ ჩამონათვალში სილენტიარიოსის ტიტულის მფლობელებს 193-ე ადგილი უკავიათ.[41] ჩამონათვალის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა პროვინციების მმართველებს უპყრია, რომლებიც თავიანთი პრესტიჟით ერთმანეთთან მიმართებაში განსხვავებულ მდგობარეობას იკავებდნენ, მაგალითად, ანატილიკონის თემის სტრატეგოსი და პატრიკიოსი ყველა სხვა სტრატეგოსზე უპირატესი იყო თავისი მდგომარეობით და სიაში მე-12 ადგილი უკავია,[42] სხვა სტრატეგოსები მასზე ნაკლებად გავლენიანებია.[43] კიდევ უფრო დაბალ კატეგორიად განიხილებიან ისეთი ადმინისტრაციული თანამდებობები როგორიცაა ლოგოთეტი, კვესტორი, დრუნგარიოსი, ხარტულარისი, კურატორი, ტურმარხი და ა.შ.[44] მათი რიცხვი სტრატეგოსების მსგავსად დიდი იყო და ისინი განაწილებულები იყვნენ სხვადასხვა პროვინციებში, მათ მდგომარეობას ხშირ შემთხვევაში პროვინციის პრესტიჟი და მნიშვნელობა განსაზღვრავდა.

ამგვარად, ტიტულის მფლობელებისა და მოხელეების, რომლებიც ხშირად ტიტულებსაც ითავსებდნენ, მთელს ამ ჩამონათვალში სილენტიარიოსის ტიტულის მფლობელების მდგომარეობა საკმაოდ დაბალი იყო. მაღალი იყო მხოლოდ იმ სილენტიარიოსთა მდგომარეობა, რომლებიც ამ ტიტულის პარალელურად სხვა მნიშვნელოვან სახელოს ფლობდა. ასეთად, IX საუკუნეში, თითქოს, საიმპერიო კარის სილენტიარიოსი, ვლატიონის არხონტი და გენიკოსის კომერკიარიოსი ნიკიტა მოჩანს,[45] თუმცა მისი ტიტულებიდან და თანამდებობებიდან გამომდინარე სილენტიარიოსობა დანარჩენ ორზე უპირატესია და შესაბამისად ფიქსირდება კიდეც ჩამონათვალში პირველ ადგილზე.[46]

ფილოთეოსის „კლეტოროლოგიონის“ (899 წ.) მიხედვით, სილენტიარიოსთა ჯგუფი ბოლოდან მეორეა იმათ შორის, ვინც ინსიგნიით, ანუ ხელისუფლის ნიშნით, არის აღჭურვილი.[47] ფილოთეოსის მიხედვით, სილენტიარიოსი აღჭურვილია ოქროს კვერთხით, აღნიშნული ინსიგნია მას იმპერატო-

[40] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 46-63.
[41] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 62-63.
[42] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 46-47.
[43] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 48-49.
[44] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 48-63.
[45] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1247.
[46] G. Zacos, A. Vegrery. Byzantine Lead Seals. I, გვ. 1247.
[47] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 88-89.

რისგან გადაეცემა.[48] საჩუქრების სახით ახლადარჩეული სილენტიარიოსი 6 ნომისმას დეუტეროსს, ხოლო 72 ნომისმას პრეპოსიტოსებს გადასცემს.[49]

„კლეტოროლოგიონის“ მიხედვით, სილენტიარიოსები გაერთიანებული არიან იმ ხუთ ჯგუფში, რომლებიც ექვემდებარებიან კატასტასეოსს, იგივე ცერემონიების ხელმძღვანელს.[50] დასახელებული ჯგუფები რიგითობის პრინციპის დაცვით შემდეგია: ჯპატოსები, ვესტიტორები, სილენტიაროსები, ყოფილი ეპარხოსები და სინკლეტის წევრები(?).[51] ამათგან სინკლეტის წევრები, ანუ სენატორები, სავარაუდოდ, მიემართება ყველა მათგანს, მაგრამ ვინაიდან ფილოთეოსის ჩვენს ხელთ არსებულ რედაქციაში მეხუთე ჯგუფი არ ჩანს მისმა გამომცემლებმა ის ცალკე ჯგუფად გაიყვანეს. კატასტასეოსი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი იმ ხუთი ჯგუფიდან, რომელთა გაძღოლაც მას ევალებოდა ცერემონიალის დროს, მათ შორის სილენტიარიოსიც.

მომდევნო პერიოდის ტაკტიკებში სილენტიარიოსის ტიტულს უკვე ვეღარ ვაფიქსირებთ. X საუკუნის ჩვენამდე მოღწეული ორი ტაკტიკის, ე.წ. ბენეშევიჩისა (934-944 წწ.) და ესკორეალის (971-975 წწ.) ტაკტიკების მიხედვით, სილენტიარიოსი არ არის მოხსენიებული. „ესკორეალის ტაკტიკონში“ ვხვდებით კატასტასეოსის, ანუ ცერემონიების ხელმძღვანელის თანამდებობის მოხსენიებას,[52] რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლოა სილენტიარიოსის ტიტულის მფლობელიც ყოფილიყო, თუმცა ეს სავალდებულო არ არის მით უფრო X საუკუნის რეალობის გათვალისწინებით, როდესაც სილენტიარიოსის ტიტული უკიდურესად დამცრობილია და ბიზანტიის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებზე პრაქტიკულად აღარ გაიცემა. ტიტულმა, რ. გიანის მიხედვით, XI-XII საუკუნის ჩათვლით იარსება და შემდეგ ქრება აღმოსავლეთ რომის ინსტიტუციური მოწყობის სისტემიდან.[53]

---

[48] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 88-89.
[49] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 88-89.
[50] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 124-125.
[51] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 124-125.
[52] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 272-273.
[53] R. Guilland. Le silentiaire, გვ. 33-46. ნ. ოიკონომიდისის მიხედვით, სილენტიარიოსის ბოლო მოხსენიება თარიღდება ნიკიფორე II ფოკას (963-969 წწ.) პერიოდით. იხ.: N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 296; The Book of Ceremonies, გვ. 441-442. ფაქტია ტიტული ამის შემდეგაც მოქმედი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძალიან დამცრობილია.

გუბაზ II, ეგრისის მეფე და ბიზანტიის საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი[54]

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სილენტიარიოსის ტიტული ეგრისის მეფე გუბაზ II-ზე (541-555 წწ.) ფიქსირდება.[55] პროკოპი კესარიელი თავის „სპარსეთის ომებში“ ლაზებისა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობას ვრცლად აღწერს[56] და ახსენებს ლაზიკის მეფე გუბაზ II-ის მიერ იმპერა-

[54] მოხსენება დაახლოებით ამავე სათაურით (Gubaz II, King of Lazica, and Imperial Silentiarios of Byzantium) წაკითხულ იქნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ორგანიზებით მოწყობილ ინგლისურენოვან სამეცნიერო კონფერენციაზე (Georgia Between the Empires before the Coming of Islam, თბილისი, 2015 წლის 26 ივნისი), სადაც სტატიის ამ ნაწილის ძირითადი მონახაზი იქნა წარმოდგენილი.

[55] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 103; PLRE. III, გვ. 559-560.

[56] VI საუკუნის ეგრისი-ბიზანტიის ურთიერთობისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, ვიმოწმებთ მხოლოდ მათ ნაწილს: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. პირველად გამოიცა 1908 წელს. თბ. 1979, გვ. 282-300; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I. პირველად გამოიცა 1935 წელს. თბ. 1949, გვ. 21-80; პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 38-234; აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა III, გვ. 23-187; გ. გოზალიშვილი. ბიზანტია-ირანის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. თსუ შრომები. ტ. XXVI-B. 1944, გვ. 87-154; მ. გუნბა. დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI-VIII საუკუნეებში. სოხუმი. 1962, გვ. 28-154; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ. 1968; გ. გოზალიშვილი. ლაზიკის საგარეო ურთიერთობა VI საუკუნეში. თბ. 1973; ა. ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელწიფოები VI-VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II. თბ. 1973, გვ. 246-268; ნ. ლომოური. დიდი ომიანობა ეგრისში VI ს-ში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1998, გვ. 120-127; დ. ლეოოდიანი. ძიებანი. თბ. 2003, გვ. 101-105, 131-148; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2004; მ. ჭუმბურიძე. ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა (ახ.წ. I-VIII სს.). ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით. ქუთაისი. 2009; ნ. ლომოური. საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა. ნაწილი I (IV-X სს.). თბ. 2011, გვ. 183-205; დ. მუსხელიშვილი. საქართველო VI-VII ს-ის დასაწყისში. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. II. თბ. 2012, გვ. 95-110; ნ. მურღულია. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედ-

ტორ იუსტინიანე I დიდისთვის (527-565 წწ.) გაგზავნილ წერილს, რომლის მიხედვითაც ბიზანტიის ხაზინას ეგრისის მეფისთვის სილენტიარიოსის მთელი ათი წლის სარგო მართებდა. გუბაზის განცხადებით, მას ათი წლის განმავლობაში არ მიუღია როგა სილენტიარიოსის ტიტულზე. უფრო მეტიც, გუბაზი მოითხოვდა იმ ფულის გაცემასაც, რომელიც მას ალანებისა და საბირების დასაქირავებლად უნდა გამოეყენებინა. მათი გამოყვანა გუბაზ მეფეს ლაზიკისა და იბერიის ტერიტორიაზე ირანის წინააღმდეგ საომრად ესაჭიროებოდა. პროკოპისთან ვკითხულობთ:

„გუბაზი დაპირდა, რომ ბასილევსი (იუსტინიანე I დიდი, ბიზანტიის იმპერატორი) მათ (ალანებსა და საბირებს) მისცემდა ამ ფულს თავად აცნობა იუსტინიანე ბასილევსს ამ პირობის შესახებ და სთხოვდა გამოეგზავნა მისთვის ეს ფული და მეტად განადგურებულ ლაზთათვის მიეცა რაიმე ნუგეში. ის ამბობდა, რომ ხაზინას თვითონ მისი მართებს ათი წლის სარგო, რადგან თუმცა იგი პალატის სილენტიარიოსებში ჩანიშნეს, მაგრამ მას არაფერი მიუღია იქიდან, მას შემდეგ რაც ხოსრო (ხოსრო I ანუშირვანი, ირანის შაჰი) კოლხიდაში მოვიდა“.[57]

ამ მოვლენებს ადგილი აქვს მას შემდეგ, რაც გუბაზი კვლავინდებურად დაუბრუნდა პრობიზანტიურ ორიენტაციას და სასანიანებს ზურგი შეაქცია. ამჯერად, გუბაზ მეფის მიზანს ირანელების ქვეყნიდან განდევნა წარმოადგენდა, რომლებმაც მეფის მკვლელობა და ეგრისში სრული კონტროლის დამყარება განიზრახეს. 548 წელს გუბაზი ირანელებს აუჯანყდა და კვლავ ბიზანტიელები მოიწვია ეგრისში.[58] იმპერატორმა იუსტინიანე I-მა გუბაზის

ვით). სადოქტორო დისერტაცია შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2012; Н. Г. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. 2 изд. Ер. 1971; D. Braund, Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC-AD 562. Clarendon Press: Oxford. 1994, გვ. 274-314; The Roman Eastern Frontier and the Persian Wars. II. AD 363-630: a Narrative sourcebook. Ed. and comp. by Geoffrey Greatrex and Samuel N.C. Lieu. Routledge. 2002, გვ. 62-181, 264-297.

[57] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 103.

[58] The Roman Eastern Frontier and the Persian Wars. II, გვ. 117. აღნიშნული მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში, უპირატესად, 549 წლით თარიღდება. ჩვენ ამ საკითხებზე მსჯელობას თავს ვარიდებთ და ვასახელებთ, ჩვენს ხელთ არსებული, ბოლო გამოკვლევებით დადგენილ ქრონოლოგიას. შენიშვნის სახით დავსძენთ, რომ ე.წ. იუსტინიანეს მეორე სპარსული ომის (540-562 წწ.) ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული ქრონოლოგია მნიშვნელოვან კორექტურას საჭიროებს. აქ შესაბამის ნაშრომებს აღარ ვუთი-

შემოთავაზება მოკავშირეობაზე გულისხმიერად მიიღო და აღადგინა ძველი კავშირი ლაზიკის მეფესთან. გუბაზს მოკავშირეობის აღდგენასთან ერთად გარკვეული მოთხოვნებიც ჰქონდა. ირანელთა წინააღმდეგ ომი მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვდა. გუბაზს წინასწარ ჰქონდა დადებული შეთანხმება ქვეყნის ჩრდილოეთით მოსახლე ალანებთან და საბირებთან მათი ჯარების დაქირავებაზე. ფული საჭრო იყო საკუთრივ ეგრისის სამეფო არმიის გასაახლებლად და მათი უკეთ შეიარაღების თვალსაზრისითაც. ამ მიზნით გუბაზი ერთიც მხრივ ალანების და საბირების ქირას, ხოლო მეორე მხრივ თავის კუთვნილ სარგოსაც მოითხოვს, რომელიც მას როგორც სილენტიარიოსის ტიტულის მფლობელს ერგებოდა. ეს სარგო გუბაზს მისივე განცხადებით 10 წლის მანძილზე არ მიუღია, ანუ 539 წლიდან მოყოლებული. პროკოპის შენიშვნით, გუბაზი სარგოს მას შემდეგ აღარ იღებდა, რაც ირანელებს შემოუძღვა ლაზიკაში.[59] პროკოპის ამ ჩვენებაში ქრონოლოგიური ლაფსუსი იგრძნობა,[60] ხოსრო I ანუშირვანის შემოსვლა ლაზიკაში 541 წელს ხდება, ხოლო სილენტიარიოსის ტიტულისთვის განკუთვნილი სარგოს დაგვიანება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, ვინაიდან გუბაზის წერილში საუბარია ათწლიან დაგვიანებაზე და არა რვაწლიანზე. მარტინდეილი ფიქრობს, რომ გუბაზი როგას მას შემდეგ აღარ იღებდა, რაც კონსტანტინოპოლიდან ლაზიკაში დაბრუნდა, ხოლო თავად სილენტიარიოსის ტიტული ბიზანტიის დედაქალაქში უნდა მიეღო 538 წლამდე, როდესაც იქ იმყოფებოდა, როგორც კლიენტი ქვეყნის უფლისწული, ფაქტობრივად მძევლის სახით.[61] იქვე, მას დასაშვებად მიაჩნია ვიფიქროთ, თითქოს გუბაზმა ეს ტიტული გამეფების მილოცვის ნიშნად მიიღო, თუმცა ამ ვერსიას, სრულიად სამართლიანად, თავადვე უარყოფს.[62] ვფიქრობთ, პროკოპისთან დაფიქსირებული ხოსროს შემოსვლა არ უნდა იყოს ბოლომდე ლაფსუსის შემცველი. გუბაზი მართლაც ვერ მიიღებდა როგას 541 წლის შემდეგ, ვინაიდან მან ბიზანტიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ირანის შაჰის არმია შემოიყვანა ეგრისში. გუბაზი საკუთარ წერილში ორივე მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას, ერთის მხრივ, ის საუბრობს სარგოს ათწლიან დაგვიანებაზე, ხოლო მეორეს

თებთ, ვინაიდან მათი ვრცელი, თუმცა არა ამომწურავი, ჩამონათვალი ზემოთ გვაქვს მოტანილი.

[59] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 103.

[60] PLRE. III, გვ. 559.

[61] PLRE. III, გვ. 559.

[62] PLRE. III, გვ. 559.

მხრივ, ახსენებს ხოსროს შემოსვლას, რაშიც დამნაშავე თავად იყო. გუბაზმა კარგად იცოდა, რომ 541 წლის შემდეგ მას აღარ ჰქონდა უფლება სილენტიარიოსის ტიტულზე როგა მოეთხოვა. ამიტომაც არის, რომ ის ყურადღებას ამახვილებს 539 წლის შემდეგ როგის დაგვიანებაზე, რომლის მიხედვითაც აშკარაა, რომ ბიზანტიის ხელისუფლება გუბაზს ხელფასს უგვიანებდა იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ხოსროს არმია შემოვიდოდა ეგრისში. გუბაზის წერილი ერთგვარი მობოდიშებაა ბიზანტიელების ინტერესების ღალატისთვის 541 წლის შემდეგ და თხოვნაა ეგრისის მეფე აღადგინონ იმ უფლებებში, რასაც ის 541 წლისთვის ფლობდა იმპერატორისგან.

პროკოპი კესარიელის განცხადებით, იუსტინიანე ფიქრობდა დაეკმაყოფილებინა თუ არა გუბაზის ეს მოთხოვნა ათწლიანი როგის თაობაზე,[63] რომელიც გუბაზს 541 წლის შემდეგ აშკარად არ ეკუთვნოდა იმპერატორის ინტერესების ღალატის გამო. გარკვეული დროის განმავლობაში იმპერატორი იუსტინიანე არც როგას გზავნის და არც ჯარის დაქირავებისთვის საჭირო ფულით ეხმარება ეგრისის მეფეს. პროკოპი ამას ბიზანტიის იმპერატორის მოუცლელობით ხსნის,[64] თუმცა რეალური მიზეზი გუბაზ მეფის უნდობლობა უნდა ყოფილიყო. იუსტინიანეს აზრით, გუბაზი არც როგას იმსახურებდა 541 წლის შემდეგ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იუსტინიანე I დიდი მაინც თანხმდება ფულის გადახდას და სრული როგის აღგდენას იმ წლების ჩათვლით, როდესაც გუბაზი გამოსულია იმპერატორის დაქვემდებარებიდან.[65] იუსტინიანე ამ გადაწყვეტილებას იღებს მას შემდეგ, რაც ეგრესელების აშკარა ჩართულობას შეამჩნევს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში.[66] გუბაზისა და მისი მეომრების სიმამაცემ და თავდადებამ იმპერატორი დაარწმუნა ეგრისის მეფის ერთგულებაში, რომლის ინტერესები ამჯერად რომაელთა სურვილებს ემთხვეოდა. ეჭვი აღარ იყო იმაში, რომ გუბაზის და სასანიანთა პოლიტიკური ინტერესები სხვადასხვა მიმართულებით წავიდა. გუბაზისა და ზოგადად ეგრისელთა მხარდაჭერა კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიისთვის. ადგილობრივი მოსახლეობის ლოიალობა ბიზანტიას უპირატესობას აძლევდა ირანთან ბრძოლაში. ამგვარად, 548 წლიდან გუბაზი კვლავინდებურად საიმპერატორო კარის სილენტიარიოსია.

[63] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 103-104.
[64] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 104.
[65] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 104, 113-114; PLRE. III, გვ. 559-560.
[66] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 104-114.

ერთადერთი პასაჟი, სადაც გუბაზ II-ის სილენტიარიოსობა დასტურდება პროკოპი კესარიელის ზემოთ აღნიშნული ცნობაა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ გუბაზს ეს თანამდებობა 539 წლამდე მიღებული ჰქონია. როგორც მარტინდეილი ვარაუდობს, იგი სარგოს იქამდე იღებდა სანამ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა და სილენტიარიოსის მოვალეობას ასრულებდა საიმპერატორო კარზე.[67]

გუბაზის, როგორც საიმპერატორო კარის სილენტიარიოსის, მოვალეობა ბიზანტიის იმპერატორის სასახლის კარის ცერემონიებში მონაწილეობის მიღება და იუსტინიანე იმპერატორის მსახურება იყო. სილენტიარიოსი ამ დროს მაღალი სენატორული პატივია, განსაკუთრებით ეს ითქმის სილენტიარიოსთა დეკურიონზე, რომელიც სილენტიარიოსებს მეთაურობს. დეკურიონი უმაღლესი რანგის სენატორი – ილუსტრისია. არ გვაქვს მონაცემები ვივარაუდოთ გუბაზის დეკურიონობა, მას, როგორც ჩანს, უბრალოდ, საიმპერატორო კარის სილენტიარიოსის თანამდებობა უნდა ჰქონოდა, რომელიც ეგრისში დაბრუნების შემდეგ ტიტულის სახით უმკვიდრდება, ვინაიდან ველარ შეძლებდა თანამდებობისთვის სავალდებულო მოთხოვნების ადგილზე, კონსტანტინოპოლში შესრულებას. მართალია წყაროში არ არის აღნიშნული გუბაზის ცხოვრება კონსტანტინოპოლში, თუმცა ეჭვი არ არის იმაში, რომ საიმპერატორო კარის სილენტიარიოსობა მას მხოლოდ იმპერიის დედაქალაქში ცხოვრების დროს უნდა მიეღო, რაშიც ვიზიარებთ მარტინდეილის მოსაზრებას.[68]

ზუსტი თარიღი, თუ როდის უნდა მიეღო გუბაზს სილენტიარიოსობა არ ჩანს. აშკარაა რომ ამ მოვლენას ადგილი 539 წლამდე ჰქონდა, როდესაც თანამდებობისთვის სარგოს იღებდა ყოველწლიურად, მაგრამ თუ რამდენად ადრე ამისი თქმა ჭირს. ეს პატივი გუბაზს 538 წლისთვის უკვე მიღებული აქვს. ამ წელს ის, სავარაუდოდ, კონსტანტინოპოლშია და კუთვნილ სარგოს ბიზანტიის ხაზინიდან იღებს. გუბაზი თავის წერილში პრეტენზიას 539-448 წლებში არ მიღებული სარგოს გამო გამოთქვამს, 538 წელთან და სხვა ადრეულ პერიოდის (თუ სილენტიარიოსობა მანამდე ჰქონდა მიღებული) როგასთან დაკავშირებით მას პრეტენზია არა აქვს. არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ პროკოპი კესარიელის ამ ცნობაში. ისტორიკოსი არქივში დაცულ წერილს დედანში ან ასლის მეშვეობით უნდა გაცნობოდა, საიდანაც თავის

[67] PLRE. III, გვ. 559.
[68] PLRE. III, გვ. 559.

თხზულებაში მხოლოდ მისი შინაარსი წარმოგვიდგინა.

გუბაზი, ეგრისის მეფე წათე I-სა და დედოფალ ვალერიანას შვილია, რომელიც 523 წელს უნდა დაბადებულიყო, წათესა და ვალერიანას ქორწილის შემდეგ. თეოფანე აღმსარებელის მიხედვით, აღნიშნული შეუღლება კონსტანტინოპოლში 522-523 წლებში შედგა.[69] „პასქალური ქრონიკის" მიხედვით, ქორწილი 522 წელს გაიმართა.[70] ეს თარიღი სანდოა, ვინაიდან „პასქალური ქრონიკა" კონსულობის წლების მიხედვით არის დალაგებული. თითოეული კონსულის მმართველობა ყოველი წლის 1 იანვრიდან აითვლება. საისტორიო წყაროთა შეჯერების საფუძველზე, შეიძლება ქრონოლოგიის შედარებით დავიწროებაც. თეოფანე ჟამთააღმწერელის მიხედვით, ქორწილი უნდა შემდგარიყო იმპერატორ იუსტინეს I-ის იმპერატორობის მე-5 წელს, რაც 522-523 წლებზე მოდის,[71] უფრო ზუსტად კი 522 წლის 9 ივლისი, ვინაიდან იუსტინე I-ის იმპერატორობის მე-5 წელი სწორედ ამ დღიდან დაიწყო.[72] აქედან გამომდინარე წათეს ბიზანტიაში გამგზავრება 522 წლის ივლის-დეკემბერში ხდება, ასევე მისი ქორწილი ვალერიანასთან.

იოანე მალალას ცნობით, წათე მამის გარდაცვალების შემდეგ უმალვე გაემართა კონსტანტინოპოლში, რათა იუსტინესგან სამეფო ნიშნები მიეღო.[73] წათეს ბიზანტიის დედაქალაქში ჩასვლა კი, როგორც ზემოთ ვიხილეთ, 522 წელს ხდება. ამდენად, 522 წლიდან წათე I ეგრისის ერთპიროვნული მეფეა.[74] შვილის მიერ მამის აღებული პოლიტიკური კურსის შეცვლა დამახასიათებელი იყო ლაზიკის სამეფო სახლისთვის, რაშიც ქვემოთაც დავრწმუნდებით.

---

69 The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 257-258.

70 Chronicon Paschale, გვ. 105.

71 The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 257.

72 Chronicon Paschale, გვ. 103; თეოფანეს მიხედვით 9 აპრილს, იხ.: The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 249, 257.

73 იოანე მალალა. გეორგიკა III, გვ. 263-264.

74 უპირატესად, წათეს გამეფების ეს თარიღია მიღებული დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგ. იხ.: PLRE. II, გვ. 1207; D. Braund. Georgia in Antiquity, გვ. 276-277; W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997, გვ. 176-177. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, უპირატესად, 523 წელი, რაც, როგორც ზემოთ ვიხილეთ, კორექტირებას საჭიროებს. წათე კონსტანტინოპლში 522 წლის 9 ივლისიდან ამავე წლის 31 დეკემბრის შუალედში ჩადის. სავარაუდოა 522 წლის ზაფხულის (9 ივლისის შემდეგ) ან შემოდგომის სეზონი.

ამრიგად, წათე კონსტანტინოპოლში 522 წლის 9 ივლისის შემდეგ ჩადის, იღებს ქრისტიანობას, სამეფო ნიშნებს, ცოლად ირთავს პატრიკიოსისა და ყოფილი კურაპალატის ნომოსის ოჯახის წევრს, ვალერიანას, ცხადდება იმპერატორ იუსტინე I-ის შვილობილად და დიდი საჩუქრებით დაჯილდოებული უკან ბრუნდება ეგრისში.[75] ცხადია, გუბაზი სწორედ ამ კავშირის შედეგად, მომდევნო წელს, უნდა დაბადებულიყო. ტახტის მემკვიდრე ლაზიკის სამეფო ოჯახში 523 წელს დაიბადა. გუბაზს ერთი ძმა, წათე და ერთი ღვიძლი და ჰყავდა, რომლის სახელიც წყაროებიდან ცნობილი არ არის.[76]

გუბაზი, როგორც აღვნიშნეთ, 538 წლისთვის კონსტანტინოპოლშია და საიმპერატორო კარის სილენტიარიოსის თანამდებობას იღებს. ის კონსტანტინოპოლში, როგორც ვასალური ქვეყნის მეფის შვილი ისე იმყოფება.[77] უნდა ვიფიქროთ, რომ მამის, წათე I-ის მსგავსად გუბაზიც კონსტანტინოპოლში დაოჯახდა, ჰყავდა შვილებიც.[78] 539 წლის მერე, ეგრისში დაბრუნების შემდეგ, მას სილენტიარიოსის ტიტულზე სარგო აღარ მიუღია. 541 წელს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მონარქის ცვლილების შემდეგ,[79] ეგრისის ახალი მეფე, გუბაზ II (541-555 წწ.) იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას და ირანელების მხარეს გადადის.

ეგრისის მმართველების მიერ პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება ბიზანტიური არმიისა და მოხელეების თვითნებობის შედეგი იყო. ამ თავგასულობას წათეს მეფობის დროიდან უნდა ჰქონოდა ადგილი. თუმცა, წათეს დროს ეგრისელებში არ ჩანს ირანელთა მხარეს დაბრუნების არანაირი განზრახვა. ანტიბიზანიური გრძნობების გამომჟღავნებას მხოლოდ გუბაზ II-ის დროს ჰქონდა ადგილი. წათეს, როგორც ჩანს, არ შეეძლო ირანელების ში-

[75] Chronicon Paschale, გვ. 105; The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 257.
[76] PLRE. III, გვ. 559.
[77] PLRE. III, გვ. 559.
[78] პროკოპი კესარიელი ასახელებს გუბაზის ცოლ-შვილს, თუმცა მისი დაოჯახების თარიღის შესახებ არაფერს წერს, იხ.: პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 205; PLRE. III, გვ. 560.
[79] თუ რომელი მეფე გარდაიცვალა 541 წელს წყაროებში არ ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო, ან წათე I, ანდა მისი ძმა, ოფსიტე. ამ უკანასკნელს ერთ შემთხვევაში პროკოპი თითქოს ლაზთა მეფედ ასახელებს. იხ.: პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 156. თუმცა, ეს ცნობა განმარტების სახით არის მოცემული და აჩენს ეჭვს, რომ შესაძლოა პროკოპის არც ეკუთვნოდეს, ყოველ შემთხვევაში, საკითხი საკამათოდ მიგვაჩნია და მას აქ აღარ შევეხებით.

შით კვლავ სასანიანთა მხარე დაეჭირა, ამდენად იგი ბიზანტიის იმპერატორების ერთგული რჩებოდა. მაგრამ მას მერე, რაც წათე ქრება საისტორიო წყაროებიდან და ეგრისის მეფედ უკვე გუბაზ II ჩანს, იგი იცვლის სუზერენს და სასანიანთა მხარეს გადადის. ახალი მეფის მიერ პოლიტიკური ვექტორის ცვლილებას გუბაზ II-ის მამის, წათე I-ის, მეფობის დასაწყისშიც ვაფიქსირებთ, რაც განმეორდა ამ შემთხვევაშიც.

გუბაზი სარგებლობს 540 წელს დაწყებული ირან-ბიზანტიის მორიგი ომით და სასანიანთა შაჰს დაუკავშირდება. აღნიშნულ ფაქტს ადგილი 541 წელს ჰქონდა, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო ეგრისის მეფის გარდაცვალებით და ახალი მეფის, გუბაზ II-ის ხელისუფლების სათავეში მოსვლით, რომელმაც ლაზიკის პოლიტიკური ვექტორი კვლავ სასანიანთა ირანის მხარეს შემოატრიალა. გუბაზის თხოვნით ირანის შაჰის, ხოსრო I ანუშირვანის სპარსული არმია ეგრისში შემოვიდა. ამ მოვლენას შედეგაც მოჰყვა ახალი ფრონტის გახსნა ირან-ბიზანტიის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთში.

541-548 წლებში გუბაზი ირანელების მხარდაჭერით ბიზანტიის იმპერიას უპირისპირდება, რის გამოც იმპერატორისგან წყალობას, სილენტიარიოსის ტიტულზე დაწესებული როგის სახით, ვეღარ იღებს. 548 წელს გუბაზ მეფე განაახლებს კავშირს ბიზანტიის იმპერატორთან, ამჯერად ირანელების წინააღმდეგ, რაც გამოწვეული იყო სპარსელების ექსპანსიის გაძლიერებით და შაჰის მცდელობით თავიდან მოეშორებინათ ძლიერი პოზიციების მქონე გუბაზ II. ლაზიკის მეფისთვის ხოსროს ეს გადაწყვეტილება მალევე გახდა ცნობილი, რამაც ეგრისის სამეფო სახლის პოლიტიკური ორიენტაცია კვლავინდებურად ბიზანტიისკენ შემოატრიალა. იუსტინიანე იმპერატორმა გუბაზის მოთხოვნის შესაბამისად ეგრისის მეფეს განუახლა როგა და გამოუყო სხვა ფინანსური შემწეობები, რითიც ბიზანტია-ეგრისის პოლიტიკური კავშირი კვლავინდებურად ძველ ნიშნულს დაუბრუნდა.

გუბაზი სილენტიარიოსის ტიტულს სავარაუდოდ, ცხოვრების ბოლომდე 555 წლამდე ინარჩუნებს. საისტორიო წყაროებში არ ჩანს გუბაზ II-ის რაიმე სხვა ბიზანტიური საიმპერიო-საკარისკაცო ტიტული. გუბაზი თავის ტრაგიკულ აღსასრულამდე ბიზანტიის იმპერატორის მოკავშირე და ვასალია. 555 წლის სექტემბერს ან ოქტომბერს ის ბიზანტიელმა სარდლებმა მოკლეს.[80] მიუხედავად ბიზანტიელი სარდლების მხრიდან მოსალოდნელი ღალა-

[80] The Roman Eastern Frontier and The Persian Wars. II, გვ. 121. რიგი ქართველი მკვლევარებისა ამ მოვლენას 554 წლით ათარიღებენ, იხ.: ივ. ჯავახიშვი-

ტის ბრალდებისა ეგრისის მეფე 548 წლის შემდეგ ცხოვრების ბოლომდე პრობიზანტიური კურსის ერთგული იყო, თუმცა არავინ იცის თუ როგორ მოიქცეოდა ლაზთა მონარქი, იმ შემთხვევაში, თუ 555 წლის შეთქმულებას გადაურჩებოდა.

ამგვარად, ყველაფერი ზემოთ თქმულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფლისწული გუბაზი 538 წლისთვის, კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარის სილენტიარიოსის თანამდებობას იღებს. ეგრისში დაბრუნების შემდეგ ის ინარჩუნებს სილენტიარიოსობას ტიტულის სახით. 539-541 წლებში ეგრისში ყოფნისას ის კვლავინდებურად იმპერატორის ვასალია, თუმცა ტიტულზე დაწესებულ ხელფასს არ იღებს, სავარაუდოდ, იმ დაგვიანებებისთვის, რასაც დიდი მანძილი განაპირობებდა. 541 წელს ეგრისში შექმნილი ბიზანტიელი მოხელეების თავნებობის გამო ლაზიკაში ახლადგამეფებული გუბაზ II (541-555 წწ.) ირანის მხარეს გადადის და ეგრისში შაჰის არმიას შემოიყვანს. აღმოსავლეთ რომის იმპერიის ინტერესების ღალატის გამო 541-547 წლებში გუბაზ II-ს სილენტიარიოსის ტიტულზე ხელფასი არ მიუღია. ის ამ დროს სილენტიარიოსი აღარ არის. 548 წელს ირანელთა ექსპანსიით და მუხანაობით გულმოსული გუბაზ II კვლავ უბრუნდება პრობიზანტიურ ორიენტაციას. გუბაზი იმპერატორ იუსტინიანე II დიდს წერილით მიმართავს, რათა აღუდგინონ სილენტიარიოსის ტიტულზე დაწესებული სარგო. ეგრისის მეფე ათი წლის როგასთან ერთად, ასევე ალანებისა და საბირების დასაქირავებლად განკუთვნილ ფულსაც ითხოვს. მცირეხნიანი ყოყმანის შემდეგ იუსტინიანე მას სამას ლირტ ოქროს უგზავნის და სრულად აკმაყოფილებს გუბაზის მოთხოვნებს. იმპერატორის მიერ გაგზავნილი ათი წლის ხელფასით გუბაზი სილენტიარიოსად ჩაითვალა იმ პერიოდშიც, როდესაც იგი სპარსელების მხარეს იბრძოდა ბიზანტიის წინააღმდეგ. ამის შემდეგ გუბაზ II ცხოვრების ბოლომდე სილენტიარიოსია და, სავარაუდოდ, როგას სისტემატიურად იღებდა. ეგრისის მეფის ტიტულის ცვლილების შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, შესაბამისად, 555 წლის სექტემბერ-ოქტომბერს ჯერ კიდევ პრობიზანტიური ორიენტაციის მქონე ლაზთა მეფე ბიზანტიელმა სარდლებმა მუხანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს.

ლი. თხზულებანი. I, გვ. 296; გეორგიკა. III, გვ. 42; ა. ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელწიფოები VI-VIII საუკუნეებში, გვ. 262; მკვლელობის თარიღად 553 წელს მიიჩნევენ შემდეგი ავტორები: ს. ჯანაშია. შრომები. I, გვ. 58; ნ. ლომოური. საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა. I, გვ. 200-201.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გუბაზი სილენტიარიოსია 538-555 წლებში, შესაძლოა ის ამ წოდებას ატარებდა 538 წლამდეც. აქედან პასიურ როლშია 541-547 წლებში ირანელთა მხარეს გადასვლის გამო, თუმცა ბიზანტიის იმპერატორმა ეს აპატია და აღნიშნული პერიოდის ხელფასი ბოლომდე გადაუხადა, რითიც გუბაზი ამ დროის განმავლობაშიც სილენტიარიოსად ჩაითვალა. ეგრისის სამეფო სახლის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენლის მიერ სილენტიარიოსის ტიტულის ფლობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ტიტული ქართული პოლიტიკური სამყაროს სხვა წევრებზეც უნდა ყოფილიყო გაცემული. თუმცა, მათი ვინაობა ამ ეტაპისთვის ვერ მოვიძიეთ.

სილენტიარიოსის შემოსავალი

სილენტიარიოსის ტიტულზე გაცემული სარგოს ზუსტი ოდენობა ბიზანტიური წყაროებიდან არ ჩანს. გუბაზ მეფესთან მიმართებაში რისი თქმაც შეიძლება არის ის, რომ ათი წლის როგა და ამას დამატებული მოქირავნეთა ჯამაგირი სამ ცენტენარიაზე, ანუ სამას ლიტრ ოქროს ფულზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ეს იყო ის ფული, რომელსაც ეგრისის მეფე გუბაზი ითხოვდა იმპერატორისგან.[81] მარტინდეილი ფიქრობს, რომ ეს იყო ის ფული, რომელსაც გუბაზი ითხოვდა ალანებისა და ჰუნების დაქირავების მიზნით, ასე ესმით პროკოპის ეს ცნობა გრეტრესა და ლიუს.[82] გამოდის, რომ გუბაზს სილენტიარიოსის ათი წლის ჯამაგირი კიდევ ცალკე უნდა მოეთხოვა. ბუნებრივია, სილენტიარიოსის სარგო არ იყო იმდენად დიდი, რომ მას რაიმე მნიშვნელოვანი თანხა შეედგინა იმ სამი ცენტენარიიდან, რომელსაც გუბაზი ითხოვდა მოქირავნეებისთვის. სამასი ლიტრი ოქრო გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო სილენტიარიოსის ათი წლის როგაზე, შესაბამისად, ის ცალკე უნდა გაცემულიყო ალან და საბირ მეომრებზე. საინტერესოა თუ რამდენი იყო სილენტიარიოსზე გაცემული ერთი წლის ხელფასი.

[81] PLRE. III, გვ. 559; The Roman Eastern Frontier and the Persian Wars. II, გვ. 117. საუბარია ლათ. „ლიბრა“, იგივე ბერძ. „ლიტრა“, ანუ ქართ. ლიტრზე. აღნიშნული რომაული წონითი ერთეული ქართულად სწორედ ამგვარად ითარგმნება. შესაბამისად, არ უნდა აგვერიოს თანამედროვე წონით ერთეულში. ერთი რომაული ლიტრი (ლიბრა) ოქრო იმ დროს დაახლ. 319 გრ. ოქროს უდრიდა. „ცენტენარია“, ანუ „კენტენარია“ ასს გულისხმობს, შესაბამისად, სამი ცენტენარია სამასი ლიტრი ოქროს ფული გამოდის.

[82] PLRE. III, გვ. 559-560; The Roman Eastern Frontier and the Persian Wars. II, გვ. 117.

როგორც ზემოთ მივუთითეთ საისტორიო წყაროებში პირდაპირ არ ჩანს, თუ რამდენი იყო სილენტიარიოსის ყოველწლიური როგა, მაგრამ გარკვეული დეტალების დადგენა მაინც ხერხდება.

„უსპენსკის ტაკტიკის“ მიხედვით, რომელიც 842-843 წლებშია შედგენილი სილენტიარიოსი უფრო დაბალი რანგია, ვიდრე კანდიდატოსი, ხოლო ერთი საფეხურით მაღლა დგას, ვიდრე მანდატორი.[83] ცოტა უფრო მოგვიანებით, იმპერატორი ლეონ VI ბრძენის (886-912 წწ.) დროს შედგენილია იმ დანახარჯების მოკლე ჩამონათვალი, რომელსაც ტიტულის მფლობელები გასცემენ წოდების მიღებისთვის და, ასევე, დასახელებულია ის ყოველწლიური ხელფასები, რომელსაც საიმპერატორო კარი იხდის კონკრეტული რანგის გადაცემისას. აღნიშნული დოკუმენტი შესულია ლეონ VI ბრძენის შვილის, იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნში“ სათაურით: „ჩამონათვალი დანახარჯებისა გაღებული მათ მიერ ვინც არის პატივდებული, ორივე – რანგსა და თანამდებობაზე – როგორც ეს იყო ლეონ (VI) ქრისტესმოყვარე დესპოტის დროს“.[84]

ლეონ VI-ის დროს შედგენილი ამ დოკუმენტის მიხედვით, პიროვნება რომელსაც სურს მიიღოს მანდატორის ტიტული იხდის 2 ლიტრ ოქროს, ხოლო ის, ვისაც სურს მიიღოს კანდიდატოსობა იხდის 3 ლიტრ ოქროს.[85] აქვე, „ცერემონიების წიგნში“, აღნიშნულია, რომ ის ვინც იხდის კონკრეტული რანგისთვის 1 ლიტრ ოქროს ეძლევა ხელფასი 7 ნომიზმის ოდენობით.[86] ამგვარად, რაც უფრო მეტია გადასახადი ხელფასის რაოდენობაც იზრდება. აღნიშნული მოცემულობის მიხედვით, მანდატორის ხელფასი 14 ნომიზმა გამოდის, ხოლო კანდიდატოსის 21 ნომისმა. ამ ლოგიკით სილენტიარიოსის ხელფასი 14-21 ნომიზმას შორის უნდა მერყეობდეს, თუმცა ეს არ გამოდგება როგის განაწილების პრინციპის ამოხსნისთვის. სხვა შემთხვევებში ყოველწლური როგა რანგის ღირებულების 2,38-3,47% იყო,[87] ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში კი თითქმის 10% გამოდის.

ყველა შემთხხვევაში ზემოთ დასახელებული ციფრები უჩვენებს საიმპერატორო კარის სილენტიარიოსის შემოსავლის მიახლოებულ ოდენობას IX

[83] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 60-63.
[84] The Book of Ceremonies, გვ. 692-694; ODB. I, გვ. 597.
[85] The Book of Ceremonies, გვ. 692.
[86] The Book of Ceremonies, გვ. 692.
[87] P. Lemerle. «Roga» et rente d'État aux Xe-XIe siècles. REB. Tome 25. 1967, გვ. 82.

საუკუნის შუა წლებიდან X საუკუნის დასაწყისამდე. სილენტიარიოსის ხელფასი ამ დროს საკმაოდ დაბალია, იმპერატორს ეს ტიტული შეეძლო გაეცა ქრთამის აღების გარეშე, ხოლო ოფიციალური ქრთამის აღების შემდეგ გაცემული ხელფასი ამ და სხვა ტიტულებზე (კანდიდატოსი, მანდატორი და ა.შ.) იმდენად ცოტა იყო, რომ მისი მფლობელი ამ თანხას როგის მეშვეობით ვერასდროს აინაზღაურებდა. აქედან ჩანს, რომ ტიტულები ბიზანტიაში ხშირ შემთხვევაში სოციალური სტატუსის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე ფინანსური შემოსავლის.

ცნობილია, რომ პროტოსპათარიოსის ყოველწლიური როგა დიდი ხნის განმავლობაში, სულ მცირე 899-1074 წლებში, სტაბილურად, 1 ლიტრ ოქროს, ანუ 72 ნომიზმას შეადგენდა.[88] თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ IX საუკუნეში ე.წ. „უსპენსკის ტაკტიკისა“ და ფილოთეოსის „კლეტოროლოგიონის“ მიხედვით, სილენტიარიოსის ტიტული მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა პროტოსპათარიოსისას,[89] ბუნებრივია, მასზე დაწესებული როგა, ანუ ხელფასი, გაცილებით დაბალი იქნებოდა. თუმცა ეს არის IX საუკუნის ვითარების ამსახველი, რაც გრძელდებოდა X საუკუნეში და შემდეგ, ვიდრე სილენტიარიოსის ტიტული არსებობს.

ზემოთ განხილული მასალებიდან არ ჩანს ის, თუ რამდენი იყო სილენტიარიოსის სარგო VI საუკუნეში, როდესაც გუბაზი მსახურობდა ჯერ, როგორც საიმპერატორო კარის სილენტიარიოსი, ხოლო შემდეგ კი ამავე ხარისხის მფლობელი ტიტულის სახით მას შემდეგ, რაც სამშობლოში დაბრუნდა. ორივე შემთხვევაში გუბაზის როგა თანაბარი უნდა ყოფილიყო. მეტი დეტალები სამწუხაროდ ვერ გავარკვიეთ.

[88] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 126-127; П. Безобразов. Хрисовул императора Михаила VII Дуки. ВВ. 6. СПБ. 1899, გვ. 142; P. Lemerle. «Roga» et rente d'État aux Xe-XIe siècles, გვ. 93-96; M. F. Hendy. Studies in the Byzantine Monetary Economy c. 300-1450. Cambridge University Press. 1985, გვ. 185-186.

[89] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 50-53, 62-63, 142-147, 156-157.

სილენტიარიოსის დამტკიცების ცერემონია, ინსიგნიები და ინვესტიტურა

საიმპერატორო კარის სილენტიარიოსის დამტკიცების ცერემონიისა და ინსიგნიებისა და ინვესტიტურის შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, პეტრე პატრიკიოსის (დაახ. 500-565 წწ.) მიერ შედგენილი თხზულება ბიზანტიური თანამდებობების შესახებ, რომელიც მართალია ჩვენამდე დამოუკიდებელი ნაშრომის სახით არ არის მოღწეული, მაგრამ გამოყენებულია მრავალი, სხვადასხვა ავტორის მიერ.[90]

პეტრე პატრიკიოსის ნაშრომის ერთი ნაწილი დაცულია კონსტანტინე VII პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნში". აღნიშნული ნაწილი მოქცეული 86-ე თავში (ვოგის მიხედვით 95-ე თავი) და დასათაურებულია შემდეგნაირად: *„სხვადასხვა თანამდებობების შესახებ და თუ სად გადაეცემათ და რა არის შესაბამისი თითოეული სკრინიისათვის, რაც ჩვენ მოვიძიეთ ამ დროისთვის"*:[91]

პეტრე პატრიკიოსის ნაშრომი მიხედვით, სილენტიარიოსი მნიშვნელოვანი თანამდებობაა და მისი დანიშვნა უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის წინაშე აუდიენციის დროს ხდება.[92] თუმცა, პეტრე იქვე ამატებს, რომ მისი თხზულების ამ ნაწილში დასახლებული თანამდებობებზე დანიშვნა შეიძლება მოხდეს, როგორც საზეიმო დღეებში, ასევე დარბაზობის დროს და, ასევე, თუ იმპერატორი ისურვებს მასთან აუდიენციის გარეშეც.[93] ნაშრომში მოკლედ არის აღწერილი უშუალოდ დამტკიცების ცერემონიალიც, ასევე საუბარია სილენტიარისის შესამოსელზე და ინსიგნიებზე. იქვე საუბარია სხვა მრავალ დეტალზე, რაც სილენტიარიოსის ტიტულის მფლობელს უკავშირდება სწორედ იმ დროს, როდესაც ამ წოდებას ეგრისის მეფე, გუბაზ II ფლობდა, ამდენად, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება მისი გაცნობა აღნიშნული წყაროს ციტირების გზით კონსტანტინე VII პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნის" მიხედვით. ნაწარმოებში ვკითხულობთ:

---

[90] პეტრე პატრიკიოსის მოღვაწეობის შესახებ იხილეთ: ODB. III, გვ. 1641.
[91] The Book of Ceremonies, გვ. 389.
[92] The Book of Ceremonies, გვ. 389.
[93] The Book of Ceremonies, გვ. 389, 392-393.

„პრეპოსიტოსს[94] ის, ვინც სილენტიარიოსად ინიშნება შემოსილი მოყავისფრო-მოწითალო ხლამიდით, მიჰყავს დესპოტთან,[95] ხოლო ოსტიარიოსი[96] გადასცემს ოქროს ნივთებს დესპოტს. ბასილევსი გადასცემს მას იმას, ვინც დაინიშნა სილენტიარიოსად და ეს არის მისი თანამდებობის [სიმბოლო]. ის ასევე იღებს, რასაც უწოდებენ ნირეგიატონს, რაც არის ლათინურში ნებენსიატიონი,[97] რაც ჩვენთვის არის დადგენილება გამოცემული სკრინიაში,[98] რომელიც აწარმოებს რეგისტრაციას. ამავე დროს, გარეთ ისინი დებენ ხელშეკრულებას ერთმანეთთან, მყიდველი გამყიდველთან, თუ ის არის დანიშნული თანამდებობაზე, რომელიც ჯერ კიდევ დაკავებულია, განცხადება მოვლენის შესახებ უნდა გავრცელდეს მაგისტროსის მიერ, რომელიც უბოძებს მას ვინც თანამდებობას ფლობს იმის უფლებას, რომ მას (მიმდინარე თანამდებობის მფლობელს – ლ.თ.) შეუძლია დანიშნოს თავის ადგილზე ახალწვეული (მომავალი თანამდებობის მფლობელი) სანამ ის (მიმდინარე თანამდებობის მფლობელი – ლ.თ.) ჯერ კიდევ აგრძელებს თანამდებობაზე ყოფნას. ამავე დროს, დამატებით დანიშნული მოხელე არ იღებს გასამრჯელოს სამო-

---

[94] იგივე, წმინდა კუბიკულის პრეპოსიტოსი – იყო ბიზანტიის იმპერიის წამყვანი ევნუხი (საჭურისი), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საიმპერატორო სასახლეში და ებარა საწოლის მეთვალყურეობა, ასევე ასრულებდა ცერემონმაისტერის ფუნქციას. ხელმძღვანელობდა კუბიკულარიოსებს, რომლებიც მესაწოლეების ფუნქციას ასრულებდნენ. მოგვიანებით მისი მოვალეობები პარაკიმომენოსმა შეითავსა რის გამოც ამ მოხელის ფუნქციები შესუსტდა. პრეპოსიტოსობა ტიტულის სახით ევნუხებს გადაეცემოდათ, ხოლო ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) დროს საერთოდ გაუქმდა, იხ: ODB. III, გვ. 1709.

[95] ამგვარი სახით იწოდება ბიზანტიის იმპერატორი. „დესპოტი“ ბატონს, უფალს, ნიშნავს და წამოადგენს ბიზანტიის იმპერატორის ერთ-ერთ ტიტულს, რაც აქტიურად გამოიყენება ამ პერიოდში.

[96] საიმპერატორო კარის ერთ-ერთი მოხელე. მომდინარეობს ლათინური „ოსტიარიუსიდან“, რაც კარისმცველს ნიშნავს. თავდაპირველად გადაეცემოდათ ევნუხებს, ხოლო მოგვიანებით სხვადასხვა უწყებაში მომსახურე პირებს. თანამდებობის პარალელურად გაიცემოდა ტიტულის სახითაც. იარსება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, სულ მცირე XI საუკუნის ჩათვლით და შესაძლოა უფრო გვიანობამდეც. იხ.: ODB. III, გვ. 1540.

[97] ბერძნულად იქნება ნევენსიატიონი, თუმცა რახან ლათინურზეა საუბარი გადმოგვაქვს ძველი ლათინური ფორმით – ნებენსიატიონი.

[98] ანუ სახელმწიფო სამსახური, ოფისი, სადაც ხდებოდა სხვადასხვა სახის ოფიციალური, ბიუროკრატიული საქმეების წარმოება. ამ შემთხვევაში აღნიშნული სკრინია საკანცელარიო საქმის წარმოებით არის დაკავებული.

ქალაქო ხელფასის სახით სანამ ის არ მიიღებს სტატუსს“.[99]

პეტრე პატრიკიოსის აღნიშნული ტექსტის მიხედვით, სილენტიარიოსის დამტკიცება იმპერატორის წინაშე აუდიენციის დროს ხდება, როდესაც საიმპერატორო სასახლეში მას პრეპოსიტოსი მოუძღვება. ის არის წმინდა კუბიკულის პრეპოსიტოსი, რომელიც კონსტანტინე VII პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნის“ მიხედვით, ხელმძღვანელობს ბიზანტიის იმპერიის ყველა წამყვანი ტიტულის მფლობელთა დამტკიცების ცერემონიას. პრეპოსიტოსის მონაწილეობით, ხელმძღვანელობით და იმპერატორის წინაშე აუდიენციაზე წარდგენით, კონკრეტული პირის ტიტულზე დამტკიცება ამ მოვლენის მნიშვნელობის მაჩვენებელია. უდავოა, რომ სილენტიარიოსი VI საუკუნის ბიზანტიაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობა თუ ტიტული იყო, ვიდრე მოგვიანებით, მომდევნო, ან IX-X საუკუნეებში.

ინსიგნიებთან დაკავშირებით პეტრე პატრიკიოსის აღნიშნავს, რომ ოსტიარიოსი იმპერატორს ოქროს ნივთებს გადასცემს, რომელიც მან ახლად დანიშნულს უნდა უბოძოს. იმპერატორის ხელიდან ოქროს ნივთების მიღების შემდეგ სილენტიარიოსი ოფიციალურად ინიშნება თანამდებობაზე. სამწუხაროდ, პეტრე პატრიკიოსთან არ არის დაკონკრეტებული თუ რა სახის ოქროს ნივთებზეა საუბარი, თუმცა ტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ სილენტიარიოსის ინსიგნიები ოქროსი ყოფილა. სამაგიეროდ აღწერილია ინვესიტურა, ანუ შესამოსელი.

სილენტიარიოსის ინვესტიტურა მოყავისფრო-მოწითალო ფერის ხლამიდა ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფერის ხლამიდა წარმოადგენდა სხვა მაღალი რანგის სენატის წევრთა შესამოსელსაც, რითიც ისინი იმოსებოდნენ საიმპერატორო კარის ცერემონიების დროს.[100] კონსტანტინე პორფიროგენეტის ტექსტში, სინკლეტის ანუ სენატის წევრთა ხლამიდა, რომ სილენტიარიოსის ხლამიდის ანალოგიაა ამ უკანასკნელის საკმაოდ დაწინაურებულ მდგომარეობას უჩვენებს VI საუკუნეში. ის ერთ-ერთი საპატიო და ღირსეული სენატორია, რაშიც ქვემოთაც დავრწმუნდებით.

ნირეგიატონი, ანუ ნებენსიატონი, სილენტიარიოსის მიერ მიღებული ოფიციალური დოკუმენტია, რაც მის მიერ აღნიშნული თანამდებობის ფლობას ადატურებს. აღნიშნულ ტერმინს უკავშირებენ ინვესიატუმს, ანუ ინვესტიტუმს, რაც ლათინურად თანამდებობაზე აყვანას, ანუ დანიშვნას აღნიშ-

[99] The Book of Ceremonies, გვ. 389.
[100] The Book of Ceremonies, გვ. 241-242.

ნავს.[101] როგორიც არ უნდა იყოს მისი ეტიმოლოგია ყველა შემთხვევაში ნი-რეგიატონ/ნებენსიატონის სახით სილენტიარიოსის წოდების მფლობელი ოფი-ციალურ საბუთს იღებს, რითიც მას თავისი ტიტული უმტკიცდება. აღნიშნუ-ლი დოკუმენტის გამომცემი შესაბამისი სკრინიაა, სადაც მსგავსი სახის და-ნიშვნები აღირიცხება. ყველაფერი ეს აუცილებელი იყო ფინანსური სახის დანახარჯების გამოთვლისთვისაც, ვინაიდან სილენტიარიოსების, ისევე რო-გორც სხვა თანამდებობის პირების დიდი ნაწილი ოფიციალურ ჯამაგირს იღებდნენ.

პეტრე პატრიკიოსის ტექსტში გადმოცემულია, ასევე თანამდებობებით ვაჭრობის ის საინტერესო დეტალი, რომელიც მართალია არ არის კავშირში დანიშვნის ცერემონიასთან, მაგრამ, გარკვეულწილად, იმ სოციალური სუ-რათის ასახვაა, რასაც ადგილი ჰქონდა VI საუკუნის ბიზანტიის დედაქა-ლაქში.

სილენტიარიოსისა და, ასევე სხვა ტიტულები ბიზანტიაში იმდენად პოპულარული იყო, რომ სხვადასხვა პირები იმ შემთხვევაში თუ ამ თანამ-დებობას იმპერატორისგან ვერ მიიღებდნენ ცდილობდნენ მისი ყიდვა მოეხერ-ხებინათ კერძო პირებისგან. კერძო პირები საკუთარ ტიტულებსა თუ თანამ-დებობებს, როგორც ჩანს, შედარებით იაფად ყიდიდნენ, ვიდრე ამას საიმპერა-ტორო ხელისუფლება აკეთებდა. ყველაფერი ეს საიმპერატორო სასახლის გარეთ ხდებოდა და მას ოფიციალური სახე ჰქონდა. საბოლოოდ ყველაფერს მაგისტროსი, ანუ ოფიციორუმის მაგისტრი აფორმებდა.

ამგვარად, ძველ თანამდებობის მფლობელს შეეძლო გაეყიდა თავისი მდგომარეობა საკუთარი შემოსავლის ჩათვლით, ხოლო ახალი მფლობელი მხოლოდ მას შემდეგ იღებდა ხაზინიდან ხელფასს, როდესაც სრულფასოვნად დაეუფლებოდა ახალ სტატუსს. ბუნებრივია, ტიტულითა და თანამდებობებით ვაჭრობის აღნიშნული პრაქტიკა სილენტიარიოსსაც ეხება. თუმცა გამომდინა-რე იქიდან, რომ მთელს ამ გარიგებას უმაღლესი რანგის საიმპერატორო კა-რის მოხელე, მაგისტროსი, აგვარებდა უნდა ვიფიქროთ რომ ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან თანამდებობას ან ტიტულს ეხებოდა საქმე შეთანხმებული უნდა ყოფილიყო საიმპერატორო კართან.

მნიშვნელოვანია, ასევე იმისი აღნიშვნაც, რომ სილენტიარიოსები, რომელთა ოდენობა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, თავდაპირველად ოცდაათი იყო, როგორც ჩანს, ამ რიცხვიდან ოთხი იმპერატრიცას, ანუ ბიზანტიის იმ-

[101] The Book of Ceremonies, გვ. 389.

პერიის დედოფლის სამსახურში იდგნენ. პეტრე პატრიკიოსის მიხედვით, მათ განსაკუთრებული, ღირსეული და კარგი რეპუტაციის მქონე მამაკაცებისგან არჩევდნენ. ისინი დედოფლის ერთ-ერთ ყველაზე ახლო პირებად ითვლებოდნენ. იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნში" ვკითხულობთ:

„აღსანიშნავია ისიც, რომ პირადი შემადგენლობიდან დესპოინას[102] *სამსახურისთვის ოთხი სილენტიარიოსი არის განსაზღვრული, მამაკაცები, ვისაც აქვთ კარგი რეპუტაცია და ვინც ღირსეულად აჩვენა თავისი განვლილი ცხოვრების გზა. მათ ვისაც დესპოინა შეარჩევს მოყვანილები არიან მის წინაშე. ის იღებს ოქროს ნივთს ოსტიარიოსისგან და გადასცემს მას სილენტიარიოსს, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ფლობს ამ თანამდებობას. ეს ოთხი მისი [დესპოინას] მსახურთაგან არიან [ერთ-ერთი ყველაზე] ახლო თანმხლები პირები".*[103]

პეტრე პატრიკიოსის ტექსტში ჩანს, რომ განსაკუთრებით დამსახურებულ პირებს მათი პატრონის გარდაცვალების შემდეგ მაინც ტოვებდნენ საიმპერატორო კარის სამსახურში. მისივე აღწერილობის მიხედვით, დედოფალ თეოდორას გარდაცვალების (548 წ.) შემდეგ დედოფლის რეფერენდიარიოსი იმდენად საჭირო პირად ჩაითვალა, რომ იმპერატორი იუსტინიანე I-ის ბრძანებით ის თავისთან გადმოიყვანა სამსახურში, ვინაიდან ავგუსტა უკვე გარდაცვლილი იყო.[104] ამგვარად, დამსახურებულ თანამდებობის პირებს ამაგს იშვიათად უკარგავდნენ.

თანამდებობის პირებისა, თუ ტიტულის მფლობელთა, მათ შორის სილენტიარიოსთა, დანიშვნის ცერემონიის შესახებ პეტრე პატრიკიოსი აღნიშნავს, რომ ის ნებისმიერ დროს შეიძლება გამართულიყო იმპერატორის სურვილის შესაბამისად. ტექსტში ვკითხულობთ:

„თუმცა, ჩვენი ღმრთისმორწმუნე დესპოტი ორივე, საზეიმო დღეებში და დარბაზობის დროსაც, იძლევა ბრძანებას რომ ყველა ეს თანამდებობა შეივსოს აუდიენციის გარეშე".[105]

ბიზანტიის იმპერატორის ბრძანება საიმპერატორო კარისთვის კანონი იყო, მაგრამ, როგორც თავად ტექსტის დასაწყისში ჩანს სილენტიარიოსის

[102] დესპოტის ცოლი, ბიზანტიის დედოფალი, იგივე იმპერატრიცა.
[103] The Book of Ceremonies, გვ. 389-390.
[104] The Book of Ceremonies, გვ. 390.
[105] The Book of Ceremonies, გვ. 392-393.

დამტკიცება, რომელიც VI საუკუნეში შეზღუდული რაოდენობით არსებობდა მაინც, უპირატესად, სპეციალური ცერემონიის ფარგლებში ხდებოდა. ანალოგიურ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა კონსტანტინოპოლში ლაზი უფლისწულის, მომავალი მეფის, გუბაზის საიმპერატორო კარის სილენტიარიოსად დამტკიცებისას. ყველაფერი ზემოთ აღწერილი, საერთო ჯამში, ვფიქრობთ, კარგად ახასიათებს იმ გარემოს, რომელშიც ქართველ სილენტიარიოსებს უწევდათ ტიტულის, ინსიგნიების, ინვესტიტურის, საბუთებისა და როგის მიღება. აღნიშნული საინტერესოა როგორც ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მიმდინარე პროცესებს, ასევე მასში ქართველების მონაწილეობის აღწერის თვალსაზრისითაც.

შემოკლებათა განმარტება:

გეორგიკა I-VIII – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. რვა ტომეული. გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1934-1970.

ODB I-III – The Oxford Dictionary of Byzantium. 3 vols. Ed. by A. Kazhdan. Oxford University Press. 1991.

PLRE I-III – Prosopography of Later Roman Empire. I-III. Vol. I by A.H.M. Jones, J.R. Martindale, J. Morris, Vols. II-III by J.R. Martindale. Cambridge University Press. 1971-1992.

RE – Paulys Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft.

REB – Revue des Études Byzantines.

ВВ – Византийский временник.

Leri Tavadze

THE TITLE OF SILENTIARIOS IN GEORGIA AND BYZANTIUM

Summary

The title of silentiarios was among important titles in Byzantine Empire. The group of silentiarioi was created by the emperor Constantine I the Great (306-337). The function of silentiarios was to secure order and silence in the imperial palace of Constantinople. In the beginning there were thirty silentiarioi in Byzantium headed by three decurions. The most notable decurion of silentiarioi was the future emperor Anastasius in the 5th century.

Gubazes II king of Lazica also held the post of imperial silentiarios of Byzantium. Born in 523 in the family of the Lazi king Tzathes and the Roman noble woman Valeriana, Gubazes lived in Constantinople before his occupation of the royal throne of Lazica. In 538 he lived in Constantinople as a prince of Lazica. Probably, he was the hostage as a family member of the client king of the Eastern Roman Emperor. We do not know exactly the date when he had received the position of imperial silentiarios, but already in 538 he is holding this title. In 539 he returned to his homeland, but he did not receive any payment (rhoga) for his title which was preserved for him during his stay in Lazica. Probably, that was a delay. Lazica was far from Constantinople, besides, Byzantine rulers alwayes hesitated to send money in remote regions of the Byzantine sphere of influence.

In 541 Gubazes made rebellion against Byzantines and invited Persians in Western Georgia. From 541 to 548 he did not receive any rhoga due to his desertion to Sassanids. In 548 the Persian plot was discovered against the Lazi king. Gubazes switched his allegiance again, now in favour for the Byzantine Emperor. He sent the letter to Justinian I (527-565) and asked him to pay his 10 years rhoga, as well as three centenaria (three hundred libra of gold) to hire Alans and Sabirs from the North Caucasus. After some hesitation Justinian send whole 10 years rhoga and money for recruitment of the Alans and the Sabirs. After that Gubazes was reestablished in his former status of imperial silentiarios. The payment of whole ten years rhoga suggests that he was reckoned as silentiarios even when he was rebellious against Byzantines. Gubazes kept his title of silentiarios until his assassination in 555.

The function, insignia, investiture, ceremony and salary of silentiarios in the Byzantine Commonwealth is also investigated in this article.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

მიხეილ ბახტაძე

ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში

ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველი დინასტიის, ბაგრატიონების წარმომადგენლები ატარებდნენ როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ ტიტულებს. ბიზანტიური ტიტულების ბოძება ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო. ის ამ ტიტულებს თავისი შეხედულებისამებრ ანიჭებდა. „საკარისკაცო პატივის გაცემა ის კონკრეტული საშუალება იყო, რომელიც გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა კეისარსა და ბაგრატიონ მფლობელებს შორის“.[1]

ქართული ტიტულატურა ბიზანტიურის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად არსებობდა. ბიზანტიის იმპერატორს ქართული ტიტულების ბოძებასთან კავშირი არ ჰქონდა და, სავარაუდოდ, იმპერია ქართულ ტიტულებს არც ცნობდა.

ბაგრატიონთა საგვარეულოში დაფიქსირებულია შემდეგი ქართული ტიტულები: მეფეთ-მეფე (ჩნდება ყველაზე გვიან, X საუკუნის ბოლო მეოთხედში), მეფე, ქართველთა მეფე, ერისთავთერისთავი, ერისთავი და მამფალი.

მეფეთ-მეფის საკითხს ბოლოს შევეხებით, განხილვას კი მეფის ტიტულით დავიწყებთ. პირველად პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ აშოტ ბაგრატიონმა აღადგინა მეფობა. „809-813 წლებში აშოტმა აღადგინა „მეფობაᲘ ქართლისაᲘ“.[2] მეცნიერი ეყრდნობოდა გიორგი მერჩულეს თხზულებას და ოპიზის საოსტიგნეს წარწერას. გიორგი მერჩულე აშოტ ბაგრატიონს ძირითადად კურაპალატობით მოიხსენიებს, თუმცა რამდენჯერმე იყენებს ტერმინებს: „ხელმწიფე“ და „მეფე“.

რაც შეეხება „ხელმწიფეს“, ცხადია, აქ რაიმე კონკრეტული ტიტუ-

[1] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. თსუ შრომები. ტ. 113. 1965, გვ. 261.
[2] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954, გვ. 42.

ლის ძებნა ზედმეტია. „და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქვეყანათა ღმრთისმსახური **ხელმწიფეჲ** დიდი ბაგრატუნიანი – აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნეი, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა. და **ხელმწიფისა** მის წინაშე და შვილთა მისთა, დიდებულთა მათ **ხელმწიფეთა,** წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ“[3]; „და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ **ხელმწიფებენ** ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის **ხელმწიფისა** დაცემისათვის და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: – ჰოჲ, მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით **ხელმწიფეთა** დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური **ხელმწიფეჲ**“.[4] ყველა ზემოთ მოტანილ შემთხვევაში „ხელმწიფე“ არის ზოგადი ტერმინი.

გიორგი მერჩულე აშოტ ბაგრატიონთან მიმართებით ოთხჯერ იყენებს ტერმინ „მეფეს“„და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ხელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის ხელმწიფისა დაცემისათვის და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას **მეფესა**. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: – ჰოჲ, **მეფეო** ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ“[5]; „აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური **მეფისაჲ**“[6]; „ამისა შემდგომად ღმრთისმსახურსა **მეფეისა** აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ“.[7]

[3] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა. ტ. I. თბ. 1982, გვ. 229.
[4] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 238.
[5] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 238.
[6] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 230.
[7] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 234.

ძალიან საინტერესოა ოპიზის საოსტიგნეს წარწერა: „ქესემ / ეატმნ / დწელს / აგვა“. პ. ინგოროყვა წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „ესე მეფე აშოტმან ოთხ წელსა გავაშჩნე“.[8] ქართველი მეცნიერების უმეტესობა არ ეთანხმება აგვარ წაკითხვას და მას საეჭვოდ მიიჩნევს. ნ. შოშიაშვილის აზრით, წარწერა შემდეგი სახით იკითხება: „ესე მე აშოტმან დ წელსა გავასრულე“. გარდა ამისა, მეცნიერის აზრით, წარწერა X საუკუნისაა და ცხადია, არ ეკუთვნის აშოტ კურაპალატს.[9] ჩვენი ვეთანხმებით იმ მკვლევრებს (ნ. მარი, ექ. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა), რომლებიც წარწერას აშოტ ბაგრატიონს უკავშირებენ. რაც შეეხება წარწერის გაშიფრვას, დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ძნელია. სავსებით დასაშვებია ტერმინ „მეფის“ ამოკითხვაც (შესაძლოა, ასეც წავიკითხოთ: ესე მ[ეფ]ე ა[შო]ტმ[ა]ნ დ წელსა გ[ა]ვა[სრულე]).

ზემოთ მოტანილ წყაროებს შეიძლება დავამატოთ „მატიანე ქართლისაჲში“ დაცული ერთი ცნობაც: „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან **მეფობა** აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“.[10] მართალია, მატიანეს ამ ფრაგმენტში აშოტი პირდაპირ მეფედ მოხსენიებული არ არის და „მეფობა“, შესაძლოა, ზოგად ფრაზად განვიხილოთ, თუმცა სურვილის შემთხვევაში ეს ცნობა აშოტის მეფობის დამადასტურებელ არაპირდაპირ მინიშნებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

უკანასკნელ ხანს აშოტ კურაპალატის მეფობის საკითხს ლ. თავაძე შეეხო თავის დისეტაციაში. მკვლევარი წერს: „აშოტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეფედ იწოდა ერისმთავართა შორის ... ის, რომ აშოტ კურაპალატი მეფედ იწოდება, ამას რიგი ქართული წყაროები უდავოდ ადასტურებენ. რეალურად აშოტი მესხეთსა და შიდა ქართლში მეფობს, ხოლო ოფიციალურად კი მისი „მეფობა“ ქართლის მეფობას უნდა გულისხმობდეს“.[11] ამასთანავე, ლ. თავაძე ერთადერთ წყაროს იმოწმებს. ეს არის ჩვენ მიერ „მატიანე ქართლისაჲდან“ მოტანილი ცნობა: „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან **მეფობა** აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და

[8] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 342.
[9] ნ. შოშიაშვილი. ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. თბ. 1980, გვ. 287.
[10] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 255.
[11] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2010, გვ. 82

საზღვართა მისთა“.

მოსაზრება აშოტ ბაგრატიონის მეფობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გაზიარებული.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან მიმართებით ტერმინ „მეფეზე“ საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თავის დროზე მ. ლორთქიფანიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „ზოგადად „მეფე“ და კონკრეტულად „ქართველთა მეფე“ ერთი და იგივე არ არის. „მეფე“, „ხელმწიფე“ შეიძლება საერთოდ ხელისუფლების აღმნიშვნელ ტერმინად ეხმარათ, მაგრამ „ქართველთა მეფე“ უკვე გარკვეულ შინაარსს გამოხატავს“.[12]

საკითხის გადაწყვეტისას ბევრი რამ წყაროებში დაცული ცნობების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. ორივე მოსაზრება (იყო მეფე, თუ არ იყო) გარკვეულ არგუმენტებს ემყარება.

ჩვენი აზრით, სადავო არაა, რომ ტერმინი „მეფე“ არსებობს ბაგრატიონთა საგვარეულოში. გადასაწყვეტია ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი. „მეფე“ არის კონკრეტული ტიტული, რომელსაც კონკრეტული პიროვნებები ფლობენ დროის რაღაც მონაკვეთში, თუ „მეფე“ არის ზოგადი ტიტული, რომელიც მიემართება ზოგადად ბაგრატიონ ხელისუფალს? შ. ბადრიძემ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ „მეფედ“ ბაგრატიონთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი იწოდება, იმ დროს, როდესაც ის სხვა ტიტულსაც ფლობდა.[13]

ტერმინ „მეფესთან“ დაკავშირებული პრობლემის გადასაწყვეტად ძალიან მნიშვნელოვანია ქვემოთ მოტანილი წყაროების მონაცემების გათვალისწინება: ადიშის სახარების 897 წლის მინაწერი: „სალოცველად **მეფეთა** ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა ადარნასე კურაპალატისა და ღმრთით ბოძებულთა ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და [. . .]“[14]; ოშკის წარწერები: „მონაჲ ღმრთისაჲ **მეფეჲ** ჩუენი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ადიდენ ღმერთმან“; „**მეფესა** ჩუენსა ბაგრატ ერისთავთ ერისთავსა მეოხ ეყავ“.[15] ოშკის სტელის წარწერა: „**მეფენი** ჩუენნი, ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ

[12] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 458.

[13] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 244-245.

[14] ა. შანიძე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. თბ. 1945, გვ. 014.

[15] ნ. შოშიაშვილი. ქართული წარწერების კორპუსი. I. თბ. 1980, გვ. 50.

ერისთავთერისთავი და დიდებულმცა არს მეფობაი დავითისი“.[16] 973 წლის პარხლის სახარების მინაწერი: „სალოცველად **მეფეთა** ჩეუნთათვის ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა და სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა...“.[17] აშკარაა, რომ ზემოთ მოტანილ შემთხვევებში „მეფე“ არის საპატიო ტიტული, რომლითაც მოიხსენიებიან კურაპალატიც (ადარნასე), მაგისტროსიც (დავითი), ქართველთა მეფეც (ბაგრატი), ერისთავთ-ერისთავიც (ბაგრატი, სუმბატი) და ერისთავიც (დავითი).

რა თქმა უნდა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აშოტ კურაპალატის დროს ასე არ იყო და ვითარება IX საუკუნის ბოლოს შეიცვალა, როცა ტაო-კლარჯეთში სხვა ქართული ტიტულებიც გაჩნდა. ჩვენი აზრით, ტაო-კლარჯეთის რეალობაში „მეფე“ თავიდანვე იყო ზოგადი, საპატიო ტიტული, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო ნებისმიერი ბაგრატიონის მიმართ.

განსხვავებით „მეფისგან“ „ქართველთა მეფე“ უკვე სრულიად კონკრეტული ტიტული იყო. „ქართველთა მეფის“ ტიტული შექმნის დროსთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ „ქართველთა მეფის“ ტიტული პირველად ადარნასე დავითის ძემ მიიღო 888 წელს.[18] ისინი ეყრდნობიან სუმბატ დავითის ძესთან დაცულ ცნობას, რომ 888 წელს გაიმართა ბრძოლა ნასრ გუარამის ძესა და ადარნასე დავითის ძეს შორის. „შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ~ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი. ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, **დასუეს ქართველთა მეფედ** [ნაცვლად] მის მოკლულისა“.[19] იგივე სახის ინფორმაცია, თუმცა თარიღის გარეშე, დაცულია „მატიანე ქართლისაჲშიც“: „და დასუეს **ქართველთა მეფედ** ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა“.[20]

---

[16] ვ. სილოგავა. ოშკი. X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2006, გვ. 72.

[17] ა. შანიძე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 034.

[18] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზ. ტ. II. თბ. 1983, გვ. 114; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. თბ. 1999, გვ. 132; ქ. ნადირაძე. ქართველთა მეფეები. წიგნში საქართველოს მეფეები. თბ. 2007, გვ. 102; მ. ლორთქიფანიძე. ქართველთა სამეფო (ტაო-კლარჯეთი). საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2012, გვ. 215.

[19] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 366.

[20] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 243.

ლ. თავაძის აზრით, „სუმბატთან მითითებული თარიღის გათვალისწინებით, ტიტული „ქართველთა მეფე“ 888 წელს შემოიღეს. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართველთა მეფის ტიტული ჰაერიდან იქნა მოტანილი ან ყველანაირი წინასწარი ნიადაგის შექმნის გარეშე მოხდა ამ ტიტულის დამკვიდრება. ადარნასეს ქართველთა მეფედ კურთხევას უკვე ჰქონდა შემზადებული ნიადაგი აშოტის მიერ მეფის ტიტულის მიღებით ... ადარნასეს მეფედ ხელდასმა, ერთი მხრივ, სომხეთში მოხდარმა აშოტ I-ის მეფედ კურთხევამ განაპირობა (885 წელი), ხოლო, მეორე მხრივ, კი, უკვე არსებულმა ტრადიციამ, რომ ადარნასეს მამა (დავით I) და ბაბუა (ბაგრატ I) გვარის მეთაურები და ტიტულ „მეფის“ მფლობელები იყვნენ“.[21] აშოტ კურაპალატის შესაძლო მეფობის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება ბაგრატ I-სა და დავით I-ს, ჩვენ მათი მეფობაც ნაკლებ სავარაუდოდ მიგ-ვაჩნია.

ადიშის სახარების 897 წლის მინაწერში ადარნასე მხოლოდ კურაპა-ლატობით იხსენიება. ამიტომ ექ. თაყაიშვილმა ივარაუდა, რომ ადარნასემ ქართველთა მეფის ტიტული 897 წლის მერე მიიღო (898 ან 899 წელს).[22]

ეს მოსაზრება გაიზიარა შ. ბადრიძემაც.[23]

ა. აბდალაძის აზრით, შესაძლოა, „ქართველთა საკურაპალატოში“ ადარნასე მეფედ სწორედ 888/89 წლიდან მიეჩნიათ, მაგრამ ოფიციალურად ბიზანტიის კეისარს და მის კვალდაკვალ სომეხთა მეფე სმბატ I-საც „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნება, ადანასეს მეფობა მხოლოდ მოგვია-ნებით, დაახლოებით ათი წლის შემდეგ ეცნოთ“.[24]

თუ ადარნასე ბაგრატიონმა „ქართველთა მეფის“ ტიტული 888 წელს მიიღო, რატომ მოიხსენიება 897 წლის მინაწერში მხოლოდ კურაპალატო-ბით? შესაძლოა, იმ დროს კურაპალატობა გაცილებით უფრო დიდი პატივი იყო და ადარნასეც ამიტომაა მოხსენიებული კურაპალატად (თუმცა, ცხადია, ეს ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ ადარნასე მეორე ტიტულითაც („ქართ-

[21] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 82, 88.

[22] Э. Такаишвили. Археологическая экспедиция 1917 г. в Южные провинции Грузии. Тб. 1952, გვ. 31.

[23] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტო-რიიდან. გვ. 224.

[24] ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ. 1988, გვ. 192.

ველთა მეფე“), მოეხსენიებინათ). აქ შეიძლება გამოგვადგეს ადარნასეს ძეების: ბაგრატისა და სუმბატის მაგალითები. ბაგრატიონთა მემატიანე ბაგრატს მხოლოდ მაგისტროსობით, ხოლო სუმბატს – კურაპალატობით მოიხსენიებს. ამავე დროს, ბაგრატი, გიორგი მერჩულის მიხედვით, ერისთავთერისთავიც იყო: „რომელთა შორის იპოვა ძეჲ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ **ერისთავთა ერისთავი**“.[25] ხოლო სუმბატს გიორგი მერჩულე 951 წლისათვის ერისთავთერისთავობით მოიხსენიებს: „დაიწერა ცხორებაჲ ესე ... **ერისთავთა ერისთვობასა** სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა“.[26]

როგორც ვხედავთ, არ არის აუცილებელი, რომ პიროვნება ყოველთვის მოხსენიებული ყოფილიყო ყველა იმ ტიტულით, რომელსაც ფლობდა.

შევხედოთ საკითხს მეორე პოზიციიდანაც. თუ ადარნასემ „ქართველთა მეფის“ ტიტული 897 წლის მერე მიიღო, მაშინ როგორ გავიგოთ სუმბატ დავითის ძესთან დაცული ცნობა, რომ „ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა“?

შესაძლოა გვევარაუდა, რომ სუმბატ დავითის ძის მიერ ნათქვამი – „დასუეს“, დროში „განგრძობადი“ მოვლენაა და გულისხმობს, რომ დროის რაღაც მომენტში დასვეს მეფედ და არა უშუალოდ 888 წელს. ასე თვლიდა შ. ბადრიძე, „ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ სუმბატ დავითის ძეს ... მხედველობაში აქვს მხოლოდ ზოგადი ფაქტი მისი მეფობისა და ამ შემთხვევაში მას არ აინტერესებს აჩვენოს ქართველთა მეფედ გახდომის კონკრეტული თარიღი“.[27]

სუმბატ დავითის ძესთან არის შემთხვევები, როდესაც ზმნა „დასუეს“ გულისხმობს პერიოდს უშუალოდ მომხდარი ამბის შემდგომ.

1. „დავით ... მოიკლა იგი ჴელითა მამის ძმის-წულისათჳსისა ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესა-ვე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ˜ა ... ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელ. და **ამისსა შემდგომად დასუეს** გურგენ ძე ადარნასესი კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისა“.[28]

2. „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქრონიკონსა რ˜ლ̃Გ, და არა ესუა შვი-

[25] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 308.
[26] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 323.
[27] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 223-224.
[28] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 366.

ლი. და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმის-წული მისი, ძე ადარნასესი, **დასუეს** ერისთავთაერისთავად“.[29]

3. „და შემდგომად აშოტ კურაპალატისა ძმა მისი **დასუეს** კურაპალატად, სუმბატ“.[30]

ბაგრატიონთა მემატიანის თხზულებებში არის შემთხვევებიც, როდესაც „დასუეს“ მომხდარი ამბისაგან გარკვეული დროით დაშორებულ ფაქტს გულისხმობს. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება გარკვეული სახის განმარტების გაკეთება.

1. როდესაც მემატიანე საუბრობს აშოტ კურაპალატის მოკვლის (826 წელი) შემდეგ ტაო-კლარჯეთში შექმნილ ვითარებაზე, აღნიშნავს: „და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად **დასუეს**“.[31] გურგენი კურაპალატი ხდება 881 წელს.[32] ამ შემთხვევაში „დასუეს“ გამოყენებულია მომავალში მოხდარი მოვლენის აღსანიშნავად, თუმცა მას განმარტავს სიტყვები „დღეთა სიბერისა მისისათა“.

2. „გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ~მგ და დაუტევნა ძენი ოთხნი, დავით რომელი შემდგომად მამისა თ~ესისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად **დასუეს**“.[33] ამ შემთხვევაში „დასუეს“ განმარტებულია სიტყვებით „ძმათა შემდგომად“.

3. „ხოლო აშოტ კეკელაი, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა პ~ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად **დასუეს**“.[34] აქაც ყველაფერს ხსნის სიტყვა „შემდგომად“.

არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ზუსტად ძნელი განსასაზღვრია დროის რა პერიოდი მოიაზრება „დასუეს“ ქვეშ.

1. „გარდაიცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა მონაზონობასა შინა, ქრონიკონსა რ~ოგ, თუესა თებერვალსა ოცსა, და დაუტევა ძე თ~სი სუმბატ, რომელი-იგი **დასუეს** ერისთავთაერისთავად“.[35]

[29] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.
[30] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368.
[31] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 365.
[32] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 87.
[33] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368.
[34] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 365.
[35] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368.

2. „და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ˜ოᲩ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ **დასუეს**, რეგუენი“.[36]

როგორც ვხედავთ, ზმნა „დასუესთან“ დაკავშირებით ცალსახა განმარტების გაკეთება რთული. დიდი მნიშვნელოა აქვს კონტექსტს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფრაზა – „შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ˜ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი. ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, **დასუეს ქართველთა მეფედ** [ნაცვლად] მის მოკლულისა“ – თითქოს უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ადარნასეს გამეფება უშუალოდ ნასრის მოკვლის შემდეგ ე.ი. 888 წელს ხდება.

რამ განაპირობა „ქართველთა მეფის“ ტიტულის შექმნა? „ქართველთა მეფის“ ტიტულის გაჩენა, ისევე როგორც ერისთავთერისთავისა და ერისთავის, აშკარად ანტიბიზანტიური ნაბიჯი იყო და „ბიზანტიის მესვეურთა დაუკითხავად და მათ ზურგს უკან მოხდა“.[37] სამთავროს გაძლიერება, რაც თავისთავად ბიზანტიის გავლენისაგან თავის დაღწევას გულისხმობდა, აუცილებლად მოითხოვდა ბიზანტიური ტიტულატურისა და, შესაბამისად, იერარქიის პარალელურად ქართული ტიტულატურის შემოტანას. ბიზანტიური ტიტულების (კურაპალატი, მაგისტროსი, ანთიპატოს-პატრიკიოსის) ბოძება იმპერატორის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული და, ცხადია, პირველ რიგში, იმპერიის ინტერესთა გათვალისწინებით ხდებოდა. იმპერიას კი ძლიერი და ერთიანი სამთავრო არ სჭირდებოდა. „ბიზანტიის სიუზერენიტეტი ხელოვნურად ქსაქსავდა ქართველთა სახელმწიფოს, რომლის შემდგომი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისთვის აუცილებელი იყო ქართული მიწების კონსოლიდაცია, პოლიტიკური მთლიანობა და ბრძოლა ამ მთლიანობისთვის“.[38] იმპერიის პოლიტიკასთან დაპირისპირების ერთ-ერთი გზა ქართული ტიტულატურისა და, შესაბამისად, ქართული იერარქიული სისტემის შექმნა იყო. ქართული ტიტულატურის ბოძება ბიზანტიის იმპერატორისაგან დამოუკიდებლად ხდებოდა (თუმცა, როგორც ვნახავთ, გარკვეულ შემთხვევებში იმპერიის პოზიციის გათვალისწინება მაინც საჭირო იყო). ქარ-

[36] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.
[37] მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1999, გვ. 198.
[38] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 267.

თული ტიტულატურის შექმნას თავად მოვლენათა განვითარება მოითხოვდა და ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდებოდა. უბრალოდ დროის საკითხი იყო, თუ როდის განხორციელდებოდა ეს. ს. ჯანაშია წერდა: „ამ „მეფობის" გაჩენა ასეთი გრძელი პაუზის შემდეგ (მეფობის მოსპობიდან ქართლში მეექვსე საუკუნის ოციან წლებში) თავისთავად ძალიან საინტერესო და მაჩვენებელი მოვლენაა. მაგრამ იგი სრულიადაც არ მოასწავებდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის დამკვიდრებული იერარქიული წესის შეცვლას და „მეფის" გამარჯვებას „კურაპალატზე".[39] რა თქმა უნდა, საუბარი არაა „მეფის" გამარჯვებაზე „კურაპალატზე". ეს შეუძლებელი იყო, რადგან ეს ტიტულები სხვადასხვა იერარქიულ სისტემაში არსებობდა. „ქართველთა მეფის" ტიტულის შემოღება ნიშნავდა ახალი, ქართული იერარქიული სისტემის შექმნას, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

რატომ 888 წელს? შეიძლება ზოგადი პასუხი გაიცეს, სწორედ მაშინ შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება. ბაგრატიონები, სავარაუდოდ, ადრევე ფიქრობდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას, გარკვეულ მოსამზადებელ საქმიანობასაც ატარებდნენ და მხოლოდ შესაფერის ვითარებას ელოდნენ. წყაროთა სიმცირის გამო ძნელია კონკრეტული საუბარი, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე მომენტის გამოყოფა. პირველი – რა თქმა უნდა, გარკვეული როლი ითამაშა სომხეთში მეფობის აღდგენამ. მეორე – აფხაზთა სამეფოს გააქტიურება. უკვე IX საუკუნის 60-იან წლებში აფხაზთა მეფე გიორგი I-მა თავის გავლენა დაამყარა ქართლში. მართალია, შემდგომ სამეფოში შექმნილმა დაპირისპირებამ (ლეონიანებსა და შავლიანებს შორის) დროებით შეაჩერა აფხაზთა სამეფოს გავლენის ზრდა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს დროებით „შეჩერებას" წარმოადგენდა. აფხაზთა მეფეებს უკვე ჰქონდათ გაკეთებული განაცხადი „ქართულ სივრცეში" პირველობაზე. პირველობისათვის ბრძოლა, რისი ამბიციაც ბაგრატიონებს ჯერ კიდევ აშოტ I კურაპალატიდან ჰქონდათ, აფხაზთა სამეფოს მმართველებთან „სტატუსში" გათანაბრებას მოითხოვდა. მესამე – პიროვნული მომენტი. ადარნასე დავითის ძეს, როგორც კურაპალატების მემკვიდრეს, ალბათ, პირველობის ამბიციაც გააჩნდა. ბიზანტიის იმპერატორის მიერ კურაპალატობის გურგენ ადარნასეს ძისადმი გადაცემამ,[40] შესაძლოა, ადარნასე დავითის ძის გაბრაზება გამოიწვია და საპასუხოდ მან

[39] ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. თსუ შრომები. ტ. 18. 1941, გვ. 75.

[40] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 86-87.

„ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო (გურგენისა და ადარნასეს დაპირისპირება 891 წელს ომში გადაიზარდა). ვარაუდის სახით სხვა მოსაზრებების გამოთქმაც შეიძლება. ცხადია ერთი რამ, სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობამ შეამზადა სიტუაცია 888 წლისათვის (ზუსტად 888 წელი იყო თუ 889 ძნელი სათქმელია. პირობითად სჯობს 888 ავიღოთ. რეალურად მთელი ეს ცვლილება ქართულ ტიტულატურასთან დაკავშირებით, ალბათ, 888-891 წლებში მოხდა).

ვინ „დასუა“ ადარნასე მეფედ? არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ „ბიზანტიის იმპერიის მესვეურები, ბუნებრივია, მოისურვებდნენ თვითონ შეესრულებინათ გადამწყვეტი როლი „ქართველთა საკურაპალატოს“ სამეფოდ გადაქცევაში და სხვა ვინმე არ ჩაეზიარებინათ, უკეთუ უცხოელ ხელისუფალთა მონაწილეობა ამ საქმეში საერთოდ დასაშვებია“.[41] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ტიტულატურის შექმნის ერთ-ერთი მიზანი სწორედ იმპერიისგან თავის დახსნის სურვილი იყო. ბიზანტიისა და ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში ჩვენ გამორიცხული გვგონია (სხვა საკითხია მეზობელი სამეფოების მიერ ადარნასე ქართველთა მეფედ აღიარება. ამ პრობლემას ქვემოთ შევეხებით). დაწვრილებით არ შევჩერდებით იოანე დრასხანაკერტელის ცნობაზე (ჩვენი აზრით, ტენდენციურზე) სმბატ I-ის მონაწილეობის შესახებ ადარნასეს გამეფებაში. ეს საკითხი სათანადოდ არის განხილული ქართულ ისტორიოგრაფიაში.[42] მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სავსებით დასაშვებია სმბატის (ეგებ სხვა მეზობელი სამეფოების მეფეთა და წარმომადგენელთა, მაგრამ არა იმპერიის) მონაწილეობა ადარნასეს მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალში, მაგრამ არა იმ პოლიტიკურ პროცესებში რომლებიც ყოველივე ამას წინ უძღოდა. ა. აბდალაძემ ყურადღება მიაქცია, რომ სიტყვა „დასუეს“ მრავლობით რიცხვშია და აღნიშნა, რომ აქ, პირველ რიგში, ქართველი წარჩინეულები არიან საგულისხმებელი.[43] დასკვნა მართებულია. რაც შეეხება სიტყვა „დასუეს“ მრავლობით რიცხვს, ასევე მრავლობით რიცხვშია გამოყენებული ეს სიტყვა, როდესაც რომელიმე ბაგრატიონის კურაპალატობაზეა საუბარი: „გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად

[41] ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, გვ. 191.
[42] ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, გვ. 187-190.
[43] ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, გვ. 191.

დასუეს"; „სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად **დასუეს**"; „გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად **დასუეს**". კურაპალატობის ბოძება კი მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო და არა კოლქტიური გადაწყვეტილების შედეგი. სავარაუდოდ, ადარნასეს „ქართველთა მეფედ" დასმა ბაგრატიონთა საგვარეულს წარმომადგენელთა (შესაძლოა, ცალკეული პიროვნებების გამოკლებით) კოლექტიური გადაწყვეტილების შედეგი იყო. ჩვენი აზრით, „ქართველთა მეფედ დასმა" ყოველთვის კოლექტიური გადაწყვეტილებით ხდებოდა. თავად ქართველთა მეფე კი, ალბათ, უკვე ერთპიროვნულად ანიჭებდა ერისთავთერისთავისა და ერისთავის ტიტულებს.

ადარნასე ქართველთა მეფე გარდაიცვლა 923 წელს. მეფის ტიტული მისმა უფროსმა ძემ, დავითმა მიიღო. „გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ~მგ და დაუტევნა ძენი ოთხნი, **დავით, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა ქართველთა მეფე იქმნა**".[44] გამეფებამდე დავითი ერისთავის ტიტულს ფლობდა (ადიშის სახარების მინაწერის თანახმად). ვის გადაეცა, ან საერთოდ თუ გადაეცა ვინმეს, ერისთავის ტიტული დავითის გამეფების შემდეგ, უცნობია. დავითი 937 წელს გარდაიცვალა. „გარდაიცვალა დავით, ქართველთა მეფე, ძე ადარნასე მეფისა ქართველთასა, ქრონიკონსა რ~ნზ, და არა ესუა ძე".[45]

დავითი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა. სუმბატ დავითის ძე 937 წელს გარდაცვლილი დავით მეფის შემდეგ ქართველთა მეფედ არავის არ მოიხსენიებს ვიდრე ბაგრატ II-მდე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი მემატიანე წერს: „სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ~ოᲑ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ **დასუეს**, რეგუენი".[46] სუმბატი გარდაიცვალა 958 წელს. სავარაუდოდ, ამავე წელს მიიღო ქართველთა მეფის ტიტული ბაგრატ II-მ.

საინტერესოა, ვინ იყვნენ ქართველთა მეფეები 937-958 წლებში.

მ. ლორთქიფანიძის თვალსაზრისით, 937-945 წლებში ქართველთა მეფე დავითის ძმა ბაგრატია.[47] ეს მოსაზრება სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს.[48]

---

[44] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368.
[45] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368.
[46] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368-369.
[47] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო"), გვ. 475.
[48] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 225; მ. სურგულაძე, მ. ქავთარია. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. თბ. 1995, გვ. 45; ქ. ნადირაძე. ქართველთა მეფეები, გვ. 103.

ლ. თავაძის აზრით, „დავითის შემდეგ, უკვე მისი მესამე ძმის, ბაგრატ მაგისტროსის, მოხსენიება ქართველთა მეფედ იშხნის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაში, აჩენს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ დავითმა მემკვიდრეობა დაუტოვა, არა მის მეორე ძმას – აშოტს, არამედ, მესამეს – ბაგრატს“.[49] სხვა ადგილზე ახალგაზრდა მკვლევარი უკვე პირდაპირ საუბრობს ბაგრატის მიერ 937 წელ ქართველთა მეფის ტიტულის მიღებაზე.[50]

ძალიან საინტერესოა იშხნის ტაძრის ორი წარწერა ჩრდილოეთის ეგვტერის წარწერაში ვკითხულობთ, „ქრონიკონსა რ˜ლზ-სა, თუესა სეკდენბერსა ზ˜სა შეწევნითა ქრისტესითა და მაღლითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲთა **ადარნასე ქართველთა** მეფისა ბრძანებითა დაიდგინა ნეტარი მამაჲ ჩუენი ბასილი ეპისკოპოსი და ჰმსახურა ამას წმიდასა ეკლესიათა წელი ი˜თ კეთილითა მოღჳაწებითა და სრულითა სარწმუნოებითა და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა თუესა დეკემბერსა კ˜ვ, დღესა პარასკევსა, ქრისტე, სულსა მათსა განუსვენე, ამენ. აცხოვნინ ღმერთმან მეფენი ჩუენნი **დავით ქართველთა მეფე** და **აშოტ კურაპალატი**, **ბაგრატ მაგისტროსი** და სუმბატ ანტიპატრიკი ადიდენ ღმერთმან, წარავლინეს საბერძნეთს ტრაპეზონთა და მუნ აკურთხეს მღდელთმთავრად იშხნისა სტეფანე პატიოსანი და ღირსი მამაჲ ჩუენი ჭელითა ბასილი ღმერთშემოსილისა პატიოსნისა ბერძენთა პატრიარქისაჲთა თუესა მარტსა ა˜სა, ღმერთმან წარუმართენ“.[51] ექ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ წარწერა შერულებულია 954-955 წლებში, რადგან აშოტ კურაპალატი უკვე გარდაცვლილია, ხოლო სუმბატს კურაპალატობა ჯერ არ აქვს მინიჭებული.[52] ეს თარიღი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წარწერაში ადარნასე და მისი უფროსი ძე დავითი მოიხსენიებიან როგორც ქართველთა მეფეები. ბაგრატ ადარნასეს ძე, რომელიც წარწერის შესრულების დროს გარდაცვლილია, მოხსენიებულია მხოლოდ მაგისტროსობით. ეს თითქოს უნდა გამორიცხავდეს მის ქართველთა მეფობას. თუმცა იშხნის ტაძარზე არის ჩვენთვის საინტერესო ერთი ფრესკული წარწერა: „ბაგრატ მაგისტროსი ქართველთა მეფე“.[53] ექ. თაყაიშვილიდან მოყოლებული

[49] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 93.
[50] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 94, 95.
[51] ვ. სილოგავა, კ. შენგელია. ტაო-კლარჯეთი. თბ. 2006, გვ. 27.
[52] Э. Такаишвили. Археологическая экспедиция 1917 г. в Южные провинции Грузии, გვ. 32.
[53] ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ. 1960, გვ. 22.

ამ წარწერაში მოხსენიებულ ბაგრატს ყველა მკვლევარი აიგივებს ბაგრატ ადარნასეს ძესთან და ეს სავსებით მართებულია. 876 წელს გარდაცვლილი ბაგრატ აშოტის ძე არასდროს ყოფილა ქართველთა მეფე, ბაგრატ II კი – მაგისტროსი. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ 937-945 წლებში ქართველთა მეფე ბაგრატ ადარნასეს ძე იყო.

პ. ინგოროყვა იცნობს იშხნის ფრესკულ წარწერას, რომელშიც ბაგრატ ქართველთა მეფეა მოხსენიებული, მაგრამ თვლის, რომ „ბაგრატ მაგისტროსს ველარ მიუღია საერთაშორისო ცნობა, როგორც ქართველთა მეფეს, ვერ დაუმკვიდრებია მეფის ხარისხი".[54] ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და მას ქვემოთ ცოტა უფრო ვრცლად განვიხილავთ.

იშხნის წარწერები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ჩვენთვის მნიშვნელოვან ორ მოსაზრებას. პირველი, ტერმინი „მეფე" ზოგადი შინაარსის მატარებელია. მეფეებად არიან მოხსენიებული: დავით ქართველთა მეფე, აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი; მეორე, არ არის აუცილებელი, რომ პიროვნება ამ თუ იმ წარწერასა თუ მინაწერში მოიხსენიებოდეს ყველა ტიტულით.

იშხნის 954-955 წლების წარწერის განხილვისას ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ უმეფობის პერიოდი 945-958 წლებით უნდა განისაზღვროს.[55]

მ. სურგულაძე და მ. ქავთარია ქართველთა მეფეებად თვლიან: აშოტ ადარნასეს ძეს 945-954 წლებში და სუმბატ ადარნასეს ძეს 954-958 წლებში.[56] სამწუხაროდ, მკვლევრები არ უთითებენ წყაროს, რომელზე დაყრდნობითაც გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას.

პ. ინგოროყვა დოლისყანის წარწერაზე დაყრდნობით სუმბატ ადარნასეს ძეს ქართველთა მეფედ თვლიდა.[57] დოლისყანის წარწერაში სუმბატი მოიხსენიება არა ქართველთა მეფედ, არამედ მხოლოდ მეფედ – „ქრისტე ადიდენ მეფე ჩუენი სუმბატ".[58] ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სუმბატი არ იყო ქართველთა მეფე.[59] „მეფე" ამ შემთხვევაშიც ზოგადი ტერმინია და

[54] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 109.
[55] ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 22.
[56] მ. სურგულაძე, მ. ქავთარია. ბაგრატიონთა სამეფო სახლი, გვ. 45.
[57] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 105.
[58] Н. Я. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. СПб. 1911, გვ. 540.
[59] Э. Такаишвили. Археологическая экспедиция 1917 г. в Южные провинции Грузии, გვ. 59; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების

სუმბატის ქართველთა მეფობაზე ნაკლებად მიუთითებს.

ჩვენ მიერ ნანახ წყაროებში არც აშოტ ადარნასეს ძე და არ სუმბატ ადარნასეს ძე „ქართველთა მეფედ“ არ იწოდებიან.

ლ. თავაძე წერს „ქართველთა მეფის ტიტული ... ან საერთოდ არ მოქმედებს 937-954 წლებში, ანდაც მისი მფლობელი იმდენად სუსტია, რომ აშოტ კურაპალატს ემორჩილება“.[60]

ჩვენი აზრით, არის ორი შესაძლებლობა. პირველი, 945-958 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულს არავინ ფლობს. მეორე, კურაპალატის ტიტულს ფლობენ აშოტიც (923-954) და სუმბატიც (954-958),[61] მაგრამ „ქართველთა მეფის“ ტიტული იმდენად დამცრობილი იყო კურაპალატთან შედარებით, რომ ძმებს მხოლოდ კურაპალატობით მოიხსენიებენ.

ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ 945-958 წლებში „ქართველთა მეფის ტიტულს“ არავინ ფლობდა. ეს უმეფობის ხანაა.[62] რა იყო ამის მიზეზი? ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კითხვას პასუხი გაცემული აქვს. მიზეზი იყო ბიზანტია და მისი პოლიტიკა. ამ პერიოდში ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და ბაგრატიონთა შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავებული იყო „არტანუჯის ციხისა და ბასიანის მხარის საკითხის გამო“.[63]

პ. ინგოროყვა თვლიდა, რომ 937-954 წლებში ტაო-კლარჯეთში მეფობის ინსტიტუტი გაუქმებული იყო. მკვლევრის აზრით, ეს „გამოწვეული ყოფილა ბიზანტიისა და ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობების გართულებით, მეფობის ინსტიტუტის შეჩერებით ბიზანტიის ინტრიგების მეოხებით. როგორც ირკვევა, მეფობის ხარისხის მისაღებად სახელმწიფოს მეთაურის მიერ არ იყო საკმარისი მარტო თვითაღიარება მეფედ ... მას უნდა მიეღო საერთაშორისო ცნობა მეზობელი ქვეყნებისგან და, პირველ რიგში, ცხადია ბიზანტიისგან ... ხოლო მე-10 საუკუნის ოციანი წლებიდან მოკიდებული ვიდრე ორმოცდაათიან წლებამდე ქართველთა სამეფოსა და ბიზანტიას შორის გამწვავებული ურთიერთობა არსებობდა ჯერ არტანუჯის კონფლიქტის გამო, ხოლო შემდეგ არაბთაგან დაპყრობილი „აღმოსავლეთის ქვეყ-

---

წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, გვ. 198.

[60] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 96.

[61] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 93, 97.

[62] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), გვ. 475.

[63] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), გვ. 475.

ნების“ (თეოდოსიოპოლისა და მიმდგომი მხარეების) კუთვნილების საკითხის გამო“.[64]

შ. ბადრიძის აზრითაც, „ქართველთა მეფის“ უფლებათა დამკვიდრებისთვის აუცილებელი იყო საერთაშორისო ცნობა მეზობელი ქვეყნებისგან და, პირველ რიგში, აღმოსავლური ქრისტიანული ქვეყნის ბიზანტიისგან“.[65]

პ. ინგოროყვამ ზუსტად განსაზღვრა მთავარი მიზეზი „ქართველთა მეფობის“ დროებითი გაუქმებისა – ბიზანტიის პოლიტიკა. რაც შეეხება „ქართველთა მეფის“ საერთაშორისო აღიარებას, ჩვენი აზრით, ეს მეორეხარისხოვანია. მით უმეტეს, რომ „იმპერიის ხელისუფლებას არასოდეს არ უცვნია „ქართველთა“ არც ერთი მეფის სტატუსი“. ბიზანტიის სამეფო კარი მათ მხოლოდ „არქონტს“ და „არქონტთა-არქონტს“ უწოდებდა.[66]

„ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობს კურაპალატის ტიტული არ მიანიჭოს „ქართველთა“ მეფეებს, რაც, უდავოდ, განპირობებული იყო იმპერიის მისწრაფებით, არ დაეშვა ტაო-კლარჯეთში ხელისუფლების კონცენტრაცია ერთი პირის ხელში. ამიტომ იყო, რომ ადარნასე II-ის გარდაცვალების შემდეგ კურაპალატის ტიტული მიენიჭა არა „ქართველთა“ მეფედ გამოცხადებულ დავითს, არამდე მის ძმას აშოტს“.[67]

მართებულია თვალსაზრისი, რომ „სწორედ კურაპალატის ტიტულის მფლობელს თვლიდა ბიზანტიის იმპერატორი „ქართველთა სამეფოში“ ყველაზე უპირატესად სხვა მმართველებისაგან განსხვავებით. ითვლება, რომ კურაპალატის ტიტულის გაცემით იმპერატორები უპირისპირდებიან ადგილობრივ იერარქიულ სისტემას, რომლის სათავეშიც „ქართველთა მეფე“ მოიაზრება ... ტიტული „კურაპალატი“ ბიზანტიის მესვეურთათვის გახდა ერთგვარი საშუალება, არა მხოლოდ გამოეკვეთათ საკუთარი ფავორიტი ქართველი ხელმწიფეების რიგიდან, არამედ ხშირ შემთხვევაში გაეძლიერებინათ, აღეზევებინათ საკუთარი მომხრეები და ამით გარკვეული დაპირისპირება შეეტანათ

[64] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 108.
[65] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 225-226.
[66] მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, გვ. 198.
[67] მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, გვ. 198.

ქართველთა სამეფოს მმართველ წრეში".[68]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამოდინარე გასკვირი არაა, რომ როდესაც 923 წელს ქართველთა მეფე და კურაპალატი ადარნასე დავითის ძე გარდაიცვალა, ქართველთა მეფობა უფროსმა ძემ დავითმა მიიღო, კურაპალატობა კი ბიზანტიის იმპერატორმა მეორე ძეს, აშოტს უბოძა. აშოტი „უფროსი ძმისაგან განსხვავებით ნაკლებად აქტიურია ბიზანტიის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამ ღონისძიებით იმპერატორს ძმებს შორის შუღლის ჩამოგდება ჰქონდა განზრახული".[69]

აშოტ ადარნასეს ძე შეიძლება პრობიზანტიური ორიენტაციის არ იყო, მაგრამ იმპერიისადმი ლოიალური მაინც იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში 937 წელს ძმის, დავითის, გარდაცვალების შემდეგ ის „ქართველთა მეფის" ტიტულს თავად არ მიიღებდა, რადგან ეს ბიზანტიის საიმპერატორო კართან ურთიერთობას გაუფუჭებდა (კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „ქართველთა მეფის" ტიტულის ბოძებასთან ბიზანტიის იმპერატორებს არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. ამ ტიტულის ბოძება მხოლოდ ბაგრატიონთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული). ამიტომ ქართველთა მეფე გახდა მესამე ძმა ბაგრატი.

945 წელს ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ სუმბატმაც, სავარაუდოდ, ასევე ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვის ანგარიშის გაწევის გამო უარი თქვა „ქართველთა მეფის" ტიტულზე.

სუმბატის ვაჟმა, ბაგრატ II-მ კი „გაბედა" და იგი 958 წელს „ქართველთა მეფე" გახდა.

ბაგრატ II 994 წელს აღესრულა. „გარდაიცვალა **ბაგრატ** რეგუენი **ქართველთა მეფე**, ძე კურთხეულისა სუმბატ კურაპალატისა, ქრონიკონსა ს᾿იდ, და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე. და ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დის-წული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა".[70] სუმბატ დავითის ძე არ წერს, ვის გადაეცა ქართველთა მეფის ტიტული.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ 994 წელს „ქართველთა მეფის" ტიტული დავით III კურაპალატს გადაეცა.[71] არსებობს განსხვავებული თვალ-

[68] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 83.
[69] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 92.
[70] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.
[71] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო"), გვ. 488; ქ. ნადირაძე. ქართველთა მეფეები, გვ. 105.

საზრისიც, რომ 994 წელს „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II-ის ძე გურგენი გახდა.[72] ზ. პაპასქირის აზრით, 994 წელს „ქართველთა მეფობა“ ბაგრატ III-მ მიიღო.[73]

სუმბატ დავითის ძე დავით III კურაპალატს არსად მოიხსენიებს ქართველთა მეფის ტიტულით. მემატიანეს მიხედვით, ის ჯერ ერისთავთერისთავია: „გარდაიცვალა [ადარნასე კურაპალატი], ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ქორონიკონსა რ~პა, რომელი-ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩ;ეთა, და დაუტევნა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთაერისთავი“.[74] შემდეგ კი უკვე კურაპალატი: „გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა ს~კა, და არა ესუა ძე“.[75]

„მატიანე ქართლისაჲში“ დავითი მხოლოდ კურპალატობით მოიხსენიება.[76]

ერთადერთი წყარო, რომელშიც დავით კურაპალატი მოიხსენიება „ქართველთა მეფედ“, არის ათონის მთაზე გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერი. „ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ექვსჯერაა ნახსენები დავითი, ოთხჯერ როგორც „ქართველთა მეფე“, ხოლო ორჯერ – როგორც „მეფე“. ქართველთა მეფე, რომელიც ექვთიმე ათონელის დროს ცხოვრობდა ... დავით კურაპალატია“.[77] ზ. პაპასქირის აზრით, „ანდერძ-მინაწერთა ავტორი ამ შემთხვევაში „ქართველთა“ მეფეს ხმარობს უბრალოდ ქართველების (ან შეიძლება საერთოდ საქართველოს, რადგან ის მას ქართული სამყაროს მესვეურად მიაჩნია) მეფის გაგებით და მასში არ აქვს ჩადებული ის პოლიტიკური შინაარსი, რომელიც გააჩნდა „ქართველთა მეფის“ ტიტულს X ს. II ნახევარში“.[78]

---

[72] ბ. ლომინაძე. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (X ს. დასასრ. - XI ს. 60-იანი წლები). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 153.

[73] ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990, გვ. 81-82.

[74] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.

[75] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.

[76] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 267-270.

[77] ც. ქურციკიძე. ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ. მწიგნობარი. თბ. 1980, გვ. 119.

[78] ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, გვ. 79.

ვინ გახდა „ქართველთა მეფე“ 994 წელს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება იმისა გარკვევა, თუ ვისგან მიიღო ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტული.

თუ ბაგრატი ქართველთა მეფე 1008 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა, მაშინ სავარაუდოა, რომ თავად გურგენმა ეს ტიტული თავისი მამისგან, ბაგრატ II-სგან, მიიღო 994 წელს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში დავით კურაპალატს ქართველთა მეფედ ვერ მივიჩნევთ.

თუ ბაგრატმა ქართველთა მეფის ტიტული 1001 წელს მიიღო, მაშინ მამამისის, გურგენის „ქართველთა მეფობაა“ გამორიცხული და, სავარაუდოდ, ბაგრატმა ტიტული მამობილისგან, დავით კურაპალატისგან მიიღო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ორივე მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტული დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ 1001 წელს მიიღო.[79] სხვანი კი დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მფლობელად გურგენს მიიჩნევენ და ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებას 1008 წლით ათარიღებენ.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული მხოლოდ 1008 წელს მამის, გურგენის, გარდაცვალების შემდეგ მიიღო.[80]

პ. ინგოროყვა გურგენს ქართველთა მეფეთა მეფეს უწოდებდა.[81]

ნ. ასათიანის აზრით, 1008 წლამდე ქართველთა მეფე გურგენი იყო. „1008 წელს ბაგრატის მამა გურგენ მეფე გარდაიცვალა ... ამის შემდეგ ბაგრატი იწოდებოდა „აფხაზთა და ქართველთა“ მეფედ“.[82]

შ. ბადრიძეს მიაჩნდა, რომ „ქართველთა მეფე 958-994 წწ. იყო ბაგრატ რეგუენი, ხოლო მას შემდეგ სახელმწიფოს სიუზერენად 994-1008 წწ. მმართველობდა მისი ძე გურგენი“.[83]

---

[79] მ. ლორთქიფანიძე. ქართული მონარქიის შექმნა შუა საუკუნეებში. საქართველოს ისტორია, ტ. II. თბ. 2012, გვ. 258; ვ. სილოგავა. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. 1. თბ. 1980, გვ. 53.

[80] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 131.

[81] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 106.

[82] ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია, გვ. 150.

[83] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 226.

ქ. ნადირაძე ეთანხმება მოსაზრებას გურგენის მიერ 994-1008 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობის შესახებ.[84]

ლ. თავაძე იზიარებს თვალსაზრისს, რომ ქართველთა მეფის ტიტული ბაგრატ III-მ 1008 წელს, მამის გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. „გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი ოფიციალურად იწოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ და კურაპალატად“, ხოლო გურგენის სიკვდილამდე ის თავს „აფხაზთა მეფედ და ქართველთა კურაპალატად“ თვლიდა. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ „ქართველთა მეფე“ სწორედ გურგენი იყო“.[85]

ჩვენ იმ მოსაზრებას ვეთანხმებით, რომ გურგენ მეფეთმეფე არასდროს „ქართველთა მეფის“ ტიტულს არ ფლობდა. ამას ადასტურებს რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი.

1006 წელს გურგენ მეფეთ მეფემ იშხანში კათედრალური ტაძრის სამხრეთით პატარა სამლოცველო ააგო. წარწერა იუწყება: „სახელითა ღმრთისაითა მე **გურგენ მეფეთ მეფემან** აღვაშენე ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა ღმრთისმშობელისასა სალოცველად სულისა ჩემისა. წმიდაო ღმრთისმშობელო, ტალავარ მექმენ დღესა მას სასჯელისასა ... ქრონიკონ იყო სკვ“.[86] გურგენი მოიხსენიება მხოლოდ მეფეთმეფედ. ჩვენ თავად ვაღიარებთ, რომ არაა აუცილებელი პიროვნება წარწერაში ყველა ტიტულით იყოს წარმოდგენილი. ამ წარწერასთან დაკავშირებითაც შესაძლებელი იქნებოდა იგივეს გამეორება, რომ არა სხვა წარწერათა მონაცემებიც.

ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების წარწერა, ასე იკითხება: „მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო უმეტესად ადიდე ძლიერი **ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფჱ** თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამინ“.[87] წარწერის შინაარსიდან ნათლად ჩანს, წარწერის შექმნის დროს ბაგრატის მამა, გურგენი, ცოცხალია. მიუხედავად ამისა, „ქართველთა მეფის“ ტიტულით ბაგრატია მოხსენიებული. გამოდის, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ბაგრატი უკვე იყო ქართველთა მეფე. ცხადია, ბაგრატ III-ს „ქართველთა მეფის“ ტიტული გურგენის გარდაცვალების შემდეგ არ მიუღია.

[84] ქ. ნადირაძე. ქართველთა მეფეები, გვ. 111.
[85] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 103.
[86] მ. სურგულაძე, მ. ქავთარია. ბაგრატიონთა სამეფო სახლი, გვ. 29.
[87] ვ. სილოგავა. ქართული წარწერების კორპუსი, გვ. 54.

ყველაზე მნიშვნელოვანია ხცისის წარწერა: „სახელითა ღმრთისაითა მე გლახაკმან ანანია ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდაჲსა ნათლისმცემლისასა სალოცველად ადიდენ ღმერთმან ძლიერისა **ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა** და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისა და მეფისა ჩუენისა და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათუის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის ქორონიკონ იყო ს~კბ“.[88] წარწერა შესრულებულია 1002 წელს და მასში ბაგრატი მოიხსენიება აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

აშკარაა, ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო. ამიტომ გურგენ მეფეთმეფის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობა გამორიცხულად მიგვაჩნია.

ვინ გახდა ქართველთა მეფე 994 წელს გარდაიცვლილი ბაგრატ II-ის შემდეგ? ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე არსებობს ორი შესაძლებლობა: პირველი, ქართველთა მეფე გახდა დავით კურაპალატი. მეორე, ეს ტიტული მიიღო ბაგრატ III-მ (თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულს არავინ ფლობდა, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ გამორიცხულად მიგვაჩნია).

შეეძლო თუ არა დავით კურაპალატს 994 წელს მიეღო „ქართველთა მეფის“ ტიტული? ამ კითხვაზე საპასუხოდ ჯერ უნდა გავარკვიოთ თუ რა დამოკიდებულებაა ამ დროს დავითსა და იმპერატორ ბასილი II-ს შორის. დიდი დრო არ იყო გასული ბარდა ფოკას აჯანყებიდან (987-989 წლები), როდესაც დავითმა ფოკას მხარე დაიჭირა და იმპერატორს დაუპირისპირდა. ფოკა დამარცხდა. დავითმა თავი იმით გადაირჩინა, რომ იმპერატორს დამორჩილდა და ანდერძი დაწერა, რომლის თანახმადაც, სიკვდილის შემდეგ მთელ თავის სამფლობელოს იმპარატორს უტოვებდა. სწორედ ამის შემდეგ იმპერატორმა მას კურაპალატობა უბოძა.[89] შემდგომ დავითი აგრძელებს აქტიურ პოლიტიკას, აძლიერებს თავის გავლენას, ზრდის სამფლობელოს ტერიტორიას, მაგრამ აღარ უპირისპირდება იმპერიას (ეს სრულიად უაზრო ნაბიჯი იქნებოდა). შესაძლოა, ასეთ ვითარებაში დავითის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება კონსტანტინოპოლში აღქმული ყოფილიყო ანტიბიზანტიურ ნაბიჯად. ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც დავითი იყო, ამაზე,

[88] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ. 461.

[89] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 99.

შესაძლოა, არ წასულიყო. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ X საუკუნის ბოლო ათწლეულში შექმნილი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ბიზანტიასთან ურთიერთობის გაფუჭებისა თუ არა, დაძაბვის საფრთხის გამო მაინც, დავით კურაპალატს 994 წელს „ქართველთა მეფის“ ტიტულს არ მიეღო.

994 წელს ბაგრატ III-ს იმპერიასთან დაპირისპირება არ აქვს (მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ 989 წელს ბაგრატსა და დავითს შორის მომხდარი კონფლიქტის ინსპირატორი ბიზანტია უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ბასილი II, რომელმაც ბაგრატი მამობილის წინააღმდეგ წააქეზა[90]). ბიზანტია ბაგრატის სამფლობელოებს არ ესაზღვრება. ბაგრატისთვის „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება მას არანაირ პრობლემას არ უქმნიდა.

ყოველივე ზემოთ თქმული თითქოს მხარს უჭერს ზ. პაპასქირის მოსაზრებას, მაგრამ რჩება ათონის ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები. ჩვენ ვფიქრობთ, ცოტა ძნელია იმის მტკიცება, რომ დავითი არ იყო „ქართველთა მეფე“, მაშინ როდესაც ის ოთხჯერ არის ამ ტიტულით მოხსენიებული. ზ. პაპასქირისეული ახსნა კი ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია. არა გვგონია, რომ იმ დროს, როდესაც „ქართველთა მეფე“ რეალური ტიტული იყო, ვინმეს ის გამოეყენებინა ზოგად ფრაზად და მასში რაღაც სხვა, განსაკუთრებული შინაარსი ჩაედო. რაც შეეხება ზ. პაპასქირის შენიშვნას, იაჰია ანტიოქიელის მიერ 988-990 წლების ამბების თხრობისას დავითის „ქართველთა მეფედ“ მოხსენიების შესახებ,[91] ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დავითის მიერ აღნიშნული ტიტულის ფლობას. იაჰიამ იცის, რომ დავითი იწოდებოდა „ქართველთა მეფედ“ და ასეც მოიხსენიებს მას. ზუსტად როდის მიიღო დავით კურაპალატმა „ქართველთა მეფის“ ტიტული, იაჰია ანტიოქიელს შეიძლება არც სცოდნოდა და თუ იცოდა, შესაძლოა, თხრობისას ამისთვის ყურადღება არც მიექცია. მისთვის ხომ მთავარი ის იყო, რომ დავითი იწოდებოდა „ქართველთა მეფედ“ (ანალოგიური ვითარებაა, როდესაც 975 წლის ამბების თხრობისას ქართველი მემატიანე დავითს კურაპალატობით მოიხსენიებს, მაშინ როდესაც მას ეს ტიტული ჯერ არ აქვს).

[90] მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, გვ. 218.

[91] ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, გვ. 80.

ჩვენ ვიზიარებთ ნ. შოშიაშვილის მოსაზრებას დავით კურაპალატის მიერ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობის შესახებ.[92]

1001 წელს კი „ქართველთა მეფე“ უკვე ბაგრატ III გახდა.

ჩნდება კითხვა, რატომ მიიღო „ქართველთა მეფობა“ ბაგრატმა და არა მისმა მამა გურგენმა? ჩვენი აზრით, პასუხი მარტივია. ბაგრატი უკვე არის „მეფე აფხაზთა“. სწორედ მან უნდა გააერთიანოს საქართველო. სწორედ მან უნდა გააერთიანოს ყველა ტიტული. გურგენის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება კი ამ პროცესს ეწინააღმდეგება, აფერხებს. ეს ყველაფერი კარგად ესმის გურგენს, რომელიც ყოველთვის გვედში უდგას შვილს და მისი ერთგული თანამებრძოლია. ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა, რომ „ქართველთა მეფე“ ბაგრატი გამხდარიყო და გურგენი, ალბათ, პირველი იყო, ვინც ამას მხარი დაუჭირა.

ჩვენი აზრით, ქართველთა მეფის ტიტულს ფლობდნენ: ადარნასე დავითის ძე (888-923), დავითი ადარნასეს ძე (923-937), ბაგრატ ადარნასეს ძე (937-945), ბაგრატ II რეგუენი (958-994), დავით კურაპალატი (994-1001), ბაგრატ III (1001-1014).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, X საუკუნის ბოლოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში მეფეთ მეფის ტიტული ჩნდება.

ექ. თაყაიშვილის აზრით, მეფეთ მეფედ პირველად გურგენი იწოდა.[93]

მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ „ქართველთა მეფეებში“ პირველად ბაგრატ III-ის მამის, გურგენის ტიტულატურაში ჩნდება „მეფეთ-მეფე“, რაც, სუმბატის თქმით, მისი შვილის, ბაგრატის, მეფობითაა განპირობებული“.[94]

ლ. თავაძე პირველ მეფეთ მეფედ დავით კურაპალატს მიიჩნევს. „პირველ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ამ ტიტულით სწორედ დავითი იწოდება. მეფეთ მეფის ტიტული ჯერ სომხეთში გაჩნდა, როდესაც აშოტ I-მა არაბეთის ხალიფას მხარდაჭერით შაჰან შაჰად გამოაცხადა თავი. სომხეთი ისწრაფოდა რეგიონში პირველობა მოეპოვებინა ... სწორედ სომხეთის

[92] ც. ქურციკიძე. ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, გვ. 120 (მკვლევარი ეყრდნობა 1977 წელს თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე ნ. შოშიაშვილის მიერ წაკითხულ მოხსენებას, „IX-X სს. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ზოგიერთი ქრონოლოგიური საკითხი“, რომელსაც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ).

[93] Э. Такаишвили. Археологическая экспедиция 1917 г. в Южные провинции Грузии, გვ. 42.

[94] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), გვ. 452.

წამყვანი პოზიციების ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ ახალი ტიტულის მიღება“.[95]

საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია 973 წლის პარხლის სახარების ერთი მინაწერი: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღუითივ გჳრგჳნოსანისა **მეფეთა მეფისა**, ადიდენ ღმერთმან, ღუთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა“.[96] თითქოს ყველაფერი ნათელია. საინტერესოა, რომ დავითი მოიხსენიება მაგისტროსად. ჯერ არ ფლობს არც კურაპალატობას და არც ქართველთა მეფობას (ქართველთა მეფე ამ დროს ბაგრატ II არის). ანუ ეს ხდება მისი მოღვაწეობის დასაწყისში. ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა მის მიერ მეფეთ-მეფის ტიტულის მიღება? ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დავითის მოხსენიება მეფეთ-მეფედ მხოლოდ მინაწერის ავტორის პირადი ინიციატივაა.

მსგავსი მაგალითები არსებობს. მაგ. გერგეტის სულთა მატიანეში ყვარყვარე IV ჯაყელი (1451-1498 წწ.) ათაბაგთა-ათაბაგად იწოდება – „სული ათაბაგთა ათაბაგისა ყუარყუარესი“.[97] ოფიციალურად ათაბაგთა ათაბაგის არც თანამდებობა არსებობდა და არც ტიტული. ყვარყვარე ჯაყელის მოხსენიება ათაბაგთა ათაბაგად მხოლოდ მისი განდიდების მიზნით უნდა მომხდარიყო; ანტიოქიის პატრიარქის მიერ მზეჭაბუკ ათაბაგისადმი (1505-1515 წწ.) გამოგზავნილი მიმართვის ქართული თარგმანში წერია: „დიდისა მეფისა ჩუენისა ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისა“. მზეჭაბუკის მოხსენიება მეფედ და ხელმწიფედ მთარგმნელის ინიციატივაა, რადგან წერილის არაბულ დედანში ათაბაგი მსგავსი ტიტულებით არ მოიხსენიება.[98] აქაც მიზეზი მზეჭაბუკის განდიდებაა.

ჩვენი აზრით, მსგავსი ვითარებაა საგულვებელი დავითის მეფეთ-მეფობასთან დაკავშირებითაც. ეს იყო ერთი კონკრეტული პირის პირადი ინიციატივა და მიზნად ისახავდა დავითის განდიდებასა და წარმოჩენას. ყოველ

[95] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 99-100.

[96] ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. 95.

[97] ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის (მსკი). ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 234.

[98] ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბ. 1961, გვ. 96.

შემთხვევაში, დავითის მოხსენიება მეფეთ-მეფედ გამონაკლისია, ეს არ გამხდარა ტრადიაცია და ტიტული „მეფეთ-მეფე“ იმ დროს ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ბაგრატიონთა საგვარეულოში. თუ დავითი მეფეთ-მეფე იყო, მაშინ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტულიც ბაგრატ III-ს უნდა გადასცემოდა. ასეთი რამ კი არ ფიქსირდება.

ჩვენ იმ თვალსაზრისს ვიზიარებთ, რომ მეფეთ-მეფე როგორც ტიტული, რომელიც მემკვიდრეობით დამკვიდრდა ბაგრატიონთა საგვარეულოში და შემდეგ ყველა მეფის ტიტულატურის განუყოფელი ნაწილი გახდა, პირველად გურგენმა მიიღო. მით უმეტეს, რომ მიზეზიც ნათლად აქვს ახსნილი სუმბატ დავითის ძეს: „ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და **ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა**“.[99] ამ შემთხვევაში სრულიად გასაგებია თუ რამ გამოიწვია ახალი ტიტულის გაჩენა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში ოთხი პიროვნება იწოდებოდა მამფლად. გუარამ აშოტის ძე (+ 882 წელს), სუმბატ ადარნასეს ძე (+889) და მისი ძეები ბაგრატი (+906) და დავითი (+946).

შ. ბადრიძეს აზრით, „გამორიცხული არაა, რომ მამფლობა ქართველთა სახელმწიფოს „აბსოლუტისგან“ დამოუკიდებლობისა და ავტონომიური „მთავრობისკენ“ მისწრაფების გამომხატველი იყო წინააღმდეგ „ერისთავობისა“ და „ერისთავთერისთავობისა“, რომელნიც „აბსოლუტისადმი“ დაქვემდებარებულ სამოხელეო თანამდებობებს წარმოადგენდნენ“.[100] ტიტულ „მამფალის“ პირველი მფობელი აშოტ კურაპალატის უმცროსი ძე გუარამი იყო. ამიტომ ცხადია, რომ „მამფალი“ არსებობდა მანამ, სანამ „ქართველთა მეფის“, „ერისთავთერისთავისა“ და „ერისთავის“ ტიტულები გაჩნდებოდა ბაგრატიონთა საგვარეულოში. „მამფლის“ და უფრო გვიან შექმნილი ტიტულების ერთ სიბრტყეში დაყენება მცდარი გვგონია.

„რაც შეეხება მამფლობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი გენეზისისა და განვითარების კონკრეტული გზები ძნელად წარმოიდგინება, მასზე უნდა ითქვას, რომ იგი ტიპიური ადრეფეოდალური ხანის ინსტიტუტია“.[101] ესეც იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ IX საუკუნის ბოლოს ქართული ტიტულატურის შემოტანის შედეგად შექმნილი ახალი იერარქიული სისტემისათვის

[99] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.
[100] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 238.
[101] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 234.

„მამფალი“ ზედმეტი იყო. ამას თითქოს ისიც ადასტურებს, რომ დავით მამფლის გარდაცვალების შემდეგ (946 წელი) არც ერთი ბაგრატიონი „მამფლად“ აღარ იწოდება. სუმბატმა მამფლობა გუარამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო, თუ მანამდე ჰქონდა (ანუ ბაგრატიონებში ერთდროულად ორი მამფალი იყო) დაბეჯითებით ძნელი სათქმელია. ალბათ, უფრო გუარამის გარდაცვალების შემდეგ გახდა მამფალი. ჩვენი აზრით, სუმბატის შემდეგ მამფლობა მემკვიდრეობით მიიღო ჯერ მისმა უფროსმა ვაჟმა ბაგრატმა, ხოლო შემდეგ მომდევნო ძმა დავითმა. ჩვენთვის ცნობილი ოთხი მამფლიდან ორმა (გუარამმა, სუმბატმა) ეს ტიტული მიიღო ქართული იერარქიული სისტემის შემოღებამდე. კიდევ ერთმა ბაგრატმა 889 წელს, როდესაც ქართული იერარქიული სისტემა ჩამოყალიბების პროცესში იყო. მხოლოდ ერთი გახდა მამფალი მას შემდეგ, რაც ქართული იერარქიული სისტემა ამოქმედდა. ეს ერთი შემთხვევა გამონაკლისია და განპირობებული იყო, ალბათ, იმით, რომ დავითის მამა და ძმა მამფლები იყვნენ. ნიშანდობლივია, რომ არც ბაგრატის შვილები (ოთხი ძე ჰყავდა) და არც დავითის ვაჟი მამფლებად არ იწოდებიან.

ჩვენი აზრით, „მამფალი“ საპატიო ტიტული იყო, რომელიც არსებობდა აშოტ კურაპალატის მემკვიდრეების პირველ სამ თაობაში. შემდეგ კი გაუქმდა, როგორც ზედმეტი ახლად შექმნილი ქართული იერარქიული სისტემისათვის.

„მამფლის“ ნაცვლად გაჩნდა ორი ახალი ტიტული: „ერისთავთერისთავი“ და „ერისთავი“.

სავარაუდოდ, პირველად ერისთავთერისთავის ტიტული აშოტ კუხმა მიიღო. 891 წელს მამის, გურგენ კურაპალატის, გარდაცვალების დროს ის უკვე ამ ტიტულით ჰყავს მოხსენიებული მემატიანეს: „და მოკუდა წყლულებითა მისითა გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქრონიკონსა რ˜ია. და დაუტევნა ორნი ძენი: ადარნასე და აშოტ **ერისთავთერისთავი**“.[102] აშოტს ერისთავთერისთავობა 888-891 წლებში უნდა მიეღო. 918 წელს აშოტ კუხი უმემკვიდრეოდ გარდაიცვლა.

როდესაც ბაგრატიონთა მემატიანე 896 წელს აშოტ კუხის ძმის, ადარნასეს გარდაცვალებაზე წერს, აღნიშნავს – „გარდაიცვალა [ადარნასე] ქრონიკონსა რ˜ივ, და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი: დავით **ერისთავთაერისთავი** და გურგენ, რომელი შემდგომად, მერმე, დიდი **ერისთავთაერისთავი** იყო“.[103] დავი-

[102] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.
[103] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.

თი 908 წელს გარდაიცვალა და ერისთავთერისთავობა მის ძმაზე გურგენ დიდზე გადავიდა. როდის მიიღო დავითმა ერისთავთერისთავობა უცნობია, სავარაუდოდ, 896 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ. საინტერესოა, რომ როცა ბაგრატიონთა მეისტორიე 908 წელს დავითის გარდაცვალებაზე საუბრობს, მას მხოლოდ ერისთავობით მოიხსენიებს.[104] ძნელად წარმოსადგენია, რომ დავითი ჯერ ერისთავთ-ერისთავი ყოფილიყო და მერე მომხდარიყო მისი დამცრობა ერისთავობამდე. უფრო მოსალოდნელია, რომ დავითი იყო ჯერ ერისთავი და შემდეგ გახდა ერისთავთერისთავი (ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირებულია ბაგრატიონთა შორის). თუმცა ჩვენი აზრით, შესაძლოა, საქმე გვაქვს გადამწერთა შეცდომასთან და მეორედაც უნდა იყოს ერისთავთერისთავი. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სუმბატთან ტიტულები, ძირითადად, დაქარაგმებულად არის მოცემული: ერისთავთერისთავი – „ეე“ და ერისთავი – „ეი“.

გურგენ დიდი 908-941 წლებში იყო ერისთავთერისთავი (ის ამავე დროს მაგისტროსის ტიტულსაც ფლობდა). გურგენთან დაკავშირებით გასარკვევია ორი საკითხი. პირველი, ქართულ ისტორიოგრაფიაში გვხვდება ხან გურგენ, დიდი ერისთავთერისთავი და ხანაც გურგენ დიდი, ერისთავთ-ერისთავი. ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაშრომშიც კი.[105] ამას ხელს უწყობს სუმბატ დავითის ძის ცნობებიც. ერთგან ის წერს: „გურგენ რომელი შემდგომად, მერე **დიდი ერისთავთ-ერისთავი** იყო“.[106] მეორეგან კი აღნიშნავს: „გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძმაჲ დიდისა გურგენისა“.[107] ჩვენი აზრით, ეპითეტი დიდი, უნდა დავუკავშიროთ თავად გურგენს და უნდა ვიხმაროთ გურგენ დიდი. მის ასეთ ზედწოდებას სრულიად ამართლებს მისი სუმბატისეული დახასიათებაც: „გურგენ ... რომელმან უმეტესნი სიმხნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი“.[108] მეორე, როდის გახდა გურგენი ერისთავთერისთავი? სუმბატ დავითის ძის მიხედვით, „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქრონიკონსა რ˜ლ, და არა ესუა შვილი. და ამის შემდგომად, გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი დასუეს **ერისთავთერისთავად**“.[109]

---

[104] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.
[105] ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გვ. 79, 82.
[106] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.
[107] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.
[108] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 368.
[109] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.

ამრიგად, გამოდის, რომ გურგენმა ერისთავობა მიიღო თავისი ბიძის, აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ, ანუ 918 წელს. ანალოგიურ ცნობას იძლევა გიორგი მერჩულეც: „მას ჟამსა გარდაიცვალა ღმრთის მსახური იგი ხელ-მწიფე (აშოტ კუხი – მ.ბ.) ... ხოლო გურგენ, ძმისწული აშოტისი, დიდი იგი ხელმწიფეჲ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა **ერისთავთა ერის-თავად**“.[110] მაგრამ ამ ორივე ცნობას ეწინააღმდეგება სტეფანე მტბევარის მიერ დაწერილ „გობრონის მარტვილობაში“ ასახული რეალობა. ნაწარმოები იწყება შემდეგი სიტყვებით: „მე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან დავწერე ბრძანებითა აშოტ **ერისთავთა-ერისთავისაითა**“.[111] აშკარაა, რომ მარტვილობის დაწერის მომენტში აშოტ ერისთავთერისთავი ცოცხალია. წინააღმდეგ შემ-თხვევაში სტეფანე მტბევარი ამას აუცილებლად აღნიშნავდა. ამავე დროს, ამბის თხრობისას ირკვევა, რომ აბულ-კასიმის ლაშქრობის დროს, 914 წელს, ყველის ციხე გურგენ ერისთავთ-ერისთავის კუთვნილება ყოფილა. სტეფანე მტბევარი წერს: „მოვიდეს იგინი ციხესა მას ყველისასა, რომელი იყო გურგენ **ერისთავთ ერისთავისაჲ**“.[112] სტეფანე მტბევარი ყოველივეს თვითმხილველია და მისი ცნობები ყველაზე მეტად არის ანგარიშგასაწევი. ასეთ შემთხვევაში კი გამოდის, რომ აშოტ კუხის სიცოცხლეშივე გურგენი უკვე იყო ერისთავთერისთავი. ჩვენი აზრით, სუმბატ დავითის ძისა და, ალბათ, გიორგი მერჩულეს შეცდომის მიზეზი გახდა ის, რომ აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ გურგენმა მემკვიდრეობით მიიღო მისი მიწები და ეს ბუნებრივიცაა, რადგან გურგენი იყო უშვილო ბიძის ერთადერთი მემკვიდრე. სუმბატმა და გიორგი მერჩულემ, ალბათ, ამ ფაქტს დაუკავშირეს გურგენის მიერ ერისთავთერისთავობის მიღება. სავარაუდოდ, გურგენმა ერისთავთერის-თავობა თავისი ძმის, დავითის გარდაცვალების შემდეგ 908 წელს მიიღო.

ბაგრატიონთა მემატიანის მიხედვით, ერისთავთერისთავია სუმბატ და-ვით მამფლის ძე: „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთაერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქრონიკონსა ს~Ჩ“.[113] საინტერესოა, რომ გიორგი მერჩულე 951 წლისათვის სუმბატს ერისთავობით მოიხსენიებს,

[110] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 258.
[111] სტეფანე მტბევარი. გობრონის წამება. ძველი ქართული აგიოგრაფიუ-ლი ლიტერატურის ძეგლები. წ. I. თბ. 1963, გვ. 172.
[112] სტეფანე მტბევარი. გობრონის წამება, გვ. 176.
[113] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.

„**ერისთვობასა** სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა“.[114] როგორც ჩანს, სუმბატი ჯერ ერისთავი იყო, ხოლო შემდეგ **ერისთავთერისთავობა** ებოძა. როდის ებოძა სუმბატს ჯერ ერისთავობა, ხოლო შემდეგ ერისთავთერისთავობა უცნობია. ეს უკანასკნელი ტიტული მას, სავარაუდოდ, 988 წლამდე, გარდაცვალებამდე ჰქონდა.

951 წლისათვის ერისთავთერისთავია სუმბატ ადარნასე ქართველთა მეფის ძე, „**ერისთავთა ერისთვობასა** სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა“.[115] სუმბატ ადარნასეს ძესთან დაკავშირებითაც გაურკვეველია, თუ როდის გახდა ის ერისთავთერისთავი. ალბათ, მანაც გარდაცვალებამდე, 958 წლამდე შეინარჩუნა ტიტული.

სუმბატ დავითის ძე ერისთავთერისთავობით მოიხსენიებს ძმებს: ბაგრატსა და დავით ადარნასეს ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კურაპალატი ... დაუტევნა ძენი: ბაგრატ და დავით **ერისთავთაერისთავი**. გარდაიცვალა ესე ბაგრატ **ერისთავთერისთავი**, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა რ~პვ, ხოლო ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა დიდად“.[116] საინტერესოა, რომ ბაგრატი ერისთავთერისთავად იწოდება ოშკის წარწერებშიც, მისი ძმა დავითი კი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტროსობით და ზოგადი ტიტულით – „მეფე“.[117] ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ დავითმა ერისთავთერისთავის ტიტული 966 წელს, ძმის გარდაცვალების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია. ცხადია მხოლოდ ერთი რამ, ბაგრატი გარდაცვალებამდე ფლობდა ერისთავთერისთავობას.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ერისთავთერისთავი იყო ბაგრატ II. ამას ადასტურებს სუმბატ დავითის ძე: „სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ~ოგ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ **ერისთავთერისთავი**, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი“.[118] ცხადია, მისი ერისთავთერისთავობა 958 წლამდე გაგრძელდებოდა, როდესაც ის ქართველთა მეფე გახდა. როდის მიიღო ბაგრატმა ერისთავთერისთავობა, უცნობია.

973 პარხლის სახარების მინაწერში ერისთავთერისთავად არის მოხ-

---

[114] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 323.
[115] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 323.
[116] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.
[117] ვ. სილოგავა. ოშკი. X ს. მემორიალური ტაძარი, გვ. 68, 70, 80, 97.
[118] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 369.

სენიებული ბაგრატ II-ის ძე სუმბატი: „სალოცველად მეფეთა ჩეუნთათვის ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა და სუმბატ **ერისთავთ-ერისთავისა**“.[119] სუმბატმა ერისთავთერისთავობა, ალბათ, 958 წელს, მამის ქართველთა მეფედ გახდომის შემდეგ მიიღო მემკვიდრეობით და 992 წლამდე, გარდაცვალებამდე, შეინარჩუნა.

ამრიგად, კლარჯი ბაგრატიონებიდან ერისთავთერისთავები იყვნენ: აშოტ კუხი (888-891 წლიდან 918 წლამდე), დავით ადარნასეს ძე (896-908 წლები), გურგენ დიდი (908-941 წლები), სუმბატ დავით მამფლის ძე (988 წლამდე). ტაოელი ბაგრატიონებიდან: სუმბატ ადარნასე ქართველთა მეფის ძე (958 წლამდე), ბაგრატ ადარნასეს ძე (966 წლამდე), დავით ადარნასეს ძე (966 წლიდან?), ბაგრატ II (958 წლამდე), სუმბატ ბაგრატ II-ის ძე (958-992 წლები).

ჩვენ მიერ ნანახ წყაროებში მხოლოდ სამი პირია მოხსენიებული ერისთავობით. ერთი არის გურგენ ბაგრატ მამფლის ძე. მას ასახელებს სუმბატ დავითის ძე: „და გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი ... დაუტევნა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი-იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ-იდვა, გურგენ **ერისთავი**, აშოტ და დავით“.[120] როდის გახდა გურგენი ერისთავი, უცნობია, მაგრამ ტიტული, სავარაუდოდ, გარდაცვალებამდე, 923 წლამდე, შეინარჩუნა. მეორე პიროვნება დავით ადარნასე ქართველთა მეფის ძეა. ის ერისთავად იწოდება პარხლის 897 წლის მინაწერში, „სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა ადარნასე კურაპალატისა და ღმრთით ბოძებულთა ნაშობთა მათთა დავით **ერისთავისა**“.[121] დავითი 923 წელს ქართველთა მეფე გახდა. მისი ერისთავობის პერიოდი შეიძლება 897-923 წლებით განვსაზღვროთ. მესამე, სუმბატ დავით მამფლის ძე, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვისაუბრეთ.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა იერარქიული დამოკიდებულება არსებობდა ქართველთა მეფესა, ერისთავთ-ერისთავსა და ერისთავს შორის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, გვარში უფროსს „ჯერ კურაპალატად, ხოლო მერე მეფედ წოდებულს, სხვები ემორჩილებოდნენ, ვითარცა ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი“.[122] მეცნიერს, როგორც ჩანს, ბაგრატიონი

[119] ა. შანიძე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 034.
[120] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 367.
[121] ა. შანიძე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 014.
[122] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 114.

ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები ჩვეულებრივ მოხელეებად მიაჩნდა.

მ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ ქართველთა სამეფოს ორგანიზაცია შემდეგ სახეს ატარებდა: „სამთავროს“ სათავეში დგას „კურაპალატი“ ან „ქართველთა მეფე“, „დიდი მთავარი“ (ტაოს ბაგრატიონები). არტანუჯელ-კლარჯი ხელმწიფეები კი ამ „დიდი მთავრის“ ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. ტაოს შტოში შექმნილი განშტოებაც „მეფის“ ქვეშევრდომი უნდა იყოს. ესაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმალური ვითარება. ამ „დიდი მთავრის“, „მეფის“, „კურაპალატის“ ხელისუფლება, როგორც დანარჩენ ბაგრატიონთა მთავრის, სიუზერენისა სრულიად ნომინალურია“.[123]

ნ. შოშიაშვილის თვალსაზრისით, 888 წლამდე „უმაღლესი ქართული ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში იყო ერისთავთ-ერისთავი“. 888 წლის მერე კი შემდეგი სახის იერარქია შეიქმნა: ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი. „ამავე დროს თითოეული ამ ტიტულის მატარებელი იყო მეფე ე.ი. უმაღლესი სიუზერენი. ვისაც აღნიშნული ტიტული არ ჰქონდა, ის იყო არა მეფე, არამედ მამფალი“.[124] სუმბატ დავითის ძის მიხედვით, პირველი ერისთავთ-ერისთავი არის აშოტ კუხი. ამიტომ 888 წლამდე ტაო-კლარჯეთში ერისთავთერისთავის ტიტულის არსებობა ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული ტიტულები, ალბათ, ერთდროულად უნდა შემოსულიყო.

შ. ბადრიძის მოსაზრებით, „მამფლობა, ქართველთა სახელმწიფოს აბსოლუტისაგან დამოუკიდებლობისა და ავტონომიური მთავრობისაკენ მისწრაფების გამომხატველი იყო. წინააღმდეგ „ერისთავობისა“ და „ერისთავთ-ერისთავობისა“, რომელნიც აბსოლუტისადმი დაქვემდებარებულ სამოხელეო თანამდებობას წარმოადგენდნენ“.[125] „მამფლის“ ინსტიტუტის შესახებ ჩვენი მოსაზრება უკვე გამოვთქვით.

ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ „ერისთავი, რომელსაც სხვა ერისთავი თუ ერისთავები ჰყავდა ვასალებად, ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა. ეს იყო უდიდესი ხარისხი მეფის ხარისხის შემდეგ“. მეცნიერისთვის მამფალი იყო ერისთავთ-ერისთავზე დაბალი და ერისთავზე მაღალი პატივი და „საზოგა-

[123] მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), გვ. 458.
[124] ნ. შოშიაშვილი. ქართული წარწერების კორპუსი. I, გვ. 56.
[125] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 238.

დოდ უდრიდა მთავარს“.[126]

თვითონ ტერმინიდან – ერისთავთერისთავი – გამომდინარე მას მართლაც უნდა ჰყოლოდა ხელქვეითი ერისთავები. თუმცა რეალურად არ არსებობს არც ერთი შემთხვევა, რომ ერისთავთ-ერისთავს ჰყოლოდა ხელქვეითი ერისთავები (ანალოგიურად, მეფეთ-მეფეს არ ჰყავდა ხელქვეითი მეფეები).[127]

ქართველთა მეფისა, ერისთავთ-ერისთავისა და ერისთავის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ნ. შოშიაშვილის შენიშვნა, რომ ძალიან ხშირად ბაგრატიონი ერისთავთერისთავები და ერისთავები იწოდებიან მეფეებად[128] (ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი ჩვენ სათანადო ადგილზე განვიხილეთ). უკვე ამ მოცემულობიდან გამომდინარე ძნელია ვივარაუდოთ, რომ ქართველთა მეფესა, ერთი მხრივ, და ერისთავთ-ერისთავსა და ერისთავს შორის, მეორე მხრივ, იყო ისეთი იერარქიული დამოკიდებულება, როგორც მეფესა და მოხელეს შორის. ასეთი რეალური დაქვემდებარება რომ არ არსებობდა, იქნებ ამიტომაც არაფერს ამბობს ამ საკითხის შესახებ სუმბატ დავითის ძე, რასაც ასე საყვედურობს მას ივ. ჯავახიშვილი.

ჩვენი აზრით, სრულიად მისაღებია შ. ბადრიძის მოსაზრება, რომ „არა მხოლოდ ფაქტიურად, არამედ იურიდიულადაც „ქართველთა მეფე“ განიხილებოდა არა როგორც აბსოლუტი, ყველაზე მაღლა რომ დგას იერარქიაში, არამედ როგორც პირველი მეფე უფლებით მასზე დაქვემდებარებულ მეფეთა შორის. არსებული განსხვავების მიუხედავად იერარქიის სხვა საფეხურზე მდგომნიც მისი თანასწორნი იყვნენ „სამეფო ხელისუფლებაში“ მონაწილეობის თვალსაზრისით“.[129]

ბაგრატიონი ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ექვემდებარებოდნენ ქართველთა მეფეს (თუმცა ფაქტობრივად საკმაოდ ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მეფეს არც კი ემორჩილებოდნენ), მაგრამ ეს არ იყო მოხელე-ერისთავის დაქვემდებარება მე-

[126] ე. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 27. თბ. 1949, გვ. 44.

[127] მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 284-293.

[128] ნ. შოშიაშვილი. ქართული წარწერების კორპუსი. I, გვ. 50.

[129] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 246.

ფისადმი, არამედ მხოლოდ როგორც გვარის ნომინალური მეთაურისადმი.

ამ საკითხზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი უმთავრესი მომენტი. როდესაც ერისთავი არის მოხელე – ადგილობრივი მმართველი, მის საგამგეოს ეწოდება საერისთავო და ის არის დროებით მმართველობაში გადაცემული ტერიტორია. ერისთავი არ არის ამ „ქუეყნის“ პატრონი, ის არის მხოლოდ მმართველი, ადმინისტრაციული მოხელე. მაშინ როცა სრულიად განსხვავებულია მისი სტატუსი თავისივე მამულის მიმართ. ამ შემთხვევაში ის გამოდის როგორც პატრონი. არც ერთი ბაგრატიონი ერისთავთ-ერისთავისა თუ ერისთავის კუთვნილი „ქუეყანა“ არ შეიძლება მიგიჩნიოთ საერისთავოდ. ეს არ არის მათთვის დროებით სამართავად მიცემული ტერიტორია. ეს არის მათი მამული, მემკვიდრეობით მიღებული და რომელიც მათ ხელშეუხებლად ეკუთვნით, განსხვავებით საერისთავოსაგან. თუკი არ არსებობს საერისთავო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ცხადია ვერ იარსებებს ერისთავიც, როგორც მოხელე, ადგილობრივი მმართველი. ჩვენი აზრით, ბაგრატიონებში ერისთავთ-ერისთავი და ერისთავი იყო საპატიო ტიტული, რომელსაც რეალური სამოხელეო შინაარსი არ ჰქონდა.

რაც შეეხება თავად ერისთავთ-ერისთავისა და ერისთავის ურთიერთმიმართებას. ცხადია, ბაგრატიონი ერისთავის ჩათვლა ბაგრატიონი ერისთვათ-ერისთავის ხელქვეით მოხელედ არ შეიძლება, ყოველივე ზემოთ თქმულის გამო. ჩვენი აზრით, ქართველთა სამეფოში არსებული ქართული ტიტულები: ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი და ერისთავი გამოხატავდა არა ადმინისტრაციულ იერარქიას, არამედ სოციალურ სტატუსსა და ურთიერთმიმართებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: „ქართველთა მეფის“ ტიტულს ფლობდნენ: ადარნასე დავითის ძე (888-923), დავითი ადარნასეს ძე (923-937), ბაგრატ ადარნასეს ძე (937-945), ბაგრატ II რეგუენი (958-994), დავით კურაპალატი (994-1001), ბაგრატ III (1001-1014).

ბაგრატიონებში მეფეთ-მეფის ტიტულის პირველი მფლობელი ბაგრატ III-ის მამა გურგენი იყო.

ბაგრატიონებში ოთხი პიროვნება იწოდებოდა მამფლად, გუარამ აშოტის ძე (+ 882), სუმბატ ადარნასეს ძე (+889) და მისი ძეები ბაგრატი (+906) და დავითი (+946).

ერისთავთერისთავები იყვნენ: აშოტ კუხი (888-891 წლიდან 918 წლამდე), დავით ადარნასეს ძე (896-908), გურგენ დიდი (908-941), სუმბატ და-

ვით მამფლის ძე (988 წლამდე), სუმბატ ადარნასე ქართველთა მეფის ძე (958 წლამდე), ბაგრატ ადარნასეს ძე (966 წლამდე), დავით ადარნასეს ძე (966 წლიდან), ბაგრატ II (958 წლამდე), სუმბატ ბაგრატ II-ის ძე (958-992).

წყაროებში მხოლოდ ორი პირია მოხსენიებული ერისთავობით: გურგენ ბაგრატ მამფლის ძე (+923) და დავით ადარნასე ქართველთა მეფის ძე (897-923).

Mikheil Bakhtadze

GEORGIAN TITLES IN THE BAGRATIONI DYNASTY, RULERS OF TAO-KLARJETI

Summary

The Bagrationi dynasty rulers of Tao-Klarjeti had both Georgian and Byzantiane titles. Presumably, Georgian titles existed in parallel to Byzantine titles and independent from them. The following Georgian titles have been fixed in the Bagrationi family: Mepet-Mepe (King of the Kings), Mepe (King), Kartvelta Mepe (King of the Kartvelians/Georgians), Eristavt-Eristavi (Duke of the Dukes), Eristavi (Duke) and Mampali (Lord).

In reality of Tao-Klarjeti the title Mepe, perhaps, was honorable title from the beginning which could be used in relation to any Bagrationi.

The title King of the Georgians emerged in 888. In our view, the emergence of this title, as well as that of Eristavt-Eristavi and Eristavi was clearly anti-Byzantine step. The reinforcement of the principality, which by itself meant weakening of Byzantine influence, necessarily required the introduction of Georgian titles in parallel with the Byzantine titles and accordingly, hierarchy.

The question arises; why in 888. In our view, a certain role was played by the restoration of kingship in Armenia; the reactivation of kingdom of the Abkhasians (Western Georgia). The Kings of the Abkhasians had already made a statement on primacy in "Georgian space". The struggle for supremacy demanded equal "status" with the rulers of Western Georgia.

The following rulers had title King of the Georgians: Adarnase, son of David (888-923), David, son of Adarnase (923-937), Bagrat, son of Adarnase (937-945), Bagrat II Regueni (958-994), David Kuropalates (994-1001), Bagrat III (1001-1014).

At the end of the 10th century the title of the King of the Kings emerges in the Bagrationis. As it is seen, this title was first received by Gurgen, son of Bagrat II Regueni.

In Tao-Klarjeti Bagrationis four persons held the title of Mampali. Guaram, son of Ashot, Sumbat, son of Adarnase and his sons, Bagrat and David. Mampali was supposedly an honorary title which existed in the first and second generations of Ashot Kuropalates. Then it was abolished as unnecessary for the newly established Georgian hierarchical system. In our view there emerged two new titles instead of Mampali: Eristavt-Eristavi and Eristavi.

Of Tao-Klarjeti Bagrationis the title of Eristavt-Eristavi was held by Ashot Kukhi, David, son of Adarnase, Gurgen the Great, Sumbat, son of David Mampali, Sumbat, son of Adarnase, Bagrat, son of Adarnase, David, son of Adarnase, Bagrat II, Sumbat, son of Bagrat II.

Of Tao-Klarjeti Bagrationis the title of Eristavi was held by Gurgen, son of Bagrat Mampali and David, son of Adarnase.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ნესტან სულავა

ქართული ჰიმნოგრაფია, როგორც საისტორიო წყარო და პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი

ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ძირითადი მიზანდასახულობა მხატვრული სამყაროს ასახვაა, რეალობის სახისმეტყველებითად წარმოსახვაა. მხატვრული თვალსაზრისით ძველ ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში განსაკუთრებული ღირებულება ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას ეკისრება, რადგან ამ ორ ჟანრში მხატვრულ სააზროვნო სისტემას ისტორიული ღირებულების მქონე ფაქტების ასახვაც ერწყმის. საქართველოს ისტორიის პრობლემატიკის საკვლევად წყაროთმცოდნეობითი ღირებულება განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიას ეკისრება, ქართული საისტორიო მწერლობისათვის იგი უმნიშვნელოვანესი სფეროა. ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა: „ქართველი ისტორიკოსები საისტორიო მწერლობას მოწიწებით და თავიანთ მოვალეობას პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ეპყრობოდნენ, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საისტორიო თხზულებაში ყველაფრის და ყოველგვარი ცნობების შეტანა კი არ შეიძლებოდა, ყველაფერი არ იყო „ღირს ჴსენებისა“ (გიორგი ხუცესმონაზონი), არამედ მხოლოდ ისეთი ამბების აღნუსხვა მიაჩნდათ სასურველად, რომელნიც მემატიანეს „მოსაჴსენებლად არა უჯეროდ“ ეჩვენებოდა (გიორგი ხუცესმონაზონი), თანაც იყო „ღირს ჴსენებისა და შუენიერებაჲ აღწერისა“ (გიორგი ხუცესმონაზონი)“.[1] ჰაგიოგრაფია, საისტორიო მწერლობის მსგავსად, ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს ასახავს; მისგან განსხვავებით, ჰიმნოგრაფია მწერლობის ის სფეროა, რომელშიც ისტორიული მოვლენები ნაკლებად, ძირითადად, ალუზიურად აისახება და გამოსჭვივის. მაგრამ ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია

[1] ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 30.

მკვეთრად გამოვლინდა. ქართველი ერის ცნობიერების განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი X-XIII საუკუნეების ჰიმნოგრაფია იყო, რადგან ამ პერიოდის საგალობლებში აირეკლა პოლიტიკური იდეოლოგია, რაც მათ წინარე ჰიმნოგრაფიული პოეზიისაგან განასხვავებს. ჩემი სტატიის ძირითადი მიზანდასახულობა სწორედ ჰიმნოგრაფიის საისტორიო ღირებულების განსაზღვრაა, იმის დადგენაა, თუ რა ისტორიულ ფაქტებს ინახავს საგალობლის ტექსტი, რომლის უმთავრესი დანიშნულება ლიტურგიულია, ტაძარში მისი გალობით შესრულებაა.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში დასმული ეროვნული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები საღვთისმეტყველო ლიტერატურის მხოლოდ ამ ჟანრში არ წარმოჩენილა, მაგრამ ჰიმნოგრაფიაში პირველად აისახა ზოგიერთი ისეთი პრობლემა, რომელთა შესახებ სხვა ჟანრის თხზულებებში ცნობები ან საერთოდ არ არის დაცული, ან ძირითად წყაროდ სწორედ ჰიმნოგრაფია გვევლინება. პოლიტიკური იდეოლოგია ქრისტიანულ ცნობიერებასა და სამეფო იდეოლოგიას, ანუ დინასტიურ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, ერთდროულად მოიცავს და ცივილიზაციურ-კულტურულ გეოპოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ფუნქციით დატვირთული წარმოგვიდგება. ამიტომ საქართველოს ისტორიული წარსულის, პოლიტიკური იდეოლოგიის დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში საკვლევად აუცილებელია არა მხოლოდ ისტორიული ღირებულების მქონე თხზულებებსა და დოკუმენტებში არსებული მასალა; უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალთახედვით საკმაოდ ღრმადაა შესწავლილი ჰაგიოგრაფია, საჭიროა ამ საკითხთა გამოვლენა სხვა ჟანრის თხზულებებშიც, კერძოდ ჰიმნოგრაფიაში, ჰომილეტიკასა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დაცული ცნობების მოძიება და გათვალისწინება, რაც აუცილებელ საქმედ მიმაჩნია. საღვთისმეტყველო და მხატვრული ლიტერატურა ხშირად ისეთ ფაქტოლოგიურ ცოდნას ინახავს, რომელთა შესახებ სხვადასხვა მიზეზთა გამო მატიანე დუმს. ამასთან, არის რიგი საკითხებისა, რომლებიც საისტორიო თხზულებებსა და მხატვრულ ლიტერატურაში პარალელურად ჩნდება და აისახება. კორნელი კეკელიძე მხატვრულ ლიტერატურაში ასახული პოლიტიკური აზროვნების კვლევისას წერდა: „ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ე. წ. კლასიკურ ხანაში ჩვენ ვხედავთ მისი პოლიტიკურ-ეროვნული თვითშეგნების არაჩვეულებრივ ზრდას. იმდროინდელი ლიტერატურული ძეგლები, როგორც საისტორიო, ისე მხატვრული, რელიეფურად წარმოგვიდგენენ ამ სიმაღლეს, რომელზედაც

ასულა ამ დროს ქართველთა პოლიტიკური აზროვნება“.[2] კ. კეკელიძის ეს მოსაზრება ერთგვარ გზამკვლევად გვევლინება X-XIII საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფიაში არეკლილი ისტორიული მოვლენებისა და პოლიტიკური იდეოლოგიის შესასწავლად.

საგალობლები თემატურ-იდეური და ჰაგიოგრაფიასთან მიმართების თვალსაზრისით ორი რიგისაა: 1. საგალობელთა თემატიკა და ეროვნული მრწამსი ძირითადად ჰაგიოგრაფიამ განსაზღვრა; 2. საგალობლები თავად იქცნენ ჰაგიოგრაფიის წყაროდ. ორივე შემთხვევაში საგალობლები ქართული ეკლესიისა და საქართველოს ისტორიის შესასწავლად მეტად საინტერესო წყაროს წარმოადგენენ. ამ პრობლემათა განხილვისას ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი: 1. მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა; 2. ქართული ჰიმნოგრაფიული თხზულებების შექმნის ეპოქა, რაც ერთმანეთს არ თანხვდება. საჭიროა ისიც ითქვას, რომ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არსებული ეროვნული ცნობიერების ასახვა ამ ჟანრის ქართულ თხზულებებს სხვა ენებზე შექმნილ საგალობელთაგან განასხვავებს.

ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი, VI საუკუნის ორი ქართული საგალობელი, ორი „ოხითაჲ“, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და წმ. სამებისადმი მიძღვნილი წმ. შიო მღვიმელის საგალობლები, რომლებიც შიომღვიმეში დაარსებული მონასტრების შესახებ ისტორიული თვალსაზრისითაც გვაწვდიან ცნობებს. ეს საგალობლები ტაძრის სატფურების დღესასწაულზე შესასრულებელი საგალობლებია. სამებისადმი მიძღვნილი „ოხითაჲ“ ღვთისადმი ვედრებაა, რათა მონასტერი დაიცვას მტრის თავდასხმებისა და ბარბაროსთა შემოსევისაგან; ხოლო მეორე „ოხითაჲ“, წმ. შიო მღვიმელის ანდერძის თანახმად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ლიტანიით შესვლისას სრულდებოდა. კ. კეკელიძის შეფასებით, სამებისადმი მიძღვნილ საგალობელს მსოფლიო საეკლესიო კრებების ტრიოდოლოგიური ტენდენციების იერი დაჰკრავს.[3]

ადრეული ჰიმნოგრაფიული თხზულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს IX საუკუნით დათარიღებული წმ. აბო თბილელისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელშიც წმ. აბოს ხატსახეობრივი პარადიგმის ისტორიული თვალთახედვით შესწავლა ნათლად წარმოაჩენს აბოს სარწმუნოებრივ

[2] კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1956, გვ. 312.

[3] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960, გვ. 124.

ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, პიროვნულ სიმაღლეს: „რაჟამს წარადგინეს იგი **წინაშე მძლავრისა** მის აგარეანისა, აიძულებდა მას და ეტყოდა, რაჲთამცა უარ-ყო ქრისტჲ“... „მაშინ განრისხნა გულისწყრომითა **მძლავრი იგი** და ფერი პირისა მისისაჲ ექცეოდა ზედა წმიდისა მოწამისა ქრისტჲსისა აბოჲსა, ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა და იტყოდა: დაღაცათუ ცეცხლითა და ტანჯვითა აღმასრულოთ მე, არა უარ-ვყო სამებაჲ წმიდაჲ“.[4] საგალობელში ერთი სიტყვით – „**მძლავრი**“ – გაცოცხლებულია ის ეპოქა, რომელშიც წმ. აბოს მოუხდა მოღვაწეობა, ასახულია წმ. აბოს სულიერი სიძლიერე და არაბთა ბატონობის სისასტიკე. მთელი საგალობელი ამ თვალთახედვითაა გამსჭვალული. იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიული თხზულებისა და საგალობლის სახისმეტყველებითი და იდეურ-მსოფლმხედველობრივი საზრისის მსგავსების ამსახველი პასაჟების კვლევის შედეგად ია ღადუამ დაასკვნა, რომ საგალობელი დიდადაა დავალებული იოანე საბანისძის თხზულებისაგან.[5]

ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. კონსტანტი კახისადმი, წმ. ილარიონ ქართველისადმი, წმ. იოანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელებისადმი მიძღვნილი საგალობლები; წმინდა ათონელი მამებისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომელთა ავტორები ზოსიმე მთაწმინდელი, ეზრა მთაწმინდელი და ბასილი ბაგრატის ძე მთაწმინდელი არიან, ათონელი წმინდა მამების დამსახურებას ასახავენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის მიწურულს ელენე მეტრეველმა გაარკვია, რომ წმ. გიორგი მთაწმინდლისადმი მიძღვნილ საგალობელთა ავტორი მისივე სულიერი მოძღვარი წმ. გიორგი შეყენებულია.[6] საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჰიმნოგრაფები სულ ორი-სამი სიტყვით მიუთითებენ იმ ისტორიული ღირებულების მქონე ფაქტებზე, რომლებიც ათონის მონასტრის ამ უდიდესი მამების დამსახურებაზე მეტყველებენ. დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ საგალობელთა წყარო ძირითადად ჰაგიოგრაფია და ათონის მთაზე დაცული ქართული დოკუმენტებია, კერძოდ, წმ. გიორგი მთაწმინდლისა და გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ივირონში დაცული „სამახსოვრო წიგნი“ და მისი მონაცემები. წმ. გიორგი შეყენებულის

[4] უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს ელენე მეტრეველმა, ცაცა ჭანკიევმა და ლილი ხევსურიანმა. თბ.. 1980, გვ. 57.

[5] ი. ღადუა. ქართული ჰიმნოგრაფიის წყაროები. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010.

[6] ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ისტორიიდან. თბ. 1996.

საგალობლები კი წმ. გიორგი მთაწმინდელთან მათი უშუალო სულიერი ურთიერთობის შედეგადაა შექმნილი.

თუ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის საგალობლებში დაცულ უმნიშვნელოვანეს ცნობებს, უწინარესად, მაცხოვრის კვართის საქართველოში მობრძანების თემა უნდა გამოვყოთ, რომლის წყაროდ, თავის მხრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი მოიაზრება. მასთანვეა დაკავშირებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობის იდეა, აგრეთვე, საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობა და ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევა. პოლიტიკური იდეოლოგიის ეს კომპონენტები, სხვა ჟანრის თხზულებებთან ერთად ჰიმნოგრაფიასაც გასდევს და განსაკუთრებულ აქტუალობას XII-XIII საუკუნეებში იძენს.

XII-XIII საუკუნეების საქართველოში შეიქმნა საგალობლები, რომლებიც ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს სიწმინდეებს ეძღვნება და, აქედან გამომდინარე, ქართული სულითაა გაჟღენთილი. ეს თხზულებები უაღრესად ფასეულია საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად და საკვლევად. მათში აისახა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ძირითადად მესიანური იდეისა და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ალუზიის სახით გამოვლინდა. ნიკოლოზ გულაბერისძისა და არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში **ქართველი ერი „საზეპუროდაა“ (ღვთის ერი, რჩეული ერი)** მიჩნეული. ამ ეპოქის ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში ქართული ფენომენის, ქართული სულის წამოწევა და დამკვიდრება ეპოქის სულისკვეთებითა და მოთხოვნებითაა ნაკარნახევი.

ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო თხზულებათა კვალობაზე XII-XIII საუკუნეების ჰიმნოგრაფიამ უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერების დახვეწაში. ქართულ მწერლობაში უკვე არსებობდა რამდენიმე ნიშნით გამოვლენილი მესიანური იდეა,[7] რომელიც სამეფო, დინასტიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო: **1. უფლის კვართის საქართველოში დავანება, 2. რომლის წინაპირობა იყო ელიას ხალენის ქართულ მიწაზე დამკვიდრება; 3. ქრისტეს წამების სამსჭვალისა და**

[7] სამეცნიერო ლიტერატურაში ამა თუ იმ ერში მესიანური შეხედულების არსებობა ეთნოფილეტიზმად იწოდება, რომელიც 1876 წლის კონსტანტინოპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ დაგმო.

ფიცრის საქართველოში ჩამოტანა; 4. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობა; 5. თიხაზე დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრება. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც პოლიტიკური იდეოლოგიური დატვირთვა შეიძინეს ქრისტიანული იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესმა ფაქტებმა: ქართული ეკლესიის სამოციქულოდ აღიარებამ, ვინაიდან აქ იქადაგეს წმ. ანდრია მოციქულმა, წმ. ბართლომემ, წმ. თადეოზმა, წმ. მატათამ, წმ. სიმონ კანანელმა, რასაც შემდგომში დაემატა წმ. ნინოს ჯერ მოციქულთა სწორად, შემდეგ მოციქულად აღიარება და ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის იდეოლოგიური ფუნქციის აქცენტირება-დამკვიდრებამ. ყოველივე ამას სავსებით მიზანდასახულად წარმოაჩენდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, რომელთა თხზულებები ღვთისმსახურების დროს შესასრულებლად იყო განკუთვნილი. ამ ქრისტიანულ იდეოლოგიურ პრობლემათა აქცენტირება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.

ცნობები უფლის კვართის შესახებ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. უფლის კვართის შესახებ ჰაგიოგრაფიული და საისტორიო თხზულებები მოგვითხრობენ. ისინი ერთნაირად მიუთითებენ, რომ იგი წილისყრით საქართველოში მოხვდა. ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობელი მიუთითებს, რომ მაცხოვრის წმინდა კვართმა მიანიშნა ადგილი, სადაც უნდა აღმართულიყო სვეტი-ცხოველი. საგალობელში სამი სიწმიდე ერთდროულადაა შექებული – კვართი მაცხოვრისა, სვეტი-ცხოველი და მთავარი ეკლესია, სიონად წოდებული, თორმეტი მოციქულის სახელობისა. საგალობელში კვართი, სვეტი და ჯვარი სამების გამომსახველად, სამსახეთა მსგავსად მიაჩნია ავტორს: „კუართი ბრწყინავს, სუეტი ნათობს, ჯუარი ჰკრთების და სხივთა ელვებრ განუტეობს“. **უფლის კვართი, როგორც ქართველი ერის სულიერი განახლების ნიშან-სიმბოლო, როგორც უწმინდესი რელიქვია, აერთიანებს და ამთლიანებს ყველა იმ ქრისტიანულ სიწმინდეს, რომელსაც საქართველოს ეკლესია ფლობდა და ფლობს (საუფლო ჯვრის ნაწილი, ფიცარი, სამსჭვალი).** კვართის საქართველოში დავანებამ, კერძოდ, მცხეთაში დაფლვამ მცხეთა სულიერ ქალაქად, მეორე იერუსალიმად, ახალ მცხეთად გარდასახა. სივრცული თვალსაზრისით მცხეთის ხსენება სიმბოლურია, იგი სრულიად საქართველოს მოიცავს დიაქრონიულ ასპექტში. ნიკოლოზ გულაბერისძემ პოლიტიკური იდეოლოგია ჩააქსოვა საგალობელთა სახისმეტყველებას, როდესაც ქართველ ერს „საზე-

პურო“ უწოდა.[8] ერის „საზეპუროდ“, გამორჩეულად აღიარება უდიდესი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური იდეოლოგიის გამოხატულება იყო, ვინაიდან სულიერად განახლებულ, ნათელღებულ ერს ამიერიდან ქრისტიანული ღმერთი დაიფარავდა: „გიხაროდენ, მომგებელო ერად საზეპუროდ ნათესავად წმიდად და სამეუფოდ!“.[9] **კვართის ქართლს დამკვიდრებით ახალი ჟამი დადგა: დამთავრდა არმაზული ეპოქა და დაიწყო ქრისტიანული ეპოქა.**

ნიკოლოზ გულაბერისძის სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილ საგალობელთა ციკლი, „საკითხავთან“ ერთად, მესიანური იდეების გამოხატვით თავისი ეპოქის, თამარის ეპოქის სულისკვეთებასა და პოლიტიკურ იდეოლოგიას ეხმიანება. ქართული, ეროვნული ცნობიერების განვითარებაში მათ დიდი წვლილი მიუძღვით. მართალია, მესიანიზმი ზოგადი მოვლენაა და თავისი არსით კაცობრიობის მხსნელზეა ორიენტირებული, ჩვენში მან პოლიტიკური ელფერიც მიიღო და სამეფო იდეოლოგიად, ეროვნულ კონცეფციად ჩამოყალიბდა. მესიანიზმის არსებობა და განვითარება ეროვნული ცნობიერების იმ დროისათვის არსებულ დონეს მიუთითებს.

საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობის იდეა. ჰიმნოგრაფიაში საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობის იდეა ვლინდება ეროვნული ცნობიერების აღმავლობის პერიოდში, X საუკუნიდან, თუმცა, შესაძლოა, იგი უფრო ადრეულ თხზულებებშიც არსებობდა.[10] საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობა და ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევაც ამავე რიგის პრობლემად უნდა განვიხილოთ და აღვნიშნოთ სინურ ლიტურგიკულ კრებულში – Sin. 59 – შემონახული წმ. ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი, რომლის მონაცემთა კვალობაზე საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებლად, სხვა მოციქულებთან ერთად, წმ. ბართლომეცაა მიჩნეული. ამ ფაქტის აღნიშვნას საგალობელში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დავიმოწმებ ტექსტს: „**სამოციქულოსა მას დიდებულსა ბართოლომეო-**

[8] ნიკოლოზ გულაბერისძე. თხზულებანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნესტან სულავამ. თბ. 2007, გვ. 109-123.
[9] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ. 2003, გვ. 290.
[10] ქ. ბეზარაშვილი, ბ. კული. „მაყვლოვანის“ გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში. ლიტერატურული ძიებანი. XXI. თბ. 2000, გვ. 124-125; ქ. ბეზარაშვილი. მასალები საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეისათვის ქართულ მწერლობაში. კრ.: ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები (ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადებიდან 75-ე წლისთავს). თბ. 2002, გვ. 56-70.

სის ნაწილსა ჩრდილოჲთ კერძოჲსასა მას ღირს იქმენ შენ, სანატრელო, მაღლისა მიერ მოქცევად წარმართთა სარწმუნოებად მი-რაჲ-ხუედ შენ, ღირსო, საზღვრად ქართლისა ვითარცა კრავი უბიწოჲ შორის მჴეცთა და განსდევნე საცთური კერპთა მათ ცრუთა“...[11] ამავე საგალობელში წარმოჩენილია წმ. ნინოს ღვაწლი ქართველი ერის მოქცევის საქმეში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის I ნახევრის ჰიმნოგრაფია, რომელშიც სამეფო იდეოლოგიის ყველა ნიშანი იჩენს თავს. უპირველესად გავიხსენოთ ნიკოლოზ გულაბერისძის ზემოხსენებული ჰაგიოგრაფიული საკითხავი და „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“, რომლებშიც თავმოყრილია, რაც მთავარია, გაანალიზებულია საქართველოს მოქცევისა და ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობის თითქმის ყველა სავარაუდო წყარო და განსაზღვრულია მათი ისტორიული მისია, ღირებულება. იგი ყველა ხსენებულ საკითხს უფლის კვართის საქართველოში დავანებას, ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას, მოციქულთა მოღვაწეობას, წმ. ნინოს ქადაგებას – ერთმანეთს უკავშირებს და მას მიზეზ-შედეგობრივად ხსნის. საგალობელში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „გიხაროდენ, **ღმრთისა დედაო**, უბიწოო, რომლისა **ნაწილად** ღირს ვიქმნენით **ქართველნი**“.[12] ამასვე ამბობენ იოანე შავთელი „გალობანში ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ და არსენ ბულმაისიმისძე „გალობანში წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“. ასევე, საბა სვინგელოზმა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრება ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეას დაუკავშირა.

ამავე იდეას უკავშირდება მოციქულთა მოღვაწეობის საკითხიც, განსაკუთრებით წმ. ანდრია მოციქულისა და IV საუკუნის I ნახევარში წმ. ნინოს განმანათლებლობის საკითხიც. XII-XIII საუკუნეების ჰიმნოგრაფია, კერძოდ, ნიკოლოზ გულაბერისძის, იოანე ანჩელის, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლები ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის იდეასა და წმ. ნინოს განმანათლებლობაზე, მის მიერ საქართველოს მოქცევაზე ყურადღების გამახვილება XII საუკუნის ბოლო მეოთხედში თამარის, ვი-

[11] Н. Я. Марр. Описание грузинских рукописей синайского монастыря. М.-Л. 1940, გვ. 103-104.

[12] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 286.

თარცა მეფე-ქალის, მოღვაწეობითაც აიხსნება. ისიც უნდა ითქვას, რომ ქალის კულტი საქართველოში წინარექრისტიანულ ეპოქაში დასტურდება, რის საბუთადაც ილია ჭავჭავაძეს მოჰქონდა ქართულის ენობრივი მონაცემები: დედა ენა, დედაბოძი, გუთნის დედა და სხვ., ხოლო ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინება შორს წაგვიყვანს.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიაში. XII საუკუნის მიწურულს, ეროვნული ცნობიერების განვითარების უმაღლეს ეტაპზე, ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში აისახა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრების თემა. შეინიშნება მისი ორგვარი ვერსია: 1. წმ. ანდრია მოციქულის მიერ ხატის ჩამოტანა; 2. ანტონ მარტყოფელის მიერ საქართველოში თიხაზე გამოსახული ხატის, კერამიონის, ჩამოტანა. ამ თემას შეეხო იოანე ანჩელი „გალობანში ანჩისხატისანი", რომლის მიხედვით, წმინდა ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში მოიტანა „პირი ღმრთისა" – მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ანჩის ხატი. ანჩის ხატი არის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი, ჩამოყალიბებული IV-V სს-ში სირია-პალესტინაში. XII საუკუნის მიწურულის ჰიმნოგრაფი, ანჩელი მთავარეპისკოპოსი იოანე გვაუწყებს, რომ წმ. ანდრია, თავი მოციქულთა, პირველწოდებული მოწაფე მაცხოვრისა, იეროპოლიდან მოვიდა და ქართველებს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი უბოძა. სამეცნიერო ლიტერატურაში (შ. ამირანაშვილი, თ. საყვარელიძე) ანჩის ხატისადმი საგალობლის მიძღვნა ახსნილია მისი მოჭედვით ბექა ოპიზარის მიერ იოანე ანჩელ-რკინაელის მზრუნველობით. ვფიქრობ, საგალობლის შექმნა მესიანური იდეის გააქტიურებითაც უნდა აიხსნას, ვინაიდან იგი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ზეობის ჟამს ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული თვითშემეცნების განსამტკიცებლად დაიწერა.

XIII საუკუნის 30-იან წლებში ძმების აბუსერ და ვარდან აბუსერისძეების თხოვნით საქართველოს კათოლიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ და კარის მთავარეპისკოპოსმა საბა სვინგელოზმა შექმნეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები. მათი ვერსიით, მაცხოვრის თიხაზე, ანუ „კეცზე" დატვიფრული ხელთუქმნელი ხატი, კერამიონი, საქართველოში VI საუკუნეში მოიტანა ასურეთიდან მოსულმა წმ. ანტონ მარტყოფელმა. არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობელთა მიზანდასახულობა ნათლად იკვეთება საგალობელთა შექმნის ეპოქის გათვალისწინებით. ეს ის დროა, როდესაც საქართველოში აღმოსავლეთიდან გამოჩნდნენ მაჰმა-

დიანური ტომები ქვეყნის დასაპყრობად და ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. არსენ ბულმაისიმისძემ ქართველ ერს შეახსენა თავისი მოვალეობა, ფუნქცია, რომ იგი რჩეული, საზეპურო ერია და ღვთისაგან ბოძებულს დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ეპისტოლეში არსენ ბულმაისიმისძემ გამოთქვა ღრმა და მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება ავტორის შემოქმედების ავ-კარგის შესახებ და თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი გამოამჟღავნა: „ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ: რომელსამე საქებელყოფად, ხოლო სხჳსა – განქიქებად უმეცრებასა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა“. მართალია, აქ გამოვლინდა ჩინებული მწერლის, ღირსეული მამულიშვილის, სიბრძნითა და გონიერებით აღსავსე პიროვნების სხვათათვის მისაბაძი თავმდაბლობა, მაგრამ, ამავე დროს, იგი ჰიმნოგრაფის მიერ შექმნილი საგალობლების ისტორიულ ღირებულებასაც მიუთითებს, რადგან ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ქართლად მობრძანება ღვთისაგან ბოძებული უდიდესი საჩუქარია. ჰიმნოგრაფი ქართველ ერს ახალ ისრაელად, ახალ ერად, საზეპურო ერად, ზეცისა ერად მოიხსენიებს: „...ღმრთივქმნული ხატი ყოვლად წმიდა ... ისრაელსა ამას ახალსა დაუუნჯე, **ქართველთასა ერსა საზეპუროსა**“... მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, „კეცზე“ დატვიფრული, კერამიონი, ქართველ ერს „ზეცისა ერ ჰყოფს“.[13] **„ახალი ერი“** სულიერად განახლებული ქართველი ერის განსაზღვრებაა, ისევე როგორც **„ახალი ისრაელი“**; მას ქრონოტოპული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან ქართველი ერი „ახალ ერად“, „ახალ ისრაელად“, „ზეცისა ერად“, „საზეპუროდ“ გაქრისტიანების შედეგად იქცა. ყოველი ეს სახელი აჩვენებს იმას, რომ იესო ქრისტეს, მაცხოვრის მადლი სრულიად საქართველოს ისევე სწვდება, როგორც მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს. ქართველი ერის **„ახალ ისრაელად“** და **„ახალ ერად“** სახელდება უშუალოდ უკავშირდება მესიანურ იდეას.

უფლის კვართი, სამსჭვალი, ფიცარი, ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობა, საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობა უშუალოდ ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნიშნებია მესიანიზმისა; ამავე იდეოლოგიის გამოხატულებად მივიჩნევთ VI საუკუნეში ხელთუქმნელი ხატის ქართლში დამკვიდრებას, რომელიც რიგითობის თვალსაზრისით ქართველმა ერმა გვიან მოიპოვა. საგალობლებში ამიტომ ეწოდება მას „ახალი ძღუენი“, რომელიც სულიერი განახლებისა და განათლების კიდევ ერთი

[13] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 310, 311, 315.

მოწმობაა და რომელიც ამიერიდან ქართველთა მარადიული საკუთრებაა.

ქართველი ერის რჩეულობის, საზეპურო ერად მიჩნევის იდეას განასრულებს არსენის მიერ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ კონსტანტინოპოლმა მანდილზე აღბეჭდილი მაცხოვრის ხატება (მანდილიონი) დაიმკვიდრა, ხოლო ქართლმა – „კეცზე“ დატვიფრული ხატება მაცხოვრისა (კერამიონი): **„ქალაქთა მზემან ტილოჲ, ხოლო ქართლმან კეცი დაიმკვიდრა სიმდიდრედ საცხოვრებლად“...**[14] ამავე ვერსიას ასახავს საბა სვინგელოზის საგალობელიც.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებმა შემოგვინახეს ქართულ მწერლობაში საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიცია ქართველი ერის რჩეულობის შესახებ. ეს ფაქტი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი იმიტომაა, რომ ისინი შეიქმნა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე – ერთი მხრივ, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ ძლიერი მონარქიული სახელმწიფო იყო. მეორე მხრივ, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ აღმოსავლეთიდან წამოსულ უსჯულოთა პირველი ბიძგები შეიგრძნო. არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლებში ამ იდეის გაცოცხლებას, წინ წამოწევას რელიგიურთან ერთად პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მათში რელიგიური და იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნები ერთმანეთს გადაეჯაჭვა. უკვე აღვნიშნე, რომ ჰიმნოგრაფიის მიზანი არ არის პოლიტიკური ცხოვრების, საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩვენება, მაგრამ კანონიკურ საღვთისმეტყველო საკითხებს მიღმა ალუზიურად მაინც იჩენს თავს სამეფო პოლიტიკური იდეოლოგია, რაც ეპოქის მოთხოვნებითაა განპირობებული.

ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის იდეოლოგიური ფუნქციის ასახვა. XII-XIII საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფიაში აირეკლა ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის თემა, რაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგიისა და ქრისტიანული ცნობიერების განვითარების ერთ-ერთი უძირითადესი ნიშანი იყო. იგი კონკრეტულად სამეფო იდეოლოგიის, ანუ დინასტიურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი საფუძველი იყო, რომელსაც ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, დასაბამი მისცა წმ. გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის დალოცვისას: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ შვილად წოდებულო ჴელმწიფეო“. XII-XIII საუკუნეების იამბიკოები და ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული თხზულებები საინტერესო წყაროებს წარმოადგენენ ამ პრობლემის საკვლევად.

[14] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 320.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედზე წარწერილი უცნობი ავტორის ორსტროფიანი იამბიკო, რომელიც გვამცნობს ქართველ მეფეთა საგვარეულო დინასტიის ბიბლიურ ჩამომავლობას:

„... ეგრეთ აწ დავით, დავითის მორჩმან ესე
სულით, სხეულით, ტაძრითურთ გძღუნენ, ქალწულო.
ხოლო ახალმან ვესელეილ სალომონ,
ძეობით ფლობით, მრჩობლ ტალანტნა დემეტრე
და სამყაროᲲს მზებრ აცისკრა მორფი შენი“...[15]

წარწერა-იამბიკო გვამცნობს, რომ დავით აღმაშენებელმა, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალმა, ანუ „მორჩმა“, ხახულის ღვთისმშობლის ხატს უძღვნა „ნივთნი“, რასაც დავითის ისტორიკოსი აზუსტებს და თვალმარგალიტად წარმოსახავს, ანუ „მანიაკად“ და რასაც თავად დავითიც უწოდებს თავის ანდერძში. ხატს ტაძარიც „უძღვნა“, გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. იამბიკოში დავით აღმაშენებელი და მისი ძე დემეტრე შედარებული არიან ბიბლიურ დავითთან და მის ძესთან – სოლომონთან, რასაც პოლიტიკური მიზანდასახულობა აქვს. იამბიკოს სახისმეტყველებას ქრისტიანული ცნობიერება და დინასტიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგია წარმართავს: იამბიკოს ავტორი დემეტრეს „ახალ ვესელეილ სალომონს“ უწოდებს, რასაც ბიბლიური სახისმეტყველება, ჰიპოდიგმური აზროვნება უდევს საფუძვლად. პარალელი და პარადიგმა გამჭვირვალე და მრავლისმეტყველია, გელათის მონასტრის დავით აღმაშენებლის მიერ დაწყებული მშენებლობა გაასრულა მისმა მემკვიდრემ, გელათის მონასტერში დაივანა ხახულის ღვთისმშობლის ხატმა, მსგავსად სოლომონის მიერ აგებულ ტაძარში სჯულის კიდობნის დასვენებისა. კიდობანი ღვთისმშობლის ერთ-ერთი სიმბოლური სახეა, ხოლო ღვთისმშობელი მფარველია საქართველოსი, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა. იამბიკოს უცნობმა ავტორმა სახისმეტყველებითად დაუკავშირა ერთმანეთს ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობის იდეა და ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის, სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ალუზია, ღვთიურ ცხებულებაზე ორიენტირებული.

ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედზე წარწერილი იამბიკოს სა-

[15] რ. ყენია. ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა. თბ. 1972, გვ. 29.

ხისმეტყველება იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით თამარ მეფის იამბიკოთა ერთგვარ წინასახედაც მოიაზრება, ვინაიდან სამივე იამბიკო ქართველ ბაგრატიონებს დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლად აღიარებს. განსაკუთრებული ღირებულებისაა თამარის ხუთსტროფიანი იამბიკო „ცასა ცათასა",[16] რომელშიც ძირითად საღვთისმეტყველო საკითხებთან ერთად პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემატიკა აისახა, კერძოდ, თამარის ეპოქის ისტორიული მოვლენები, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ძირითადი იდეოლოგიური მიმართულება – ანტიმაჰმადიანური ტენდენცია, მესიანური იდეა. „ცასა ცათასას" მესამე-მეხუთე სტროფები ისტორიული მნიშვნელობის ინფორმაციითაა დატვირთული. იამბიკოს შექმნის მიზეზი 1195 წელს შამქორის ომში მოპოვებული გამარჯვება გახდა. იამბიკოში სწორედ ამ გამარჯვების მნიშვნელობაა შეფასებული და ქართველი ერის, ქართველი ბაგრატიონების რჩეულობაა წარმოჩენილი. მესამე სტროფში ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ეპიზოდთან ერთად, რომელსაც ღვთისმშობლისა და ძე ღვთისას სიმბოლოები უკავშირდება, წარმოსახულია თამარის, საზოგადოდ ქართველ ბაგრატიონთა ბიბლიური ჩამომავლობა, ხოლო მეოთხე სტროფში დავით სოსლანის ეფრემიანობაა ასახული.

კ. კეკელიძემ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" რუსულად თარგმნისას ტაეპს „ცხებულებასა ღირს-მყავ და თჳსობასა" შენიშვნა გაუკეთა, რომ ბიბლიის მიხედვით, ღვთისმშობელი ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის ჩამომავალია, ასევე ქართველ ბაგრატიონთა დინასტია, მათ შორის, რასაკვირველია, თამარი, ამავე დავითის ჩამომავალია.[17] მომდევნო სტროფთან დაკავშირებით, სადაც დავით სოსლანი ეფრემიანად არის მიჩნეული, განმარტა, რომ აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ოსეთის ბაგრატიონები ითვლებოდნენ ბიბლიური ეფრემის ჩამომავლებად. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" დავით სოსლანს „დავითიანებრის" სახელით იხსენიებს, რაც მას „დავითიანთა" მიმსგავსებულად წარმოგვადგენინებს. დავითი იაკობის უფროსი ძის – იუდას ჩამომავალია, ეფრემი – იაკობის უმცროსი ძის, ეგვიპტეში გაყიდული იოსების ჩამომავალი (შეს. 48,5;

[16] თამარის იამბიკოების საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი საზრისი დეტალურად განხილული მაქვს მონოგრაფიაში „ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ., 2003".

[17] კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VIII. თბ. 1963, გვ. 213.

49,8).[18] ამ აზრს ამ ეპოქაში შექმნილი სხვა ძეგლებიც გამოხატავენ.

თამარის იამბიკო ეფრემიანობის ნიშნად მიიჩნევს ომში გამოჩენილ სიმამაცეს, გმირობას, ვაჟკაცობას, რასაც ბიბლიური მონაცემები უდევს საფუძვლად – „ძენი ეფრემისანი, მომრთხმელნი და მოისარნი მშვილდებითა“ (ფს. 77, 9). „აზმანის“ ავტორი ოსების ბაგრატიონებს მიიჩნევს ეფრემის ჩამომავლებად და ახასიათებს როგორც ძლიერ ვაჟკაცებს, მებრძოლებს: „ძენი ეფრემისანი, ოვსნი, არიანნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“. „დავითიანი“ თამარი აქებს „ეფრემიან“ დავითს და ავედრებს ღვთისმშობელს. ბიბლიით, ეფრემი გულოვანი მებრძოლი და ჩინებული მოისარია. ზაქარიას წინასწარმეტყველებაში ეფრემიანნი მოისართა და მებრძოლთა ნიმუშად და მაგალითად არიან დასახულნი, ფსალმუნის სიტყვები თამარის იამბიკოში თითქმის უცვლელად არის გამოყენებული.

კ. კეკელიძემ ახსნა ქართველი და ოსი ბაგრატიონების ურთიერთობანი ბიბლიურ მონაცემთა საფუძველზე, მისი თვალსაზრისით, იაკობის ძე „იუდა, მისგან წარმოშობილი დავით წინასწარმეტყველის სახით, საქართველოში დაუსახავთ ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად, ხოლო მისი ძმისშვილი ეფრემი – ოსთა ბაგრატიონებისა. კონკრეტულად, მომენტის მოთხოვნილებით, იუდა იყო განსახიერება ბაგრატ მეოთხისა, ხოლო მისი ძმისწული ეფრემი, – რომელიც მტრობდა და „ეშურვოდა“ მის შთამომავლობას – ბაგრატის ძმისწულის, ოსთა პირველი ბაგრატიონის შთამომავლობას. არ შეიძლება მკვლევარს თვალში არ ეცეს ის ზუსტი ანალოგია, რომელიც ასე მოხერხებულადაა გამოძებნილი ბიბლიაში ბაგრატ მეოთხისა და მისი ძმისწულის, ოსთა ბაგრატიონების, დინასტიათა ურთიერთობისა“.[19]

კ. კეკელიძემ დასვა კითხვა, რატომ და ვისთვის იყო საჭირო წოდების, ტიტულის „ეფრემიანობის“ შემოღება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი შეხედულებით, ამით უნდოდათ დავით სოსლანის გმირობის, ვაჟკაცობის, მამაცობის წარმოჩენა, ვითარცა თამარის ღირსეული მეუღლისა. საგალობელში „დავითიან“ ბაგრატიონთა უპირატესობა იყო ხაზგასმული ეფრემიან ბაგრატიონებთან შედარებით, რასაც მხარს უჭერენ ბიბლიური მონაცემებიც.

[18] კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. თბ. 1957. გვ. 199; ქ. ბეზარაშვილი, მასალები საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეისათვის ქართულ მწერლობაში, გვ. 312-318.

[19] კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I. თბ. 1956, გვ. 316.

კ. კეკელიძის დასკვნით, როცა დავით სოსლანს „ეფრემიანს“ უწოდებდნენ, ერთი მხრივ, აღნიშნავდნენ მის მებრძოლ ბუნებასა და სიმამაცეს, რაც ბიბლიურ ეფრემს, მის წინაპრად მიჩნეულ პირს, ახასიათებდა; მეორე მხრივ, აღნიშნავდნენ და არავის ავიწყებდნენ იმ გარემოებას, რომ დავითს ლეგიტიმური გზით არ რგებია საქართველოს მეფის პატივი, არამედ ვითარცა თამარის მეუღლეს. ლეგიტიმურად იგი ამას ვერც მიაღწევდა, რადგან იგი მამით „ეფრემიანი“ იყო.[20] ის, რაც „აზმანში“ აირეკლა პოლიტიკური აზროვნებისა და დინასტიურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიური მიმართულების გამოსახატავად „დავითიან-ეფრემიანის“ სახით, ასახულია თამარის იამბიკოში და აღიარებულია თვით მეფის მიერ, რომ დავით სოსლანი ღირსეული მეომარი, უებრო რაინდია, რომელმაც დაამარცხა სულტანი და ათაბაგი.

მეორე იამბიკოშიც – „ქალწულებრივთა“ – თამარი კვლავ იმეორებს სამეფო იდეოლოგიის ერთ-ერთ დებულებას, რომ იგი დავითის ტომის ჩამომავალია:

„მე, თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებრთაჲთ
თჳსად შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე!“

ამრიგად, თამარის ორსავე იამბიკოში გამოვლენილია სამეფო იდეოლოგიის, დინასტიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნიშანი – ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობა“ და ხაზგასმულია მისი უპირატესობა ოსეთის „ეფრემიან“ ბაგრატიონებზე.

ამავე იდეას, სამეფო იდეოლოგიის ამ ნიშანს – ქართველთათვის იესეს ძირიდან სიმბოლური ჩამომავლობის მნიშვნელობას ასახავს იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“:

„იესეს ძირი ნანდვილვე აღყუავილნა,
დავითის ფიცმან მიიღო აღსასრული,
აღთქუმაჲ მამათაჲ ძედ მისდა იცნეს ყოველთა“.[21]

დინასტიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის ჰიმნოგრაფიაში ასახვამ ამ ჟანრის თხზულებებს ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღმზრდელის ფუნქციასთან ერთად პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების როლიც დააკისრა. აქედან გამომდინარე, შეიძლება განვსაზღვროთ XII-XIII საუკუნეებში შექმნილი ქრისტიანული და ეროვნული ცნობიე-

[20] კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I, გვ. 317-318.
[21] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 303.

რებით გაჟღენთილი ქართული საგალობლების მნიშვნელობა, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად, მეორე მხრივ, ჰიმნოგრაფიის სახისმეტყველების დიაქრონიულ ჭრილში გამოსავლენად და აღმქმელზე მისი გავლენის წარმოსაჩენად.

პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითად ნიშნებს საგალობელთა ავტორები მიზანდასახულად წარმოაჩენდნენ. ჰიმნოგრაფია იყო საზრდელი სულისა და გონებისა. ტაძარში მდგარი ქრისტიანული ცნობიერების მქონე ადამიანი ქრისტიანული სახისმეტყველებით, პოლიტიკური იდეალებით, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებით გამსჭვალულ საგალობლებს ისმენდა და მის სულიერ სამყაროსა და გონებრივ თვალსაწიერს ეროვნული ცნობიერების განვითარება-აღორძინებით აფართოებდა, მის ინტელექტუალურ მონაცემებს ხვეწდა და აფაქიზებდა. ჰიმნოგრაფიაში ქრისტიანული ცნობიერებისა და დინასტიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის აქცენტირება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფის, პოლიტიკური და კულტურული წინსვლის საქმეს ემსახურებოდა და მომავლის პერსპექტივებს სახავდა. კაცობრიობის სულიერ ხსნაზე ორიენტირებული მესიანური იდეა საქართველოს ცივილიზაციური გეოპოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტად წარმოაჩენდა.

ყოველივე ეს ქართულ ჰიმნოგრაფიას საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

Nestan Sulava

GEORGIAN HYMNOGRAPHY AS A HISTORICAL SOURCE AND BASIS OF POLITICAL IDEOLOGY

Summary

Hymnography is a sphere of poetic art that does not reflect historical events and national consciousness. However, in Georgian hymnography some historical events, the national consciousness and state-political ideology are reflected allusively. In this regard noteworthy are hymns of St. Shio Mghvimeli, as well as those dedicated to St. Abo, St. Ilarion Kartveli and the holy fathers of Mt. Athos. The hymnography of the 10th-11th centuries form the most significant stage in the development of national consciousness of the Georgians, since during this period were written the hymns – "Kebai da didebai kartulisa enisa" (Praise and glory of the Georgian language), "Betlemisani", "Galobani satfurebisani" (Chants of resumption), presenting an assessment of the Georgian language and alphabet. Political ideology was reflected in the works of the 12th-13th Georgian hymnographers – Nikoloz Gulaberisdze, Queen Tamar, Ioane Ancheli, Ioane Shavteli, Arsen Bulmaisimisdze and Saba Svingelozi, which distinguishes them from previous hymnographic poetry.

Hymnographic poetry together with hagiography preserved information about the robe of Our Lord, among which the hymn of Nikoloz Gulaberisdze attracts special attention. It represents the idea of Holy Virgin being the patroness of Georgia, that is why the apostles were active in Georgia and the Georgian Church is Apostolic. Special interest deserves the hymn dedicated to St. Nino, preserved in the liturgical collection of Sinai, according to which together with the other apostles Christianity was preached by Bartholomew. This information is of great importance because it has not been confirmed in other works.

In the Georgian hymnography the topic of establishment of the icon of Our Savior (Keramion) in Georgia deserves special attention. Ioane Ancheli touched upon the question in his "Galobani Anchiskhatisani" (Hymns of Anchiskhati). In the 1230s upon the request of brothers – Abuser and Vardan Abuserisdzes, Catholicos of Georgia Arsen Balmaisimisdze and Archbishop

Saba Svingelozi wrote hymns dedicated to the Martqhopi icon of Our Savior. According to their version, the icon of Our Savior, Keramion was brought in Georgia from Assyria by St. Anton Martmqhopeli in the 6th century.

The Georgian hymnography of the 12th-13th centuries reflected the topic regarding the biblical descent of the Georgian kings , which is one of the most important aspects in the development of the state-political ideology and Christian consciousness. It was exactly the most important basis for royal ideology, i.e. the dynastic state ideology. In this regard we review the two-stanzas iambic verse written on the Khakhuli triptych of Virgin Mary by the unknown author, Tamar's five stanzas iambic verse "Tsasa Tsatasa" and the seven line iambic verse "Kaltsulebrivta". These hymns maintain the general ideological trend – messianic idea and anti-Islamic tendency typical to the epoch.

Therefore the Georgian hymnography acquires the meaning of a historical source.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ჯაბა სამუშია

ისევ სვეტის ციხის შესახებ

2003 წელს ტაო-კლარჯეთში სამეცნიერო მივლინებით მყოფმა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებულმა – „ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის შემსწავლელი ცენტრის“ წევრებმა (ზურაბ ბატიაშვილი, ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, გოჩა საითიძე და ჯაბა სამუშია) შეისწავლეს უცნობი ციხე-სიმაგრე. ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, რომ ეს ციხე უნდა ყოფილიყო XI საუკუნის 20-იან წლების მოვლენებთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებული სვეტის ციხე. აღნიშნული სიმაგრე საფუძვლიანად შევისწავლეთ 2015 წლის ზაფხულში შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების“ ფარგლებში.[1]

საკითხის ისტორიოგრაფიისათვის

ერთ-ერთი პირველი, ვინც სვეტის ციხის ლოკალიზაციას შეეცადა იყო აკად. ა. პავლინოვი. მან საბა მტბევარის აშენებული ციხე ნიგალში მდებარე სვეტის ეკლესიასთან გააიგივა. მეცნიერი იმოწმებს რა ვახუშტის ცნობას, რომ „სამჴრით მზღვრის კლდე არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდამ დასავლეთად, ვიდრე კნინღა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი, და თჳნიერ მისა

[1] პროექტში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები. პროექტის მეცნიერ-თანამშრომელთა შემადგენლობა ასეთია: ჯაბა სამუშია (ხელმძღვანელი, ისტორიკოსი); ბონდო კუპატაძე (ისტორიკოსი); ნინო სილაგაძე (ხელოვნებათმცოდნე); გიორგი ბაგრატიონი (არქიტექტორი); მზისა ბუსკივაძე (თურქოლოგი); ლევან სილაგაძე (მხატვარი); აკაკი ჩიქობავა (ისტორიკოსი); ლერი თავაძე (ისტორიკოსი); ალექსანდრე ბოშიშვილი (ისტორიკოსი); ოქროპირ ჯიქური (ისტორიკოსი).

არა არს გზა“[2]; იქვე დასძენს: «Изъ этого описанія видно, что епископія Саввы доходила до Артвина; дверь же, о которой говоритъ Вахуштъ, можетъ быть именно Свети, такъ какъ церковь въ Свети и до сихъ поръ слыветъ подъ названіемъ Килиса-Каписа. И могла своими укрепленіями служит препятствіемъ или входною дверью въ Шавшетъ и быть той цитаделью, которую, как выше сказано, епископъ Савва воздвигъ у входа въ Шавшетъ».[3] მაგრამ ა. პავლინოვის ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება „მატიანე ქართლისას“ ცნობა, სადაც მითითებულია, რომ სვეტის ციხე საბა მტბევარმა ააგო „თავსა ზედა ტბეთისას“. ამდენად, ეს ციხე ამ ტაძრის მახლობლად უნდა ყოფილიყო, ასეთად კი ნიგალის სვეტის ეკლესიას ვერ მივიჩნევთ. 1874 წელს ეს ადგილები მოიხილა გენერალმა გიორგი ყაზბეგმა. მის ჩანაწერებში ვხვდებით სვეტის ციხის ლოკალიზების მცდელობასაც. სახელდობრ, იგი აღნიშნავს: „ტბეთის მოპირდაპირე მხარეს, მისგან ჩრდილოეთით დაყუდებულია დიდი სვეტისებური მთა, რომელზეც, გადმოცემის მიხედვით, ქალაქი იყო გაშენებული. შესაძლოა, ეს არის სოფელი თუხარისი (ვახუშტის მიხედვით), ანდა ეპისკოპოს საბას მიერ აშენებული ციხე-სიმაგრე სვეტი. ასეთ აზრამდე, პირველ რიგში, მიგვიყვანა ვახუშტის აღწერილობამ, ხალხში შემონახულმა გადმოცემამ და ბოლოს იმან, რომ აქვე არსებულ სოფელს ციხისძირი ჰქვია“.[4] ამდენად, გიორგი ყაზბეგმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება სვეტის ციხის ციხისძირის მიდამოებში არსებობის შესახებ. ოღონდ, გიორგი ყაზბეგი საბა მტბევარის მიერ აგებულ სიმაგრეს ტბეთის ჩრდილოეთით აღმართულ სვეტისებრ მთაზე ათავსებდა. ეს დაკვირვება უთუოდ ფასეულია. მართალია, იქვე იმასაც დასძენს, რომ ეს შესაძლებელია, ვახუშტის მიხედვით, თუხარისი იყოსო, მაგრამ სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ თუხარისი კლარჯეთშია და ამ დიდ სვეტისებურ მთაზე აგებულ ციხესთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.[5]

---

[2] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 680.

[3] А. М. Павлинов. Экспедиция на Кавказ 1888 года. Материалы по Археологии Кавказа. вып. III. М. 1893, გვ. 60.

[4] გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა. ბათუმი 1995, გვ. 81.

[5] თუხარისის ციხე დღემდე დაკარგულად ითვლება. ნ. ადონცი მიიჩნევდა, რომ „თუხარისი“ თანამედროვე „ხერსი“ უნდა იყოსო (Н. Адонць. Арменія въ эпоху Юстиніана. Политическое состояніе на основѣ нахарарскаго строя. СПб. 1908, გვ. 26). ასეთი პუნქტი მართლაც არსებობს კლარჯეთისა და ტაოს

ივანე ჯავახიშვილი სვეტის ციხეს ტბეთის მიდამოებში აქცევდა, მაგრამ კონკრეტულად ციხის ლოკალიზაცია მას არ მოუხდენია.[6] იური სიხარულიძემ თავის საინტერესო ნაშრომში – „შავშეთ-იმერხევი“ სვეტის ციხის ლოკალიზაციას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. მეცნიერი ამ ციხის თაობაზე საუბრობს – ტოპონიმ ტბეთისა და ციხისძირის მიმოხილვისას. ი. სიხარულიძე გიორგი ყაზბეგის ცნობაზე დაყრდნობით, სვეტის ციხეს სოფელი ციხისძირის მიდამოებში ვერაუდობს, მაგრამ ტბეთზე საუბრისას რატომღაც ავტორი ტაძარსა და ციხეს ერთდროულად განიხილავს. ნაშრომზე დართულ რუკაზე კი სვეტის ციხე დატანილია ტბეთის ტაძრიდან ოდნავ მოშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამწუხაროდ, რუკიდან არ ჩანს, გულისხმობს თუ არა იური სიხარულიძე სვეტის ციხის ქვეშ სოფელ ციხისძირს. თანამედროვე სოფელი ქაიადიბი, ანუ იგივე ციხისძირი, ტბეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მდებარეობს. ამდენად, რუკაზე ზუსტად არაა დატანილი სვეტის ციხის ადგილმდებარეობა. შესაძლებელია ეს კარტოგრაფიული უზუსტობა იყოს. ყოველ შემთხვევაში იური სიხარულიძემ გიორგი ყაზბეგის შემდეგ, ერთ-ერთმა პირველმა სვეტის ციხის ლოკალიზება ციხისძირ-ტბეთს შორის მოახდინა.[7]

ალექსანდრე გუგუნავამ შეცდომით სვეტის ციხე სათლის/სათლელის ციხესთან გააიგივა. ავტორის განცხადებით, „გადმოცემით იგი (ე.ი. სათლის/

საზღვარზე ხერსისწყლის სათავეში. ამ შემთხვევაში სახელის ცვალებადობა ასე უნდა მომხდარიყო: თუხარისი – (თ)ხერისი – ხერისი – ხერსი. თუხარისის ლოკალიზაციას ვრცელი მსჯელობა მიუძღვნა პავლე ინგოროყვამ. მან თუხარისის ციხის არსებობა ჭოროხისა და ხერსისწყლის შესართავთან ივარაუდა (პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954, გვ. 362). ამის საბაბს მეცნიერს აძლევდა მემატიანის განცხადება, რომ ციხე-ქალაქი თუხარისი მდებარეობდა „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელ არს ჭოროხი.“ ამჯერად, თუხარისის ციხის ლოკალიზაცია ჩვენს მიზანს ცილდება. მხოლოდ დავსძენთ, რომ ის მართლაც ხერსის მიდამოებშია საძიებელი, უფრო სწორედ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში. ხერსისწყალს სოფ. ხერსიდან ოდნავ მოშორებით მარჯვნიდან მოერთვის შენაკადი. მდინარეთა ხერთვისში არსებობდა პატარა დასახლება „მუხარეთი,“ რაც, შესაძლებელია, თუხარისის შერყვნილი ფორმა იყოს: „მუხარეთი“ – „თუხარეთი“ – „თუხარისი.“ აქ დღესაც გადის გზა, რომელიც ამიერტაოდან მიემართება კლარჯეთისაკენ. „მუხარეთიდან“ ერთი გზა კი ჭოროხის ხეობისაკენ ეშვება. ეს ადგილი არც ისე დაშორებულია მდ. ჭოროხს.

[6] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წგნ. II. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983, გვ. 64.

[7] ი. სიხარულიძე. შავშეთ-იმერხევი. საისტორიო-გეოგრაფიის მასალები. ბათუმი. 1988, გვ. 37-38.

სათლელის ციხე, რომელსაც მეორენაირად შავშეთის ციხედაც მოიხსენიებენ. ჯ.ს.) საბა მტბევარს აუგია ბიზანტიელთა აგრესიისაგან დასაცავად".[8] სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა გადმოცემას ემყარება ალ. გუგუნავა. „ქართლის ცხოვრებაში" ცალსახადაა აღნიშნული, რომ სვეტის ციხე ტბეთის საეპისკოპოსო ცენტრის სიახლოვეს აიგო. ასეთად კი სათლელის ციხეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევთ. ამასთანავე, ერთი რამაა გასათვალისწინებელი. შავშეთის ქვეყანა ერთგვარად ტერასებად იყოფა. სათლის/სათლელის ციხე მნიშვნელოვნად დაბლა მდებარეობს ვიდრე ტბეთი. ასე რომ, მემატიანე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყოდა სვეტის ციხე ააგეს „თავსა ზედა ტბეთისასაო."

სვეტის ციხე არაა აღნიშნული დიმიტრი დუნდუას ავტორობით შედგენილ შავშეთის რუკაზე.

2003 წელს ჩვენს მიერ ციხისძირ-სვეტის შესწავლისას მოხერხდა მისი დათვარიელება და მხოლოდ, ზოგადი აზომვა. სამწუხაროდ, იმ დროს ვერ შევძელით ციხის მიდამოების შესწავლა, ასევე თავად ძეგლის დეტალური გამოკვლევა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, გამოქვეყნდა ჩვენი სტატია – „სვეტის ციხის ლოკალიზაციისათვის".[9] მანმადე ფართო საზოგადოებას გავაცანით ჩვენი ექსპედიციის შედეგების წინასწარი ანგარიში, რომლის გამოქვეყნების შემდეგ, სვეტის ციხე 2004 წელს თემურ ხუციშვილის, შალვა მაჭავარიანის, კახა შენგელიას და ვალერი სილოგავას ავტორობით შედგენილ რუკაზე შავშეთში ციხისძირთან იქნა დატანილი.[10]

2009 წელს სვეტის ციხის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო დ. ბერძენიშვილი. სამწუხაროდ, მეცნიერს არ დასცალდა თავისი საველე დღიურების სამეცნიერო აპარატით გამართვა და გადამუშავება, ამიტომ შავი ჩანაწერების მიხედვით ძნელია სათანადო დასკვნების გამოტანა. სვეტის ციხეზე საუბრისას იგი აღნიშნავს: „ვნახეთ ციხისძირი (კალადიბი), იგივე სვეტი, რაც ჯერ კიდევ გიორგი ყაზბეგმა შენიშნა. ესაა ტბეთის ზევითა სოფელის განმხოლოებული წვეტიანი გორაკი, რომლის გვერდით ახალი საცხოვრებელი შენობებია. გორაკზე მრგვალი კოშკის ნანგრევია, ნაგლეჯი მცირე ზომის ქვებით

[8] ალ. გუგუნავა. მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. თბ. 1996, გვ. 16.

[9] ჯ. სამუშია. სვეტის ციხის ლოკალიზაციისათვის. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. ტ. IX. თბ. 2008, გვ. 115-121.

[10] თ. ხუციშვილი, შ. მაჭავარიანი, კ. შენგელია, ვ. სილოგავა. ტაო-კლარჯეთი. ხუროთმოძღვრული ძეგლების კატალოგი. თბ. 2004 (კატალოგს თან ერთვის რუკა).

ნაგები კირზე. ეს კოშკი, მართლაც, სვეტად იქნებოდა აღქმული მცირე დიამეტრის გამო. იქვეა წყლის რეზერვუარი, ამოლესილი შიგნიდან. არის მეორე კოშკის (?) ბუდეც, სხვა 3-4 სათავსის ბუდეც, რომელთაც გალავანი უნდა ჰქონოდა შემოვლებული. ის არც ისე მიუვალი სიმაგრეა, რომ მთავარეპისკოპოზს, აქ გამაგრებულს, ბიზანტიელებისათვის გაეძლო. ანდა ვენდოთ წყაროს. მტბევარი ეპისკოპოსისათვის შავშეთის ერისთავობის მინდობაც რაღაც გამორჩეული დამსახურებაა (ახსნა უნდა!). მეჩვენება, რომ ეს გაიგივება უფრო სარწმუნოა, ვიდრე სამუშიას (იგულისხმება ჩვენი ნაშრომი) ნაპოვნი კედლის ნაფლეთი ტბეთში...".[11] საქმე ისა, რომ დ. ბერძენიშვილი საუბრობს იმავე ციხეზე, რომელიც ჩვენმა ექსპედიციამ ნახა. კედლის ნაწილი ჩვენ ტბეთში კი არ დავაფიქსირეთ, არამედ ციხისძირში. აღნიშნული სტატია, თავის დროზე წავიკითხეთ ისტორიის ინსტიტუტის შესაბამის განყოფილების სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა დ. ბერძენიშვილიც, თუმცა ეს ნაშრომი 2008 წელს გამოქვეყნდა. ბატონი დევი სწორე 2008 წლის აგვისტოში გარდაიცვალა და მას შესაძლებელი წაკითხული არ ქონოდა ეს სტატია და ზეპირად ახსოვდა მოხსენების შინაარსი. ეს უზუსტობა აქედან უნდა მომდინარეობდეს.

უკანასკნელ ხანს, სვეტის ციხის ლოკალიზაციის მცდელობა ჰქონდათ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტაანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი," ექსპედიციას.[12] გაზ. „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, მათ ტბეთის ჩრდილო-დასავლეთით აღმართულ კლდოვან ქედზე დააფიქსირეს დუღაბით და მშრალი წყობით ნაშენი კედლის და ნაგებობების მცირე ფრაგმენტები. „კლდოვანი მთიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი შავშეთი, მდ. ყვირალას ხეობის შუა და ზემო წელი... ადგილმდებარეობა, ძნელად მისადგომობა და დიდ სივრცეზე კონტროლის შესაძლობლობა გვაფიქრებინებს, რომ სვეტი მნიშვნელოვანი და დიდი ციხე უნდა ყოფილიყო".[13]

[11] დ. ბერძენიშვილი. ექსპედიციის დღიურები. კრებ. ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბ. 2009, გვ. 75-76.

[12] ექსპედიციის წევრები: თ. ხუციშვილი (ხელმძღვანელი), ლ. წიქარიშვილი, ა. გელაშვილი, ბ. გოზალიშვილი, შ. კოღუაშვილი, ა. იმედაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, დ. მაისურაძე. კონსულტანტები: კ. შენგელია, თ. ჯოჯუა, დ. მაისურაძე.

[13] ა. იმედაშვილი. სვეტის ციხე. გაზ. „კვირის პალიტრა". 8-14 ივნისი. 2015, გვ. 18.

„მატიანე ქართლისას“ ცნობა

სვეტის ციხე ისტორიაში მხოლოდ ერთხელ ჩანს XI საუკუნის ისტორიული მოვლენების თხრობისას. „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ეს სიმაგრე საბა მტბევარს აუგია დაახ. 1027-1028 წწ. ამას კი წინ უძღვოდა ბიზანტიელთა აგრესია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მემატიანე მოგვითხრობა, რომ ჩანჩახი ფალელის და არჯევან ჰოლოლას ძის ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლის შემდეგ მტრის ხელთ აღმოჩნდა გარყელობის და წერეფთის‖წეფთის ციხეები. წეფთის ციხე კლარჯეთიდან იმერხევ-შავშეთისაკენ შემომავალ გზებს აკონტროლებდა. გარყლობის ციხეს ასევე მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა გააჩნდა. იგი მდინარეების შავშეთისწყლისა და სათლელისწყლის ხეობებიდან მდინარე ყვირალასაკენ გამავალ გზას კეტავდა. მდინარე ყვირალა არსიანის ქედიდან მოედინება და მდინარე იმერხევის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს. მდინარე ყვირალას ხეობაზე გადიოდა იმერხევ-შავშეთიდან აჭარისა და სამცხისაკენ მიმავალი გზები. გარყლობის ციხე XI საუკუნის დასაწყისში, საერთოდ, შავშეთის საერისთავოს ცენტრს წარმოადგენდა.

1028 წელს ბიზანტიელთა აგრესიის დროს წეფთისა და გარყლობის ციხეებში მტრის გარნიზონების ჩაყენება ნიშნავდა იმას, რომ მდინარე იმერხევსა და მდინარე ყვირალას ხეობაზე ბიზანტიელები თავიანთ კონტროლს აწესებდნენ. ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარასა და სამცხეში გარდამავალი გზები ცენტრალურ ხელისუფლებას საგულდაგულოდ ექნებოდა გამაგრებული. შავშეთის ქვეყნის მტრისაგან დაცვა კი თავის თავზე საბა მტბევარმა იკისრა. მან საგანგებოდ სვეტის ციხე ააგო, რომელსაც მდინარე იმერხევიდან და მდინარე ყვირალადან შავშეთის ქვეყნის სიღრმისაკენ მიმავალი გზები უნდა ჩაეკეტა. ერთ-ერთ მათგანზე, როგორც ითქვა, ბიზანტიელთაგან დაპყრობილი გარყლობის ციხე მდებარეობდა. ტბეთის ეპისკოპოსი საგულდაგულოდ შეუდგა ანტიბიზანტიური ძალების გაერთიანებას. საბას დამსახურება ის არის, რომ მან ყველაზე ადრე დაინახა ბიზანტიელთა მოსალოდნელი აგრესიის საშიშროება და სამხედრო თვალსაზრისით შეუდგა შავშეთის გამაგრებას. „მატიანე ქართლისას“ ავტორის მითითებით, საბა მტბევარმა „დაიჭირა ქვეყანა შავშეთისა“.[14] ეს მინიშნება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ტბე-

[14] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 292.

თის ეპისკოპოსს დაუსწრია ბიზანტიელებისათვის და სანამ ბერძნები დასაყრდენს მოძებნიდნენ შავშეთში, საბა მტბევარს თავის გავლენის ქვეშ მოუქცევია ეს მხარე. საბას ტბეთის ეკლესიის მახლობლად აუგია ციხე-სიმაგრე და მისთვის სვეტი უწოდებია. სწორედ ეს ადგილი ქცეულა მოგვიანებით ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად.

სად არის საძიებელი სვეტის ციხე

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ უკვე დიდი ხანია, ამ ციხის ლოკალიზაციისათვის ორ ადგილს უთითებდნენ – სოფ. ციხისძირს და მის მახლობლად არსებულ სვეტისებრ მთას, სადაც 2015 წელს ქართულმა ექსპედიციამ დააფიქსირა ნანგრევები.[15] სოფელ ტბეთს ჩრდილო-დასავლეთიდან მართლაც დაჰყურებს სვეტისებრი მთა. სწორედ მასზე მიუთიდებდა გიორგი ყაზბეგი, რომ იქ შესაძლებელია სვეტის ციხე ან არადა ქალაქი თუხარისი იყოსო. სხვათაშორის, ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი ტბეთის ეკლესიის ჩრდილოეთით, მდინარის გაღმა, ერთ-ერთ ძველი ციხის არსებობას ადასტურებდა, ოღონდ, მას შეცდომით თუხარისად მიიჩნევდა. „ტბეთის პირისპირ, ჩრდილოეთ კერძ, მდინარის გაღმა, არს ციხე თუხარისი, რომელი აღაშენა პირველ ოძრახოს, ძემან მცხეთოსისამან“.[16] როგორც ჩანს, XVIII საუკუნისათვის არსებულა ტრადიცია, რომ ტბეთის ჩრდილოეთ მხარეს უძველესი ციხე მდგარა, მაგრამ, ამ დროს, მისი სახელი უკვე დაკარგული უნდა ყოფილიყო. ამდენად, ვახუშტი და, მოგვიანებით, გ. ყაზბეგი სვეტის ციხეს იმ სვეტისებრ მთაზე ათავსებდნე, რომელიც ტბეთიდან კარგად ჩანს. ერთგვარი ცდუნება ასეთი ვარაუდის დაშვებისა არსებობდა, რამეთუ წყაროს მონაცემები კარგად ჯდებოდა რეალობაში. ეს სვეტისებრი მთა მართლაც მდებარეობს „თავსა ზედა ტბეთისასა“ – „მახლობელად ტბეთისა ეკლესიასა“. ამ საკითხს ჩვენ შევეხეთ 1999 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 1027-1028 წლებში,“ სადაც ვიზიარებდით გ. ყაზბეგის ვარაუდს და ვთვლიდით, რომ „ამ დიდ სვეტისებურ მთაზე აგებულ ციხეს თუხარისად ვერ მივიჩნევთ, უფრო სარწმუნოა, იგი, სწორედ, სვეტის ციხედ ვცნოთ“.[17] ამ ადგილების მოხილვის შემდეგ ჩვენ გამოვთქვით ეჭვი,

[15] ა. იმედაშვილი. სვეტის ციხე, გვ. 18.
[16] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 679.
[17] ამ საკითხზე იხ. ჯ. სამუშია. „საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური

რომ ამ მთაზე ციხის აგება შეუძლებელი იყო და მას სვეტის ციხის ადგილად ვერ ჩავთვლიდით.[18] ერთადერთი გზა დარჩენილი იყო მოგვეძებნა სხვა ციხის ნანგრევები სოფ. ციხისძირის მიდამოებში. ასეთად კი ვცანით ის ციხე-სიმაგრე, რომელიც დაფიქსირდა სოფელის ძველი დასახლების თავზე აღმართულ მთაზე. ტბეთიდან მომავალი ავტომაგისტრალი იმ ფერდობს აუყვება, რომელზეც ძველად სოფ. ციხისძირი უნდა ყოფილიყო. შემდეგ გზა საკმაოდ დიდ ტერასაზე ადის. ოდნავ მოშორებით გზა იტოტება და მდ. იმერხევისწყლისა და მდ. ყვირალას ხეობებისკენ მიემართება. სამხედრო-სტრატეგიული კუთხით ამ გზის ჩაკეტვა ერთ-ერთი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ბიზანტიელებთან მებრძოლი ქათველებისათვის. ადგილის მოხილვამ დაგვარწმუნა, რომ მტრის შეჩერება ამ ადგილებში მეტად ხელსაყრელი იყო.

როგორც აღინიშნა, წყაროთა ცნობებიდან ერთი რამ დანამდვილებით ვიცით – სვეტის ციხე ტბეთის საეპისკოპოსოს მახლობლად იყო. „მატიანე ქართლისას“ ავტორი კი აზუსტებს, რომ ციხე იყო „თავსა ზედა ტბეთისასაო“.[19] სწორედ ამიტომ, თავის დროზე გიორგი ყაზბეგმა ეს სიმაგრე ტბეთიდან ჩრდილოეთით აზიდულ სვეტისებრ მთაზე ივარაუდა. ციხისძირში მისვლისას კი აღმოჩნდა, რომ მთა, რომლის ძირშიც სოფელი მდებარეობს იმ სვეტისებრი მთის გვერდითაა, რომელიც ტბეთიდან საკმაოდ კარგად ჩანს. ასე რომ მემატიანეს ციხისძირში აშენებულ სიმაგრეზეც შეეძლო თავისუფლად ეთქვა, რომ იგი აგებული იყო „თავსა ზედა ტბეთისასა“ – „მახლობელად ტბეთისა ეკლესიისა“.[20]

XI საუკუნეში, როდესაც ეს რეგიონი საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირების არეალად იყო ქცეული ქართული სამხედრო შენაერთები იმ სვეტისებრი კლდოვან მთაზეც იქნებოდნენ გამაგრებულნი, რომელზეც ჩვენმა კოლეგებმა ნანგრევები აღმოაჩინეს. ამ ორ პუნქტს შორის (სოფ. ციხისძირის თავზე არსებულ სიმაგრესა და სვეტისებრ კლდოვან მთას შორი, რომელიც ტბეთიდანაც ჩანს), მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრია. ეს ერთი სტრატეგიული სივრცეა. სოფ. ციხისძირიდან მიმავალი გზა, რომელიც მდ. ყვირალას

ურთიერთობა 1027-1028 წლებში.“ წიგნში: ჯ. სამუშია. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წ. I. თბ. 1999, გვ. 25-29.

[18] ჯ. სამუშია. სვეტის ციხის ლოკალიზაციისათვის, გვ. 120.

[19] მატიანე ქართლისა, გვ. 292.

[20] მატიანე ქართლისა, გვ. 292; სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 386.

ხეობაში გადადის, მას შემდეგ რაც გაცდება ციხისძირს სწორე იმ კლდოვანი მთის ძირას გადის. გამორიცხულია, სამხედრო მოქმედებების ჟამს ეს სიმაღლე ქართველთა მხრიდან გამოუყენებელი ყოფილიყო.

სვეტის ციხე

ციხე სამი მხრიდან საკმაოდ მიუვალია (სიმაღლე ზღვის დონიდან მთის წვერზე: 1574 მ.).[21] მთის უშუალო სიმაღლე სამხრეთიდან 102 მეტრია. შედარებით ადვილად დასაძლევი ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ფერდობია (მთის უშუალო სიმაღლე ჩრდილოეთიდან (საიდანაც ციხეზე ავდივართ): 26 მ.). სიმაგრე მაინც და მაინც დიდი არ არის. იქ არსებულ ნაგებობათა აღქმას ხელ უშლის ბუჩქები და ჯუჯა ხეები. ციხის ტერიტორია ცენტრში მოსწორებულია, მაგრამ საერთოდ სიმაგრე სწორ ზედაპირზე არ არის ნაგები. გალავანი მთის რელიეფს მიუყვება – ციხის გარე გალავნის ნაშთის ზომები: 53 X 20 მეტრი. რა თქმა უნდა, ძეგლის გაწმენდისა და გათხრების გარეშე თავდაპირველი გეგმის აღდგენა შეუძლებელია. კედლები საშუალო ზომის ქვებითაა ნაშენი. ციხე ჩრდილოეთიდან-სამხრეთის ხაზზეა გაჭიმული.

ციხის ცენტრელურ ნაწილში კოშკია, რომელსაც პირობითად ვიხსენიებთ „ცენტრალური კოშკის“ სახელით. მისი ზომებია: 8,4 X 7,8 მ. კედლის სისქე: 1,6-1,8 მ. კოშკის ყველაზე დიდი სიმაღლე აღმოსავლეთით – 2,3 მ. ციხე-სიმაგრის სამხრეთ მონაკვეთში მდებარეობს სამი სათავსი (1) აღმოსავლეთისა – 2 X 1,7 მ. 2) შუა – 3,8 X 2 მ. 3) დასავლეთისა – 2,9 X 2,7 მ.)

გალავნის ნაშთი კარგად შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ მონაკვეთში, სადაც X-XI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წყობა განირჩევა.

დასასრულ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ ციხისძირში ნანახი სიმაგრე მართლაც XI საუკუნეში აგებული სვეტის ციხე იყოს, თუმცა ამ მიდამოებში არსებული მეორე საფორტიპიკაციო ნაგებობის შესწავლამდე გადაჭრით რაიმეს მტკიცებისაგან თავს შევიკავებთ.

[21] ციხის აზომვა და გეგმების დამზადება განხორციელდა პროექტის „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების“ ფარგლებში (არქიტექტორი: გიორგი ბაგრატიონი).

სვეტის ციხე

გეგმა



სვეტის ციხე

ჭრილი



Jaba Samushia

SVETI FORTRESS

Summary

Article deals with the issue of localization of Sveti fortress, which according to the historical sources was constructed near the Tbeti cathedral. On the top of the mount, near the Tbeti cathedral, remnants of the fortress is visible, the term "Sveti" is forgotten among the local folks.

Hypotethically we can assume that the remnants of the fortress observed by the members of the expedition from Tbilisi State University (by the project "The Georgian Fortresses of Tao-Klarjeti") are to be considered as Sveti fortress constructed in the 11th century. Hopefully, the future archaeological expedition will confirm this fact.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

მამუკა წურწუმია

შუა საუკუნეების ხმლები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ორი ხმალი, რომლებიც განვითარებულ ფეოდალურ ეპოქას ეკუთვნის. ერთი მათგანი ხევსურეთიდანაა და ორლესული მახვილია, მეორე კი ცალპირა ხმალია და ვანის სამარხშია აღმოჩენილი.

ორლესული მახვილი ხევსურეთიდან არის მუზეუმში ჩამოტანილი[1] (სურ. 1). მისი სრული სიგრძე ქუდით 102.2 სმ-ია, ტარის სიგრძე კი – 14.3 სმ. მახვილი 969 გრამს იწონის. მახვილის პირის სიგანე ვადასთან 4.8 სმ-ია და ბოლოსკენ თანაბრად მცირედ ვიწროვდება, წვერი არ არის გამოხატული. პირი გადატეხილში 0.45 სმ სისქის (ცენტრში) და ლინზისებური ფორმისაა. ლითონის ტარი სამი სამაგრით იყო დამაგრებული მახვილის ყუნწზე, რაზეც დარჩენილი ნახვრეტები მეტყველებს.[2] მახვილის ტარს დაკარგული აქვს ხის „შემავსებელი“ (ხეტარი), რომელზეც ემაგრებოდა (ჩამოცმული იყო) ტარის ლითონის ქვედა და ზედა ნაწილი.[3] ტარი და ვადა ცალი (საჩინო) მხრიდან დაფარულია მარტივი ორნამენტით, ტარი ბოლოვდება მცირე ზომის სფერული ფორმის ქუდით. ვადის სიგანე 8.9 სმ-ია და იგი მახვილის პირისკენაა მოხრილი. ვადის ორივე ბოლო მომრგვალო შემსხვი-

[1] ლ. ჭილაშვილი. საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა: გამოფენის გზამკვლევი. თბ. 1990, გვ. 22.

[2] მართებული არ არის ამ მახვილის ტარის რეკონსტრუქცია მხოლოდ ორი ნახვრეტით, რაც მის ერთგვარ „დამოკლებას“ იწვევს. იხ. ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV. თბ. 2011, გვ. 91. სურ. 5, ტაბ. III. 1.

[3] ასეთივე კონსტრუქციისაა ვანის ხმლის ტარიც.

ლებით ბოლოვდება. მახვილის ვადას ორივე მხრიდან ჰქონდა *ლანგეტი*,[4] რომელიც ერთ მხარეს მომტვრეული და დაკარგულია.

მახვილის პირი

ორპირი მახვილი, რომელსაც გამოკვეთილი წვეტი არ გააჩნია, აღმოსავლეთისათვის იყო დამახასიათებელი. ასეთი იყო *სპათა* – ბიზანტიური გრძელი, ორლესული მახვილი მომრგვალებული წვერით[5] და ისლამური მახვილიც.[6] ბიზანტიასა და ისლამურ სამყაროში გავრცელებული ორპირი, სწორი, წვერმომრგვალებული მახვილი განსხვავდება ევროპულისაგან, რომელიც თანდათანობით ვიწროვდება და მახვილი წვერი აქვს.[7] იკონოგრაფიული მასალით თუ ვიმსჯელებთ, წვერმომრგვალებული მახვილები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.[8] რაიმე სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას ჩვენი მახვილის პირი არ იძლევა,[9] ამიტომაც გადავიდეთ მისი ტარისა და ვადის განხილვაზე.

---

[4] *ლანგეტი* ვადის წანაზარდია, რომელიც ამ შემთხვევაში ხმლის პირისკენაა დაშვებული, მკვიდრად აფიქსირებს იარაღს ქარქაშის პირში და იცავს მას უნებლიე გაშიშვლებისაგან. ლანგეტი წარმოიშვა სამკუთხა ფორმის ვადისაგან, რომელიც ინდური წარმომავლობისაა და VII-X საუკუნეებში გავრცელდა ისლამურ ქვეყნებში და ბიზანტიაში, რომელთა გავლით ევროპასაც მიაღწია. D. Nicolle. The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily. Gladius. XVI. 1983, გვ. 64; H. Nickel. The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour. A Companion to Medieval Arms and Armour. Ed. by D. Nicolle. Woodbridge. 2002, გვ. 120.

[5] Taxiarchis G. Kolias. Byzantinische Waffen. Wien, 1988, გვ. 137, 144; M. Aleksić. Some Typological Features of Byzantine Spatha. Recueil des travaux de l'Institut d'etudes byzantines. XLVII. 2010, გვ. 129.

[6] D. Nicolle. Byzantine and Islamic Arms and Armour: Evidence for Mutual Influence. Graeco-Arabic. IV. 1991, გვ. 302-303.

[7] D. Nicolle. The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily, გვ. 62-63. ალ-ქინდიც შენიშნავს ამ განსხვავებას ევროპულსა და აღმოსავლურ მახვილს შორის. Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds." Edition, Translation, and Commentary by Robert G. Hoyland and Brian Gilmour, Introduction by James Allan. Oxford, 2006, გვ. 43.

[8] თუმცა წამახულწვერიანი მახვილების გამოსახულებებიც საკმაოდ მოიძებნება.

[9] თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ მოგვიანებით ხევსურეთის მახვილის გადაკეთება უცდიათ და მისი ერთი პირი 35 სმ-ის სიგრძეზე დაუბლაგვებიათ. სავსებით მართებულად ი. ბაქრაძე ამ ფაქტს საქართველოში მოხრილი ხმლის განვითარების კონტექსტში განიხილავს. ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 67, შენ. 23; 82.

მახვილის ტარი

ხმლის წარმომავლობის გარკვევისათვის მის ტარს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტარის კონსტრუქცია და გაფორმება ახასიათებს მის შემქმნელ ერს და საზოგადოებას. ვ. ზაბლოცკის მიხედვით, იარაღის ფუნქციური ანალიზისათვის ხმლის ტარს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ხმლის ტიპის ან ეთნიკური წარმოშობის განსაზღვრა მხოლოდ პირის საფუძველზე არასწორია.[10] ხმლისა და მისი გამოსახულებების შესწავლისას, ტრადიციულად, კლასიფიკაციისათვის ვადის ფორმა გამოიყენება. ისინი ყოველთვის უფრო მრავალფეროვანი და ადვილად ამოსაცნობია, ვიდრე ხმლის პირი.[11] ვ. იოტოვის სამართლიანი შენიშვნით, „ხმლების ტიპოლოგია ხშირად მათი ვადების ტიპოლოგიაა“.[12] იკონოგრაფიული მასალის გამოყენებისას, უმთავრესად შეზღუდული ვართ ხმლის ტარის, ქუდის და ვადის შესწავლით, რაზეც მართებულად უთითებს ა. ჰოფმაიერი.[13] ეს კი მეტად ზრდის მათი კვლევის მნიშვნელობას.[14]

ჩვენ შემთხვევაშიც, როდესაც მახვილის პირი განსაკუთრებულად არ

---

[10] В. Квасневич. Польские сабли. СПб. 2005, გვ. 14-15. ვ. კვასნევიჩიც ეთანხმება ამ მოსაზრებას და ხმლის წარმოშობის განსაზღვრისათვის მის შემადგენელ ნაწილებს მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით განიხილავს: ტარი – პირი – ქარქაში (იხ. В. Квасневич. Польские сабли, გვ. 13-14).

[11] А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Вып. 1. Мечи и сабли IX-XIII вв. Археология СССР. Л. 1966, გვ. 19; D. Nicolle. The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily, გვ. 63. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ იარაღის სახეობა (მაგ. მახვილი თუ მოხრილი ხმალი) პირის ფორმის მიხედვით ირკვევა, ტარით კი მის ტიპს ადგენენ. Н. Я. Мерперт. Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье. Советская Археология. 23. 1955, გვ. 134.

[12] V. Yotov. A New Byzantine Type of Swords (7th-11th Centuries). Niš and Byzantium. IX. 2011, გვ. 115.

[13] A. B. Hoffmeyer. Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes. Gladius. V. 1966, გვ. 95.

[14] რეალურად არსებული ნიმუშების სიმცირის ფონზე ხმლების იკონოგრაფიული გამოსახულებების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს მ. პარანიც, რომელიც თვლის, რომ ამ გზით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი ხმლის ისეთი ნაწილების შესახებ, როგორიცაა ტარი და ქარქაში. მით უმეტეს, რომ ბიზანტიური იკონოგრაფია კარგად ასახავს ცვლილებებს ხმლის ტიპოლოგიაში. M. G. Parani. Reconstructing the Reality of Images: Byzantine Material Culture and Religious Iconography (11th-15th Centuries). Leiden. 2003, გვ. 130-131.

გამოირჩევა, ძირითადი აქცენტი ტარის კვლევაზე უნდა გაკეთდეს. ხევსურეთიდან ჩამოტანილი მახვილის ტარი ლითონისაგან არის დამზადებული და ხით (ხეტარით) დაკავშირებულ-გამაგრებული.[15] ასეთი კომბინირებული ტარი კარგად ჩანს ატენის სიონის ფრესკაზე წმ. ევსტათეს მახვილზე, სადაც ტარის ზედა და ქვედა ლითონის ნაწილები ყავისფერი ზოლებით მკაფიოდ არის გამოყოფილი მათი შემაკავშირებელი ხის ტარისაგან (7ბ). შუა ხის ნაწილი ზოგჯერ თხელი (შესაძლოა, ძვირფასი) ლითონის ფირფიტით იფარებოდა, როგორც ამას ვხედავთ მაცხვარიშის ფრესკაზე წმ. გიორგის მახვილის ტარზე[16] (სურ. 8დ).

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მთლიანი ან ნაწილობრივი ლითონის ტარი არ არის დამახასიათებელი შუა საუკუნეების ევროპული მახვილებისათვის. სამაგიეროდ ის დამახასიათებელია აღმოსავლური და ისლამური იარაღისათვის, განსაკუთრებით კი ადრეული არაბული მახვილებისათვის.[17] როგორც ჩანს, მახვილის კომბინირებული ტარი ფართოდ ვრცელდება და განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს ბიზანტიის იმპერიაში.[18] კომბინირებული ლითონის-და-ხის კონსტრუქციის ტარის მქონე მახვილები და მათი დეტალები აღმოჩენილია უნგრეთში, ბალატონის ტბასთან, გარაბონცის ნეკროპოლისში და კუნაგოტას სამარხში, რუმინეთში, პაცუიულ ლუი სოარეს სიმაგრეში, ბულგარეთში პლისკასა, აბრიტუსსა და დრასტარში (სურ. 2აბგ). ამ მახვილებს IX-X საუკუნეებს აკუთვნებენ და მათ ბიზანტიურ წარმომავლობას ვარაუდობენ.[19] განსაკუთრებით აღსანიშნავია დრასტარის ბრძოლის

[15] კომბინირებული ლითონის-და-ხის კონსტრუქციის ტარის შესახებ იხ. M. Aleksić. Some Typological Features of Byzantine Spatha, გვ. 127.

[16] ქუდსა და ვადას შორის მოჩუქურთმებული ვერცხლის ფირფიტით დაფარული ტარი ჩვენამდე მოღწეულ მახვილზე იხ. B. Mohamed. The Arts of the Muslim Knight. Milano. 2008, გვ. 37, ფიგ. 8.

[17] D. Nicolle. Two Swords from the Foundation of Gibraltar. Gladius, XXII. 2002, გვ. 174-178. IX-X სს. ისლამური მახვილის ლითონის ქუდები, ვადები და მათი დასამზადებელი მატრიცა იხ. B. Mohamed. The Arts of the Muslim Knight, გვ. 106-109, ფიგ. 68-70, 72-76.

[18] დ. რაბოვიანოვიც თვლის, რომ მახვილის გამოკვეთილი და ტარისმომცველი ვადა ისლამური სამყაროდან გავრცელდა ბიზანტიაში. D. Rabovyanov. Early Medieval Sword Guards from Bulgaria. Archaeologia Bulgarica. XV. 2. 2011, გვ. 78-82.

[19] В. Йотов. Перекрестье меча из Херсонеса. Античная древность и Средние века. 39. 2009, გვ. 253, სურ. 9; V. Yotov. Byzantine Time Swords (10th-11th Centuries)

(1087) ველზე ნაპოვნი სფერული ფორმის მახვილის ქუდი (სურ. 2გ), რომელიც პრაქტიკულად ხევსურეთის მახვილის და ვანის ხმლის ქუდის იდენტურია. სფერული ფორმის ქუდები გვხვდება, მაგრამ არ არის დამახასიათებელი დასავლეთევროპული მახვილისათვის, სამაგიეროდ ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში.[20] ცხადია, რომ ქართული მახვილის კომბინირებული ტარი ისლამურ და ბიზანტიურ სივრცეში გავრცელებული ტექნოლოგიის შედეგად არის შექმნილი.

მახვილის ვადა

ბიზანტიურმა გრძელმა მახვილმა *სპათამ* რომაული მოკლე მახვილის *გლადიუსისგან* მემკვიდრეობით მიიღო უმნიშვნელო სიდიდის ვადა, რომელმაც თანდათანობით მოიმატა ზომაში. ადრეულ ბიზანტიურ გამოსახულებებზე მხოლოდ მცირე ზომის ვადა შეინიშნება, რომელიც IX-X საუკუნეში ოდნავ შესამჩნევად თუ სცდება მახვილის კიდეებს. მხოლოდ X-XI საუკუნიდან მოყოლებული შეიმჩნევა შედარებით გამოკვეთილი ვადა.[21] X-XI საუკუნეებში ფრანკულ-ვიკინგურ მახვილებზე ჩნდება მოხრილი ვადა,[22] მაგრამ ბიზანტიურ

in Romania. Studia Universitatis Cibiniensis. Series Historica. VIII. 2011, გვ. 38-39; V. Yotov. The Kunágota sword guard and the dating of two bronze matrices for hilt manufacturing. Die Archäologie der frühen Ungarn: Chronologie, Technologie Und Methodik. Hrsg. B. Tobias. Mainz. 2012, გვ. 219-220, ფიგ. 1. დ. რაბოვიანოვი არ ეთანხმება ვ. იოტოვის ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ბულგარული მახვილები ისლამური წარმოშობისაა. D. Rabovyanov. Early Medieval Sword Guards from Bulgaria, გვ. 73, 82-83. მიუხედავად იმისა, რომ რაბოვიანოვი მართალია ამ მახვილების თავდაპირველი ისლამური პროტოტიპების შესახებ, იოტოვის მოსაზრებაც საფუძვლიანია. ბალკანეთსა და შავიზღვისპირეთში ნაპოვნი კონკრეტული ეგზემპლარები ბიზანტიაში ან სულაც ადგილობრივ, ბიზანტიური გავლენით უნდა იყოს დამზადებული. აღმოსავლეთ ევროპის ყველა რეგიონში, სადაც კი საკვლევი მახვილებია ნაპოვნი, უშუალოდ არაბულ-ისლამური ტექნოლოგიების შეღწევა ნაკლებად სავარაუდოა.

[20] D. Nicolle. Two Swords from the Foundation of Gibraltar, გვ. 174.

[21] T. G. Kolias. Byzantinische Waffen, გვ. 143.

[22] ერთ-ერთი უადრესია ე.წ. ინგლისური ტიპის მახვილების ჯგუფი, რომელიც 875/900-950 წლებით თარიღდება. E. Oakeshott. The Archaeology of Weapons. London. 1960, გვ. 136. ამის საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი მოხრილი ვადის სამშობლოდ ანგლო-საქსურ ინგლისს მიიჩნევს. Hilda Ellis Davidson. The Sword in Anglo-Saxon England: Its Archaeology and Literature. 2nd ed. Woodbridge. 1994, გვ. 63. მოხრილვადიან მახვილებს იან პეტერსენის კლა-

მახვილთან შედარებით მათ განსხვავებული ქუდი აქვთ.[23] ამ ტიპის ევროპულ ვადებზე არ შეინიშნება გამოკვეთილი ბურთულოვანი დაბოლოებაც, რომელიც მხოლოდ XV საუკუნეში ჩნდება.[24] მახვილი სფერული ქუდით და დახრილი ვადით ფართოდ გავრცელდა ევროპაში, განსაკუთრებით XIII საუკუნის შემდეგ. თუმცა მოხრილი ვადა არ არის ევროპული წარმოშობის. დახრილი ვადა ხშირად გვხვდება ბიზანტიის ხელოვნებაში X-XII საუკუნეებში.[25] დახრილი ვადის სამშობლო ცენტრალური აზია უნდა იყოს, რომელმაც დასავლეთით გავრცელებისას ბიზანტიასაც მიაღწია.[26] სფერულქუდიანი და დაშვე-

---

სიფიკაციით L, Z და Æ ტიპები მიეკუთვნება. Jan Petersen. De norske vikingesverd. Kristiania. 1919, გვ. 112-116, 175-177, 178-180, ფიგ. 94-97, 136-137, 138; Lee A. Jones. Overview of Hilt and Blade Classifications. Swords of the Viking Age. Ian. G. Peirce. Woodbridge. 2002, გვ. 18-19. ა. კირპიჩნიკოვი მათ ნაწილობრივ აკუთვნებს პეტერსენის Y ტიპსაც, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ P და Q ტიპებიც, რადგან მათაც გააჩნიათ ვადის მცირედი დახრილობა. А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв., გვ. 34-35. კირპიჩნიკოვის კვალდაკვალ, ი. ბაქრაძე თვლის, რომ ევროპულ მახვილებზე ქართული ხმლების მსგავსი, ნახევარმთვარისებური ვადა ჩნდება. ირაკლი ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 85, შენ. 82. ეს მოსაზრება ა. კირპიჩნიკოვის არასწორად გაგების შედეგია, რადგანაც რუსი ავტორი ზოგადად დახრილ ვადებზე მსჯელობს, ხოლო Y ტიპის მახვილს სწორი ან ოდნავ დახრილი ვადა აქვს და არა ნახევარმთვარისებრი, როგორც ქართულ ნიმუშებს. ე. ოკშოტის კლასიფიკაციით ნახევარმთვარისებურია მე-9 ტიპის ვადა. Ewart Oakeshott. Records of the Medieval Sword. Woodbridge. 1991, nos. X.7-8, Xa.17, XII.10-12. მოხრილი ვადის აღმოსავლეთიდან ევროპასა და სკანდინავიაში შეღწევაში, ა. კირპიჩნიკოვი კიევის რუსეთის წვლილს აღნიშნავს. А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв., გვ. 34-35.

[23] P. L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261). Leiden. 2010, გვ. 352, შენ. 168.

[24] ე. ოკშოტის მიხედვით, 11-ე ტიპის ვადა, რომელიც XVIII.10 და XXI.1 ტიპის მახვილებზე შეიმჩნევა. Ewart Oakeshott. Records of the Medieval Sword, nos. XVIII.10, XXI.1.

[25] A. B. Hoffmeyer. Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes, გვ. 103.

[26] A. B. Hoffmeyer. Introduction to the History of the European Sword. Gladius. I. 1961, გვ. 64; მისივე, Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes, გვ. 105. ამ მოსაზრებას ტ. კოლიასი და დ. ნიკოლიც იზიარებს. Taxiarchis G. Kolias. Byzantinische Waffen, გვ. 143, შენ. 70; David Nicolle. Early Medieval Islamic Arms and Armour. Caceres. 1976, გვ. 122.

ბულვადიანი მახვილების წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის IX ს. სპილოს ძვლის ჭადრაკის ფიგურაზე გამოსახული ცხენოსნის მახვილი ისლამური სინდიდან თუ აღმოსავლეთ ირანიდან, ბოსტონის სახვითი ხელოვნების IX-X სს. ერაყულ მოჭიქულ თასზე მებრძოლის მახვილი და ლონდონში, ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმში დაცულ IX-X სს. ნიშაპურის (ხორასანი) თასზე გამოსახული მახვილი, რომელსაც უკვე ბოლოებშემსხვილებული, დახრილი ვადა და მასიური ქუდი აქვს[27] (სურ. 3). ასეთივე მახვილითაა შეიარაღებული მონადირე X საუკუნის ირანულ ოქროს ყელსაბამზე (ცინცინატის ხელოვნების მუზეუმი)[28] და მსახური ზიად იბნ ალფაჰის 970 წლით დათარიღებულ კორდობულ სპილოს ძვლის ზარდახშაზე (ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმი).[29] მსგავს მოხრილვადიან მახვილებს ლანგეტის გარეშე ატარებენ აბდ ალ-რაჰმან ალ-სუფის 1009 წლის ასტრონომიულ ტრაქტატში ზოდიაქოს ფიგურები.[30] XII საუკუნის ეგვიპტეში მასიურქუდიან დახრილვადიან მახვილებს უკვე მასობრივად გააჩნიათ ლანგეტი: მათი გამოსახულებები მოიპოვება პარიზში დაცულ 1179-80 წწ. კოპტური სახარების მინიატურებში[31] (სურ. 4ა).

ასეთ მახვილებს ვხვდებით ბიზანტიურ და სომხურ ძეგლებზეც. პირისკენ დახრილი ვადა აქვს გოლიათის მახვილს X საუკუნის დასაწყისის რელიეფზე აღთამარის ეკლესიიდან. მსგავსი მახვილებია X საუკუნის ბორედეილის, XI საუკუნის არბავილის და ვატიკანის მუზეუმის X-XI საუკუნეების ბიზანტიურ სპილოს ძვლის ტრიპტიქებზე[32] (სურ. 4ბგ). აქ გამოსახულ მახვილებს აქვთ დიდი ზომის სფერული ფორმის ქუდი და მოხრილი ვადა, ზოგან – ლანგეტიც.

ძირს დაშვებული ვადები მოხრილ ხმლებზეც იყო გავრცელებული. ა. კირპიჩნიკოვის განმარტებით, ჩეხის დროს ასეთი ვადა ხელისათვის უფრო

[27] D. Nicolle. Two Swords from the Foundation of Gibraltar, გვ. 168, ფიგ. 53-55.
[28] D. Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia. London. 1999, გვ. 261, ფიგ. 660.
[29] Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds," ფიგ. 5.
[30] Shihab al-Sarraf. Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords. A Companion to Medieval Arms and Armour. Ed. by D. Nicolle. Woodbridge. 2002, ფიგ. 93a-c.
[31] D. Nicolle. The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily, ფიგ. 126.
[32] P. L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints, გვ. 352, ფიგ. 20-22.

კომფორტული იყო. მისივე კლასიფიკაციით, ასეთია მოხრილი ხმლის ვადა ტიპი Ia – ნახევარმთვარისებური, ლანგეტის გარეშე, ბოლოში ბურთულებით, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში X-XI საუკუნეებში იყო გავრცელებული.[33] უ. კოჩკაროვი მოხრილ ხმლებზე დახრილი ვადის ორ ქვეტიპს გამოყოფს: IIa, რომელიც X-XII საუკუნეებში იყო გავრცელებული და IIг, რომელიც ჩრდილო კავკასიაში გვხვდება XIII-XV საუკუნეებში.[34] მ. გორელიკი ფიქრობს, რომ XIII-XV საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში ნაპოვნი მოხრილი ხმლების ბოლოებდაშვებული ვადები მახვილის ვადიდან განვითარდა.[35] მ. გორელიკი მახვილის მოხრილ ვადებს XIV საუკუნის დასაწყისის ჰულაგუიანთა მინიატურებზეც აღნიშნავს, რომელიც, მისი აზრით, ილხანთა ირანში მოხვდა მუსლიმური ესპანეთიდან, კერძოდ, ალ-ანდალუზიდან, სადაც ის XII-XIII საუკუნეების განმავლობაში ფორმირდებოდა.[36] რაშიდ ად-დინის „ჯამი ათ-თავარიხის“ მინიატურებზე მართლაც გვხვდება დახრილვადიანი მახვილები (სურ. 4დე),[37] მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი ვადის ტრადიცია ირანსა და მის გარემომცველ სამყაროში მონღოლებამდე არსებობდა და არ საჭიროებდა ესპანეთიდან იმპორტს.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოსახულებები ნათლად მეტყველებს იმ დიდ

---

[33] А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв., გვ. 63, 68. ერთ-ერთი პირველნი, რომელნიც ძირს დაშვებულ ვადას იყენებდნენ, ალბათ, კიმაკები იყვნენ. ეს შეგვიძლია დავასკვნათ აღმოსავლეთ ყაზახეთში ნაპოვნი მოხრილი ხმლის მიხედვით, რომელიც IX-X საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. Ю.А. Плотников. Рубящее оружие прииртышских кимаков. Военное дело древних племен Сибири и Центральной Азии. Новосибирск. 1981, გვ. 166, სურ. 2; Ю. С. Худяков. Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии. Новосибирск. 1986, გვ. 193-194. მოხრილი ხმლები დაშვებული ვადით და ბურთულოვანი ბოლოებით ნაპოვნია ბულგარეთშიც. იხ. Валери Йотов. Въоръжението и снаряжението от българското средновековие (VII-XI век). Варна. 2004, обр. 31, таб. XXXIX.

[34] У. Ю. Кочкаров. Вооружение воинов Северо-Западного Предкавказья VIII-XIV вв. (оружие ближнего боя). М. 2008, გვ. 32-33.

[35] М. В. Горелик. Адыги в Южном Поднепровье (2-я половина XIII в. - 1-я половина XIV в.). Материалы и исследования по археологии Северного Кавказа. Вып. 3. Армавир. 2004, გვ. 294.

[36] М. В. Горелик. Адыги в Южном Поднепровье, გვ. 294.

[37] ასეთი მახვილები გამოსახულია 72a (მუჰამედს ნებდებიან ალყაშემორტყმული ებრაელები) და 292a (მოსე და ლევიტები) მინიატურებზე. S. S. Blair. A Compendium of Chronicles: Rashid al-Din's Illustrated History of the World. London. 1995, ფიგ. 36, 49.

გეოგრაფიულ არეზე, სადაც დაშვებულვადიანი იარაღი იყო გავრცელებული. ირანულ-ხორასნული ტიპის მახვილები თავის განვითარებას ჰპოვებენ საქართველოშიც. მათ უჩნდებათ ლანგეტი, მახვილის ქუდი კი პატარავდება და მხოლოდ სიმბოლურ ფორმას ინარჩუნებს. იგი არ აწონასწორებს მახვილის პირს, მხოლოდ ხელის მტევნის მომზღუდველია და საშუალებას არ აძლევს ხელს ტარიდან ჩამოსრიალდეს. ევოლუციის ამ პროცესზე სწორი წარმოდგენა რომ გვქონდეს, იმდროინდელი მახვილის ფუნქცია უნდა განვიხილოთ. იგი ორლესული მძიმე იარაღი იყო, რომელსაც, ძირითადად, საჩეხად ხმარობდნენ. ბრძოლაში მისი გამოყენება განსხვავდებოდა გვიანდელი ეპოქის ფარიკაობისგან უფრო მსუბუქი ცალპირა ხმლებით. მძიმე მახვილით ჩეხისას მნიშვნელობა ენიჭებოდა მოქნევის ძალას და არა სისწრაფეს და მოქნევის სიხშირეს. ასეთ დროს ერთი, ზუსტად მოზომილი მოქნევაც კი საკმარისი იყო მოწინააღმდეგის მოსაკლავად ან მწყობრიდან გამოსაყვანად. სწორედ დარტყმის ძალის გაზრდას ემსახურება ქუდის ზომის შემცირება. რაც უფრო პატარა და მსუბუქია მახვილის ქუდი, მით უფრო წინ არის მისი სიმძიმის ცენტრი. ასეთი მახვილი ნაკლებად მანევრულია, მაგრამ ძლიერ დარტყმას განაპირობებს.[38]

ამ ტიპის, ჩეხაზე გათვლილი ქართული მახვილის განვითარების გზაზე სამი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ: 1) X საუკუნის ხატებზე მახვილს სწორი ვადა აქვს; 2) XI საუკუნეში ვადა უკვე დახრილია; 3) XI-XII საუკუნეების მიჯნაზე კი ყალიბდება ბოლოებშემსხვილებული და დახრილვადიანი მახვილი სფერული ქურდით, რომლის ერთმა ეგზემპლარმაც ჩვენამდე მოაღწია[39] (სურ. 5). რა თქმა უნდა, ეს ეტაპები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ მიმდინარეობდა და მათი დამახასიათებელი ნიშნები ერთმანეთს ერწყმოდა, მაგრამ ზოგადი სურათისათვის ეს სქემა გამოსადეგია.

---

[38] M. Basista. Hybrid or Counterpoise? A Study of Transitional Trebuchets. Journal of Medieval Military History. V. 2007, გვ. 50. ისლამური მახვილების პატარა ქუდებზე, რომლებიც ევროპულისაგან განსხვავებით მახვილის პირს არ აწონასწორებენ და მხოლოდ ტარის დაბოლოებას წარმოადგენენ, მიუთითებს მ. ფურატი. M. Furat. A Brief Study on Swords. Şarkiyat Mecmuası. 8. 1998, გვ. 322.

[39] ადრეული გამოსახულებების მიუხედავად, XII საუკუნიდან მოხრილვადიანი მახვილი სულ უფრო იშვიათია ბიზანტიურ იკონოგრაფიაში და იგი სწორი ვადაჯვრით იცვლება. P. L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints, გვ. 353. სწორედ ამ დროს მოხრილვადიანი მახვილი განვითარების პიკს აღწევს საქართველოში, რაც „ქართული გზის“ გარკვეულ დამოუკიდებლობაზე მიუთითებს.

მახვილი ლანგეტით, სწორი ვადით და მომრგვალებული ბოლოებით მრავლად მოიძებნება X საუკუნის გამოსახულებებზე. ასეთია წმ. გიორგის და წმ. თევდორეს მახვილები X საუკუნის მეორე ნახევრის მრავალძალის ხატზე[40] (სურ. 6ა), X საუკუნის დასასრულის ფარახეთის ხატზე წმ. გიორგის მახვილი[41] (სურ. 6ბ), ჩუკულის ეკლესიაში დაცულ X საუკუნის ღვთისმშობლის ტრიპტიქზე გამოსახული წმ. გიორგის და წმ. თევდორეს მახვილები[42] (სურ. 6გ).

XI საუკუნის დასაწყისში (1010-14) ნიკორწმინდის დასავლეთის პორტალის ტიმპანის რელიეფზე გამოსახული წმ. გიორგის მახვილი გვიჩვენებს განვითარების შემდგომ ეტაპს, როდესაც ვადა უკვე დახრილია, მისი ბოლოები ძირსაა დაშვებული, ჩანს პატარა ლანგეტიც, თუმცა მახვილის ქუდი ისევ დიდი ზომისაა[43] (სურ. 7ა). ატენის სიონის სამხრეთის მკლავის XI საუკუნის ფრესკაზე წმ. ევსტათეს მახვილის ვადა, რომელსაც პატარა ლანგეტი აქვს, ოდნავ არის დახრილი, რაც II ეტაპის ნიშანია[44] (სურ. 7ბ). ძირსდაშვებული ვადა და დიდი ქუდი აქვს XI საუკუნის ლაღამის წმ. გიორგის მახვილსაც.[45]

XI საუკუნის დასასრულისთვის მახვილის ფორმა უკვე ჩამოყალიბებულია და ის ხშირად გვხვდება XII საუკუნის გამოსახულებებზე. იფრარის მთავარანგელოზთა („თარინგზელ“) ეკლესიაში, ჩრდილოეთის კედელზე ვხედავთ 1096 წელს მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებულ მიქაელ მთავარანგელოზს. მის მახვილს აქვს ბოლოებშემსხვილებული დახრილი ვადა და სფერული ქუდი, პირი ოდნავ წაწვეტებულია, ცენტრალური ღარით თუ ძგიდით[46] (სურ. 8ა). ასეთივე მახვილი გვხვდება წმ. ივლიტას თავისკვეთის სცენაში ლაგურკას წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესიის სამხრეთის კედელზე, რომელიც 1111 წელსაა შესრულებული[47] (სურ. 8ბ). დასრულებული

[40] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб. 1959, გვ. 406-409, ტაბ. 36, 37.
[41] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. 342-343; ტაბ. 43.
[42] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. 409-410, ტაბ. 46.
[43] ნ. ალადაშვილი. ნიკორწმინდის რელიეფები. თბ. 1957, ტაბ. 19_2.
[44] ატენის სიონის მოხატულობა. ტექსტი თინათინ ვირსალაძის. თბ. 1984, გვ. 157, ტაბ. 94.
[45] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. 355, ტაბ. 241.
[46] ზემო სვანეთი: შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა. ალბომის შედგენა, ტექსტი და თარგმანი მარინე ყენიასი. თბ. 2010, გვ. 61.
[47] ზემო სვანეთი, გვ. 72.

ევოლუციის მახვილებითაა წარმოდგენილი წმ. თევდორე ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე (მეფის მხატვარი თევდორე, 1130 წ.)[48] და წმ. გიორგი მაცხვარიშის დასავლეთ კედელზე (მხატვარი მიქელ მაღლაკელი, 1140 წ.)[49] (სურ. 8გდ).

როგორც ვხედავთ, საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული მასალის განხილვამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ჩვენს ხელთ არსებული მახვილის მიერ გავლილი ევოლუციის ეტაპები. ეჭვგარეშეა, რომ ის XI საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებული და XII საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული ქართული მახვილის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.

ახლა განვიხილოთ მეორე ექსპონატი მუზეუმიდან, რომელიც ვანშია აღმოჩენილი[50] და ცალპირა ხმალს წარმოადგენს[51] (სურ. 9). ვანის სამარხში ნაპოვნი ხმლის სრული სიგრძე 110 სმ-ია, ტარის სიგრძე – 14.1 სმ, პირის უდიდესი სიგანე კი – 4 სმ.[52] პირი მთელ სიგრძეზე უმნიშვნელოდ ვიწროვდება, რაც შესამჩნევი მხოლოდ წვერთან ხდება. ხმალი მცირედ მოხრილია და ყუასთან ახლოს ორმხრივ გასდევს ღარი. ყუის სისქე ვადასთან 0.9 სმ-ია, გადატეხილში – 0.8 სმ, შემდგომ კი – 0.7 სმ. ყუა პირის სიგრძის თითქმის 3/4-ს შეადგენს, რომელიც მთავრდება წვერიდან 26 სმ-ში და გადადის მჭრელ ნაწილში, რომელიც პირის ორლესულ ბოლოს ქმნის.[53] ხმალს აქვს *რიკასო*[54] – პირის მჭრელი მხარე ვადიდან მხოლოდ 7.5 სმ-ის შემდეგ იწყე-

[48] ზემო სვანეთი, გვ. 93.

[49] ზემო სვანეთი, გვ. 112.

[50] Из архива Н. В. Хоштариа. ვანი IV: არქეოლოგიური გათხრები. რედ. ო. ლორთქიფანიძე. თბ. 1979, გვ. 133.

[51] ზოგიერთ ნაშრომში იგი შეცდომითაა მოხსენიებული ორპირა მახვილად. იხ. В. Е. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 125-126; ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბ. 2006, გვ. 188, ტაბ. III. 1-2.

[52] შდრ. Из архива Н. В. Хоштариа, გვ. 133.

[53] მოხრილი ხმლის ორლესული ბოლო ჩხვლეტის გასაადვილებლად იყო გამიზნული, რადგანაც სამკუთხა განივკვეთის მქონე ხმლით ჩხვლეტა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ლინზისებურით. Г. Чики. Сабли аварского периода в Карпатской котловине: вопросы типохронологии. Культуры евразийских степей второй половины I тысячелетия н.э. Самара. 2010, გვ. 209.

[54] *რიკასო* ხმლის პირის გაულესავი ნაწილია, რომელიც ვადიდან იწყება. რიკასო აძლიერებს ხმლის პირის ტარში გადასვლის ადგილს და ქარქაშში პირის საიმედოდ ჩამაგრებას ემსახურება. რიკასოს გამოყენებით ფარიკაობის საგანგებო სტილის შესახებ იხ. D. Rabovyanov. Early Medieval Sword Guards from Bulgaria, გვ. 77.

ბა. პირი გადატეხილში სოლისებური ფორმისაა. ამჟამინდელ (ძლიერ დაჟანგულ) მდგომარეობაში ხმალი 1123 გრამს იწონის. შემორჩენილი ვადის სიგანე 7.1 სმ-ია; ის ნახევარმთვარისებურია, პირისკენ დახრილი და ბოლოები ორივე მხარეს ჩამომტვრეული აქვს. სავარაუდოა, რომ ისინიც მრგვალი შემსხვილებით ბოლოვდებოდა. ასევე, ორმხრივ დაზიანებულია და უცნობია, ჰქონდა თუ არა ვადას ლანგეტი. ტარი ბოლოვდება 3 სმ დიამეტრის სფერული ფორმის ქუდით. ლითონის ტარი სამი სამაგრით არის ყუნწზე დამაგრებული. ხეტარი, რომელიც აკავშირებდა ტარის ზედა და ქვედა ლითონის ნაწილებს, მეტწილად შემორჩენილია და მკაფიო წარმოდგენას იძლევა ტარის კონსტრუქციაზე.

როდის შეიძლება გაჩენილიყო ასეთი იარაღი საქართველოში და რა პერიოდს მიეკუთვნება ვანის ცალპირა ხმალი? მსუბუქი, ცალპირა ხმლების პოპულარობა მომთაბარეების მიერ გავრცელებულმა სწრაფმა და მანევრულმა ბრძოლის სტილმა განაპირობა. ამ სტილის საქართველოში გავრცელების ვადები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

ვანის გათხრები არ არის ზუსტად დათარიღებული. ნ. ხოშტარია მას X საუკუნით ათარიღებდა.[55] ვ. ართილაყვა ვანის ხმალს X-XI საუკუნეების ნაკეთობად მიიჩნევს.[56] ლ. ჭრელაშვილი ვანურ ხმალს XI ან XI-XII საუკუნეებს აკუთვნებს.[57] ი. ბაქრაძე ძირითადად იზიარებს ზემოხსენებულ მკვლევართა პოზიციებს და საკუთარი არგუმენტების მოხმობითაც ცდილობს განამტკიცოს ხმლის X-XI საუკუნეების მიჯნით დათარიღება.[58] ყველა ეს ნაშრომი ვანის სამარხს ქართული შეიარაღების ჭრილში განიხილავს და იარაღის დათარიღებას ფართო არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე ცდილობს, რაც ბუნებრივია, შესაბამის შეცდომებს იწვევს. დღეისათვის ვანის სამარხის კომპლექსური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ის საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაღ მომთაბარეს ეკუთვნის.[59] ამ ახლებუ-

[55] Из архива Н. В. Хоштариа, გვ. 133.

[56] В. Е. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии, გვ. 126, 170.

[57] ლ. ჭრელაშვილი. ქართული იარაღის ისტორიიდან: ხმალი. მნათობი. 5-6. 1998, გვ. 129-130.

[58] ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 66-68, 70.

[59] დაწვრილებით იხ. მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. 3. 2013, გვ. 160-196.

რად გააზრებული არქეოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე ადვილი დასადგენია ვანის ხმლის დამზადების სავარაუდო თარიღიც. ჩვენს წინაშეა მომთაბარეთა ტიპური იარაღი – ხმალი, რომელსაც ყივჩაღი ატარებდა და რომელსაც, ამავე დროს, ქართული მახვილისათვის დამახასიათებელი ტარი აქვს.[60] ამას გარდა, ვანის ხმალს კიდევ ერთი უცნაურობა ახასიათებს. ცნობილია, რომ რაც უფრო ადრეულია მოხრილი ხმალი, მით ნაკლები მოხრილობა,[61] პირის სიგრძე და სიფართე აქვს მას. VIII-IX საუკუნეების ხმლები ხასიათდება 1 მ სიგრძით, 2.9-3.3 სმ სიგანით და 3 სმ მოხრილობით. XII-XIII საუკუნეებში ხმლის პირი გრძელდება 10-17 სმ-ით, სიგანე ზოგჯერ 4.4 სმ-საც კი აღწევს და კიდევ უფრო იხრება.[62] ასე რომ, ვანის ხმალი სიგრძით და სიგანით XII-XIII საუკუნეების ნიმუშს შეესაბამება, მოხრილობით კი – VIII-IX სს. ამ, ერთი შეხედვით, ანომალიის ამოხსნა ადვილად არის შესაძლებელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ვიცით, რომ მეფემ ყივჩაღები „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა“.[63] ეს არც არის გასაკვირი, თუკი ყივჩაღთა მარშრუტს მივადევნებთ თვალს. თავდაპირველი განსახლების ადგილიდან (სევერსკი დონეციდან) კავკასიის მთისწინეთამდე მისაღწევად ათრაქას ურდომ გრძელი გზა – 750 კმ გაიარა.[64] ამას მოჰყვა კონფლიქტი ოსებთან და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ბინადარ მოსახლეობასთან, შემდეგ კი – რთული გადასვლა კავკასიონზე და საქართველოში დაბინავება, რომლის დროსაც მომთაბარეთა მფლობელობაში მყოფი, მათი მეურნეობისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი საქონ-

[60] ეს მეტად საყურადღებო გარემოება ი. ბაქრაძემაც შეამჩნია, თუმცა ამის ახსნა ადგილობრივი, ქართული ხმლის ევოლუციის პროცესით სცადა. ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 69-70.

[61] VIII-XIV საუკუნეებში მოხრილი ხმლის განვითარება მიმდინარეობს პირის სიმრუდის გადიდების გზით. С. А. Плетнёва. Древности чёрных клобуков. М. 1973, გვ. 18.

[62] А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв., გვ. 67. კირპიჩნიკოვი აღნიშნავს, რომ XIII საუკუნეში მახვილის გავლენით ხმალი უფრო მასიური გახდა. А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв., გვ. 67.

[63] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 337.

[64] М. П. Мургулия, В. П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII - XIII веках. М. 1998, გვ. 72.

ლის გადმოყვანა სრულად ვერ მოხერხდებოდა. ასე რომ, საჭურვლისა და ცხენების დანაკლისს ყივჩაღები უდავოდ განიცდიდნენ. მემატიანე შენიშნავს, რომ იმ დროისათვის ყივჩაღნი გამოირჩეოდნენ „უპოვარებითა“.[65] ესეც რომ არა, ბუნებრივია, რომ საქართველოში, სადაც არმიის ბირთვს ფეოდალური მძიმედ შეჭურვილი ცხენოსნები წარმოადგენდნენ, მომთაბარე ყივჩაღთა შეიარაღება არასაკმარისად „მძიმე“ მოჩვენებოდათ და შესაბამისი ზომები მიეღოთ. ყივჩაღთა ძირითადი მასა მსუბუქ ცხენოსან მოისრად დარჩებოდა და მათ შესაიარაღებლად ხმალი და მშვილდი სრულიად საკმარისი იქნებოდა. ამავე დროს, განსაკუთრებული ძალისხმევა იქნებოდა მიმართული მონასპის შემადგენლობაში შემავალ ყივჩაღთა აღსაჭურვად, რომელთა სრულფასოვნად შეესაიარაღებლად შეტევითი და თავდაცვითი აღჭურვილობაც იყო საჭირო.

ვანის ხმალი უნდა განვიხილოთ, როგორც ქართველი მჭედლის ნაკეთობა, სახელმწიფო არსენალის პროდუქტი, რომელიც მომთაბარე ყივჩაღის შეკვეთით შესრულდა და მის მოთხოვნათა (სწრაფი და მანევრული ბრძოლის) დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული. რეალურად, ის მოხრილი ხმლისა და მახვილის ჰიბრიდია, ადრეული ხმლისათვის დამახასიათებელი მცირედ მოხრილი პირით და მახვილისათვის დამახასიათებელი ტარით. ხმლის პირის მცირე მოხრილობაც ადვილი ასახსნელია: შედარებით მცირედ მოხრილი პირის გამოჭედვა გაცილებით ადვილი იქნებოდა ქართველი მჭედლისათვის, რომელიც მანამდე მხოლოდ სწორი პირების კეთებაში იქნებოდა გაწაფული.

როგორც აღინიშნა, ვანის ხმალს სწორი, პირდაპირი ტარი აქვს და იგი ხევსურეთის მახვილის ტარის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს. მათი სიგრძეც ერთნაირია და 14 სმ-ის ფარგლებშია. შეინიშნება ტექნოლოგიური პროცესის იგივეობაც: ორივე იარაღს ტარი ერთნაირად აქვს დაზიანებული და იგი გატეხილია სამაგრების ნახვრეტების გასწვრივ, რომელიც ტარის შედარებით სუსტ წერტილს წარმოადგენს. ვანის ხმალი ისეთივე ტარით, როგორიც ადრეულ მახვილს აქვს, ნათლად გვიჩვენებს იმ გარდამავალ ეტაპს, როდესაც საქართველოში მოხრილი ხმალი იწყებს დამკვიდრებას. ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია ორპირა მახვილის შემსუბუქების ტენდენცია და მისი

[65] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 336. ამ ვითარებაზე უთითებენ პ. გოლდენიც და გ. ანჩაბაძეც. P.B. Golden. Cumanica I: The Qipčaqs in Georgia. Archivum Eurasiae Medii Aevi. IV. Wiesbaden. 1984, გვ. 71; Г. З. Анчабадзе. Источниковедческие проблемы военной истории Грузии. Тб. 1990, გვ. 108-109.

ჩანაცვლება ცალპირა იარაღით.[66] პროცესი შედარებით ახალი დაწყებულია, რაზეც მიუთითებს ტრადიციული, სწორი და მახვილისათვის დამახასიათებელი ტარის გამოყენება იარაღის კონსტრუქციაში.[67]

მოხრილი ხმლის დამკვიდრების გარდამავალ ეტაპზე მეტყველებს კიდევ ერთი არტეფაქტი, რომელსაც ჩვეულებრივ და, ჩემი აზრით, შეცდომით, X-XI საუკუნეებით ათარიღებენ.[68] გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის სამაროვნიდან წამოღებულ საფლავის ქვაზე გამოსახულია მშვილდი, კაპარჭი და ხმალი[69] (სურ. 10). გოხნარის საფლავის ქვის X-XI საუკუნეებით დათარიღება გამორიცხულია, რადგანაც მათზე აღბეჭდილია ცილინდრული მილძაბრა კაპარჭი, რომელიც საქართველოში მონღოლებმა შემოიტანეს.[70] ვერ გავიზიარებთ ი. ბაქრაძის ლოგიკას, რომელიც იმის საფუძველზე, რომ XV საუკუნის წმ. გიორგის ხატებზე (ჟიბიანის, გულეკარის და სხვ.) გვხვდება ახალი ტიპის (ბრტყელი) კაპარჭი, ცილიდრული კაპარჭის საქართველოში არსებობას XIV საუკუნეზე უფრო ადრე და X-XI საუკუნეებშიც კი ფიქრობს.[71]

---

[66] პირის დავიწროების (4 სმ. მახვილის 4,8 სმ-თან შედარებით) ხარჯზე ვანის ხმალი უფრო დაგრძელებულია (110 სმ მახვილის 102 სმ-თან შედარებით).

[67] მახვილის ტარი ყოველთვის პირდაპირია, მოხრილი ხმლისთვის კი დამახასიათებელია ტარის იარაღის პირისკენ დახრილობა.

[68] ლ. ჭრელაშვილი. ქართული იარაღის ისტორიიდან, გვ. 130; ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 72-73.

[69] რ. კეკელიძე. საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან. ძეგლის მეგობარი. 34. 1974, გვ. 30-31. რ. კეკელიძე ქვის მხოლოდ ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს ადგენს და მას XV საუკუნეზე ადრინდელად მიიჩნევს. რ. კეკელიძე. საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან, გვ. 32.

[70] ამ ფორმის კაპარჭის საქართველოში გავრცელებისა და მისი მონღოლებისაგან ნასესხობის შესახებ, იხ. მ. წურწუმია. სინას მთის წმინდა მხედრები. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 2013, გვ. 338-343.

[71] ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 73-74. მართებული არ არის ი. ბაქრაძის მიერ იმის მტკიცებაც, რომ თითქოს, გ. ჩუბინაშვილი XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს წმ. გიორგის ხატების ერთ ჯგუფს (ჟიბიანის, გულეკარის და სხვ.) ახალი ფორმის კაპარჭით, რითაც ხატები ერთი საუკუნით ხელოვნურად „ძველდება“. ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 74. სინამდვილეში, გ. ჩუბინაშვილი გარკვევით აკუთვნებს ამ ხატებს XV საუკუნეს, რასაც ადვილად ამოვიკითხავთ მისი ნაშრომის ბოლო თავში, სადაც ქართული ოქრომჭედლობის განვითარება საუკუნეების მიხედვითაა მიმოხილული, განსაკუთრებით კი იმ მონაკვეთში, რომელიც XV საუკუნეს ეძღვნება. Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. 626-630.

საფლავის ქვაზე გამოსახული ხმალი მცირედ განხრილია და მისი ვადის ბოლოები ძირსდაშვებულია, აქვს ბურთულისმაგვარი ქუდი. თავისი ტარით იგი ვანში ნაპოვნი ხმლის ანალოგიურია. საფლავის ქვის მშვილდი მონღოლური ტიპისაა და ბოლოში გაფართოებული ცილინდრული კაპარჭიც მონღოლთა გავლენითაა დამკვიდრებული ქართველთა შეიარაღებაში, რომლებიც ასეთ კაპარჭს XIV საუკუნეშიც ატარებდნენ, როგორც ეს ჩანს H-1665 დავითნის მინიატურებზე.[72] საყურადღებოა, რომ ამავე მინიატურებზე ხმლებს უკვე სხვანაირი, მოხრილისათვის დამახასიათებელი ვადები გააჩნიათ. ასე რომ, გოხნარის საფლავის ქვაზე გამოსახული აღჭურვილობა H-1665 დავითნის მინიატურებზე ადრინდელია, XIII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება და მასზე გარდამავალი ეტაპის ხმალია გამოსახული, მახვილისათვის დამახასიათებელი ტარით.

დასასრულ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ორი ქართული ხმლის დათარიღების საკითხი შეგვიძლია გადაწყვეტილად მივიჩნიოთ: ხევსურეთის მახვილი XI-XII საუკუნების მიჯნის ტიპური ნიმუშია, ვანის ხმალი კი 1118-20 წლებში უნდა იყოს დამზადებული. ამავე დროს, ქართული ხმლების შედარება იკონოგრაფიულ გამოსახულებებთან კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ იკონოგრაფიული მასალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის განსაკუთრებული კონსერვატიზმით ხასიათდება, მთლიანობაში სანდოა.

[72] მ. წურწუმია. სინას მთის წმინდა მხედრები, გვ. 340-341, სურ. 12, 15, 18, 20.

ილუსტრაციები



სურ. 1 – მახვილი ხევსურეთიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი: ა) მახვილი; ბ) წინა მხარე; გ) უკანა მხარე; დ) რეკონსტრუქცია.
ავტორის ფოტო და რეკონსტრუქცია.



სურ. 2 – კომბინირებული ლითონის-და-ხის ტარიანი მახვილის დეტალები: ა) მახვილი გარაბონციდან; ბ) მახვილის ქუდები აბრიტუსიდან და გ) დრასტარიდან. ვ. იოტოვის მიხედვით.

სურ. 3 – მახვილი ბოლოებშემსხვილებული, დახრილი ვადით და მასიური ქუდით ნიშაპურის თასზე, ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმი.

სურ. 4 – მახვილი დახრილი ვადით, ქუდით და ლანგეტით: ა) კოპტური სახარების 79r მინიატურა, დ. ნიკოლის მიხედვით; ბ) არბავილის ტრიპტიქი; გ) ბორედეილის ტრიპტიქი; დ) „ჯამი ათ-თავარიხის“ 72a და ე) 292a მინიატურები.



სურ. 5 – X-XII სს. ქართული ხმლების ტიპოლოგიური სქემა: 1) მახვილი სწორი ვადით, X საუკუნე; 2) მახვილი დაშვებული ვადით, XI საუკუნის დასაწყისი; 3) მახვილი დაშვებული ვადით, ლანგეტით და მცირე ზომის ქუდით, XI საუკუნის მიწურული – XII საუკუნის პირველი ნახევარი.



სურ. 6 – მახვილი ლანგეტით, სწორი ვადით და მომრგვალებული ბოლოებით: ა) მრავალძალის წმ. გიორგის მახვილი; ბ) ფარახეთის წმ. გიორგის მახვილი; გ) ჩუკულის წმ. თევდორეს მახვილი.



სურ. 7 – მახვილი ლანგეტით და დახრილი ვადით: ა) წმ. გიორგის მახვილი ნიკორწმინდის რელიეფზე; ბ) წმ. ევსტათეს მახვილი ატენის სიონში.

სურ. 8 – მახვილი ლანგეტით, ბოლოებშემსხვილებული დახრილი ვადით და მომცრო ქურდით: ა) მიქაელ მთავარანგელოზის მახვილი იფრარში; ბ) მახვილი წმ. ივლიტას თავისკვეთის სცენიდან; გ) ნაკიფარის წმ. თევდორეს მახვილი; დ) მაცხვარიშის წმ. გიორგის მახვილი.



სურ. 9 – ვანის ხმალი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი: ა) ხმალი; ბ) წინა მხარე; გ) უკანა მხარე.
ავტორის ფოტო.

სურ. 10 – გოხნარის საფლავის ქვა. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. ფოტო და კომპიუტერული ნახაზი.

Mamuka Tsurtsumia

MEDIEVAL SWORD AND SABRE FROM THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM

Summary

There are two weapons, which belong to the High Middle Ages, preserved in the Georgian National Museum. One of them is a double-edged sword from Khevsureti whereas the other, a single-edged sabre, was found in the Vani burial site.

The article presents a complete description and technical characteristics of both weapons and discusses their blade, hilt, pommel and quillons separately. The stages of the evolution of the Georgian sword are explored in comparison to the surrounding Islamic and Byzantine military technologies and the typology of the 10th-12th centuries Georgian sword are also stated.

Finally, it must be argued that the issue of dating of the two Georgian medieval edged weapons discussed above can be considered to have been solved: the sword from Khevsureti is a typical example of the swords on the verge of the 11th-12th centuries whereas the Vani sabre must have been made in 1180-20. The comparison of these Georgian weapons to the iconographic data confirms once again that the iconographic images, excluding the cases when they are particularly conservative, are, on the whole, reliable.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

მაია შაორშაძე

XIV-XVI საუკუნეების ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

XIII საუკუნიდან მოყოლებული, მონღოლთა ბატონობის მძიმე შედეგები საქართველოს თანდათანობით ასუსტებდა და რომ არა მეფე გიორგი V ბრწყინვალის (1299, 1318-1346 წწ.) დამსახურება, ქვეყანა ფეხზე კიდევ დიდი ხანი ვერ დადგებოდა. XIV-XVI საუკუნეები საქართველოს ისტორიაში უმძიმეს პერიოდად ითვლება და თავისი სისასტიკით გამოირჩევა. თემურლენგის გამუდმებული შემოსევები, თარეში და მოსახლეობის აწიოკება, ქართული სახელმწიფოს არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. როგორც ცნობილია, 8 შემოსევის შედეგად, მან საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოაოხრა და არა მარტო მოსახლეობა, ქალაქები და სოფლები, არამედ მასთან ერთად, ჩვენი ეკლესია-მონასტრები და ძვირფასი სულიერი საგანძურიც გაანადგურა. მართალია, 1405 წელს იგი გარდაიცვალა, მაგრამ საქართველოს ერთ მტერს მეორე ცვლიდა და ქვეყნის გაძლიერებას დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდებოდა. ეს ეტყობა კიდეც ამ დროის საისტორიო მასალების სიმცირესაც და იმას, რომ მწიგნობრული თუ საეკლესიო მოღვაწეობა ფრიად გართულებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. გაუქმდა არაერთი საეპისკოპოსო ცენტრი და ამიტომ ამ დროის თითოეული წყაროს მონაცემს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი ჩვენთვის საინტერესო ცნობა, რომელიც საიტორიო წყაროებში მოიპოვება და ქართლის მთავარეპისკოპოსის ვინაობას გვაუწყებს, არის 1344 წელს შედგენილი შიო-მღვიმის სიგელი (ქორონიკონი ლბ, აპრილის ე), რომელსაც გასცემს მთავარმამა, მემღვიმე იოანე, დეკანოზი დავით და სხვები. აქ მოწმეებში დასახელებულია ქართლის მთავარეპისკოპოსი მელ-

ქისედეკ. „ქ. მე ქ-ი (ქართლისა) მთავარებისკ(ო)პ(ო)ზი მელქისედეკ მოწამე ვარ“.[1]

სიგელს ასევე ამტკიცებენ: საწოლის მწიგნობარი და მთავარმამა, მემღვიმე იოანე, მცხეთის მოძღვარი შაბერისძე (შაბურიძე) აბრამ, მღვიმის დეკანოზი დავით, პალატის მოძღვარი გერმანოზ და იობი.

წმ. მღ. პ. კარბელაშვილის აზრით, სწორედ ეს მელქისედეკი დაესწრო მეფე გიორგი ბრწყინვალის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებას 1344 წელს.[2] ცხადია, რომ მონღოლთა ბატონობამ გავლენა ეკლესიაზეც მოახდინა და აქაც საჭირო იყო წესრიგის დამყარება. მეფე გიორგი V-ის დროს კათალიკოსი იყო ექვთიმე III (1310-იანი წლებიდან 40-იანი წლების ბოლომდე) და საეკლესიო კრება სწორედ მის დროს უნდა მოეწვიათ. კათალიკოსი მოხსენიებულია „ძეგლის დადებაში“ და, სავარაუდოდ, იგი ერთ-ერთი მონაწილეა ამ ძეგლის შექმნაში. კათალიკოს ექვთიმეს ბიძა იყო ბასილ მონაზონი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სულიერი მოღვაწეობით და განსწავლულობით. ის მთაწმინდიდან ჩამოვიდა და ამხილებდა მეფე დემეტრე II-ს უკანონო ქორწინებებისა და რჯულის დარღვევისათვის. რაც შეეხება ქართლის მთავარეპისკოპოს მელქისედეკს, ჩვენი აზრით, იგი სწორედ კათალიკოს ექვთიმეს დროს უნდა მღვდელმთავრობდეს დაახლოებით XIV საუკუნის 30-40-იან წლებში.

შემდეგი ქართლის მთავარეპისკოპოსი ჩანს XV საუკუნის დასაწყისში. 1401 წელს, მეფე გიორგი VII-ის (1393-1407 წწ.) მიერ ფალავანდ ფალავანდიშვილისათვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნს ამტკიცებს გიორგი მთავარეპისკოპოსი.[3]

1424 წელს გასცემენ სიგელს მეფე ალექსანდრე I დიდი და მისი ძეები – ვახტანგ და დიმიტრი, სადაც ნათქვამია: „შემოგწირე მცხეთას და ქ(ათალი)კ(ო)ზს ელიოზს ატენის ჭევს სიონსა უკანით ზუარი...“.

თ. ჟორდანიას აზრით, რადგან 1419 წლიდან კათალიკოსად იჯდა

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, (1213 წ-დან 1700 წ-მდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II, ტფ. 1897, გვ. 181.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ფონდი 1461. საქმე 17.

[3] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 647. საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). 1450-11/103.

მიქელ, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ან არეულია ქორონიკონი და ან ელიოზ კათალიკოსობიდან გადამდგარი 1419 წელს, ცოცხალი ყოფილა 1424 წელსაც.[4] საქმე იმაშია, რომ ბერი ეგნატაშვილი და „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტიც, მიქაელს კათალიკოსად ელიოზის შემდეგ მოიხსენიებს. 1419 წლის მეფე ალექსანდრეს მცხეთისადმი შეწირულების სიგელში იგი მოხსენიებულია **კათალიკოს-მთავარეპისკოპოსად** კათალიკოს ელიოზთან ერთად: „...აჰა თქუენ წმიდანო კათალიკოზნო ელიოზ და აწ მის მიერ შეყუარებულო, ვითარცა პავლე ტიმოთეს მიერ, მკურნალო და ნუგეშინის-მცემელო სულისა ჩემისაო კათალიკოზო მთავარეფისკოპოზო მიქაელ...“.[5]

ისმის კითხვა, XV საუკუნეში მოღვაწე ეს მიქაელი ხომ არ არის ქართლის მთავარეპისკოპოსი კათალიკოსობამდე? რადგან იგი 1419 წლის აღნიშნულ სიგელში მოხსენიებულია კათალიკოს-მთავარეპისკოპოსად კათალიკოს ელიოზთან ერთად, სავარაუდოა, რომ ის კათალიკოსობამდე ქართლის მთავარეპისკოპოსია და უკვე გადაწყვეტილი ჩანს მისი კათალიკოსად კურთხევა. მიქელი (მიქაელი) კათალიკოსია 1419-1426 წლებში, ელიოზის შემდეგ (ელიოზ გობირახისძე – XIV ს. 90-იანი წლების ბოლოდან [1399] - 1419 წ-მდე). 1424 წლის ზემოთ აღნიშნულ სიგელში, კათალიკოს ელიოზის მოხსენიება მაინც გაურკვეველი ჩანს.

საგულისხმოა ისიც, რომ 1424 წლის სხვა საბუთში მეფე ალექსანდრე I-ის ძე დავითი (შემდგომში კათალიკოსი დავით II – 1425/26-1428 წწ.) მოიხსენიება მონაზვნად და „განმზადებულად“ „აღსლვად ხარისხსა წმიდათა მღდელთ მოძღუართასა.“ ასევე მოიხსენიება იგი 1424 წლის გარეჯისადმი შეწირულობის წიგნშიც. მოვიყვანთ ამ სიგელის შინაარსს:

„...ხახულისა და ვარძიისა ღ(ვ)თისმშობელო... ჩვენ, განმაერთებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისამან ორთავე სამეფოთა ტახტისა მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან თამარ და ძეთა ჩუენთა და ნებებითა თქუენითა წყალობა-აურაცხელითა ღ(მრ)თისა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა პატრიარქად განმზადებულმან მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გ(იორ)გი...შევსწირეთ (სამადლობელად) გარესჯისა ორივე უდაბნო და ს(რულია)დ გარეჯისა სახლი უნაკლულოდ (თავისის მამულებითა და შესავალ-გამოსავლითა) მცხეთას და თქუენ, წ(მიდ)ასა ქ(ათა-

[4] ქრონიკები. ტ. II, გვ. 228.

[5] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2000, გვ. 68.

ლი)კ(ო)ზსა მიქაელს და თქუენ მიერ აღზრდილსა და კ(ათალიკო)ზად განმ-ზადებულსა და ჩუენ მიერ სასურველ საწადელსა ძესა ჩუენსა მონაზონსა დავითს, ამა გარეჯისა სახლისა სამუფქოდ დაგუიდევით და მოგუეცით თქუენ კ(ათალიკო)ზმან მიქაელ ატენს მონასტერი სიონი (მისის მამულებითა და გლეხებითა და ხერკის-ჭევს გლეხნი). დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეთორმეტესა ქკსა ას და თორმეტსა, იანვარსა ვ, ჭელითა სეფის მწიგნობრისა დემეტრე მარკოზისშვილისათა."[6]

დოკუმენტის მიხედვით, მოქმედი პატრიარქი ამ დროს, ჯერ კიდევ, მიქაელია, რომელიც, როგორც ჩანს, დავითის აღმზრდელიც იყო და რომელსაც 1420 წლის მცხეთის სვეტიცხოვლისადმი მიცემულ შეწირულობის განახლების წიგნში მეფე ალექსანდრე თხოვს მისი ძის ხელდასხმას. 1426 წელს დავით II უკვე კათალიკოსია.

XV საუკუნის კიდევ ერთი ქართლის მთავარეპისკოპოსის ვინაობის შესახებ ცნობილი ხდება სიგელით „წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა ოქროპირ მაღალაშვილისადმი" [1472 წ.], ქორონიკონი-რ[ი] (?), სადაც ბაგრატ მეფისა და ქართლის კათალიკოს დავით V-ის (1466-1479 წწ.) დროს, მოიხსენიება ქართლის მთავარეპისკოპოსი ი[ოან]ე, რომელიც სიგელის დამწერია.[7]

მეფე ბაგრატისა და მცხეთისშვილთა ნებართვით, ქართლის კათალიკოსი დავითი მცხეთისავე ყმებს მაღალაშვილ ოქროპირს, მის შვილებს და ძმებს შემდეგ წყალობას აძლევს: „...შეგიწყალეთ და მოგეცით შეძულებით მცხეთისა მკვიდრი და მიუდევარი კავთის-ჭევს ივანიასძისეული მამული და სამცხეთიშვილო წილი, რაც ერთს ძმათაგანსა მიხუდებოდეს სამამამთავრო, მითვე წესითა როგორც ძველთაგან ივანიას ძეთა და ქადაგსა დიმიტრის ქონებია ჩოჩეთსა, რაც ივანიასძისაგან ნასყიდი მამული და მიწანი ზერტი და ქადაგს დიმიტრის მიმზღრობით ქონდეს... და გორსა ფუშრუკაული დივნის ძე ბეთლემისა მიდგომითა სამართლიანითა სრულიად და უკლებად... ვინადგან სამკჯდროდ ქადაგს დიმიტრის ქონდა, იგი სრულიად უმკჯდრო იქმნა, ესრეთ რომელ არც არა მისი ნათესავი დარჩა და ვერავინ მოგესარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი...

[6] ქრონიკები. ტ. II, გვ. 228.

[7] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 218.

დაიწერა წიგნი ესე და სიგელი ქკ-ს რჲ, ჰელითა ფ(რიად) ცოდვილისა ქართლის მ(თავარეპის)კ(ოპო)ზ(ი)სა ი(ოან)ესითა“ (იოვანესითა). ხელ-ჩართულად: „კზი“...[8]

შემდეგი მთავარეპისკოპოსი, რომელიც წყაროებში ჩანს, ქართლის მეფე დავით X-სა (1505-1525 წწ.) და კახეთის მეფე ლევანის (1520-1574 წწ.) ბრძოლის ამბავს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ქართლის მეფე დავით X დიდი ხანი იმერეთის მეფე ალექსანდრე II-სა (1478, 1484-1510 წწ.) და კახეთის მეფე გიორგი II-ს (ავ გიორგის) (1511-1513 წწ.) ებრძოდა, რომლებიც საბოლოოდ დაამარცხა და 1513-1518 წლებში დროებით შეძლო ქართლ-კახეთის გაერთიანება. 1513 წელს კახეთის მეფე გიორგი II-ის დატყვევების შემდეგ, მისი შვილი ლევანი, დედასთან ერთად, ჯერ სახლთუხუცეს გარსევან ჩოლოყაშვილთან, ხოლო შემდეგ ოჩანის ციხეში იმალებოდა. 1518 წელს ლევანმა და მისმა მომხრეებმა შეძლეს კახეთში მეფობის აღდგენა და ლევანი ბოდბეში მეფედ აკურთხეს. დავით X-მ ორი წლის შემდეგ, 1520 წელს, გაილაშქრა ლევანის წინააღმდეგ, ალყა შემოარტყა მაღრანის ციხეს, სადაც ლევანი და დედამისი მომხრეებთან ერთად იყვნენ გამაგრებული, მაგრამ ამ დროს ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ და დავითი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა. იმავე წელს მაღაროსთან ბრძოლაში ლევანმა დაამარცხა დავით X და ეს უკანასკნელი ზავის დადებაზე დაითანხმა.

სწორედ, 1520 წლის მაღრანის ციხის ალყასა და აქ მიმდინარე პროცესების დროს ჩანს ქართლის მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელსაც არც ბერი ეგნატაშვილი და არც ვახუშტი არ ასახელებენ. პ. კარბელაშვილი მას გრიგოლს უწოდებს. დავით მეფის მიერ ამილახვართან ერთად მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ქართლის მთავარეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ლევანსა და დედამისს დაეხმარა და საიდუმლოდ აცნობა, რომ ოსმალთა შემოსევის გამო მეფე დავითი მალე ალყას მოხსნიდა და ამიტომ დანებება არ ეჩქარათ. მართლაც, მისმა მინიშნებამ დედა-შვილი გადაარჩინა. აი, რა არის მოთხრობილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში: „...მაშინ ფრიად შეჭირვებულ იყვნეს ციხესა შინა მყოფნი, და ვერ ძალ-ედვათ გამაგრება ციხისა მის. და რა ესმა საქმე ესე დედასა ლევანისასა მისლვა ამილახვარისა და მთავარ-ეპისკოპოზისა, და არღარა ჰქონდათ ღონე ციხის მი-

[8] ქრონიკები. ტ. II, გვ. 290-291; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 218.

ცემისაგან კიდე. რა შევიდა მთავარ-ეპისკოპოზი და ამილახვარი ხილვად დედისა ლევანისა, მაშინ აღდგა დედა იგი ლევანისა და მიეგება შემთხუევად მთავარ-ეპისკოპოზისა, და რა მივიდა, თქუა მთავარ-ეპისკოპოზმან იდუმალ: „მაგრა იყავით, რამეთუ ღამესა ამას უკუ-ვეყრებით ციხესა ამას და წარვალთ ქართლს.“ მაშინ წარვიდა დედა იგი ლევანისა სიხარულით, და აუწყა საქმე მეციხოვანთა მათ და განამტკიცნა იგი...“.[9]

თითქმის იგივეს აღწერს ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტშიც, სადაც ნათქვამია, რომ დავით მეფემ მოციქულებად ამილახვარი და მთავარეპისკოპოსი გაუგზავნა მაღრანის ციხეში მყოფ ლევანსა და დედამისს, რათა ციხე ჩაებარებინათ. შიდა ქართლს ამ დროს ოსმალები შემოესივნენ, მაგრამ დავით მეფე ამ ამბავს მალავდა. როგორც ჩანს, შეჭირვებულ დედა-შვილს მთავარეპისკოპოსმა ეს ამბავი ჩუმად ამცნო და ისინიც ციხის გადაცემაზე აღარ დათანხმდნენ.[10]

ვახუშტი ბატონიშვილი პირდაპირობით აფასებს ამ ამბავს და ამბობს: „არამედ ზაკვითა მთავარეპისკოპოზისათა განმაგრდა დედა ლევანისა ციხესა შინა და უკუნიქცა დავით მეფე ქართლს ოსმალთა ზედა.“[11] მაშინ გამოვიდა ლევანი ციხიდან, ფარულად გაუგზავნა კაცი მამია გურიელს და მისი ასულის, თინათინის ცოლობა ითხოვა. იმ დროს ათაბაგი და გურიელი მეგობრობდნენ და ლევანს მამიასთან დამოყვრება ისედაც აწყობდა. გურიელმა თავისი ასული ლევანს მიათხოვა და მისი მეფობის დროს კახეთში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. ლევან მეფე ცნობილია აგრეთვე ეკლესია-მონასტრების დიდი შეწევნითა და აღმშენებლობით.

როგორც ჩანს, ქართლის მთავარეპისკოპოსი, რომელსაც პ. კარბელაშვილი გრიგოლს უწოდებს, შინაგანად ლევანის კახეთში გამეფებას ემხრობოდა და ამ საქმეში მისი ხელის შეწყობა ნათლად ვლინდება.

1527 წ. ახლო დროის სიგელად მიიჩნევს თ. ჟორდანია მცხეთის

[9] ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 491.

[10] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ, გვ. 352.

[11] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 570.

ნუსხას, სადაც მოიხსენიება ქართლის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი. „ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგაკსენეთ ჩ(უე)ნ, ბეგამან, სარგის, ნოდარ და ამილღა-ბარ თქ(უე)ნ... ქ(ართლის) კ(ათალიკო)ზს ბასილის, ასრე და ამა პირსა ზ(ე-დ)ა, რომე მცხეთის საყდრის მამულსა სარკის მონასტრისა და მაჯანიძისა ბადრიასი და ბოთვერას (რაც) სამამულო საქმე იყოს და აგრევე ხუცდურეთს რაც მცხეთისა საყდრისა მამული იყოს, ნასყიდი, თუ უსყიდელი, ყუცლასი საქმე მართლითა სამართლითა გარდაგიწყჳდოთ და ქორაზნას ვენაკითა სიგ-ლითა რაც გქონებოდეს, ისიცა სიმართლითა მოგაკსენოთ. ამისა გათავებისა თავდებად ღ(მერ)თი და მისნი წ(მინ)დ(ა)ნი და ქართლისა მთავარ-ებისკოპო-სი პატრონი თევდოსი მოგჳკსენებია.“[12] სიგელი, მართლაც, დაწერილი ჩანს 1520-1528 წლებს შორის.

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი ბასილ VI 1517-28; 1529-31 წლებში მოღვაწეობდა და ცნობილია იმით, რომ მის დროს სამცხის ეკ-ლესიური გამოყოფა მცხეთის საკათალიკოსოსაგან ვერ განახორციელეს. ასე-ვე დიდია მისი წვლილი საკათალიკოსო საყდრის ყმა-მამულის აღდგენა-გა-ნახლების საქმეში, რაზეც ზემოთ მოყვანილი სიგელიც მიუთითებს. თეოდო-სიც სწორედ მისი დროის ქართლის მთავარეპისკოპოსია.

შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსს ასახელებს 1442 წლის ანდერძი და სააღაპე წიგნი მეფე ალექსანდრე I-ისა მიცემული ქვათახევისადმი (Ad-504). ცნობილია, რომ მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1442 წწ.) გამოირ-ჩეოდა ეკლესია-მონასტრების დიდი აღმშენებლობით და მან ბევრი მონასტერი განადგურებას გადაარჩინა. ამის მანიშნებელია აღნიშნული სიგელიც, რომე-ლიც, როგორც ჩანს, მას თავისი მეფობის დასასრულს გაუცია.

„...უკეთუ ვინმე ჴელჰყოს და იკადროს ჩუენ მიერ მრავლითა ჭირითა და რუდუნებითა აღშენებულისა ამის დიდებულისა საყდართასა (ტაძრისა ?) გამოკუებად ანუ სოფელთა, ანუ აგარაკთა, ვენაკთა, ოქროსა, ანუ ვეცხლისა, ანუ რვალისა, გინა რკინასა, ანუ საღთოთა სამსახურებელთა, ესე იგი არს: ანუ წმიდათა [ხა]ტთა, გინა საღთოთა წიგნთა, ანუ სამღდელოთა სამოსელთა ერ[თჯერ] შეწირულთა წ(მიდ)ისა ამის მონასტრის გინა მეფეთა, გინა დედო-ფალთა, ჩუენთა ნათესავთა, გინა სხუათა ნათესავთა... დიდთა, გინა მცირეთა-გან... კრულმცა არს... დაიწერა ქ(ორინი)კ(ონ)ს რლ.“ (ასომთავრულად).

ბოლოს სიგელს ამტკიცებენ: მეფე ალექსანდრე, დედოფალი თამარ,

[12] ქრონიკები. ტ. II, გვ. 371. საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). 1449-1618.

ვახტანგ, დიმიტრი, დავით, გიორგი, რამაზ.[13]

XVI საუკუნეში სიგელს ამტკიცებს მალაქია კათალიკოსი (დაახლ. 1532-1534 წწ.), რომელიც მანამდე ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო: ქ. კანონითა ვამტკიცებ მალაქია კ(ათალიკო)ზი (ხვეულად გამოსახულია მაკურთხეველი ხელი).

შემდეგ: „ქ. მე, კ(ათალიკო)ზი ქართლისა კ-კზ (ნიკოლოზ ?) კანონითა ვამტკიცებ." მისი დროის მთავარეპისკოპოსი უნდა იყოს ანტონი. „ქ. მკ-ზი (მთავარეპისკოპოზი – მ. შ.) ქართლისა ანტონი კანონითა ვამტკიცებ."

შემდეგ: „ქ. მკ-ზი დომენტი"... (ხვეულად, ფრიად ხელოვნურად გამოყვანილია მაკურთხეველი ხელი ჯვარმპყრობელი).

თ. ჟორდანიას აზრით, ეს მღვდელმთავარნი, ყველანი ცხოვრობდნენ XVI ს-ში და ამის გამო ცხადი ხდება, რომ მათი წარწერილობა (მინაწერები) არის შემდეგი დროისა: 1550-1580 წლებს შუა.[14]

მალაქია 1511 წლით დათარიღებულ კახეთის მეფე ავ-გიორგის (1511-1513 წწ.) დიონოსი კათალიკოსისადმი გაცემულ სიგელში მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება: „ჩუენთა ცოდვათა სიმრავლითა და სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმესა შევესწარ. თქუენ პატრონი ქკ-ზი დიონოსი და მთავარებისკოპოსი მალაქია და პატრონი ამბა ალავერდელ ი-ე, რჯულისა წესითა გამოგუენახენით" – აღნიშნავს კახთა მეფე. ასევე 1527-32 წლებით დათარიღებულ სიგელში კახთა მეფე ლევანი (1520-1574 წწ.) მცხეთის საყდრის მამულებთან დაკავშირებით, მალაქიას, როგორც მთავარეპისკოპოსს, მიმართავს: „ჩუენ მაგიერად პატრონსა ქართლისა მ-კზსა მალაქიას..." ამდენად, მკვლევართა აზრით, 1511-1532 წლებში, ვიდრე კათალიკოსად იკურთხებოდა, მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსია.[15]

მალაქიასა და თეოდოსი ქართლის მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობის თარიღები ამ კათედრაზე ერთმანეთს კვეთს და ემთხვევა, რადგან თეოდოსი კათალიკოს ბასილის დროინდელი მთავარეპისკოპოსია (ბასილ VI 1517-28; 1529-31წწ.). როგორც ჩანს, გარკვეულ წლებში თეოდოსი მალაქიას ადგილს იკავებდა.

თუ 1442 წლის ალექსანდრე მეფის სიგელის XVI საუკუნის დამტკიცებების მიხედვით, კათალიკოს მალაქიას შემდგომ კათალიკოს ნიკოლოზის

[13] ქრონიკები. ტ. II, გვ. 251.
[14] ქრონიკები. ტ. II, გვ. 251-252.
[15] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 91.

ხელმოწერას სარწმუნოდ ჩავთვლით, აქ შესაძლოა ვიგულისხმოთ, XVI საუკუნეში მოღვაწე ცნობილი კათალიკოსები ნიკოლოზ VII (ბარათაშვილი) (1561-1584 წწ.), ან ნიკოლოზ VIII (ბაგრატიონი) (1584-1589 წწ.). ხოლო კათალიკოსი ნიკოლოზ VI, რომლის კათალიკოსობის წლებად ვარაუდობენ დაახლოებით 1542-47 წლებს, თითქმის უცნობია საქართველოს ისტორიაში. რადგან კათალიკოს ნიკოლოზის დროს დამამტკიცებლებში არის ქართლის მთავარეპისკოპოსი ანტონი, ჩვენი აზრით, სავარაუდოდ, ის ნიკოლოზ VII-ის თანამედროვედ უნდა მივიჩნიოთ, ანუ 1561-1584 წლებს შორის, რადგან XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში ქართლის მთავარეპისკოპოსად თეოდორე ჩანს.

რაც შეეხება სიგელში ნახსენებ მთავარეპისკოპოს დომენტის, აქ საუბარი უნდა იყოს კათალიკოს დომენტი III ბაგრატიონზე (1660-1675 წწ.), რომელიც მანამდე, XVII საუკუნის 40-50-იან წლებში, ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას განაგებდა. შესაბამისად, ჩვენ, ზემოთ აღნიშნული მისი მინაწერიც, XVII საუკუნის გვგონია და არა XVI საუკუნისა. მართალია, ცნობილია, რომ დაახლოებით 1595-1610 წლებშიც მოღვაწეობდა ქართლის კათალიკოსი დომენტი II, მაგრამ მისი ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე ყოფნის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, განსხვავებით დომენტი III ბაგრატიონისა. ქართლის მთავარეპისკოპოსად დომენტი III-ს სხვა წყაროებიც იხსენიებენ.

პ. კარბელაშვილი XVI საუკუნეში, კერძოდ, 1534-1583 წლებში ასახელებს კიდევ ერთ ქართლის მთავარეპისკოპოს გიორგის, მაგრამ წყაროს გარეშე.[16] მართლაც, გიორგი მთავარეპისკოპოსმა, ლუარსაბ მეფესთან ერთად გაარიგა კათალიკოსსა და წილკნელს შორის დავა მუხრანულ საზღვრებზე.[17] ლუარსაბ I-ის მეფობის მიხედვით, ეს სიგელი, შესაძლოა, დათარიღდეს 1527-1556 წლებით. თარიღი უფრო რომ დავაზუსტოთ, სხვა ქართლის მთავარეპისკოპოსთა მოღვაწეობის წელთა გათვალისწინებით, გიორგი დაახლოებით XVI საუკუნის 40-50-იანი წლების მთავარეპისკოპოსად უნდა მივიჩნიოთ.

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის 20-იან წლებში პ. კარბელაშვილი ასახელებს ქართლის მთავარეპისკოპოს თეოდორეს (1595-1625

[16] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). 1461-17.

[17] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 648. საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). 1449-1591.

წლები). იგი წერს: „ესე მიაგება ქართლის მეფე გიორგიმ 1604 წ. რუსების ელჩებს (ტატიშჩევს) ანანურში. მაისის დამდეგს მოვიდნენ გორში, ინახულეს მეფე სახლობით, რომელიც შავებში იყო მგლოვიარე სვიმონ ალექსანდრეზედ. ესე თეოდორე მოსკოვშიც იყო ელჩად გიორგი მეფისა გოდუნოვთან 1621-1624 წწ.“[18]

აქ იგულისხმება ქართლის მეფე გიორგი X, სვიმონ I-ის ძე (1600-1606 წწ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართლისა და რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობას. მის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩები, საქართველოში შექმნილი გართულებული ვითარების გამო, 1605 წელს არაგვის ხეობიდან უკან დაბრუნდნენ. 1606 წელს გიორგი X მეჯვრისხევში ყოფნის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა. ერთი ცნობით, თაფლის მირთმევის დროს, მას ფუტკარმა უკბინა, პირი გაუსივდა და გარდაიცვალა, ხოლო მეორე ვერსიით, იგი იმ დროს საქართველოში მყოფმა შაჰ-აბას I-მა (1587-1629 წწ.) მოაწამვლინა.

როგორც ვხედავთ, XIV-XVI საუკუნეების ქართლის მთავარეპისკოპოსთა შესახებ საისტორიო წყაროები მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი და მათი ქრონოლოგიური რიგის სრულად აღდგენა ვერ ხერხდება, მაგრამ იმ ფონზე, როცა არათუ საეკლესიო ისტორიის, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკური ვითარების ამსახველი მასალებიც კი მეტად მწირია, ის, რაც ამ დროისათვის მოგვეპოვება, ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

ამრიგად, XIV-XVI საუკუნეების ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი დაახლოებით ასეთია:

მელქისედეკ – 1344 წ. (დაახლოებით XIV ს. 30-40-იანი წწ.)

გიორგი – 1401 წ. (დაახლოებით XIV ს. ბოლო - XV ს. დასაწყისი)

მიქაელ – დაახლოებით XV ს. 10-იანი წწ. - 1419 წლამდე (მიქაელ VI კათალიკოსი 1419-1426 წწ.)

იოანე – 1472 წლის ახლოს (XV ს. 70-იანი წწ.)

[გრიგოლი] – 1520-25 წწ. (დაახლოებით XVI ს. 10-20-იანი წლები, მეფე დავით X-ის დროს, 1505-1525 წწ.)

თეოდოსი – დაახლოებით XVI ს. 20-იანი წლების ბოლო - 1527/28 წლის ახლოს.

[18] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). 1461-17.

მალაქია – დაახლოებით 1511-1532 წლები (ხანგამოშვებით-?) (კათალიკოსი მალაქია დაახლ. 1532-1534 წწ.).

გიორგი – დაახლოებით XVI ს. 40-50-იანი წწ. (მეფე ლუარსაბ I-ის დროს, 1527-1556 წლებს შორის)

ანტონი – დაახლოებით XVI ს. 60-70-იანი წწ. (ნიკოლოზ VII კათალიკოსის დროს, 1561-1584 წლებს შორის).

თეოდორე – დაახლოებით XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის 20-იან წლებში.

Maia Shaorshadze

CHRONOLOGY OF ARCHBISHOPS OF KARTLI IN THE 14TH-16TH CENTURIES

Summary

Historical sources about archbishops of Kartli in the 14th-16th centuries are indeed very rare, so their chronology cannot be restored completely. Still, ten archbishops of Kartli of that period were identified and many new and significant opinions were expressed about chronology and other details. The list is as follows:

Melqisedek (30s-40s of the 14th c.), Giorgi (end of the 14th c.-beginning of the 15th c.), Michael (10s of the 15th c.-1419), Ioane (70s of the 15th c.), Grigol (10s-20s of the 16th c.), Theodosi (about 1527/28), Malaqia (1511-1532, with intervals), Giorgi (40s-50s of the 16th c.), Anton (60s-70s of the 16th c.), Theodore (end of the 16th c.-20s of the 17th c.).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

როლანდ თოფჩიშვილი

ქართული სამოსის ისტორიიდან: *ჩოხა-ახალუხი*

სამოსი კაცობრიობის მიერ შექმნილი ნივთიერი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ადამიანთა ყოველდღიურ საზრუნავს, საკვების შემდეგ, ტანსაცმელი წარმოადენდა და წარმოადგენს.[1] საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის სხეულის ხელოვნურ საბურავს, გარდა უტილიტარული დანიშნულებისა (სხეულის გარეგანი მოქმედებისაგან დაცვა), რიტუალური და სიგნიფიკატური ფუნქციაც გააჩნია. სამოსით ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისამდე შეიძლებოდა ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან ეთნიკურად, გენდერულად და სოციალურად განგვესხვავებინა.[2] განსხვავებული იყო საზეიმო და სამგლოვიარო ტანსაცმელი (ორიგინალური სამოსი გააჩნდათ და გაჩნიათ სასულიერო პირებს). საერთოდ, სამოსის სახეს (თარგი), შესამოსელის სახეობას (მასალა) ბევრად განაპირობებდა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატი, ხალხთა სამეურნეო საქმიანობა.

ნაირგვარი, მდიდარი და ორიგინალური იყო ქართველი ხალხის სამოსელი. როგორც ცნობილია, *ივანე ჯავახიშვილი* საქართველოს სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს უწოდებდა. *გიორგი ჩიტაია* კი იგივეს ქართველი ხალხის სამოსის შესახებ ამბობდა. წინამდებარე სტატიაში მამაკაცის ჩვენში ცნობილ სამოსს – *ჩოხას/ჩახა-ახალუხს* შევეხებით.

ჩოხა ქართველთა ეროვნული სამოსია, რომელსაც ისტორიულ-ეთნოგ-

[1] Р. Фоссье. Люди средневековья. Пер. с франц. А. Ю. Карачинского, М. Ю. Некрасова, И. И. А. Эгипти) СПб. 2010, გვ. 74.

[2] შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპასა და, ბუნებრივია, საქართველოშიც სოციალური ფენები სამოსით გამოირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ის ნამდვილი უნიფორმა გახლდათ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აქსესუარებს – თავსაბურავს, ხელთათმანს, რომლებიც ზუსტად მიუთითებდა რანგზე.

რაფიული მხარეების მიხედვით გარკვეული სახესხვაობებიც გააჩნდა.[3]

ისიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მამაკაცის ქართულ სამოსს – *ჩოხა-ახალუხს*, ქართველთა გარდა, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებიც მოიხმარდნენ. ასე რომ, *ჩოხა* საერთო კავკასიური სამოსიცაა. უნდა ითქვას, რომ ეს საერთო კავკასიური სამოსი სამეცნიერო ლიტერატურაში *„ჩერქეზ-კის“* სახელითაა ცნობილი, რაც იმის ასოციაციას იწვევს, რომ ის თითქოს ადიღეელებმა შექმნეს და მათი მატერიალური კულტურის ეს ელემენტი კავ-კასიის სხვა ხალხებში, და, მათ შორის, ქართველებშიც ადიღეელთაგან გავრცელდა.

ისმის კითხვა: რომელი ეთნოსის მიერაა ის შექმნილი და საიდან გავრ-ცელდა? დაჟინებით აღვნიშნავთ: ***მამაკაცის სამოსი – ჩოხა-ახალუხი საქართველოში გაჩნდა და აქედან შეითვისეს ის კავკასიის სხვა ხალხებმა.***

სანამ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას მოვიხმობთ ჩვენი მოსაზ-რების დასადასტურებლად, მოკლედ უნდა დახასიათდეს ეს სამოსი, გაირკვეს თუ როგორი იყო ის ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის (XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ***თავდაპირველად ჩოხა-ახალუხს „სოცია-ლური მარკერის“ ფუნქცია გააჩნდა; ის ქართველი თავადაზნაურობის სამოსი იყო*** (იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შესახებაც, სა-დაც მას ასევე მოსახლეობის სოციალურად დაწინაურებული ნაწილი იცვამ-და). ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ *ჩოხა-ახალუხი* გლეხობაშიც პოპულარული იყო. ***გლეხთა წრეში ამ სამოსით სადღესასწაულოდ იმოსე-ბოდნენ.*** მაგალითად, სოფელ დიღომში XX საუკუნის დასაწყისში ორი *ჩოხა-ახალუხი* ჰქონიათ, რომელსაც ქორწილების დროს გაანათხოვრებდნენ და მას ნეფეს აცმევდნენ. ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს სხვადასხვა ის-ტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მაგალითად, ზემო იმერეთში (საჩხერის რაიონი), თავადაზნაურობასთან ერთად, ჩოხა-ახალუხით იმოსებოდა შეძლე-ბული გლეხობაც. ქორწილის დროს, თუ ნეფე-დეოფალს ეროვნული სამოსი არ ჰქონდა, მას აუცილებლად შეძლებულები დროებით დაუთმობდნენ, განსა-კუთრებით ეს ჩოხა-ახალუხის შესახებ ითქმის.

ქართული სამოსის შესახებ *ვახუშტი ბაგრატიონი* აღნიშნავს: „შემო-სილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად; თავს სკალტისაგან ანუ შა-

[3] აქვე ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველთა ეთნოგრაფიულმა ყოფამ უძვე-ლესი ქართული სამოსი – ტალავარი ხევსურეთმა შემოინახა.

ლისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვეული, აფროსანი; ***ტანს კაბა ლარისა, სკალტისა ანუ ჩოხისა მუკლთ ქუემომდე, მასზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბამბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგუნი, თუნიერ მისსა – არა;*** ფერეთა *პაიჭი* და *წულა* ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო *მაშია* სპარსული; უმცირესთა *ჩუსტი* და *ქალამანი.* ***კუალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი*** [არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხუაგუარ: თავს *ქუდი* გრძელი, რომლისა კუნჭული ზედა მცმელი და გრძელბეწოსანი, პერანგი/ბერული ტილოსი, ***საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე ულილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშუებული,*** *ტყავი* დიდი საქელ-ვიწრო და ფერეთა ზედა *მოგუ,* ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა]. ***ქალთაცა მსგავსად, გარნა სარტყელთა წუერნი ჩაშუებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი,*** და თუნიერ *პერანგისაგან* კიდე არარაი ჰფარავს, და *პერანგი* მჭურვალი, ხორცის მჩენელი, უპაიჭოთ *ნიფხავი* და ფერეზედ *წულა-მაშია*... ხოლო იმერთა მცირედ რაიმე განიყოფების".[4]

ამრიგად, ქართველები, მამაკაცებიც და ქალებიც, კაბით **(რა თქმა უნდა, განსხვავებულით)** ***იმოსებოდნენ,*** რომლის სიგრძე მამაკაცებში მუხლების ქვემოთ ყოფილა. თავდაპირველად მამაკაცის *კაბას/ჩოხას (სამეგრელოში მას „ღართი" ეწოდებოდა)* ღილი არ გააჩნდა, ხოლო შემდეგ კი წინიდან გაიხსნა და ღილებით იკვრებოდა. კაბის შიგნით უფრო მოკლე *საგულე/ახალუხი* სცმიათ. ის მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: ჩოხა კაბების სახის სამოსელია, რომლის საერთო ნიშანია მკვეთრად გამოყვანილი წელი, განიერი ბოლო, მრავალკალთიანობა, ჩახსნილი წინა მხარე და ნაოჭებიანი კალთა. მკერდის მიდამოებში სოლისებური ღიობი ჰქონდა, რათა ახალუხი გამოჩენილიყო, კალთებზე შეჭრილი იყო რამდენიმე ჩაქი, სახელოები მაჯისაკენ განივრდებოდა და ხშირად ზეაწეულს ატარებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი ჩოხას „მატყლის სამოსელს" უწოდებს. საგულე რომ იგივე *ახალუხია* ესეც *საბას* ლექსიკონიდან კარგად ჩანს: *„საგულე კაბის შიგნით საცვამი"*. ლექსიკოგრაფს *კაბა* ერთი სიტყვით აქვს განმარტებული და მას ის *სამოსელს* უწოდებს.

---

[4] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 45-46.

დროთა განმავლობაში, *შარვლის* შემოსვლის შემდეგ, ტერმინი *„კაბა“* მხოლოდ ქალის სამოსელს ეწოდა, ხოლო კაცის სამოსელზე ტერმინი *„ჩოხა“* გავრცელდა, რომელიც თავდაპირველად (და *ვახუშტი ბაგრატიონის* დროსაც) ის როგორც შალის ქსოვილის, ისე სამოსელის აღმნიშვნელი იყო. შუა საუკუნეებში ხშირად ბერის სამოსელსაც *ჩოხა* ეწოდებოდა (სასულიერო პირებს განსხვავებული ჰქონდათ სამგზავრო სამოსელი. ბერის ასეთ „საგზაო ტანსაცმელს“ რამდენჯერმე ახსენებს *იოანე ბაგრატიონი* „კალმასობაში“).

აქვე *ვახუშტის* მიერ ნახსენებ რამდენიმე ტერმინსაც შევეხებით: დღეს თუ *ნიფხავი* პერანგის ამხანაგის (მას „პერანგის ტოლსა“ და „ალერსსაც“ უწოდებდნენ) აღმნიშვნელია, XVIII საუკუნეში ის *„კაცთა ფერხთა ჩასაცმელი“, „წვივსაცმელი“* იყო.[5] *წვივსაცმელის* რამდენიმე სახეობა არსებობდა. გარდა *ნიფხავისა, საბა* ჩამოთვლის აგრეთვე *როპანგს, პერიკმებს* და *საწმართულოს* (*ვახუშტი: „საწარმართული“*). *საბას* მიხედვით *საწმართულო* არის „გარეგან საცვამი, რომელსა *შალვარს* იკმობენ“. როგორც *ვახუშტი ბაგრატიონი* გვაუწყებს, შარვლის ანალოგიურს, რომელსაც *საწარმართული* ერქვა მხოლოდ ცხენზე ჯდომისას იცვამდნენ: „ცხენსა ზედა მოსიათ *საწარმართული“.* ამრიგად, ორი ერთმანეთზე მიკერებული *ნიფხავი შალვარი* ანუ *საწმართული* იყო. აშკარაა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში თანამედროვე შარვლის ანალოგიური უკვე გავრცელებული იყო [*შარვალი* თავდაპირველად მხოლოდ ნომადური კულტურის ელემენტი იყო. მომთაბარეებისათვის (როგორც კაცების, ისე ქალებისათვის) ფართო შარვალი ცხენით სვლის დროს მოსახერხებელი იყო. მის გარეშე ცხენზე ჯდომა წარმოუდგენელიც იყო, რადგან *შარვალი,* ჩვენს შემთხვევაში კი *საწარმართული, პაიჭები* მხედარს იცავდა ცხენის ოფლისაგან. ძველი ბერძნები და რომაელები შარვალს ბარბაროსთა სამოსად მიიჩნევდნენ; ის იყო უცხო წარმომავლობის მეომრებისა და ამაზონების ტანსაცმლის ტიპური ელემენტი. უცხო იყო შარვალი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზებული სამყაროსთვისაც].

დავუბრუნდეთ ქართველი მამაკაცის ეროვნული კოსტიუმის ძირითად ტიპს – ***ჩოხა-ახალუხს,*** რომელთან ერთად კომპლექსში აგრეთვე შედიოდა: *პერანგი, ქვედა საცვალი, ქუდი, სარტყელი* და *ქამარ-ხანჯალი.* ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით *ჩოხა-ახალუხს* გარკვეული განსხვავებე-

[5] პერანგის ამხანაგი/ნიფხავი შუა საუკუნეების ევროპაშიც საკმაოდ გვიან გავრცელდა – იხ.: Ж. Л. Гофф. Цивилизация средневекового Запада. Екатеринбург. 2005, გვ. 437.

ბი ახასიათებდა. განსაკუთრებით თავისებური იყო ხევსურული კოსტიუმი (*„ტალავარი“*) და გურული, აჭარული და ლაზური **„ჩაქურა“**. პირველი მათგანის შესახებ შენიშნულია: „XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ეროვნული ჩაცმულობის პარალელურად (ქართული ჩოხა, ქართული კაბა) განაგრძობდა არსებობას ძველი ქართული ტანსაცმელიც. მათ შორის წარმოდგენილი იყო უნიკალური, ზოგჯერ სულ მცირე მიკრორაიონში გავრცელებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტანსაცმლის ისეთი სახეები, რომლებიც გენეტიკურად უკავშირდებიან ძველი ქართული ჩაცმულობის საწყის ფორმებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ხევსურული „ტალავრის“ ისეთი ელემენტი, როგორიცაა პერანგი, რომელიც თავისი ორიგინალური თარგით, მდიდარი ნაქარგობითა და ჯვრების გამოსახულებით გამოირჩევა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ყველა დანარჩენი ხალხის ჩაცმულობისაგან“.[6]

ჩაქურა ქართული სამოსის განვითარებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს *ჩოხა-ახალუხის* განვითარებულ ვარიანტთან და *შარვლის* გამოკვეთილად დამკვიდრებასთან. *ჩაქურას* ზედატანი ფაქტობრივად წელში გადაჭრილი *ჩოხაა* და ამდენად ის წელს ზემოთ ჩასაცმელია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან სამხრეთ შავიზღვისპირეთში მუჰაჯირად წასული ქართველები ჩაქურას ზედატანს დღესაც *ჩოხას* უწოდებენ, ხოლო კოსტუმის ქვედა ნაწილს, „შარვალს“ – „ლაზურაის“. ისევე როგორც აჭარელები, ძველი კლარჯელებიც ჩოხის შიგნით ჩასაცმელს *ზუბუნას* სახელით მოიხსენიებენ. ფანელას შიგნით კი სელისაგან მოქსოვილი *პერანგი* ემოსათ. ხალხური ლექსიცაა (შეყვარებული ქალი თავის სატრფო მამაკაცს უმღეროდა): „ჩოხა გეიხადე, ჩოხაო, // ზუბუნათაი გიხდებაო, // შენი ერთი დანახვა ჯენეთი (სამოთხე) გამიხდებაო“.[7] როგორც მიუთითებენ, სამოსის ამ სახეობის სახელწოდება დაკავშირებულია ჩაქვთან, სადაც, როგორც ითვლება, პირველად მოხდა ჩოხის წელის არეში გადაჭრა და ორიგინალურ *შარვალთან* შეხამება [ვფიქრობთ, მაინც გასარკვევია ტერმინი *ჩაქურა* ტოპონიმ **ჩაქვს** უკავშირდება, თუ *ჩაქს.* ეთნოლოგიურ ლექსიკონებში *ჩაქის* შემდეგი განმარ-

[6] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ. 2001, გვ. 183.

[7] მთხრობელი ოსმან ოსთურქი (ხოხოტაიშვილი). უნიეს რაიონის სოფელი ჩათალფუნაი. 2014 წელი). მაჭახლიდან მიგრირებულები კი განსხვავებულ ვარიანტს მღეროდნენ: „ჩოხა გეიხადე, ჩოხა, // ელეგი, მიგიხდება, // ელეგი, მიგიხდება, შენი ერთი დანახვა ჯენეთი გიმიხდება“ (კასტამონის ვილაეთი, ჩათალზეთის რაიონი, სოფელი ჰამიდიე).

ტებები გვხვდება: *ჩაქი* – ჩოხის დეტალი, უმეტესად მამაკაცის ჩოხა-ახალუხზე გვხვდება. ესაა პატარა ცრუ კალთები, კეთდებოდა სილამაზისათვის, ამიტომ ამკობდნენ ნაქარგობით. ჩვეულებრივ ჩოხას 2-3 *ჩაქი* ჰქონდა, ყარაჩოღული ექვსჩაქიანი იყო.[8] *ჩაქი* (სპარს. ჩაქ – ხვრელი, ტანისამოსის გახეული ადგილი). 1. ამოუკერავად დატოვებული ადგილი ზედა სამოსის გვერდით კალთებზე; 2. გამოშვერილი ნაწილი ჩოხის ან ახალუხის უკანა კალთების გადანაკერებში (წელთან).[9] საბას განმარტებით, „ჩაქი კალთის შენახევი“-ა[10]].

ჩაქურას სამასრეებიც შენარჩუნებული ჰქონდა. *ჩოხის* ზედაწელის ანალოგიურად, *ჩაქურაც* ტანზე მჭიდროდ იყო მორგებული. იმასაც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ *ჩოხის* ასეთი თარგი „თვალსაჩინოს ხდიდა მამაკაცის ახოვანებას, ვიწრო წელსა და განიერ მხრებს“.[11] *ჩაქურას* შარვალი უკან მკვეთრად დანაოჭებული, უბე ძალიან განიერი და ტოტები ვიწრო ჰქონდა. *ჩაქურის* ქვეშ *ზებუნი* ეცვათ და მისი საყელო და საგულის ნაწილი, ისევე როგორც *ახალუხისა ჩოხაში* მოჩანდა. ანალოგიური სამოსი ყოფილა გავრცელებული სამცხეშიც: (სოფელი უდე) – „ჩვენებური ტანისამოსი უწინ **მოკლე ჩოხა** იყო, ***მიგვას*** ვეძახდით. ახლაც ვიცვამთ ასეთ *ჩოხას,* როგორც ქვაბლიანის თათრები იცმენ ***მიგვას***[12] აჭარლებივით და გურულებივით. ***მიგვა ჩოხასთან*** ვიცოდით **ვიწრო** და **ხონჯრიანი შარვლები**.“ ... „ხნიერი კაცები უფრო **მუხლის თვლებამდე** გრძელ **ნაოჭიან ჩოხას** იცვამდენ ელაგებზე [*ელეგი/ელელი* მამაკაცის უსახელო, „ჟილეტის“ მსგავსი ჩასაცმელი იყო – რ. თ.], როგორც ჯავახელები“. ... „თავზე წითელ **ფესზე** იხვევდნენ ლურჯს **თავსახვევს** ორი-სამი არშინის სიგრძეს, **„საროლს“** ვეძახდით. ***საროლს ჩვენი მეზობლები თათრებიც*** (იგულისხმება მაჰმადიანი ქართველები – რ.თ.) ***იხვევდნენ, მარა სხვადასხვა ფერისას, ჩვენ კი ლურჯს ვიხვევდით, რითაც ვირჩეოდით***

[8] ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. მთ. რედ. ს. ჭანტურიშვილი. თბ. 2009, გვ. 20.

[9] ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. ე. ნადირაძის რედაქციით. თბ. 2013, გვ. 155.

[10] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 316.

[11] ი. სამსონია. ხალხური ტანსაცმელი აჭარაში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). ბათუმი. 2005, გვ. 97.

[12] აქ კორექტურული შეცდომაა: „ძ“-ს ნაცვლად უნდა იყოს „ჟ“. აქედან გამომდინარე, ტერმინის „მიგვა“-ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ჟიგვა“ – რ.თ.

ქრისტიანები თათრებისაგან“.[13]

სამცხეში ანალოგიური სამოსი დადასტურებული აქვს *სერგი მაკალათიას*: „მამაკაცებს აცვიათ გურული „ჩაქურას“ მსგავსი ტანსაცმელი, რომელიც შინმოქსოვილი შალიდან არის შეკერილი. ზემო აცვიათ მოკლე ზედატანი „ჩოხა“, რომელიც მოკლეა და გვერდებში ჩაჭრილი. ჩოხას საგულე და საყელო აქვს გახსნილი და გადმოკეცილი. საგულეზე ორივე მხრივ აკერია ჯიბე და მასრების ბუდე“. „ქვეშ აცვიათ ნაოჭიანი, „ბუდიანი“ შარვალი“. „წინათ კი მესხები ისეთივე ტანსაცმელს ატარებდნენ თურმე, როგორც დანარჩენი ქართველები. მამაკაცებს ეცვათ გრძელი და უკან ნაოჭიანი ყურთმაჯიანი ჩოხა... ზებუნზე იცვამდნენ ჩოხას, რომელიც იკერებოდა ლურჯი ფერის სქელი შალისაგან. ჩოხა იყო გრძელი და უკან ნაოჭიანი“.[14]

ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის შემდეგ *ექვთიმე თაყაიშვილი* წერდა: „ტანისამოსი მამაკაცისა ისეთია როგორც გურულებისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ესე იგი ჩაქურა“.[15] *სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილიც* ადასტურებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში *ჩაქურას*, რომელსაც ის ***„ძიკვა-ჩოხას“*** უწოდებს, ფართოდ გავრცელებას და ხაზს უსვამს ამ სამოსის ართვინელი და არტანუჯელი სომხების მიერ გამოყენების შესახებ: „ართვინელი და არტანუჯელი სომხები შეადგენენ სხვა გვარ სომხებს; ისინი არა გვანან არც აზრუმელ, არც ყარაბაღელ და არც ქალაქელ სომხებს. როგორც ტანით, ისე ტანისამოსით ისინი განირჩევიან იმათგან. აქაური სომხები არიან მდაბალი ტანისა, არიან ლამაზები, შავი თვალ-წარბები ამშვენებენ იმათ თეთრ-ყირმიზა სახეებსა. წითელი ფესი, ვიწრო თავიანთ მოქსოვილი შალის ***მეგრული შარვალი, მოკლე ძიკვა-ჩოხა***, ქალამანი, ანუ უბრალო წაღები და თავიანთივე მოქსოვილი მანუსი სიელეგი შეადგენს კაცების ტანისამოსს“.[16]

1893 წელს თურქი ავტორი *ისმედზადე მეჰმედ არიფი* სამსუნის მხარეში მუჰაჯირებად წასული ქართველების შესახებ წერდა: „მამაკაცების ტან-

---

[13] მასალები საქართველოს შინამრეწვეობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. 5 ტომად. ტ. III. ნაწ. I. ტანისამოსი. თბ. 1983, გვ. 203 (შემდეგ: მასალები... ივ. ჯავახიშვილის რედაქციით).

[14] ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ. 1938, გვ. 89-90.

[15] ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო. „დაბრუნება“. მრავალტომეული. გ. შარაძის საერთო რედაქციით. ტ. I. თბ. 1991, გვ. 224.

[16] ს. ბავრელი-ასლანიშვილი. წერილები „ოსმალოს საქართველოზე“. ლ. ქურდაძისა და გ. საითიძის გამოცემა. თბ. 2008.

საცმელი გაგაოცებს. თავზე ბაშლიყად წოდებული უხეში შალის მოსახვევს იკრავენ და ***ძიგვად*** წოდებული ვიწრო შარვლები აცვიათ. საზოგადოდ მათი ტანსაცმელი უხეში ჩოხაა. უხეშ შალს თავად ქსოვენ. ტანსაცმელსაც თავად იკერავენ. გარდა იმისა, რომ ბაშლიყები საოცარი სანახავია, თავად ქართველებსაც სხეულის ნაწილები პროპორციული აქვთ და ძალზე მოხდენილები არიან. იმ არემარეში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილიც ქართულ ტანსაცმელს იცვამს. ახალგაზრდები მოსირმულ ბაშლიყებს აკეთებინებენ, წელზე ყამასა და რევოლვერს იკეთებენ, რის გამოც ადამიანს ღონიერი ახალგაზრდის ცქერა არ მოსწყინდება და არ მობეზრდება“.[17]

ჩაქურა ნაწილობრივ სამეგრელოშიც ყოფილა გავრცელებული.[18] აქ ამ სამოსს, ისევე როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, „ძიქვა“ ეწოდებოდა.[19]

ქართული *ჩოხა/კაბა* ჩვეულებრივ წელში გამოყვანილი იყო. ზედა ნაწილი თუ ტანზე გაწყობილია, ქვედა ნაწილი ერთობ განიერია. ჩოხის სახელო განიერი და გრძელი იყო, თითებს ფარავდა, ამიტომ უნდა გადაკეცილიყო. სარჩული არ უკეთდებოდა. ახალუხის სახელო კი ხელზე იყო მოყვანილი, მაჯა ყაითნით ჰქონდა გაწყობილი. ჩოხას ჯიბე არ უკეთდებოდა, ახალუხს კი იგი სამასრეების/საქილეებს ადგილას უკეთდებოდა. *ჩოხას* სილამაზეს აძლევს მკერდზე მიკერებული *სამასრეები*. ჩოხაზე მიკერებული *საქილეები* უკეთდებოდა როგორც დაქანებული, ისე – სწორი. *სამასრეები*, ბუნებრივია, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლის შემდეგ მიეკერა (ტერმინ „მასრას“ *სულხა-საბა* განმარტავს, როგორც „თოფის წამლის ჩასაყრელს“). *ჩოხა* წელს ზემოთ ღილკილოებით იკვრებოდა, ხოლო წელს ქვემოთ ჩახსნილი იყო. მიგვაჩნია, რომ მამაკაცის კაბის აღსანიშნავად ტერმინი „ჩოხა“ საყოველთაოდ სწორედ სამასრეების მიკერების შემდეგ უნდა დამკვიდრებული-

[17] მ. სვანიძე. ქართველები თურქეთში. ისმედზადე მეჰმედ არიფი. ქართული სოფლები (თურქეთში). თბ. 1996. გვ. 110.

[18] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. IV, გვ. 185.

[19] „ძიქვა – ერთგვარი წელში ანაოჭებული და ტოტებმოვიწროვებული შარვალი, რომლის ჩაცმა შეიძლებოდა შებრუნებულადაც, რადგან წინაც და უკანაც ერთნაირი იყო; არ ჰქონდა ღილები, სარტყელი და წელზე მაგრდებოდა ხვანჯრით; უპირატესად იქსოვებოდა ხელით, ყაისნაღით, ძირითადად იცვამდნენ მოხუცები და ბალღები“ (ა. ქობალია. მეგრული ლექსიკონი. თბ. 2010). სამხრეთ-დასალეთ საქართველოში ჩაქურას აღმნიშვნელი ტერმინი თუ „ძიკვა-ჩოხა“ იყო, სამეგრელოში მას „ღართი დო ძიქვა“-ს უწოდებდნენ.

ყო. *ჩოხას* საყელო არ გააჩნდა და გულმკერდის არეში ამოჭრილი იყო. ამ არეში *ჩოხის* ქვემოდან ჩაცმული *ახალუხი/საგულე/ზე(უ)ბუნი* მოჩანდა, რომელსაც დამდგარი საყელო ადგა. განსხვავებული იყო ზამთრისა და ზაფხულის *კაბები/ჩოხები.* საზამთრო *კაბას* ტყავისაგან კერავდნენ და მას *ტყავკაბა* ეწოდებოდა.[20]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩვეულებრივ გამოსასვლელ ჩოხებთან ერთად ჰქონდათ საყოველდღიურო, სამუშაო ჩოხებიც: „საყოველდღიურო, სამუშაო ჩოხას 72 წ. *ჯოტო სტეფანეს ძე ხულორდავას* (ზუგდიდი, 1970 წ.) ცნობით, ჯიბეებს უკეთებდნენ. ასეთი ჩოხით, მისივე თქმით, თავმომწონე კაცი გარეთ არ გავიდოდა, სირცხვილი იყო“. „მარტო ახალუხით სტუმართან გამოჩენა არ შეიძლებოდა. მასთან მასპინძელი აუცილებლად ჩოხა-ახალუხით და ქამარ-ხანჯლით დამშვენებული წარსდგებოდა“.[21]

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული *ჩოხა-ახალუხი*, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში *იმერულ ჩოხა-ახალუხს* უწოდებდნენ, მისი აღმოსავლური ანალოგისაგან სიგრძით განსახვავდებოდა – ის მუხლებამდე წვდებოდა, წვივებზე შალის *პაიჭები* ჰქონდათ ჩაცმული; მას *ლეკვერთხებით* იკრავდნენ. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ე. წ. *იმერულ ჩოხას* უფრო მეტი მსგავსება ჰქონდა საერთო კავკასიურ ჩოხასთან, რომელიც ლიტერატურაში ***„ჩერქეზკას“*** სახელითაა ცნობილი.[22] ამ შემთხვევაში ანაქრონიზმთანაც გვაქვს საქმე, რადგან ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ჩერქეზეთში XIX საუკუნეში თავდაპირველად გრძელი ჩოხა იყო დამკვიდრებული, რომელიც კანჭებამდე წვდებოდათ: «Длина черкески зависела от моды. Так, например, в начале XX в. носили очень длинные, до щиколоток, черкески» [***„ჩერქეზკის“*** სიგრძე მოდის შესაბამისად იცვლებოდა. ასე, მაგალითად, XIX საუკუნეში კოჭებამდე ***„ჩერქეზკას“*** ატარებდნენ].[23] სამოსის სიგრძეს სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ ეკონომიკას უკავშირებენ. ქალის სამოსის შესახებ *ჟაკ ლე გოფი* აღნიშნავს, რომ ის გრძელდებოდა და მოკლდებოდა იქიდან გამომდინარე ეკონომიკა აღმავლობას გზაზე იყო თუ კრიზისს განიცდიდა.[24]

---

[20] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. IV, გვ. 188-189.

[21] ნ. აბესაძე. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში (XIX ს. II ნახ. – XX ს. დასაწყისი). თბ. 1986, გვ. 25.

[22] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. IV, გვ. 188-192.

[23] Народы Кавказа. т. I. Под редакцией М. О. Косвена, Л. И. Лаврова, Г. А. Нерсесова, Х. О. Хашаева. М. 1960, გვ. 169.

[24] Ж. Л. Гофф. Цивилизация средневекового Запада, გვ. 436.

უნდა ვიფიქროთ, საქართველოშიც მამაკაცის კაბის/ჩოხა-ახალუხის სიგრძე – მუხლის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით იყო განპირობებული.

ერთ ნიუანსსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: XIX საუკუნეში *რაფიელ ერისთავის* აღწერილობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ***იმერული ჩოხა-ახალუხის ქვეშ შარვალი არ ეცვათ. ფეხებს ჩვეულებრივ წვივსაცმელი პაიჭები უფარავდათ.*** ამით იმის თქმა გვინდა, რომ როგორც ევროპაში, საქართველოშიც *შარვალი* საკმაოდ გვიან გავრცელებული მოვლენაა და ამ მხრივ პიონერები აჭარელი (საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები) ქართველები იყვნენ. *შარვალზე* ყურადღება იმიტომაც შევაჩერეთ, რომ შუა საუკუნეების ფრესკებზე ქართულ კაბაში გამოწყობილ მამაკაცებს, ჩვეულებრივ *წვივსაცმელები,* ანდა ძალიან ვიწრო, ფეხზე შემოტმასნილი და ზემო ნაწილში შეერთებული *სწმართული* და არა *შარვალი* აცვიათ.

XIX საუკუნის საქართველოში *ჩოხა-ახალუხის* რამდენიმე სახეობა იყო გავრცელებული, რომელთაც თავთავისი შესაბამისი სახელი გააჩნდა. 1935 წელს ჩაწერილ ზოგიერთ ეთნოგრაფიულ მასალას უნდა მივმართოთ: (ქიზიყური მასალა) „ახალოხის ზემოდან *ჩოჯას* იცმევენ. ძველებური *ჩოხა* რვაჩაქიანია. ყველა *ჩაქი* თანასწორი აქვს, თექვსმეტი კალთისაგან შედგება. ძველად მოკლე *ჩოხები* სცოდნიათ, მუხლისკვერს ცოტად ყოფილა ჩაცილებული, უფრო მუხლისკვერამდე“.[25] „*ჩოხას* გახსნილს ატარებენ ხშირად, მოხუცები თითქმის ყოველთვის წელღია ყოფილან. ჯეილები *ჩოხას* მუცლიდან სამი-ოთხი ღინკილოთ იკრავდნენ და ზემოდან ვერცხლის ქამარ-ხანჯალს ირტყამენ და აგრეთვე გულზე *სამასრეებში* ვერცხლის *ყაწიმებს* იკეთებენ“.[26] (შიგნი კახეთი) – ***„კაბა თავადის ჩასაცმელი იყო, მაგრამ ჩემ სიყმაწვილეში მახსოვს, რომ ზოგიერთ ოჯახიშვილ გლეხსაც ეცო კაბა***“.[27] „თავადები და შეძლებული ხალხი ქართულ ჩოხებს არ იცმევდნენ, იმათ **ყოშიანი – ყურთმაჯიანი ჩოხები** ეცვათ. ამას ნაოჭი ჰქონდა მიყრილი წელთან და აქეთ-იქით კი თითო-თითო ან ორ-ორი ჩაქი მოსდიოდა“.[28] „ჩერქეზულ ჩოხას, ვისაც უნდოდა, ის ჩაიცმევდა, ჩვენი გლეხის ჩასაცმელი კი ქართული ჩოხა იყო“.[29] (ქართლის მასალა) – „ქართლური *ჩოხა* გრძელი უნდა ყოფილიყო, ქუსლებ-

[25] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 12.
[26] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 12.
[27] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 34.
[28] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 34.
[29] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 34.

ზედ უნდა ეცემა, რომ გაივლიდა, ფეხზე ერთს დაარტყავდა და ისე მეორეზე. ზოგს კიდევ, რომ მიდიოდა, ცალ კალთას მხარზე გადაიდებდა“.[30] იმერეთის სოფელ ხანში დაფიქსირებულია *ონური ჩოხა:* „ჩვენ მამაკაცს უკერავდით აგრეთვე *ონურ ჩოხას*, მუხლ ქმემოდ ჩადიოდა ცოტათი, კალთა გაშლილი ჰქონდა, წელში კალთებს მოვანაოჭებდით“.[31] აქვე გავრცელებული ყოფილა ჩოხები, რომლებიც აფხაზური და ჩაჩნური ჩოხების სახელწოდებით იყო ცნობილი: „**აფხაზური ჩოხა**. ვიწრო სახელოებს უკეთებდით, ტანში ძალიან გამოყვანილი და ვიწრო უნდა ყოფილიყო. მასრებს დავკიდებდით გვერდით (ალმაცერად)“. **ჩაჩნური ჩოხა**. ჩაჩნურ ჩოხას ჰქონდა სახელოები, ანუ მკლავები ფართე, პირდაპირ ანაფორას გავდა, წელში კი მოყვანილი იყო, წელზევით სრული ძალიან. მასრები დაბალი და თანასწორი იყო, სიგრძე მოკლე ჰქონდა“. „მესამე სახის ჩოხა **იმერული ჩოხა** იყო. იმერული ჩოხა იკერებოდა გრძელი, სახელო ზომიერი ჰქონდა და სისრულე ზომიერი“. „მეოთხე სახის ჩოხა იყო **ქართლური ჩოხა**. ქართლურ ჩოხას უწოდებდნენ **ყურთმაჯიან** ჩოხას. სახელოები ღია ჰქონდა და აბრეშუმით იყო გამოწყობილი. გული გაწყობილი ჰქონდა, *მასრები* კი არ ქონდა“. „მეხუთე სახის ჩოხა **კახური ჩოხა** იყო. კახურ ჩოხას ნაოჭი არ ჰქონდა, მასრებს უკეთებდნენ, სიგრძით ზომიერი იყო, სახელოები ვიწრო და გაჭრილი იყო“.[32] „**აფხაზური ჩოხა**. ძალიან ვიწრო იყო გამოჭრილი წელში, **მწევარივით.** გულთათები ჩერქეზული ჰქონდა, კალთები იმერულთან შედარებით, უფრო ვიწრო და თანაც გრძელი. **მეგრული ჩოხაც** იმდაგვარია, როგორც აფხაზური“.[33]

ჩოხის იმ სახემ, რომელიც ეთნოგრაფიული ყოფითაა ცნობილი, როგორც ჩანს, განვითარების საკმაოდ გრძელი გზა გაიარა და მისი საბოლოო ფორმირება გვიან შუა საუკუნეებში მოხდა. *ჩოხა-ახალუხს* კი საბოლოო სახე ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ შესძინა; *ჩოხაზე* მიკერებულმა *სამასრეებმა/საქილეებმა* მისი სილამაზე და მოხდენილობა დახვეწა, *ჩოხის* ჩამცმელს კი მოხდენილობასთან ერთად, უფრო მეტი ვაჟკაცურობა შესძინა. მასრა-ქილებიანი ჩოხა კი ზოგადკავკასიური ტანსაცმლის ტიპია და იმასაც შენიშნავენ, რომ მისი აქტიური გამოყენება საქართველოში იწყება XVIII საუკუნიდან.[34]

---

[30] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 169.
[31] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 211.
[32] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 213.
[33] მასალები... ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 216.
[34] ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. ე. ნადირაძის რედაქციით, გვ. 538.

სად წარმოიქმნა ე. წ. საერთოკავკასიური მამაკაცის სამოსი, რომელიც ლიტერატურაში ***„ჩერქეზის“*** სახელითაა ცნობილი: ჩრდილოეთ კავკასიაში – ჩერქეზეთში თუ საქართველოში?

რამ განაპირობა ამ სამოსის ასე სწრაფად გავრცელება? მანამ, სანამ ამ პრობლემას შევეხებით, მოკლედ ***„ჩერქეზის“*** შესახებ: იგი გავრცელებული იყო ყაბარდოელებს, ჩერქეზებსა და ადიღეელებში. შენიშნულია, რომ ***ადიღეელთა ქვედა ფენის წარმომადგენლები, ისევე როგორც ქართველები, „ჩერქეზით“ მხოლოდ სადღესასწაულოდ იმოსებოდნენ.***[35] ამავე დროს, ზედაფენის წარმომადგენელთა სამოსი ფერითაც განსხვავდებოდა – ის ძირითადად თეთრი იყო.[36] პოპულარული იყო აღნიშნული სამოსი ყარაჩაელთა და ოსთა შორისაც. საყურადღებოა, რომ ოსურ ენაში ჩოხა-ახალუხის აღმნიშვნელი ტერმინიც ქართულიდანაა შესული – *цухъхъа*.[37]

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების სამოსი მონოგრაფიულად შეისწავლა *ე. სტუდენეცკაიამ,* რომლის წიგნიდანაც მხოლოდ იმ პასაჟებს და იმ დასკვნებს მოვიყვანთ, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხებიან. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებშიც *ჩოხა-ახალუხის/ჩერქეზის* ზედა ნაწილი ტანზე მჭიდროდ იყო მომჯდარი და წელს ქვემოთ სილუეტი თანდათანობით ფართოვდება. „*ჩერქეზკას*“ საყელოს გარეშე კერავდნენ. ის მკერდის არეში გულამოჭრილი იყო, რომლის ორივე მხარეზე *სამასრეები* ჰქონდა მიკერებული. ხაზგასმულია, რომ XVIII საუკუნეში ჩერქეზული სამოსი ძალიან განსხვავდებოდა ზემოთაღწერილისაგან. იმდროინდელი სურათების მიხედვით ე. წ. „*ჩერქეზკა*“ (რომელსაც მაშინ ეს სახელი არ ერქვა და ვერც ერქმეოდა!) უფრო თავისუფლად გამოიყურებოდა და ზოგჯერ ***ტომარისებური ტანსაცმლის სახის იყო. მისი სიგრძე მუხლებამდე ან თეძოს ნახევრამდე ჩამოდიოდა. მკერდიც ძალიან ამოჭრილი არ იყო, როგორც გვიანდელ, XIX საუკუნის „ჩერქეზკებს“ ჰქონდა. მკერდზე მიკერებული სამასრეები თავდაპირველად არ ჰქონდა, ისინი საკმაოდ გვიან, ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების შემდეგ გაჩნდა. თავდაპირველად მასრებს ატარებდნენ ტყავის ჩანთებით, რომელიც მხარზე ან ქამარზე ჰქონდათ მიმაგრებული***. ასეთი მხარზე სატარებელი სამასრეები ჩანს XVIII საუკუნის სურათზეც.[38] *ე. სტუ-*

[35] Народы Кавказа. I, გვ. 207.
[36] Народы Кавказа. I, გვ. 169.
[37] Народы Кавказа. I, გვ. 322.
[38] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв. М. 1989, გვ. 17-27.

დენეცკაია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ აღწერილ სამოსს ის მხოლოდ პირობითად უწოდებს ***„ჩერქეზკას“***. ისიც ხაზგასმულია, რომ ოსეთის სოფელ დარგავსის და ბალყარეთის მიწისზედა აკლდამებში ნაპოვნ ***„ჩერქეზკებს“ სამასრეები არ ჰქონდა.*** ასეთი სამოსი, რომელსაც სამუშაო სამოსად მიიჩნევენ და განასხვავებდნენ სადღესასწაულოსაგან, გვხვდებოდა XX საუკუნის დასაწყისამდე.[39] ამ ავტორისმიერი დასკვნა ასე ჟღერს: «Все выше сказанное о верхней одежде XVIII в. позволяет заключить, что ***она настолько отличается от более поздних форм, что возникает вопрос о закономерности названия этой одежды черкеской...*** Наиболее бросающейся в глаза особенностью черкески были газырницы, размещавшиеся на обеих сторонах груди***. Появление их относится к сравнительно недавнему времени***. Кожаные газырницы во второй половине XIX в. были полностью вытеснены из той же ткани, что и сама черкеска» [ამ სახის ზედა სამოსის XVIII საუკუნეში გამოყენებული ფორმების შესახებ შეიძლება ითქვას – იგი იმდენად განსხვავდება გვიანდელი ფორმებისაგან, რომ ეჭვქვეშ დგება მისი ***„ჩერქეზკად“*** წოდების საკითხი... განსაკუთრებულად განსხვავებულია მკერდის ორივე მხარეს განლაგებული სამასრე, რომელიც არც თუ დიდი ხანია რაც გაჩნდა. მანამდე გავრცელებული ტყავის სამასრე, XIX საუკუნის II ნახევარში ჩაანაცვლა იმავე ნაჭრის სამასრემ, რითაც შეკერილი იყო ***„ჩერქეზკა“***].[40]

ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე მონოგრაფიაში თავმოყრილი მასალა ადიღეელთა ქვედა სამოსის – *შარვლის* შესახებ. **XVI საუკუნის ავტორის *ჯორჯიო ინტერიანოს* აღწერით ისინი უხეში ტილოს ფართო *შარვლებს* ატარებდნენ. *ჟან-ბატისტ ტავერნიეც* (XVII საუკუნე) მათ უკიდურესად სიფართოვეზე მიუთითებდა.** XIX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორების – *ტებუ დე მარინი, იოჰან ბლარამბერგი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, ჯორჯ ლონგვორტი* – აღნიშვნით, შარვალი ზემო ნაწილში ფართო და ქვედა ნაწილში დავიწროვებული იყო.[41] ამ მასალებიდან ცხადია, რომ ***ფართო შარვალი და მამაკაცის კაბა ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. ჩოხა-ახალუხი შარვლის ჩაცმას არ მოითხოვდა*** – ეს ნათლად დასტურდება ზემოთ მოტანილი აღწერილობებიდან. თუმცა XIX საუკუნის ფოტოებზე ჩანს, რომ *ჩოხა-ახალუხის/ჩერქეზკის* ქვეშ მამაკაცებს აცვიათ, როგორც წვივებზე შემოტმას-

[39] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв.

[40] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 87.

[41] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 31.

ნილი *შარვალი*, ისე მხოლოდ *წინდები*. წინდების ჩაცმა ჩოხის ქვეშ კი საქართველოდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ***XVIII საუკუნით და XIX საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ერთ-ერთ სურათზე კი, რომელზედაც ორი ჩერქეზია გამოსახული, მხოლოდ ერთს აცვია კაბის მაგვარი სამოსი (უფრო ლაბადა), რომლის სიგრძე ბარძაყის მხოლოდ ნახევარს ფარავდა. მის კაბაზე არც სამასრეებია მიკერებული და არც საგულე აქვს მას ამოჭრილი. მეორე მათგანი კაბის გარეშეა და მას როგორც ქვედატანზე, ისე ზედატანზე ძალიან მჭიდროდ შემოტმასნილი სამოსი აცვია. კაბიან (უფრო ლაბადიან) მამაკაცსაც კაბის ქვეშ ანალოგიური სამოსი აცვია, რომელიც ტანზე მჭიდროდ მომჯდარ თანამედროვე სპორტულ ფორმას – კომბინიზონს – უფრო წააგავს. თავზე ჩაფხუტის/მუზარადის ანალოგიური ახურავთ.***[42] მათ შეიარაღებაში თოფი არა აქვთ. მხოლოდ მშვილდ-ისრით, მოხრილი ხმალი, საბრძოლო ხელკეტითა და კაპარჭით (საისრეთი) არიან შეიარაღებული. 1840-იანი წლების ჩერქეზის სურათზე ტიპური *ჩოხა-ახალუხი/„ჩერქეზკა“* მოცემული, რომელსაც ამოჭრილი საგულე გააჩნია და შიგნიდან ახალუხიც კარგად ჩანს.

როგორც ვხედავთ, ე. წ. საერთო კავკასიური სამოსი, რომელიც საქართველოში *ჩოხა-ახალუხისა* და ჩრდილოეთ კავკასიაში *„ჩერქესკის“* სახელითაა ცნობილი (უფრო სწორედ ასე რუსთა მიერაა სახელდებული), ***თავისი კლასიკური ფორმით ადიღე-ჩერქეზ-ყაბარდოელებსა და სხვა კავკასიელ მთიელებში საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა, სამოსს კი „ჩერქეზკა“ იმიტომ ეწოდება, რომ*** ეს ე. წ. საერთო კავკასიური სამოსი პირველად რუსებმა ჩერქეზების ტანზე ნახეს (სავარაუდოდ XIX საუკუნეში: *ვ. დალის* ლექსიკონი ასეთ ლექსიკურ ერთეულს არ იცნობს). *ე. სტუდენეცკაიას* ამის შესახებ შენიშნული აქვს: ***«Название «черкеска» было дано этой одежде русскими, которые впервые увидели ее на черкесах»*** [სახელწოდება ***„ჩერქეზკა“*** ამ სახის სამოსს რუსებმა შეარქვეს, რომელთაც იგი პირველად სწორედ ჩერქეზებზე შენიშნეს].[43]

ჩერქეზების სამოსის შესახებ მოსაზრებები აქვს გამოთქმული რუს კავკასიოლოგ ეთნოლოგს *ლ. ლავროვსაც*. ის აღნიშნავდა, რომ ***ადიღეელებს XIII-XV საუკუნეებში არ ჰქონდათ „ჩერქეზკა“, რომელიც XIX-XX საუკუნეებში მთიელთა ნაციონალურ კოსტიუმად იქცა:*** «Судя по всему, XIII-XV вв. у адыгов не было ни черкески, ни того верхнего парадного женского

[42] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 20.
[43] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 91.

платья («сай»), которое ***в XIX-XX вв. стало главным элементом национального костюма горянок...***».

«Появление черкески, папахи, башлыка, низкой войлочной шляпы с большими полями и других мужских и женских головных уборов в быту адыгов надо отнести к более позднему времени. В свете этих замечаний ***нельзя согласиться с авторами опубликованного «плана-конспекта» по истории Кабарды, которые в категорической форме заявляют, будто в XIV-XV вв. имело место «окончательное оформление типа костюма, ставшего общекавказским...».***

«Одежда, по словам Масуди, изготавливалась из домотканного полотна. Мужчины носили, как это видно на рельефе каменного памятника так называемого Дука-бека, обнаруженного в районе Этоко, ***обтягивающую талию стеганую куртку или короткую рубаху со стоячим воротником и застежками на груди, перетянутую поясом.*** Эта одежда, напоминающая более поздние бешметы, бытовала у кабардинцев и балкарцев и XV в. ...».

«Интериано сообщает о «халате с широкими рукавами из холста». ***Адыгский халат XIII-XV вв. не похож на черкеску*** и сай (женское платье адыгских женщин в XIX в.). От них он отличается отсутствием талии, системы клиньев в нижней задней части и широкого выреза на груди...».

«Как видно из приведенных материалов, в XIV-XV вв. уже существовали прототипы таких позднейших видов кабардинского костюма, как бешмет, бурка, ноговицы и чувяки. Что касается пояса, то он напоминает нынешний лишь формой металлического набора. ***Черкеска, папаха, башлык, низкая войлочная шляпа с большими полями XIX в. не имеют прототипов среди известных фрагментов адыгской одежды XIV-XV вв. Появление их в быту кабардинцев относится к более позднему периоду»*** [როგორც ჩანს, XIII-XIV სუკუნეებში ადიღელებს არ ჰქონდათ არც ***„ჩერქეზკა“***, არც ქალის სადღესასწაულო სამოსი „საი“, რომელიც XIX-XX საუკუნეებში მთიელი ქალების ეროვნული სამოსის მთავარ ელემენტად იქცა...

ადიღელთა ყოფა-ცხოვრებაში ***„ჩერქეზკის“***, ბოხოხის (ფაფახის), ყაბალახის და განიერ-ფარფლიანი დაბალი ნაბდის ქუდის და მამაკაცისა და ქალის სხვა თავსაბურავების გაჩენა უნდა ვივარაუდეთ გაცილებით გვიან პერიოდში. ამ შენიშვნის გათვალისწინებით ვერ დავეთანხმებით ყაბარდოს ისტორიის „გეგმა-კონსპექტის“ ავტორებს, რომლებიც კატეგორიულად აცხა-

დებენ, რომ XIV-XV საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამოსის ეს ფორმა, რომელიც მალევე საერთოკავკასიური გახდა...

მასუდის განმარტებით, სამოსი იკერებოდა სახლში დართული ნაჭრისგან. ეტოკოს მიდამოებში აღმოჩენილი დუკა-ბეკის რელიეფულ გამოსახულებაზე კარგად ჩანს, რომ მამაკაცები ატარებენ წელზე მომდგარ მოგვირისტებულ ქურთუკს ან მოკლე მდგარ-საყელოიან და მკერდზე ღილოკავებიან პერანგს, რომელზედაც შემორტყმული აქვთ ქამარი.[44]

ინტერიანო გვაწვდის ცნობას განიერ-სახელოებიანი ტილოს ხალათის შესახებ. XIII-XV საუკუნეების ადიღური ხალათი არ ჰგავს არც ***„ჩერქეზ-კას“*** და არც „საი“-ს. მათგან იმით განსხვავდება, რომ წელში არ არის გამოყვანილი, ქვემო ნაწილში არ აქვს კალთები, ხოლო მკერდზე ფართოდ ამოჭრილი...

განხილული მასალიდან კარგად ჩანს, რომ XIV-XV საუკუნეებში უკვე არსებობდა ყაბარდოული სამოსის გვიანდელი ფორმების პროტოტიპები: ბეშმეტი (бешмет), ნაბადი, პაჭიჭები/წვივსაცმელები (ноговицы), და წაღები. რაც შეეხება ქამარს, იგი დღევანდელს მხოლოდ ლითონის ნაწილების ფორმებით წააგავს. XIX საუკუნეში გავრცელებული ***„ჩერქეზკას“***, ბოხოხს (ფაფახს), ყაბალახს, თექის დაბალი ფართო-ფარფლიანი ქუდს XIV-XV საუკუნეებში ცნობილ ადიღურ სამოსის ფორმებში ანალოგი არ მოეპოვება. ყაბარდოულ ყოფაში ისინი გაცილებით გვიან გავრცელდა].[45]

უშუალოდ წყაროებსაც შეიძლება მივმართოთ. XV საუკუნის იტალიელი ავტორი *იოან დე გალონიფონტიბუსი* ჩერქეზების ჩაცმულობის შესახებ წერდა, რომ მათი მამაკაცები, წარჩინებულების გამოკლებით, საერთოდ ძლივს იფარავენ თავიანთ სიშიშვლეს რაიმე ტანსაცმლით.[46] გენუელი *ჯორჯო ინტერიანო* (XV-XVI საუკუნე) წერდა, რომ ჩერქეზები ლაბადის (ნაბდის? – რ.თ.) ქვეშ ატარებდნენ აბრეშუმის ან ტილოსაგან შეკერილ ე. წ. *ტერილიჩს,* რომლის განიერი ნაკეცები იმგვარად იყო წელს ქვემოთ შექუჩე-

[44] სხვათა შორის, ეს რელიეფი მკვლევართა მიერ XVII საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული (М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. История в зеркале паранауки: Критика современной этноцентристской историографии Северного Кавказа. М. 2006, გვ. 139-140).

[45] Л. И. Лавров. Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик. 2009, გვ. 180, 182, 343-344.

[46] И. Де Галонифонтибус. Сведения о народах Кавказа. Кавказ. Европейские дневники XIII-XVIII веков. Нальчик. 2010. Вып. III, გვ. 15.

ბული, ისევე როგორც რომაელებს ეცვათ. **... ატარებდნენ განიერ სახელოებიან ხალათსა და განიერ შარვალს.**[47]

აშკარაა, რომ არც ერთი და არც მეორე ავტორის მიერ აღწერილი ჩერქეზთა სამოსს არაფერი აქვს საერთო ე. წ. „ჩერქეზკასთან“ და მის პროტოტიპადაც ვერ ჩაითვლება. არც XVII საუკუნის ფრანგი *ჟან ბატისტ ტავერნიეს* ჩერქეზების აღწერილ სამოსს აქვს რაიმე საერთო „ჩერქეზკასთან“. ის აღნიშნავს, რომ ორივე სქესის წარმომადგენელთა სამოსი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება; ქალები ისევე იცვამენ, როგორც მამაკაცები, გოგონები ისევე, როგორც ვაჟები. ეს სამოსი შედგება ბამბის ფერადი კაბისაგან და შარვლისაგან, რომელიც ძალიან განიერია. ისინი ატარებენ აგრეთვე პატარა დალიანდაგებულ ქურთუკს, რომელიც თეძომდე წვდებათ.[48]

1772 წელს კავკასიაში ნამყოფი *პიტერ გენრი ბუსის თანახმად,* ჩერქეზი მამაკაცების სამოსი ისეთივეა, როგორც ნოღაელებისო. მათი ზედა ტანსაცმელი წარმოადენს უხეშ ლაბადას (=ნაბადს?). ზაფხულში კი მათ სამოსს შეადგენდა პერანგი, რომელიც წინიდან იმდენად ჩახსნილი იყო, რომ შეიძლება სხეული ჭიპს ქვემოთ დაინახო.[49]

პირველად „ჩერქეზკის“ ანალოგიური სამოსი ჩერქეზებში დადასტურებული აქვს 1793-1794 წლებში *პეტერ-სიმონ პალასს*: ***«Мужская одежда легкая, опрятная и скромная, во многих отношениях похожа на татарскую,*** но более элегантная. Верхняя одежда обычно с маленькими вышитыми карманами на каждой стороне груди, в которые они кладут патроны» [მამაკაცის სამოსი მსუბუქი, მოწესრიგებული და მოკრძალებულია. ძირითადად წააგავს თათრულს, თუმცა უფრო მოხდენილია. ზედა სამოსზე მკერდის ორივე მხარეს, როგორც წესი, მიკერებულია მცირე ზომის ნაქარგი ჯიბეები, რაშიც აწყობენ მასრებს].[50]

ამრიგად, XV საუკუნეების ჩერქეზული სამოსი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს XIX საუკუნის ე. წ. საერთოკავკასიური სამოსის პროტოტიპად. „ჩერ-

---

[47] Дж. Интериано. О быте и обычаях черкесов. Кавказ. Европейские дневники XIII-XVIII веков. Нальчик, გვ. 27.

[48] Ж. Б. Тавернье. Шесть путешествий в Турцию, Персию и Индию. Кавказ. Европейские дневники XIII-XVIII веков, გვ. 59.

[49] П. Г. Брус. Мемуары. Кавказ. Европейские дневники XIII-XVIII веков, გვ. 108.

[50] П. С. Паллас. Заметки о путешествии в южные наместничества российского государства в 1793-1794 годах. Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков, გვ. 266.

ქეზკა“ არაა ადრინდელი ადიღეური სამოსის განვითარების შედეგად მიღებული და მისი სახელწოდებაც მხოლოდ სატყუარაა, რომელსაც ბევრი მკვლევარი შეცდომაში შეჰყავს და „ჩერქეზკას“ ადიღე-ჩერქეზ-ყაბარდოელების შემოქმედებად, მათი კულტურის ელემენტად აცხადებენ და იმასაც აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის ხალხებში ის ადიღეელთაგან გავრცელდა. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ *ვ. გუდაკოვი*, რომელიც წერს: ***«Мужская одежда адыгов была распространена по всему Северному Кавказу и даже в Закавказье»*** [მამაკაცის ადიღური სამოსი გავრცელებული იყო მთელ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაშიც კი].[51] ასევე შეიძლება მოვიტანოთ კიდევ ერთი ციტატა: ***«Наряду с традиционным костюмом весьма популярной в Кахети и Картли была северокавказская черкеска из белого или желтого сукна с газырницами на груди»*** [ქართლსა და კახეთში საკმაოდ პოპულარული ტრადიციული სამოსის პარალელურად გავრცელებული იყო მკერდზე სამასრეებიანი თეთრი ან ყვითელი ქსოვილისგან შეკერილი ჩრდილოკავკასიური ***„ჩერქეზკა“***].[52]

ვ. გუდაკოვი როდესაც კაზაკების მიერ „ჩერქეზკის“ სესხებაზე საუბრობს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: «Началось постепенное заимствование того типа одежды, который был ***выработан Западным Кавказом*** в течение если не тысячелетий, то веков» [დაიწყო იმ ტიპის ტანსაცმლის გავრცელება, რომელიც ათასწლეულების თუ არა საუკუნეთა განმავლობაში მაინც იყო შემუშავებული დასავლეთ კავკასიაში].[53]

ეს და სხვა ავტორები უფრო შორსაც მიდიან და ადიღეური სამოსის მსგავსებას სკვითურ და კაზაკების სამოსთან ნახულობენ.

ეს თუ მართლაც ასე იყო, ოსურ, ჩაჩნურსა და ინგუშურ ენებში „ჩერკესკის“ ”აღმიშვნელი ტერმინები ქართულიდან რატომ არის შესული.

ე. სტუდენეცკაია აღნიშნავს: «Другая группа народов – ***осетины, чеченцы, ингуши называют черкеску терминами, которые являются вариантами названия чоха, чуха, распространенными в Закавказье, в том числе и в Грузии.*** Черкеска по-осетински *цухъхъа*, по-чеченски *чоа,*

[51] В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. СПб. 2007, გვ. 458.

[52] Н. Г. Волкова, Г. Н. Джавахишвили. Бытовая культура Грузии XIX-XX веков: традиции и инновации. М. 1982, გვ. 62.

[53] В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века, გვ. 459-460.

по-ингушски *чохкий*. Видимо, ***эти названия занесены из Грузии»*** [სხვა ხალხები – ოსები, ჩეჩნები, ინგუშები ჩერქეზკას სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში გავრცელებული ტერმინების *ჩოხა/ჩუხა-ს* ვარიანტებით მოიხსენიებენ. ოსურად – *цухъхъа,* ჩეჩნურად – *ჩუა,* ინგუშურად – *ჩოხკიი.* როგორც ჩანს, ეს ტერმინი ნასესხებია საქართველოდან].[54]

რანაირად და როგორ შეიძლება, რომ ტერმინები ქართული ენიდან შეეთვისებინათ ოსებს, ინგუშებსა და ჩაჩნებს და სამოსი – ჩერქეზებისაგან? რა თქმა უნდა, სამოსის საქართველოდან გავრცელებასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიის დასახლებულ ხალხებში ტერმინიც, შესაბამისად, ქართული ენიდან შევიდა. თუმცა დასახელებული ავტორი ოსებში, ჩაჩნებსა და ინგუშებში *ჩოხა-ახალუხის/„ჩერქეზკას“* დაჟინებით მაინც ადიღეელთაგან შეთვისებაზე საუბრობს.

ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ქართულ სხვადასხვა სახეობის ჩოხა-ახალუხსა და ჩერქეზულ-ადიღეურ-ყაბარდოულ მამაკაცის სამოსს შორის არც ისეთი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო და მეორე – მისსავე წიგნში მოყვანილი ოსების, ინგუშებისა და ჩაჩნების სურათები, რომლებზედაც ჩოხოსანი მამაკაცები არიან გამოსახული, არსებითად არაფრით განირჩევა მამაკაცის ქართული *კაბისაგან/ჩოხისაგან.* მაგალითად, 1790 წლის ერთერთი ნახატის მიხედვით ინგუშების *ჩოხა* ქართული ჩოხისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ის ზედატანზე მჭიდროდ მორგებული არაა და მკერდთან მხოლოდ ოთხ-ოთხი სამასრე აქვთ მიკერებული. ჩოხის შიგნით ინგუშებსაც ახალუხი აცვიათ.[55]

ჩოხა-ახალუხი/„ჩერქეზკა“ მამაკაცის ქართული *სამოსის/კაბის/ჩოხის* განვითარების შედეგად რომაა ჩამოყალიბებული ეს კარგად ჩანს შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ფრესკებიდან, რომლებზედაც ამა თუ იმ ტაძრის ქტიტორები არიან გამოხატულნი და, ბუნებრივია, ეს მაშენებელნი საერო პირები და თანაც ზედაფენის წარმომადგენლები იყვნენ. ცნობილია, რომ საქართველოში *ჩოხა-ახალუხი* თავდაპირველად მხოლოდ ფეოდალური ზედაფენის სამოსი იყო. სამართლიანადაა შენიშნული, რომ ***წელში გამოყვანილი მოკლე კაბა (ჩოხაც სწორედ წელში გამოყვანილი კაბაა! – რ. თ.) ქართველ უფლისწულთა და დიდებულთა ტრადიციულ, სადღესასწაულო სამხედრო შე-***

[54] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 91.
[55] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 21.

სამოსელს წარმოადგენდა.[56] მამაკაცი ასეთი წელში გამოყვანილი მოკლე კაბით, რომელიც წვივებამდე წვდება, გამოხატულია სვანეთში *იენაშის* ეკლესიის კედელზე. ის XIII-XIV საუკუნეების მიჯნით თარიღდება.[57] მეცნიერთა წრეში საყოველთაოდ ცნობილია იმავე სვანეთში *ლაღამის* ეკლესიის ფრესკა, რომელიც შესანიშნავადაა ჩვენამდე მოღწეული და რომელზედაც გამოხატულია ქტიტორი, ადგილობრივი ფეოდალი *შალვა ქირქიშლიანი* (იხ. სურათი). ის ტრადიციული ქართული მამაკაცის კაბითაა შემოსილი. გრძელი კაბა ქტიტორს წვდება თითქმის კოჭებამდე (კოჭებს ზემოთ დაახლოებით 15 სანტიმეტრზე), ჩახსნილია და წელში გამოყვანილი. ზედატანი ტანზე მჭიდროდაა მორგებული და, რაც მთავარია, ისევე როგორც ჩოხას, მასაც გულისპირი ამოჭრილი აქვს და წელს ზედა ნაწილი ღილკილოებით აქვს შეკრული. კაბის შიგნით, ისევე როგორც გვიანი შუა საუკუნეების ჩოხის შიგნით, გრძელსახელოებიანი *პერანგი/ახალუხი* აცვია, რომელსაც ახალუხისაგან ის განასხვავებს, რომ ფეხზე მდგომი საყელო არა აქვს მიკერებული (კაბაა საყელოანი). წელზე, ისევე როგორც ჩოხის მმოსავთ, *შალვა ქირქიშლიანს* გრძელი და სწორი ხმალი აქვს შემორტყმული. წარწერის თანახმად, მესტიის თემის სოფელ ლაღამის მაცხოვრის ეკლესია, რომელშიც *შალვა ქირქიშლიანის* პორტრეტული გამოსახულებაა, XIV საუკუნეშია აგებული და მოხატული. ლაღამის ფრესკაზე გამოსახული *ქირქიშლიანის* ფრესკა ფაქტობრივად პირველი სამოსია, რომელზედაც მამაკაცის კაბა ჩახსნილია და მისი ზედა ნაწილი ღილკილოებითაა შეკრული. თუ ვახუშტის ზემომოყვანილ სიტყვებსაც გავიხსენებთ, რომ ერთმეფობისას „კაბა გრძელი კოჭამდე უღილოდ“ იყო გავრცელებული, გამოდის, რომ სვანი ფეოდალის კაბა პირველი ჩახსნილი კაბაა, იგი *ჩოხა-ახალუხის* აშკარა პროტოტიპია (კაბის ქვეშ *ქირქიშლიანს* იმავე სიგრძის მოწითალო შიდა სამოსი – *ახალუხი* აცვია).

საინტერესოა *ქოლაგირის* მთავარი ტაძრის ფრესკებიც: ყველა გამოსახულება კაბითაა შემოსილი, რომელთაგან ზოგიერთი გრძელი და ზოგიერთი მოკლე, მუხლებამდე მწვდომია. ***„შესამოსელის ამ სახეობას საქართველოში შუა საუკუნეების მთელს სიგრძეზე ვხვდებით. ... პორტრეტთა რიგში ყველა კაბა ერთი სახისაა – წელში გამოყვანილი, გვერდზე ჩახსნილი და საოლვეილით შემკული...*** ამ სახის შესამოსელის მაგალითები დღეს უკვე მრავლადაა

[56] მ. ყენია. სამეფო პორტრეტი იენაშის იანის ეკლესიის მოხატულობაში. საქართველოს სიძველენი. 2. თბ. 2002.
[57] მ. ყენია. სამეფო პორტრეტი იენაშის იანის ეკლესიის მოხატულობაში.

ცნობილი ქართული კედლის მხატვრობის XI-XVI საუკუნეების ძეგლებში".[58] ასეთივე კაბებით არიან შემოსილნი XIV საუკუნის დასაწყისის საფარის წმიდა საბას მონასტრის ქტიტორებიც.[59]

ყველა ეს ფრესკა მკვლევარის მიერ XI-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული. ყველა ამ *კაბას* საერთო აქვს გვიანდელი პერიოდის ზედაფენის სამოსთან – *ჩოხა-ახალუხთან* (სიგრძე, წელში გამოყვანილი, ზედა ტანი ტანზე მომჯდარი). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ შემთხვევაში მამაკაცის ეს კაბები გვერდიდანაა ჩახსნილი. კაბებში არიან გამოწყობილი სორის ეკლესიის ფრესკებზე წარმოდგენილი ქტიტორებიც. მათ მოსავთ „ქართველ დიდებულთა ტრადიციული სამოსი – წელში გამოყვანილი, მოკლესახელოებიანი კაბა და გრძელი, ვიწროსახელოებიანი შიდა პერანგი, ე. წ. ფესუედი სამოსი".[60] სორის ფრესკები XIV-XV საუკუნეებითაა დათარიღებული. კაბები წინიდან ჩახსნილი არაა, ისინი მუხლებს ოდნავ ქვემოთაა ჩამოშვებული და, როგორც აღინიშნა, წელში გამოყვანილია. სორის ეკლესიაზე გვიანდელი ხანის (XVI-XVIII საუკუნეების) პორტრეტული გამოსახულებებიცაა. გვიანდელი ფიგურების კაბები უკვე წინიდანაა ჩახსნილი, კაბა წელში დავიწროებულია, გულისპირი ღრმადა აქვს ამოჭრილი, სამკუთხედად ამოჭრილი გულისპირის შიგნით შიდა სამოსი ანუ ახალუხი მოუჩანთ.[61] რადგან რაჭის ძეგლებს შევეხეთ, უნდა აღინიშნოს, რომ აქ კაბით შემოსილი მამაკაცის სხვა ფრესკებიც გვხვდება. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს ზემო კრიხის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკა. ფრესკაზე ჩრდილოეთის კედლის მეორე რიგში საკურთხეველთან ახლოს დახატულნი არიან დიდებულები, რომლებსაც მუხლს ქვემოთ ოდნავ ჩამოშვებული კაბები მოსავთ. კაბები წელში გამოყვანილია.[62] სოფელ ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ კედელზე ხუთი საერო პირია წარმოდგენილი (სამი ქალი და ორი მამაკაცი). XVI საუკუნის ამ ფრესკაზე ორივე მამაკაცი კაბაშია გამოწყობილი. სამოსს

[58] ზ. სხირტლაძე. ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში, თბ,. 2000, გვ. 85.
[59] გ. ხუციშვილი. საფარის კედლის მხატვრობა. თბ., 1988.
[60] ზ. სხირტლაძე. სორის ეკლესია. ი. ჭიჭინაძის მონაწილეობით. თბ. 2009, გვ. 19.
[61] ი. ჭიჭინაძე. სორის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა. თბ. 2014, გვ. 49-50.
[62] გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 473, სურ. 55.

მხოლოდ მასრები აკლია, დანარჩენით ის არაფრით განსხვავდება ჩოხისაგან: კაბები წელში გამოყვანილია, ზედა მონაკვეთში ჩახსნილი და ღილკილოებით შეკრული. წელსზედა ნაწილი ტანზე მჭიდროდაა მომდგარი. საერო პირებს წელზე სარტყელი აქვთ შემორტყმული.[63] ამავე ეკლესიის კედელზე *ზაზა ლასხიშვილისა* და მისი მეუღლის *კეკლუცას* ფრესკაცაა. მამაკაცის ჩოხა მთლიანად ჩახსნილია, წელში გამოყვანილია და შიგნიდან ახალუხი აცვია, წელზე სარტყელი აქვს შემორტყმული.[64]

ქართული კოსტუმის ნიმუშების შესწავლა VI-VII საუკუნეებიდან ხერხდება. ამის საშუალებას პირველ ყოვლისა ჯვრის დიდი ტაძრის ქტიტორთა გამოსახულებები იძლევა. ქტიტორთა „*კაბა* წელში დავიწროებული, გრძელ და ვიწროსახელოებიანი, ქობისაკენ გაგანიერებულია, ქობა რკალისებურადაა შეჭრილი“.[65] ადრე შუა საუკუნეებს ეკუთვნის *დავათის* ქვასვეტი (ზოგიერთი მკვლევარი მას IV საუკუნის II ნახევრით ათარიღებს), რომლის ქვედა კომპოზიციაში გამოსახულია დიდებულთა სამოსში – კაბაში გამოწყობილი თავდახურული მამაკაცის ორი ფიგურა.[66] გრძელი *კაბა* აცვია *ტბეთის* დასავლეთის ფასადზე გამოსახულ *ამოტ კუხსაც* (X საუკუნე). მისი *კაბაც* ბოლომდე ჩახსნილია.[67] მეცნიერთათვის საყოველთაოდ ცნობილია მთიულეთის ხადის ხეობის სოფელ *ქოროღოს* ეკლესიის (მკვლევართა ერთი ნაწილი მას VIII-X საუკუნეებით, მეორე ნაწილი X-XI საუკუნეებით ათარიღებს) რელიეფები. ეკლესიის ფასადის ფრიზებზე აღბეჭდილი არიან მამაკაცები, როგორც ქტიტორები, ისე მშენებლები. აშკარაა, რომ ქტიტორებსაც და მშენებლებსაც წელში გამოყვანილი კაბები აცვიათ. მშენებელთა კაბები უფრო მოკლეა – ის მუხლებამდე წვდებათ, ხოლო ქტიტორებისა კოჭებამდე გრძელია. *ლ. თავაძეს* აზრით: „ღვთისმშობლისა და ქრისტეს მარჯვენა მხარეს მესამე სართულზე გამოსახულია უწვერო მამაკაცი. ჩაცმულობიდან გამომდინარე, ის დაბალი სოციალური სტატუსის მატარებელია, ხოლო სამოსი უბრალო *ჩოხას* წარმოადგენს – მისი ტანისამოსი ანალოგია სხვა მომუშავე პირების ჩაცმულობისა“.[68]

---

[63] გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, გვ. 447, სურ. 29.

[64] თ. ბერაძე. რაჭა. თბ. 1983 (იხ. ტაბულა).

[65] ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.). თბ. 1964, გვ. 10.

[66] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. II. თბ. 2004, გვ. 244.

[67] ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.), გვ. 14.

[68] ლ. თავაძე. ფეოდალური საქართველოს სოციალური შემადგენლობა ქოროღოს რელიეფების მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-

ისევ რელიეფს უნდა შევეხოთ: 1957 წელს ეთნოლოგ *ნ. რეხვიაშვილს* ბოლნისის ახლო ნასოფლარიდან ჩამოუტანია გადატეხილი ქვასვეტი, რომლის ქვედა ნაწილზე მამაკაცის რელეფური გამოსახულებაა. „ქვასვეტზე გამოხატულ მამაკაცს აცვია მხედრული კაბა, რომელიც წინ გახსნილია და მორკალული კალთა მუხლქვემოთ სცემს. ის მკერდზე ამოჭრილია ჩოხის მსგავსად, კისერთან მრგვლად ამოჭრილი პერანგი მოჩანს. კაცს წელზე ქამარი არტყია, რომლიდანაც ჩამოსულ, სხვადასხვა სიგრძის ორ ზონარზე ქარქაშიანი სატევარია ჩამოკიდებული. მარჯვენა მხარეზე მოსასხამის ნაწილია დამაგრებული, რომელიც ზურგს უკან გადადის...“.[69] შუა საუკუნეების ამ რელიეფურ გამოსახულებაზე, რა თქმა უნდა, გვიანდელი თითქმის ჩოხის თარგთან გვაქვს საქმე. ჩვენამდე მოღწეულ V-VIII საუკუნეების სტელებზე გამოსახულ ყველა რელიეფური ქანდაკების მიხედვით, იმდროინდელი მამაკაცების აბსოლიტური უმრავლესობა კაბებით იყო შემოსილი.[70]

XI-XIII საუკუნეებში მრავლადაა წარმოდგენილი წელში დავიწროებული, მოკლე და ბოლოგანიერი კაბები.[71] *ნ. ჩოფიკაშვილი* განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს *სორის* ქტიტორისა და *ლალამის* მაცხოვრის ეკლესიაზე მოთავსებულ *ქირქიშლიანის* გამოსახულებებს. სორის ქტიტორის *კაბას* გულისპირთან სამკუთხედად ჩაჭრილი აქვს. ისევე როგორც ჩოხოსანს მასაც შიგნიდან შიდა სამოსი აცვია. „ზედა სამოსის მოკლე სახელოების ქვეშიდან მეორე, გრძელი და ვიწროსახელოებიანი წითელი ფერისა უჩანს“.[72] მისივე აღნიშვნით, *სორის* ქტიტორთა ძირითადი თარგი XIII-XIV საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული სამოსისას იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ ჩაქშეჭრილი წელშიც ისე მკვეთრად დავიწროებული არაა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქამდე გავრცელებული კაბებისაგან *შალვა ქირქიშლიანის კაბა* მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდება; *ქირქიშლიანის კაბა* გარდამავალი საფეხურია აქამდე გავრცელებულ კაბებსა და უკვე გვიან – XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელებულ *ჩოხას* შორის. ისევე რო-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2011, გვ. 44.

[69] დ. ბერძენიშვილი. „ხევი ბოლნისისა“. კრებული: დმანისი. ტ. IV. თბ. 2003, გვ. 209.

[70] გ. ჯავახიშვილი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკება (რელიეფური ქანდაკება სტელებზე. V საუკუნის ბოლო - VIII საუკუნის დასაწყისი). თბ. 2014.

[71] ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.), გვ. 29.

[72] ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.), გვ. 37.

გორც *ჩოხას,* მასაც შეჭრილი ჩაქები გააჩნია. ასეთი შეჭრილჩაქიანი კაბები კი საქართველოში XI საუკუნიდან გვხვდება.[73] *გ. ჩიტაია* სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ***შეჭრილი ჩაქი სამოსს მხედრულ დანიშნულებას ანიჭებს.***[74] ჩვენი მხრიდან კი დავამატებთ, რომ მამაკაცის სამოსზე (*კაბა/ჩოხა*) *ჩაქების* შეჭრა არა მხოლოდ მეომარს, არამედ მიწისმომქმედსაც სჭირდებოდა.

როგორც ირკვევა, *ლადამის* ეკლესიაზე გამოსახულ მამაკაცის კაბასთან ბევრი რამ აქვს საერთო *დმანისის* ბარელიეფს: „კაბებიც მათ, საერთო შთაბეჭდილებით, ერთნაირი აცვიათ: საყელო-ამოჭრილი და გადაკეცილი, წინ შეკრული (მარცხენა ფიგურას კარგად ეტყობა ღილები სარტყლამდე), წელში ვიწრო, რკალად ამოჭრილი კალთით; კაბა მოკლეა, მხოლოდ მუხლებამდე ჩამოდის და მის ქვეშ ჩანს ისევე ამოჭრილი დაჭრელებული პერანგის არშია (ეს დეტალები უკეთ ჩანს მარცხენა ფიგურაზე). ორივეს წელზე სარტყელი აკრავს. ... მარჯვენა ფიგურას მარცხენა ხელის სახელო თითქოს ყურთმაჯიანი აქვს, მარჯვენა ხელზე კი სახელო ნორმალურია“.[75]

შალვა ქირქიშლიანის კაბასთან/ჩოხასთან ძალიან დიდი მსგავსება აქვს ქართლის სოფელ ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის (XV საუკუნის I ნახევარი) აღმაშენებელ *ქუცნას* ფრესკას. *ქუცნას* კაბაც წინიდან ჩახსნილია და წელში გამოყვანილი. *ქირქიშლიანის* კაბასავით, *ქუცნას* კაბასაც ფიგურები ამშვენებს. ქტიტორს შემორტყმული აქვს განიერი სარტყელიც. კაბის შიგნით ახალუხი აცვია. ქირქიშლიანის ჩოხისაგან ქუცნას კაბა მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მას საყელო არა აქვს.[76] ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეების ჩოხის თარგი XIV-XV საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებული იყო.

1628-1654 წლებში დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა იტალიელი მისიონერი *დონ კრისტოფორო დე კასტელი,* რომელმაც იმდროინდელი მამაკაცების ნახატები მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგვიტოვა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ მამაკაცებს ძირითადად მუხლებამდე კაბა ეცვათ. კაბების უმეტესობა წელში გამოყვანილია და ზედა ნაწილი ღილკილოებით

[73] ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.), გვ. 39.

[74] გ. ჩიტაია. წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“. თბ. 1955, გვ. 24.

[75] ლ. მუსხელიშვილი. დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. კრებული: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ. 1938, გვ. 317-318. იხ. აგრეთვე კრებული: დმანისი. ტ. II, თბ. 2000, გვ. 50.

[76] გ. ბოჭორიძე. ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები. გამოსაცემად მოამზადეს ზ. სხირტლაძემ და ნ. ჩიტიშვილმა. თბ. 2011, ტაბ. XCIV-2.

არის შეკრული.[77] ასე რომ, XVII საუკუნეში ჩოხა-ახალუხი თავისი სამასრეებით ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ის მხოლდ XVIII საუკუნეში ფორმირდა. „1670 წლიდან კი, საზოგადოების ყველა ფენაში, ეროვნული ჩაცმულობა დამკვიდრდა საბოლოოდ. იმ ნახატზე, სადაც მოცემულია მაღალაძიანთ ოჯახი (1670 წ.) მოჩანს: *ახალუხი, ქულაჯა,* ***გრძელ სახელოიანი ჩოხა,*** *კრავის ფაფახი, ვერცხლის ქამარი* და სხვ“.[78] მაღალაანთ ფრესკის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებაც მიუთითებდნენ: „აღმაშენებელთა ეს სურათი, როგორც პ. იოსელიანმა აღნიშნა, საინტერესოა არა მარტო სამხატვრო, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, ვინაიდან შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლიან აღვადგინოთ იმ დროინდელი, ე. ი. მე-XVII-ე საუკუნის, ჩვეულებანი ტანსაცმლის მხრით“.[79] აღნიშნულ ფრესკაზე დაკვირვება იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ XVII საუკუნის 70-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო ჩოხა საბოლოო სახისა – მას სამასრეები არაა აქვს (ყოველ შემთხვევაში ჩვენ მას ვერ ვამჩნევთ), თუმცა თარგი მთლიანად უკვე შემდეგდროინდელი ჩოხის თარგია. ფრესკაზე წარმოდგენილ ერთი ოჯახის წევრებს სხვადასხვა ფერის ჩოხა აცვია. მათი სიგრძე კოჭებს ზემოთ დაახლოებით 15 სანტიმეტრზე ზემოთაა. არც ერთ მამაკაცს შარვალი არ აცვია. ისიც საყურადღენოა, რომ მაღალაძეების ოჯახის ყველა წევრის ფეხსამოსი მაღალქუსლიანი ქოშებია, გარდა სასულიერო პირისა. მამაკაცთა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი (ქოშები) საზეიმო, გამოსასვლელი უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: *ივ. ციციშვილი ფაფახის*[80] შესახებაც საუბრობს. ამ მოსაზრებას

[77] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1976, ნახატები №№33, 34, 43, 47, 48, 89, 224, 318, 319.

[78] ივ. ციციშვილი. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 37. იხ. აგრეთვე: ს. მაკალათია. კავთურას ხეობა. თბ. 1960, გვ. 7; გ. ბოჭორიძე. ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, ტაბ. X-3; გ. ბოჭორიძე. ანდერძი პაპუა მაღალაძისა 1681 წლისა. საქართველოს მუზეუმის მოამბე, IX-B, ტაბ. IV, V.

[79] ლ. მელიქსეთ-ბეგი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურას ხეობაში 1923 წელს. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. №5. თბ. 1925, გვ. 139.

[80] ბოლო დროს **ფაფახი** ლამის ქართულ ეროვნულ თავსაბურავად გამოცხადდა. ფაფახი ქართველ მთიელ მწყემსთა შორის საკმაოდ გვიან გავრცელდა. ფაფახი „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონში“ მოთავსებულ ქართული ქუდების საილუსტრაციო მასა-

ვერ გავიზიარებთ, მაღალაძეების ოჯახის წევრებს უბრალოდ ზამთრის ქუდები ახურავთ. ამ ქუდებს, ერთის გამოკლებით, მხოლოდ შუბლის არეში სარტყლის სახით აქვთ ბეწვი, დანარჩენი დიდი ნაწილი კი ჩვეულებრივი ქსოვილი უნდა იყოს [ჩვენი ვარაუდით, ეს თავსაბურავი შეიძლება იყოს საზამთრო სპარსული ქუდი].

მამაკაცის სამოსის განვითარების შემდეგ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მამაკაცის სამოსი – ***ჩაქურა***. ამგვარი თარგი უნდა შემუშავაბულიყო ***შარვლის*** **დამკვიდრებით, რამაც წელის არეში *კაბის/ჩოხის* გადაჭრა გამოიწვია და მივიღეთ ფაქტობრივად ახალი სამოსი.** ***ჩაქურას*** ზედა ნაწილს ქართველები ***„ჭონიას“*** უწოდებდნენ, ხოლო ქვედა ნაწილს, შარვალს – ***„ბუდიანს“***. „ბუდიანი“ ანუ „ჩაქურა შარვალი“ ძალზე განიერუბიანი იყო. იკერებოდა სათავეში გაყრილი ლარით (ხვანჯრით). შეკერვისას შარვლის ზემო ნაწილი მრავალ ნაოჭს იყრიდა. ამ ნაოჭებს ჩაქები ეწოდებოდა. შარვლის ტოტები ზემოთ განიერი, ქვემოთ კი ვიწრო იყო. ზოგიერთ მხარეში (სამეგრელო, სამცხე, ზემო აჭარა) ასეთი თარგის შარვლის ქართული სახელწოდება ***„ძიგვა“/„ძიქვა“*** იყო. *ჩაქურას* ფართოდ გავრცელების მიუხედავად, გურიასა და აჭარაში ზედაფენის წარმო-

ლაშიც არაა წარმოდგენილი. ფაფახი XVIII-XIX საუკუნეებში არც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში იყო საყოველთაოდ გავრცელებული. ე. სტუდენეცკაიას მონოგრაფიში მოთავსებულ ჩრდილოეთ კავკასიელთა XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის სურათებზე არც ერთ მამაკაცს ფაფახი არ ახურავს. ის პირველად 1830-იანი და 1840-იანი წლების სურათებზე ჩანს. ჩერქეზები, ქალებიც და კაცებიც, ატარებდნენ ცილინდრული ფორმის ზემო ნაწილში მომრგვალებულ ქუდებს. ქუდს ქვედა ნაწილში შემოვლებული ჰქონდა სირმები, ზედა მომრგვალებულ ნაწილში კი სირმები რადიალურად დასდევდა. ქუდს ზემო ნაწილში ცენტრიდან ფოჩი ჰქონდა ჩამოშვებული. ოსურ და ინგუშურ მიწისზედა აკლდამებში უმეტესად ქსოვილისაგან შეკერილი ქუდებია აღმოჩენილი. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადიღეელებში გზას იკაფავს ქსოვილისა და ტყავის შეერთებით შეკერილი ქუდები; ესაა ე. წ. დაბალი ფაფახი. 1820-1830-იან წლებში საკმაოდ ფართო ძირისა და ზედა ნაწილში ამობურცულ ფაფახებს ატარებდნენ ჩაჩნები. იგივე შეიძლება ითქვას ნაბდის შესახებაც. როგორც ფაფახი, ისე ნაბადი ნომადური კულტურის ელემენტია, იმ ხალხთა მიერაა შექმნილი, რომლებიც მეურნეობის ფორმებიდან გამომდინარე (მეცხოველეობა) დროის დიდ პერიოდს ცის ქვეშ ატარებდნენ. ფაფახის ქართულ ეროვნულ თავსაბურავად მიჩნევა ეთნოლოგიისა და ქართული კულტურის დაბალი ცოდნის ცოდნის შედეგია. ქართველ ხალხს არ ჭირდება სხვათა კულტურის ელემენტების ქართულ კულტურად გასაღება.

მადგენლები ხშირად უპირატესობას ჩვეულებრივ ქართულ ჩოხას ანიჭებდნენ.

ამრიგად, როგორც ირკვევა მოკლე ჩოხა (*ჩაქურა, ძიგვა ჩოხა*) მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. გვიან პერიოდში ისინი უკვე *კაბით/ჩოხით* აღარ იმოსებოდნენ. ამის ირიბი გამოძახილი ისიც უნდა იყოს, რომ მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრები ქართველები (მუჰაჯირად წასულები როგორც აჭარიდან, ისე შავშეთ-კლარჯეთიდან) მათ მეზობლად მცხოვრებ ასევე მუჰაჯირ აფხაზებს „კაბიანებს“ უწოდებენ (XIX საუკუნის სურათებზე აფხაზები მხოლოდ *ჩოხითა* და *წვივსაცმელებით/პაიჭებით* არიან წარმოდგენილი). ბუნებრივია, ჩაქურიანი ქართველისათვის ცოტა უცნაური იყო მამაკაცი მხოლოდ *კაბაში/ჩოხაში* შარვლის გარეშე. როდის უნდა მომხდარიყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ანუ „ოსმალოს საქართველოში“ ქართული ეროვნული სამოსის ჩოხა-ახალუხის გადაჭრა და ხონჯრიანი შარვლის/ძიგვას ჩაცმა? ვფიქრობთ, მაჰმადიანობის გავრცელების პარალელურად, ძირითადად XVIII საუკუნეში, უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან. ასეთი სამოსის პრაქტიკულობის გამო კი ის მეზობელ გურიაშიც ადვილად და სწრაფად გავრცელდა.[81]

ამდენად, არაა გასაზიარებელი მოსაზრება, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში საეკლესიო არქიტექტურაზე გამოსახულ მამაკაცებს *კაბის/ჩოხის* ქვეშ შარვალი ეცვათ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთელი რიგი უძველესი ქართული ეთნოგრაფიული რეალიები ხევსურეთში იყო დაკონსერვებული. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის ხევსურული სამოსელისათვის *შარვალი* უცნობი იყო. ხევსური მამაკაცის ტანსაცმელში შედიოდა: *პერანგი, ნიფხავი, ჩოხა, ქუდი, პაჭიჭები, საწვივეები, წინდები და ქურები.*[82] *ს. მკალათია* მიუთითებდა, რომ მოხუცებს ეხლაც ახსოვთ, რომ ძველად გლეხები დადიოდნენ გრძელი პერანგით... უშარვლოდ.

როგორც ვხედავთ, ყველა მოსაზრების შეჯერებით დასტურდება, რომ

---

[81] არაა მართებული XIX-XX საუკუნეების მიჯნის ფრანგი ავტორი, რომელსაც მიაჩნდა, რომ გურიაში „ჩაქურა“ წინ უსწრებდა „ჩოხას“: „გურულებისა და ლაზების ტანსაცმელს შორის განსხვავება არ არის; მას ეწოდება ჩაქურა... სამწუხაროდ, ვლინდება ჩაქურას ჩოხით შენაცვლების ტენდენცია“ (ბარონ დე ბაი საქართველოში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ. თბ. 2011, გვ. 102). პირიქით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ჩოხას ჩაქურა ჩაენაცვლა.

[82] გ. ჩიტაია. წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“, გვ. 6.

საერთოკავკასიური *ჩოხა/„ჩერქესკა“* საქართველოში და ქართველი ხალხის მიერაა შექმნილი. ქართველთაგან კი ის, კულტურულ-ისტორიული კონტაქტების შედეგად, გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში. მამაკაცის ქართულმა *კაბამ/ჩოხამ* საბოლოო სახე მიიღო მას შემდეგ, რაც საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი ფართოდ გავრცელდა და მას სამასრეები მიეკერა. სამასრეების მიკერება კი უფრო ადვილად გამოსაყენებელს ხდიდა ცეცხლსასროლ იარაღს. ამავე დროს, სამასრეებმა კიდევ სხვა ფუნქციაც შეიძინა. ასეთი კაბით შემოსილი მამაკაცი უფრო ვაჟკაცურად და წარმოსადეგად გამოიყურებოდა. ასეთ სამოსში ის უფრო მოხდენილი იყო. ე. წ. *„ჩერქეზკას“* კი უფრო მეტი მსგავსება იმერულ ჩოხასთან (ანუ დასავლურ ქართულ, ტერიტორიულად უფრო მიმდგომ მხარესთან) ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლურ ქართულ ჩოხასთან, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მამაკაცის აღნიშნული სამოსელი ჩერქეზთა შორის დასავლეთ საქართველოდან (იმერეთიდან) გავრცელდა, უფრო რომ დავაზუსტოთ, ის უშუალოდ აფხაზთაგან შეითვისეს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „...ქართული ტანსაცმლის მრავალფეროვანი სახეების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ბაზაზე – ***ქართლ-კახეთში ყალიბდება ერთიანი ეროვნული ტანსაცმელი, რომელიც თავდაპირველად მთელ საქართველოს ბარში და შემდეგ ხანებში მთაშიც აღწევს***“.[83] *გ. ჩიტაიას* ეს ლოგიკური დასკვნა, როგორც ჩანს, 1670-იანი წლების *მღალაანთ ფრესკამ* გამოატანინა. მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, ამ საკითხს (მხედველობაში გვაქვს ჩოხის თავდაპირველად ქართლ-კახეთში ჩამოყალიბება) დამატებითი არგუმენტაცია სჭირდება. ფაქტი ერთია: *„ჩერქეზკად“* წოდებული *ჩოხა-ახალუხი* ქართველთა მიერაა შექმნილი და უძველესი ქარული სამოსელის თანდათანობითი განვითარების გზითაა შექმნილი. მამაკაცის კაბა, რაც მასრებიანი *კაბის/ჩოხის* პროტოტიპად იქცა, ჩერქეზებისათვის უცნობი იყო. კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ ზემოთ XV-XVI საუკუნეების მიჯნის იტალიელი ავტორის სიტყვებს, რომ **ჩერქეზები ატარებდნენ განიერ სახელოებიან ხალათსა და განიერ შარვალს. შარვალი, თანაც განიერი, და კაბა ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. საამისოდ ისევ *ჩაქურა/ძიგვა ჩოხა* შეიძლება გავიხსენოთ – ხონჯრიანი შარვლის შემოსვლამ და გავრცელებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მამაკაცის კაბა/ჩოხა წელში გადაჭრა.**

ამდენად არაა გასაზიარებელი ე. სტუდენეცკაიას დასკვნა: «Как видно из вышеизложенных материалов, в мужской одежде народов Северного

[83] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. IV, გვ. 184.

Кавказа XVIII – первой половины XIX в. имелось очень много общих черт, истоки которых уходят в более ранние периоды...» [ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, რომ XVIII-XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში გავრცელებულ მამაკაცის ტანსაცმლის ფორმებს შორის ბევრია ისეთი საერთო ნიშანი, რომელთა სათავეები გაცილებით ადრინდელ პერიოდებში უნდა ვეძიოთ].[84]

ავტორის მიერ მოხმობილი მონაცემები პირიქითი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. პროტოტიპი მას ამ გეოგრაფიულ რეგიონში და თანაც წინა საუკუნეებში არ გააჩნია და ის საქართველოდანაა ნასესხები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში კაბის აღსანიშნად ტერმინი ***ჩოხა*** ადრეული შუასაუკუნეებიდან გამოიყენებოდა. პირველად მას ვხვდებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „და იხილა დედუფალი იგი დიდსა შინა მონაზნობასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა ხელმწიფისაჲ რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი ***ჩოხაჲ***...“.[85] „მატიანე ქართლისაჲ“-ში ვკითხულობთ: „გამოიღო თ᲼სი ხუასტაკი და **ჩაიცუნა *ჩოჴანი*** ლიპარიტ“.[86] სიტყვა *ჩოხა ი. აბულაძის* „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“ არის შეტანილი, რომელიც შესაბამისი ამონაწერებით აქვს შემაგრებული. ერთ-ერთი მათგანი „მამათა ცხოვრებიდანაა“ მოყვანილი: „შეჰკერეა *ჩოჴაჲ* იგი? ... ჰე, მამაო, შევკერე იგი და შევკაზმე“. 1438 წლის *ალექსანდრე მეფის ურდოელისადმი* წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „...შენ, ურდოელმან და მერმე სულისა საქმე მოიკლე და ***ჩოჴანი* ჩაიცუენ**...“.[87] ტაშირის *ქობერის* მონასტრის საფლავის ქვათა ქართულ წარწერებიდან ერთში, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარშია შესრულებული და რომელიც *შანშე* და *ხუაშაქ მხარგრძელების* ეპიტაფიაა, ნახსენებია *ჩოხა*. რუსთველური შაირით შეთხზულ ლექს-ეპიტაფიაში ვკითხულობთ:

„გამოვედით სოფლისაგან ცუდ-ქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლნი მომდებიან, ამომდიან პირით ალნი;

---

[84] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 40.

[85] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ. I. თბ. 1987. გვ. 605.

[86] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 305.

[87] ქართული სამართლის ძეგლები. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 125.

დიდთა ჩემთა შუებათაგან დარჩეს ***ჩოკის ნაფერთალნი***
და კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენი სამართალნი“.[88]

საინტერესოა ასევე იმერეთში გავრცელებული გამოთქმა, რომლის თანახმადაც ივნისს და ოქტომბერ-ნოემბერს *„ჩოხადამპალას“* უწოდებდნენ, რადგან ამ თვეებში ხშირი წვიმა იცის და ხშირი ნალექი ჩოხოსან ქართველებს ჩოხის კალთებს უსველებდა, „ულპობდა“. „წიფობისთვე რავარა ჩოხდამპალაა ხანდახან, რავა ენდობი სახლის შენების დაწყებას“.[89] ჩოხა იმდენად დიდმნიშვნელოვანი სამოსი იყო საქართველოში, რომ ძველი თბილისელი დარბაისელი, გულმართალი, პატიოსანი და რაინდი მამაკაცები „ყარაჩოღ(ხ)ელებად“ ანუ შავჩოხიანებად იწოდებოდნენ. უფრო მეტიც: ჩოხის ნაგლეჯსაც კი ქართულ ენაში თავისი აღმნიშვნელი ტერმინი გააჩნდა – *სულხან-საბა ორბელიანის* მიხედვით, მის ძონძს „ჯინჯოთს“ უწოდებდნენ.

მამაკაცის ქართული სამოსის – *ჩოხა-ახალუხის* – საბოლოო ფორმირება კი უშუალოდ განაპირობა ლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის – თოფის ფართოდ გავრცელებამ. საქართველოში ის XV-XVI საუკუნეებში გავრცელდა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის ციხე-სიმაგრეებს სათოფურები აქვს.[90] XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა ლაშქრის 38% თოფებით იყო შეიარაღებული.[91] ანალოგიური ვითარება გვქონდა XVII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლში. „XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული კაჟიანი თოფი საქართველოშიც მზადდებოდა“.[92] შემორჩენილია ამ პერიოდის საამილახვროს დავთარი. დავთარში მოლაშქრეები აღრიცხული არიან მოლაშქრეობის წესის აღნიშვნით. მაგალითად, სოფელ *ღრომში*, სადაც ახლა ქართველები აღარ მკვიდრობენ, *ყანჩაელის* ყმები აღრიცხული არიან შემდეგნაირად: „ბათილაშვილი ბერი ***თოფით,*** იჩქითი ტეტია ***შუბით***, იჩქითი

[88] ციტირებულია დ. ბერძენიშვილის ნაშრომიდან „დმანისხევი“. კრებული: დმანისი. თბ. 2000, გვ. 133.

[89] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ. 1984.

[90] სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია: „XVI საუკუნეში საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის და კერძოდ თოფის ხმარება იმდენად ინტენსიურია, რომ მან თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა ციხე-სიმაგრეების მშენებლობაზე“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული საჭურველი. „ფრესკა“. 1985, გვ. 44).

[91] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. IV.

[92] კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი. ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. IV. თბ. 2010, გვ. 69.

მიქელი *მშვილდით*“.[93] საამილახვროს მოლაშქრეებიდან **407 გამოდიოდა შუბით, 288 – მშვილდით** და **420 – თოფით**. ყველაზე მეტი, 37,7% თოფით უნდა გამოსულიყო.[94] თოფი იმდენად ორგანული გახდა ქართველთათვის, რომ ახალ წელსა და ვაჟის გაჩენას თოფის სროლით აღნიშნავდნენ. სამასრეები მხოლოდ სოციალურად დაწინაურებულის კაბას გააჩნია, რიგითის სამოსს ის არ ახლავს (მეომარი შუა საუკუნეების საქართველოში სწორედ თავად-აზნაურობა იყო. რიგითი ჩვეულებრივი ადამიანის – გლეხის საქმიანობას კი მხოლოდ მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა წარმოადგენდა. ამიტომაც სამასრეები/საქილეები თავდაპირველად ზედაფენის წარმომადგენელთა ჩოხაზე გაჩნდა და არა გლეხისა. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ ყველა მეთემე შეიარაღებული იყო, რადგან მათ ძირითად საქმიანობას თარეშები წარმოადგენდა). ამასთანავე, სრულიად განსხვავებულია ჩერქეზის *კაბა/ჩოხა* გულმკერდის არეში. მას ამოჭრილი გულისპირი არ გააჩნია, აქვს ფეხზე მდგარი საყელო, რომელიც მთელ ყელისა და კისრის არეს უფარავს.[95]

ჩრდილოეთ კავკასიაში თოფის გავრცელების შესახებ არაერთგვაროვანი მონაცემები გვაქვს: ფაქტია, რომ XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისში არსებულ ჩერქეზთა სურათებზე მამაკაცები ცივი იარაღით არიან აღჭურვილნი, თოფი არსად ჩანს.

ჩნდება კიდევ ერთი კითხვა – რატომ გავრცელდა ჩრილოეთ კავკასიის ხალხებში სწრაფად *ჩოხა-ახალუხი* და რატომ გახდა ის ასე პოპულარული, რომლის რუსულმა სახელწოდებამ *(„ჩერქეზკა“)* მკვლევარნი შეცდომაში შეიყვანა და ჩერქეზული/ადიღეური კულტურის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს?

პასუხი ერთმნიშვნელოვანია – იმის გამო, რომ *ჩოხა-ახალუხი,* თავისი სამასრეებით, მებრძოლისათვის ერთობ მოსახერხებელი სამოსი იყო. ხოლო ჩრდილოეთ კავკასიელი მამაკაცები კი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ თარეშებით, ახლო თუ შორეულ მეზობლებზე თავდასხმებით; მათი მთავარი საქმიანობა მეომრობა იყო. ადიღეელთათვის (ზედაფენის მეთაურობით) ლაშქრობა და ომი ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა: «Одежда черкесского война ... чрезвычайно тщательно пригонялась по фигуре, была удобна, не сковыва-

[93] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა. ტფ. 1925, გვ. 7.
[94] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა, გვ. V.
[95] Е. Н. Студенецкая. Одежда народов Северного Кавказа XVIII-XX вв., გვ. 19.

ла движений и была абсолютно функциональна в этой геополитической нише» [ჩერქეზ მეომარს ტანსაცმელს საგანგებოდ არგებდნენ რომ ყოფილიყო მოხერხებული, არ შეეზღუდა მისი მოძრაობები და აღნიშნულ გეოპოლიტიკურ სივრცეში ყოფილიყო აბსოლუტურად ფუნქციური (შესაბამისი)].[96]

ჩოხა-ახალუხის უტილიტარული ფუნქცია იმ დროისათვის უდავო იყო, რამაც განაპირობა საქართველოდან მისი ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთკავკასიელთაგან კაზაკთა შორის გავრცელება.

ამაზე მიუთითებდა თავის ნაწარმოებებში *ლევ ტოლსტოიც*. იგი საუბრობდა რა გრებენელი კაზაკების შესახებ აღნიშნავდა, რომ ისინი ცხოვრობდნენ რა დიდხანს ჩაჩნებთან ახლოს, „დაუნათესავდნენ მათ“ და შეითვისეს მთიელთა წეს-ჩვეულებები და ცხოვრების წესი.[97] კაზაკების ძირითადი საქმიანობაც სამხედრო სფერო იყო.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში შეიცვალა ცეცხლსასროლი იარაღი და სამასრემ პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა ჩოხა-ახალუხს მაინც შერჩა, რადგან ის მორთულობის ატრიბუტად და მამაკაცობის, ვაჟკაცობის სიმბოლოდ რჩებოდა.

[96] Э. Х. Панеш. Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особенности эволюции (На примере Западного Кавказа). СПб. 1996, გვ. 164.

[97] მითითებულია ვ. გუდაკოვის წიგნიდან В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. СПб. 2007, გვ. 458: Л. Н. Толстой. Казаки. Кавказская повесть. М. 1953, გვ. 17.

в



ჩერქეზები. XIX საუკუნის დასაწყისი

წყარო: Н.Г.Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII - начале XX века. М. 1974. с. 23.

Roland Topchishvili

FROM HISTORY OF THE GEORGIAN CLOTHING: CHOKHA-AKHALUKHI

Summary

Chokha was national men clothing in Georgia, and akhalukhi – a shirt worn underneath the chokha. Caucasian peoples living in the North gladly adopted chokha. In the 19th c. Russians saw the Circassians wearing this clothing, and they invented Russian term for it: "cherkezka". Now some believe that chokha was invented by Circassians.

Narrative, frescoes, ethnographic data are applied by the author to show the whole dialectics of transformation of the Georgian clothing called kaba to chokha. The transformation was complete towards the 14th-15th cc. Then chokha was adopted by the Ossetians, Chechens and Ingushs together with the Georgian term.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

აპოლონ თაბუაშვილი,
გიორგი ჟუჟუნაშვილი

რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის წერილი

სტატიაში განხილულია რუსეთის იმპერატორ ალექსანდე I-ის (1801-1825 წწ.) საიდუმლო წერილი ტულის სამოქალაქო გუბერნატორ ივანოვისადმი. რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი ბოლო დრომდე ინახებოდა რუს კერძო კოლექციონერთან. იმპერატორ ალექსანდრე I-ის წერილი საქველმოქმედო ფონდმა ქართუმ შეიძინა და 2013 წლის დასაწყისში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა. მცირე ზომის წერილში იმპერატორი იულონ ერეკლეს ძე ბარგატიონის რუსეთში გადასახლებასთან დაკავშირებით გარკვეულ განკარგულებას იძლევა.[1] სტატიის ბოლო ნაწილი ეთმობა წყაროს პუბლიკაციას.

ვიდრე უშუალოდ აღნიშნული დოკუმენტის შინაარსს შევეხებით, მოკლედ მიმოვიხილავთ იულონ ბატონიშვილის ბიოგრაფიას – იულონ ერეკლეს ძე ბაგრატიონი დაიბადა 1760 წელს. ის ახალგაზრდა ასაკიდან გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე. მას შიდა ქართლში საუფლისწულო მამულები გადაეცა. ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბატონიშვილი აქტიურად იყო ჩართული სასამართლო საქმიანობაში.[2] იულონ ბატონიშვილი მონაწილეობდა აღა-მაჰმად ხანის საქართველოში ლაშქრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებში: 1795 წლის ივნისში ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) დავალებით იულონი, მემარჯვენე სარდალ ამილახვართან და მემარცხენე სარდალ მუხრანბატონთან ერთად ყარაბაღში გაემგზავრა იქ მყოფი ალექსანდრე ბატონიშ-

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ros d-3680.
[2] იხ. ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. V. თბ. 1974. ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VI. თბ. 1977.

ვილისა და ყარაბაღის ხანის დასახმარებლად. იულონ ბატონიშვილის მეთაურობით ყარაბაღის სახანოში გაგზავნილ ჯარს საარტილერიო კორპუსიც ახლდა. მათ ირანელთა მეწინავე ჯარები დაამარცხეს. იმავე ხანებში კი იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილებმა აღა-მაჰმად ხანის მომხრე განჯის ხანის წინააღმდეგ ილაშქრეს და ქალაქის მიდამოები დაარბიეს. უშუალოდ კრწანისის ბრძოლის დროს კი ბატონიშვილი თბილისიდან სამეფო კარის ევაკუაციას ხელმძღვანელობდა.[3]

იულონ ბატონიშვილი, ერეკლე II-ის მიერ მიღებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, ქართლ-კახეთის მეფობის პრეტენდენტად ითვლებოდა და მას ტახტი უფროსი ძმის, გიორგის, შემდეგ უნდა დაეკავებინა.[4] ერეკლე II-ის გარდაცვალებამდე, 1797 წლის 8 დეკემბერს, გიორგი ბატონიშვილმა „პირობის წიგნიც“ დაუწერა იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებს, სადაც აღიარებდა იულონის მემკვიდრეობით უფლებებს.[5] იოანე გიორგის ძე ბაგრატიონმაც, თავის შედგენილ მმართველობის პროექტში, „სჯულდებაში“, გიორგის შემდგომ მემკვიდრედ იულონი დაასახელა.[6] თუმცა მოგვიანებით, 1799 წლის 18 აპრილს, გიორგი XII-ის მიერ რუსეთის იმპერიასთან განახლებული ტრაქტატით მეფის მემკვიდრედ დავით გიორგის ძე გამოცხადდა.[7] ამ ფაქტმა დიდი უთანხმოება გამოიწვია სამეფო ოჯახის წევრებს შორის. შიდა დაპირისპირებას კარგად ასახავს ივანე ჯავახიშვილის მიერ 1900 წელს „მოამბეში“ გამოქვეყნებული წერილები.[8] აღნიშნული წერილებიდან კარგად ჩანს ტახტის დაუფლების მიზნით ბატონიშვილთა შორის მიმდინარე

---

[3] იხ. აპოლონ თაბუაშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვითი ღონისძიებები ირანის აგრესიის მოსაგერიებლად 1795 წლის ივნის-აგვისტოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011, გვ. 234-244.

[4] ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 507-527.

[5] ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II, გვ. 532-533.

[6] იოანე ბაგრატიონი. სჯულდება. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ. 1957, გვ. 32.

[7] Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией (АКАК). Под редакцией А. Д. Берже. Тиф. 1868. Т. II, гв. 1147.

[8] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ. „მოამბე“. 1900. № 4. განყ. I, გვ. 1-27.

უკომპრომისო ბრძოლა. არსებულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო დაასუსტა ქართლ-კახეთის სამეფო, რითიც, სხვა გარემოებებთან ერთად, კარგად ისარგებლა რუსეთის იმპერიამ და სამეფო გააქმა.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრების საქართველოდან გადასახლების საკითხი. იულონ ერეკლეს ძე, სხვა ბატონიშვილებთან ერთად, ჩაერთო ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაწყებულ ბრძოლაში. მისი აქტიური მოქმედება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე დაიწყო: 1802 წელს მონაწილეობდა კახეთში მიმდინარე გამოსვლებში, მოგვიანებით კი, ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად, იმერეთის მეფე სოლომონ II-თან გაიქცა და ტახტის დაბრუნებისთვის ბრძოლის გაგრძელებას მისი დახმარებით ცდილობდა.[9] 1804 წელს იულონი მთიულეთის ავჯანყებაში ჩაბმის მიზნით ქართლში დაბრუნდა, მაგრამ დააპატიმრეს და მომდევნო წელს რუსეთში გადაასახლეს. გადასახლების შემდგომ პოლიტიკური აქტივობით აღარ გამოირჩეოდა, ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც 1827 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში სხვა ქართველ ბატონიშვილებთან ერთად.

* * *

წარმოდგენილი ისტორიული დოკუმენტი იულონ ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების საკითხებს ეხება. საიმპერატორო კარი, ბუნებრივია, მის პერსონას დიდ ყურადღებას უთმობდა, რაც დასტურდება ჩვენს მიერ მოტანილი საბუთითაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენს იმპერატორ ალექსანდრე I-ის საიდუმლო წერილს.

წერილი დაწერილია სანკტ-პეტერბურგში და თარიღდება 1805 წლის 11 აპრილით. წერილი დამოწმებულია იმპერატორის ხელრთვით. წერილს კიდეზე აქვს მინაწერი: „საიდუმლოდ“. ალექსანდრე I-ის ადრესატია სახელმწიფო მრჩეველი, ტულის სამოქალაქო გუბერნატორი ივანოვი. წერილში აღნიშნულია:

[9] მ. დუმბაძე. ბრძოლა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 833-834.

„ბატონ ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს,
ტულის სამოქალაქო გუბერნატორს ივანოვს

საქართველოს მთავარმართებელმა თავადმა ციციანოვმა ტულაში გამოაგზავნა ჩვენდამი არაკეთილგანწყობილი და საქართველოდან გადახვეწილ ქართველ უფლისწულთაგან [ერთ-ერთი] მეფის ძე იულონი, რომელიც [ამ მხარეზე] თავდასხმაში მონაწილეობისას საზღვარზე დააკავა ჩვენმა შეიარაღებულმა რაზმმა; ამის გამო თქვენ გავალებთ შემდეგს:

1. როდესაც უფლისწული თქვენამდე მოაღწევს, ჩემი სახელით გამოუცხადეთ, რომ მომავალ განკარგულებამდე ტულა იქნება მისი საცხოვრებელი ადგილი და რომ ამ ქალაქიდან არსად არ უნდა წავიდეს.

2. აცნობეთ მას, რომ მის შესანახად გაიცემა ყოველთვიურად სამასი მანეთი.

3. ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობას დაავალეთ, რომ უფლისწულის თავისუფლებები არანაირად არ შეზღუდონ, თუმცა დააწესონ მუდმივი თვალთვალი და ყოველ ორ კვირაში ერთხელ მომახსენონ მისი ცხოვრების წესისა და ქცევის შესახებ.

დაიწერა სანკტ-პეტერბურგში 1805 წლის 11 აპრილს“

როგორც ვხედავთ, იმპერატორის ბრძანებით ბატონიშვილს ენიშნება ყოველთვიური თანხა – პენსია. ამავე დროს, მას გარკვეული თავისუფლებაც ენიჭება. თუმცა წესდება მის მიმართ მუდმივი თვალთვალი. დაპატიმრებულ იულონ ბატონიშვილის საკითხს იმდენად დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა იმპერატორი, რომ მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე თავად აწესებდა კონტროლს.

აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად ჩანს რუსეთის საიმპერატორო კარის ზოგადი დამოკიდებულება ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებისადმი, რომ ეს დამოკიდებულება იყო მკაცრი და ყოველი საკითხი წყდებოდა არა ადგილობრივ ბიუროკრატიული აპარატის მიერ, არამედ იმპერატორის დონეზე.

Секретно
Господину Дѣйствительному Статскому Совѣтнику,
Тульскому Гражданскому Губернатору Иванову

Между грузинскими царевичами, не благонамѣренность открыто показавшими и Грузію оставившими, Царевичь Иулонъ, бывъ при покушеніяхъ его на оную отрядомъ войскъ нашихъ на границахъ захваченъ, имѣетъ быть отправленъ главноуправляющимъ Грузіею княземъ Циціановымъ въ Тулу; въ слѣдствіе чего я поручаю вамъ къ исполненію слѣдующее:

1. Когда Царевичь сей на мѣсто прибудетъ, вы объявите ему моимъ именемъ, что Тула назначается впредь до повелѣнія моего мѣстомъ его жительства, и что изъ города сего отлучаться онъ не долженъ.

2. Сообщить ему, что на содержаніе его будетъ отпускаемо по три ста рублей въ мѣсяцъ.

3. Мѣстному полицейскому начальству предписать, чтобъ не стѣсняя отнюдь свободы его, имѣло однакожъ оно за нимъ надзоръ, и каждый двѣ недѣли доносить мнѣ о образѣ его жизни и поведенія.

Въ Санктпетербургѣ Апрѣля, 11го дня 1805 года.

Александр [подпись]

ბატონ ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს,
ტულის სამოქალაქო გუბერნატორს ივანოვს

საქართველოს მთავარმართებელმა თავადმა ციციანოვმა ტულაში გამოაგზავნა ჩვენდამი არაკეთილგანწყობილი და საქართველოდან გადახვეწილ ქართველ უფლისწულთაგან [ერთ-ერთი] მეფის ძე იულონი, რომელიც [ამ მხარეზე] თავდასხმაში მონაწილეობისას საზღვარზე დააკავა ჩვენმა შეიარაღებულმა რაზმმა; ამის გამო თქვენ გავალებთ შემდეგს:

4. როდესაც უფლისწული თქვენამდე მოაღწევს, ჩემი სახელით გამოუცხადეთ, რომ მომავალ განკარგულებამდე ტულა იქნება მისი საცხოვრებელი ადგილი და რომ ამ ქალაქიდან არსად არ უნდა წავიდეს.

5. აცნობეთ მას, რომ მის შესანახად გაიცემა ყოველთვიურად სამასი მანეთი.

6. ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობას დაავალეთ, რომ უფლისწულის თავისუფლებები არანაირად არ შეზღუდონ, თუმცა დააწესონ მუდმივი თვალთვალი და ყოველ ორ კვირაში ერთხელ მომახსენონ მისი ცხოვრების წესისა და ქცევის შესახებ.

დაიწერა სანკტპეტერბურგში 1805 წლის 11 აპრილს
ალექსანდრე [იმპერატორის ხელრთვა].

Секретно.

Господину Дѣйствительному Статскому Совѣтнику Тульскому Гражданскому Губернатору Иванову.

Между Грузинскими Царевичами, не благонамѣренность открыто показавшими и Грузію оставившими, Царевичь Гуронъ, бывъ при покушеніяхъ его на оную отрядомъ Войскъ Нашихъ на Границахъ Закавказскихъ, имѣетъ быть отправленъ благоизволяющимъ Грузіею Княземъ Цицціановымъ въ Тулу; въ слѣдствіе чего я поручаю вамъ къ исполненію слѣдующее:

1) Когда Царевичь сей на мѣсто прибудетъ, Вы объявите ему Моимъ Именемъ, что Тула назначается впредь до повелѣнія Моего мѣстомъ его жительства, и что изъ Города сего отлучаться онъ не долженъ.



2/ Сообщить ему, что на содержаніе его будетъ отпускаемо по три ста рублей въ мѣсяцъ.

3/ Мѣстному Полицейскому Начальству предписать, чтобъ не стѣснялъ отнюдь свободы его, имѣя однакожъ оно за нимъ надзоръ, и каждыя двѣ недѣли доносить мнѣ о образѣ его жизни и поведеніи.

Въ Санктпетербургѣ Апрѣля, 11го дня 1805 года.

Александръ

Пріняла В. Ружина

Apolon Tabuashvili,
Giorgi Zhuzhunashvili

LETTER OF ALEXANDER I, EMPEROR OF RUSSIA

Summary

After abolishment of Kartl-Kakheti kingdom by the Russian Empire, it was decided to exile the members of the Bagrationi royal family from Georgia, as they continued fight for independence. Among them was Yulon Bagrationi, son of Erekle, who was considered as one of the main candidates to the throne of Kartl-Kakheti kingdom. Yulon Bagrationi was very active against the Russians. Then he went to Solomon II, king of Imereti, and with his assistance he tried to fight back the throne. In 1804 Yulon returned to Kartli to join the rebellion of Mtiuleti. He was arrested and exiled to Russia. There he was under strict control. One document transferred to the National Centre of Manuscripts (Tbilisi) in the beginning of 2013, a secret letter of emperor Alexander I, deals with this issue.

The letter written in St. Petersburg is dated by April 11, 1805. The letter has emperor's signature. The recipient is Ivanov, state counsellor, civil governor of Tula. Emperor informs the governor that soon prince Yulon will be in Tula and gives him respective orders:

I. to declare to prince Yulon that his dwelling place will be Tula until the next order and they prohibit him to leave the city;

II. to give him monthly salary of three hundred rubles;

III. the local police authorities are ordered not to restrict freedom of the prince. However, they have to watch him and report the emperor about his lifestyle and behavior once every two weeks.

So, prince Yulon was so important that the emperor himself imposed control on his daily life. This document clearly shows general attitude of the Russian imperial court towards the Georgian princes.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ოთარ გოგოლიშვილი

ეროვნული მოძრაობისა და სოციალური მდგომარეობის გავლენა ბათუმის ოლქის სტატუსის შეცვლაზე (1900-1904 წლები)

XX საუკუნის დასაწყისში მომწიფდა საკითხი ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიიდან გამოყოფისა და ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების შესახებ. მართალია, ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულად აღდგენის საკითხი მოგვიანებით განხორციელდა, მაგრამ ამის შესრულება სურდათ ჯერ კიდევ 1900 წელს. ამაზე მეტყველებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი წერილი, გამოგზავნილი პეტერბურგიდან თბილისში 1901 წლის 24 აპრილს: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებთ, რომ ბათუმიდან ჩვენთან მოდის მეტად შემაძრწუნებელი ამბები. იქ ძალადობასა და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას საზღვარი არ აქვს. თანაც თქვენთვის ისიც არის ცნობილი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩვენი იმპერიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და სტრატეგიულად სასიცოცხლო მხარეს. ამიტომ, ჩვენთვის ყოვლად მოუთმენელია ამ კუთხის აგრე უყურადღებოდ მიტოვება. ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობა სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს ამ მიმართულებით. გუბერნიის ხელმძღვანელობას ვერ გაუთავისებია ის მნიშვნელობა, რომელსაც ბათუმის ოლქი წარმოადგენს ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და როდესაც დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იცავს მათ ინტერესებს, შესაძლებელია ზურგი გვაქციოს და ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადოს. ეს კი ჩვენთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი. ამიტომ, გთხოვთ დაიწყოთ ფიქრი, რომ ბათუმის ოლქი გამოვიდეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან და ჩამოყალიბდეს ცალკე დამოუკიდებელ გუბერნიად, რომელიც დაგემორჩილებათ უშუალოდ თქვენ და ასევე მის იმპერატორობით უდიდებულესობას... გთხოვთ, თქვენმა დაქვემდებარე-

ბულმა სამსახურებმა მოამზადოთ ყოველი საჭირო დოკუმენტი აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად. გთხოვთ, ნუ დააგვიანებთ პასუხს და გადაწყვეტილების შესახებ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კანცელარია საქმის კურსში ჩააყენეთ"[1], როგორც ამ მეტად საყურადღებო დოკუმენტიდან ჩანს, იმის შიშით, რომ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას ზურგი არ ექცია მთავრობისათვის და მფარველი სხვაგან არ ეძებნა, იმპერიის ხელისუფლება მოითხოვდა ბათუმის ოლქის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბებას და ავალებდა კავკასიის მეფისნაცვალს, დაეწყო მოქმედება. მართლაც, შემდგომი მიმოწერიდან ჩანს, რომ დაიწყო მუშაობა, მაგრამ იმხანად ამის განხორციელება შეუძლებელი იყო, რადგან ჯერ კიდევ მოსაგვარებელი დარჩა ბევრი ისეთი საკითხი, რაც დროს მოითხოვდა[2]. პეტერბურგის საიმპერატორო კარი კი ჩქარობდა. 1901 წლის მაისის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალმა თბილისში დაიბარა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი და გააცნო პეტერბურგის სურვილი ბათუმის ოლქის სტატუსის შეცვლის შესახებ და ამ საკითხზე წინადადების წარმოდგენა მოსთხოვა. მეფისნაცვალმა გუბერნატორს დაავალა ბათუმის ოლქში წესრიგის დამყარება. ამ შეხვედრას შედეგად ის მოჰყვა, რომ 1901 წლის 22 მაისს ბათუმში შეიყვანეს კაზაკთა პოლკის კიდევ რამდენიმე დამატებითი ერთეული, პოლიციას დაურიგეს იარაღი, ჯარს დაავალეს პოლიციასთან ერთად პატრულირება, ბათუმის მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრის კომენდატს სთხოვეს უშუალოდ ეხელმძღვანელა ქალაქში წესრიგის დამყარებისათვის. ამ ღონისძიებებს გარკვეული შედეგი მოჰყვა. ჯარის ნაწილები აკავებდნენ ქუჩაში დარჩენილ უმუშევრებს და აიძულებდნენ დაეტოვებინათ ქალაქის ტერიტორია. ზოგჯერ პატრულირება მთავრდებოდა კომიტეტის წევრებთან შეტაკებით, რასაც ხშირად მსხვერპლი მოჰყვებოდა ხოლმე. ასეთი შეტაკება მოხდა 1901 წლის ივნისის დასაწყისში, რომლის დროსაც 3 კაცი მოკლეს.

1901 წლის ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოვიდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი იოსებ ჯუღაშვილი. არც მისი ჩამოსვლა დარჩენია პოლიციას შეუმჩნევლი. იოსებ ჯუღაშვილი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ბათუმელ სოციალ-დემოკრატებს. ი. ჯუღაშვილის პოპულარობა თანდათანობით მატულობდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით როტ-

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიული არქივი (სცსა). ფ. 1431. აღწ. 12. საქ. 251. ფურც. 7-8.
[2] სცსა. ფ. 1431. აღწ. 12. საქ. 251. ფურც. 24.

შილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშებში. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ „შეშფოთდნენ“ სხვა სოციალ-დემოკრატები. განსაკუთრებით არ მოეწონათ იოსებ ჯუღაშვილის აქტიურობა კ. ჩხეიძეს, ი. რამიშვილს და ბ. სოღორაშვილს. დაიწყო მათ შორის ნამდვილი ბრძოლა. კ. ჩხეიძე ცდილობდა ინტელეგენცია აემხედრებინა ჯუღაშვილის წინააღმდეგ. ამ მიზნით კ. ჩხეიძე და ი. რამიშვილი ეწეოდნენ მის წინააღმდეგ აგიტაციას და მსმენელებს მოუწოდებდნენ არ მოესმინათ მისთვის, ხოლო ბ. სოღორაშვილი სპეციალურად მივიდა როტშილდის ქარხანაში და მუშებს უთხრა, რომ არ დასწრებოდნენ ამ კრებებს, რომელსაც ი. ჯუღაშვილი ჩაატარებდა. ეს ყველაფერი კარგად იცოდა თვით ი. ჯუღაშვილმა. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ი. ჯუღაშვილი ყოფილა უმოქმედოდ. მან შესანიშნავად იცოდა, თუ რა ინტრიგების ქსელი იხვეოდა მის ირგვლივ და თავადაც ამოქმედდა. მისმა აქტიურობამ შედეგი გამოიღო. მას ბათუმში გაუჩნდა მომხრეთა გარკვეული ნაწილი. ჯუღაშვილი განსაკუთრებით დაუახლოვდა როტშილდის ქარხნის მუშებს სილიბისტრო ლომჯარიას და მაჰმადიან ქართველ ოსმან გურგენიძეს. უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი. როდესაც, 1901 წლის 11 დეკემბერს ბ. სოღორაშვილი, ნ. კილაძე, ვ. მელია ატარებდნენ ერთ-ერთი მუშის, კერძოდ, გერმანე თავართქილაძის ბინაში თათბირს და აუგად მოიხსენიებდნენ ი. ჯუღაშვილს, ფეხზე წამოდგა ოსმან გურგენიძე და მათ უწოდა დეზინფორმატორები, რომელთაც ხალხი შეცდომაში შეჰყავდა, რადგან ი. ჯუღაშვილი მგზნებარე რევოლუციონერი და მებრძოლიაო. ოსმან გურგენიძეს მხარი სხვებმაც აუბეს და მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს თავართქილაძის ბინა. თავის მხრივ კი ი. ჯუღაშვილი ხშირად დადიოდა ს. ლომჯარიას სახლში და იქ ხვდებოდა აქტივისტებს, ძირითადად, როტშილდის ქარხნის მუშებს. ასეთი შეკრება გაიმართა 1901 წლის 25 დეკემბერს, სადაც ისაუბრეს სოციალურ საკითხებზე. 1901 წლის 31 დეკემბერს ს. ლომჯარიას სახლში გაიმართა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ შექმნილიყო გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი,[3] ხოლო 1902 წლის 14 იანვარს კვლავ შედგა შეკრება, რომელმაც საბოლოოდ დაადგინა, რომ გაერთიანებულ კომიტეტს ხელში უნდა აეღო ბათუმში მთელი რევოლუციური მუშაობის ორგანიზაცია.[4] ამ სხდომის შესახებ საკმაო ინფორმაცია ჰქონდათ სოციალ-დემოკრატების მეორე დაჯგუფებას კ. ჩხეიძისა და ბ. სოღორაშვი-

[3] აჭარის ცენტრალური არქივი (აცსა). ფ. 1. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 11.
[4] აცსა. ფ. 1. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 16.

ლის მეთაურობით. მათ, რა თქმა უნდა, უარყვეს 1902 წლის 14 იანვრის ყველა გადაწყვეტილება და სოციალ-დემოკრატებს მოუწოდეს გამიჯნოდნენ მათ. დაპირისპირებამ მათ შორის საკმაოდ შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო და არ იყო გამორიცხული, რომ პოლიცია საბოლოოდ მიაგნებდა კონსპირაციულ ბინას, რადგან პოლიციის ინფორმატორები საკმაოდ მოიძებნებოდნენ თვით სოციალ-დემოკრატებში. ამის გამო ი. ჯუღაშვილი, კონსპირაციის მიზნით გადავიდა სოფელ მახმუდიეში და დასახლდა იქაური გლეხის ხაშიმ სმირბას სახლში. აქვე გადაიტანეს სტამბა. რადგან ი. ჯუღაშვილს არ შეეძლო ბათუმში თავის თანამოაზრეებთან დაკავშირება, ამას ის ახერხებდა ხ. სმირბას საშუალებით. კერძოდ, ხაშიმს კალათით სავსე ხილი ჩამოჰქონდა ბათუმში გასაყიდად. იქვე, კალათში ეწყო პროკლამაციები და სწორედ ამ პროკლამაციებს ურიგებდა ის მუშებს.[5]

1902 წლის თებერვალში მოეწყო როტშილდის ქარხნის მუშების გაფიცვა. გაიფიცა ყველა მუშა. ქარხნის დირექცია საგონებელში ჩავარდა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დრიაგინი სპეციალურად ჩამოვიდა ბათუმში და დააპატიმრა მასთან მოსალაპარაკებლად მისული მუშები. მალე დაპატიმრებულმა რიცხვმა 300-ს გადააჭარბა. დაპატიმრებულები მოათავსეს ე.წ. ბათუმის გამანაწილებელ ყაზარმებში. ამ ფაქტს მიეძღვნა 1902 წლის 3 მარტს სოციალ-დემოკრატების სხდომა. ამ სხდომაზე, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გადაწყვიტეს დელეგაცია გაეგზავნათ გუბერნატორთან დაპატიმრებულების გათავისუფლების მოთხოვნის ულტიმატუმით. დელეგაციას შორის იყო მაჰმადიანი ქართველი ოსმან გურგენიძე, ისიდორე ჭანიშვილი, იასონ გოგიბერიძე, ივანე გამრეკელიძე და სხვები. მოლაპარაკების დროს გენერალმა დრიაგინმა ი. ჭანიშვილს სახეში შეაფურთხა და ბრძანა ყველას დაპატიმრება. დაპატიმრების დროს ივანე გამრეკელიძემ სცადა ხელიდან დასხლტომოდა ჯარისკაცებს და გაქცეულიყო, მაგრამ მას ესროლეს და ფეხში დაჭრეს. დაპატიმრებულები შეყარეს სხვებთან ერთად ყაზარმაში. ამ ფაქტის გამო 1902 წლის 6 მარტს კვლავ გაიმართა სოციალ-დემოკრატების სხდომა. აქ მიიღეს დადგენილება, რომ ჩაეტარებინათ გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ბათუმის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშა. 7 მარტს ბათუმში, ბარცხანის მუშათა დასახლებაში, რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა პოლიციელებს, რასაც მოჰყვა პოლიციელთა მხრიდან ხალხის დარბევა. პოლიციელებმა არ დაინდეს ქალებიც.

[5] აცსა. ფ. 1. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 26.

ამ ფაქტმა აღაშფოთა მოსახლეობა. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს სოციალ-დემოკრატებმა. მომდევნო დღეს, 8 მარტს, ქუჩაში გამოვიდა თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა. ჯერ ქალაქის ცენტრში გამართეს მიტინგი, შემდეგ კი დაიძრნენ გამანაწილებელ ყაზარმებისაკენ, მაგრამ აქ მათ გზა გადაუღობეს კაზაკებმა და ჯარისკაცებმა. ხალხის შესაშინებლად მათ ჰაერში გაისროლეს, შემდეგ კაზაკები დაერივნენ შეკრებილებს და კონდახების ცემით დაშალეს. ხალხი მიხვდა, რომ მათ კაზაკები არ დაინდობდნენ და დაიწყეს უკან დახევა. გამანაწილებელი ყაზარმები ალყაში მოაქცია ჯარის ნაწილებმა. იმავე დღეს, 8 მარტს, ბათუმში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ჯგუფის გაფართოებული სხდომა, რომელზეც გადაწყდა მეორე დღეს მოეწყოთ დემონსტრაცია და დაპატიმრებულები გაეთავისუფლებინათ. უნდა აღინიშნოს, რომ აქ თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ერთნი ი. რამიშვილის მეთაურობით, მოითხოვდნენ, რომ მუშებისაგან შემდგარიყო დეპუტაცია, რომელიც დაავალებდა ქალაქის თავს ეშუამდგომლა გუბერნატორის წინაშე, რათა მას დაპატიმრებულები გაეთავისუფლებინა. სხდომის მონაწილეთა ერთ ნაწილს, მართლაც, ჭკუაში დაუჯდა ეს და მოითხოვეს სასწრაფოდ შეედგინათ დეპუტაცია, მაგრამ მეორე ნაწილის, თანაც დიდი უმრავლესობის, დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ დემონსტრაციის საშუალებით აეძულებინათ მთავრობა დაპატიმრებულები გაეთავისუფლებინა. სხდომაზე იყო გაფრთხილება, სანდო პიროვნებისაგან იყო ცნობა იმის შესახებ, რომ შემოყვანილია კაზაკების დამატებითი ძალები და შესაძლებელია მათ იარაღიც კი გამოეყენებინათ მუშების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა სხდომის მონაწილეებისათვის უნდა მიეწოდებინა დავით კლდიაშვილს. მართალია, თავის მემუარებში ის ამის შესახებ არაფერს არ ამბობს, მაგრამ არსებობს 9 მარტის დემონსტრაციის მონაწილე ბათუმელი მუშების, თ. ბერაძის და ნ. გიორგაძის მოგონებები, სადაც საუბრობენ რა 9 მარტის სისხლისღვრის შესახებ, სინანულით ამბობენ, რომ ხელმძღვანელებმა, რომლებიც შეტაკების დროს რატომღაც არ ჩანდნენ, არ გაითვალისწინეს ქართველი კაპიტნის გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იყო მთავრობას იარაღი ეხმარა. შესაძლებელია, ეს გაეკეთებინა სხვა ვინმე ქართველ კაპიტანს, მაგრამ გვგონია, ეს მაინც დ. კლდიაშვილი იყო.

სხდომის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა იმათ, ვინც ასე დაჟინებით, მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად მოითხოვდა დემონსტრაციის მოწყობას. თავის მხრივ,

მათ საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა.

მეორე დღეს, 9 მარტს, იმავე ყაზარმებს მიადგა მუშების დიდი ნაწილი. გენერალმა ვ. დრიაგინმა მათ მოსთხოვა, რომ თუ არ დაიშლებოდნენ, ძალას გამოიყენებდა. გაიგეს რა, რომ ხალხი მათ გასათავისუფლებლად მოვიდა, ყაზარმებში მყოფმა დაპატიმრებულმა მუშებმა ხმაური ატეხეს. მთელი ძალით აწვებოდნენ კარებს. მათ შეძლეს კარების ჩამტვრევა და გარეთ გამოსვლა. გამოსულები მიაწყდნენ ჭიშკარს და დაიწყეს ღობეზე ასვლა, გარეთ მდგომი ხალხი მთელი ძალით მიაწყდა ჯარისკაცებს და მოინდომა შიგნით მყოფთა მიშველება. შეიქმნა სახიფათო სიტუაცია. ხალხის შესაშინებლად ჯარისკაცებმა ჯერ ჰაერში გაისროლეს, ხოლო შემდეგ, როდესაც შეიტყვეს, რომ მდგომარეობა კონტროლიდან გამოდიოდა, ღობეზე ამძვრალთ პირდაპირ ესროლეს. ამის შემდეგ ბევრი მოკლეს, უამრავი დაიჭრა.[6] შეშინებული ხალხი უკან გაიქცა. მათ ფეხდაფეხ დაედევნენ კაზაკები და ბევრი მათგანი სასტიკად სცემეს. მაგალითად, ცემის დროს კაზაკებს შემოაკვდათ მუშა ალექსანდრე კოხრეიძე, ხოლო მოგვიანებით გარდაიცვალა სომეხი მუშა გევორქ მინასიანი. გამანაწილებელ ყაზარმებთან ხოცვა-ჟლეტის ამბავი მთელ ქალაქს მოედო. 10 მარტს ქალაქის ცენტრში კვლავ გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც სიტყვით გამოსულებმა დაგმეს მთავრობის მოქმედება და შურისძიებისაკენ მოუწოდეს ხალხს. 10 მარტს ქალაქ ბათუმში, გენერალ დრიაგინის ხელმოწერით გამოიცა ბრძანება ქალაქში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ბრძანების მიხედვით, სასტიკად აიკრძალა მიტინგები, დემონსტრაციები, საღამოს ქუჩაში სიარული და სხვა.[7] დაიწყო რეპრესიები, დააპატიმრეს 200 კაცი. მუშათა დასახლება საშინლად დაარბიეს.

დააპატიმრეს ბათუმის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა უმრავლესობა, მოგვიანებით კი თვით იოსებ ჯუღაშვილი. მაგრამ ვერც ამ მოქმედებებმა დააშინა ხალხი.

გარდაცვლილი მუშების დასაფლავებაში 12 მარტს მონაწილეობა მიიღო მთელმა ქალაქმა, მაგრამ ჯარის ნაწილებმა დასაფლავებიდან უკან დაბრუნებულებს არ მისცეს მიტინგის ჩატარების უფლება. რეპრესიები გრძელდებოდა, კიდევ 300 კაცი ძალის გამოყენებით გაასახლეს ბათუმიდან. 1902 წლის 9 მარტს ამბავი ცნობილი გახდა პეტერბურგში. ამ ფაქტმა ახალი ძალით წამოატივტივა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის საკითხი. იმპერა-

[6] აცსა. ფ. 1. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 44.
[7] აცსა. ფ. 1. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 51.

ტორის კანცელარიიდან კავკასიის მეფისნაცვალს შეატყობინეს, რომ: „როგორც ჩანს, თქვენ ვერ მოიმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება იმის საბაბი, კვლავ გადაიდოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი დროის მოგების მიზეზით. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის თაობაზე და ამის შემდეგ, დაელოდეთ ჩვენს ბრძანებას ამის შესახებ“.[8]

ასევე პეტერბურგიდან კავკასიის მეფისნაცვალს საყვედურობდნენ იმის გამო, რომ ბათუმის პოლიცია მხოლოდ და მხოლოდ „ტუზემცებით“ არის დაკომპლექტებული, ამიტომაც მოხდაო ასეთი სავალალო შემთხვევა 9 მარტს. როგორც ჩანს, „ტუზემცებმა“ საერთო ენა გამონახეს დანაშაულებრივ კომიტეტებთან და მისცეს მათ აღვირახსნილ საქმიანობის საშუალება, ეს კი თქვენ რატომღაც მხედველობიდან გამოგრჩათ, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს ბათუმის პოლიცია „ტუზემცებისაგან“ და მათ ნაცვლად სამსახურში მიღებული უნდა იყვნენ მხოლოდ რუსები.[9] პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილის საპასუხოდ კავკასიის მეფისნაცვალმა სასწრაფოდ მოიწვია სხდომა, სადაც დაავალა სხდომის მონაწილეებს დაუყოვნებლივ შეედგინათ ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გამოყოფის პროექტი. 1902 წლის 21 მაისს მეფისნაცვალს წარუდგინეს პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გამოყოფის შესახებ. მეფისნაცვალმა ეს პროექტი მოიწონა, მაგრამ არ დაეთანხმა მხოლოდ ერთ მოსაზრებას იმაზე, რომ ბათუმის პოლიცია რჩებოდა ქუთაისის გუბერნიის პოლიციის სამმართველოს დაქვემდებარებაში, რადგან მას სურდა, რომ ბათუმში შექმნილიყო ცალკე პოლიციის სამმართველო. ის დაარწმუნეს იმაში, რომ უმჯობესი იყო პოლიცია დარჩენილიყო ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო ბათუმის ოლქში კი პოლიციურ ზედამხედველობას განახორციელებდა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოიწონეს თვით პეტერბურგში. 1902 წლის 10 აგვისტოს მეფისნაცვალმა მიიღო საბოლოო პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გამოყოფის შესახებ და ის დასამტკიცებლად წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს. სახელმწიფო საბჭოზე, მართალია, გაიმართა დიდი კამათი, მაგრამ მაინც მოიწონეს პროექტის

[8] სცსა. ფ. 1226. აღწ. 12. საქ. 114. ფურც. 205.
[9] სცსა. ფ. 1226. აღწ. 12. საქ. 114. ფურც. 207-208.

წარმოდგენილი ვარიანტი. ამის შემდეგ ეს პროექტი გაიგზავნა პეტერბურგში. აქ რამდენიმე თვის განმავლობაში იხილავდნენ ამ საკითხს და ბოლოს 1903 წელს გამოიცა იმპერატორის ბრძანება ბათუმის ოლქის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად – გუბერნიად ჩამოყალიბების შესახებ.[10]

ბათუმის ოლქის დამოუკიდებელ გუბერნიად ჩამოყალიბებას იმპერიის მხრიდან შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა. იმპერიის მესვეურები, შეშფოთებული იმით, რომ ბათუმში თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მთავრობისადმი „არასაიმედო“ მასამ, ცდილობდნენ ბათუმის ოლქი გადაექციათ რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარების ეპიცენტრად. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, მთავრობისათვის არასასურველი პირების ბათუმიდან გასახლება. ამის თაობაზე ბათუმის ოლქის ახლდადანიშნულ სამხედრო გუბერნატორს, გენერალ ვ. დრიაგინს არაერთი წერილი მოუვიდა, როგორც იმპერატორის კანცელარიიდან, ასევე პირადად კავკასიის მეფისნაცვალიდან, სადაც მას ავალებდნენ „თავიდან მოეშორებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასა, რადგან ისინი არაკეთილ საიმედო გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ მორჩილ მაჰმადიან მოსახლეობაზე“, ასევე იყო გამაფრთხილებელი შეტყობინებები იმის თაობაზე, რომ გუბერნატორს მოეხდინა ზეწოლა ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელებზე, რომ მათ სამუშაოდ არ მიეღოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხალხი. ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს ავალებდნენ, მათ ნაცვლად სამუშაოზე აეყვანათ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსული ადამიანები. ამის გამო, 1903 წლის მაისში ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდა კავკასიის ფაბრიკა-ქარხნების ზედამხედველი. 1903 წლის 27 მაისს გენერალმა დრიაგინმა გამართა საიდუმლო თათბირი, სადაც სწორედ ზემოთ ნახსენებ საკითხებზე იმსჯელეს. აქ მანთაშევის ქარხნის დირექტორმა წამოაყენა მოსაზრება, სომეხი მუშების ჩამოსახლების თაობაზე, რადგან სომხები გამოირჩევიან კეთილგანწყობით რუსული ხელისუფლებისადმი და მათი ჩამოსახლება ხელსაყრელიც კი იქნება მთავრობისთვისო. ეს მოსაზრება მოიწონეს, თუმცა ამ სხდომაზე როტშილდის ქარხნის დირექტორმა, ფრანგმა გონმა, უკმაყოფილება გამოთქვა მთავრობის ასეთი ანტიქართული პოზიციის გამო, რადგან, მისი თქმით, „ქართველები კეთილსინდისიერი მუშები არიან“, ფრანგ გონს თავს დაესხნენ სამხედრო გუბერნატორი დრიაგინი და მისი თანაშემწე მორდიუკოვი, რომლებმაც

[10] სცსა. ფ. 1226. აღწ. 12. საქ. 114. ფურც. 218.

გაჰკიცხეს ის „საქმისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის გამო“ და მას აუხსნეს, რომ ბათუმის ოლქი უშუალოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და აქ უცხოელების პოზიცია ნაკლებად გასათვალისწინებელიაო. აქვე გადაწყვიტეს, რომ ბათუმის ოლქის ხელისუფლებას ემოქმედა „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით“.[11] გუბერნატორმა დრიაგინმა დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წინააღმდეგ. ამის გამო მან არაერთი თათბირი მოიწვია, სადაც დავალებები მიეცათ ბათუმის ოლქში შემავალი ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ხელმძღვანელებს, ასევე სამართალდამცავი ორგანოების უფროსებს, რათა გამოეჩინათ მათ მეტი სიმკაცრე და დაუნდობლობა. გუბერნატორი გააფრთხილეს, რომ საჭირო სიფრთხილით მოკიდებოდა რუსეთის შიგა გუბერნიიდან ხალხის ჩამოსახლებას, რადგან შესაძლებელია ჩამოსახლებულებს შორის ყოფილიყვნენ „ბუნტოვშჩიკები“ და არაკეთილსაიმედო პირები. ეს გაფრთხილება გაითვალისწინეს და გადაწყვიტეს, რომ თითოეულ ჩამოსულ პირზე მისი ყოფილი საცხოვრებელი ადგილიდან გამოეთხოვათ მონაცემები მათი კეთილსაიმედობის შესახებ.

უკვე 1903 წლის ზაფხულისათვის ჩამოასახლეს 400-მდე ადამიანი. ასევე გააქტიურდნენ სომხები. მათი წარმომადგენლები დადიოდნენ მთელ კავკასიაში, ასევე სხვაგანაც და აიძულებდნენ სომხებს წასულიყვნენ ბათუმში. ბათუმში სპეციალურად გაიხსნა მათთვის დროებით თავშესაფრები და უფასო სასადილოები. ბათუმში მყოფი ყოველი სომეხი ვალდებული იყო, ჩამოსული თანამოძმეებისათვის გაემართა ხელი და დახმარებოდა. ამ მოწოდებას შედეგად ის მოჰყვა, რომ 1903 წლის ნოემბრისათვის ბათუმის ოლქში ჩამოვიდა 600-მდე სომეხი. სომხების ბათუმში დამკვიდრებას ყოველნაირად უწყობდა ხელს სომხური ნაციონალისტური პარტია „დაშნაკცუტუნი“. ეს პარტია აფრთხილებდა სომხებს, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ ქართველი ნაციონალისტების მიერ მოწყობილ არც ერთ ღონისძიებაში და არ გამოსულიყვნენ მთავრობის წინააღმდეგ, რადგან მთავრობა კეთილგანწყობით გამოირჩევა ყოველი სომეხისადმი. ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო მათი ჩამოსახლებით, როგორც გუბერნატორი აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს, „სომხები დასაყრდენი არიან ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველადო“,[12] თუმცა იმავე გუბერნატორს აფრთხილებდნენ, რომ შეემ-

[11] სცსა. ფ. 13. აღწ. 1. საქ. 122. ფურც. 66–67.
[12] სცსა. ფ. 13/ა. აღწ. 1. საქ. 122. ფურც. 81.

ცირებინა სომხების ჩამოსახლება, რადგან სომხებს აქვთ შორს მიმავალი ნაციონალისტური მიზნები და შესაძლებელია მათი ასეთი დიდი რაოდენობით ზღვისპირა მხარეში ჩამოსვლამ, მომავალში სირთულეები გამოიწვიოსო. მაგალითად, როტმისტრი როჟანოვი სამხედრო გუბერნატორის სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში აღნიშნავდა: „როგორც მისთვის პარტია „დაშნაკცუტუნის“ წევრებიდან გახდა ცნობილი, სომხები ცდილობენ შექმნან თავისანთი ნაციონალისტური სახელმწიფო და ამ მიზნით იმ ადგილებში, სადაც ისინი მჭიდროდ არიან დასახლებულნი, აგზავნიან თავიანთ ემისრებს და ხალხს ამ მიზნის განხორციელებისაკენ მოუწოდებენ. თანაც, ეწევიან სომხებში იარაღის ტრანსპორტირებას. ამიტომ აუცილებელია მკაცრი ზედამხედველობა, მათი ბათუმში ჩამოსახლების შეზღუდვა და მათ ნაცვლად რუსების ჩამოსახლების გაძლიერება“.[13]

რუსების ინტერესების დასაცავად ბათუმის ოლქის სამხედრო ხელმძღვანელობამ 1904 წლისათვის შექმნა ე.წ. ორგანიზაცია „რუსი ხალხის კავშირი“. ეს იყო ტიპური ნაციონალისტურ-შოვინისტური კომიტეტი, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ სამხედროები, რუსი ჩინოვნიკები. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ბათუმის ოლქის გადაქცევა რუსეთის ტიპურ მხარედ და მათ ამ მიზნის განხორციელებაში მხარში ამოუდგა ბათუმის ოლქის სამხედრო ხელმძღვანელობა. ორგანიზაციის წევრები მიდიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და ძალით ავალებდნენ ხელმძღვანელებს, სამუშაოზე დაუყოვნებლივ მიეღოთ რუსეთის გუბერნიებიდან ჩამოსული ხალხი და მათთვის შეექმნათ კარგი პირობები. ასევე, ბათუმის საზღვაო პორტის ხელმძღვანელს ავალებდნენ, რომ გემების დაცლა განეხორციელებინა მხოლოდ რუს მუშებს, ხოლო პოლიცია ვალდებული იყო დაეცვა ისინი „ტუზემცებისაგან“. „რუსი ხალხის კავშირს“ მხარში ედგა ებრაელთა ორგანიზაცია „ბუნდი“, რომელიც ასევე მთავრობის მიერ იყო შექმნილი და მის მხარდამჭერს წარმოადგენდა. ბათუმში მცხოვრები ებრალებიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ქართველი ებრაელები მონაწილეობას არ ღებულობდნენ „ბუნდის“ საქმიანობაში. მათი უმრავლესობა იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იყვნენ აგრეთვე ფედერალისტური პარტიის წევრებიც. სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი 1904 წლის 20 მაისს შეტყობინებაში გუბერნატორისადმი, რომელშიც საუბარია რა „ბუნდის“ საქმიანობაზე, აღნიშნულია, რომ ქართველი ებრაელები არ

[13] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №2. საქ. 258, ფურც. 7.

არიან ამ პარტიაში გაერთიანებულნი. ამ ორგანიზაციაში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ რუსი და სხვა ეროვნების ებრაელები. ამ ორგანიზაციებმა არა ერთი ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს, სადაც ბათუმის მცხოვრებლებს აგრძნობინეს, რომ ქალაქში „ხელისუფლებას ისინი წარმოადგენდნენ და არავის აპატიებდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების შელახვას“.[14]

მიუხედავად რუსების ასეთი გააქტიურებისა, ბათუმის ოლქში ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო „ქართული ნაციონალური სულის აღმოფხვრა“. მთავრობამ ასევე ვერ შეძლო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის საქმიანობის დათრგუნვა. 1904 წელს კომიტეტმა გადაწყვიტა ბათუმის ოლქის სოფლებში გასულიყო და გლეხობაში ფართო ახსნა-განმარტებითი სამუშაოები ჩაეტარებინა. მართლაც, კომიტეტის წევრები გავიდნენ სოფლებში, თუმცა ასეთ გასვლას ზოგჯერ წარმატებები არ მოჰქონდა. ხელისუფლება იმას უფრთხოდა, რომ გლეხები არ აბუნტებულიყვნენ, რომ მათ არ გამოეთქვათ სურვილი ქალაქში ჩამოსვლისა და ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის დაწყებისა. კომიტეტის წევრები სწორედ ამ მიმართულებით უტარებდნენ აგიტაციას. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ქართველი მაჰმადიანებიც, რომლებიც სოფლის მცხოვრებლებს ეუბნებოდნენ, რომ ჩასულიყვნენ ქალაქში და მუშაობა დაეწყოთ ქარხნებში. შეშინებული ასეთი აგიტაციით, ზემო აჭარიდან მთავრობას აცნობებდნენ, რომ „ზემო აჭარის სოფლებში გამოჩნდნენ კომიტეტის წევრები და ადგილობრივ მოსახლეობაში ატარებენ ანტისამთავრობო აგიტაციას და ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ ხალხს მათთვის არ მოესმინათ და აეძულებინათ წასულიყვნენ იქედან. ასეც მოხდა. მათი (ე.ი. კომიტეტების – ო. გ.) გააქტიურება ძალიან სახიფათოა სოფლის მცხოვრებლებისათვის, რადგან შეიძლება ამას მოჰყვეს გლეხობაში ამბოხი, ხოლო „მეამბოხენი“ ნაკლებად დასამორჩილებელნი იქნებიან, ისინი ასევე ცუდ გავლენას მოახდენენ მთიელ გლეხობაზე, რომლებიც ხელისუფლებისადმი, მორჩილებითა და ერთგულებით გამოირჩევიან. ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მათ ვერ შეძლონ ზემო აჭარაში შემოსვლა და თავიანთი დამღუპველი აგიტაციის ჩატარება“.[15]

სწორედ ეს წერილი გახდა საბაბი იმისა, რომ გუბერნატორს მოეწვია ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ხელმძღვანელები და მათთვის მიეცა

[14] სცსა. ფ. 440. აღწ. 1. საქ. 105, ფურც. 962.
[15] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №2, საქ. 258. ფურც. 18.

დავალება, რომ არ დაეშვათ გლეხობაში კომიტეტის წევრები აგიტაციის ჩასატარებლად, რადგან ამას მოჰყვებოდა გლეხობის ამბოხება. „დაავალეთ სოფლის თემების ხელმძღვანელებს, რომ ყოველი ღონე იხმარონ, რათა მეამბოხენი არ დაუშვან მათ სოფლებში, მაგრამ თუ სადმე გამოჩნდნენ ისინი, დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას და დააკავონ. შეამზადეთ ხალხი, რომ ბოიკოტი გამოუცხადონ დანაშაულებრივი კომიტეტის წევრებს და არ მოუსმინონ მათ, ან საერთოდ გააძევონ სოფლებიდან“.[16] მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა სოციალ დემოკრატები მაინც ახერხებდნენ ხალხში აგიტაციას.

1904 წლისათვის ბათუმში ჩამოყალიბდა ახლად შექმნილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბათუმის ბიურო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მემედ აბაშიძე. ამ პარტიის შექმნა იყო დიდი მოვლენა არა მარტო ბათუმის ოლქის, არამედ სრულიად საქართველოს ცხოვრებაში. პარტიის ამოცანები და მიზნები საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა, რადგან ფედერალისტები ცდილობდნენ ეროვნულ ნიადაგზე გაეერთიანებინათ სხვა პარტიები, მოეხდინათ ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია.[17] ბათუმში ფედერალისტური პარტიის ბირთვს შეადგენდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. იყო აგრეთვე მცდელობა, რომ პარტიის საქმიანობაში ჩაებათ მუშებიც, თუმცა დასაწყისში ეს მცდელობა წარმატებული არ იყო, რადგან მუშების დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. /1903 წელს რსდმპ გაიყო ორ ნაწილად, მენშევიკებად და ბოლშევიკებად, ბათუმის ოლქში ისე, როგორც სხვაგან, დიდი იყო მენშევიკების ავტორიტეტი, რაც შეეხება ბოლშევიკებს, ის ისე მცირე ჯგუფით იყვნენ წარმოდგენილი, რომ ანგარიშგასაწევი ძალა არ იყო/. პარტიის ბათუმის ბიუროს ხელმძღვანელობამ დაარსა სტამბა. ეროვნულ საკითხებზე მისი წევრები აწარმოებდნენ ხალხში სააგიტაციო საქმიანობას. ამის გამო პარტიას თავიდანვე დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატები და, სამწუხაროდ, ეს დაპირისპირება მათ შორის დიდხანს არსებობდა.

ეკონომიკური კრიზისი მთელი სიმძაფრით გამოვლინდა 1904 წლის ბოლოსათვის. მიუხედავად ბათუმის გუბერნიის ხელმძღვანელობის ცდებისა, აეკრძალათ მიტინგები, დემონსტრაციები (1904 წელს არაერთი ასეთი ბრძა-

[16] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №2, საქ. 258. ფურც. 41

[17] დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბ. 1993, გვ. 5.

ნება გამოიცა). მას მაინც ჰქონდა ადგილი. 1904 წლის ბოლოსათვის ხშირი იყო დემონსტრაციები სოციალური მოთხოვნებით. ერთ-ერთი ასეთი შეკრებისას წამოაყენეს სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა მტკიცედ შეკავშირების ამოცანა. ხშირად ეს დემონსტრაციები პოლიციასთან შეტაკებით მთავრდებოდა.[18]

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში, ბათუმის ოლქში განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთის იმპერიის მესვეურები საგონებელში ჩააგდო, მათ დააყენეს დღის წესრიგში ბათუმის ოლქის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების საკითხი და 1903 წლის ზაფხულში ეს გადაწყვეტილება განახორციელეს კიდეც.

[18] ო. გოგოლიშვილი. საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900–1910 წლებში. ქუთაისი. 1996, გვ. 57.

Otar Gogolishvili

INFLUENCE OF NATIONAL MOVEMENT AND SOCIAL CONDITION ON THE CHANGE OF STATUS OF BATUMI REGION (1900-1904)

Summary

In the beginning of the 20th century the officials started to think about separation of Batumi region from the province of Kutaisi and making it a separate province. Fearing that the Muslims of Batumi would turn their back to the government and search for the protector somewhere else, the imperial government decided to make Batumi region a separate administrative unit. Vicegerent of Caucasus was ordered to start action. But before he had to restore order in the town which had some problems in this aspect. In the beginning of May 1901 vicegerent of Caucasus summoned military-governor of Kutaisi to Tbilisi and introduced him the intent of St. Petersburg about changing the status of Batumi region. Vicegerent of Caucasus ordered military-governor of Kutaisi first to bring Batumi region in order. The result of this meeting was as follows: on the 22nd of May, 1901, in Batumi they added several units of Cossacks and gave the guns to the policemen, ordered the military to patrol together with the police etc.These measures had some results: military units were arresting homeless, unemployed people, forcing them to leave the town. There were casualties too. Because of these, separation was carried on later.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

დიმიტრი შველიძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი – სახელმწიფოს მშენებელი ანარქისტი

რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ვარლამ ჩერქეზიშვილი პირველად 1917 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გამოჩნდა. სწორედ ამ პერიოდში გააქტიურდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში მინელებული იყო.

1917 წლის 12 აგვისტოს შეიქმნა ინტერპარტიული ბიურო, რომელშიც ოცი პიროვნება შედიოდა. ესენი იყვნენ ოთხი წამყვანი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. სოციალ-დემოკრატებიდან: აკაკი ჩხენკელი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, ნოე რამიშვილი; სოციალისტ-ფედერალისტებიდან: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა ალექსი-მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი; ეროვნულ-დემოკრატებიდან: სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი; სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან: გრიგოლ ნათაძე, კონსტანტინე მესხი, ივანე ჩერქეზიშვილი, ანდრია დგებუაძე, დავით ყაჭაური.[1] ბიუროში თითოეული პარტიიდან ხუთ-ხუთი წარმომადგენელი შედიოდა.

ამის შემდეგ ბიურომ ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის ოცკაციანი შემადგენლობა მოუქნელად მიიჩნია და ინტერპარტიული საბჭოს ბიუროს პრეზიდიუმი აირჩია, მასში მხოლოდ ოთხი კაცი შევიდა, ოთხი პარტიის თითო-თითო წარმომადგენელი: აკაკი ჩხენკელი, გიორგი ლასხიშვილი, სპირიდონ კედია და კოტე მესხი. მათ თანაშემწეებად და შემცვლელებად დასახელდა კიდევ ოთხი კაცი – კანდიდატების სახით. პრეზიდიუმის წევრობის კანდიდა-

[1] შ. ვადაჭკორია. პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917). თბ. 1998, გვ. 12.

ტები იყვნენ: ნიკოლოზ ქარცივაძე, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი გვაზავა და ესერებიდან – ივანე ჩერქეზიშვილი. ასე მოხვდა სახელმწიფოს უარმყოფელი ანარქისტი ივანე, იგივე ვარლამ ჩერქეზიშვილი, ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის მებრძოლ ხელმძღვანელთა ორგანიზაციის ვიწრო გუნდში.

16 აგვისტოს გაიმართა ინტერპარტიული საბჭოს ბიუროს პრეზიდიუმის სხდომა. მასზე ოთხი საკითხი განიხილეს. ერთ-ერთი იყო ჩერქეზიშვილის მიერ წამოყენებული წინადადება. თვით ამ წინადადების შესახებ ოქმში არაა საუბარი, მაგრამ ოქმის შინაარსიდან ირკვევა, რომ ჩერქეზიშვილის მიერ წამოყენებული საკითხი ეხებოდა ჯარის ორგანიზაციის პრობლემას.

ოქმში აღნიშნულია, რომ წაიკითხეს „გეგმა ქართული ჯარის ორგანიზაციის შესახებ“. გადაუწყვეტიათ ყურადღება გაემახვილებინათ „ქართული პოლკების, განსაკუთრებით სათადარიგო პოლკების დაარსებისათვის“.[2] პრეზიდიუმმა სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ ეროვნული პოლკების შექმნის ნებართვის მოსაპოვებლად პეტროგრადში გაეგზავნათ დეპუტაცია. დეპუტაცია უნდა გაეგზავნათ აგრეთვე კავკასიის ფრონტის რუსული ჯარების მთავარსარდალთან, გენერალ მიხაილ პრჟევალსკისთან.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ პეტროგრადში გასაგზავნი სამკაციანი დეპუტაციის შემადგენლობაში აკაკი ჩხენკელთან და ე. მაჩაბელთან ერთად გაუმწესებიათ ივანე ჩერქეზიშვილიც.

ეროვნული პოლკების შექმნის საკითხი და დეპუტაციის გაგზავნა იმდენად აქტუალური იყო, რომ კვლავ განიხილეს 18 აგვისტოს პრეზიდიუმის სხდომაზე. ოთხი განსახილველი საკითხიდან ორი სამხედრო სფეროს ეხებოდა. ესენი იყო მეორე საკითხი – „სამხედრო საქმე“, და მეოთხე საკითხი – „ვ. ჩერქეზიშვილის მოხსენება“.

პრეზიდიუმმა კვლავ მიიღო, და ახლა უკვე უფრო კონკრეტული, გადაწყვეტილება: „მოხდეს ქართველთა ჯარის ნაციონალიზაცია, დაარსდეს ქართული პოლკები. ამისთვის შუამდგომლობა აღიძრას კავკასიის ჯარის საოლქო ცენტრში და აგრეთვე უმაღლეს მთავრობის წინაშე. ამ საქმის გაძღოლა პეტროგრადში მიენდოს ა. ჩხენკელს. დელეგატებად ამავე საქმის მოსაწესრიგებლად პეტროგრადში გაიგზავნონ ვ. ჩერქეზიშვილი და ე. მაჩაბელი“.[3] პრე-

[2] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გერგედავა-ჭელიძემ. თბ. 1999, გვ. 31.
[3] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. დოკუმენტები და მასალები, გვ. 33.

ზიდიუმის ამ სხდომას მოჰყვა საინფორმაციო ბიუროს შეკრება. მასზე კვლავ მთავარ საკითხად სამხედრო სფეროში არსებული მდგომარეობა განიხილეს. მთავარი მომხსენებლები იყვნენ „ვ. ჩერქეზიშვილი“ და გენერალი ჯამბაკურ-ორბელიანი. განცხადებიდან ჩანდა, რომ განზრახული იყო 50 000-კაციანი ქართული ლაშქრის შექმნა და რომ ამ საკითხზე საჭირო იყო მსჯელობის გამართვა ინტერპარტიულ ბიუროში. ისიც გადაწყდა, რომ საკითხი შემდეგ სხდომაზე კვლავ განეხილათ, ხოლო ჩხენკელისათვის პეტროგრადში ეცნობებინათ, დალოდებოდა თბილისიდან დეპუტატების ჩასვლას. როგორც ჩანს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპუტაციის სამივე წევრი შეიკრიბებოდა, უნდა მიეღოთ „ყოველივე ღონისძიება“. აქ იგულისხმებოდა რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ყოვლისშემძლე ქართველი ლიდერების კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის, ავტორიტეტების გამოყენება „ქართული პოლკების შესადგენად“.

დრო იყო ისეთი, რომ არა მარტო მოვლენები იცვლებოდა ყოველდღიურად, არამედ ორგანიზაცია სახელები, აბრევიატურები, თანამდებობათა აღმნიშვნელი ტერმინები და ა. შ. 28 აგვისტოს შედგა უკვე რეორგანიზებული ბიუროს, ანუ როგორც ახლებურად ეწოდა – „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის“ სხდომა. ე. ი. ბიუროსთვის შეუცვლიათ სახელი და უწოდებიათ „აღმასრულებელი კომიტეტი“. აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, ჩერქეზიშვილმა გენერალ ჯამბაკურ-ორბელიანთან ერთად გააცნო აღმასრულებელ კომიტეტს სამხედრო საკითხის მდგომარეობა და მიმდინარე მოლაპარაკებები სხვადასხვა ინსტანციასთან. საფიქრებელია, რომ ამ ინსტანციებში იგულისხმებოდა მოლაპარაკებები რუსული ჯარების მთავარსარდალ პრჟევალსკისთან. გადაწყდა, როგორც ოქმშია მითითებული: „ეს საკითხი სავსებით გამოირკვეს ეროვნული საბჭოს შემდეგ კრებაზე“ – იგულისხმებოდა ინტერპარტიული საბჭოს გაფართოებული სხდომა.

1917 წლის 9 სექტემბერს შედგა ინტერპარტიული საბჭოს სხდომა. მან მოისმინა „ვ. ჩერქეზიშვილის მოხსენება სამხედრო დელეგაციაზე პეტროგრადში“. როგორც ჩანს, ქართული დეპუტაცია პეტროგრადში 30 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე შუალედში იმყოფებოდა. 6 სექტემბერს ინტერპარტიულ საბჭოს უკვე უნდა მოესმინა ჩერქეზიშვილის მოხსენება, მაგრამ სხდომა გადადებულა. ახლა კი – 9 სექტემბერს, როგორც ოქმში ანუ „დღიურშია“ აღნიშნული: „ჩერქეზიშვილის მოხსენება ყურადსაღებად იქმნა მიღებული“.[4]

[4] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. დოკუმენტები და მასალები, გვ. 56.

სამწუხაროდ, „დღიურიდან“ არ ჩანს, რა კონკრეტული შედეგებით დასრულდა რუსული რევოლუციის ლიდერთან ჩხეიძე-წერეთელთან მოლაპარაკება, თუმცა ის კი ცნობილია, რომ შედეგი დადებითი ყოფილა.

ამავე კრებაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ მოლაპარაკებები გაგრძელებულიყო კავკასიის რუსული ჯარების ხელმძღვანელობასთან, წინა დღეს ე. ი. 8 სექტემბერს შედგა ქართველ ოფიცერთა ყრილობა, რომელსაც გადაუწყვეტია, რომ ფრონტზე ქართველი ჯარისკაცები არ წავიდოდნენ, სანამ არ ჩამოყალიბდებოდა ქართული ეროვნული პოლკები. ყრილობამ კავკასიის ჯარების ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების საწარმოებლად ხუთკაციანი ჯგუფი აირჩია. ეტყობა ამ დროისათვის ვარლამ ჩერქეზიშვილი სამხედრო საქმეების თავისებურ ექსპერტად იყო მიჩნეული, რადგან იგი ამ ჯგუფის შემადგენლობაშიც შეუყვანიათ. წევრები იყვნენ: გრიგოლ ნათაძე (ესერი), ნიკოლოზ ქარცივაძე (სოციალ-დემოკრატი), სოციალისტ-ფედერალისტი ოფიცერი იოსებ გედევანიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე (სოციალ-დემოკრატი) და ვარლამ ჩერქეზიშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ, 16 სექტემბერს შემდგარ ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე, უკვე, როგორც წესი, კვლავ განიხილეს „სამხედრო საქმე“. ეტყობა, ამ სფეროში პროცესების დაჩქარების მიზნით გადაწყდა შეექმნათ სპეციალური სამხედრო სექცია, რომელიც ეროვნული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბების ღონისძიებებს რეგულარულად გაუწევდა ორგანიზაციას. აქაც ხუთკაციანი კომისია დაუსახელებიათ, რომელსაც მომავალი სამხედრო სექციის შემადგენლობა უნდა დაეკომპლექტებინა. ჩერქეზიშვილს ამ ხუთკაციან კომისიაშიც ერგო ადგილი – იოსებ გედევანიშვილთან, ნიკოლოზ ქარცივაძესთან, პოლკოვნიკ გარდაფხაძესა და დათა ვაჩნაძესთან ერთად.

19 სექტემბერს ინტერპარტიული საბჭოს სხდომას ჩერქეზიშვილი ესწრებოდა, მაგრამ მისი მონაწილეობის გამო „დღიური“ არაფერს იუწყება. ამ დღის სხდომა სხვა გარემოების გამოა ჩვენთვის საყურადღებო. საბჭომ პეტროგრადიდან მიიღო ნებართვა ეროვნული სამხედრო პოლკების შექმნის შესახებ.

ეს ცნობა ინტერპარტიული საბჭოს სხდომას იოსებ გედევანიშვილმა გააცნო: „მთავრობისგან უკვე მოვიდა ნებართვა ქართული პოლკების დაარსებისა. კრება სიამოვნებით ისმენს ამ ამბავს“ – აღნიშნულია „დღიურში“.[5]

[5] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. დოკუმენტები და მასალები, გვ. 67.

„მთავრობაში“ იგულისხმებოდა რუსეთის დროებითი მთავრობა. ხოლო ამ ნებართვის ინიცირებაში, სავარაუდოა, რომ გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მუშათა, და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეიძემ. რაც მთავარია, ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორიც ეროვნული სამხედრო შენაერთების ორგანიზების ნებართვა და რუსეთის ხელისუფლების დათანხმება იყო, წარმატებით დასრულდა და მასში ერთ-ერთი წამყვანი მონაწილეობა ვარლამ ჩერქეზიშვილმა მიიღო.

გარდა სამხედრო სფეროსი, ვარლამ ჩერქეზიშვილი სხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ორგანიზებაშიც იღებდა ცხოველ მონაწილეობას. 1917 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თითქმის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურდება სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის საკითხი. ინტერპარტიულ საბჭოს ესაჭიროება ფართო სახალხო ლეგიტიმაცია, რაც ეროვნულმა საბჭომ უნდა განახორციელოს.

23 სექტემბერს ინტერპარტიულმა საბჭომ მოისმინა ინფორმაცია სოციალისტ-ფედერალისტ გრიგოლ რცხილაძის მიერ შედგენილი რეგლამენტის პროექტის შესახებ. საბჭომ საჭიროდ ჩათვალა „რეგლამენტის გასარჩევად და საბოლოოდ შესამუშავებლად“ შეექმნა ოთხკაციანი კომისია. მასში ყველა პარტიისაგან თითო წარმომადგენელი უნდა შესულიყო. აირჩიეს კიდეც: სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ ქარცივაძე, სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე, ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კედია და ესერთა პარტიაში თავშეფარებული ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ეტყობა, ინტერპარტიული საბჭო ჩქარობდა ეროვნული ყრილობის მოწვევას. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ოქტომბრის ბოლშევიკურმა სახელმწიფო გადატრიალებამ დააჩქარა და მთავარი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევაში. ეს არ უნდა იყოს მართალი.

ცხადია, ოქტომბრის გადატრიალებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართულებების განსაზღვრაში. მაგრამ ეროვნული ყრილობის მოწვევას მანამდეც ჩქარობდნენ, სანამ დროებითი მთავრობა დაემხობოდა. ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, 1917 წლის 17 ოქტომბერს, ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სთხოვა „რეგლამენტის შემმუშავებელ კომისიას – მალე დაასრულოს საქმე. გადაწყდა – დაჩქარებულ იქმნას

ყრილობის მოწვევა".[6] ეს მოხდა 1917 წლის 25 ოქტომბრამდე ერთი კვირით ადრე, სანამ ბოლშევიკების მხარდამჭერი შეიარაღებული რაზმები ზამთრის სასახლეს აიღებდნენ. ასე რომ, ოქტომბრის გადატრიალება სულაც არ ყოფილა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის კატალიზატორი.

1917 წლის 3 ნოემბერს ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეროვნული ყრილობის 19 ნოემბერს მოწვევა. 4 ნოემბერს უკვე აირჩიეს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კავკასიის სხვა ხალხების ეროვნულ საბჭოებთან მოლაპარაკებები და მათი ინფორმირება საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ. ვარლამ ჩერქეზიშვილს ამ კომისიაშიც ირჩევენ წევრის კანდიდატად. ეტყობა, ის კარგად ფლობდა მოლაპარაკებების ხელოვნებას და ამგვარ მისიებს მრავლად ავალებდნენ. კომისიის წევრები იყვნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი გვაზავა, გიორგი ლასხიშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე; კანდიდატები: აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ ვეშაპელი, სამსონ ფირცხალავა, პავლე საყვარელიძე და „ი. ჩერქეზიშვილი".

დაბოლოს, 17 ნოემბერს შეიკრიბა ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელი სხდომა ეროვნულ ყრილობამდე. საჭირო იყო ყრილობისათვის მზადების ბოლო პროცედურების დაზუსტება. უმთავრესი, რაშიც თითქმის ყველა საკითხმა მოიყარა თავი იყო რეგლამენტის საკითხი.

ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ აღმასკომს მოხსენება წარუდგინა ვარლამ ჩერქეზიშვილმა. გამოითქვა შენიშვნები, სურვილები, რომ ტექსტი შესწორებულიყო და შემოკლებულიყო. ამის შემდეგ ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ეროვნული ყრილობის რეგლამენტი. ამით საქართველოს ინტერპარტიულმა საბჭომ, ფაქტობრივად, დაამთავრა თავისი ფუნქციონირება. ამ ორგანომ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ეროვნული მოძრაობის პროცესში. მან მოახდინა ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და ძალების კონსოლიდაცია, იდეოლოგიური და პრაქტიკული ნიადაგი მოუმზადა ეროვნული ყრილობის მოწვევას და ეროვნული საბჭოს შექმნას. ეს იყო ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპზე გადასვლა.

მაგრამ ეს უკვე ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის სხვა ფურცელია. კიდევ ერთხელ დავასკვნით, რომ ქართულ-რუსულ-ევროპული ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთმა აღიარებულმა ლიდერმა, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის მებრძოლი

[6] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. დოკუმენტები და მასალები, გვ. 87.

ორგანიზაციის – ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობასა და ეროვნული ყრილობის მომზადებაში, ამავე დროს, ქართული ეროვნული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი და საპატიო წვლილი შეიტანა.

ახლა ჩვენთვის საინტერესო მეორე საკითხს შევეხოთ. როგორც ზემოთ არაერთხელ დავრწმუნდით, ინტერპარტიული საბჭოს მოღვაწეობისადმი არსებულ დოკუმენტებში ვარლამ ჩერქეზიშვილი მონაწილეობას იღებს და დაფიქსირებულია როგორც ხან „ივანე ჩერქეზიშვილი", ხან „ი. ჩერქეზიშვილი". ამავე დროს, იგი საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობს როგორც ესერთა პარტიის წარმომადგენელი. ზოგ შემთხვევაში იგი თავისი ნამდვილი სახელითაცაა მოხსენიებული. ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ჩერქეზიშვილი უკვე ეროვნული საბჭოსა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი იყო. იქ იგი მოიხსენიებოდა როგორც „ივ. ლევ. ჩერქეზიშვილი".[7]

ფაქტია, რომ გარკვეული მოსაზრების გამო, ვარლამ ჩერქეზიშვილი ერიდებოდა თავისი სახელით გამოჩენას და დაფიქსირებას ფართო ბეჭდვით ორგანოებში, სახელმწიფოებრივ თუ საქმიან დოკუმენტებში და ა. შ.

ისმება კითხვა: რატომ იღებდა მონაწილეობას ვარლამ ჩერქეზიშვილი „ივანე ჩერქეზიშვილის" სახელით ინტერპარტიული სტრუქტურების მოღვაწეობაში? რა მოსაზრებით აკეთებდა ის იმავეს ეროვნულ საბჭოსა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში? რატომ იღებდა მსოფლიოში ცნობილი ანარქისტი მონაწილეობას ესერთა პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფში და ესერთა პარტიის სახელით? ან რა აზრი ჰქონდა გვარსახელის შეცვლას ოფიციალურ დოკუმენტებში, როცა მას საქართველოში, ყოველ შემთხვევაში – პოლიტიკურ ელიტაში ყველა იცნობდა? ამ კითხვაზე თუ კითხვებზე მხოლოდ ერთი მარტივი პასუხი შეიძლება გავცეთ: ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, ოფიციალურად და ფორმალურად, ერიდებოდა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში თავისი მონაწილეობის გახმაურებას. ის ცდილობდა, თავისი სახელის ფართო აფიშირება არ მოეხდინა და რაც შეიძლება ნაკლებად გაეხმაურებინა თავისი სახელმწიფოებრივი „ცოდვები" საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის სივრცეში, რომლის ერთ-ერთ ავტორიტეტსაც თავად წარმოადგენდა.

[7] გ. შარაძე, გ. შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბ. 2001, გვ. 23, 60.

Dimitri Shvelidze

VARLAM CHERKEZISHVILI – STATE BUILDER ANARCHIST

Summary

After abolishment of the Russian monarchy, Varlam Cherkezishvili was back from long-term emigration. First he went to Russia, then – Georgia. August-November of 1917 is a period of his involvement in construction of national state institutions.

Documents show that Varlam Cherkezishvili was extremely active in national interparty council. He was negotiating with the Russian political and military leaders for creation of national military units, he also took part in organizing of I national congress, etc.

All the documents show him as Ivane Cherkezishvili from socialist revolutionary party. This way he tried to hide himself. Indeed, as anarchist he felt uncomfortable taking part in state building.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

თენგიზ სიმაშვილი

იოსებ ჯუღაშვილისა (სტალინი) და „ნიჟარაძის“ იგივეობის შესახებ

იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) შესახებ მოვიძიე საკმაოდ საინტერესო მასალები. მათ შორის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ „თბილისის სამძებრო პოლიციის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმეში“ აღმოჩნდა.

თბილისის სამძებრო პოლიციის ოპერატიული თანამშრომელი, ვინმე ფიცხელაური, თბილისის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსს, პეტრე ევტუშევსკის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან სულ რამდენიმე დღეში სწერს ორ წერილს.[1] ფაქტობრივად ისინი არაოფიციალური შეტყობინებებია მკვლელობაში მონაწილე პირების ვინაობის შესახებ. მომაქვს ამ წერილის ტექსტი:

„ძვირფასო პეტრე ალექსანდრეს ძევ! ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ უნდა იცოდეს დუშეთის მაზრის სოფელ მცხეთის მცხოვრებმა სახელით ***ილია მცხეთელი****. იგი თუ არ მონაწილეობდა დანაშაულში, მაშინ მას ეცოდინება, რადგან იცის ვინ ჩადის მსგავს დანაშაულს, ამიტომ ვვარაუდობ რომ დავიჭიროთ. ამის გარდა აუცილებელია დაჭერა მეფაიტონის, რომელიც როგორც მოვიკვლიე იცნობს პირებს, ვინც ჩაიდინა თავად ჭავჭავაძის მკვლელობა.*

ულრმესი პატივისცემით, თქვენი ფიცხელაური

ქ. ტფილისი

4 სექტემბერი 1907 წელი“ (წერილის სტილი დაცულია).[2]

---

[1] პ. ევტუშევსკი იძიებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას.

[2] საქართველოს საიტორიო ცენტრალური არქივი (სსცა). ფ. 97. აღწ. 2. საქ. 35, გვ. 26.

მკვლევართათვის ეს წერილი საინტერესოა იმიტომ, რომ 1907 წლის 4 სექტემბერს გამოძიებისათვის უკვე ცნობილი იყო ბოლშევიკი ტერორისტის ილიკო იმერლიშვილის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ ი. იმერლიშვილის მეტსახელი, თბილისში სოციალ-დემოკრატი მუშების მიერ შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაციაში – „მთაწმინდის ჯგუფი" – ყოფნისას „ილია მცხეთელი" გახლდათ. შესაბამისად, ილიკო იმერლიშვილის და „ილია მცხეთელის" იგივეობის შესახებ ამ დროს პოლიციამაც იცოდა, თუმცა ამ კუთხით ძიება არ უწარმოებია.[3]

დასახელებულ საარქივო საქმეში არსებულ ამ წერილს მოსდევს ფიცხელაურის მიერ თბილისის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსის პ. ევტუშევსკისადმი გაგზავნილი 1907 წლის 5 სექტემბერით დათარიღებული მეორე წერილი:

*„ძვირფასო პეტრე ალექსანდრეს ძევ! თავად ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი **ნიჟარაძე** დაკავებულ იქნა ბორჯომში, როგორც მე საიდუმლოდ გავიგე მას უპოვეს **მოკლულის საათი,** ასევე დააპატიმრეს მეეტლე. არ სურთ გაამჟღავნონ საათის პოვნა იმ მოსაზრებით, რომ მკვლელობის მონაწილეები შესაძლებელია დაიმალნენ.*

უღრმესი პატივისცემით, თქვენი ფიცხელაური.

5 სექტემბერი 1907 წელი" (სტილი დაცულია). (იხ. დოკ. 1).[4]

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში „ილია მცხეთელის" და ვინმე „ნიჟარაძის" სავარაუდო მონაწილეობის შესახებ ჯერ კიდევ 2011 წელს გამოსულ ჩემს წიგნში, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები", მაქვს ნათქვამი.[5]

ჩემი აზრით, ახლად მოძიებული უამრავი დოკუმენტის გამომზეურებით ჩემს ნაშრომებში ნათლად დავასაბუთე მეტსახელების – „ილია მცხეთე-

[3] უშუალოდ დუშეთის მაზრაში ილიკო იმერლიშვილის მეტსახელი „იმერელი" იყო. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტურად, იხ.: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ალექსანდრე კოჭლავაშვილის ფონდი. დარია ჯაშის ნაამბობი, ჩაწერილი 1957 წელს, ქ. ბათუმი, 48-ხ, გვ. 12; თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები. თბ. 2011, გვ. 114.

[4] სსცია. ფ. 97. აღ.2. საქ. 35, გვ. 25.

[5] თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები, გვ. 70. საინტერესოა, რომ „ნიჟარაძე" და „ილია მცხეთელი" ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილებად აღნიშნული საარქივო საქმის სარჩევშიც არიან დასახელებული.

ლის“ და „იმერელის“ იგივეობა ილიკო იმერლიშვილთან, ასევე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილის უშუალო მონაწილეობა.[6] თუმცა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სავარაუდო მონაწილის – „ნიჟარაძის“ ვინაობის დასადგენად ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და დეტალური ანალიზი არ გამომიქვეყნებია. ვცდილობდი მომეძიებინა დამატებითი მასალები, რადგან ეს გვარი შესაძლებელია უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იყოს იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) ბიოგრაფიის შესწავლასთან დაკავშირებით.

საქმე ის გახლავთ, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი 1908 წელს ბაქოში ყალბი პასპორტით ***გაიოზ ბესოს ძე ნიჟარაძის*** სახელზე იქნა დაპატიმრებული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ არქივში მოიპოვება ამ საკითხთან კავშირში არსებული საარქივო დოკუმენტების ასლები. მათ შორის ერთ-ერთია ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მიერ 1908 წლის 31 მაისს, ბათუმის ოლქში ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილისადმი გაგზავნილი შემდეგი საიდუმლო წერილი:

*„ამა წლის 25 მარტს ბაქოში მცხოვრები პიროვნება ყალბი პასპორტით გაიოზ ბესოს ძე **ნიჟარაძის** სახელზე ბაქოს ციხეში იქნა დაპატიმრებული. **დაკითხვისას ნიჟარაძემ აღიარა, რომ მისი ნამდვილი სახელია იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი** და არის თბილისის გუბერნიის და მაზრის დიდი ლილოს სოფლის საზოგადოების გლეხი, და რომ 1902 წელს იგი ქალაქ ბათუმში, ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ პროპაგანდის წარმოების გამო დააპატიმრეს და იაკუტიის მხარეში სამი წლით იქნა გასახლებული. გადასახლების ადგილი 1904 წელს თვითნებურად დატოვა.*

თან ვურთავთ მის ფოტოს, რათა დაადგინოთ მასზე გამოსახული პირი, რომელმაც თავი დაასახელა ჯუგაშვილად, თუ იყო ბრალდებული ბათუმში და რა ცნობები გაქვთ მასზე.

როტმისტრი ...“.[7]

ეს დოკუმენტი ისტორიკოსებისათვის ცნობილია, მაგრამ უცნობი იყო ჩემ მიერ მოძიებული დოკუმენტი ვინმე „ნიჟარაძის“ ილია ჭავჭავაძის მკვლე-

[6] დაინტერესებულმა მკითხველმა შესაძლოა ნახოს შრომები და დოკუმენტების ასლები ინტერნეტში, ჩემს ვებ-გვერდზე http://simashvili.blogspot.com/

[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სშსსა). ფ. 8. აღ. 5. საქ. 207, გვ. 27.

ლობაში მონაწილეობის შესახებ. სწორედ ამიტომ აღვნიშნე ზემოთ, რომ მსურდა სრულყოფილი მასალები მომეკვლია და შემდეგ გამომექვეყნებინა ჩემი ანალიზი. სამწუხაროდ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, რასაც დასასრულს მივუთითებ, არ მომეცა ამის საშუალება.

კვლევის ამ ეტაპზე მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ გაიოზ ნიჟარაძის სახელზე ყალბი პასპორტი გაცემული იყო 1906 წლის 7 აპრილს.[8] სავარაუდოა, რომ იოსებ ჯუღაშვილმა იგი „შეიძინა" გიორგი ბერძენიშვილის სახელზე გაცემული პასპორტის სანაცვლოდ, რომელიც მას 1906 წლის მარტში პოლიციამ ჩამოართვა.

იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის და გაიოზ ბესოს ძე ნიჟარაძის იგივეობას ეხება სხვა დოკუმენტიც. ეს არის თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის 1908 წლის 10 ივნისით დათარიღებული წარწერის (რეზოლუციის) ასლი ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის 1908 წლის 31 მაისის წერილზე:

„...ბაქოში თავად გაიოზ ბესოს ძე ნიჟარაძის სახელით ყალბი პასპორტით მცხოვრებმა პირმა დაკითხვისას აღიარა, რომ მისი ნამდვილი სახელია იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი – თბილისის გუბერნიის და მაზრის დიდი ლილოს სოფლის საზოგადოების გლეხი, რომ 1902 წელს იგი ქალაქ ბათუმში ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმის გამო იყო დაპატიმრებული და გასახლებულ იქნა იაკუტიის მხარეში სამი წლით, რომელიც 1904 წელს თვითნებურად დატოვა".[9]

ამ დოკუმენტში უკვე დაკონკრეტებულია იოსებ ჯუღაშვილის პარტიული კუთვნილება. მომდევნო დოკუმენტში – 1908 წლის 13 ივნისით დათარიღებულ ბათუმის ოლქში ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილის საიდუმლო წერილში, ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსისადმი, წერია: *„თქვენი 1908 წლის 31 მაისის წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ თბილისის გუბერნიის და მაზრის დიდი ლილოს სოფლის საზოგადოების გლეხი, იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი 1902 წელს ქალაქ ბათუმში ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს მიერ პროპაგანდის გამო დაპატიმრებული იყო და გასახლებულ იქნა იაკუტიის მხარეში სამი წლით. იგი ჩემს ქვემდებარე პუნქტში (ბათუმი*

[8] А. В. Островский, Кто стоял за спиной Сталина? М. 2004, გვ. 291.
[9] სშსსა. ფ. 8. აღ. 5. საქ. 207, გვ. 53.

– თ.ს.) ანტისახელმწიფოებრივი საქმის გამოძიებასთან ნამდვილად იყო დაკავშირებული.[10]

მისი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მთავარი ხელმძღვანელი და მასწავლებელი იყო ბათუმის მუშების, ასევე მუშათა რევოლუციურ მოძრაობის, რაც გამოიხატებოდა პროკლამაციების გავრცელებაში (გაფანტვა), აჯანყების მოწოდებით არსებული წყობის დასამხობად. ჯუგაშვილის ამოცნობა, თანდართული ფოტოსურათის მიხედვით ჩემი პუნქტის ვერც ერთმა თანამშრომელმა და პოლიციის ჩინმა დიდი დროის გასვლის გამო ვერ შეძლო.

ასევე ვთვლი საჭიროდ დავამატო, რომ დასახელებული ჯუგაშვილი, როგორც ჩემი ხელმძღვანელობით მოქმედი პუნქტის მასალებიდან ჩანს, ბრალდებულის სახით ნამდვილად იყო დაკავშირებული თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ წარმოებული „თბილისის რსდმპ წრის“ საქმის მოკვლევასთან და მასში მთავარი ბრალდებული იყო.

ხელმოწერა: როტმისტრი ....“.[11]

ზემოდასახელებული დოკუმენტები, როგორც აღვნიშნე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ არქივში ასლების სახით არის შემორჩენილი. ქვემომოყვანილი დოკუმენტი კი ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის გენერალ-მაიორ კოზინცევის 1908 წლის 4 აგვისტოს დადგენილებაა, რომელიც ეგზავნება თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს.[12] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ერთ-ერთ საქმეში ასეთი წერილის დედანია დაცული:

„დადგენილება № 4287

1908 წლის 4 აგვისტოს ქალაქ ბაქოში, მე ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა კოზინცევმა, განვიხილე მიმოწერა ცნობების შეგროვებაზე პოლიტიკური კეთილსაიმედოობის დასადგენად პიროვნების, რომელიც დასახელებული იყო ქაიხოსრო ნიჟარაძედ და რომელიც, სინამდვილეში აღმოჩნდა იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი, ვიპოვე შემდეგი:

---

[10] ბათუმში არსებობდა თბილისის „ოხრანკის“ ქვემდებარე განყოფილება ე.წ. ბათუმის „ოხრანკის“ პუნქტი, იხ.: თ. სიმაშვილი. საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში. თელავი. 2003.

[11] სშსსა. ფ. 8. აღ. 5. საქ. 207, გვ. 28.

[12] იღებს 1908 წლის 7 აგვისტოს.

ამა წლის 25 მარტს ბაქოს სამძებრო პოლიციის ჩინების მიერ დაკავებული იქნა უცნობი პიროვნება, რომელმაც თავი დაასახელა ქუთაისის გუბერნიის და მაზრის სოფელ მაღლაკის მცხოვრებ ქაიხოსრო ნიჟარაძედ, რომელსაც ჩხრეკისას აღმოაჩნდა პარტიული მიმოწერა. ამ საქმეზე მიმოწერისას გამოირკვა, რომ ნიჟარაძე არის იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი – თბილისის გუბერნიის და მაზრის დიდი ლილოს სოფლის საზოგადოების გლეხი, რომელიც 1902 წელს დაკავშირებული იყო ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ 251 სტატიით და თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ 251 სტატიის პირველი ნაწილი საქმის ძიებასთან. საბოლოოდ საქმე გადაჭრილ იქნა ადმინისტრაციული წესით და ჯუგაშვილი 1903 წლის 9 ივლისს გასახლებულ იქნა პოლიციის ღია ზედამხედველობის ქვეშ აღმოსავლეთ ციმბირში, საიდანაც გამოიქცა და პოლიციის დეპარტამენტის 1904 წლის 1 მაისის ცირკულარით იძებნებოდა. იოსებ ჯუგაშვილი ამა წლის 25 მარტიდან ბაქოს ციხეშია დაპატიმრებული. ვვარაუდობ, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აღმოსავლეთ ციმბირში სამი წლით იქნას გაძევებული.

დავადგინე: აღნიშნული მიმოწერა გადაიგზავნოს ბაქოს ქალაქისთავის განკარგულებაში.

ხელმოწერა: გენერალ მაიორი კოზინცევი.“ (იხ. დოკ. 2).[13]

ინფორმაციებს იოსებ ჯუღაშვილის „ნიჟარაძის“ გვარით საქმიანობის და 1908 წლის მარტში დაპატიმრების შესახებ, ლავრენტი ბერიას წიგნის გარდა, სხვა, მათ შორის, თანამედროვე ავტორების შრომებშიც ვხვდებით. ამ ფაქტს ქვემოთ შევეხები. ახლა კი აღვნიშნავ, რომ ზემოთ მოყვანილ საარქივო დოკუმენტში ილია ჭავჭავაძის მკვლელად ვინმე „ნიჟარაძის“ დასახელება თითქოსდა სრულიად ახლებურად გვანახებს იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) სიყრმის მეგობრის, იოსებ ირემაშვილის, ბერლინში 1932 წელს გამოსულ წიგნში – „*Stalin und die Tragödie Georgiens*“ *(სტალინი და საქართველოს ტრაგედია)* – გამოთქმულ მოსაზრებას, რომ იოსებ ჯუღაშვილს ილ-

[13] სსცა, ფ. 94. აღ. 1. საქ. 157, გვ. 34. სწორედ ამ დოკუმენტის ასლი, ოღონდ, როგორც ტექსტის ანალიზიდან ჩანს, იგი ამოღებულია ბაქოს არქივიდან, მოვიძიე ლავრენტი ბერიას წიგნად გამოცემულ მოხსენებაში – ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის (მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წლის 21-22 ივლისს). მეექვსე გამოცემა. 1945, გვ. 208-209.

ია ჭავჭავაძის მკვლელობასთან ჰქონდა კავშირი.[14]

ამრიგად, ერთი მხრივ, თითქოსდა გვარების ასეთი დამთხვევა პირდაპირ მიანიშნებს იოსებ ჯუღაშვილის მონაწილეობაზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. მეორე მხრივ კი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მასალებზე მუშაობისას, ილიას ფიზიკური მკვლელების – ილიკო იმერლიშვილის, ივანე ინაშვილის, პავლე ფშავლიშვილის და გიგლა ბერბიჭაშვილის შესახებ საქართველოს არქივებში არსებული დოკუმენტების დამუშავებისას, სხვა რაიმე მინიშნებას ვინმე „ნიჟარაძის“, ანდა იოსებ ჯუღაშვილის მონაწილეობაზე ამ მკვლელობაში, ვერ მივაკვლიე.

იმის გამო, რომ ზემომოყვანილ დოკუმენტში ნათქვამია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ნიჟარაძე ილიას საათით ბორჯომში დააკავეს,[15] შეძლებისდაგვარად გამოვიკვლიე იმ პერიოდში ბორჯომსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედი რევოლუციონერების, ტერორისტების „წითელ რაზმელების“ ვინაობა, საქმიანობა. მათ შორის, იმ ხანად ბორჯომის ხეობაში მოქმედი ერთ-ერთი სახელგანთქმული ყაჩაღისა და ტერორისტის „ფორიას“ – ალექსანდრე (ქრისტეფორე) ცაგურიშვილის გარემოცვა. ეს პიროვნება დაკავშირებული იყო და მეგობრობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე ბოლშევიკ ტერორისტ ილიკო იმერლიშვილთან, ასევე კამოსთან (ტერ-პეტროსიანი), ბაჭუა კუპრაშვილთან და სხვებთან. თუმცა გაიოზ ნიჟარაძის ან მხოლოდ ნიჟარაძის გვარით 1906-1908 წლებში მოქმედ ტერორისტს ბორჯომში ანდა მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერ-ჯერობით ვერ მივაგენი.

სამაგიეროდ კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ 1908 წლის მარტში იოსებ ჯუღაშვილთან ერთად ბაქოში ბაილოვის ციხეში მჯდარა ვინმე შ. ნიჟარაძე. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „*ბაილოვის ციხეში სტალინი*

[14] მივუთითებ, რომ ასევე მოვიძიე საარქივო დოკუმენტი, რომლის შინაარსი, ერთი მხრივ, 1902 წელს იოსებ ირემაშვილისა და იოსებ ჯუღაშვილის ძალიან ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაზე, მეორე მხრივ კი, 1902 წლის 9 მარტის ბათუმის მუშათა გამოსვლებში იოსებ ჯუღაშვილის აქტიურ მონაწილეობაზე მეტყველებს.

[15] მკითხველისათვის, ვფიქრობ, საინტერესოა, რომ სტალინს, ისევე როგორც სხვა უამრავ ადამიანს, ჰქონია ჰობი – აგროვებდა საათებს. 1940-1949 წლებში „სოვნარკომის“ (საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო) საქმეების მმართველი ი. ე. ჩაადაევის მოგონებაში აღნიშნულია, რომ სტალინი აგროვებდა საათებს და ჰქონდა კოლექცია. მათ შორის მაჯის და, ასევე, ე.წ. ჯიბის საათების. Г. А. Куманев. Говорят сталинские наркомы. Смоленск. 2005, გვ. 512.

იჯდა მესამე კამერაში, იქ იჯდა ს. ორჯონიკიძე ... მესამე კამერიდან გაქცევა გვინდოდა და შემოვიყვანეთ შ. ნიჟარაძე“.[16] ვინმე შალვა ვასილის ძე ნიჟარაძის ფოტო მოვიძიე თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს კართოტეკაში, თუმცა სხვა დამატებითი მასალას მასზეც ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე და ვაგრძელებ ამ მიმართულებით ძიებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იოსებ ჯუღაშვილის შესახებ გამოსული ნაშრომების ავტორების ნაწილი მასთან კავშირში „ნიჟარაძეს“ სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ. მაგალითად, ვ. ს. კრასკოვა თავის წიგნში „დანაშაულობები კრემლის კედლებში“ წერს:

„დილეგი, რომელშიც მოხვდა ვიშინსკი იტევდა იმაზე მეტ ადამიანს, ვიდრე შესაძლებელი იყო. საწოლ ნარებზე ერთი ადგილი ეკავა ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ მარტში მოიყვანეს. პოლიციის დოკუმენტებში იგი აღნიშნული იყო როგორც გაიოზ ნიჟარაძე. პატიმრები მას კობას ეძახდნენ, ნამდვილი სახელი კი იყო იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი, ანუ სტალინი. კუთხეში მიყუჟული და ფეხებმოკეცილი, იგი ყველასათვის ზურგშექცეული ... საათობით სწავლობდა „მომავლის ენას“ ესპერანტოს“.[17]

მ. ს. ალდანოვი კი წერდა:

„ლენინის მარჯვენა ხელი პირველი რევოლუციის „ჩავარდნის“ შემდეგ „ექსპროპრიაციების“ განხორციელებაში – იმ დროს უკვე ცნობილი კავკასიელი „ბოევიკი“, რევოლუციური მეტსახელით „კობა“, იგივე „დავითი“ იგივე „ნიჟარაძე“, იგივე „ჩიჟიკოვი“, იგივე „ივანოვიჩი“, იგივე ყოვლისშემძლე რუსი დიქტატორი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი –ჯუგაშვილი გახდა“.[18]

სხვა ავტორის, 1929 წელს დასავლეთ ევროპაში გაქცეული საბჭოთა დიპლომატის (ყოფილი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი) გ. ზ. ბესედოვსკის აზრით, სტალინს ძარცვების შესახებ ქმედებები შეთანხმებული ჰქონდა ლენინთან:

„ი. ჯუგაშვილმა – კობა ... დაიწყო თავისი ლიდერის განკარგულებების შესრულება და მიიღო ახალი მეტსახელი. ახლა მას ნიჟარაძეს ეძახდნენ. ამ მეტსახელით მან ბოევიკების საქმიანობის ხელმძღვანელობა დაიწყო. ნიჟა-

[16] შსსპა. ფ. 8. აღ. 2-1. საქ. 42, გვ. 33-39.

[17] В. С. Краскова. Преступления за кремлевской стеной. Минск. 1999, გვ. 113-114.

[18] Е. Н. Гусляров. Сталин в жизни: систематизированный свод воспоминаний современников. М. 2003, გვ. 60.

რაძემ მალე იპოვა საბრძოლო ორგანიზაციის ძალიან კარგი ხელმძღვანელი სომეხი, გვარად პეტროსიანი“.[19]

გ. ზ. ბესედოვსკის სიტყვებით, ნიჟარაძე-სტალინი არა მარტო ექსპროპრიაციებს ხელმძღვანელობდა, არამედ მათში თვითონაც მონაწილეობდა: *„ნიჟარაძემ ისროლა თბილისში 1907 წლის 13 ივნისის ექსპროპრიაციის დროს პირველი ბომბი თავად სუმბატოვის სახლის სახურავიდან“.*[20]

სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერჯერობით ვერ მოვიძიე საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დასახელებული ავტორების მოსაზრებებს დაადასტურებდა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მთელი რიგი ავტორები თვლიან, სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა 1907 წლის 13 ივნისის ექსპროპრიაციაში, ვფიქრობ, ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება საკმაოდ საინტერესო შედეგებს მოგვცემს. მით უმეტეს, აღმოჩნდა დღემდე უცნობი რამდენიმე საარქივო საქმე, ასევე ცალკეული დოკუმენტები, სადაც 1907 წლის 13 ივნისს, ერევნის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში იოსებ ჯუღაშვილის უახლოესი გარემოცვის მონაწილეობის დამატებითი ეპიზოდების შესახებაა საუბარი.

რაც შეეხება ნიჟარაძეს, მისი ვინაობის ძიების პროცესში ასევე გაირკვა, რომ ვინმე ***თავადი ნიჟარაძე*** მოხსენიებულია 1905 წლის ბოლოს და 1906 წლის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები ცნობილი მისტიკოსისა და ფილოსოფოსის გიორგი ივანეს გურჯიევის წიგნში – „შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან“.[21] „თავადი ნიჟარაძე“ დაახლოებით 1900-იანი წლების დასწყისში, გ. გურჯიევთან ერთად საიდუმლო (ეზოთერული) ცოდნის მოსაძიებლად სპარსეთის ყურის ქვეყნებში წასული ექსპედიციის მონაწილე ყოფილა. არსებული ცნობებით, გ. გურჯიევის დასახელებულ წიგნში „თავად ნიჟარაძეს“ ცალკე თავი ჰქონია მიძღვნილი, მაგრამ ავტორს გარკვეული მოსაზრებების გამო ეს თავი აღარ დაუბეჭდია.

ზოგიერთი ავტორი „თავადი ნიჟარაძის“ ქვეშ იოსებ ჯუღაშვილს მოიაზრებს, რომელიც, მათი აზრით, გიორგი გურჯიევის მოსწავლე იყო და ამ პიროვნებების ურთიერთობას სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ.[22]

---

[19] Г. З. Беседовский. На путях к термидору. Париж. 1931, გვ. 350.

[20] Г. З. Беседовский. На путях к термидору, გვ. 351.

[21] გ. გურჯიევის ამ და სხვა წლებში თბილისში ყოფნა ჩემ მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტებით დასტურდება. აღნიშნულ საკითხზე კვლევას მკითხველს სხვა ნაშრომში შევთავაზებ.

[22] დღეისათვის გამოსულ პოპულარულ ოკულტურ, ეზოთერიკულ ლიტე-

კვლევის პროცესში მოძიებული დოკუმენტებიდან კი ჩანს, რომ გიორგი გურჯიევი 1906 წლის მარტ-აპრილში ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებას, ქალაქში ბარიკადული ბრძოლების წარმოებას, სხვა „სასარგებლო ჩვევებს“ ცნობილი „ავლაბრის არალეგალურ სტამბის“ ზედა სართულზე განლაგებულ ბინაში ბოლშევიკებისგან და მენშევიკებისგან შემდგარ ექვს კაციან ჯგუფს ასწავლიდა. მეტიც, მთელი რიგი წყაროები (საუბარია თანამედროვეების მოგონებებზე) მას როგორც ამ ე.წ. „სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის“ და ასევე „ავლაბრის არალეგალური სტამბის“ გამცემად, პოლიციის აგენტად ასახელებენ. ამ საკითხისადმი საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა სათაურით „მისი ნამდვილი ვინაობა“ (რეპლიკა პროფ. მ. კვესელავას) ბატონ ალექსანდრე კოჭლავაშვილს აქვს მიძღვნილი, რომელიც მის არქივში ინახება და დღემდე გამოუქვეყნებელია. მეტიც, ავტორს გამოკვლევა რუსულადაც უთარგმნია, ოღონდ სათაურად რუსულად უწერია „გიორგი გურჯიევი – მეფის „ოხრანკის“ აგენტი“ (იხ. დოკ. 3).

ალექსანდრე კოჭლავაშვილის აზრით, გიორგი გურჯიევი მეფის ხელისუფლების „საიდუმლო აგენტი“ იყო. თუმცა, ჩემს მიერ მოძიებული საარქივო მასალების ანალიზიდან გამომდინარე, გიორგი გურჯიევის, როგორც რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტად ყოფნა, იმ პერიოდში არ დასტურდება. პირიქით, როგორც ირკვევა, იგი სოციალ-დემოკრატებთან საკმაოდ ყოფილა დაახლოებული. სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის წევრების მასწავლებლად რეკომენდაცია გიორგი გურჯიევისათვის, ერთი წყაროს ინფორმაციით, ბოლშევიკ მიხა ბოჭორიძეს, მეორე წყაროთი კი, ცნობილ მენშევიკ სილიბისტრო ჯიბლაძეს გაუწევიათ. ისე კი, საინტერესოა, რომ საბჭოთა პერიოდში გიორგი გურჯიევს მენშევიკადაც ასახელებდნენ.[23]

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, გიორგი გურჯიევი 1906 წლის იანვარში ხაშურში ცხოვრობდა. მეტიც, იგი სოციალ-დემოკრატიული პარტი-

---

რატურაში, ასევე ინტერნეტ-რესურსებში მოიძიება უამრავი მასალა გიორგი გურჯიევის და სტალინი-ნიჟარაძის ურთიერთობის შესახებ. ეს ინფორმაციები საკმაოდ ჭრელი და ურთიერთგამომრიცხავია. საუბარია ისეთ თემატიკაზე როგორიცაა ეზოთერულ-მისტიკური სკოლები, ოკულტური პრაქტიკა და ასე შემდეგ, რომლებიც ცდება ჩემი კომპეტენციის სფეროს. შესაბამისად, მათ როგორც გასაანალიზებელი დოკუმენტური მასალის სახით, ასევე არსებული ინფორმაციის სანდოობის და რეალობის კუთხით ამ კვლევაში ვერ განვიხილავ.

[23] გაზ. «Заря Востока». 20. 08. 1937.

ის აქტივისტებს, მათ შორის, ვლადიმერ (ვალერიან) ბილანოვს (ბილანიშვილი) ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებას ასწავლიდა (იხ. დოკ. 4). სავარაუდოდ, სწორედ ეს უკანასკნელია დასახელებული 1905 წლის შემოდგომაზე სომეხ-თათრების შეტაკების აცილების მიზნით შექმნილი სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთის (მენშევიკები და ბოლშევიკები) შეიარაღებული რაზმების წევრად ილიკო იმერლიშვილთან, ალექსანდრე (საშა) ობოლაძესთან, გიგლა ბერბიჭაშვილთან და სხვებთან ერთად. სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ შეიარაღებულ რაზმებს მენშევიკების მხრიდან ისიდორე რამიშვილი, ხოლო ბოლშევიკებიდან იოსებ ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

აქვე საინტერესო და საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით არა გიორგი გურჯიევი, ან სხვა პიროვნება, თუ პირთა ჯგუფი, არამედ იოსებ ჯუღაშვილი იყო „ავლაბრის არალეგალური სტამბის“ გამცემი.[24] მათი აზრით, აღნიშნული სტამბა, რომელიც თავიდან ბოლშევიკებს ეკუთვნოდა, მენშევიკების ხელში გადავიდა, რამაც გამოიწვია ბოლშევიკების მიერ მისი „ჩაგდება“. თუმცა „ავიწყდებათ“, ანდა არ იციან, რომ „ავლაბრის არალეგალური სტამბა“, რომელიც სარდაფში იყო განლაგებული, 1906 წლის მარტ-აპრილში აღარ ფუნქციონირებდა და სტამბის განთავსების ადგილის ზედა შენობის ოთახები სწორედ ბოლშევიკ-მენშევიკების გაერთიანებული ე.წ. „სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის“ „სამეცადინოდ“ იყო გამოყენებული. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ავლაბრის არალეგალურ სტამბასთან“ იყო დაკავშირებული, იმ პერიოდში იოსებ ჯუღაშვილის უახლოესი ამხანაგი, თანამებრძოლი მიხა ბოჭორიძე (ბოჭორიშვილი), ვფიქრობ, ამ კუთხით დამატებითი კვლევებია ჩასატარებელი.

საზღვარგარეთულ არქივებში, ფონდებში, მათ შორის, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს უამრავი მასალა და დოკუმენტი, რომლებიც ეხება იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) ბიოგრაფიას. მაგალითად, ჩემს ხელთ არსებული მასალების ანალიზიდან გამომდინარე სტენფორდის უნივერსიტეტის (კალიფორნია) ჰუვერის ინსტიტუტის ე. წ. რუსულ საარქივო მასალებში, ილინოისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რუსულ საარქივო ფონდებში და სხვაგან, შესაძლებელია მოძიებულ იქნას პასუხები, თუნდაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სავარაუდო მონაწილის, ვინმე ნიჟარაძის

[24] ამ საკითხს ეხებიან ლ. ტროცკი, შ. მალამუდი, ი. ლევინი, ბ. სუვორინი, დ. კენანი და სხვები.

იოსებ ჯუღაშვილთან იგივეობის ან უარყოფის შესახებ.

P.S.

ჩვენგან დამოუკიდებელი „მიზეზებიდან“ გამომდინარე, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შევძელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამფინანსებელი როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთული ფონდების საქართველოში არსებულ წარმომადგენლობებში, კვლევა-ძიების გაგრძელებისათვის აუცილებელი დაფინანსების მოპოვება.

შესაბამისად, ჩემ მიერ დასმული კითხვების ნაწილს, იქნებ, მომავალში მაინც გაეცეს პასუხი იმ მკვლევრების მიერ, რომლებიც „ახერხებენ“ საზღვარგარეთ არსებულ არქივებსა და ფონდებში კვლევა-ძიებისათვის საჭირო სახსრების მოძიებას.

დოკუმენტები:



24 ~~25~~

25

Душевнолюбезнаемый
Петръ Александровичъ!
Подозреваемаго въ убійствѣ кн. Чавчавадзе, Ницлараадзе поймали въ Боржомѣ, какъ я узналъ, у него нашлись часы убитаго. Также взяли подъ стражу и фальшивомонетчика. Не хотайте разлакаться находку часовъ, въ виду тѣхъ соображеній, что участники въ убійствѣ могутъ скрыться.
Честь имѣю быть покорнымъ слугой Г. Ницхелауз

5 Сентябр. 1907 –

დოკ. 1

Тифлисск. Губер. Жандармское
УПРАВЛЕНІЕ по РАІОНУ
7 АВГ. 190
По вход. журн. № 3432
ДѢЛО №

Копія.

ПОСТАНОВЛЕНІЕ №. 4237 34

1908 года Августа 4-го дня, въ гор. Баку. Я, Начальникъ Бакинскаго Губернскаго Жандармскаго Управленія, Генералъ-Маіоръ КОЗИНЦОВЪ, разсмотрѣвъ оконченную производствомъ переписку по собранію свѣдѣній о выясненіи степени политической благонадежности, назвавшагося Каіосомъ НИЖАРАДЗЕ и въ дѣйствительности оказавшагося Іосифомъ Виссаріоновымъ ДЖУГАШВИЛИ, нашелъ слѣдующее: 25-го Марта сего года чинами Бакинской сыскной Полиціи былъ задержанъ неизвѣстный, назвавшійся жителемъ сел. Маглаки Кутаисской губерніи и уѣзда Каіосомъ НИЖАРАДЗЕ, при обыскѣ у котораго найдена была переписка партійнаго содержанія. Произведенной по сему дѣлу перепиской въ порядкѣ охраны выяснено, что НИЖАРАДЗЕ крестьянинъ Дидилиловскаго сельскаго общества Іосифъ Виссаріоновъ ДЖУГАШВИЛИ, привлекавшійся въ 1902 году при Кутаисскомъ Губернскомъ Жандармскомъ Управленіи по 251-й ст. и при Тифлисскомъ по 1-й ч. 251-й ст. Улож. о Наказан. Послѣднее дознаніе было разрѣшено административнымъ порядкомъ и ДЖУГАШВИЛИ по ВЫСОЧАЙШЕМУ повелѣнію отъ 9-го Іюля 1903 года былъ высланъ подъ гласный надзоръ Полиціи на три года въ Восточную Сибирь, откуда скрылся и розыскивался циркуляромъ Департамента Полиціи отъ 1-го Мая 1904 года за № 5500. Іосифъ ДЖУГАШВИЛИ съ 25-го Марта сего года содержится подъ стражей въ Бакинской тюрьмѣ, полагалъ-бы Іосифа Виссаріонова ДЖУГАШВИЛИ водворить подъ надзоръ Полиціи въ Восточную-же Сибирь срокомъ на три года. ПОСТАНОВИЛЪ: Настоящую переписку препроводить на распоряженіе Г. Бакинскаго Градоначальника.-Подлинное подписалъ: Генералъ-Маіоръ КОЗИНЦОВЪ.-

Съ подлиннымъ вѣрно:
Генералъ-Маіоръ

Начальнику Тифлисскаго Губернскаго Жандармскаго Управленія по району.-

Л. К.

დოკ. 2

12

ГЕОРГИЙ ГУРДЖИЕВ - АГЕНТ ЦАРСКОЙ "ОХРАНКИ"

В настоящей статье предполагается на основе выявленных нами архивных документов и мемуарной литературы старых революционеров-большевиков дать читателям дополнительные сведения о деятельности Георгия (Жорж) Гурджиева, как агента-провокатора царской "охранки" ещё в период его проживания в Грузии.

В интересной своей статье "Зловещие тени прошлого" Ц.И.Кин наряду с другими важными фактами сообщила, что Жорж Гурджиев, проживая в Тибете, являлся одновременно и "главным агентом-осведомителем царского правительства" ("Иностранная литература", 1965, № 4). Тем не менее некоторые биографы Гурджиева утверждают, что он якобы "вообще, никогда не интересовался политическими движениями". Однако имеющиеся у нас достоверные конкретные данные категорически опровергают это утверждение.

С начала XX века по всей России, в том числе и в Закавказье, быстро усиливалось революционное движение масс. В.И.Ленин подчеркивал, что политический подъём особенно острый характер принял в Закавказье (см. В.И.Ленин. Соч., т.9, стр.418, 420 и другие), в частности после декабрьского восстания. В связи с усилением реакции, по указанию партии большевиков, местные организации широко развернули работу по подготовке нового вооруженного восстания, вооружая революционно настроенные масс. На местах создавались боевые отряды, кружки по изучению военного дела и изготовлению бомб, взрывчатых веществ и т.д. В Тбилиси была создана специальная военно-техническая группа во главе с извест-

დოკ. 3

56

Секретно.

Вагт 553

№ 1399

Февраля 1910 бг.

13-го минувшаго Января въ селеніи Михайлово Начальникомъ Горійскаго Отдѣленія была обнаружена фабрикація взрывчатыхъ снарядовъ, при чемъ въ изготовленіи этихъ снарядовъ, какъ сообщаетъ Начальникъ Горійскаго Отдѣленія подозреваются студентъ Георгій Гурджіевъ, агентъ К-о Зингеръ Николай Сихарулидзе и студентъ Владиміръ Биляновъ, изъ коихъ первые два бѣжали повидимому въ Гурію, а послѣдній въ Тифлисъ.

Объ изложенномъ сообщаю Вашему Высокоблагородію на предметъ выясненія личностей и мѣстожительства названныхъ лицъ.-

Приложеніе: два письма.-

Полковникъ

Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управленія.

დოკ. 4

Tengiz Simashvili

ABOUT THE IDENTIFICATION OF JOSEPH JUGHASHVILI (STALIN) AND "NIZHARADZE"

Summary

Some interesting materials have been found in the Georgian archives about Joseph Jughashvili (Stalin). One of the most significant document among them is the letter dated to 5th September of 1907. The letter contains account about unknown person with the last name Nizharadze, who was suspected in Ilia Chavchavadze's assassination.

It is quite possible that this surname contains extremely important information in the study of Joseph Jughashvili's (Stalin) biography. It is well-known that in 1908 Joseph Jughashvili was arrested in Baku with a fake passport under the name of Gaioz Nizharadze. According to the archival materials which I have discovered so far, it is clear that the fake passport under the name of Gaioz Nizharadze was issued on April 7, 1906.

Such coincidence of surnames directly indicates Joseph Jughashvili's involvement in Ilia Chavchavadze's assassination. However, on the other hand, while working on the archival documents in Georgia regarding Ilia Chavchavadze's assassins: Iliko Imerlishvili, Ivane Inashvili, Pavle Pshavlishvili and Gigila Berbichashvili, I could not find any information about Joseph Jughashvili's or "Nizharadze's" involvment in Ilia Chavchavadze's murder and I am still proceeding with my research.

Some contemporary authors have information about "Nizharadze". For example, "prince Nizharadze" is mentioned in the book ("Meetings with Famous People") of Giorgi Gurjiev, who was a famous mystic and philosopher living in Georgia at the end of 1905 and the beginning of 1906.

Although the information and documents examined in this article are to some extent contradictory, their analysis makes it evident that Joseph Jughashvili's biography is not sufficiently studied.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ნიკო ჯავახიშვილი

ირანის ბოლო სამეფო დინასტია და ქართველები

სახელმწიფოებრიობის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქვეყანას – ირანს (1935 წლამდე – სპარსეთს) თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სათავეში ედგნენ სხვადასხვა სამეფო დინასტია: აქემენიანები, არშაკიანები, სასანიანები, სეფიანები, ავშარიანები, ზენდები, ყაჯარები, ფაჰლავიანები და სხვ.

სპარსეთის მმართველ დინასტიებთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ თანადროული ქართული სამეფო-სამთავრო დინასტიებისა და წარჩინებული საგვარეულოების წარმომადგენლებს, რის შესახებაც საკმაოდ ბევრია ცნობილი.

ამ სტატიაში შევეცდებით გამოვარკვიოთ, თუ რა შეხების წერტილები ჰქონდათ ქართველებს ირანის მმართველი ბოლო სამეფო დინასტიის – ფაჰლავიანების ანუ ფეჰლევიანების (იგივე – ფაჰლავიდების ანუ ფეჰლევიდების) წარმომადგენლებთან. ამის პარალელურად, მოკლედ მიმოვიხილავთ იმდროინდელ ირანში განვითარებულ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებს.

აღნიშნულ საკითხს მივუძღვენით გამოკვლევა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა.[1]

წინამდებარე ნაშრომი ჩვენი ზემოხსენებული გამოკვლევის შევსებულ ვარიანტს წარმოადგენს.

* * *

1909 წლიდან სპარსეთს მართავდა შაჰინშაჰი აჰმადი (1909-1925) – აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1796 წელს დაფუძნებული ყაჯართა თურქმანული დი-

[1] ნ. ჯავახიშვილი. ფაჰლავიანთა დინასტია და ქართველები. აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“. ტ. VI. თბ. 2009, გვ. 122-139.

ნასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. მან თავისი უნიათობით ხელი შეუწყო **რეზა ხანის** (1878-1944) სწრაფ აღზევებას, რაც ყაჯარებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მაზანდარანელი წვრილი მიწათმფლობლის ვაჟი – რეზა – არისტოკრატიას არ განეკუთვნებოდა.[2] იგი დაიბადა თიხით ნაშენებ სახლში.[3] ყმაწვილობიდან მსახურობდა სპარსეთის არმიის ელიტურ შენაერთში – კაზაკთა ბრიგადაში, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა.

1879 წელს, სპარსეთის შაჰინშაჰ ნასრ ად-დინის (მეფობდა 1848-1896 წლებში) თხოვნის შესაბამისად, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ თეირანში მიავლინა რუს ოფიცერ-ინსტრუქტორთა ჯგუფი პოდპოლკოვნიკ ალექსი დომანტევიჩის ხელმძღვანელობით. მათ, მსგავსად რუსეთის კაზაკთა შენაერთებისა, 1882 წელს საბოლოოდ ჩამოაყალიბეს სპარსეთის კაზაკთა პოლკი, რომელიც შემდეგ ჯერ ბრიგადად და ბოლოს დივიზიად გარდაიქმნა. აქვე დავძენთ, რომ ალექსანდრე II თავადაც დაინტერესებული იყო რუსეთის მეზობელ ქვეყანაში რევოლუციისა და ანარქიის საფრთხის აღმოფხვრით.

1905-1911 წლების რევოლუციიდან მოყოლებული, კაზაკთა ბრიგადა ყაჯარ შაჰინშაჰთა საიმედო დასაყრდენს, ფაქტობრივად, ლაიბ-გვარდიას წარმოადგენდა. იმ პერიოდში შაჰინშაჰის ერთგულებით განსაკუთრებით ისახელა თავი ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ვლადიმერ პლატონის ძე ლიახოვმა.

სპარსეთში ჩამოყალიბებულ კაზაკთა შენაერთს სხვადასხვა დროს მეთაურობდნენ პოლკოვნიკები: ა. დომანტევიჩი (1879-1882); პ. ჩარკოვსკი (1883-1885); დ. კუზმინ-კარავაევი (1885-1891); ა. შნეური (1891-1894); ვ. კოსოგოვსკი (1894-1903); ფ. ჩერნოზუბოვი (1903-1906); ვ. ლიახოვი (1906-1909); ნ. ვადბოლსკი (1909-1914); პროზორკევიჩი (1914-1915); გენერალ-მაიორი, ბარონი ფონ მაიდელი (1915-1917); გ. კლერჟი (1917-1918).

1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუციების შემდეგ კაზაკთა დივიზიის რუს ოფიცერთა უმრავლესობამ დატოვა სპარსეთი და სამშობლოში დაბრუნდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი „თეთრ მოძრაობაში„ ჩაება.

კაზაკთა დივიზია, შენარჩუნება შეძლეს სპარსეთში იმხანად მყოფმა ინგლისელებმა, თუმცა ამ სამხედრო შენაერთიდან რუს ოფიცერთა წასვლის პროცესს ისინი ხელს არ უშლიდნენ.

1918 წლის დასაწყისიდან 1920 წლის ოქტომბრამდე კაზაკთა დივიზი-

[2] Н. Сычев. Книга династий. М. 2006, გვ. 601.

[3] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი. თბ. 2009, გვ. 7.

ას მეთაურობდა რუსეთის არმიის პოლკოვნიკი **ვსევოლოდ დიმიტრის ძე სტაროსელსკი** (1875-1953). იგი დაიბადა და აღიზარდა კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილის, სენატორის, წარმოშობით პოლონელი აზნაურის (შლიახტიჩის), რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკისა (1832-1884) და ეკატერინე თადეოზის ასულ გურამიშვილის (1834-?) ოჯახში. ეკატერინეს უმცროსი დის – ოლღა გურამიშვილის (1842-1929) მეუღლე იყო დიდი ილია ჭავჭავაძე.[4]

ვსევოლოდს ცოლად ჰყავდა გერმანული წარმომავლობის ბალტიელი ბარონესა ვარვარა ფონ დერ ოსტენ დრიზენი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი – დიმიტრი (1900-?).

დიმიტრი სტაროსელსკის შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა როგორც თავის ქვისლთან – ილია ჭავჭავაძესთან, ასევე სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან, რომელთაც ის ყოველთვის შეძლებისდაგვარად მფარველობდა.[5]

აქვე დავძენთ, რომ ვსევოლოდ დიმიტრის ძე სტაროსელსკის და – ნინო (1862-1930) ცოლად ჰყავდა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილს (1842-1904), რომლის დედაც იყო დარია გულბაათის ასული ჭავჭავაძე.[6] მისი შვილი იყო დავით იოსების ძე შალიკაშვილი (1886-1940), რომელიც ოფიცრად მსახურობდა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ბოლოს კი საფრანგეთის არმიაში და დიმიტრი შალიკაშვილი (1896-1978), რომელიც ოფიცრად მსახურობდა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, შემდეგ პოლონეთის, ხოლო შემდეგ – გერმანიის შეიარაღებულ ძალებში. მისი ვაჟები არიან – ოთხვარსკვლავიანი გენერალი ჯონ-მალხაზ-დავით დიმიტრის ძე შალიკაშვილი (1936-2011), რომელიც 1993-1997 წლებში მსახურობდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ და ოთარ დიმიტრის ძე შალიკაშვილი (დაბადებული 1933 წელს), რომელიც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში მსახურობდა.[7]

---

[4] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин и Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думина. М. 1998, გვ. 142.

[5] ნ. ჯავახიშვილი. შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა). თბ. 1997, გვ. 11-12.

[6] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 255.

[7] Н. Джавахишвили. Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.). Тб. 2003, გვ. 165.

აღსანიშნავია, რომ ყაჯართა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, შაჰინშაჰმა აჰმადმა ვ. სტაროსელსკის ამაგი სათანადოდ დაუფასა და ის გულუხვად დაასაჩუქრა. კერძოდ, მან გენერალს აჩუქა იშვიათი ოსტატობით დამზადებული, მარგალიტებით მოოჭვილი მახვილი.

1920 წლის მიწურულს ვ. სტაროსელსკი ემიგრაციაში წავიდა. ის დამკვიდრდა აშშ-ში, სადაც შაჰინშაჰისაგან ბოძებული მახვილის საფასურად, მან შეიძინა ლოს-ანჟელესის მახლობლად მდებარე ძვირადღირებული რანჩო ფორთოხლის ბაღითურთ.

ზემოხსენებული რეზა-ხანი მეჯინიბედ მსახურობდა სპარსეთში დისლოცირებულ კაზაკთა ბრიგადაში, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად გურამიშვილთა საგვარეულოს შთამომავალი (დედის ხაზით) ვ. სტაროსელსკი მეთაურობდა. ვსევოლოდმა ამ წერა-კითხვის უცოდინარ, გაუნათლებელ, მაგრამ წარმოსადეგი გარეგნობის და ძლიერ ადამიანში შინაგანი, ბუნებრივი ნიჭი შეამჩნია და რეზა ოფიცრად დააწინაურა.[8] ასე დაიწყო რეზას თავბრუდამხვევი კარიერა, რამაც ყოფილი მეჯინიბე საბოლოოდ სპარსეთის შაჰინშაჰად და ახალი სამეფო დინასტიის ფუძემდებლად აქცია.

რეზა-ხანმა მალე მოიპოვა პოპულარობა როგორც საკუთარ სამხედრო შენაერთში, ასევე სპარსეთის მმართველ წრეში, რის შემდეგაც კაზაკთა ბრიგადას სათავეში ჩაუდგა.

1916 წელს მან მეოთხედ იქორწინა და ცოლად შეირთო ნიმთაჯი ანუ თაჯ ოლ მოლუქი (1896-1982), ასული სპარსეთის რეგულარული არმიის გენერლისა თეიმურ-ხან აირომლუსი. ეს ოჯახი სპარსეთში კავკასიიდან გადასახლდა.

რეზას და ნიმთაჯს შეეძინათ მომავალი შაჰინშაჰი – მოჰამად რეზა ფაჰლავი (1919-1980) და კიდევ სამი შვილი, კერძოდ, ვაჟი ალი-რეზა და ასულები – შამსი და აშრაფი (არაბულად – „ბრწყინვალე“), რომელიც მოჰამად რეზას ტყუპისცალი იყო. სხვა ქორწინებიდან რეზას ჰყავდა კიდევ სამი ვაჟი – ღოლამ რეზა, ჰამიდ რეზა და აბდულ რეზა.

XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისთვის სპარსეთში უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა.

1921 წლის თებერვალში, ინგლისელთა ხელშეწყობით, რეზა-ხანმა 2-ათასკაციანი კაზაკთა ბრიგადით გაილაშქრა თეირანზე და სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა. 21 თებერვალს, მეამბოხეთა მოთხოვნის შესაბამი-

[8] მ. ხომერიკი. წერილები. თბ. 2006, გვ. 194-195.

სად, ჩამოყალიბდა ქვეყნის მინისტრთა ახალი კაბინეტი, რომელშიც რეზა-ხანმა სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა. სამიოდე თვის შემდეგ მან პრემიერ-მინისტრი საზღვარგარეთ გააძევა და სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელთ თავად იგდო.

რეზა-ხანმა, რომელსაც მხარს კაზაკთა ერთგული დივიზია უჭერდა, აიძულა ინგლისელები, რომ ქვეყნის ტერიტორია დაეტოვებინათ. მან შეძლო ჩაეხშო მეამბოხეთა თარეში გილანის მხარეში და სახელმწიფოში წესრიგი დაემყარებინა.

1923 წლიდან რეზა-ხანი სპარსეთის პრემიერ-მინისტრი და უმაღლესი ხელისუფალი გახდა.

იმდროინდელ სპარსეთში შექმნილი უმძიმესი ვითარება აღწერილი აქვს ამბაკო ჭელიძეს, რომელიც იმჟამად მსახურობდა აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას (1873-1932) ხელმძღვანელობით სპარსეთში მოქმედ ბანკში. იგი იგონებდა, რომ სპარსეთში ჩავიდა 1923 წელს, როდესაც ეს ქვეყანა „ახალი გარდატეხის გზაზე იდგა. ძველი შაჰი ისევ თავის მამისეულ ტახტზე იჯდა. ახლანდელი რეზა შაჰი უფრო ვეზირი იყო... ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინულს ჰგავდა. სახელმწიფო დიდ კრიზისს განიცდიდა. ძველი აღარ ვარგოდა, ახალი არ იყო. ამ დროს გზებზე სიარული დიდ ხიფათს წარმოადგენდა. ურკინიგზო ქვეყანა, ავტომობილების მცირე მიმოსვლა, ცუდი გზები“.[9]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმჟამინდელ სპარსეთში ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ ავტორიტეტშელახული ყაჯართა დინასტია ახალ სამეფო დინასტიას ჩაენაცვლებინა.

1925 წლის 31 ოქტომბერს სპარსეთის მეჯლისმა (პარლამენტმა) დამხობილად სცნო ყაჯართა დინასტია და რეზა-ხანი რეგენტად დანიშნა. იმავე წლის 12 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ რეგენტი რეზა-ხანი – **რეზა-შაჰ ფაჰლავის** (ფეჰლევის) სახელით, შაჰინშაჰად გამოაცხადა.

ახალი სამეფო დინასტიის ფუძემდებელმა შაჰინშაჰმა ქვეყნის ცენტრალიზაციის, მოდერნიზაციისა და საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის ბევრი რამ გააკეთა. მან შემოიღო სამოქალაქო სასამართლოები, ძველ არისტოკრატიას მიწები ჩამოართვა, გაატარა სამხედრო რეფორმა, შეცვალა განათლების მოძველებული სისტემა, აკრძალა ჩადრის ტარება და ა. შ., რითაც შიიტი ფუნდამენტალისტები თავის საწინააღმდეგოდ განაწყო. შაჰინშაჰი ერთიანი ირანელი ერის ჩამოყალიბების პოლიტიკას ახორციელებდა.

[9] ა. ჭელიძე. ფერეიდნელი ქართველები. თბ. 2011, გვ. 20-21.

1934 წლის დეკემბრიდან, შაჰინშაჰის ინიციატივით, სპარსეთს ოფიციალურად – „ირანი“ ეწოდა. ირანის დიად წარსულთან განუყოფელი კავშირის ხაზგასასმელად შაჰინშაჰი ატარებდა ფაჰლავის გვარს, რომელიც პართიის სამეფოსთან და ძველსპარსულ ენასთან ასოცირდებოდა.[10]

რეზა-შაჰი მოწყალე თვალით უმზერდა ირანში მცხოვრებ ქართველებს, როგორც თავისი ქვეყნის ქვეშევრდომებს (ძველად გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები), ასევე XX საუკუნეში ჩასულ ემიგრანტებს. აქვე დავძენთ, რომ 1905-1911 წლების რევოლუციის შემდეგ მასში მონაწილე არაერთი ქართველი სპარსეთში დარჩა.

შაჰინშაჰის პირად გვარდიას – ცხენოსან ათასეულს თავრიზიდან დედაქალაქში საგანგებოდ მიწვეული პოლკოვნიკი მიქელაძე მეთაურობდა.

სპარსეთის ეკონომიკურ წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზემოხსენებული აკაკი ხოშტარიას ხელმძღვანელობით მოქმედმა „რუსეთ-სპარსეთის სანავთობე ამხანაგობამ“ („რუპენტო“) და ბანკმა, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ: გენერალი გიორგი (გიგუშა) ქსნის ერისთავი (ლეგენდარული მერი შერვაშიძის მეუღლე), ზემოხსენებული ამბაკო ჭელიძე, ნიკო ელიავა, მელიტონ რუსია და სხვები.

1916 წლის 12 მარტს ა. ხოშტარიამ სპარსეთის ხელისუფლებასთან გააფორმა 99-წლიანი კონტრაქტი, რომელიც ამ ქვეყნის ჩრდილოეთი ტერიტორიის „ათვისებას“ შეეხებოდა. სწორედ ამ ადამიანის სახელთან არის დაკავშირებული სპარსეთში პირველი ავტომობილების გამოჩენა, პირველი ელექტროფაბრიკა, თევზეულის, ხიზილალის, ხე-ტყის, მატყლის, საპნის და ა. შ. მძლავრი წარმოების ამუშავება. მის პირად საკუთრებაში იყო ნავთობის კონცესიები და კასპიისპირა ქალაქ ენზელის ელექტროფიკაციის სისტემა.

ხოშტარიას პირადი მდივანი და განუყრელი თანამოაზრე სპარსეთში იყო ალექსანდრე პუშკინის შვილთაშვილი – სამართალმცოდნე ჰანიბალი.[11]

ქართველი ემიგრანტი, დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ერთერთი სამმართველოს ხელმძღვანელი მერაბ სიმონის ძე კვიტაშვილი (1902-1991) იგონებდა, რომ ბაქოელი ქართველები „უბრალო ვაჭრები კი არა, დიდი მასშტაბის ინდუსტრიალისტები იყვნენ და მალე უეჭველად საერთაშორისო

[10] გ. სანიკიძე. ფაჰლავიანები. ენციკლოპედიური ცნობარი „ისლამი“. თბ. 1999, გვ. 189; გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 7.

[11] რ. დაუშვილი. უმდიდრესი ემიგრანტები. წერილი მეათე (აკაკი ხოშტარია). ჟურნალი „გზა“. თბ. 2008, № 30, გვ. 96-97.

მასშტაბის ინდუსტრიალისტები და ფინანსისტები გახდებოდნენ. ამ ჯგუფს სათავეში ედგა აკაკი ხოშტარია – იმ დროს ერთადერთი ნამდვილი მილიონერი საქართველოში, რომელმაც ნავთობის კონცესიები შეიძინა სპარსეთში და ჩამოაყალიბა ფირმა, სახელად „რუპენტო“. ეს იყო ყველაზე დიდი და ფინანსურად ყველაზე ძლიერი ფირმა, რისი მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ. მისი პრეზიდენტი იყო ხოშტარია, ხოლო მისი ხუთი დირექტორიდან ერთ-ერთი – მამაჩემი“.[12]

ა. ხოშტარიას უძრავ-მოძრავი ქონების საერთო ღირებულება კოლოსალურ თანხას შეადგენდა, რის გამოც მას მეტსახელად „სპარსეთის უგვირგვინო შაჰსაც“ უწოდებდნენ. ეს უმდიდრესი პიროვნება იმავდროულად გულუხვი ქველმოქმედი და სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა თავგამოდებული მფარველი იყო.

სპარსეთში მოღვაწეობის პერიოდში ა. ხოშტარიას თან ახლდა თავისი ძმა გიორგი და ნათესავ-ახლობელთა ვრცელი წრე, მათ შორის ალექსანდრე სხირტლაძეც, რომელიც შემდგომში სპარსეთის სამთო მაღაროების მმართველი გახდა.

1924 წელს, როდესაც ა. ხოშტარიას მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი მინადორა ეგნატეს ასული თურქია (1881-1924) სპარსეთში გარდაიცვალა, მისმა მეუღლემ ეგვიპტიდან ჩამოაყვანინა ბალზამირების სპეციალისტები და ცხედრის მუმიფიცირება გააკეთებინა. ამის შემდეგ, აკაკიმ მეუღლის ცხედარი საგანგებოდ აგებულ, ზღაპრული სილამაზის აკლდამაში დაასვენებინა.[13]

ზემოხსენებული აკლდამა და მცირე ზომის სამლოცველო თეირანში, დულაბის რუსულ, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე მდებარეობს. იგი დააპროექტა და ააგო წარმოშობით თბილისელმა არქიტექტორმა და ირანისტმა ნიკოლოზ ლევის ძე მარკოვმა (1882-1957), რომელიც სპარსეთში დისლოცირებულ კაზაკთა ბრიგადაში შტაბის უფროსად მსახურობდა და ამავე სასაფლაოზე განისვენებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დულაბის სასაფლაოზე 30-მდე ქართველი განისვენებს. მათ შორის არიან: მინადორა თურქიას ბიძაშვილი – ვლადიმერ მა-

[12] მ. კვიტაშვილი. თეირანის კონფერენცია. ფიქრები საქართველოს მომავალზე. წინასიტყვა და კომენტარები გ. გაჩეჩილაძისა. ინგლისურიდან თარგმანი დოდონა კიზირიასი. თბ. 1991, გვ. 22.

[13] ლ. მიქელაძე. აკაკი ხოშტარია. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. თბ. 6. X. 1989, გვ. 10.

თეს ძე თურქია (1873-1948), რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ირაკლი ციციშვილი (1890-1953), იოსებ გეგენავა (1883-1955), მარგარიტა ქორქია (1910-1971), მიხეილ ქორქია (1900-1964) და სხვები.

პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის შეფასებით: „მინადორა ხოშტარიას საფლავზე აგებული აკლდამა ჭეშმარიტად ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშია და მკაფიოდ მიგვანიშნებს აკაკი ხოშტარიას დახვეწილ გემოვნებაზე“.[14]

აქვე უნდა ითქვას, რომ ირანში საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ხსენებული აკლდამა 2003-2004 წლებში კაპიტალურად შეკეთდა.

1923 წლის სექტემბრიდან – დეკემბრამდე თეირანში ცხოვრობდა სახელგანთქმული ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937), რომელიც იგონებდა: „ციხეში ორწელიწად-ნახევრის ტუსაღობის შემდეგ, 1923 წლის 20 მაისს, სამხედრო ცენტრის წევრებთან ერთად, მე გადამიწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს განაჩენი შემიცვალეს 5 წლით გაძევებით საქართველოს საზღვრებიდან...

ადვილი გასაგებია, რომ რუსეთის მიყრუებულ გუბერნიაში წასვლა და დაბინავება, მე კარგს არას მიქადდა. ჩემი სურვილი იყო მოვხვედრილიყავი როგორმე სპარსეთში, რადგან ცნობილია, ა. მ. ხოშტარია იმ დროს სპარსეთში იყო და იმედი მქონდა, რომ ეს მეტისმეტად კეთილი კაცი რაიმე სამუშაოს მომცემდა და ამგვარად, შიმშილით არ მოვკვდებოდი“.[15]

საბჭოთა ხელისუფლებისაგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ გ. მაზნიაშვილი ა. ხოშტარიას ერთ-ერთ კომპანიონთან – ნიკოლოზ იოსელიანთან ერთად თეირანში ჩავიდა.

იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, სპარსეთის ტერიტორიაზე არსებული რუსეთისა და მისი მოქალაქეების მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ამ ქვეყანას უსასყიდლოდ გადაეცა.

უძრავ-მოძრავი ქონება ა. ხოშტარიასაც რეკვიზიციით ჩამოართვეს. ამის გამო მან გ. მაზნიაშვილის დასაქმება ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, გ. მაზნიაშვილის თეირანში ცხოვრების პერიოდში მის ყველა ხარჯს ა. ხოშტარია ფარავდა.[16]

---

[14] ჯ. გიუნაშვილი. მინადორა ხოშტარიას აკლდამის შესახებ ქალაქ თეირანში. გაზეთი „მეგობრობის მაცნე“. თბ. 2005, № 5, გვ. 4-5.
[15] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი (1917-1925 წწ.). ბათუმი. 1990, გვ. 214-215.
[16] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 216-217.

აღსანიშნავია, რომ ა. ხოშტარიას დიდად აფასებდნენ როგორც ყაჯარები, ასევე სპარსეთის ახალი სამეფო დინასტიის წარმომადგენლები.

რეზა ფაჰლავის კორონაციის ცერემონიალზე (1925 წ.) აკაკი ხოშტარიამ სპარსეთის ახალ შაჰინშაჰს მიართვა იტალიიდან ჩამოტანილი ძვირფასი საჩუქარი – მარმარილოს ქანდაკებები.

შაჰინშაჰმა ა. ხოშტარიას მადლობა გადაუხადა და აღნიშნა:

– „მე ჯერ ისეთი სასახლე არ მაქვს, რომ ასეთი ძვირფასი ნივთები დავალაგო. მალე ავაშენებ ახალ სასახლეს და როდესაც ამ ქანდაკებებს შიგ მოვათავსებ, ნადიმზე შენც დაგპატიჟებო“.[17]

დიდი ქველმოქმედის ძმის შვილიშვილის, ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიას ცნობით, ა. ხოშტარიას ირანის ტახტის მემკვიდრისათვის მიურთმევია როიალისათვის განკუთვნილი, ბრილიანტისაგან დამზადებული 8 სმ სიმაღლის ფეხები.[18]

იმხანად სპარსეთში ცხოვრობდა ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, გენერალი ლეო კერესელიძე. 1925 წლის მიწურულს ის პარიზში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა ორგანიზაციას „თეთრი გიორგი“.

იმ პერიოდში თეირანში დაფუძნდა სსრკ-სპარსეთის ბანკი, რომლის დირექტორადაც დაინიშნა სტალინის პირველი ცოლის ძმა – ალექსანდრე (ალიოშა) სვიმონის ძე სვანიძე (1886-1942). ამავე ბანკში მუშაობდა ზემოხსენებული ა. ჭელიძე, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებები სპასეთის შესახებ გადმოსცა წიგნებში „ექვსი წელი სპარსეთში“ და „ფერეიდნელი ქართველები“.[19]

აღსანიშნავია, რომ სპარსეთის ერთ-ერთ რეგიონში – ფერეიდუნშაჰრში ანუ ფერეიდანში მცხოვრები ქართველები ტრადიციულად გამოირჩეოდნენ ამ ქვეყნის ხელისუფლებისადმი ლოიალობით. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა XX საუკუნის ოციანი წლების მიწურულს, როდესაც სპარსეთში მორიგმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა. იმხანად სამხედროვალდებული ფერეიდნელი ქართველი ახალგაზრდები სამთავრობო ჯარში შემადგენლობაში ირიცხებოდნენ და ამბოხების ჩახშობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ, რის გამოც სპარსეთის ახალი შაჰინშაჰის კეთილგანწყობა მოიპოვეს.

[17] ა. ჭელიძე. ექვსი წელი სპარსეთში. თბ. 1964, გვ. 41.
[18] ლ. მიქელაძე. აკაკი ხოშტარია, გვ. 10.
[19] ა. ჭელიძე. ექვსი წელი სპარსეთში, თბ. 1964; ფერეიდნელი ქართველები, თბ. 2011.

ა. ჭელიძის მოგონებაში ვკითხულობთ: „1929 წელს, ბახთიარებისა და ლურების აჯანყების დროს, მთავრობის ჯარში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. პირველ დღეებში სტიქიურად ატეხილმა ათი ათასი კაცის ურდომ გაიმარჯვა და ერთ ციხეს ალყა შემოარტყა, რომელშიაც, სხვათა შორის, ქართველებიც იყვნენ. ოცდაშვიდი დღე იყვნენ მოწყვეტილი გარემოს, არც საჭმელი საკმაოდ, არც წყალი. მთავრობა პურს ჰაეროპლანით აწვდიდა, მაგრამ ჩამოგდებული პური ხშირად ციხის გალავნის გარეთ ეცემოდა. ციხის დამცველები შედრკნენ, მოინდომეს მტერს დანებებოდნენ, მაგრამ ქართველებს უარი განუცხადებიათ:

– „სირცხვილია, რაღასი მეომრები ვართო!“

ბახთიარებს გაეგოთ ქართველების იქ ყოფნა და წინადადება მიეცათ:

– „დაგვნებდით, თქვენ არას გავნებთ, მეზობლები ვართ, ერთიმეორის სისხლს ნუ დავღვრით, სეიფოლა (იგულისხმება ფერეიდნელი სეიფოლა იოსელიანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ნ. ჯ.) თავისი ჯარით ჩვენთან არისო“.

ამ აჯანყებაში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ბოლოს აჯანყებულები მთავრობამ დაამარცხა. ქართველებმა დიდი მადლობა და ჯილდო დაიმსახურეს...

ფერეიდანში მცხოვრები ქართველების სტატისტიკური აღწერა რეზა-შაჰის მთავრობის განკარგულებით 1929 წელს მოხდა... მთელი ჯამი მცხოვრებლებისა უდრის 12.545 სულს... ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი განისაზღვრება ათი ათასი სულით... ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრების კარგი მცოდნე ამჟამად უსათუოდ სეიფოლა იოსელიანია. ის არის დღეს მათი მეთაური“.[20]

ირანის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა სარკინიგზო ინჟინერმა, პოლკოვნიკმა ივანე სოფრომის ძე ვარაზაშვილმა (1879-1955) – მხატვარ ავთო ვარაზის (ვარაზაშვილის) ბიძამ. ივანე, სხვა უცხო ენებთან ერთად, სპარსულსაც ფლობდა.

1928 წელს, რეზა-შაჰის მიწვევითა და სსრ კავშირის ხელისუფლების ნებართვით, ი. ვარაზაშვილი სპარსეთში ჩავიდა. ამ ქვეყანაში პირველი რკინიგზის მშენებლობას იგი სათავეში დიდი მონდომებით ჩაუდგა. სპარსეთიდან ინდოეთის საზღვრამდე მიმავალი რკინიგზის ხაზზე გაშვებული პირველი მატარებლით იმგზავრა თვით შაჰინშაჰმა, რომელიც ვარაზაშვილის ღვაწლს

[20] ა. ჭელიძე. ფერეიდნელი ქართველები, გვ. 151-173.

დიდად აფასებდა.

ი. ვარაზაშვილი საცხოვრებლად ირანში დარჩა, რის გამოც სსრკ-ში დარჩენილი მისი ოჯახის წევრები და ნათესავები რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

ირანის წინაშე დიდად დამსახურებული ქართველი ინჟინერი დაკრძალეს თეირანში, დულაბის სასაფლაოზე.[21] აქვე დავძენთ, რომ 1998 წელს, ამ სასაფლაოს მიმდებარე ქუჩების რეკონსტრუქციის გამო, აუცილებელი გახდა ი. ვარაზაშვილის ნეშტის იმავე სასაფლაოს სხვა ადგილას გადასვენება, რაც ირანში საქართველოს საელჩოს ძალისხმევით განხორციელდა.[22]

1925, 1926 და 1927 წლებში თეირანში გამართულ სილამაზის კონკურსში დედოფლებად გამოაცხადეს: ლეგენდარული **მერი შერვაშიძე-ერისთავისა** (გიგუშა ქსნის ერისთავის მეუღლე), **ოლია სვანიშვილისა** (ივანე სვანიშვილის მეუღლე) და **სარა ჭელიძისა** (ამბაკო ჭელიძის მეუღლე).

საგულისხმოა, რომ სარას სილამაზით მოხიბლულმა რეზა-შაჰმა მას დარჩეული ცხენების რემა აჩუქა.

30-იან წლებში თეირანის ქართულ სათვისტომოს სათავეში ედგა ექიმი ბ. ჯღარკავა. სათვისტომოს მდივანი იყო მ. ნიკოლაიშვილი, ხოლო ხაზინადარი – ა. სხირტლაძე. არსებობდა ქართველთა ეროვნული კომიტეტიც, რომელსაც პარიზში არსებულ ქართულ ლეგაციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

ირანში მცხოვრები ქართველობა აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო საქმიანობაში, სხვადასხვა მიზნით შეწირულობების შეგროვებაში. მათი ყოფა-ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამომავალი ქართული ემიგრანტული პრესა რეგულარულად ასახავდა.

ვინაიდან რეფორმატორი რეზა-შაჰი კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს განიცდიდა, მათ ზოგჯერ სსრ კავშირიდან იწვევდა. ირანში ჩასულ საბჭოთა სპეციალისტებს შორის ქართველებიც იყვნენ.

სსრ კავშირსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა მხარემ ირანს ჩამოაწერა რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში აღებული ვალები და უსასყიდლოდ გადასცა: რკინიგზები, ხიდები, გზები და ურმიის ტბის ფლოტი. ამის სანაცვლოდ, ირანი იძულებული გახდა, რომ ან-

[21] რ. დაუშვილი. უმდიდრესი ემიგრანტები. წერილი მეათე (აკაკი ხოშტარია), გვ. 94-96.

[22] ჯ. გიუნაშვილი. მინადორა ხოშტარიას აკლდამის შესახებ ქალაქ თეირანში, გვ. 5.

გარიში გაეწია სსრკ-ის მოთხოვნებისათვის: მის საზღვარზე ახლადგადმოსული საბჭოთა მოქალაქეები უკან გაებრუნებინა, ხოლო ლტოლვილები სახელმწიფოს სიღრმეში გადაესახლებინა, რათა ისინი აზერბაიჯანის სსრ-ის ტერიტორიაზე არალეგალურად არ გადასულიყვნენ.

ვინაიდან ირანში მყოფ ქართველ ემიგრანტებს სსრ კავშირის ხელისუფლებისათვის გადაცემის რეალური საფრთხე ემუქრებოდათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარიზში გახიზნულმა მთავრობამ რეზა-შაჰს სთხოვა, რომ ლტოლვილები საბჭოთა რეჟიმის ხელში არ ჩაეგდო.[23]

გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო კონსულტანტის, ვერმახტის ერთადერთი ქართველი გენერლის შალვა მაღლაკელიძის (1894-1976) მემუარებში დაცულია ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ემიგრაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, ამ ცოტა ხნის წინათ წმინდანად შერაცხული არქიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის (1899-1942) ურთიერთობასთან რეზა-შაჰთან.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა, რომ გ. ფერაძე „ლონდონის ბიბლიური საზოგადოების დავალებით იყო ათონის მონასტერში, საიდანაც, სხვათა შორის, მან ჩამოიტანა უძველესი ქართული გარდამოხსნა. ერთხელ, პარიზში, მე და ვიქტორ ნოზაძეს გვეუბნება, რომ ამ გარდამოხსნის შესყიდვა სდომებია სპარსეთის შაჰს რეზა-ხანს... მაგრამ უარი ვუთხარიო.

რატომო – უთხრა ვიქტორ ნოზაძემ ნახევარხუმრობით, – შე დალოცვილოო, იქნებ დაგეკარგოსო და შაჰს ექნებაო იგი თავის მუზეუმშიო.

ისე, არც ვიქტორ ნოზაძე იყო ამის გამყიდველი, უპატიოსნესი კაცი იყო თვითონ და ისე, ნახევარხუმრობით უთხრა.

ამის პასუხად გრიგოლმა ამოიღო უკვე დაწერილი ბარათი რეზა-ხანისადმი, სადაც იგი მას სწერდა, რომ ამ უძველესი ქართული გარდამოხსნის ადგილი არის მხოლოდ საქართველოს მუზეუმშიო.

ჩვენ გაგვიხარდა, რასაკვირველია, ეს“.[24]

თავდაპირველად რეზა-შაჰს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა როგორც დიდ ბრიტანეთთან, ასევე სსრ კავშირთან, რომელთაც ირანის მიმართ თავიანთი ტრადიციული იმპერიული ინტერესები ჰქონდათ.

---

[23] რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბ. 2007, გვ. 27-29.

[24] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი. წგნ.: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში“. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ. 1994, გვ. 154.

ეს ვითარება დიამეტრულად შეიცვალა მას შემდეგ, რაც გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ (1933 წელი). შაჰინშაჰმა გერმანიის მესვეურებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. ირანში თავი მოიყარეს გერმანელმა მრჩევლებმა, ბიზნესმენებმა და დაზვერვის თანამშრომლებმა. ამას ისიც დაერთო, რომ გერმანიის ხელისუფლებამ ირანელები გამოაცხადა „არიელებად", ანუ გერმანელთა უახლოეს ნათესავ ხალხად.

საგულისხმოა, რომ გერმანიის ხელისუფლების სათავეში სხვადასხვა დროს მყოფი ლიდერები, მიუხედავად მათ შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებისა, ხშირად იხსენებდნენ მათი ქვეყნისა და ირანის საერთო წარსულს, რითაც ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გასაღრმავებლად ხელსაყრელ ფონს ქმნიდნენ. ჯერ კაიზერი ვილჰელმ II, ხოლო შემდეგ ადოლფ ჰიტლერი და ბოლოს კონრად ადენაუერიც, დიდი მონდომებით ეწეოდნენ გერმანელი და სპარსელი ერების საერთო რასობრივი წარმომავლობის ანუ მათი არიული ერთობის აფიშირებას. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, თუ რას ემყარებოდა აღნიშნული თეორია – ისტორიულ ჭეშმარიტებას თუ ფსევდომეცნიერებას. მათთვის მთავარი იყო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განმტკიცება გერმანიასა და ირანს შორის, რასაც ხშირ შემთხვევაში წარმატებით აღწევდნენ.[25]

ყოველივე ეს ასუსტებდა დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ის ზეგავლენას ირანზე, რაც, შაჰინშაჰთან ერთად, გერმანიის ხელისუფლების ინტერესებშიც შედიოდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა ირანის ურთიერთობის მოწესრიგება აშშ-სა და მეზობელ თურქეთთან (საადაბადის მოლაპარაკება).

პროფ. იური გოლუბის მოსაზრებით, «Дружба Ирана с Германией подпитывалась и взятой шахом на вооружение идеей иранского национального величия, курсом на возрождение былой мощи древнеиранского государства (в декабре 1934 г. Персия стала вновь называться Ираном, были введены староиранские названия, календарь и т. д.). Важен и такой момент, как пропаганда немцами теории об общем с иранцами арийском происхождении, признание иранцев специальным декретом германского правительства «чистокровными арийцами». Это не могло не льстить шаху».[26]

ბუნებრივია, შაჰინშაჰს ერჩია, რომ მეზობელი ქვეყნის – თურქეთის

[25] გ. კაციტაძე. ირან-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ. 2007, გვ. 98.

[26] Ю. Голуб. 1941: Иранский поход Красной армии (взгляд сквозь годы). Журнал «Отечественная история». Москва, 2004, № 3, გვ. 25.

მსგავსად, ირანსაც ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა. მას ეშინოდა, არ განმეორებულიყო I მსოფლიო ომის სცენარი, როდესაც ქვეყანაში რუსეთის იმპერიისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ. მიუხედავად ამისა, ირანის მონარქისათვის ეს ფრიად არასასურველი სცენარი მაინც განმეორდა.

1941 წლის აგვისტოში სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის არმიები ირანში შეიჭრნენ. მათ შაჰინშაჰი იძულებული გახადეს, რომ 16 სექტემბერს თავისივე უფროსი ვაჟის – მოჰამად რეზას სასარგებლოდ გადამდგარიყო ტახტიდან და ქვეყანა დაეტოვებინა.

II მსოფლიო ომის პერიოდში ირანში განვითარებული მოვლენების საინტერესო აღწერილობა შემოგვინახა მისმა თვითმხილველმა, 1943 წლის შემოდგომაზე თეირანში ჩასულმა საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა, მილიციის III რანგის კომისარმა (შეესაბამება გენერალ-მაიორის წოდებას) **კაპიტონ გრიგოლის ძე ნაჭყებიამ** (1902-1973), რომელიც იგონებდა: „საბჭოთა მთავრობამ 1921 წლის ხელშეკრულების ერთერთი პუნქტის საფუძველზე, 1941 წლის აგვისტოში შეიყვანა თავისი ჯარები ირანის ჩრდილოეთ რაიონებში, რითაც ჩაშალა ფაშისტ აგრესორთა გეგმები და ირანს ააცილა ფაშისტური მონობის საფრთხე...

რეზა-შაჰი სასწრაფოდ გადადგა, ტახტი გადაულოცა თავის შვილს მოჰამად-რეზა ფეჰლევის, თვითონ კი... გაქცევით უშველა თავს. შაჰს მიჰყვა მრავალი მომხრე – მემამულეები, ვაჭრები. ირანში რომ ჩავედით, ჩვენ ვნახეთ უამრავი მიტოვებული საბაყლო და დუქანი. ვაჭრების წასვლამ დიდი დაღი დაასვა ირანის მცირერიცხოვან არმიას, რომელსაც მათი წყალობით ედგა სული.

მოკავშირეებმა ირანი აირჩიეს ბაზად საბჭოთა ფრონტებისათვის ტექნიკისა და სურსათის მისაწოდებლად. ომში საბჭოთა ჯარების ჩაბმამ ირანელთა შორის განმათავისუფლებელი ბრძოლის ტალღა გამოიწვია. შეიქმნა ირანის სახალხო პარტია, ხალხი მზად იყო, თვითონ აეღო ხელში მთელი ძალაუფლება და დახმარებას სთხოვდა საბჭოთა არმიას. სტალინი ჩარევის წინააღმდეგი იყო, თუმცა მას დაბეჯითებით სთხოვდნენ მფარველობას ირანელი აზერბაიჯანელები და ფერეიდნელი ქართველები.

მე ერთხელ შევესწარი საუბარს, როდესაც სტალინს ჰკითხეს, – რატომ არ გაუწვდით დახმარების ხელს თურქეთის ლაზებსო.

სტალინმა უპასუხა, რომ მზად არის დაეხმაროს ამ ადამიანებს, ოღონდ არა ახლა და არა თურქეთისა თუ ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის გზით.

ასეთი საკითხები, – თქვა მან, – წყდება შინაგანი ბრძოლით თვითგამორკვევისა და ავტონომიისათვის, რასაც მათ შეუძლიათ მიაღწიონ“.[27]

1944 წლის 26 ივლისს ლტოლვილობაში მყოფი, მძიმედ დაავადებული ყოფილი შაჰინშაჰი 66 წლის ასაკში, იოჰანესბურგში (სამხრეთი აფრიკა) გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, ალ-რიფაის მეჩეთში. 1950 წელს მისი ცხედარი თეირანის გარეუბან რეიში საგანგებოდ მისთვის აგებულ მავზოლეუმში გადაასვენეს. აქვე დავძენთ, რომ ისლამური რევოლუციის (1979) შემდეგ, ეს მავზოლეუმი მიწასთან გაასწორეს.[28]

მართალია, მოჰამად რეზა ფაჰლავი მამის გადადგომისთანავე იქცა ირანის შაჰინშაჰად, მაგრამ მისი ოფიციალური კორონაცია მხოლოდ 26 წლის შემდეგ შედგა.

ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ჩადგომა 22 წლის შაჰინშაჰს ფრიად მძიმე ვითარებაში მოუხდა. იგი მოკავშირე სახელმწიფოთა მძლავრი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და იძულებული იყო, რომ მამის მტკიცე დიქტატორული მმართველობა ლიბერალური პოლიტიკით შეეცვალა. ამიტომ, თავდაპირველად, იგი თითქმის შეუმჩნეველი პოლიტიკური ფიგურა და უფრო სიმბოლური მონარქი იყო. ეს არც გასჭირვებია, რადგან ყმაწვილობიდანვე ევროპულად იყო აღზრდილი და ასეთივე ცხოვრების წესით ცხოვრობდა.

მოჰამად რეზა სწავლობდა ჯერ თეირანის კადეტთა კორპუსში (1925-1930), შემდეგ შვეიცარიის პრესტიჟულ სკოლა-პანსიონში – Institut Le Rosey (1931-1936), ბოლოს კი ასევე ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ თეირანის ოფიცერთა სასწავლებელში (1936-1939).

აღსანიშნავია, რომ ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილ ყმაწვილ მოჰამად რეზას მამამისმა – რეზა-შაჰმა თან გააყოლა მისი ნდობით აღჭურვილი ქართველი სპორტსმენი, გიორგი (ჟორჟ) ჩაგუნავა, რომელიც ირანის ტახტის მემკვიდრეს წლების განმავლობაში წვრთნიდა და სპორტის სახეობებში აოსტატებდა.

ჯ. გიუნაშვილის ცნობით, თავის თანამგზავრად გ. ჩაგუნავა თვით ირანის უფლისწულმა შეარჩია. ეს ქართველი ემიგრანტი ირანის სამეფო კარზე ცნობილი იყო, როგორც „პრინცი“ ანუ თავადი.

1943 წლის 28 ნოემბერს თეირანში დაიწყო მოკავშირე სახელმწიფოე-

[27] კ. ნაჭყებია. თეირანი, 1943, ნოემბერი. გაზეთი „გენერალისიმუსი“. თბ. 2004, № 14 (52), გვ. 6.
[28] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 14.

ბის ლიდერთა კონფერენცია, რომელიც 1 დეკემბრამდე გაგრძელდა.

იმ პერიოდში ახალგაზრდა შაჰინშაჰს მოჰამად რეზას სამეფო სასახლეში ესტუმრა სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი, ამ ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი (შემდეგში – გენერალისიმუსი) **იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი)** (1879-1953).

სტალინს თან ახლდნენ: სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (შემდეგში – მარშალი) **ლავრენტი პავლეს ძე ბერია** (1899-1953), სტალინის პირადი დაცვის უფროსი (შემდეგში – გენერალ-ლეიტენანტი) **შალვა ოთარის ძე წერეთელი** (1894-1955), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (შემდეგში – გენერალ-ლეიტენანტი) **გრიგოლ თეოფილეს ძე კარანაძე** (1902-1970) და თეირანში ჩასული სსრკ დელეგაციის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზემოხსენებული **კ. ნაჭყებია**.

ამ შეხვედრის შესახებ საინტერესოდ არის მოთხრობილი დევი სტურუას (1931-2001) წიგნში „სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი", რომელშიც ვკითხულობთ:

„თეირანის კონფერენციის შემდეგ ხალხში დადიოდა ერთი ასეთი ისტორია: სტალინმა გადაწყვიტა ვიზიტად წვეოდა ირანის შაჰს..., რომელიც... ეს ესაა აიყვანეს ტახტზე, დაამხეს რა მისი მამა. შაჰი მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო და სტალინის მისვლამდე ძალზე ინერვიულა.

როცა სტალინი ბერიასა და სახელმწიფო უშიშროების გენერლის გრიგოლ კარანაძის თანხლებით სატახტო დარბაზში შევიდა და ნორჩ შაჰს მიუახლოვდა, ირანის ახალ მფლობელს მუხლები მოეკეცა და სტალინის წინ ჩაიჩოქა. სტალინი დაეხმარა შაჰს ფეხზე წამომდგარიყო, შემდეგ მიუბრუნდა ბერიასა და კარანაძეს და ქართულად უთხრა:

– აფსუს, რომ ამ სურათს გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე არ ხედავენო.

მე ვკითხე ბატონ გრიგოლ კარანაძეს, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ისტორია, რაზეც ბატონმა გრიგოლმა ღიმილით მიპასუხა:

– ჰო, იყო რაღაც ამდაგვარი".[29]

აღნიშნული შეხვედრის შესახებ ასეა მოთხრობილი მისი უშუალო თვითმხილველის, ზემოხსენებულ კ. ნაჭყებიას მოგონებაში: „ნოემბერში საქართველოდან ბაქოს გაფრინდა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც გენერალ

[29] დ. სტურუა. სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი (მოგონებები, პორტრეტები), თბ. 1995, გვ. 66-67.

გრიგოლ კარანაძესთან ერთად მეც ვიყავი. ჩვენ დასაცავად უნდა გავყოლოდით სამთავრობო დელეგაციას. ეს დელეგაცია ირანის დედაქალაქ თეირანში მიემგზავრებოდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციაზე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ დიპლომატები და სამხედრო წარმომადგენლები...

ირანში ჩასვლისთანავე საბჭოთა საელჩოში დავბინავდით და დავიწყეთ მზადება სტალინთან შესახვედრად... დავინახეთ სტალინი თავისი ძველი ფარაჯით და ქუდით. მის უკან – ვოროშილოვი, მოლოტოვი და სხვა თანმხლები პირები. ჩვენ, დამხვდურნი, დაძაბული ვიდექით. სტალინი თვითონ მოვიდა ჩვენთან, ჩამოგვიარა, ყველას ხელს ართმევდა. ქართველები რომ დაგვინახა – „სალამი საქართველოსო“ – გვითხრა...

თეირანში ჩასვლის პირველ დღეებშივე სტალინმა მოინახულა ახალგაზრდა შაჰი.

სტალინს უთხრეს, რომ შაჰი თვითონ ეახლა რუზველტს და საუბარმა სულ ხუთ წუთს გასტანა. ხოლო ჩერჩილმა იგი მისაღებში აყურყუტა, მერე კი აუდიენცია სამ წუთში დაამთავრა... ბუნებრივია, შაჰი შეურაცხყოფილი დარჩა ასეთი მიღებით.

სტალინმა მითხრა, – შაჰს უნდა ვეწვიოთ, ვინაიდან სტუმრის ვალია, ეახლოს მასპინძელს, ვის მიწა-წყალზეც იმყოფებიო. შაჰს წინასწარ შევატყობინეთ მოსალოდნელი ვიზიტი, მაგრამ ზუსტი დრო არ გვითქვამს...

ქუჩებში გამოფენილი ხალხი აღფრთოვანებული ხვდებოდა სტალინს, ბევრგან ვიტრინებში მისი პორტრეტები გამოეკრათ...

როდესაც სასახლეს მივადექით, გაიღო რკინის ჭიშკარი და ჩვენ შემოგვეგება მსუბუქ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი ყმაწვილი ქალი, რომელიც ველოსიპედზე იჯდა. სტალინი რომ დაინახა, ეტყობა, იცნო. შალი მოიხურა მხრებზე და ჩვენს შესახვედრად წამოვიდა, გულითადად ჩამოართვა ხელი სტალინს – ასე გაიცნო სტალინმა შაჰის მეუღლე.

სასახლეში შეგვიძღვნენ. შაჰი ისე დაიბნა, რომ მუხლებზე დაემხო და სტალინს მხსნელი უწოდა. სტალინმა ფეხზე ააყენა. გაიმართა საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი. ილაპარაკეს ირანის ტერიტორიაზე ბაზების განლაგებისა და საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ.

უკან რომ ვბრუნდებოდით, სტალინი ქართულად გაგვესაუბრა;

– „აფსუს, ახლა გიორგი სააკაძე რომ ააყენა და მუხლმოდრეკილი

სპარსეთის შაჰი დაანახაო...“.[30]

ვფიქრობთ, მართლაც უჩვეულო ისტორიულ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როდესაც თეირანის სამეფო სასახლეში გამართულ აღნიშნულ შეხვედრაზე სსრ კავშირის სახელით მისული ზემოხსენებული ქართველების წინაშე ირანის შაჰინშაჰმა მორჩილების ნიშნად მუხლებზე დაიჩოქა!

საგულისხმოა, რომ თეირანის კონფერენციაზე იმყოფებოდა კიდევ ერთი ქართველი სსრ კავშირიდან, ლ. ბერიას ვაჟი – სერგო ლავრენტის ძე ბერია (1924-2000). სტალინმა მას საგანგებო დავალება მისცა – საიდუმლო მოსასმენი აპარატურით მოემინა და ჩაეწერა აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის (1882-1945) ნებისმიერი საუბარი, თვით სრულიად უმნიშვნელო დეტალების ჩათვლით.[31]

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კონფერენციაზე ჩასულ დიდი ბრიტანეთის დელეგაციას ახლდა ზემოხსენებული მერაბ კვიტაშვილი, იმხანად სამხედრო დაზვერვის კაპიტანი, რომელმაც თავის მემუარებში იმდროინდელი ირანისა და იქ მყოფი ქართველი საბჭოთა გენერლების შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა.[32]

კ. ნაჭყებიას ზემოხსენებულ მოგონებებში აღნიშნულია, რომ შაჰინშაჰის შეხვედრამ აშშ-ის პრეზიდენტთან საკმაოდ მცირე ხანს გასტანა.[33]

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ფ. რუზველტის ვაჟის – ელიოტ რუზველტის მოგონებები, სადაც ახალგაზრდა შაჰინშაჰის სტუმრობა აშშ-ის პრეზიდენტთან ასეა გადმოცემული: «Он (იგულისხმება პრეზიდენტი რუზველტი – ნ. ჯ.) вернулся к себе, чтобы принять молодого иранского шаха Мохаммеда Реза Пехлеви, прибывшего с официальным визитом в сопровождении своего премьер-министра, министра иностранных дел, а также министра шахского двора Хосейн Ага. Молодой шах слыл весьма легкомысленным человеком, но здесь он держался серьезно и сосредоточенно. Он привез в подарок очень красивый коврик, за который отец поблагодарил его от имени матери».[34]

---

[30] კ. ნაჭყებია. თეირანი, 1943, ნოემბერი, გვ. 6-7.

[31] С. Берия. Мой отец Берия (В коридорах сталинской власти). Перевод с французского. Москва. 2002, გვ. 124.

[32] მ. კვიტაშვილი. თეირანის კონფერენცია. ფიქრები საქართველოს მომავალზე, გვ. 28-67.

[33] კ. ნაჭყებია. თეირანი, 1943, გვ. 6.

[34] Э. Рузвельт. Его глазами. Перевод с английского А. Гуревича и Д. Куниной. Под редакцией И. Овадиса. Вступительная статья С. Бушуева. Москва. 1947, გვ. 193.

1943 წლიდან მოყოლებული ირანში საგასტროლოდ მრავალჯერ იმყოფებოდნენ ქართული ეროვნული ცეკვისა და სიმღერის ცალკეული ანსამბლები, რომლებმაც ამ ქვეყნის საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

სსრ კავშირიდან ირანში პირველად ჩასულ ქართველ ხელოვანთა შორის იყვნენ ახალგაზრდა მოცეკვავეები ილიკო (ილია) სუხიშვილი (1907-1987) და ნინო რამიშვილი (1910-2002) – მომავალში გამოჩენილი ქორეოგრაფები, ეროვნული ბალეტის დამაარსებლები და ხელმძღვანელები.

ილიკო სუხიშვილი იგონებდა: „1943 წელს, ამიერკავკასიის წითელი არმიის შტაბის თხოვნით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები: დავით ანდღულაძე, პეტრე ამირანაშვილი, ნადია ხარაძე, მარია ბაუერი, გიორგი მარგიევი, ტატიანა დუნენკო, მე და ნინო ორი თვით ირანში გაგვამგზავრეს, რათა კონცერტები გაგვემართა წითელი ჯარისა და მოკავშირე ქვეყნების ნაწილებისათვის, რომლებიც სამამულო ომის პერიოდში იქ იდგა.

დილაობით კონცერტებს ჩვენი ჯარისკაცებისათვის ვატარებდით, საღამოს კი ირანელი მაყურებლებისათვის. კონცერტებს ირანში მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ. იმ დროს ირანში ცხოვრობდა შაჰინშაჰის პირადი ექიმი, გვარად თურქია. ძალიან საინტერესო კაცი იყო, საქართველოს პატრიოტი.

იმ დღეს, როცა აფიშები გამოიკრა, თურმე სალაროში მისულა და პირველიდან მეათე რიგამდე მთელი ბილეთები უყიდია. როდესაც მას შევხვდი და ვკითხე, რად გინდოდა ამდენი ადგილი-მეთქი, ღიმილით მიპასუხა:

– ბილეთები თეირანში მცხოვრებ ყველა ქართველს დავუგზავნე, აბა, ქართველების კონცერტზე ირანელს ქართველის წინ ხომ არ დავსვამდიო.

ორთვიანი გასტროლების დროს ვიყავით ქალაქებში: თავრიზში, ფეჰლევში, ყაზვინში, ისპაჰანსა და თეირანში.

კონცერტების დამთავრების შემდეგ ირანის შაჰმა მოჰამადმა თავის სასახლეში ჩვენს პატივსაცემად დარბაზობა მოაწყო და სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა“.[35]

ი. სუხიშვილის მოგონებაში დასახელებული თურქია იყო ზემოხსენებული ვლადიმერ თურქია, ა. ხოშტარიას მეუღლის ბიძაშვილი, ცნობილი ექიმი, რომელიც ერთხანს ფლოტში მსახურობდა. მას ცოლად ჰყავდა მართა ამილახვარი (1875-1937), ასული რუსეთის საიმპერიო არმიის სახელოვანი მხედართ-

[35] ი. სუხიშვილი. მოგონებები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა კ. ჯანდიერმა. თბ. 2008, გვ. 38.

მთავრის, გენერალ-ადიუტანტ ივანე გივის ძე ამილახვრისა (1829-1905).[36]

1943 წლის სექტემბერში, მოკავშირეთა კატეგორიული მოთხოვნით, ირანმა გერმანიას ომი გამოუცხადა.

ახალი შაჰინშაჰის მმართველობის დასაწყისი ქვეყანაში მძაფრი პოლიტიკური მღელვარებებით აღინიშნა. ძალაუფლების მოსაპოვებლად ერთმანეთს თვით შაჰინშაჰის მომხრეებთან ერთად ებრძოდნენ ეროვნული ფრონტი და კომუნისტური პარტია. ამ უკანასკნელს გარკვეული მხარდაჭერა ჰქონდა სსრ კავშირის მესვეურთაგან, რომელთაც ირანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პროვინციის – სამხრეთ აზერბაიჯანის მიტაცება სურდათ.

მოჰამად რეზა იძულებული გახდა, რომ ქვეყნის გადასარჩენად გადამჭრელი ზომებისათვის მიემართა.

1949 წლის 4 თებერვალს, როდესაც შაჰინშაჰი უნივერსიტეტს სტუმრობდა, იგი ფედაინების აქტივისტმა დაჭრა. ამან მოჰამად რეზას პოპულარობა გაზარდა.

ამ ტერორისტული აქტის საპასუხოდ, ირანში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა, აიკრძალა მეამბოხე ორგანიზაციათა საქმიანობა და კომუნისტური საფრთხის ლიკვიდირებაც მოხერხდა. ამის მიუხედავად, მონარქის პოზიციები მყარი არ იყო, ვინაიდან მეჯლისმა მნიშვნელოვანი გავლენა კვლავაც შეინარჩუნა.

1953 წლის 16 აგვისტოს მოჰამად რეზა იძულებული გახდა, რომ დროებით დაეტოვებინა სამშობლო, თუმცა, აშშ-ის დახმარებით, მან ხელისუფლების სადავეები მალევე დაიბრუნა. მოთოკა რა შიიტი ფუნდამენტალისტები, მან დაატუსაღა ეროვნული ფრონტის „ურჩი“ ლიდერი, პრემიერ-მინისტრი მოჰამად მოსადეყი თავისი მომხრეებითურთ და ხელთ აბსოლუტურად შეუზღუდავი ძალაუფლება იგდო. ამის შემდეგ ირანის უკანასკნელი გვირგვინოსანი მკვეთრ პროამერიკულ პოლიტიკას ატარებდა. სწორედ ამან, არმიის მხარდაჭერამ და საიდუმლო სამსახურის „სავაქის“ აქტიურმა ფუნქციონირებამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უზრუნველყვეს ფაჰლავიანთა დინასტიის ბოლო წარმომადგენლის მმართველობა. მეჯლისი შაჰინაჰის „ჯიბის პარლამენტად“ იქცა. მალე ირანი სენტო-ს ორგანიზაციაში გაწევრიანდა, რითაც შაჰინშაჰის პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა.

ზემოთქმულის მიუხედავად, მოჰამად რეზა არასდროს ყოფილა ტრადი-

[36] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 110-111.

ციული ტირანი, რომელიც ტახტის შენარჩუნებას ნებისმიერი მეთოდით ეცდებოდა. მას ირანის სრული გარდაქმნის შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა. შაჰინშაჰს სურდა, რომ შუა საუკუნეების სიბნელეში ჩარჩენილი ქვეყანა ატომის ერაში გადაეყვანა და მსოფლიოს რიგით მეხუთე სამრეწველო სახელმწიფოდ ექცია. ნავთობის ექსპორტიდან მიღებული სოლიდური შემოსავალი (1972-1977 წლებში – 90 მილიარდი აშშ დოლარი) მას ფართომასშტაბიანი რეფორმების წამოწყების სრულ შესაძლებლობას აძლევდა.

1963 წლიდან ირანში დაიწყო და თხუთმეტ წელიწადს გაგრძელდა რეფორმები, რაც მსოფლიომ „თეთრი რევოლუციის“ სახელით მონათლა. ყველგან ალაპარაკდნენ „ირანულ ეკონომიკურ სასწაულზე“...

განსხვავებით მამამისისაგან, მოჰამად რეზა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიას და ხელს უწყობდა თავის მხარდამჭერ ულემთა (ღვთისმეტყველების, ისლამის ისტორიულ-რელიგიური გადმოცემებისა და ეთიკურ-სამართლებრივი ნორმების მცოდნეთა კრებითი სახელწოდება) ზეგავლენას ირანის მოსახლეობაზე გავრცელებას.

„ერთიანი ირანელი ერის“ ჩამოყალიბებისაკენ მიმართულ პოლიტიკას მოჰამად რეზა, მამამისის მსგავსად, თანამიმდევრულად ახორციელებდა.[37]

სახელმწიფოს იდეალურ მმართველად მოჰამად რეზას მიაჩნდა სპარსეთის იმპერიის დამფუძნებელი ქურუში (კიროსი), რომელსაც საკუთარ თავს ადარებდა. შაჰინშაჰი ირანის წარსული დიდების აღდგენაზე ოცნებობდა. მისი მოსაზრების თანახმად, სახელმწიფო სამ საკვანძო პრინციპზე უნდა დაფუძნებულიყო: უფალი, მონარქი და სამშობლო.

ზემოხსენებულ სამეულში უფლის გვერდით მონარქი შემთხვევით არ აღმოჩნდა. მას, როგორც ღვთივკურთხეულ პიროვნებას, უზენაესის მითითებები დედამიწაზე უნდა აღესრულებინა. ამდენად, ხელისუფლება უბრალო მოკვდავთათვის მხოლოდ მოწიწებისა და თაყვანისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო. ამ კავშირის თეოლოგიური დასაბუთების გარდა, ფაჰლავები სპარსი კლასიკოსი პოეტების შედევრებსაც იმოწმებდნენ. ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი ეკავა ფირდოუსის „შაჰნამეს“ („მეფეთა წიგნს“). XI საუკუნეში შექმნილი ამ პოემის მიხედვით, მონარქი სპარსთა სიამაყისა და თვითმყოფადობის სიმბოლოდ განიხილება და მხოლოდ მას უკავშირდება სახელმწიფოს ბრწყინვალება, ბედი, უკვდავება.

[37] ნ. ჯავახიშვილი. ირანის შაჰინშაჰები ფაჰლავიანთა დინასტიიდან. საზოგადოებრივი ჟურნალი „ომეგა“. თბ. 2004, № 2 (52), გვ. 101-102.

ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით მოჰამად რეზა თავდავჯერებით აცხადებდა: „უცხოელი ვერ გააცნობიერებს ირანისათვის მონარქიის მნიშვნელობას. ეს არის ჩვენი ცხოვრების გზა, რომლის გარეშეც ჩვენ, როგორც ქვეყანა – ვერ ვიარსებებთ“.[38]

მონარქიისა და საკუთარი პერსონის პოპულარიზაციის მიზნით, მოჰამად რეზას ინიციატივით, ირანში საერთაშორისო მასშტაბის რამდენიმე გრანდიოზული საზეიმო ღონისძიება გამართა. მათ შორის აღსანიშნავია: შაჰინშაჰის კორონაცია (1967 წ.), ირანის სახელმწიფოებრიობის 2500 წლისთავი (1971 წ.) და ფაჰლავიანთა დინასტიის მმართველობის 50 წლისთავი (1976 წ.).

1971 წლის ოქტომბერში მოჰამად რეზამ ირანი რამდენიმე დღით საერთაშორისო ყურადღების ცენტრად აქცია. სხვადასხვა სახელმწიფოთა მეთაურები და სხვა საპატიო სტუმრები ეწვივნენ სპარსეთის უძველეს დედაქალაქ პერსეპოლისს, სადაც ირანის სახელმწიფოებრიობის 2.500 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გაიმართა. ოდესღაც ბრწყინვალე ქალაქის ნანგრევების წინ 3 უზარმაზარი და 59 მცირე ზომის კარავი დადგეს. მოეწყო სპარსეთის ისტორიის უნიკალური ექსპოზიცია. სტუმრებს შესანიშნავად უმასპინძლეს. ეს ღონისძიება ხაზინას დაუჯდა 50 მილიონი ბრიტანული გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტური თანხა.

თავისი სათაყვანებელი ქურუშის საფლავთან შაჰინშაჰმა განაცხადა:

– „ახლა, როდესაც ირანი თავის ისტორიასთან კავშირის აღდგენისაკენ ისწრაფვის, ჩვენ აქ მოვედით, რათა მთელი ხალხის უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ უკვდავი ისტორიული გმირის, მსოფლიოში პირველი იმპერიის დამაარსებლის, დიდი განმათავისუფლებლის, კაცობრიობის ღირსეული შვილის წინაშე“.[39]

ხაზგასასმელია ირანელი გვირგვინოსნის ზომიერება. მას შეეძლო უფრო შთამბეჭდავი საიუბილეო თარიღი ეზეიმა, მითუმეტეს, რომ ამის შესაძლებლობას სპარსეთის უძველესი ისტორია ნამდვილად იძლეოდა, მაგრამ ის ზემოაღნიშნულით დაკმაყოფილდა.[40]

საგულისხმოა, რომ მოჰამად რეზას მმართველობის პერიოდში ირანის არმიაში არაერთი ქართველი ოფიცერი მსახურობდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ფერეიდნელი გურჯები, ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების გავლენია-

[38] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 7.
[39] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 47-55.
[40] ნ. ჯავახიშვილი. ირანის შაჰინშაჰები ფაჰლავიანთა დინასტიიდან, გვ. 102.

ნი ხელმძღვანელები: ავიაციის გენერალი (სპარსულად – თიმსარი) **მოჰამად რაჰიმი (ხარატიშვილი)** (1935-1980), რომელიც ისლამური რევოლუციის შემდეგ დახვრიტეს, აგრეთვე, ოფიცრები, რომლებიც შემდგომში გენერლები გახდნენ – საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსი **ალი რუსტამის ძე რაჰიმი (ონიკაშვილი)** (1950-1990) და სამხედრო ვერტმფრენების ნაწილების განყოფილების უფროსი (1972 წლიდან) **მანუჩარ ასლანი (დარჩიაშვილი)** (დაბადებული 1938 წელს), რომელიც 1992 წლიდან თადარიგში გავიდა.[41]

უკანასკნელ შაჰინშაჰს – „არიამეჰრს" ანუ „არიელთა სინათლეს" უწოდებდნენ. იგი გამოირჩეოდა სამაგალითო ათლეტური მონაცემებითა და გატაცებით სპორტის ცალკეული სახეობებისადმი (ჯირითი, ავტორბოლა, თხილამურებზე სრიალი). მას განსაკუთრებულად უყვარდა თვითმფრინავის მართვა, რასაც დიდი წარმატებით ფლობდა.

მოჰამად რეზას სამი ცოლი ჰყავდა, მაგრამ არა ერთდროულად. მისი პირველი ცოლი იყო ეგვიპტისა და სუდანის მეფის აჰმად ფუად I-ის (მეფობდა 1917-1936 წლებში) ასული – პრინცესა **ფავზია** (1921-2005), რომელიც იყო და ამ ქვეყნის უკანასკნელი მონარქისა ფარუქ I-ისა (მეფობდა 1936-1952 წლებში).

1938 წელს ირანის სამეფო ტახტის მეკვიდრე პრინცმა (სპარსულად – „მირზა") მოჰამადმა და პრინცესა ფავზიამ იქორწინეს. მათ შეეძინათ ერთადერთი ასული – შაჰნაზი (დაბადებული 1940 წელს).

ფავზია იზრდებოდა კაიროში, არნახულ ფუფუნებაში და მოჭარბებული პრეტენზიულობით გამოირჩეოდა. ამის გამო მან თვით ირანის დედოფლობაც კი იცოტავა და განქორწინება მოითხოვა. ამაზე შაჰინშაჰმა მეუღლეს თანხმობა მისცა და ათწლიანი ცოლ-ქმრობის შემდეგ სამეფო წყვილი განქორწინდა.

1951 წლის 12 თებერვალს ირანის შაჰინშაჰმა მეორედ იქორწინა. მან ცოლად შეირთო გასაოცარი სილამაზის ასული – **სორეია (სორაია) ესფანდიარი-ბახთიარი** (1932-2001). მათ ზღაპრულ ქორწილს მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების სამეფო სახლების უამრავი წარმომადგენელი დაესწრო. სორეიას – 6 ათასი ბრილიანტით შემკული და ოქრომკედით ნაქარგი კაბა ეცვა და თითზე – 22,37-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა.

სორეია – 1932 წლის 22 ივნისს დაიბადა ისპაჰანში, ბახთიარი მამის, ბიზნესმენ ჰალილ ესფანდიარისა და პროტესტანტული აღმსარებლობის გე-

[41] ლ. დოლიძე. გენერლები საქართველოდან (საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე). თბ. 2003, გვ. 667.

რმანელი დედის – ევა კარლის ოჯახში. მომავალი დედოფალი სულ 8 თვისა იყო, როდესაც მისი მშობლები საცხოვრებლად ბერლინში გადავიდნენ.

ესფანდიარების ოჯახი ბევრს მოგზაურობდა. სორეია სწავლობდა შვეიცარიაში, ხოლო შემდეგ ლონდონში გადავიდა. იგი მსახიობობაზე ოცნებობდა. ლონდონში ის დაუმეგობრდა თავისი მომავალი მეუღლის უმცროს დას – პრინცესა შამსის. მან თავის გვირგვინოსან ძმას გააცნო მწვანეთვალება მზეთუნახავი, რომელიც მოჰამადს პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა.

გადედოფლების შემდეგ სორეიამ იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ირანის მოსახლეობაში, რომ ახალშობილ გოგონებს მის სახელს მასობრივად არქმევდნენ.

მართალია, მოჰამადს და სორეიას თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ დედოფლის უშვილობის გამო მათი შვიდწლიანი ცოლ-ქმრობა 1958 წლის 6 აპრილს განქორწინებით დასრულდა.

ამის მიუხედავად, შაჰინშაჰმა თავისი საყვარელი მეუღლე იმდენად გულუხვად დაასაჩუქრა, რომ სორეია სიცოცხლის ბოლომდე არნახულ ფუფუნებაში ცხოვრობდა. იგი ცოლად გაჰყვა ცნობილ იტალიელ რეჟისორს ფრანკო ინდოვინას. მეორე მეუღლის ავტოკატასტროფაში დაღუპვის (1972 წ.) შემდეგ სორეია გადასახლდა პარიზში, სადაც ის 2001 წლის 26 ოქტომბერს, 69 წლის ასაკში გარდაიცვალა.[42]

შაჰინშაჰის მესამე მეუღლე იყო აზერბაიჯანული წარმომავლობის ირანელი წარჩინებულის ასული – **ფარაჰ დიბა** (დაბადებული 1938 წელს). მისი პაპა დიპლომატი იყო და მსახურობდა თბილისში სპარსეთის კონსულის თანამდებობაზე, ხოლო მამა – სანკტ-პეტერბურგში სწავლობდა. გათხოვებამდე ფარაჰი სწავლობდა პარიზში, სადაც ცოდნას არქიტექტურის სფეროში იღრმავებდა. სწორედ იქ გაიცნო იგი თავისმა მომავალმა მეუღლემ, რომელიც საფრანგეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

დედოფალ ფარაჰს შეეძინა ოთხი შვილი: პრინცი რეზა კირი (დაბადებული 1960 წელს), პრინცესა ფარაჰნაზი (დაბადებული 1963 წელს), პრინცი ალი რეზა (1966-2011) და პრინცესა ლეილა (1970-2001). აქვე დავძენთ, რომ ამჟამად უკვე გარდაცვლილნი არიან პრინცესა ლეილა და პრინცი ალი-რეზა, რომლებმაც, როგორც ოფიციალურად გახდა ცნობილი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.

[42] ნ. სულუხია. სორეია – მშვენიერი პრინცესა სევდიანი თვალებით. ჟურნალი „სარკე“. თბ. 19-25. II 2003, გვ. 44-45.

მოჰამად რეზას საზეიმო კორონაციის პარალელურად, ფარაჰიც დედოფლად აკურთხეს. წინამორბედი დედოფლებისაგან განსხვავებით, რომლებიც არაბულენოვან „მალაქეს“ ტიტულს ატარებდნენ, ფარაჰს მიენიჭა სპარსული ტიტული – „შაჰბანუ“. ის ქვეყნის მართვა-გამგებლობაში აქტიურად მონაწილეობდა.

შაჰინშაჰის თაყვანისმცემელთა შორის ლამაზი მანდილოსნებიც მრავლად იყვნენ. მოჰამად რეზა თავის ფავორიტ ქალებს ნიავარანის სასახლის გვერდითი ჭიშკრიდან იღებდა და უკან ლაბრადორის ლეკვით დასაჩუქრებულებს უშვებდა.[43]

1965 წელს თეირანში მოეწყო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, რომლის ორგანიზებაშიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების (თურქმენეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) წარმომადგენლებთან ერთად, ქართველებიც მონაწილეობდნენ.

ამ გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე, აღმოსავლეთმცოდნე ნოდარ კოჭლაშვილი შეხვდა ირანში, ფერეიდანის პროვინციაში მცხოვრებ ქართველებს, რომლებსაც საჩუქრად გადასცა საქართველოდან წაღებული „დედაენა“. ამით მან ისეთი სიხარული მიანიჭა „გურჯებს“, რომლებმაც ქართული დამწერლობის შესწავლა უდიდესი ენთუზიაზმით დაიწყეს, რომ გადაწყვიტა, ირანში მეორედ წასვლის შემთხვევაში იქ „დედაენის“ რამდენიმე ეგზემპლარი ჩაეტანა.

ნ. კოჭლაშვილი იგონებდა: „მეორედ რომ წავედი თეირანში, უკვე 25 „დედაენა“ წავიღე. წიგნის საზღვარზე გადატანა ძნელი იყო – ირანში კომუნისტური იდეოლოგიისა ცეცხლივით ეშინოდათ. ამიტომ, „დედაენიდან“ ლენინის სურათები ამოვხიე. თურმე საპირველმაისო დროშები დამრჩენია. აღარ მატანდნენ.

ვუთხარი: – თქვენი „არიამეჰრი“ – შაჰი ფრიად დაინტერესებულია ქართული კულტურით-მეთქი. თან შაჰ რეზა ფეჰლევთან ერთად გადაღებული სურათიც ვაჩვენე. უცებ მომირბენინეს ოქროსფერი კანფი წიგნების შესაკრავად, დამსვეს და სპარსული შარბათი დამალევინეს...

შაჰი – თეირანში, გამოფენაზე გავიცანი თავის ცოლთან, ულამაზეს პრინცესა სორეიასთან ერთად. ასეთ დროს ოფიციალურად წარდგენაა საჭირო. დელეგაციის წევრები ჩაგვამწკრივეს და თან გაგვაფრთხილეს, რომ შაჰს 5 მეტრზე ახლოს არ მივახლოვებოდით... ამ დროს სულ ერთ წამში გამოჩნ-

[43] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 8-10.

და სისხლი და გენი რას შვრება... მოკლედ, ჯერ თურქმენეთის წარმომადგენელი იდგა, მერე აზერბაიჯანისა და სომხეთისა და ბოლოს – მე.

შაჰი წამოვიდა ჩვენკენ და თურქმენთან მიახლოებულიც არ იყო, რომ მან თაყვანისცემის ნიშნად თავი იატაკს დაარტყა. აზერბაიჯანელი ცოტა ნაკლებად მოიხარა, ასევე სომეხიც...

ჩემთან რომ მოვიდა, როგორც ქართველთა წესია, ოდნავ დავხარე თავი. მან ხელი მომკიდა და გვერდით გამიყვანა. 20 წუთი ვისაუბრეთ. მითხრა:

– „ჩემშიც ქართული სისხლია, ბებიაჩემი ახალციხელი აბაშიძე იყოო“.

უცებ პრინცესა დამაკვირდა და ამაყად მითხრა:

– „ჩემი ბებიაც ქართველიაო“...

ირანის შაჰის მეუღლე აღმოსავლეთ ირანის გუბერნატორის ქალიშვილი გახლდათ და სილამაზით მართლაც ბრწყინავდა...

სხვათა შორის, მოჰამად რეზა ფეჰლევი საქართველოშიც იყო, თუმცა მე არ შევხვედრივარ. სამაგიეროდ, მის ძმას ლაგოდეხის ნაკრძალში სანადიროდ გამაყოლეს. კარგი მონადირე იყო...

მაშინ საზღვარგარეთ გასვლა ასე იოლი არ იყო. მე კი გარემოებათა გამო, არ მიჭირდა. გადავწყვიტე, ჩვენი ფეხბურთელები წამეყვანა ირანში... ძლიერი ფეხბურთელები გვყავდა მაშინ – მესხი, კოტრიკაძე, მეტრეველი... სპარსეთს კი ძალიან სუსტი გუნდი ჰყავდა. ამხანაგური მატჩი იყო და გვთხოვეს, თავს ნუ მოგვჭრით, არ მოგვიგოთო...

ჩვენი გუნდი რომ შევიდა, 50-ათასიანმა სტადიონმა ღრიალი მორთო: „ზენდებად შაჰინშაჰ! ზენდებად ირან!“ – ანუ დიდება შაჰს და ირანსო...

უეცრად ამ ყურისწამღებ ღრიალში, შორი ტრიბუნიდან განსხვავებული ხმები შემომესმა. კუთხეში ფერეიდნელები წამომდგარიყვნენ, მუშტებს იქნევდნენ და „საქართველოჲ გაუმარჯოს!“ – ყვიროდნენ“.[44]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შაჰინშაჰს ჰყავდა სამი და: აშრაფი, ფატიმა, შამსი და ოთხი ძმა: ალი რეზა, ღოლამ რეზა, აბდულ რეზა, ჰამიდ რეზა. მათ მიერ დაგროვილი ზღაპრული ქონების შესახებ ლეგენდები დადიოდა. გავრცელებული ცნობების თანახმად, სწორედ ისინი ფლობდნენ ირანის ეკონომიკის საგრძნობ ნაწილს, კერძოდ, მნიშვნელოვან წილებს 17 ბანკსა და სადაზღვევო კომპანიაში, 25 მეტალურგიულ ქარხანაში, 8 მაღაროში, 10 სამშენებლო მასალათა ქარხანაში, 45 სამშენებლო კომპანიაში და ა. შ.

[44] ნ. კოჭლავაშვილი. მოგონება ირანზე და მის უკანასკნელ შაჰზე. მოამზადა ე. ერაძემ. გაზეთი „კვირის პალიტრა“. თბ. 24-30. IV. 2006, გვ. 31.

აღსანიშნავია, რომ მოჰამად რეზას და-ძმებიდან ყველაზე ოდიოზურ პიროვნებად ითვლებოდა მისი ტყუპისცალი და – აშრაფი. გარდა იმისა, რომ ის ამორალური ქალის რეპუტაციით სარგებლობდა, დადიოდა ხმები მის მიერ სამორინეებში გაფლანგული მილიონების, ნარკობიზნესთან მჭიდრო ურთიერთობისა და შაჰინშაჰზე მისი ძლიერი გავლენის შესახებ. ამასთანავე, აშრაფი ისლამური რელიგიისადმი უდიერ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. კერძოდ, მან საჯაროდ გაკიცხა ქალები, რომლებიც „ბებიების ამაზრზენ შავ ნაჭერს“ ანუ ჩადრს ატარებდნენ. ყოველივე ამის გამო შაჰინშაჰი იძულებული გახდა, რომ თავისი ტყუპისცალი საზღვარგარეთ გაეგზავნა.[45]

1966 წელს მოჰამად რეზა ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა სსრ კავშირის ცალკეულ ქალაქებს, მათ შორის თბილისსაც.

საქართველოში ჩამოსული ირანის შაჰინაჰისა და მისი დის მიღებასა და გამასპინძლებას სხვებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (იდეოლოგიის დარგში) დევი სტურუა, რომელიც იგონებდა: „ფუნიკულიორის რესტორანში გაიმართა მიღება (მასპინძელი – საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე გახლდათ), რომელზედაც ევროპულად გაზრდილი, დახვეწილი შაჰი თავს არხეინად გრძნობდა. ის სრულებითაც არ ჰგავდა იმ ნორჩ გვირგვინოსანს, რომელსაც სტალინის დანახვაზე გული წაუვიდა.

და აი, ამ ევროპულად განათლებულმა, დახვეწილმა შაჰმა თავის გამოსვლაში (მიღების დროს) ერთი უტაქტობა დაუშვა. როცა მან სუფრასთან მსხდომი მანდილოსნების სადღეგრძელო წარმოთქვა, დააყოლა, რომ სპარსელებს ყოველთვის უყვარდათ ქართველი ქალებიო.

ჩვენ ვიცით, როგორც უყვარდათ სპარსელებს ქართველი ქალები, საუკუნეთა მანძილზე როგორ ერეკებოდნენ ქართველ ასულებს შაჰებისა და ხანების ჰარამხანებში. არ უნდა ეთქვა მას ასეთი რამ“.[46]

ამის შემდეგ საქართველოს ეწვია თბილისს ეწვია შაჰინშაჰის და, ზემოხსენებული პრინცესა აშრაფი, თავის მეუღლესთან, ნავთობმრეწველ მოროზოვთან (ცნობილი რუსი კაპიტალისტის სავა მოროზოვის შვილიშვილი) ერთად. მათ პატივსაცემად თბილისში საზეიმო, ხალხმრავალი მიღება გაიმართა.

დ. სტურუას მოგონებებში ვკითხულობთ: „მე მივეცი ჩემს თავს ნება

[45] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 88-89.
[46] დ. სტურუა. სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი (მოგონებები, პორტრეტები), თბ. 1995, გვ. 67-68.

შაჰის უტაქტობისათვის პატარა „შური მეძია“. ეს „შურისძიება“ შემდეგში გამოიხატებოდა:

მე ვუთხარი აშრაფს:

– „თქვენო უმაღლესობავ! ქართველებს აქვთ ერთი ასეთი ჩვეულება – ისინი აძლევენ საშუალებას მაღალ სტუმარს შეასრულოს თავისი ქვეყნის ცეკვა.

გთხოვთ, შეასრულოთ სპარსული ცეკვა და ამით გვცეთ პატივი აქ მყოფ ქართველებს“.

აშრაფი, რომელმაც სამიოდე ფუჟერი შამპანური მიირთვა და წამოწითლდა კიდეც, სიამოვნებით დაეთანხმა ჩემს წინადადებას. შემდეგ მე მივუბრუნდი მიღებაზე მყოფ ჩემს თანამემამულეებს შემდეგი სიტყვებით:

– „ქართველებო! ახლა საქართველოს ისტორიაში პირველად, ჩვენ წინ იცეკვებს შაჰის და, როგორც ცეკვავდნენ ჩვენი ასულები შაჰებისა და ხანების წინ. ეს არის ჩემი პასუხი და „შურისძიებაც“ შაჰის იმ სიტყვების გამო, რომ სპარსელებს ყოველთვის უყვარდათ ქართველი ასულები“.

ყველა დამსწრემ ერთსულოვანი ტაში შემოჰკრა. რაღა თქმა უნდა, ის, რაც მე ვთქვი, სარისკო იყო. აშრაფისა და მოროზოვის ამალაში ვინმეს რომ სცოდნოდა ქართული, დიდ ხათაბალაში გავებმებოდი, მაგრამ არა უშავს რა, ჩაიარა.

მე გამოვიყვანე წამოწითლებული აშრაფი დარბაზის შუაგულში და ჩავჩურჩულე:

– „ძალიან გთხოვთ, ვიდრე მუსიკოსები დაკვრას არ დაამთავრებენ, ცეკვას ნუ შეწყვეტთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ძალიან გაანაწყენებთ მასპინძლებს“.

შემდეგ მუსიკოსებს ვთხოვე – რაიმე აღმოსავლური რითმული ცეკვის ჰანგი შეესრულებინათ და არ გაჩერებულიყვნენ, ვიდრე ნიშანს არ მივცემდი.

ერთი სიტყვით, აშრაფი ლამის გულის წასვლამდე ცეკვავდა. როცა მან მუდარით სავსე მზერა მესროლა, მხოლოდ მაშინ მივეცი ნიშანი მუსიკოსებს, შეეწყვიტათ დაკვრა.

ქანცგალეული აშრაფი ჩემს გვერდით მოწყვეტით დაჯდა და კარგა ხანს ვერ მოიბრუნა გული. ამით ამოიწურა ჩემი „შურისძიება“.[47]

1962 წლიდან საქართველოს ორჯერ ეწვია შაჰინშაჰის ძმა – აბდულ რეზა. მას, როგორც ნადირობის მოყვარულს, მასპინძლებმა ლაგოდეხის ნაკრ-

[47] დ. სტურუა. სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, გვ. 68-69.

ძალში ნადირობის ნება დართეს.

მეორედ აბდულ რეზა სანადიროდ ქვემო სვანეთში, ლაშხეთის თემის სოფელ ჩიხარეშში (ლენტეხის რაიონი) წაიყვანეს. იქ მის მიერ მოკლული ნადირი უფსკრულში გადაიჩეხა.

პრინცმა თავის სპარსელ მხლებელს ნანადირევის ამოტანა უბრძანა. ამას შეესწრნენ საგანგებოდ შერჩეული ქართველი მონადირეები, რომლებიც შეეცადნენ პრინცისათვის აეხსნათ, რომ უფსკრულში ჩასვლისას მსახური შესაძლოა დაღუპულიყო. პრინცმა თავისი გადაწყვეტილების შეცვლა აღარ მოისურვა. ამის გამო ქართველმა მონადირეებმა უარი განაცხადეს, რომ გულღრძო პრინცს თან ხლებოდნენ.

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით დ. სტურუა იგონებდა: „ამის შემდეგ საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტროდან დამირეკა მაღალი რანგის მოხელემ და აღშფოთებულმა მითხრა, რომ შაჰის ძმამ იჩივლა – „ქართველები ცუდად მომექცნენო“.

მე განვუმარტე მაღალი რანგის მოხელეს, რომ მონათმფლობელობა ჩვენში დიდი ხანია, რაც აღარ არსებობს და ჩვენ არ ვაპირებთ არავითარი გამონაკლისების დაშვებას. მოხელე დამემუქრა და „ინციდენტიც“ ამით ამოიწურა.

სხვათა შორის, აშრაფმა და მოროზოვმა რამდენჯერმე დამპატიჟეს მეუღლითურთ თეირანში, – ჩვენს სასახლეში გაცხოვრებთო, მაგრამ, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, „ცენტრმა“ ეს რატომღაც არ ინება. დასანანია!“.[48]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უკანასკნელი შაჰინშაჰი – სპორტის დიდი მოყვარული გახლდათ. იგი მფარველობდა და ხელს უწყობდა პერსპექტიულ სპორტსმენებს, მათ შორის განსაკუთრებით – ჭიდაობაში, რომელიც ირანში ტრადიციულად ითვლება სპორტის უპირველეს და ყველაზე დაფასებულ სახეობად.

1971 წელს თეირანში გაიმართა საერთაშორისო საჭიდაო ტურნირი „არიამეჰრის“ ანუ შაჰინშაჰის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად. მასში მსოფლიოს მრავალ ცნობილ ფალავანს შორის მონაწილეობდა 23 წლის ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი (დაბადებული 1948 წელს), მომავალში – ლეგენდარული სპორტსმენი, მფლობელი მრავალი საპატიო სპორტული წოდებისა და ჯილდოსი, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატის 5 ოქროს და ოლიმპიური თამაშების 2 ოქროს მედლისა.

[48] დ. სტურუა. სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, გვ. 69-70.

ლ. თედიაშვილმა ბრწყინვალედ იასპარეზა თეირანში, რისთვისაც ღირსეულად დაიმსახურა „არიამეჰრის“ პრიზი. ეს ფაქტი საინტერესოდ აქვს აღწერილი ჟურნალისტ ლაშა გარეჯელს, რომელიც ამ მართლაც რომ ტრიუმფალურ გამარჯვებას ასე ახსენებდა სახელოვან ფალავანს: „ირანი დიდი სპორტული ზეიმისათვის ემზადებოდა. იქ სპორტის თავი და თავი ჭიდაობაა. შაჰის პრიზის გათამაშების ტრადიციულ შეჯიბრებაზე მსოფლიოს უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი.

პრიზის გათამაშება ვეებერთელა სტადიონზე, ღია ცის ქვეშ გაიმართა. მოედანზე ნემსი არსად ჩავარდებოდა. შაჰიც, რა თქმა უნდა, მეუღლით მობრძანდა, ასპარეზობის მონაწილეებს ღიმილით მიესალმა. იქვე, ახლოს იჯდა შაჰის საყვარელი ფალავანი. ბედმა სწორედ მასთან შეგახვედრა...

სტადიონი გათანგულიყო... ვინ იცის, რა დღეში იყავი... მეტოქეც ღირსეული შეგხვდა, ვერაფერს დაუწუნებდი... მაინც დაჯაბნე. გეგონა, წმინდად მოიგე, მაგრამ მსაჯმა ისევ საჭიდაოდ მოგიხმო.

ირანელთა კერპს თვალებში რომ შეხედე, შიშის ნატამალიც ვერ ამოიკითხე, რადგან მისთვის სიკვდილის ფასად ჩანდა დამარცხება... მაგრამ შენც ძალიან გწყეროდა გამარჯვება... ირანის შაჰის ფერხთით მისი საყვარელი ფალავანი ეგდო... გულშემატკივრები კვლავ ფეხზე იდგნენ, ხმას არ იღებდნენ...

მაშინ, თურმე, შაჰმა მიგიხმო და ძვირფასი ბეჭედი გაჩუქა. ჯილდომ გაგახარა. ბეჭედი მოგეწონა და ჩაუთქვი – ნანას (იგულისხმება ლ. თედიაშვილის მეუღლე ნანა მჭედლიშვილი. ნ. ჯ.) მივართმევო. ეს ბეჭედი ახლა ნანას უკეთია მარჯვენა ხელზე“.[49]

საგულისხმოა, რომ ამ ასპარეზობის დაწყებამდე ირანელებმა საიდუმლოდ ინახულეს ლ. თედიაშვილი და მას წაგების სანაცვლოდ შესთავაზეს 100.000 ამერიკული დოლარი, რაც იმხანად უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა (მაშინდელი დოლარი თავისი მსყიდველობითი უნარით მრავალჯერ აღემატებოდა დღევანდელს), მაგრამ ქართველმა ფალავანმა სიმდიდრეს სახელი ამჯობინა და შაჰინშაჰის ფავორიტს აშკარა უპირატესობით სძლია.

ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე ლ. თედიაშვილმა ასე უპასუხა: „ფული შემომაძლიეს. ვიცოტავე. კიდევ დაამატეს. ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში ყველაფერი ასი ათას დოლარამდე ავიდა. მერე გავედი ხალიჩაზე და იმათი ფალავანი შაჰის თვალწინ დავამარცხე... ფული აღარ მოუციათ...

[49] ლ. გარეჯელი. მრავალს დაესწარით! გაზეთი „სამშობლო“. თბ. 27. XII. 1972.

– მართლა არ დაგენანათ ასი ათასი?

– გაყიდული შეხვედრით არავინ გამდიდრებულა. მერე შვილები მყავს, თვალებში როგორ უნდა შემეხედა“.[50]

„არიამეჰრის“ სახელობის პრიზის მოსაპოვებლად თეირანში გამართულ საჭიდაო ტურნირში ლ. თედიაშვილმა, მოგვიანებით კიდევ ორჯერ (1972 და 1977 წლებში) იასპარეზა, რისთვისაც კვლავ ოქროს მედლებით დაჯილდოვდა. საბოლოო ჯამში, ამ ფრიად საპატიო ჯილდოს მფლობელი იგი სამჯერ გახდა.

1973 წელს თეირანში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატები თავისუფალი და კლასიკური სტილით ჭიდაობისა და სამბოს სახეობებში.

თავისუფალ ჭიდაობაში ლ. თედიაშვილმა კვლავინდებურად დიდებულად იასპარეზა და ოქროს მედალთან ერთად ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

იმავდროულად, გამოირკვა, რომ სსრ კავშირის სამბისტთა ნაკრების წევრი გენადი რუხლიადევი ავადმყოფობის გამო ვერ იასპარეზებდა, რის გამოც, მის წონით კატეგორიაში (90 კგ.) გუნდისათვის ნული ქულა უნდა დაეწერათ. ამის თავიდან ასაცილებლად, სსრ კავშირის სამბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ს. იონოვის თხოვნითა და ლ. თედიაშვილის მწვრთნელის ვახტანგ ბალავაძის ნებართვით, ქართველმა ფალავანმა ძალები ამ სახეობაშიც მოსინჯა და ბევრისათვის მოულოდნელად – მეორე ოქროს მედალიც წარმატებით მოიპოვა!

ქართველი ფალავნის ამ ჭეშმარიტ ტრიუმფს გაოცებითა და აღტაცებით შესცქეროდა თეირანის უდიდეს საჭიდაო არენაზე – „ფარაჰის“ სტადიონზე თავმოყრილი საზოგადოება, მათ შორის სახელგანთქმული ირანელი ფალავნები – მანსურ მეჰთი-ზადე, აბდულაჰ მოვაჰედი და სხვები.

ორგზის მსოფლიო ჩემპიონს ირანელები ხუმრობით ურჩევდნენ, რომ მას ბედი მესამე სახეობაში, კერძოდ, კლასიკურ ჭიდაობაშიც ეცადა...

ეს იყო უნიკალური შემთხვევა მსოფლიო სპორტის ისტორიაში, როდესაც ერთი სპორტსმენი ერთდროულად ორ სახეობაში გახდა მსოფლიო ჩემპიონი.[51]

ყოველივე ამის თვითმხილველი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ვ. გოლუბევი იგონებდა: «Турнир проходил на открытом стадионе «Фарах». Жара была испепеляющей, три ковра, расстеленные прямо на футбольном

[50] ლევან თედიაშვილი – ფალავანი და მოქალაქე (ლევან თედიაშვილის სპორტული მოღვაწეობის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული მასალების კრებული). შეადგინა ნ. მჭედლიშვილმა. თბ. 1997, გვ. 404-405.
[51] ლევან თედიაშვილი – ფალავანი და მოქალაქე, გვ. 186-205.

поле, накалились, как сковородка. Не спасал и брезентовый тент. Разборные трибуны, приближенные к центру действий, бушевали и готовы были развалиться от скандирования и песен болельщиков. Не надо говорить, что такое борьба для иранцев! Это идол. Чемпионы по борьбе в Иране – национальные герои...

Труднее всего было не соперников одолеть, а переломить настроение беснующихся тегеранцев. И наши ребята это сделали! Покорили они истинных ценителей борьбы искроментным мастерством. А Левана Тедиашвили просто на руках готовы были носить. Чумазые мальчишки лезли к нему целоваться: В Иране есть примета – если мальчишку поцелует сильный человек, то сам он вырастет сильным...

С Леваном никто не мог справиться. Бились об него, как о скалу. Он и был скалой, неприступной крепостью – блестящий самыми эффективными приемами... Трибуны, понятно, взорвались от восторга... В течение шести дней он дважды стал чемпионом мира».[52]

1977 წელს ლ. თედიაშვილმა კიდევ ერთხელ იასპარეზა „არიამეჰრის“ პრიზის მოსაპოვებლად. იმავე წელს, სპორტულ გაზეთში „ლელო“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში იგი აცხადებდა: „ეს ასპარეზობა წლეულს მეთერთმეტედ გაიმართა. იგი პოპულარობას წლითიწლობით იხვეჭს და მასში მონაწილეთა რიცხვიც წლითიწლობით იზრდება. მაგალითად, წლევანდელ ტურნირში სსრ კავშირის, აშშ-ის ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ავღანეთის, ირანისა და ეგვიპტის 143 მოჭიდავე ჩაება. შეჯიბრება თეირანში ახლად დაგებული ოლიმპიური ცენტრის უნიკალურ სპორტის სასახლეში გაიმართა. ასპარეზობის ოთხი დღის მანძილზე, რომ იტყვიან, ტრიბუნაზე ნემსიც არ ჩავარდებოდა. ფინალურ შეჯიბრებას ირანის შაჰიც დაესწრო. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კი გამარჯვებულებს ჯილდოები მისმა 17 წლის ვაჟმა გადმოგვცა...

კენჭისყრამ პირველ წრეში ირანელ ჯაფარისთან შემახვედრა, რომელიც 20 წამში დავამარცხე. შემდეგ შეხვედრებშიც, აგრეთვე, წმინდა გამარჯვებები მოვიპოვე... ფინალში კი ირანელ მოჭიდავე სულეიმანთან მომიწია ბრძოლა. იგი საჭიდაოდ რევანშის წყურვილით გამოვიდა და თანაც უნდოდა შაჰისათვის თავი მოეწონებინა... სულეიმანი მეოთხე წუთზე გავაკარი ხალიჩას და თასი მოვიპოვე. სულეიმანის დამარცხება, რომელზედაც, ჩანს, დიდ იმედებს ამყარებდნენ, ირანელმა გულშემატკივრებმა მტკივნეულად განიცადეს,

[52] В. Голубев. Борец из Сагареджо. Газета «Труд». Москва, 21. IX. 1976.

მაგრამ მათ ობიექტურობის გრძნობა არ დაუკარგავთ".[53]

მოჰამად რეზას მიერ დიდი ენთუზიაზმითა და იმედებით გატარებულ რეფორმებს სასურველი შედეგი ვერ მოჰყვა. მოსახლეობის მატების სწრაფი ტემპის გამო, სოციალურად დაუცველი ფენების სათანადო მატერიალური უზრუნველყოფა შეუძლებელი ხდებოდა. შეინიშნებოდა ქონებრივი დიფერენციაციის ზრდაც. „ნავთობის ბუმის" დასრულების შემდეგ „შავი ოქროს" ექსპორტით მისაღები შემოსავლის სოლიდური წყარო, სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მსგავსად, ირანსაც შეუმცირდა.[54]

70-იანი წლების პირველი ნახევრის ირანში მომავალი სოციალური აფეთქების მკაფიო მიზეზები თითქოსდა არ ჩანდა. არაერთი მაჩვენებლის მიხედვით, მესამე სამყაროში ირანს ლიდერის პოზიცია ეკავა. ამის წინაპირობებად იქცა: განათლებისა და ურბანიზაციის მაღალი დონე, ლიდერის პოზიცია მეზობლებთან ურთიერთობაში, საერთო ეროვნული პროდუქტის სწრაფი ზრდა (1973 წლიდან – 1976 წლამდე, „ნავთობის ბუმის" პერიოდში, ამ მაჩვენებელმა 50%-ს გადააჭარბა), განვითარებული ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები, სწრაფი ინდუსტრიალიზაცია (მოდერნიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა). ყოველივე ეს მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის ირანს ყველაზე მაღლა აყენებდა. აშშ-ის, სსრკ-ის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიას შემდეგ, მეხუთე სუპერსახელმწიფოდ ირანი მოიაზრებოდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, 70-იანი წლების მიწურულს ეს სახელმწიფო ღრმა კრიზისმა მოიცვა.[55]

მიუხედავად ირანის მესვეურთა მიერ თანამიმდევრულად გატარებული პანირანისტული პოლიტიკისა, 60-იანი წლებიდან ამ ქვეყანაში შესამჩნევად გამძაფრდა იდეოლოგიური კონფრონტაცია პანირანიზმის, პანარაბიზმის, ქურთული და ბელუჯური ნაციონალიზმის მიმდინარეობათა შორის. სწორედ იმ ხანად იჩინა თავი თურქულენოვან ხალხთა „ვნებათაღელვამაც". ასე, რომ ფეხმოკიდებული „რეგიონული ნაციონალიზმის" წყალობით, ეროვნულ პრობლემათა კრიზისულ ფაზაში ირანი თანდათან შედიოდა.

70-იანი წლების მეორე ნახევრის სახალხო მოძრაობის აღმავლობა და ისლამური რევოლუციის წარმატება ირანში ნათელი დადასტურებაა იმისა,

[53] გაზეთი „ლელო", თბ., 24. XII. 1977.
[54] გ. სანიკიძე. ფაჰლავიანები, გვ. 190.
[55] გ. სანიკიძე. კიდევ ერთხელ ირანის ისლამური რევოლუციის მიზეზების შესახებ. სამეცნიერო შრომათა კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო". ტ. V. მიეძღვნა ო. გიგინეიშვილის ხსოვნას. თბ. 2008, გვ. 161-162.

რომ მუსლიმური თემის უმრავლესობისათვის მიუღებელია ქვეყნის ნაჩქარევი და მექანიკური ვესტერნიზაცია, მათი ყოფა-ცხოვრების წესის აგება ბრმად გადმოღებული დასავლური ქარგების საფუძველზე. მოკლე ისტორიულ ვადებში თავსმოხვეულმა განვითარების ულტრაევროპულმა გზამ, რომელიც ძირითადად შეეხო ირანის ქალაქების „ევროპული ნაწილის“ მცხოვრებთ, უბიძგა ირანელთა ცალკეულ ფენებს, მიემართათ ტრადიციული სულიერი და კულტურული ფასეულობებისათვის, რომელთა შორის წამყვან როლს – ისლამი ასრულებდა.[56]

ირანის „ამერიკანიზაციის“ მცდელობას წინ მკვეთრად აღუდგა ფუნდამენტალისტურად განწყობილი შიიტი სამღვდელოება, რომელსაც სათავეში გამოჩენილი ირანელი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე აიათოლა ხომეინი (1902-1989) ჩაუდგა. სწორედ მას დააკისრა განგებამ, რომ ფაჰლავიანთა დინასტიის მესაფლავე და ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებელი ყოფილიყო. მან „ერთიანი ირანელი ერის“ იდეა – „სარწმუნოებრივი ერთიანობის იდეით“ შეცვალა.

1978 წლის 6 ნოემბერს შაჰინშაჰმა ირანის მოსახლეობას რადიოს საშუალებით ასე მიმართა: „მე ბევრი შეცდომა დავუშვი... მაგრამ მე კარგად მომესმა თქვენი რევოლუციის ხმა. მე მესმის, რომ მოვლენათა მდინარება უნდა შეიცვალოს. ამიერიდან მე ვალდებულებას ვიღებ დავიცვა კონსტიტუცია. მე ვთხოვ ჯარების გენერალური შტაბის უფროსს ხანმოკლე ვადით დროებითი მთავრობის შექმნას. ამ მთავრობამ უნდა აღადგინოს წესრიგი და შესაძლებელი გახადოს სამოქალაქო მთავრობის შექმნა“.

მიუხედავად ხელისუფლების დიდი მცდელობისა, ვითარება ირანში სწრაფად უარესდებოდა.

მოჰამად რეზას მმართველობის უკანასკნელი წელი მის მიერ დაშვებული შეცდომების უწყვეტ სერიად მიიჩნევა. შაჰინშაჰის დაჟინებული მოთხოვნით, ერაყიდან გააძევეს ხომეინი, რომელმაც თავი საფრანგეთს შეაფარა. იქ მას კომუნიკაციისა და თვითრეკლამის გაცილებით მეტი შესაძლებლობა გამოუჩნდა, ვიდრე ერაყში ჰქონდა, რამაც ირანის ხელისუფლებისათვის ფრიად საზიანო შედეგი იქონია.[57]

[56] ჯ. გიუნაშვილი, გ. ჭიპაშვილი. ირანი: რევოლუცია, ისლამური რესპუბლიკა. წელიწდეული „ქართული დიპლომატია“. თბ. 1995, გვ. 349-350.
[57] გ. სანიკიძე. კიდევ ერთხელ ირანის ისლამური რევოლუციის მიზეზების შესახებ, გვ. 167-170.

1979 წლის იანვრის დასაწყისში, როდესაც პოლიტიკურმა კრიზისმა და არეულობამ ირანში თავის აპოგეას მიაღწია, აშშ-ის ხელისუფლებამ თეირანში მიავლინა ევროპაში მოკავშირეთა ძალების მთავარსარდლის მოადგილე, გენერალი რობერტ ჰაიზერი. ის იგონებდა, რომ მოჰამად რეზას „სტრესი და შეშფოთება სახეზე ეწერა. წინა წლებისაგან განსხვავებით, როცა შაჰს სამხედრო უნიფორმა ეცვა, ახლა ის მუქ სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი“.

16 იანვარს ირანის უკანასკნელმა შაჰინშაჰმა თავისი მეუღლითურთ სამუდამოდ დატოვა ნიავარანის სასახლე და მეჰრაბადის აეროპორტს მიაშურა. ძლიერი სტრესის მიუხედავად, მოჰამად რეზამ ბოინგ-727-ის („შევარდენი“) პილოტის სავარძელი დაიკავა და ცაში უკანასკნელად აფრინდა. ქვეყნიდან წასვლამ შაჰინშაჰი და შაჰბანუ უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. იმხანად მათი ოთხივე შვილი და შაჰინშაჰის დედა უკვე აშშ-ში იმყოფებოდა.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გადაღლის გამო შაჰინშაჰი თავის ოჯახთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრა საზღვარგარეთ, ხოლო ქვეყანას პარლამენტის მიერ უკვე დამტკიცებული ახალი მთავრობა გაუძღვებოდა.[58]

1980 წლის 27 ივლისს კიბოთი დაავადებული ლტოლვილი შაჰინშაჰი, 61 წლის ასაკში, ეგვიპტეში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ალ-რიფაის მეჩეთში, სადაც თავის დროზე მამამისიც განისვენებდა (ირანში გადასვენებამდე).

გარდაცვალების წინ შაჰინშაჰმა გამოაქვეყნა თავისი მემუარების წიგნი „პასუხი ისტორიას“, სადაც ის შეეცადა აეხსნა, თუ რატომ „ჩნდება უწესრიგობა და ინგრევა, ნადგურდება ყოველივე, რაც კი შეიქმნა უზენაესის ნებით, ენთუზიაზმითა და მთელი ერის შრომით“. მისი შეფასებით, ირანელმა ხალხმა ვერ შეძლო ფეხი აეწყო „თეთრი რევოლუციისათვის“ და მათი უმეტესობის გაუთვითცნობიერებლობა სათავისოდ გამოიყენეს ამბოხებულებმა, რომლებმაც დასავლეთისაკენ მიმავალი ქვეყანა რამდენიმე საუკუნით უკან დასწიეს.[59]

აქვე დავძენთ, რომ, ზემოხსენებული ნაშრომის გარდა, მოჰამად რეზა ავტორია წიგნებისა: „ჩემი ქვეყნის სამსახურში“, „დიადი ცივილიზაციისაკენ“ და სხვ.

ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ და საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისების ცალსახა ისლამიზაციამ, რაც უწინარესად გულისხმობს ეროვნული ზღვრების მოშლას მორწმუნეთა შორის, ქვეყანაში მანამდე გამძაფრებული

[58] გ. გელაძე. ირანის უკანასკნელი შაჰი, გვ. 101-106.
[59] ნ. ჯავახიშვილი. ირანის შაჰინშაჰები ფაჰლავიანთა დინასტიიდან, გვ. 102.

ეროვნული დაპირისპირება მოხსნა. ამის შედეგია, რომ თანამედროვე ირანში მიუთითებენ რელიგიურ უმცირესობებზე (სრული კულტურული ავტონომიით) და არა ეროვნულ უმცირესობებზე. ასე რომ, რევოლუციამ მრავალეროვან ირანს იმ ეტაპზე აარიდა დეზინტეგრაციული პროცესები და ეთნოკონფლიქტები.[60]

ირანის სამეფო ტახტის დღევანდელი მემკვიდრეა უკანასკნელი შაჰინ-შაჰის უფროსი ვაჟი, პრინცი რეზა კირ (II) ფაჰლავი (დაბადებული 1961 წელს), რომელიც თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს აშშ-ში, მერილენდის შტატში და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს.

დასასრულ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ცოტა ხნის წინათ მომხდარი ფაქტი, რომელიც ფაჰლავიანთა დინასტიის ამჟამინდელ მთავარ წარმომადგენელთან ქართველთა ურთიერთობას უკავშირდება.

ხსენებული პრინცი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც საჯაროდ შეახსენეს მისი პაპის მიმართ ვსევოლოდ სტაროსელსკის მიერ გაწეული ამაგის შესახებ...

2004 წლის 28 მაისს, ქ. ამანში გაიმართა იორდანიის ამჟამინდელი მეფის აბდალას ძმის – პრინც ჰამზას და ოსმალეთის სულთნების დინასტიის წარმომადგენლის – პრინცესა ნურის ქორწილი, რომელზედაც მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებიდან არაერთი საპატიო სტუმარი ჩავიდა.

არისტოკრატ სტუმართა გალერეას ამშვენებდნენ მსოფლიოს მონარქისტული სახელმწიფოების ამჟამინდელი და ყოფილი სამეფო დინასტიების წარმომადგენლები. მათ შორის იყო ოსმალეთის სულთან აბდ ალ-მაჯიდ I-ის (მეფობდა 1839-1861 წლებში) შვილთაშვილის შვილი – პრინცესა ნილუფერი (იგივე ეკატერინე), რომლის გენეალოგიური ხაზი ასე გამოიყურება:

1) ოსმალეთის სულთანი აბდ ალ-მაჯიდ I;

↓

2) პრინცი მეჰმედ ბურჰანედდინი (1849-1876);

↓

3) პრინცი იბრაჰიმ თევფიქი (1874-1931);

↓

4) პრინცი ბურჰანედდინ ჯემი (1920-2008);

↓

5) პრინცესა ნილუფერი/ეკატერინე (დაბადებული 1953 წელს).

[60] ჯ. გიუნაშვილი, გ. ჭიპაშვილი. ირანი: რევოლუცია, ისლამური რესპუბლიკა, გვ. 350.

ნილუფერის ძმაა პრინცი სელიმი. მათი ბებია ანუ დედა პრინც ბურჰანედდინ ჯემისა იყო შადიე ჩურუქსულუ, ასული გენერალ ბაჰრი-ფაშასი, რომელიც წარმოშობით ქართველი ყოფილა. ჩვენი ვარაუდით, ის უნდა ყოფილიყო ქობულეთიდან, რომელსაც ძველად „ჩურუქ-სუ“ ეწოდებოდა.

პრინცესა ნილუფერს ქართული სისხლი დედის მხრიდანაც აქვს. კერძოდ, მისი დედაა ირინა ივანეს ასული სტაროსელსკაია (დაბ. 1928 წ.), რომელიც ზემოხსენებული ვსევოლოდ სტაროსელსკის უფროსი ძმის – გივი სტაროსელსკის (1872-1910) და ეკატერინე დუხინოვსკაიას შვილიშვილია. ირინას მშობლები იყვნენ ივანე გივის ძე სტაროსელსკი (1899-1979) და ნატალია ევგენის ასული დავიდოვა. ასე, რომ მის ძარღვებში თავად გურამიშვილთა სისხლიც ჩქეფს.

ზემოხსენებულ ქორწილში სტუმრად იყო ირანის ტახტის ამჟამინდელი მემკვიდრე, უფლისწული რეზა კირ ფაჰლავიც. მისთვის ნილუფერის დედას ირინა სტაროსელსკაიას საჯაროდ შეუხსენებია:

– „გენერალ სტაროსელსკის პაპაშენი საჯინიბოდან რომ არ გამოეყვანა და ოფიცრად არ ექცია, ის შაჰი ვერასოდეს გახდებოდაო!“.[61]

ამრიგად, ირანის მმართველი უკანასკნელი სამეფო დინასტიის – ფაჰლავიანთა წარმომადგენლებთან ქართველებს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

[61] მ. ხომერიკი. წერილები, გვ. 191-196.

Niko Javakhishvili

THE LAST ROYAL DYNASTY OF IRAN AND GEORGIANS

Summary

Representatives of Georgian royal and princely houses had closer ties with the ruling dynasties of Iran.

In the presented article we tried to find out as more as possible about the relations between Georgians and the representatives of Iran's last ruling dynasty – Pahlavy (Pehlevy).

It is also reviewed Iran's economic and political situation of those times.

The present article is the first attempt to study the above mentioned issue.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

გიორგი ბერიძე

საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია (საკითხის დაყენების ცდა)

საქართველოს ისტორია რომ **„ომების ისტორიაა“** ეს ყველასათვისაა ცნობილი და მარლაც ძნელია იპოვო მეორე ისეთი ერი, ვისაც ყველა მსოფლიოს მნიშვნელობის სამხედრო მოვლენა და ეპოქის სიმძიმე, ისეთი სიმძიმით ჰქონდეს გადატანილი,[1] როგორც ქართველებს. ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არ არსებულა თაობა რომელსაც ომის საშინელება საკუთარი თვალით არ ჰქონოდეს ნანახი.

მტრულად იზოლირებული გარემო, აგრესიული სამხედრო იმპერიების მეზობლობა, განსაკუთრებული იდნივიდუალური ეროვნული თვითმყოფადობა, უპირველესად კი სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (სტრატეგიული დერეფანი) და იმპერიათა ინტერესების შეჯახების არეალი,[2] მუდმივ საომარ მდგომარეობას ქმნიდა.

ჩვენი ომები თითქმის მთლიანად ჩვენდაუნებური თავსმოხვეული და იძულებითი იყო, ყველა დამპყრობი თავისი გეგმებით, რელიგიით და ღირებულებებით იმდენად მიუღებელი იყო ქართველებისათვის, რომ ქვეყანა მუდმივ ბრძოლებში და აჯანყებებში „ცხოვრობდა“. მართალია უბრალო ქართველისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა VII საუკუნის „ისლამის გავრცელებისათვის“ მებრძოლ არაბს ებრძოდა, თუ XXI საუკუნის რუს ოკუპანტს, მაგრამ იცვლებოდა ტაქტიკა და სამხედრო სისტემები, ბრძოლის მეთოდები და

[1] ჯ. სამუშია. საქართველოს სამხედრო ისტორია (უძველესი დროიდან - XVIII საუკუნემდე). გვ. 9. თბ. 2008.
[2] თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველო და გარე სამყარო. თბ. 2001, გვ. 19.

ტექნიკური საშუალებები, იარაღი[3] და ფორტიფიკაცია, სამხედრო ტენდენციები და გეოპოლიტიკური სურათი,[4] რაც სხვადასვა კონკრეტულ **„წმინდა სამხედრო პერიოდებს“ მოიცავდა.** აქედან გამომდინარე კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ **„სამხედრო ისტორია“** პრაქტიკულად ცალკე დისციპლინას წარმოადგენს და მის გეგმაზომიერ და ჩამოყალიბებულ კვლევას ნებისმიერ შემთხვევაში პერიოდიზაციის გამართული სისტემა სჭირდება.

ჩვენი მოკრძალებული მცდელობაა საქართველოს ისტორია „სამხედრო ისტორიის“ ეპოქების „ჭრილში“ დავინახოთ და შევქმნათ **საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის** დაახლოებითი სურათი მაინც.

ყველა დაგვეთანხმება, რომ პერიოდიზაციის ნებისმიერი კუთხით შეფასება, თუ რა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ პერიოდიზაციის პრობლემის გადაჭრის ცდა არაერთხელ დამდგარა ისტორიკოსთა წინაშე მთელი რიგი საკითხები და კრიტერიუმები ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შეთანხმებული.[5] ჩვენც წინასწარ შეგუებული ვართ აზრს, რომ საკითხის მრავალწახნაგობიდან და სირთულიდან გამომდინარე, მასში რა თქმა უნდა ვერანაირად ვერ ავცდებით უამრავ შეცდომასა და ხარვეზს.

საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციაზე მუშაობისას ჩვენს წინაშე შემდეგი პრობლემატური საკითხები წამოიჭრა:

1. რა ადგილი უნდა დაიკავოს სამხედრო პერიოდიზაციამ

---

[3] ძალზედ საინტერესო და საყურადღებოა, რომ საქართველოში იარაღისა და სამხედრო საჭურველის საკითხი საკმაოდ გაშუქდა მამუკა ქაფიანიძის სადისერტაციო ნაშრომში: საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბრძოლო იარაღის კოლექციის ატრიბუცია და ექსპერტიზა (წარდგენილი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თბ. 2012.

[4] გ. ანჩაბაძე. სამხედრო ისტორია. ლექციების კურსი. თბ. 2002, გვ. 3.

[5] თუ რაოდენ პოპულარული და საკამათოა პერიოდიზაციის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში მთელი რიგი ავტორების დაახლოებითი ჩამონათვალიც კი კმარა: კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი. ისტორიის პერიოდიზაციისათვის. „მაცნე“. ისტორიის... სერია. №2. თბ. 1992; თ. დუნდუა. ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისთვის. მასალები სალექციო კურსისთვის. VIII. თბ. 2009; მ. კალანდაძე. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 11. თბ. 2004; მ. დუმბაძე. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციისათვის. კრებ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980; ა. ჩიქობავა. „ფეოდალური რევოლუცია“ VIII-IX საუკუნეების საქართველოში და მისი განვითარების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011.

საქართველოს ისტორიულ პერიოდიზაციაში და საერთოდ უნდა გამოეყოს თუ არა მას?

2. როგორი შეფარდება უნდა ჰქონდეს საქართველოს სამხედრო პერიოდიზაციას მსოფლიოს სამხედრო ისტორიასთან?

3. უმთავრესად კი, რა კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ, საკვანძო თარიღების და სამხედრო ეპოქების შესაფასებლად?

პირველი საკითხი, იმდენად რთული გადასაწყვეტი გამოდგა, ლამის ხელი აგვაღებინა მუშაობაზე, რადგან, „სამხედრო ისტორია“ სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაციას ბოლომდე იყო „მიბმული“, ვიწრო რკალში მისდევდა მას და სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია ლამის ისევ ჩვეულებრივი ისტორიის პერიოდიზაციის „გამეორება“ გამოგვივიდა, ზესტრატეგიულ და მტრულ გარემოში მყოფი, პატარა ქვეყნის არსებობა მხოლოდ საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული, მთელი მისი სამხედრო სტრატეგიაც უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ და მხოლოდ „თვითგადარჩენაზე“ იყო დაფუძნებული, შეიძლება ვიკამათოთ, რომ საქართველოს თავისი ძლიერების პერიოდებში დიდი სამხედრო-პოლიტიკური ამბიციები გააჩნდა, მაგრამ თუ საკითხს წმინდა სამხედრო კუთხით შევხედავთ, ეს საფრთხის „რაც შეიძლება შორს გადატანა“, აქტიური თავდაცვა უფრო იყო, ვიდრე ამბიციური პოლიტიკა და ვაღიაროთ, რომ საქართველოს არასოდეს უწარმოებია მსოფლიო მნიშვნელობის ომები (დიდ ომებში იძულებით მონაწილეობა ომების წარმოებაში არ უნდა ავურიოთ), ჩვენი ქვეყანა არასოდეს ქმნიდა მნიშვნელოვან „სამხედრო-პოლიტიკურ ამინდს“ და მისი ისტორიის ძლევამოსილების პერიოდებიც, ძლიერ სახელმწიფოს და კავკასიის ჰეგემონი სამეფოს სტატუსებს არასოდეს გასცილებია.[6] პატარა და მცირე ტერიტორიების მქონე საქართველოსათვის რომელსაც გვიანი შუა საუკუნეების უმძიმეს პერიოდში კიდევ უფრო მცირე პოლიტიკურ ერთეულებათ დაიშალა, არათუ დიდი მასშტაბების ომები და სამხედრო კამპანიები, არამედ ლამის კონკრეტული ბრძოლებიც ახალ ისტორიულ ეპოქებს ქმნიდა, ამიტომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, სტრატეგია ყველაზე ნაკლებად, თითქმის არც არასოდეს შეცვლილა და როგორც უკვე ითქვა უიშვიათესი გამონაკლისის გარდა მაქსიმუმიც და მინიმუმიც თავის გადარჩენა „თვითმყოფადობის და ღირებულებების“ შენარჩუნება იყო.

[6] ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. თბ. 2012, გვ. 27.

შედარებისათვის თუნდაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ავიღოთ, რომელსაც თავის არსებობის მანძილზე სულ სამჯერ მოუხდა ისეთი ომის გადატანა როდესაც რუსეთის სახელმწიფოს არსებობას დაემუქრა საფრთხე. პირველად მონღოლების ეპოქაში, მეორედ ნაპოლეონთან ომის პერიოდში და მესამედ მეორე მსოფლიო ომის დროს. დანარჩენი მისი სამხედრო კამპანიები უფრო ფართო ამბიციისა იყო ვიდრე სახელმწიფოს „ყოფნა-არყოფნის პრობლემა“ ამიტომაც ჩვენი ისტორია, კვალში მიჰყვება“ სამხედრ ეპოქებს, მაგრამ საქართველოს სამხედრო ისტორია იმდენად დიდი და უნიკალური მოვლენაა, რომ მისი როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის არსებობაც მიგვაჩნია აუცილებლობად.[7]

რადგან მიგვაჩნია, რომ ქართული სამხედრო ხელოვნების, სამხედრო ფორტიფიკაციის, იარაღის ევოლუციის და სამხედრო უწყების, სამხედრო ტაქტიკის შესწავლა აუცილებლად ცალკე დისციპლინის: **„საქართველოს სამხედრო ისტორიის“** დონეზე უნდა მოხდეს და მას აუცილებლად სჭირდება პერიოდიზაციის გამართული სისტემა.

მეორე საკითხი, რა შეფარდება უნდა ჰქონდეს საქართველოს სამხედრო ისტორიას, მსოფლის სამხედრო ისტორიასთან, ასევე ურთულესი გადასაწყვეტი გამოდგა. დასაწყისში ავღნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პრაქტიკულად არ არსებობდა „მშვიდობიანი თაობა“, არადა საქართველო არასოდეს ყოფილა „აგრესიული იმპერია“ და მოწინავე სამხედრო სახელმწიფო, მაგრამ ასე პოპულარული ტერმინი „სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა“ მრავალ სიკეთესთან ერთად უფრო მეტი უბედური ფაქტორების მომტანი იყო, საქართველო ვერანაირად ვერ იცილებდა თავიდან მომთაბარე ხალხთა გადადგილებებს, მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო მოვლენებს, ახალ სამხედრო ტენდენციებს და საომარ სიტუაციებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არაერთხელ ჩა-

[7] საქართველოს სამხედრო ისტორია (მოკლე კურსი) დავით აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო სკოლის გამოცემა. მთ. რედაქტორი: გ. ცხოვრებაძე. ნაწ. 1 (ავტორები: მ. ბახტაძე, ე. კუპატაძე, დ. მაღლაკელიძე, ზ. მჭედლიშვილი, თ. ასათიანი, ჯ. სამუშია, ა. გვიმრაძე, შ. გლოველი, ა. გოგოლაძე, ხ. იოსელიანი, მ. გოგოლაძე, შ. ბიწაძე, თ. ჯოჯუა, კ. ჭუმბურიძე, კ. ზარნაძე), ნაწ. 2 (ავტორები: მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე, დ. ჭუმბურიძე, ე. კუპატაძე, გ. დანელია, ა. ჩაჩხიანი, დ. მაღლაკელიძე, ზ. მჭედლიშვილი, ლ. სარალიძე, მ. ტყავაშვილი, ხ. ქოქრაშვილი, ც. ჩხარტიშვილი). თბ. 2013.

მორჩა სამხედრო-ტექნიკურ მიღწევებს და სიახლეებს, ყველა სამხედრო სიახლის „საკუთარი სისხლის ფასად“ გაცნობა მაინც უხდებოდა,[8] რადგან ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის თუ არა უმეტეს შემთხვევაში მოწინავე სამხედრო იმპერიებს წარმოადგენდნენ.[9] ამ საკითხის შეჯამება მოკლედ ასე შეძლება:

ჩვენს ისტორიაზე უდიდეს გავლენას ახდენდა საერთაშორისო სამხედრო კამპანიები, ახალი სამხედრო ტენდენციები, ტექნიკური და ტაქტიკური სიახლეები, ერთი სამხედრო ეპოქა მეორეს ცვლიდა, ერთი იმპერია მეორეს, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე, ქვის იარაღიდან დაწყებული ატომური ბომბის გარდა გამოყენებული იქნა აბსოლიტურად ყველა სახის იარაღი,[10] რაც კი მსოფლიო სამხედრო ისტორიაში არსებობდა. ქართველები იბრძოდნენ დაუსრულებლად ხან ერთიანი ეროვნული სტრატეგიით, ხან ცალ-ცალკე (ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგაც), თუმცა თავად საქართველოს არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მსოფლიოს სამხედრო ისტორიაზე და საქართველოს სამხედრო ისტორიაც, მსოფლიოს სამხედრო ისტორიის განუყრელ მაგრამ ძალზედ განსხვავებულ ნაწილს წარმოადგენს.

მივადექით ჩვენი თემის ყველაზე მთავარ და საკამათო საკითხს, სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის შეფასების **კრიტერიუმებს:** „დღეს მოწინავე ქვეყნების უმრავლესობაში **„სამხედრო ისტორია“** ცალკე დისციპლინად და მეცნიერებადაა ჩამოყალიბებული, რაც შეეხება სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის კრიტერიუმებს, აქ ორი ძირითადი მიმართულებაა გამოკვეთილი:

სამხედრო თეორიტიკოსების ერთი ნაწილი სამხედრო ისტორიას წმინდა სოციოლოგიური და პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოებში განიხილავს[11] (სამხედრო ისტორიას მთლიანად პოლიტიკურ ჩარჩოებში განიხილავს, სამხედრო ისტორიის კვლევების ერთ-ერთი უდიდესი ფუძემდებელი და ალბათ

[8] ი. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ. 1983, გვ. 284.

[9] პ. ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. თბ. 2002, გვ. 203.

[10] მ. ქაფიანიძე. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბრძოლო იარაღის კოლექციის ატრიბუცია და ექსპერტიზა (დისერტაცია), გვ. 32.

[11] რ. არონი. მშვიდობა და ომი ერებს შორის. ფრანგულიდან თარგმნა გ. სანიკიძემ. სამეცნიერო რედაქტორი ზ. დავითაშვილი. თბ. 2009; იხ. ასევე, კ. კლაუზევიცი. 1806 წელი. მთარგმნელები: ი. თაბორიძე, ნ. სიხარულიძე. რედ. ნ. ჭუმბურიძე. თბ. 2007.

ყველაზე გამოჩენილი მკვლევარი, გერმანელი მეცნიერი ჰანს დელბრიუკი[12]) მეორე ნაწილი კი ტექნიკური განვითარების მიყოლებით.[13] რა თქმა უნდა სამხედრო ეპოქებზე ერთიც ახდენს დიდ გავლენას და მეორეც, ორივე ეს ფაქტორი უდიდეს როლს თამაშობდა ჩვენს სამხედრო ისტორიაშიც, როგორც გერმანელი სამხედრო თეორიტიკოსი ჰანს კლაუზევიცი წერდა: „ომი და პოლოტიკა სახელმწიფოს ერთობლივი მოვლენაა“.[14]

გავბედავთ და დავსვამთ კითხვას – სამხედრო ისტორიაა პოლიტიკური ისტორიის გაგრძელება თუ სამხედრო მოვლენები ქმნის ისტორიის პერიოდიზაციას?

პასუხი შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოყალიბდეს, პოლიტიკური სიტუაციები ქმნიდა საომარ სიტუაციებს (ცივ ომებს ან შეიარაღებულ დაპირისპირებებს) **ტექნიკური სიახლეები კი უშუალოდ განკარგავდა საომარ ტაქტიკას და ბრძოლების წარმოების მეთოდიკას.[15]**

ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალის და იარაღის ჩვენს ხელთ არსებული ფონდის[16] და გალეცკის, მარქსის, მერინგის, ხოკის, კლაუზევიცის, დელბრიუკის, ანთაძის, კიღურაძის, გოგიტიძის, ბერძენიშვილის, კალანდაძის, გურულის, მეტრეველის, სამუშიას, დუნდუას, ჩაჩხიანის, წურწუმიას, ქაფიანიძის, მარგიშვილის და სხვა ისტორიკოსების თუ სამხედრო თეორიტიკოსების, ნაშრომების გადამუშავების შემდეგ, ვფიქრობთ **საქართველოს სამხედრო ისტორიის** პერიოდიზაციაზე მუშაობისას შემდეგი კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

1. საგარეო და საშინაო გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა საქართველოს სამხედრო ისტორიაზე.

2. ახალი იდეა, სტრატეგია და სამხედრო ტენდენცია.

3. ახალი მიღწევები და სამხედრო ტექნიკური სიახლეები.

---

[12] იხ. Г. Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории. в 4 томах. СПб. 2001

[13] О. Хогг. Эволюция оружия. От каменной дубинки до гаубицы. М. 2008.

[14] კ. კლაუზევიცი. 1806 წელი.

[15] მ. წურწუმია. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 2013, გვ. 241.

[16] თემაზე მუშაობისას გაწეული რჩევებისა და უანგარო დახმარებისათვის, მადლობას ვუხდით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის ხელძღვანელს, შესანიშნავ სამხედრო ისტორიკოსს მამუკა ქაფიანიძეს.

ანუ მარტივად რომ ვთქვათ სამხედრო პერიოდიზაციამ შემდეგ ძირიდათ საკითხებს უნდა უპასუხოს:

– ვის ებრძოდნენ და რატომ იბრძოდნენ?

– რა წარმოადგენდა გარკვეული პერიოდის საქართველოს „სამხედრო უწყება“ და რა საბრძოლო საშუალებებით იარაღით და ტაქტიკით იბრძოდნენ?

– რა იყო კონკრეტული პერიოდის სამხედრო ტენდენცია და სტრატეგია?

– სუფთა სამხედრო კუთხით რითი განსხვავდებოდა ჩვენი ქვეყნის ერთი „სამხედრო ისტორიული“ პერიოდი მეორისაგან?

ურთულეს და ხანგრძლივ კვლევას საჭიროებს იპოვო „**ოქროს კვეთი“ საკვანძო** თარიღები რომლებიც ერთდროულად უპასუხებს იდეოლოგიურ, ტექნიკურ და სამხედრო-გეოპოლიტიკურ მოვლენას. მაგრამ ჩვენ მაინც გავბედეთ ამ ურთულეს საკითხებთან შეჭიდება და ვთვლით რომ **საქართველოს სამხედრო ისტორია** შემდეგ პერიოდებად შეიძლება დაიყოს:

1. პრეისტორიული პერიოდი. „სამხედრო საქმე“ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ უძველეს ტომებში“ უძველესი დროიდან ძვ. წ. II ათასწლეულამდე.

მწვავედ დგას საკითხი საიდან შეიძლება დაიწყოს- საქართველოს „სამხედრო ისტორია“? საქართველოს ტერიტორია ხომ მსოფლიოს იმ უიშვიათეს ადგილს წარმოადგენს სადაც ადამიანმა ძველი ქვის ხანიდან დაწყებული ყველა ისტორიული ეპოქა უწყვეტად გაიარა.[17] რთული სათქმელია აღმოჩენილი ზედა პალეოლითური, მეზოლითური და ნეოლითური ქვის და ძვლის იარაღები განეკუთვნებოდა თუ არა „საბრძოლო“ კატეგორიას,[18] მაგრამ ადრე ბრინჯაოს ხანიდან „სამხედრო“ დანიშნულების იარაღები უკვე დიდი რაოდენობით გვაქვს, თუმცა ერთია საზოგადოება და მეორეა ტომობრივი გაერთიანება, „მონადირე შემგროვებელი“ კი არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ რაიმე სახის „სამხედრო პოლიტიკურ ოპერაციებს“ აწაროებს. ამ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობდნენ სახელმწიფოები და შესაბამი-

[17] ო. ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან. თბ. 2006, გვ. 8.

[18] მ. ნიორაძე. ქვის იარაღები დმანისიდან. კრებ: დმანისი. ტ I. თბ. 1998, გვ. 140.

სად ვერ იარსებებდა „ოფიციალური ომები“. ამიტომ ამ სახის სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი არაუადრეს ძვ. წ. II ათასწლეულით უნდა ვიგულისხმოთ.

2. ადრეკლასობრივი სახელმწიფოების, ანუ ქართული ეროვნული თვითშეგნების და ეროვნული ემოციის ჩამოყალიბების პერიოდი; ძვ. წ. II ათასწლეული - ძვ. წ. IV ს.

ეს არის პერიოდი, როდესაც სახელმწიფოწყობასთან მიახლოებულ ქართველ ტომებში თუ ტომთა გაერთიანებებში (თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“[19] დიაოხი, კოლხა და სხვ.) საკმაოდ მაღალ დონეზე დგას სამხედრო საქმე და იარაღის ინდუსტრია. ისინი ჩამბულები არიან მაშინდელ „გეოპოლიტიკაში“ და „ომის“ საკითხი, უკვე არა პირველად მოთხოვნას, არამედ პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ დროს ჩვენს სამხრეთით ყალიბდება და თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს ძველაღმოსვლური სახელმწიფოები, რომლებიც ყველაფერთან ერთად მსოფლიოში პირველ ორგანიზებულ „შეიარაღებულ ძალებს“ ქმნიან,[20] ქართველლი ტომები ძველაღმოსავლურ სახელმწიფოებებთან (ასურეთი, ხეთები, ურარტუ)[21] და მომთაბარეებთან (კიმირიელები, სკვითები[22]) აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას და ასევე მათთან უხდებათ მეზობლობა და თანაარსებობა.[23] ბრინჯაოს ეპოქას ცვლის რკინის ხანა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სამხედრო და პოლიტიკური ევოლუციები. აღსანიშნავია, რომ ქართველი ტომები ერთ-ერთი პირველი იყვნენ ლითონის წარმოებაში.[24] ყველაფერს ადასტურებს,

[19] ზოგიერთი მკვლევარი „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას“ უკვე სახელმწიფოდ მიიჩნევს. მაგალითად ბ. კუფტინი (იხ. Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941, გვ. 100).

[20] Р. Робинсон. Доспехи народов Востока. История оборонительного вооружения. М. 2006. გვ, 7.

[21] Г. Меликишвили. Наири-Урарту. Тб. 1954, გვ. 364.

[22] მ. ფირცხალავა. სკვითური ტიპის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. I. თბ. 1978, გვ. 32-51.

[23] გ. გიორგაძე. ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის. ახალციხე. 2000, გვ. 23.

[24] გ. კვირკველია. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბ. 1976.

როგორც არქიტექტურა და არქეოლოგიური მასალა[25] (გიგანტური ყორღანები, ციკლოპური სიმაგრეები, უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობები, აღმოჩენილი იარაღის რაოდენობა და ხარისხი) ასევე ძველაღმოსავლური (ბიბლია, ხეთური, ასურული, ურარტული[26]) და ძველი ბერძნული (ჰეროდოტე,[27] ქსენოფონტე[28] და სხვ.) წერილობითი წყაროები.

აღნიშნული ეპოქის ზოგადი მიმოხილვიდანაც კი სჩანს, რომ ქართველი ტომები ამ დროს იცნობენ და იყენებენ ყველა „სამხედრო სიახლეს", რადგან საკუთარ სამხედრო მიღწევებთან ერთად მათზე ზეგავლენას ახდენს, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური[29] სამხედრო მიღწევები.[30] ის ქვეყნები, რომელნიც მაშინდელი „პოლიტიკური რუკის" არცთუ ისე უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ. მაგრამ ეს პერიოდი მაინც არ მიგვაჩნია, რომ საქართველოს „სამხედრო ისტორიის სათავედ" ჩაითვალოს რამდენიმე მიზეზის გამო, მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ მიზანს წარმოადგენს შევქმნათ „საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის" დაახლოებითი სურათი. ანუ როგორც „ერთიანი სამხედრო პოლიტიკური სივრცისა" თუ არა „იდენტური სივრცისა" მაინც. რადგან მიგვაჩნია, რომ შორს იდგნენ მაშინდელი ქართველი ტომები (მიუხედავად იარაღის ინდუსტრიისა და სამხედრო საქმის საკმაოდ მაღალი დონისა). ამიტომ, არც „თრიალეთის ცივილიზაცია" და არც მაშინდელი ქართულ ტომთა გაერთიანებები (დიაოხი, კოლხა) მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება ერთიან „ქართული იდენტობის" მქონე ცენტრალიზებულ[31]

[25] ზ. კვიციანი. სვანეთი – ოქრომჭედლობის უძველესი კერა (არქეოლოგიური, გეოლოგიური და კიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები), თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, თბ. 2011, გვ. 19.

[26] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. თბ. 1970, გვ. 228.

[27] ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1975, VII, გვ. 79.

[28] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი". ცნობები ქართველი ტომების შესახებ. თბ. 1967.

[29] როგორც ყველასათვისაა ცნობილია აქემენიდების იმპერიის XIX სატრაპიის ქართველი ტომები დარიოსისა და ქსერქსეს არმიის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ, ბერძენ სპარსელთა ომში (ჰეროდოტე. ისტორია. III, გვ. 94) და მათ საკმაო ცოდნა უნდა მიეღოთ ამ პერიოდის ბერძნების სამხედრო ხელოვნებაზე: იხ. აგრეთვე გ. ბერიძე. 300 სპარტანელთან ქართველებსაც უბრძოლიათ. ჟურნ. „არსენალი" №3. თბ. 2011.

[30] გ. კვირკველია. ჰოპლიტური ფარები კოლხეთში. ძიებანი. ტ. 7, თბ. 2001, გვ. 33-39.

[31] გ. ნარიმანიშვილი. სიახლენი თრიალეთის კულტურაში. თბ. 2009, გვ. 90.

„სამხედრო სახელმწიფოებად“ ჩაითვალოს.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ის შეიძლება დაიწყოს ძვ. წ. 1121 წლით, როდესაც ტიგლათფილესერის ლურსმულ წარწერებში პირველად ფიქსირდება ქართველების სამხედრო-პოლიტიკური საკითხი. ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ძვ. წ. IV-III საუკუნით. როდესაც ყალიბდება პირველი ოფიციალური ერთიანი ქართული სახელმწიფო: **იბერიის (ქართლის) სამეფო.**

3. **პირველი პერიოდი. ეროვნული სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბების ეპოქა, ძვ. წ. IV-III სს. - ახ. წ. V ს.**

ქრისტეშობამდე IV საუკუნისათვის არსებითად მთავრდება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითგამორკვევის და გაერთიანების პროცესი, როდესაც მთელი რიგი საშინაო და საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შედეგად (ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური სამხედრო კამპანია და აქემენიდების იმპერიის დაცემა,[32] დიადოხოსების ომები) ერთიანი ენით, ერთიანი სახელმწიფო ღირებულებებით შეიქმნა პირველი ერთიანი იდენტობის მქონე ოფიციალური ქართული სახელმწიფო **იბერიის სამეფო,** როდესაც ლეგენდარულმა **ფარნავაზმა** ყველა ქართველი ტომი ერთი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია.[33] ჩამოყალიბდა სარდლობის ინსტიტუტი, სამხედრო იერარქიის სისტემა, დაკანონდა სასაზღვრო ზოლი, ფარნავაზმა დასძლია ტომობრივი ჩაკეტილობა და სეპარატიზმი და ყველა ბრძოლა და ომი არა ტომობრივ მოთხოვნად, არამედ ეროვნულ ღირსებად აქცია.[34] ზოგიერთმა ისტორიკოსმა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა არათუ ფარნავაზის სამხედრო რეფორმები არამედ მისი არსებობაც, თუმცა გვერდს ვერავინ აუვლის იმ აშკარა ცვლილებებს რაც ელინისტური პერიოდის არქეოლოგიური მასალიდანს ჩანს[35] მთელს საქართველოში და განსაკუთრებით დედაქალაქ მცხეთის გარშემო იმდენად გლობალურ საფორტიფიკაციო ზოლს ვაწყდებით, წარმოუდგენელია მისი მფლობელი უბრალო ტომის ბელადი ყოფილიყო. საინტერესოა აღმოჩენილი ელინისტური საბრძოლო იარაღიც, რომელიც მაშინდელი მსოფ-

[32] Г. Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории, გვ. 404.
[33] გ. ქავთარია. ფარნავაზი. თბ. 1999, გვ. 92.
[34] გ. ქავთარია. ფარნავაზი, გვ. 103.
[35] გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი. ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბ. 2005, გვ. 114.

ლიო სამხედრო საქმისათვის „ულტრათანამედროვეს“ მიეკუთვნება.[36] საქართველოში დასტურდება პროფესიონალი მეომრების არსებობა (ოდნავ მოგვიანებით I საუკუნის ბერძენი გეოგრაფისა და მწერლის სტრაბონის ცნობაც ამყარებს, რომელიც იბერიის ერთ-ერთ სოციალურ კლასად პროფესიონალ მეომრებს ასახელებს[37]), აღნიშნულ პერიოდში ხდება დიდი სამხედრო პოლიტიკური მოვლენებიც საქართველოს უხდება აღმოსავლეთ (სპარსეთი-პართის) დასავლეთის (რომი) შეიარაღებულ დაპირისპირებებში და „ცივ ომში“ ჩართვაც, აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ ქართულმა სახელმწიფომ იბერიამ (ქართლმა) შეძლო თავიდან აეცილებინა ისეთი დიდი სამხედრო ზესახელმწიფოს სრული ანექსია როგორიც იყო რომი.[38] ჩვენს ქვეყანაში მიუხედავად პომპეუსის საკმაოდ წარმატებული სამხედრო კამპანიისა,[39] ქართული ტერიტორიების სრული ანექსია და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მაინც არ მომხდარა და რომთან ურთიერთობას უფრო მეტად დადებითი მოვლენა იყო ქართველებისათვის.[40] იბერიის „ხელშეუხებლობის გასაღები“ არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული ადგილმდებარეობა, „დარიალის კარის“[41] ფლობა ან რომისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების „სურვილი“[42] მივიჩნიოთ, აუცილებლად აღსანისნავია იბერია-კოლხეთის სამხედრო პოტენციალიც ჯეროვნად იქნეს შეფასებული,[43] იბერია რომ სუსტი სახელმწიფო ყოფილიყო, იგი ვერანაირად ვერ გადარჩებოდა პართიისა და რომის ზესახელმწიფოების ჭიდილში. საოცარი რომ ქართველები ამ დროს აწარმოებდნენ არა მხოლოდ თავდაცვით ასევე საკმაოდ გაბედულ და

[36] გ. გამყრელიძე. ომი და შეიარარება იბერია-კოლხეთში. თბ. 2010, გვ. 67.
[37] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია – ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957, გვ. 53.
[38] კ. ფიფია. რომისა და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ურთიერთობა ახ. წ. I-II სს. თბ. 2004, გვ. 29.
[39] ს. მარგიშვილი. იბერიის ომი პომპეუსთან. ჟურნ. „მხედარი“. თბ. 1991.
[40] ნ. ლომოური. საქართველოს საგარეო ურთიერთობების სათავეებთან. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 1, თბ. 1994, გვ. 52.
[41] მ. ინაძე. კასპიის კარი (დარიალი დარუბანდი) ახ.წ I-V საუკუნების საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 3, თბ. 1996, გვ. 49-53.
[42] დიონ კასიოსის [კოკეიანოსის] ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართულ თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა, თბ 1966, გვ 57.
[43] ი. გაგოშიძე. პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ძიებანი. თბ. 2004, გვ. 118.

რისკიან შეტევით ბრძოლებს ტერიტორიების გასაფართოებლადაც კი (!!!).[44]

რაც შეეხება ამ პერიოდს, ვფიქრობ იგი უნდა ჩაითვალოს, როგორც **„საქართველოს სამხედრო ისტორიის საწყისად“** *(წინა პერიოდები მხოლოდ საქართველოს სამხედრო ისტორიის წინარე პერიოდებად მიგვაჩნია)* რადგან ამ დროს საბოლოოდ დასრულდა ქართული იდენტობის სრულად ჩამოყალიბების და ერთიანი ეროვნულობის შეგნების რთული გზა, მართალია ამის შემდეგ მთელი რიგ მიზეზთა გამო არაერთხელ დაირღვა ქართული სახელმწიფოს ერთობა, და უამრავჯერ ჰქონდა ადგილი შიდა სეპარატიზმს, მაგრამ ერთიანი ქართული იდენტობისა და ეროვნულობის შეგრძნება[45] „ფარნავაზიდან“ დაწყებული დღემდე აღარასოდეს აღარ დარღვეულა.

ქრონოლოგიური საზღვრებად კი ვფიქრობთ იგი უნდა დაიწყოს, აზონის განადგურებით, ფარნავაზის ხელისუფლებაში მოსვლით, მცხეთის ტახტზე ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებით[46] და გაგრძელდეს ახ. წ.-ის IV-V საუკუნით როდესაც საქართველოს სამხედრო ისტორიაში, სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია მკვიდრდება.

4. მეორე პერიოდი. ადრე შუა საუკუნების სამხედრო ისტორია V-X სს.

IV საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია ხდება, ვახტანგ გორგასლის სამეფო სათავეში მოსვლის შემდეგ კი ახალი სამხედო ეპოქა იწყება,[47] საერთაშორისო პოლიტიკაში ისევ ებრძვის ერთმანეთს ორი სამხედრო იმპერია სასანიდების ირანი და ქრისტიანული ბიზანტია. ქართველები კი ხან ერთ იმპერიას უპირისპირდებიან ხან მეორეს, ხან კი ორივეს ერთად, ხდება სამხედრო ტექნიკური, ტაქტიკური და სტრატეგიული ცვლილებები, დაიხვეწა საბრძოლო იარაღი, შეიქმნა ახალი ტიპის აბჯარი, მეომრის სხვა საჭურველი, ჯერ მომთაბარე ჰუნებმა VI საუკუნიდან კი არაბებმა ბრძოლის

[44] გ. გამყრელიძე. ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, გვ. 160.

[45] როგორი ლეგენარულებული გმირიც არ უნდა ყოფლიყო ფარნავაზი იგი მაინც ანარეკლი უნდა იყოს რეალურად არსებული ერთიანი საქართველოს პირველი მეფისა რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენს ისტორიაში და ფსიქოლოგიაში. იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 18.

[46] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1, გვ. 443.

[47] მ. ლორთქიფანიძე. ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში. თბ. 1979, გვ. 4.

ველზე ცხენების როლის გაზრდით.[48] ცხენის სხვა საჭურველით და უზანგების გამოგონებით, ახალი სტილის საკავალერიო ბრძოლებს დაუდეს სათავე,[49] აქედან მოყოლებული XV საუკუნის ბოლომდე, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე, ბრძოლის ველზე დომინანტი კავალერია ხდება,[50] ქართველები რომლებიც ყველაზე მძლავრ სამხედრო იმპერიებთან აწარმოებდნენ ბრძოლებს თავს ვერაფრით აარიდებდნენ სამხედრო საქმის „ევოლუციებს" მითუმეტეს, რომ ქართლის ცხოვრებაში, გორგასლის პერიოდის ქართველი მეომრების აღწერისას, ჯუანშერის ცნობებში მაშინ არსებული ყველა სამხედრო ტექნიკური სიახლე გვხვდება.[51] თუმცა ამ პერიოდის უმთავრესი განსაკუთრებულობა არა იარაღის და ტაქტიკის ცვლილებებში არამედ ქართულ სამხედრო იდეოლოგიაშია. ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საქართველოში ახალი იდეალი, **„სამხედრო ქრისტიანული იდეოლოგია"**, ყალიბდება[52] ქრისტიანული იდეალები იმდენად ჩაჯდა ქართულ ფსიქიკაში, რომ სახელმწიფო და სამხედრო არსის ფუნდამენტად იქცა, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ გაუღია ქრისტიანობისათვის იმდენი მსხვერპლი რამდენიც პატარა საქართველოს, როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავდა:

„ქართული ქრისტიანობა ეს მთლიანად სამხედრო ქრისტიანობაა და საქართველო ერთი მთლიანი სულიერი ორდენია წმინდა გიორგისა".

„ადრეფეოდალური ხანის „აღმართის პერიოდი" უნდა დაიწყოს V საუკუნის ავტოკეფალიით და გაგრძელდეს X საუკუნემდე.

5. მესამე პერიოდი. ერთიანი მონარქიის სამხედრო ეპოქა. X-XV სს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები მრავალი წინააღმდეგობით იყო სავსე (ბიზანტიის[53] და შიდა სეპარატიზმის ფაქტორი) X საუკუნიდან საბო-

[48] ნ. ხოფერია, ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო ისტორიის საკითხები. საისტორიო კრებული. ტ. 4. თბ. 2014, გვ. 61.

[49] D. Nicolle. European Medieval Tactics. The Fall and Rise of Cavalry. 450-1260. Oxford. 2011, გვ. 6.

[50] Д. Николле. Армии мусульманского Востока, VII-XI века. м. 2003, გვ. 48.

[51] ქართლის ცხოვრება, გვ. 248.

[52] ბ. ჯავახია. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ. თბ. 2005, გვ. 49.

[53] ქართულ ცნობიერებაში მონღოლების, სპარსელების და განსაკუთრებით კი თურქების ფონზე, „ერთმორწმუნე" ბიზანტია „მტრის ხატად არ შემორჩა", არადა ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ პერიოდის დასაწყისში ერთიანი საქართველოს უპირველესი მტერი ბიზანტიის იმპერია იყო. მიუხედავად ამისა და განსხვავებული სტრატეგიებისა სა-

ლოოდ მთავრდება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენება და სახელოვანი ბაგრატიონების დინასტიის ქვეყნის სათავეში მოსვლით, უკვე საბოლოოდ ყალიბდება ცენტრალიზებული სახელმწიფო – **საქართველო.**[54]

ცვლილებებია საგარეო პოლიტიკაშიც, ამ დროს ხდება უდიდესი სამხედრო პოლიტიკური-რელიგიური მოვლენა – **ჯვაროსნული ომები,**[55] მსოფლიო სამხედრო ისტორიაში კიდევ ერთხელ ხდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო ხელოვნებების შეჯახება,[56] მართალი ამ დროს ქართველებს დასავლეთის სამხედრო ხელოვნებასთან არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი ურთიერთობა, მაგრამ დასავლეთის სამხედრო ხელოვნებამ ქართველებზე მაინც მოახდინა საკმაოდ დიდი გავლენა, რაც კარკვეულწილად ტაქტიკურ მოქმედებებში აისახა,[57] იცვლება საქართველოს სტრატეგიული სიტუაციაც ჩვენს სამხრეთით აგრესიული თურქული ტომების დამკვიდრებით, მთლიანად იცვლება მცირე აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა, თურქული სახელმწიფო არამარტო აგრესიულ მეზობლად, არამედ მძლავრ სამხედრო იმპერიად და ჩვენს დაუძინებელ მტრად იქცა, არაერთი სახელმწიფო მათი მსხვერპლი გახდა და გადაშენების პრობლემა ახლადჩამოყალიბებულ საქართველოს სამეფოსაც დაემუქრა, თუმცა ქვეყანამ შესძლო არათუ თურქ-სელჩუკური ტალღის აქტიურად მოგერიება, არამედ შეტევაზე გადასვლაც და მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური რუკის საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა,[58] ჩამოყალიბდა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო,

ქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე ალბათ ყველაზე დიდი გავლენა მაინც ბიზანტიურმა „სკოლამ“ მოახდინა, რომელსაც X საუკუნეში და XI საუკუნის დასაწყისში ერთგვარი „ოქროს ხანა“ ჰქონდა. ბიზანტიის სამხედრო ხელოვნება აღმოსავლური და დასავლური სამხედრო ხელოვნებების ერთგვარ „ნაზავს“ წარმოადგენდა. იხ. E. N. Luttwak. The Grand Strategy of the Byzantine Empire, Cambridge, Massachusetts. 2009, ან T. Dawson. Byzantine Infantryman: Eastern Roman Empire, c. 900-1204. L. 2003

54 ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, გვ. 360.

55 შ. ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები. თბ. 1972, გვ. 4.

56 D. Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Western Europe and the Crusader States. London. 1999, გვ. 7.

57 მ. წურწუმია. წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა. ქართული გამოცდილება. საისტორიო კრებული. ტ. I. თბ. 2011.

58 ს. მარგაშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006.

ერთიანი სამხედრო სტრუქტურით და ამბიციური სამხედრო სტრატეგიით,[59] არნახულად გაიზარდა მეფის როგორც უმაღლესი მთავარსადლის კულტი და ერისთავების ინსტისუტის როლი,[60] მეორე პლანზე გადაიწია დაბალი ხარისხის სახალხო ლაშქარმა და დამკვიდრდა „სამეფო სპათა“ სისტემა სამხედრო საქმეში კიდევ უფრო დაწინაურდა არისტოკრატია და ევროპის მსგავსად სამხედრო „ელიტად“ იქცა რადგან საბრძოლო საჭურველის[61] შეძენა და გამოყენება უკვე მხოლოდ მდიდარი არისტოკრატიისათვის იყო შესაძლებელი.[62]

საქართველო ხდება კავკასიის დომინანტი სახელმწიფო[63] აღნიშნულ პერიოდში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მონღოლების გამოჩენაც, რომლებმაც უდიდესი უარყოფითი როლი ითამაშეს მსოფლიოს[64] და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში,[65] ქართველებს არაერთხელ მოუწიათ როგორც მათ წინააღმდეგ ასევე მათ მხარდამხარ ბრძოლა, მონღოლების მიერ წარმოებულ დაუსრულებულ სამხედრო კამპანიებში, მაგრამ მათ საქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ, მიუხედავად ჯალალ-ედ-დინის, მონღოლური, და თემურ-ლენგის შემოსევების კატასტროფული შედეგებისა მათ მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ დამხობა არ მომხდარა არანაირად არ შეცვლილა სამხედრო ტენდენცია, ამიტომ გავბედავთ და მონღოლების ეპოქას მაინც არ გამოვყოფთ ცალკე მოვლენად და მონღოლურ პერიოდს – **„ერთიანი სამხედრო მონარქიის პე-**

[59] ჯ. სამუშია, ციხე სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში. საისტორიო ძიებანი. თბ. 2007-2008, გვ. 99.

[60] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 3. თბ. 1979, გვ. 47.

[61] X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარღების შესახებ საინტერესო სტატია აქვს ირაკლი ბაქრაძეს. იხ. – X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით). თსუ ჰმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2011, გვ. 59-86.

[62] მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 2013, გვ. 246.

[63] რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა. თბ. 1990, გვ 23.

[64] С. Тернбул, А. МакБрайд. Армия Монгольской империи. М 2009.

[65] ი. ცინცაძე. მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები XII-XIII სს. თბ. 1960, გვ. 4.

რიოდში გავაერთიანებთ“ აღნიშნული ეპოქა ხასიათთება როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მომენტებით, როგორც დიდი გამარჯვებებით ასევე კატასტროფული დამარცხებებით და ლამის სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვით. ერთიანი სამხედრო მონარქიის პერიოდი მოიცავს X-XV საუკუნეებს.

6. მეოთხე პერიოდი. „თვითგადარჩენის“ ეპოქა. XV-XVIII სს.

ჯერ ჯალალ-ედ-დინის, შემდეგ მონღოლთა დაპყრობების, საბოლოოდ კი თემურ ლენგის შემოსევები დამღუპველი გამოდგა საქართველოსათვის, ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო დაღმასვლა შეუქცევადი პროცესი გახდა,[66] ბიზანტიის დაცემამ კატასტროფულად იმოქმედა სახელმწიფოზე, ქვეყანა მტრულად იზოლირებულ გარემოში უკვე საბოლოოდ მოექცა, საქართველო დაიშალა სამეფო სამთავროებად,[67] მოისპო ერთიანი ეროვნული სამხედრო სისტემა[68] და სტრატეგია, დიდი როლი დაეკისრა სახალხო ლაშქარს[69] და ეს ხდება მაშინ როდესაც კიდევ უფრო გაძლიერდა სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო იმპერიები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამ მთლიანად შეცვალა ტაქტიკა[70] და სტრატეგია, მართალია ქართველებს არანაირი მნიშვნელოვანი როლი არ შეუტანიათ სამხედრო საქმისა და ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებაში, თუმცა როგორც ითქვა სამხედრო პოლიტიკური მოვლენებიდან და მუდმივი საომარი სიტუაციებიდან გამომდინარე ტაქტიკის და საბრძოლო მოქმედებების ცვლილება მაინც მოუხდათ[71] მთლიანად იცვლება ფორტიფიკაცია და სამხედრო არქიტექტურა, სამხედრო საქმეში შემოდის ციხესიმაგრეებს უმთავრესი მტერი **„არტილერია“**[72] და ციხის გალავნებსაც უპირველესად ცეცხლსასროლი იარაღისათვისა და არტილერიისათვის უნდა გაეძ-

[66] საქართველოს სამხედრო ისტორია (მოკლე კურსი). ნაწ. 2, გვ. 47.
[67] ი. ანთელავა. ერთიანი მონარქიის დაშლა და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა. „მაცნე“. ისტორიის... სერია. № 2. თბ. 1978, გვ 81.
[68] გ. ანჩაბაზე. ფეოდალური საქრთველოს ლაშქარი (წიგნში – საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები 1920 წლამდე). თბ. 2010.
[69] ა. კლიმიაშვილი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადრშოების ისტორიისათვის. თბ. 1964, გვ. 38.
[70] მ. ქაფიანიძე. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბრძოლო იარაღის კოლექციის ატრიბუცია და ექსპერტიზა, გვ. 112.
[71] მ. წურწუმია. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის საკითხისათვის. ქართველოლოგია. 2. თბ. 2011, გვ. 65.
[72] Ю. В. Шокарев. История оружия. Артиллерия. М. 2001, გვ. 24.

ლო. ამიტომ XV საუკუნიდან ციხეები მნიშვნელოვნად განსხვავებული სტილისა და არქიტექტურისა იგება[73] ბრძოლის ველზე დომინანტი ისევ ქვეითი ჯარი გახდა, კავალერია და ცივი იარაღი ნელნელა უთმობს ადგილს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ ქვეითებს[74] არტილერია თანდათან **„ომის ღმერთი“** ხდება და უკეთესი შეიარაღება უკვე საბოლოოდ განკარგავს ბრძოლის მოვლენებს.[75]

დაშლილი და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი საქართველო, მნიშვნელოვნად ჩამორჩა სამხედრო განვითარებას, იარაღის წარმოებას და საბრძოლო ინტელექტს,[76] მთელმა XV-XVIII საუკუნეებმა ჩაიარა უამრავ შიდა კონფლიქტებში და გარეშე მტერთან ბრძოლაში, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი ქართველები თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ მომხდურ დამპყრობლებთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს დამპყრობლების წინააღმდეგ არაერთი ფენომენალური და მნიშვნელოვანი ბრძოლა იქნა მოგებული (თუნდაც ტაშისკარი, მარტყოფი, ხრესილი და სხვ.), საქართველოში იყვენ მსოფლიოს მნიშვნელობის მქონე გენიალური სტრატეგები და სარდლები (სიმონ I, გიორგი სააკაძე, სოლომონ I, ერეკლე II) მთელი ჩვენი მაშინდელი სამხედრო სტრატეგია მთლიანად, „თვითგადარჩენაზე“ იყო აგებული.

ამ პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრები შეიძლება განისაზღვროს 1480-იანი წლებიდან (*საქარველოს ერთიანი მონარქიის დაშლა, ცეცხლსასროლი იარაღის გაბატონება სამხედრო საქმეში*[77]) და გაგრძელდეს 1801 წლამდე.

---

[73] პ. ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, გვ. 202-237.

[74] Ф. Меринг. История войн и военного искусства. СПб. 1999, გვ. 112.

[75] შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტაქტიკაში ცეცხლსასრომლმა იარაღმა საკმოდ გადაწონა შემართება და ფიზიკური მონაცემები. უხეშად რომ ვთქვათ, ფიზიკურად როგორი ძლიერი და შემართებულიც არ უნდა იყოს მეომარი, ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ მაინც ნებისმიერ შემთხვევაში „უშანსოდ“ იქნება, იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ის ვერ მიაღწევს დისტანციურ ბრძოლამდე და ვერ შეძლებს თავისი ფიზიკური ძალის გამოყენებას.

[76] ი. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან მასალები. თბ. 1962, გვ. 284.

[77] მ. წურწუმია. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის საკითხისათვის, გვ. 86.

7. მეხუთე პერიოდი. საქრთველო რუსეთი იმპერიაში. 1801-1917 წწ.

მიუხედავდ იმისა, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ყველა დიდ იმედს „ერთმორწმუნე" რუსეთის იმპერიაზე ამყარებდა, ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო მომსპობი სწორეთ „ჩდილოელი მეზობელი", გამოდგა 1801 წელს ყველანაირი ნორმების დარღვევით რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის ქართული სახელმწიფო და თანდათან მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად აქცია, მოსპობილი იქნა ყველაფერი ქართული და მათ შორის რა თქმა უნდა ქართული სამხედრო ტრადიციებიც და სტრატეგიაც, ქართველები ჩაებნენ რუსეთის კოლონიურულელში[78] და ათობით გენერალი, ათასობით ოფიცერი და ათეულ ათასობით ჯარისკაცი რუსეთის ძლიერებისათვის ღვრიდნენ სისხლს.[79] მიუხედავად ახალი სამხედრო სიახლეებისა, ამას საქართველოს ისტორიისათვის არანაირი დადებითი არ მოუტანია თუ არ ჩავთვლით ერთ ფაქტორს: რუსეთის იმპერიულ ბრძოლებში ჩამოყალიბდა მრავალი ქართველი ოფიცერი და გენერალი რომლებმაც მიღებული უზარმაზარი გამოცდილება 1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკას მოახმარეს. ეს პერიოდი ხასითდება ერთი ფაქტორით მიუხედავად საქართველოს ისტორიის არაერთი ანექსიისა სხვადასხავა პერიოდში (სპარსეთის, არაბების, მონღოლების, ოსმალეთის...) საქართველოს ტერიტორიების ასეთი ფართო და პრაქტიკულად სრული დაპყრობა არ მომხდარა. ამიტომ ისტორიაში ყველაზე კრიტიკულად დადგა ეროვნული არსებობის საფრთხე,[80] ეს პარიოდი ხასიათთება საზოგადოების (უფრო ელიტის) გაყოფით ერთი ნაწილი ცარიზმის სრულ მარიონეტად იქცა და მის სამხედრო გეგმების ასრულებას შეუდგა, მეორე ნაწილი კი ერის ფართო მასებთან ერთად მუდმივ აჯანყებებს აწარმოებდა „ერთმორწმუნე ოკუპანტის" წინააღმდეგ, *(გამოსარჩევია 1804 წლის მთიანეთის, 1812-1813 წლების, 1819-1820 წლები იმერეთის აჯანყებები, და 1832 წლის შეთქმულება).*[81] ალბათ მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში არავის უბრძოლია ერთროულად ერთმანეთის

[78] М. Д. Гогитидзе. Грузинский Генералитет (1699-1921). Киев. 2001. გვ. 4.

[79] მ. გოგიტიძე. რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები. თბ. 1999, გვ. 5.

[80] ვ. გურული. 1832 წლის შეთქმულება. საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. თბ. 2004, გვ. 93-101.

[81] საქართველოს სამხედრო ისტორია (მოკლე კურსი). ნაწ. 2, გვ. 143-149.

მხარდამხარ და ერთმანეთის წინააღმდეგ იმდენჯერ, რამდენჯერაც ქართველებსა და რუსებს...

8. მეექვსე პერიოდი. საქართველლოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921 წწ.

მიუხედავად თავისი „დროის სიმცირისა" ესაა საქართველოს სამხედრო ისტორიის მეტად შტამბეჭდავი და საამაყო პერიოდი, დამონების მიუხედავად ქართველმა ხალხმა შესძლო და ალღო აუღო ყველა სამხედრო მიღწევას, ტექნიკურ სიახლეს და ახალ სტრატეგიებს, მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს სამხედრო პოლიტიკური ცვლილებებიც საქართველო ცდილობდა ღირსეული ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე.[82] ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა პროფესიული „საქართველოს შეიარაღებული ძალები", სამხედრო სასწავლებელი,[83] ჰყავდა შესანიშნავი ოფიცრები,[84] დიდი გამოცდილების და სამხედრო ინტელექტის მქონე გენერლები[85] (მაზნიაშვილი, კვინიტაძე და სხვ.) მთელი რიგი ფინანსური, პოლიტიკური თუ სახელმწიფო პრობლემების მიუხედავად[86] საკმაოდ წარმატებული ბრძოლები აწარმოა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან და იმპერიასთან[87] და თუ მაშინ არ მოხერხდა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ამაში ყველაზე ნაკლებად „დამნაშევე"[88] საქართველოს შეიარაღებული ძალები იყო.[89]

---

[82] ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ. 2007, გვ. 127.

[83] იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის შესახებ იხ. ალ. ჩხეიძის მოგონებები დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო სკოლის შემადგენლობაზე (სია) და საქართველოს ანექსია 1921 წელს. პუბლიკაცია მოამზადა გ. შარაძემ. „მხედარი". თბ. 1991, №1; გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. 1917-1925. თბ. 1927, გვ. 9; ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი. იუნკერები. თბ. 1990, გვ. 7.

[84] ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი. იუნკერები. თბ. 1990, გვ. 11.

[85] დ. სილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და რიცხოვნების საკითხისათვის. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011, გვ. 385-393.

[86] ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, გვ. 138.

[87] მ. ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. თბ 2013.

[88] როგორც არჩილ ჩაჩხიანი მიუთითებს – „ბრძოლებს იგებდა ჯარი თუმცა ომებს აგებდა პოლიტიკა" (ა. ჩაჩხანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-

9. მეშვიდე პერიოდი. ანუ კომუნისტური ეპოქა და ქართველები. 1921-1990 წწ.

სუფთა პოლიტიური კუთხით თუ შევხედავთ ჩვენი ქვეყნისათვის ტერმინების გარდა კომუნისტური კოლონიზაცია ბევრი არაფრით განსხვავდებოდა იმპერიული რუსეთის კოლონიზაციისაგან, უბრალოდ კომუნისტები უფრო „კეთილშობილი“ მიზნებისათვის და „სამყაროს ნათელი მომავლისათვის“ მებრძოლის იდეალებით გამოდიოდნენ, ქართველები ამჯერადაც იმპერიალურ სამხედრო მანქანაში ჩაებნენ, ამ პერიოდის განსხვავება პირველი კოლონიზაციისაგან სტრატეგიული და ტექნიკური სიახლეებით კი რადიკალური იყო, ბრძოლის ველზე უკვე დომინანტი გახდა :მძიმე არტილერია, ავიაცია, სატანკო და მოტორიზირებული შენაერთები, საზღვაო არმადები, ისტორიის საკუთრება გახდა კავალერია და ცივი იარაღი, მთლიანად შეიცვალა ტაქტიკა[90] ქართველებმა მონაწილეობა ისევ მიიღეს კომუნისტური იმპერიის ყველა ბრძოლაში და საოკუპაციო დაპყრობებში, მათგან რათქმა უნდა გამოსარჩევია მეორე მსოფლიო ომი და ავღანეთის ოკუპაცია. კომუნისტურ იმპერიას შეეწირა ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე, რაც პროცენტული შეფარდებით ერთ-ერთი დიდი ეროვნული გეოფონდის დანაკარგი იყო მთელს მსოფლიოში.[91]

10. დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ისტორია. 1990 წლიდან დღემდე.

1990 წელს კომუნისტური იმპერიის არსებობა დამთავრდა. საქართველომ დამოუკიდებლობა, იმედია, საბოლოოდ მოიპოვა, და დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ისტორია! რომლის ბოლომდე შეფასება ვფიქრობთ, რომ ჯერ ადრე უნდა იყოს...

ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, გვ. 464.

[89] ვ. გურული, ახალი ქართული ჯარის სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი. ისტორიული ნარკვევი, დოკუმენტები (1917-1918). თბ. 1998, გვ. 5.

[90] ნ. ჯანჯღავა. სამხედრო აზროვნებისა და საბრძოლო გეგმების ევოლუცია ევროპაში პირველი მსოფლიო ომის წინ. თბ. 2003, გვ. 4.

[91] ვ. გურული. ქართველები მეორე მსოფლიო ომში. საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. თბ. 2003, გვ. 108-221.

როგორც დასაწყისში ავღნიშნეთ, ჩვენი მოკრძალებული სტატიით შევეცადეთ საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის დაახლოებითი სურათი მაინც შეგვექმნა.

რადგან თემატიკა მომავალი კვლევებისათვის შესრულებულ კვლევების გეგმის ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ ვხვდებით, რომ ის ერთგვარი თეზისებისა და ზოგადი მიმოხილვის შთაბეჭდილებას შეიძლება ტოვებდეს, ამასთან ერთად ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ავუარეთ გვერდი მთელ რიგ მეორეხარისხოვან ლიტერატურას. რადგან ვფიქრობთ რომ ეს სტატია ჯერჯერობით მხოლოდ საკითხის დასმაა, და მომავალში თითოეული პერიოდი სიღრმისეულ კვლევებს საჭიროებს.

წინასწარ შეგუებულნი ვართ იმ აზრს რომ მასში უამრავი ხარვეზი და შეცდომა იქნება დაშვებული, რთულია კონკრეტული სამხედრო-ისტორიული ტერმინების ჩამოყალიბება და დაუსტება და არც ჩვენს მოკრძალებულ სტატიას ააქვს საკითხის გადაჭრის ამბიცია, მაგრამ თუნდაც იმიტომ უნდა ვცადოთ ამურთულეს საკითხთან შეჭიდება, რათა გათვალისწინებულ იქნას ყველა შენიშვნა, რომ მომავალ კვლევებში უფრო ნაკლები შეცდომა იქნეს დაშვებული და საბოლოოდ შევქმნათ **საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის** სრული და გამართული სისტემა, რომელიც გახდება ერთ-ერთი საძირკველი, ცალკე გამოყოფილი საისტორიო დისციპლინის-**საქართველოს სამხედრო ისტორიის.**

Giorgi Beridze

About Periodization of Military History of Georgia

Summary

As mentioned frequently, history of Georgia is history of wars. Practically, the Georgian people's centuries-old history does not include any generation, who has not witnessed the troubles of war.

Although ordinary Georgians did not care much whether they were fighting against the Arabs in the 7th century or Russians in the 21st century, however, the tactics and military systems, combat methods and technical means,weapons and fortifications, military trends and geopolitical situation have been permanently changing. Therefore, it can be said that the military history actually constitutes a separate discipline.

An attempt to discuss the issue of periodization of military history of Georgia is a goal of our paper.

We think that military history of Georgia can be divided into the following periods:

1. prehistoric period, military knowledge of tribes living on the territory of Georgia since very ancient times up to the 2nd millennium B.C.
2. period of Protofeudal states, 2nd millennium B.C.-4th century B.C.
3. the 1st period, era of establishment of the national strategy – 4th-3rd centuries B.C.- 5th century A.D.
4. the 2nd period, military history of Early Medieval period – 5th -10th centuries
5. the 3rd period, era of the united military monarchy – 10th -15th centuries
6. the 4th period, era of survival – 15th -18th centuries
7. the 5th period, Georgia within the Russian Empire – 1801-1917
8. the 6th period, the first democratic republic of Georgia – 1918-1921
9. the 7th period, communist era and the Georgians – 1921-1990
10. military history of independent Georgia – from 1990 to nowadays.

In our article we have tried to create approximate picture of the periodization of military history of Georgia. Establishment of strict periodization of military history of Georgia will become a ground for a separate historical discipline – military history of Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

საერთაშორისო პრეზენტაცია

თედო დუნდუა

სამონეტო საქმე კოლხეთსა და იბერიაში (ზოგადი მიმოხილვა – ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის პრეზენტაცია)[1]

ქართული ნუმიზმატიკა, როგორც სამონეტო საქმე საქართველოში, ძვ. წ. VI ს-დან იღებს სათავეს, ხოლო ქართული ნუმიზმატიკა, როგორც მეცნიერება სამონეტო საქმის შესახებ – XIX ს-ის შუა ხანებიდან. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა როგორც ცალკეული სამონეტო ჯგუფების გამოვლენის კუთხით, ასევე – ძირითადი ნუმიზმატიკური ნარატივის გამართვის ასპექტით. ნუმიზმატიკური კატალოგი კი, პრაქტიკულად, არ არსებობდა.

ამ ხარვეზის შევსებას ვცდილობთ 2013 წლიდან, როდესაც მუშაობა დაიწყო „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართულ ონლაინ-კატალოგზე". პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ არის დაფინანსებული.

ჯერჯერობით მზად არის კატალოგის მხოლოდ I და II ნაწილები (https://geonumismatics.tsu.ge). სწორედ მათ წარმოგიდგენთ, ძვ. წ. VI-ახ. წ. III სს-ში საქართველოში (კოლხეთსა და იბერიაში) მოჭრილი მონეტების ფონზე. ბევრი ტიპი აუდიტორიისათვის ცნობილია, ზოგი – ახალია ტრადიციული სქემისთვის.

ნუმიზმატიკურ მიმოხილვას ვიწყებთ კოლხური თეორით. ეს სამონეტო ჯგუფი რვა ტიპისგან შედგება.

---

[1] ეს არის ქართული ვერსია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაზე (ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები, 23-27 სექტემბერი, 2014 წელი, თბილისი) წაკითხული მოხსენებისა – Coin Issues in Colchis and Iberia (General Survey – Presentation of Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics).

I ტიპის, ე.წ. ტეტრადრაქმის (ლომის თავი/Rv. პეგასი. ტაბ. I №1), სამივე ეგზემპლარი უპასპორტოა. ერთი მათგანი საქართველოშია დაცული. quadratum incusum-ი ტიპის არქაულობაზე მეტყველებს. ლომის თავის გამოსახულება კი სტილისტურად მსგავსია კოლხური თეთრის II ტიპზე, ანუ I ტიპის დიდრაქმაზე, გამოსახული ჰერმაფროდიტი ლომის თავის გამოსახულებისა (ტაბ. I №2). I ტიპის დიდრაქმის 9 ეგზემპლარიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა (ისტ. კოლხეთი) ნაპოვნი, რაც მის კოლხურ წარმომავლობაზე მეტყველებს. ზურგის მხარის გამოსახულება, ხარისთავიანი დაჩოქილი ქალღმერთი, უნიკალურია. ამ ქალღმერთის ფუნქციურმა დაშლამ კი მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (ქალის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში. ტაბ. I №3) და III ტიპის დიდრაქმა (ქალის არქაისტული თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში). მათი ნაწილი დასავლეთ საქართველოშია ნაპოვნი.

კვლავაც ლომის და ხარის თავებია ე.წ. დრაქმაზე, ქუთაისის მუზეუმის უნიკალურ უპასპორტო ცალზე (ტაბ. II №4). სტილისტურად ე.წ. ტეტრადრაქმის მსგავსი ლომის თავია I ტიპის ჰემიდრაქმაზე (ტაბ. II №5). მის ზურგზე ძუ ლომის პროტომაა გამოსახული. I ტიპის ჰემიდრაქმები მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი.

II ტიპის ჰემიდრაქმები ათასობითაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში (ტაბ. II №6). ქალის არქაისტული თავის გამოსახულება მსგავსია II და III ტიპის დიდრაქმებზე მოთავსებული ქალის თავის გამოსახულებისა. ე.ი. ტიპები ერთმანეთს ებმის. ზურგის მხარეზე ტრადიციული ხარის თავია.

ფულს აშკარად კოლხეთში ჭრიდნენ; აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ტიპოლოგიური ნიუანსები, ტიპების ერთმანეთზე გადაბმა ამაზე მეტყველებს. მაგრამ ვინ ჭრიდა კოლხურ თეთრს, კოლხი ბასილევსი თუ ელინური პოლისი, ვთქვათ, ფაზისი. უფრო, ალბათ, ფაზისი და ჰემიდრაქმების მცირე ნაწილზე მოთავსებული ბერძნული ასოებიც ქალაქის მაგისტრატის ინიციალები უნდა იყოს.

ქალის არქაისტული თავის და წეროს გამოსახულება ამშვენებს უკნინეს ნომინალს – ჰემიტეტარტემორიონს; სამივე ცალი დასავლეთ საქართველოშია ნაპოვნი (ტაბ. II №7).

სამონეტო ჯგუფის ზოგადი ქრონოლოგია ძვ. წ. VI-III სს-ით განისაზღვრება. ამაზე მეტყველებს ტიპოლოგიურ-სტილისტური და ტექნოლოგიური პარალელები, სამარხეული კომპლექსები, ზოგადი კონიუნქტურის

გათვალისწინება და აშ.

კიზიკური სტატერები, ათენური ტეტრადრაქმები და სინოპური დრაქმები, კოლხური თეთრის პარალელურად, ძირითადად, ზღვისპირეთში მიმოიქცეოდა. მათ ცვლის ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები, რომელთაც ქართველები ბაძავენ ძვ. წ. II-ახ. წ. I სს.

ძვ. წ. II ს. დასაწყისით თარიღდება მიბაძვის I სტადია, სხვა წყაროებით უცნობი ბასილევსის, აკას, სტატერი (ტაბ. III №8). მისი პროტოტიპია ლისიმაქეს სიკვდილის შემდგომ მისი სახელით ქალაქ ბიზანტიონში მოჭრილი ოქროს მონეტა, დიფერენტით – სამთითა. შუბლი: ალექსანდრეს პროფილი ამონის რქით; ზურგი: ათენა პალასი. წარწერა – ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ. მონეტა სულ ორ ცალადაა ცნობილი. აღმოჩენათა ტოპოგრაფია მათ კოლხურ წარმომავლობაზე მეტყველებს. ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები თანდათან შორდება ორიგინალებს. ამ ინფლაციურ ფულს, ალბათ, კოლხი სკეპტუხები ჭრიდნენ.

ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები (ალექსანდრე/Rv. ათენა პალასი. ტაბ. III №9).

ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები (ათენა/Rv. ნიკე, ხშირად ვერძის ან ხარის თავით. ტაბ. III №10).

ელინისტური ხანის კოლხეთში სხვა მონეტებიც იჭრებოდა. ვერცხლის, ბილონის და სპილენძის რვა მონეტას ერთ ჯგუფად აერთიანებს შუბლის მხარის გამოსახულება – მამაკაცის თავი სხივანა გვირგვინში, და საერთო წარწერა: ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ... ან ΣΑΥΜ... არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არ არის დაწერილი. მეოთხე ასოს სპეციალისტთა ნაწილი Λ-დ კითხულობს. მათთვის წარწერა იშიფრება, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ(ΑΚΟΥ) – მეფე სავლაკისა; ასეთი სახელი კოლხთა სამეფო ონომასტიკონში ფიგურირებს. ზოგი სპეციალისტი კი წარწერას კითხულობს, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΜ(ΑΚΟΥ). სავმაკი კი ბოსფორის სამეფოს სკვითი მეფე იყო. ზურგის მხარეზე ერთმანეთს ცვლის ხარის თავის გამოსახულება, ვარდი, ფრთოსანი ელვა. ვარდის გამოსახულება, აღებული როდოსის ნუმიზმატიკიდან, სამივე სამონეტო ტიპს ძვ. წ. II-I სს. ათარიღებს (ტაბ. IV №№11, 12, 13).

სავმაკი მითრიდატე VI ევპატორის სარდლებმა დაამარცხეს. ბოსფორი პონტოს პოლიტიკური სისტემის ნაწილი გახდა, ისევე როგორც, ცოტა მოგვიანებით – კოლხეთი. ელინურ-კოლხური ქალაქი დიოსკურია ელევ-

თერიას იღებს და ჭრის სპილენძის საქალაქო მონეტებს, ე.წ. დიოსკურიადებს (ორი ფრიგიული ქუდი/Rv. კვერთხი, ΔΙΟΣΚΟΥΡΙΑΔΟΣ. ტაბ. IV №14). პონტოური პარალელების მიხედვით, ეს ფულები ძვ. წ. 105-90 წწ-ში იჭრებოდა.

ძვ. წ. 85 წ. კოლხეთმა პოლიტიკური სტატუსი იცვალა. მისი მეფე გახდა მითრიდატე უმცროსი, ევპატორის ძე. მანაც ქალაქ სურიონში/ვანი, ქვეყნის ჰინტერლანდში, მოჭრა სპილენძის მონეტები ლოტოსის ყვავილის და რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით (ტაბ. V №15). ეს მონეტები სწორედ იქ არის აღმოჩენილი.

ბოლოს კოლხეთში რომაელებიც გამოჩნდნენ. გნეუს პომპეუსმა ქვეყნის მმართველად არისტარქე კოლხი დანიშნა. ამ უკანასკნელმა კი თავისი კეთილისმყოფელი მონეტაზე გამოსახა ჰელიოსის ატრიბუტით (ტაბ. V №16). აღნიშნული ფულის ზურგის მხარეზე ტიხეა და ბერძნული ლეგენდა – ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ/ΒΙ (12). ე.ი. მმართველობის მე-12 წელი=ძვ. წ. 52/51 წწ. გნეუს პომპეუსი მონეტაზე გამოსახული პირველი ცოცხალი რომაელია. აქამდე ასეთად კეისარი მიიჩნეოდა.

სინქრონული იმპორტული მონეტებია, მაგ. პონტოური ვერცხლი და სპილენძი, რომაული რესპუბლიკური დენარები და სხვ.

საკუთრივ პონტოში უამრავი კოლხურ/ლაზური კლანი სახლობდა. რომაულ ხანაში მათ დაიწყეს ბარში ჩამოსახლება. II-III სს-ში ტრაპეზუნტის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ისინი შეადგენდნენ. ქალაქის მმართველობაც, ძირითადად, მათგან კომპლექტდებოდა. არც ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაება იყო ელინური წარმოშობის. ადგილობრივები თაყვანს სცემდნენ მითრას და სწორედ მას გამოსახავდნენ ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებზე (იმპერატორი/Rv. მითრა). ტრაპეზუნტის საქალაქო ემისიის ბოლო ეტაპზე მითრა მხედარია, სიცოცხლის ხის, ცეცხლის საკურთხევლის, კოლონის და თანამგზავრების ფონზე (ტაბ. V №17). სწორედ ამ მონეტებით, როგორც ჯიბის ფულით, მარაგდებოდა პიტიუნტ/ბიჭვინთის და დიოსკურია/სებასტოპოლისის რომაული გარნიზონები ახ. წ. II-III სს-ში. ჰინტერლანდში, კოლხთა სამეფოს ადგილზე აღმოცენებულ ლაზთა სამეფოში მიმოიქცეოდა კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი საიმპერიო ვერცხლი და სირიის ზარაფხანების დენარები.

მოდით, ვნახოთ, რა ხდებოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ანუ ქართლის/იბერიის სამეფოში.

იბერიის სამონეტო ემისიებს იწყებს ვინმე ბაგადატი (ბაგრატი), ბიურატის (ბივრატის) ძე. ადრე მის ფულებს პერსიდის ნუმიზმატიკის საკუთრებად მიიჩნევდნენ. არადა, ასეთი სპარსელი მმართველი არსად იხსენიება; სამაგიეროდ, მსგავსი პიროვნება ისტ. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში ფიქსირდება. თანაც, ბაგადატის მონეტების ორი ტიპიდან ერთის ზურგის გამოსახულება საერთოდ ამოვარდნილია პერსიდის ნუმიზმატიკიდან.

ბაგადატი, I ტიპი (ბაგადატის თავის გამოსახულება/Rv. ტახტზე მჯდომი ბაგადატი. ტაბ. VI №18).

ბაგადატი, II ტიპი (ბაგადატის თავის გამოსახულება/Rv. მლოცველი ბაგადატი ცეცხლის ტაძრის წინ. ტაბ. VI №19).

არამეული წარწერა ასე ითარგმნება: ბაგადატ ბიურატის ძე, ღვთაებრივი მამასახლისი.

ფაქტურული და ტიპოლოგიური პარალელების მიხედვით, მონეტები ძვ. წ. III ს-ის II ნახევრით თარიღდება.

ელინისტური ხანის იმპორტული მონეტებიდან სჭარბობს პართული დრაქმები და რესპუბლიკური დენარები. ეს ყველაფერი ჩაანაცვლა ავგუსტეს დენარებმა (ტიპი – გაიუს და ლუციუს კეისრები) და რომაულმა აურეუსებმა. III ს-ის II ნახევარში იბერები მათ მინაბაძებს ჭრიან (ტაბ. VI №№20, 21).

აი, ასეთია ეს კატალოგი და მცირე ნუმიზმატიკური ექსკურსი.

ტაბ. I

1.



2.

3.

ტაბ. II

4.



5.

6.

7.

ტაბ. III

8.

9.

10.

ტაბ. IV



11.

12.

13.

14.

ტაბ. V

15.

16.

17.

ტაბ. VI

18.

19.

20.

21.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

Emil Avdaliani

Nobels' Activities in Georgia*

In the 19th century Georgia the development of economic relations, based on the principles of capitalism, brought many foreign entrepreneurs and investor companies to the country. The following story is a perfect example of this process and concerns such giants of the financial world as Nobels, Rotschilds (mightiest financial family in Europe) and Rockfellers (founders of the biggest American oil company "Standard Oil") families. Quite often the competition was unfair and breaching of laws usually brought about long court litigations hindering business development in Georgia. Agreements were being made between Nobels and Rotschilds, Rockfellers and Rotschilds, and sometimes even between Nobels and Rockfellers. Everything was being done to destroy the third party. The battle of these three families has gone down into history as the so called "Thirty Years War".[1] Yet, the most important thing is that the cause of everything was the Transcaucasian railway and the oil.

Nobels: Creation of the Business Empire

Nobels started their business in Russia in the 1840s, which, however, turned out to be financially unsuccessful. With Emanuel Nobel leaving Petersburg, his sons Ludwig and Robert decided to remain (Alfred returned to Europe to work on nitroglycerin). The two brothers opened in the Russian capital a military factory meeting the tsars' orders by producing cannon shells, barrels and rifles. The industry was entirely dependent on foreign raw material and in order to find new resources and make the production cheaper Robert travelled in 1873 to the South Caucasus.[2]

---

* This paper was presented at Nobel Brothers' 2nd International Research-Innovative Conference held in Stockholm, Sweden on September 13-14, 2013

[1] R. W. Wolf. The Russian Rockfellers. 1976, pp. 84-96.

[2] D. Yergin. The Prize: the Epic Quest for Oil, Money and Power. 2003, p. 51.

The Georgian National Archives have a number of interesting documents concerning the Nobels and their activities in Georgia. One of them attests to how in March 1873 Robert addressed the local authorities in Tiflis (Tbilisi) persuading them what benefits the newly invented dynamite would have brought at constructing railroads, clearing rocky regions, or while using it underwater. Supporting his case by appealing to the Caucasus' rocky landscape and wide use of dynamite across the world, Robert was asking for the permission to import 500 pounds of dynamite to the Caucasus on a tax-free basis. Although Robert was the first of the Nobels visiting the Caucasus, it was not him, but Ludwig who eventually had become the founder of the Russian oil industry. In 1875 he bought in Baku a kerosene plant and oil-rich territories for 8000 rubles from the "Tiflis Society". In May 1878 by the special imperial degree of Alexander II the Petroleum Production Company Nobel Brothers, Limited, was formed, known as the Branobel, with an initial capital fund of 3 million rubles.[3]

During the 1880s Nobels transported oil and kerosene from Baku to Europe either via the small Georgian city of Poti or through the Baltic Sea ports. Using these routes involved huge financial costs and therefore oil industrialists had to find a new much cheaper way. Batum (nowadays Batumi) was considered the best option. However, until the city was in Turkish hands, the route could not be used. The situation changed dramatically after the Russo-Turkish war of 1877-1878 with Batum reintegrated to Georgia thus creating favorable conditions for oil export through the city.

The completion of the Batum-Samtredia railway connected Batumi directly to Tiflis considerably increasing the city's industrial and export growth prospects. The Berlin Peace Congress of 1878 also contributed to this process by declaring Batum as a "porto franco" – "free port". Nobels', Rotschilds', German or English investments flowed into the city. (It is also worth noting that Baku's cheap kerosene made it eventually unprofitable to produce it in Georgia and, as evidence suggests, by 1902 this industry entirely disappears in the country).

"Thirty Years War"

In the 1870s Russian industrialists Bunge and Palashkovsky began constructing the Baku-Astrakhan-Volga railway. Since the project was financially highly burdensome and the work was going quite slowly, Bunge and

[3] R. W. Wolf. The Russian Rockfellers, pp. 74-84.

Palashkovsky contacted the French branch of the Rotschild family. The latter being involved in railway business for decades (constructions of first railways in Europe were related to Rotschilds' names) not surprisingly responded positively. Sensing what could have brought these new sources of kerosene and oil it was in Rotschilds' immediate interest to connect Baku to Batum and use the latter as an extensive export route.

The Nobels too agreed to the idea. Ludwig was writing from Baku to his brothers Alfred and Robert in Petersburg: "From all the routes available for oil transportation from Baku I recommend, to choose the one through Georgia, because of friendship and mutual loyalty existing between Georgians and Azeris for centuries. For us, foreigners, this factor is of considerable importance. Since all other routes involve much more danger, and because there are no such favorable conditions elsewhere except for both Baku and Tbilisi, I'm sure that we should choose exactly this route." Finally, Ludwig triumphed. It was agreed to export hydrocarbons to Europe according to his plan - by Baku-Tiflis-Batum railway for the completion of which the necessary 10 million U.S. dollars were provided by Rothschilds. They also distributed small credits for the creation of oil refineries in Batum.

Nobels were well aware they would not be able to cope with Europe's biggest financial power. Rotschilds' interests were primarily in banking and investments, and less so in overall management. With Nobels being against such speculations, the clash of two business ideologies was inevitable. The situation came to a head in 1881, when after the assassination of the Russian emperor Alexander II, an imperial decree was issued prohibiting the Jews from buying or renting any land in Russia. However, the law did not hinder the Rotschilds from carrying on with their plans and in 1883 the Baku-Tiflis railway was opened. Rotschilds also established "*Societé Commerciale et Industrielle de Naphte Caspienne et de la Mer Noire*", more known by its Russian abbreviation – БНИТО (BNITO) for more effective competition with Nobels.[4]

With "BNITO"'s successes and its establishment as a number two on the Russian oil market, Batum was transformed into a veritable business centre. British ships converted into tankers transported kerosene and oil to Fiume and Marseille. Rotschilds also owned the biggest factory in Batum producing cases for oil and kerosene transportation. Their business activities were partly hin-

[4] http://www.branobelhistory.com/themes/oil-production/the-war-over-the-oil-market/.

dered by the imperial revocation of Batum's "porto franco" status in 1886. The city once again had become a military port.

Nobels avoided engaging into a life-or-death war with Rotschilds. Alfred (living at the time in Paris) was well aware that his brothers could end up on a loser's side. By his initiative and support a conference was convened in May 1884, in Paris, where two families agreed to cooperate on vital business issues. It was in Rotschilds' direct interests to ship kerosene into Europe which for decades was a monopoly of Rockfellers' "Standard Oil". It coincided with Nobels' interests too. Therefore, their support for the enterprise was guaranteed. Ludwig also proposed to sell a part of the Branobel company shares to Rotschilds in order to buy with the received money "Batumi's Oil" and "Trade Company" from the Russian oil industrialists Bunge and Palashkovsky for 1,5 million rubles. Ludwig also intended to build a new factory for the production of oil and kerosene transportation cases and a pipeline through the Surami Pass. Although the Nobels were quite confident in the success of the proposition, Rotschilds refused. The ever ubiquitous Rockfellers sensing disagreements between their two main rivals entered the scene with the goal to further widen the gap existing between them by negotiating on the one hand with the Nobels and maintaining close contacts with the Rotschilds on the other.[5]

To effectively protect his company Ludwig signed new contracts and reinforced his positions in the Black Sea trade by bringing in a 286-feet-long tanker "Свет" (The Light) meant to ship 17000 tons of kerosene to England. It was a huge blow to the Rockfellers' "Standard Oil's" positions. The company, which controlled America's 90% of oil and kerosene export considered England's market as its monopoly. Nobels' product eventually took on 30% of England's oil market. The progress was stunning considering the fact that several years before the percentage was only 4%.[6]

It was also quite apparent for the Nobels that in order to successfully compete with such giant oil companies it was absolutely important to increase oil production output. Initially additional transport cars were used and several new refineries were built in Batumi, but it still could not provide the necessary output level. That is how the idea of constructing a pipeline came to a limelight.

[5] R. W. Wolf. The Russian Rockfellers, pp. 109-122; K. Fant. Alfred Nobel. 2012, pp. 150-182.

[6] R. W. Wolf. The Russian Rockfellers, pp. 109-122; K. Fant. Alfred Nobel. 2012, pp. 150-182.

The Surami Pass constituted the main hindrance for the pipeline. In 1883 Ludwig, during the works on Baku-Tiflis railway, proposed to the local authorities to build a pipeline. The authorities refused him the concession. The reason: the tsarist government feared the increased oil output and effective competition with the Rockfellers would make the Nobels to put a higher price on still very cheap Baku oil. Ludwig founded in Baku the first syndicate and demanded transporting the oil through the four-kilometer-wide Surami Pass. The Russian chemist Mendeleev too was an ardent proponent of the project. Eventually, the construction began but was only completed by 1903, constituting 835-kilometer-long pipeline with 19 pumping stations. The construction was largely done by handwork. Pipelines were connected with threaded clutches and anti-corrosive isolation was used for better protection. Along the main pipeline a telephone connection was also established. Across the river Kura (Mtkvari) the pipeline was suspended on one of the railways' bridges. Having the overall capacity of up to 900 000 tons of hydrocarbons per year the construction of the pipeline consumed 400 tons of Alfred's dynamite with the overall cost of the project reaching 12 million rubles.[7]

Nobels built a large oil terminal in Batumi. Some of the tanks created by them are still visible today after nearly 120 years. With many residential houses built by them for the managerial staff, the main building served also as a headquarters of the consulate of the United Kingdom of Sweden and Norway in the Caucasus. One document dated to June 5 1897, held in the National Archives of Georgia, attests to the approval by the local authorities of Gustav August Hager's appointment as a vice-consul of Sweden-Norway. Located on Leselidze Street in Batumi, the consulate was transformed in 2007 into the Nobel Brothers Batumi Technological Museum. Another interesting historical document is about the resolution of Nobel Oil Society to open a third-grade private school in the „Black Town" (Baku) from 1886, as well as about the establishment of five scholarships in the name of Ludwig Nobel at the Baku Real School from 1890 onwards. Nobels continued their activities and were constantly on business trips to Georgia till the end of the Tsarist rule in 1917.

The Batum Phenomenon

By 1899, 366 small factories were located in Batum. Their owners were Greeks, Turks, Persians, Poles, English, Germans, French and Italians. By

[7] R. W. Wolf. The Russian Rockfellers, pp. 109-122.

1902, 285 either kerosene or oil full ships (constituting 57 573 000 pounds) aimed for export left Batum. By 1908 the port was the third largest in the Russian Empire after Petersburg and Odessa with the overall turnover reaching 42,9 million pounds.

By 1901 there were accredited consulates of England, Turkey, Greece, Italy, Japan and Persia. Its official representation had the United States, Belgium, Germany, Netherlands, Austria-Hungary and Sweden-Norway.

By 1902, 24 foreign shipping societies operated in Batum. Their absolute majority was of English, German or French provenance. But there were also the ones like "Anonymous Society of Belgium", or Rotterdam located America's kerosene shipping society.

By 1910 Batum's export capacity was considerably restricted. In 1903 in Texas, US, new oil fields were discovered which enabled the United States to overtake Russia in oil production by 1907. Another important factor was the discovery of oil fields in 1903 in India, Burma and Assam (province in the north-eastern India).[8]

[8] I. Nemsitveridze. Foreign Capital in the XIX Century Georgia (In Georgian). Tbilisi, 2001, pp. 124-152.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

რეცენზია

მიხეილ ბახტაძე, როლანდ თოფჩიშვილი,
ბონდო კუპატაძე, დიმიტრი შველიძე

საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემებში

2015 წელს მეზობელ აზერბაიჯანში აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ორი წიგნი გამოიცა. პირველი მათგანის სათაურია „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩის მქსოველები“, რომლის ავტორიც გახლავთ *ვიდადი მამედოვი*, მეორე – „აზერბაიჯანის ნაციონალური ატლასი“. მეხალიჩეობის შესახებ მიძღვნილი გამოკვლევის პირველი თავი ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ისტორიას ეძღვნება, რომელიც დაწერილია *კარემ მამედოვის* მიერ. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს მონაკვეთი უაღრესად ტენდენციურია და დამახინჯებულად წარმოაჩენს საქართველოს ისტორიის მრავალ ეპიზოდს. განსაკუთრებულად ეს ეხება ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხს.

თვალშისაცემია, რომ თითქოს ყაზახ-ბორჩალოს რეგიონი „მთელი ისტორიის“ განმავლობაში, უძველესი დროიდან დღემდე, „წარმოადგენდა აზერბაიჯანული კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს“ და, თითქოს, მას არაფერი აკავშირებდა საქართველოსთან. რიგ შემთხვევებში ტექსტის პასაჟები არ გამოირჩევა კეთილგანწყობით მეზობელი ერის ისტორიისადმი და არაჯანსაღი განწყობის საფუძველს ქმნის ორი მოძმე ხალხის ურთიერთობაში. ამ მონაკვეთში ტენდენციურად, მცდარად და დამახინჯებითაა წარმოჩენილი არა მხოლოდ ზემოთ დასახელებული რეგიონის, არამედ, ზოგადად, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებიც.

განსახილველ წიგნში იმდენი არამეცნიერული რამაა, რომ სერიოზული მეცნიერისათვის ყველაფერზე კომენტარის გაკეთება არც შეიძლება და ყველა იმ შეცდომისა და უზუსტობის ჩამოთვლა და მათზე პასუხის გაცემა, რაც ამ სტატიაშია მოცემული, უაზრობად გვეჩვენება. განვიხილავთ მხოლოდ

რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს: I. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რეგიონის სახელწოდებები «Борчалы» და «Казах» არსებობდა მინიმუმ VII-VIII საუკუნეებიდან. რას ეყრდნობა ავტორი? ერთ-ერთ წყაროდ იყენებს სომეხ ისტორიკოს *მოვსეს კალანკატუაცთან* (რომელსაც ის ალბანელ ისტორიკოსს უწოდებს) დაცულ ცნობას, რომ II-IV საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში ილაშქრა ბარსილთა თურქულმა ტომმა (სხვათაშორის, არ უთითებს ადგილს, სადაც ეს ცნობაა დაცული). ეს კი თურმე იმაზე მიუთითებს, რომ «Борчалы» გამოიყენება როგორც ტოპონიმად, ასევე ეთნონიმად. კი მაგრამ, რა შუაშია *ბარსილი* და *ბორჩალო*? ამ კითხვაზე პასუხი არ არის. განა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება (თუკი საერთოდ არის ეს მსგავსება) საკმარისია? მსგავსი ვითარებაა არაბ ისტორიკოს *იაკუტ ალ-ჰამავისთან* დაცულ ტოპონიმ – „ბერშალია"-სთან დაკავშირებითაც (არც აქ უთითებს ადგილს, სადაც ეს ცნობაა დაცული). მხოლოდ ავტორის პირადი სურვილით თუ აიხსნება „ბერშალიას" დაკავშირება „ბორჩალოსთან", სხვა საფუძველი ასეთი მტკიცებისა არ არსებობს. სასაცილოა, როდესაც ქვემო ქართლში მცხოვრებ ბორჩალოს ტომის თურქულენოვან მოსახლეობას ადრე შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მომთაბარე ბარსილების შთამომავლებად აცხადებს ავტორი. საამისო დასკვნისათვის არავითარი საისტორიო წყარო არ არსებობს.

ქართველი მეფეების მიერ მონეტებზე შესრულებული მუსლიმური წარწერები (ეს წარწერები არაბულია, რასაც შეგნებულად მალავს ავტორი) თურმე იმის დამადასტურებელი ყოფილა, რომ ბორჩალოს ტერიტორიაზე და საერთოდ საქართველოში, დიდი რაოდენობით იყო თურქული მოსახლეობა. არაა ეს ასე! ამას იმიტომ აკეთებდნენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები, რომ ქართული მონეტები საერთაშორისო მიმოქცევაში ყოფილიყო ჩართული.

ოდითგანვე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (და, მათ შორის, ბორჩალოში) საფლავის ქვების ცხვრის ქანდაკებებიც თურმე აქ თურქულენოვანი მოსახლეობის ფართოდ განსახლების დამადასტურებელი ყოფილა. ასეთ პრაქტიკას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, მათ შორის, სომხეთსა და საქართველოში, მისდევდნენ და ის მხოლოდ ერთი ეთნოსის კულტურული საკუთრება არ ყოფილა.

ავტორი აქვე „სხვათაშორის" იმასაც ახსენებს, რომ მეფე *ვახტნგის* ზედწოდება *„გორგასალი"*, ეთნიკურ წარმომავლობას უკავშირდება. ამავე

დროს მართებულად შენიშნავს, რომ მეფეს მუზარადზე გამოსახული ჰქონდა ლომიც და მგელიც. ქართლის მეფეს ზედწოდება *გორგასალი* სწორედ იმიტომ შეერქვა, რომ მუზარადზე მგელი ჰქონდა გამოსახული და ეთნიკური წარმომავლობა არაფერ შუაშია. აქვე კიდევ შეგნებულად ერთი შეცდომაა დაშვებული – *ვახტანგ გორგასლის* მამა მოხსენიებულია სასანიან მარზპანად. სინამდვილეში ის ქართლის მეფე იყო.

სახელწოდება ბორჩალოსთან დაკავშირებული რეალური ვითარება შემდეგნაირია: ქვემო ქართლის ერთ ნაწილს, მდ. დებედას ქვემო დინების აუზს *ბორჩალო* მას შემდეგ ეწოდა, რაც 1604 წელს ირანის შაჰის აბას I-ის მიერ ქართლის მეფისათვის მდ. დებედას ხეობაში ჩამორთმეულ ტერიტორიაზე მისივე ბრძანებით ჩამოსახლდა ბორჩალუს თურქმანული ტომი (ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ოდეს მიუხუნა შააბაზ პე მეფეს გიორგის, მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“.[1] ამის გამო ეწოდა ქვემო ქართლის ერთ მონაკვეთს ბორჩალო, სადაც აღნიშნული ტომი დასახლდა. რაც მთავარია, XVII საუკუნემდე არც ერთი ქართული თუ უცხოური წყარო არ ადასტურებს ამ რეგიონის სახელწოდებად ბორჩალოს. რაც შეეხება ქართულ საისტორიო დოკუმენტებს, ტერიტორიული ერთეული – ბორჩალო – პირველად 1693 წლის დოკუმენტშია მოხსენიებული.[2] ბორჩალოს რეგიონი ხშირად ქართველი უფლისწულების საგამგეოს წარმოადგენდა, მაგალითად, 1768 საბუთით ბორჩალოს ბატონი ბატონიშვილი გიორგი ყოფილა.[3]

ახლა *ყაზახის* შესახებ. ყაზახი, *იოანე ბაგრატიონის* სიტყვით, „მოებმის ბორჩალოს“ და მისი მოსახლეობაც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე სომხებისა და თათრებისაგან შედგებოდა. ისევე როგორც ბორჩალო, ყაზახიც ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. საამისოდ არაერთი დოკუმენტი გაგვაჩნია[4] და სათანადო სამეცნიერო გამოკვლევებიც.[5] აზერბაიჯანე-

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება ტ. IV. თბ. 1973, გვ. 307. იხ. აგრეთვე: ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. I. თბ. 1997, გვ. 464; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ. 1973, გვ. 226.

[2] საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი). ტ. I. შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი. რედ. დ. მუსხელიშვილი. თბ. 2010, გვ. 150.

[3] საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში. ტ. I, გვ. 150.

[4] საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტო-

ლი ავტორი მას ეთნონიმ «Каск»-ს უკავშირებს. ამ დაკავშირებას არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ამ რეგიონში VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბმა სარდალმა *მარვან იბნ-მუჰამედმა (მურვან ყრუმ)* დააარსა ქალაქი *კასალი/ქასალი.* თურქმანული ელემენტის ჩამოსახლება კი ამ რეგიონში XV საუკუნის II ნახევარში დაიწყო.[6] ფრანგი *ტურნეფორი* ყაზახში მცხოვრებ თურქმანებს კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაპირებიდან მოსულებად მიიჩნევდა.

II. ავტორი წერს, რომ კავკასიაში პირველი მუსლიმურ-თურქული სახელმწიფოები: *თბილისის საამირო* (730-1122) და *დმანისის საამირო* (843-1122) ყაზახ-ბორჩალოს რეგიონში წარმოიქმნენ. თბილისის საამირო შეიქმნა VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა მიერ და რა შუაში არიან თურქები, ჩვენთვის გაურკვეველია. აქაც მიზანმიმართულ ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისი არასდროს მდებარეობდა ყაზახ-ბორჩალოში. დმანისი მდებარობდა და დღესაც მდებარეობს ისტორიულ ქვემო ქართლში. იმ პერიოდში, რომელზეც ავტორი საუბრობს, არ არსებობდა ტოპონიმი ყაზახ-ბორჩალო – როგორც ერთი, ისე მეორე ტოპონიმი გვიანი შუა საუკუნეების პროდუქტს წარმოადგენს. დმანისი ქართული ტოპონიმია და ქართულ წყაროებსა და საბუთებში არაერთხელაა მოხსენიებული. აქვე იჯდა დმანელი ეპისკოპოსი.

დმანისში ნამდვილად იჯდა არაბი ამირა, მაგრამ ის მხოლოდ ქალაქს განაგებდა. პოლიტიკური ერთეული – დმანისის საამირო – არ არსებობდა. ქალაქში ამირას ყოფნა არ გულისხმობს აუცილებლად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის არსებობას. ამირა დმანისში XIII საუკუნეშიც იჯდა. ეს იყო ქართველი მოხელე *იობ მიხრიკის ძე.*[7] განა ეს ფაქტი შეიძლება გამოვიყენოთ იმის სამტკიცებლად, რომ XIII საუკუნეში დმანისი ცალკე არსებული პოლიტიკური ერთეული იყო? რა თქმა უნდა, არა. IX-XI საუკუნეებში დმანისი თბილისის საამიროს შემადგენლობაში შედიოდა. მხოლოდ მცირე ხნით, X საუკუნის ბოლოს, ის ლორე-ტაშირის მეფე დავითმა დაიკავა. ასე

პონიმების კორპუსი). ტ. II. შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი. რედ. დ. მუსხელიშვილი. თბ. 2010, გვ. 311-313.

[5] ალ. ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.), თბ., 2015, გვ. 102-122.

[6] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 10 1986, გვ. 615.

[7] ენციკლოპედია საქართველო. ტ. II. თბ. 2012, გვ. 459.

რომ, დამოუკიდებელი დმანისის საამირო არ არსებობდა.[8]

აქვე ვხვდებით ჩვენთვის სრულიად გაუგებარ ფრაზას – *„მმართველები ბაგრატიდების დინასტიიდან“* თვით თბილისის დროებით დაკავების შემდეგაც კი საკუთარ მონეტაზე ტვიფრავდნენ სიტყვას „ალაჰი, მუჰამედი“ – ამ ერთ წინადადებაში რამდენიმე შეცდომა და არასწორი ინტერპრეტაციაა. პირველი – ბაგრატიონები და არა ბაგრატიდები; მეორე – მეფეები და არა მმართველები; მესამე – თბილისი დროებით კი არ დაიკავეს (თანაც გაუგებარია ეს დროებით რა პერიოდს გულისხმობს) ბაგრატიონებმა, არამედ დროებით დაკარგული თბილისი გაათავისუფლეს/დაიბრუნეს. იმის მტკიცება, რომ თბილისი ქართველმა მეფემ დააარსა და საუკუნეების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი იყო, უაზრობად მიგვაჩნია; მეოთხე – ქართველ მეფეთა მონეტებზე, მათ შორის, დავით აღმაშენებლისაზეც, არის არაბული წარწერა ალაჰისა და მუჰამედის მოხსენიებით. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს საგანგებოდაა გაკეთებული ეკონომიკური მოსაზრებით. ქართველი მონარქის მიერ მოჭრილი მონეტა აღმოსავლეთში არსებულ სამონეტო მიმოქცევაში რომ შესულიყო, მასზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო არაბული წარწერა ალაჰისა და მუჰამედის მოხსენიებით. აღსანიშნავია, რომ იმავე მონეტაზე „მესიის მახვილიც“ წერია.

III. ავტორი, საუბრობს რა ქრისტეს შობამდე XIII საუკუნეში ამ რეგიონში (გულისხმობს „ყაზახ-ბორჩალოს“ – ავტორები) არსებულ ვითარებაზე, იყენებს ჩვენთვის უცნობ ფრანგ თურქოლოგთა (რომელთა მოსაზრებაც დამოწმებულია 1931 წელს გამოცემული ჟურნალით) დასკვნას, რომლის მიხედვითაც *მუშქები* ხაზართა წინაპრები ყოფილან. ავტორი ან არ იცნობს, ან შეგნებულად უგულვებელყოფს უფრო საფუძვლიან თეორიას, რომლის მიხედვითაც, მუშქები ქართველური ტომია. მუშქები ეს გვიანდელი წყაროების მოსხები, ანუ იგივე მესხები არიან.[9] აზერბაიჯანელი ავტორის ლოგიკიდან გამომდინარე, მცირე აზიაში მოსახლე მუშქების ტომი ასევე თურქები ყოფილან. თურმე რომელიღაც ფრანგი თურქოლოგი მუშქებს ხაზარების წინაპრებად მიიჩნევს (ვინ არის ეს ავტორი, ან სად დაიბეჭდა მისი ეს ნააზრევი უცნობია. ის მის არც გვარსა და არც ნაშრომის სახელწოდებას არ უთი-

[8] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 490-491.

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. 1970, გვ. 318-321, 674-676; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 226; Советская историческая энциклопедия. т. IX. М. 1966, გვ. 835.

თებს). თურქულენოვანი ხაზარები ადრე შუა საუკუნეებში კასპიის ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთიდან ვიდრე ყირიმის ნახევარკუნძულამდე ცხოვრობდნენ, რომლებიც აქ აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული. რანაირად მოხვდნენ მიწათმოქმედი მუშქები, რომლებსაც მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველთა – მესხთა წინაპრებად მიიჩნევს, ნომადების სტეპურ სამყაროში, ამის ახსნით ის თავს არ იწუხებს. მისთვის მთავარი სულ სხვა რამაა: შექმნას ყალბი ისტორია და თავისი ეთნოსის ახალგაზრდობა ამ სიყალბის ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს.

IV. ავტორი წერს, რომ „ბორჩალოსა და ყაზახის“ რეგიონში მცხოვრები კიმირიულ-სკვითურ-ბუნთურქულ ტომთა გაერთიანება სხვადასხვა პერიოდში ებრძვის: აქემენიდებს, ალექსანდრე მაკედონელს, ალექსანდრეს სარდალ იაზონის მემკვიდრეებს და პირენეიდან გადმოსახლებულ იბერებს. იმოწმებს *დიონისე პერიეგეტეს.* აქაც ყველაფერი არეულია. პირველი, სკვითები ირანულენოვანი ტომი იყო და არა თურქულენოვანი. სკვითები სწორედ კიმირიელებს „გამოექცნენ“ სამხრეთში. მათი ერთად ყოფნა ძალიან საეჭვოა; მეორე, ბუნთურქები მოიხსენიებიან „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც ტომი, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან ალექსანდრე მაკედონელმა განდევნა. თუ ავტორი ამ წყაროს ეყრდნობა, მაშინ ისიც უნდა აღიაროს, რომ ალექსანდრემ ისინი განდევნა და ამდენად „ბორჩალოსა და ყაზახში“ ველარ იცხოვრებდნენ. ქართველ მეცნიერთა აზრით, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბუნთურქები არიან სკვითები;[10] მესამე, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი იაზონი ალბათ ქართული წყაროების აზო, იგივე იაზონია. ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია უარყოფილია აზრი აზოს მაკედონელობის შესახებ. აზო სამხრეთ საქართველოს ტომთა გაერთიანების მეთაურის ძეა, ის ქართული სამყაროს წარმომადგენელია;[11] მეოთხე, იბერების გადმოსახლებაზე პირენეიდან კავკასიაში ნაბუქოდონოსორის მიერ მართლაც წერენ ძველი ბერძენი ავტორები. დღეს არავინ დავობს, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ავტორთა ფანტაზიაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაბუქოდონოსორი არც პირენეიში ყოფილა და არც კავკასიაში. ისე, სხვათა შორის, მის საყურადღებოდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი ავტორი იბერების პირენეიში მიგრაციაზეც საუბრობს. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ქართველების კავკასიაში მოსუ-

[10] ივანე ჯავახიშვილის ენიკლოპედია-ლექსიკონი.

[11] გ. ქავთარია. აზონი „პირველი მეფე მცხეთასა შინა“. თბ. 2000; გ. ქავთარია. ფარნავაზი. თბ. 1999.

ლობის შესახებ აქცენტი მიზანმიმართულად, სპეციალურადაა გაკეთებული, რათა მკითხველს დაანახოს, რომ „ბუნთურქები“ ავტოქტონები იყვნენ და საკუთარ ტერიტორიას დამპყრობლებისაგან იცავდნენ.

ქვემო ქართლში (და არა „ბორჩალოსა და ყაზახში“. ასეთი ტოპონიმები იმ ეპოქაში არ არსებობდა!) კიმირიულ-სკვითურ-ბუნთურქულ ტომთა გაერთიანება არ არსებობდა. ამის დამადასტურებელი წყაროები არ არსებობს. სამაგიეროდ აშკარაა, რომ „ქვემო ქართლს „გოგარენა“ ჰქვია. ეს ეთნო-ტოპონიმი ძველი ქართული ტომის *გოგარების//გუგარების* სახელიდან მომდინარეობს. ის შემორჩენილი იყო სოფელ *გოგარენის* (დღევანდელი *„გუგარქი“* სომხეთის რესპუბლიკაში) სახელწოდებაშიც, რომელიც მდ. *დებედას* სათავეში, მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფის ძირში მდებარეობს. ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიჯნაზე, მდ. *თაუზ-ჩაის* შესართავთან ახლოს, მტკვრის ნაპირას არსებულ ციხე-ქალაქს *ხუნანი* ეწოდებოდა, რაც უეჭველად ქართული ტოპონიმია. ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე, დღევანდელ აზერბაიჯანში, მდ. აგირ-ჩაის მარცხენა სანაპიროზე ჩამოყოლებულ ქედს „გურჯი დაღი“ ჰქვია“.[12]

V. მეხუთე საუკუნეზე საუბრისას აზერბაიჯანელი ავტორი ასახელებს რა რამდენიმე ქართულ ტოპონიმს, იქვე იყენებს მათ პარალელურ „ფორმებს“, მაგალითად, *რუსთავი – ბოსტანშეხერი, დმანისი – ბაშკეჩიდი, ბოლნისი – ჩერიუკ-გამარლი.* გასაგებია ავტორის სურვილი, დააჯეროს მკითხველი, რომ ქვემო ქართლში V საუკუნეში არსებობდა თურქული ტოპონიმები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტოპონიმებს: *ბოსტანშეხერი, ბაშკეჩიდი* ავტორი იყენებს IX საუკუნეზე საუბრისასაც. ქალაქ რუსთავს III საუკუნემდე მართლაც ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი და არა ბოსტანშეხერი. სახელწოდება მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან – „ვოსტან“, რაც სამეფო კარს ნიშნავს.[13] არ არებობს წყარო, რომელშიც V და IX საუკუნეებისათვის ქვემო ქართლში დაფიქსირებული იქნება ტოპონიმები: ბოსტანშეხერი, ბაშკეჩიდი, ჩერიუკ-გამარლი. არც მომდევნო საუკუნეების წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება ავტორის მიერ შეთხზული ტოპონიმები. წყაროთა მითითების გარეშე დაწერილი წიგნი, რომელსაც მეცნიერებაზე აქვს პრეტენზია, ნამდვილად სამეცნიერო ნაშრომად

[12] ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე). თბ. 2014, გვ. 45.

[13] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8. თბ. 1984, გვ. 510.

ვერ ჩაითვლება. აქაც მიზანი ნათელია: საზოგადოება უნდა დაეჯერონ იმაში, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თურქული ტოპონიმები არსებობდა. და ვინ შექმნა ეს თურქული ტოპონიმები? – თურქულენოვანმა მოსახლეობამ.

VI. V-VI საუკუნეებში აგებულ ნინოწმინდისა და საგარეჯოს ტაძრებთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ ისინი ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე იყო აშენებული. ისტორიული გეოგრაფიის სრულ უგულვებელყოფასთან გვაქვს საქმე. ნინოწმინდა და საგარეჯო ისტორიული კუხეთია.[14] უშუალოდ ჩვენი კრიტიკის ობიექტს არ ეხება, მაგრამ რადგან სიტყვამ მოიტანა, შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ: აზერბაიჯანელმა ავტორებმა მითოლოგემების შექმნა კარგა ხანია დაიწყეს. მაგალითად, ამ 5-6 წლის წინ საპატრიარქოს უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა ისტორიკოსმა თითქმის მთელი კახეთის ტერიტორია ისტორიულად არაქართველთა განსახლების არეალად გამოაცხადა და რომ თურმე აქ ქართველებმა ექსპანსიის შედეგად მოახდინეს ადგილობრივი ალბანელების (რომელთა შთამომავლებადაც მიიჩნევენ თავს) ასიმილაცია. 1998 წელს ბაქოში დასტამბულ წიგნში «Азербайджанцы» აცხადებდნენ, რომ თურმე საქართველოში აზერბაიჯანელები მთელი 70 წლის განმავლობაში, საბჭოთა პერიოდში, მეორე ხარისხოვანი მოქალაქეები იყვნენ, თურმე ქართველები მათ თავიანთი ისტორიული ტერიტორიიდან ერეკებოდნენ, თურმე საქართველოს უმაღლეს და საშუალო განათლების სისტემაში აზერბაიჯანული ენა არ ფუნქციონირებდა და ა. შ.

VII. ავტორის აზრით, VI საუკუნეში თურქული ტომები ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს არა მხოლოდ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც. კერძოდ, დღევანდელი სამტრედიის მახლობლად. რას ეყრდნობა ავტორი? აგათია სქოლასტიკოსის ცნობას, რომ ლაზიკაში არსებობდა პუნქტი *ონოგურისი.* ონოგურისის ციხე მართლაც არსებობდა და მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. ბიზანტია-ირანის 542-562 წლების ომის დროს ერთ-ერთი ბრძოლა მართლაც გაიმართა ონოგურის ციხესთან.[15] ეს ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ არსე-

[14] დ. მერკვილაძე. კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობის გაგებისათვის. მოხსენება წაკითხული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ მამია დუმბაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. თბ. 2015.

[15] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 263.

ბობდა ამ სახელწოდების ციხე. მისი ლოკალიზაცია ზუსტად ვერ ხერხდება, თუმცა, ცხადია, რომ არქეოპოლისის მახლობლად იყო. არსებობს მოსაზება, რომ ის ნოქალაქევის მახლობლად უნაგირას მთაზე მდებარეობდა.[16] რით დასტურდება, რომ *ონოგური/ონოგურისი* თურქული ტოპონიმია? – არაფრით. ის ქართული ტოპონიმია დასავლურქართული ო- პრეფიქსით. მისი ფუძეც („გურ") ქართულია (შდრ.: გურია, გურიანთა). ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, არ არსებობს წყარო, რომელიც დაადასტურებდა თურქული ეთნიკური ჯგუფის ბინადარ ცხოვრებას დასავლეთ საქართველოში არც VI და არც შემდგომ საუკუნეებში.

VIII. ავტორი შედარებით ვრცლად საუბრობს სელჩუკთა ლაშქრობებზე საქართველოში XI საუკუნეში. ამას არავინ უარყოფს. რა თქმა უნდა, „დიდი თურქობაც" არსებობდა, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას ბორჩალოსთან, გაურკვეველია. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: არ არსებობს წყარო, რომელშიც ამ პერიოდის ამბების თხრობისას დაფიქსირებული იქნება ტოპონიმი *ბორჩალო.*

IX. ავტორი წერს, რომ XIII საუკუნის 60-იან წლებში სამხრეთ კავკასია და მათ შორის ბორჩალო და ყაზახი მიუერთდა ილხანთა სახელმწიფოს. აქვე იმოწმებს ქართულ წყაროს «правила епископов», სადაც თითქოს დასტურდება, რომ „ბორჩალოში" შემავალი „რეგიონები": «Рустави» (Бостаншехер), «Дманиси», «Сомхити» (Южный Борчалы), «Типлис» (Тифлис), არ შედიან ქართლში. აღვნიშნავთ, რომ *ქართლი* საქართველოს ერთ-ერთი რეგიონია, რომელიც იყოფოდა სამ ნაწილად: ზემო ქართლი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. ასე რომ, რომელიღაცა დასახლებული პუნქტის არშესვლა ქართლში, არ ნიშნავს, რომ ეს პუნქტი საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს. ასევე, აღარ შევჩერდებით ქართული ტოპონიმების თურქულენოვან „პარალელებთან" დაკავშირებითაც. სხვა მხრივ, ამ შემთხვევაშიც საქმე მრავალ შეცდომასთან გვაქვს. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში სახელწოდებები: ბორჩალო და ყაზახი არ არსებობენ; მეორე, თბილისი, რუსთავი და დმანისი იყო არა მითიურ ბორჩალოში შემავალი რეგიონები, არამედ ქალაქები; მესამე, სამხრეთ კავკასია ნამდვილად ექვემდებარება ილხანთა სახელმწიფოს, მაგრამ აქ არსებობდა საქართველოს სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა უშუალოდ ქვემო ქართლი, ანუ ის რეგიო-

[16] პ. ზაქარაია. ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. ადრეშუასაუკუნეების ციხე-ქალაქები და ციხე-სიმაგრეები. აბედათი (ონოგურისი). თბ. 2002, გვ. 79-82.

ნი, სადაც მდებარეობდა რუსთავი და დმანისი; მეოთხე, წყარო, რომელსაც ავტორი «правила епископов»-ს უწოდებს, არის „განგება დარბაზობისა“. ეს არის წესი, სადაც განსაზღვრულია, თუ რომელი ეპისკოპოსი სად და ვის მერე ჯდება დარბაზობისას. ამ დოკუმენტიდან პირდაპირ ჩანს, რომ თბილისი, რუსთავი, დმანისი და სომხითი საქართველოს სამეფოში შედის.[17] რაც შეეხება „სომხითს“, ქვემო ქართლის ნაწილი გარკვეული პერიოდების განმავლობაში სომხების ხელში გადადიოდა, ამიტომ ქართველები მას „სომხითსაც“ ეძახდნენ. ეს სახელი რეგიონს იმიტომაც შერჩა, რომ აქ მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) აღმსარებლობისა იყო. ეს გეოგრაფიული რეგიონი რომ საქართველოს ნაწილი და ქართველი ხალხის საკუთრება იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ სომხები მას „ვრაც-დაშტს“, ანუ „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ.[18]

X. ეხება რა გიორგი V ბრწყინვალის პერიოდს, ავტორი წერს: იმის გამო, რომ თბილისი რჩებოდა მუსლიმურ ქალაქად და ქართველ მმართველებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება ემართათ ბორჩალო და თბილისი, ტახტზე ოფიციალურად ისინი ქუთაისში ადიოდნენ. სრული აბსურდია! XIII-XIV საუკუნეში მოღვაწე ქართველი მეფეები: დავით VII, დემეტრე II, ვახტანგ II, დავით VIII, ვახტანგ III, გიორგი V, გიორგი VI, დავით IX, ბაგრატ V, გიორგი VII აღმოსავლეთ საქართველოში ადიოდნენ ტახტზე და მათი რეზიდენცია თბილისი იყო. ერთადერთი მეფე, რომელიც ოფიციალურად ქუთაისში ავიდა ტახტზე, დავით VI იყო, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი დედამ, მეფე რუსუდანმა, თანამოსაყდრედ გაიხადა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ამ დროს მონღოლთა შემოსევის გამო სამეფო კარი დროებით დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. საინტერესოა ვახტანგ II-ის მაგალითი. ის დავით VI-ის ძე იყო და დასავლეთ საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში ავიდა ტახტზე.

რაც შეეხება თბილისის მოხსენიებას მუსლიმურ ქალაქად, ეს მხოლოდ ავტორის ინტერპრეტაციაა. ასეთი მოხსენიება საქართველოს დედაქალაქისა XIII-XIV საუკუნეებში წყაროში არ გვხვდება. მუსლიმი მოსახლეობა თბი-

[17] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 47-49.

[18] ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), გვ. 17.

ლისში, ცხადია, იყო (და თავსაც ძალიან დაცულად და კარგად გრძნობდა), მაგრამ ის ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენდა. უმეტესობა ქრისტიანი ქართველები იყვნენ.

ასევე გაუგებარია, თუ ვისგან უნდა მიეღოთ საქართველოს მეფეებს თავისი სატახტო ქალაქისა და ქვემო ქართლის (და არა ბორჩალოს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს ტერმინი XVII საუკუნემდე არ არსებობდა) მართვის უფლებამოსილება? საქართველოს მეფის უფლება თბილისსა და ქვემო ქართლზე არავის შეუზღუდავს.

XI. საკმაოდ ვრცლად საუბრობს ავტორი სეფიანთა ირანის შაჰების ლაშქრობებზე აღმოსავლეთ საქართველოში. ავტორი იზიარებს აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, სეფიანთა ირანი აზერბაიჯანული სახელმწიფო იყო. ამ საკითხზე კამათს აზრი არ აქვს და ამჯერად არც არის მნიშვნელოვანი. საინტერესოა ის, რომ ავტორი მხოლოდ იმ ფაქტებს ასახელებს, რომლებიც „აწყობს“ და დუმს მისი კონცეფციის საწინააღმდეგო ფაქტებზე. მაგალითად, წერს, რომ შაჰმა ისმაილმა 1522 წელს თბილისში მეჩეთი ააგო. ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას ბორჩალოსთან? სამაგიეროდ არ წერს შაჰ აბას I-ის მიერ ბორჩალუს ტომის ჩამოსახლებაზე ქვემო ქართლში. არც იმას ახსენებს, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ბორჩალო და ყაზახი ქართველ ბაგრატიონებს ჰქონდათ მიცემული სამართავად.[19]

XII. ავტორი აღნიშნავს რომ 1752 წელს შაქის ხანმა *აჯი ჩელებმა* დაამარცხა ერეკლე მეორე და ყაზახი და ბორჩალო დაიკავა. ეს მხარეები ერეკლე II-მ მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს დაიბრუნა. ავტორი არ წერს, რომ ერეკლემ აჯი-ჩელები იმავე 1752 წლის 1 სექტემბერს დაამარცხა[20] და 1755 წელს ჯერ ყაზახის სახანო გააუქმა, ხოლო 1765 წელს – ბორჩალოს სახანო და ორივე სახანო უბრალო სამოურავოდ აქცია.[21] დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, ავტორს ერთი მიზანი ამოძრავებს, დაამტკიცოს, რომ ქვემო ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც XVII საუკუნის დასწყისიდან ეწოდა ბორჩალო, თურქული ელემენტი ცხოვრობდა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამ-

[19] ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), გვ. 102-103.
[20] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 624-625.
[21] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 529.

დე VIII საუკუნიდან უწყვეტად და სახელწოდება ბორჩალოც ასევე ძველია. ამ აბსურდული მოსაზრების დასადასტურებლად ხდება არა თუ წყაროების არასწორი ინტერპრეტაცია, არამედ არარსებული „ფაქტებისა და მონაცემების“ მოშველიება. ნაშრომი ძალზედ ტენდენციურია.

XIII. ავტორი ძალიან შორს მიდის და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებს უფრო კონკრეტულად არა მხოლოდ ბორჩალო-ყაზახში, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კრანიოლოგიურ მასალას აზერბაიჯანელთა კუთვნილებად აცხადებს. ხშირად არ უთითებს ლიტერატურას. ეთნიკური აზერბაიჯანელების ყოფილა თურმე გომარეთში ნაპოვნი თავის ქალა, რადგან ის კასპიური ანთროპოლოგიური ტიპისაა. უფრო მეტიც, ასეთივე კასპიური ტიპის ყოფილა შიდა ქართლის სოფლებში ბებნისსა და დვანში ნაპოვნი თავის ქალები. აქედან ის დასკვნაც გამოაქვს, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ბორჩალოს ისტორიული მიწა-წყალი ყოფილა. ასეთ მეცნიერთან კამათი არც შეიძლება, მაგრამ, როდესაც ეს მიზანმიმართულად კეთდება, რომ მომავალში ტერიტორიული პრეტენზიები წამოგიყენონ, მთელმა ქართულმა საზოგადოებამ უნდა ამოიღოს ხმა. იგივე ავტორი ტოლობის ნიშანს სვამს შიდა ქართლსა და სამხრეთ ოსეთს შორის. მან არ იცის, რომ შიდა ქართლი უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს, ან იცის და ოს ისტორიის გამყალბებლებს უბამს მხარს, რომლებსაც პრეტენზია გარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთისა, მთელ შიდა ქართლზე აქვთ.

XIV. ავტორი გვიცხადებს, რომ ჰუნები (ასევე თურქულენოვანნი) თანამედროვე ბორჩალო-ყაზახის ტერიტორიაზე თურმე ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობდნენ. ფალსიფიკაციას საზღვარი არა აქვს: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მომთაბარე თურქულენოვანი ჰუნების ტომი ისტორიის სარბიელზე ახ. წ. IV საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდა, როდესაც შორეული აღმოსავლეთიდან მოსულნი ვოლგასა და დონს შორის ასევე მომთაბარე ალანებს თავს დაესხნენ. იქამდე ისინი ჩინეთისა და მონღოლეთის ჩრდილოეთ მონაკვეთში მომთაბარეობდნენ. ამის დამადასტურებელი წყაროები დიდი რაოდენობით აქვს მოხმობილი ცნობილ მეცნიერს *ლევ გუმილიოვს* თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ზემოთ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ ბორჩალოს ტომს აზერბაიჯანელი ავტორი ბარსილებს უკავშირებდა. იმავე წიგნში სხვა ვერსიაც განავითარა და ქვემო ქართლში თურქულენოვანი მოსახლეობის მკვიდრობა ძვ. წ. IV საუკუნეში გადაიტანა. ძალიან დიდ ულოგიკობასთან გვაქვს საქმე. წიგნში, როგორც ჩანს, ჰუნების ხსენება იმიტომ

დასჭირდა, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე თურქული აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზის დასაწყისი სტადია მეზობელი ქვეყნის მეცნიერებს ჰუნების დაწყებულ საქმედ მიაჩნიათ. მერე რა, რომ სინამდვილეში ევრაზიის სივრცეში ჰუნები ახ. წ. IV საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდნენ? ლოგიკა იმაშია, რომ თანდათან დააძველებენ საკუთარი ხალხის ეთნოგენეზის საწყის სტადიას და ამ ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ტერიტორიად ქართველთა განსახლების არეალსაც გამოაცხადებენ, სადაც სინამდვილეში ძალიან გვიან მოვიდნენ.

XV. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთავი, დმანისი, ბოლნისი ბორჩალო-ყაზახის ტერიტორიაა, სადაც V საუკუნიდან დაუწყიათ ქრისტიანული ტაძრების აგება. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ეს ტაძრები ქართველთა აგებული კი არ ყოფილა, არამედ ალბანელებისა, რადგან, ტრევერის აზრით, ისინი ალბანური ტაძრებისაგან არ განსხვავდებიან. აზერბაიჯანელი ავტორის აზრით, მთავარია ქვემო ქართლის ტაძრები ქართული არ იყოს. აწ გამქრალი ალბანელებისაგან ხომ შემდავებელი აღარავინ ჰყავთ! თანაც ალბანელების მემკვიდრეები ხომ თვითონ არიან. კი, მაგრამ რა ვუყოთ ამ ტაძრებზე მოთავსებულ ქართულ ეპიგრაფიკას? ისინიც ალბანურია?

XVI. რაც შეეხება XIX-XX საუკუნეების ამსახველ ნაწილს, აქ უფრო საუბარია ყაზახი და ბორჩალო როდის და რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებში იყო გაერთიანებული. ისტორიული რეალობის თვალსაზრისით, ტექსტი ძირითადად ობიექტურად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს და წინა ნაწილთან შედარებით კრიტიკას ნაკლებად იმსახურებს. აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერიის კავკასიაში დამკვიდრების პირველ ეტაპზე ბორჩალოს რეგიონი „დისტანციად" იწოდებოდა. 1840-იან წლებში ყაზახი და შამშადილი ელიზავეტპოლის მაზრაში გაერთიანეს, რომელიც, თავის მხრივ, საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა. 1846 წლიდან ორივე ეს რეგიონი თბილისის გუბერნიაშია. 1867 წლიდან ყალიბდება ელიზავეტპოლის გუბერნია, რომელშიც შეჰყავთ ყაზახის მაზრა, ხოლო ბორჩალო კვლავ თბილისის გუბერნიაში რჩება – იგი ჯერ შულავერის ადმინისტრაციულ ოლქშია გაერთიანებული, ხოლო შემდეგ იქმნება ბორჩალოს მაზრა, რომელიც თბილისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილია.

XVII. ზემოთ ბაქოში 1988 წელს გამოცემული წიგნი, «Азербайджанцы» ვახსენეთ, რომელშიც 1873 წლისათვის აზერბაიჯანელების რაოდენობა თბილისის გუბერნიაში 64 ათასი აქვთ ნაჩვენები. ეს რაოდენობა, რა

თქმა უნდა, ხელოვნურადაა გაზრდილი, რადგან მათი წარმოდგენით, თურმე თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის მოსახლეობის 51% აზერბაიჯანელი იყო (გვ. 47). მათ ქართველი მაჰმადიანები აზერბაიჯანელებად გამოაცხადეს. აზერბაიჯანელი მეცნიერების „მტკიცებით", თურმე, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ დააკარგვინა „აზერბაიჯანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი ბორჩალო."

აზერბაიჯანელი მეცნიერების საყურადღებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბორჩალოელი თურქულენოვანი მოსახლეობა ყოველთვის საქართველოს მოქალაქეებად გაიაზრებდა თავს და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა საქართველოში შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. საილუსტრაციოდ, *აღამაჰმად ხანთან* გამართული 1795 წლის კრწანისის ბრძოლაც შეიძლება დავასახელოთ. ბორჩალოელთა ერთგულების გამო იყო, რომ 1755 წელს ერევნის მახლობლად გადასახლებულები ერეკლე მეფემ აყარა და უკანვე გადმოასახლა. ბორჩალოელთა წრიდან XVIII საუკუნეში საქართველოს ეროვნული გმირიც გამოვიდა. ეს იყო *ხუდია ბორჩალოელი*, რომელსაც *თეიმურაზ ბაგრატიონი* „ყოვლისა საქართველოს ჩინებულ და მამაც" პიროვნებად მოიხსენიებს. ხუდია ბორჩალოელის ქმედება ქართველებისა აზერბაიჯანელთა ურთიერთობისათვის სამაგალითო უნდა იყოს. ქართველმა ხალხმა შექმნა ლექსი, რომლის მსგავსი არც ერთი სხვა ხალხის ხალხურ პოეზიაში არ მოიძებნება: *„ყველა ადამის შვილი ვართ,//**თათარიც ჩვენი ძმაა არის,**//ჩვენსა და სომხებს შუა//განყოფილება რა არის?"* დიახ, აზერბაიჯანელი ისტორიულ საქართველოში ქართველის ძმა იყო და ძმობის ამ ტრადიციის დარღვევის უფლება ზოგიერთ ვაიმეცნიერსა და მითოლოგემების შემქმნელს არ უნდა მივცეთ.

კიდევ ერთხელ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აგრესორი ხალხების მიერ ისტორიის გამოყენება, უფრო სწორად, ფალსიფიკაცია და მითოლოგემების შექმნა ახალი მოვლენა არაა. ეს მეთოდი ნაცადი იყო რუსეთის იმპერიის მიერ. მიზანი ფალსიფიცირებული, ტყუილზე აგებული საისტორიო ლიტერატურის შექმნისა არის სხვისი მიწების ხელში ჩაგდება და ახალგაზრდობის ცრუპატრიოტებად აღზრდა. ამ მეთოდს მიმართავს დღეს ყველა ჩვენი მეზობელი. ამ პრინციპითაა შედგენილი აზერბაიჯანისა და სომხეთის სკოლების სახელმძღვანელოები, სასკოლო სახელმძღვანელოების სტანდარტები. ამ ქვეყნების მთავრობები ფინანსებს არ იშურებენ საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში ფაქტობრივად კურსია აღებული მხოლოდ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ფრაგ-

მენტის შესასწავლად, ლიბერალი და არა პატრიოტი ახალგაზრდის აღსაზრდელად. ანალოგიური ვითარების ფონზე კი საქართველოს სახელმწიფოს მომავალში მეცნიერული თავდაცვის საშუალებაც კი აღარ ექნება. ავტორის ერთი მიზანი ამოძრავებს – დაამტკიცოს, რომ ქვემო ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც XVII საუკუნის დასწყისიდან ეწოდა ბორჩალო, თურქული ელემენტი ცხოვრობდა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VIII საუკუნიდან უწყვეტად და სახელწოდება ბორჩალოც ასევე ძველია. ამ აბსურდული მოსაზრების დასადასტურებლად ხდება არა თუ წყაროების არასწორი ინტერპრეტაცია, არამედ არარსებული „ფაქტებისა და მონაცემების“ მოშველიება. ნაშრომი ძალზედ ტენდენციურია.

სამწუხაროა, რომ ამ არამეცნიერული გამოცემის სარედაქციო საბჭოში აზერბაიჯანელ მეცნიერებთან ერთად დასახელებულია ორი ქართველი მეცნიერი: *გურამ მარხულია* და *მალხაზ მაცაბერიძე.* ორივე მათგანმა კატეგორიულად უარყო აღნიშნული ნაშრომის შექმნაში ან რეცენზირებაში რამენაირი მონაწილეობა. მათი თქმით, გამოცემის ავტორებმა ქართველი მეცნიერების დაუკითხავად შეიტანეს მათი გვარები სარედაქციო საბჭოში. ამგვარი ფაქტი ვერ ჩაითვლება ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების მხრიდან მეცნიერული ეთიკის დაცვად, რაც ფრიად სამწუხაროა. ეს ფაქტიც არაკოლეგიალური და არამეგობრული ქმედებაა და ასეთი ქმედებები მეცნიერების არა პროგრესს, არამედ რეგრესს უწყობს ხელს. სამწუხაროდ, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მთელ კავკასიაში ისტორიის ფალსიფიცირება და მითოლოგემების შექმნა დიდად მოდაშია, სხვადასხვა ხალხთა მკვლევარებისათვის საისტორიო ფაქტები, წაყროები, დოკუმენტები არ არსებობს. სასურველს რეალობად აცხადებენ. ასეთ „მეცნიერებს“ თითქოს ერთმანეთთან შეჯიბრი აქვთ გამოცხადებული. განსაკუთრებით აქტიურობენ ჩრდილოკავკასიელი მეცნიერები. ასეთი ტენდენციების საფრთხე რუსეთშიც იგრძნეს და ამ პრობლემას სპეციალური წიგნიც მიუძღვნეს.[22] წიგნში აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის ეთნოცენტრიზმსაც შეეხნენ. აი, ორი ამონარიდი დასახელებული წიგნიდან: «В противовес официальной армянской историографии, свой национальный взгляд на историю вырабатывается в Азербайджане. **Здесь так же, как и в других регионах бывшего СССР, проповедуется тюркский этноцент-**

[22] М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. История в зеркале паранауки: Критика современной этноцентристкой историографии Северного Кавказа. М. 2006.

ризм. Здесь так же ведутся поиски схождений с шумерами, скифо-сакскими племенами, выявляются хатто и хетто-тюркские параллели и т.д. Резко критикуя эти изыскания, известный историк, директор Института истории Национальной АН Азербайджана И.Г. Алиев не без оснований указывал на низкий профессиональный уровень многих историков, на дилетантизм и халтуру в научной и научно-популярной литературе Азербайджана».[23] **«Эти и другие подобные штудии преследуют цель показать автохтонность тюркского этноса на территории Азербайджана (уже со II тыс. до н. э.!), древность азербайджанского народа, сформировавшегося якобы еще в сасанидский период (III-VII вв.), абсолютную тюркскую этническую доминанту в Кавказской Албании.** Крайнюю неграмотность продемонстрировал на этом поприще известный азербайджанский историк ... М. А. Исмаилов...».[24]

***

ახლა მოკლედ უნდა შევეხოთ „**აზერბაიჯანის ნაციონალურ ატლასს**“, უფრო სწორად, ატლასში განთავსებულ რუკას – „სამხრეთ კავკასია 1903 წელს“. ატლასი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიწისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2014 წელსაა გამოცემული.

წარმოდგენილ რუკაზე *ზაქათალას ოკრუგი* აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული, რაც არ შეეფერება ისტორიულ რეალობას.

პასკევიჩმა დალაშქრა ჭარ-ბელაქანი და 1830 წ. დასავლეთ საინგილოს ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა ჭარ-ბელაქნის ოკრუგი. 1839 წ. იგი 5 სამაღალოდ დაიყო: ჭარის, თალის, ენისელის, ბელაქნის, მთის. 1839 წ. კი ელისუს სასულთნოც გაუქმდა და 1844 წელს კაკის და ყარასუს საბოქაულოების სახით მიუერთდა ზაქათალის ოკრუგს.

1840 წლის დებულებით ჭარ-ბელაქანი ჩამოყალიბდა ბელაქნის მაზრად (3 უბანი: ჭარის უბანი, ჭარის და ბელაქნის სამაღალოებით; თალის უბანი, თალის და მთის სამაღალოებით; ენისელის უბანი, ენისელის, მუღალის, ჩაბანველის, ბაზრის საზოგადოებებით) და საქართველო-იმერეთის გუბერნიას

[23] М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. История в зеркале паранауки, გვ. 51.

[24] М. С. Гаджиев, В. А. Кузнецов, И. М. Чеченов. История в зеркале паранауки, გვ. 54.

მიეკუთვნა.

1846 წ. შეიქმნა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, რომელიც 4 უბნად დაიყო (ბელაქნის, ენისელის, ელისუს, ინგილოების). 1860 წლის 5 აპრილს მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის ბრძანებით ჭარ-ბელაქნის ოკრუგი გადაკეთდა ზაქათალის სამხედრო ოკრუგად, დაბა ზაქათალა გამოცხადდა ქალაქ ზაქათალად. ოკრუგი ჩამოშორდა ტფილისის გუბერნიას და გადავიდა ზემო დაღესტნის ოლქის უფროსის დაქვემდებარებაში. ოკრუგის სათავეში დაყენებული იყო ოკრუგის უფროსი (რუსი ოფიცერი), რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მაზრის უფროსის უფლებები.

ბარიატინსკი თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებდა იმით, თითქოს ზაქათალის მცხოვრებნი კულტურული დონით ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებულნი სამოქალაქო წესებისა და მმართველობისთვის. თბილისის გუბერნიაში კი ამ დროს უკვე სამოქალაქო წესები იყო შემოღებული. ოკრუგის უფროსი ერთპიროვნულად მართავდა ოკრუგის ყველა საქმეს. იმავდროულად ოკრუგის უფროსის კანცელარიის ფუნქციებს ასრულებდა ოკრუგის სამმართველო.

ბარიატინსკიმ დაღესტნის ოლქზე ზაქათალის მხარის გადაცემით ეს მხარე კიდევ უფრო ჩამოაშორა დანარჩენ საქართველოს. მუსლიმური გარემოცვის პირობებში იქაური ქართველობა განიცდიდა დიდ შევიწროებას და „თათრდებოდა“.

1874 წელს ზაქათალის ოკრუგი გაუთანაბრდა მაზრას და სოხუმის განყოფილებასთან ერთად გადავიდა კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობაში. იმხანად ჩამოყალიბდა 4 უბანი: ჭარ-მუხახის, ბელაქნის (1910 წ. გაერთიანდა ჭარ-ბელაქნის უბნად), ალიაბადის, კახის.

1883 წ. ზაქათალის ოკრუგი გამოვიდა სამხედრო მმართველობიდან და უშუალოდ დაექვემდებარა კავკასიის მეფისნაცვალს, ჩამოყალიბდა ოკრუგის სამოქალაქო მმართველობა. შეიქმნა ახალი ადმინისტრაცია და მისი საქმის მწარმოებელი – ციხეების ზედამხედველობის კომიტეტი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს და დავასკვნით, რომ ზაქათალის ოკრუგი, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, არ მიეკუთვნებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილ გუბერნიებს. ეს ელემენტარული ისტორიული რეალობაა და კარგად მოეხსენებათ ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანელ კოლეგებს.

1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ზაქათალის ოკრუგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლო-

ბაში შედიოდა. ამ ისტორიულ რეალობებს ტექსტში გვერდი აქვს ავლილი. სამაგიეროდ, რიგი კონტექსტებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზემოაღნიშნული რეგიონები აზერბაიჯანის ისტორიული რეგიონები იყო ყოველთვის.

წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილი, რომელიც საქართველოს ისტორიის XIX-XX საუკუნეებს ეხება, სერიოზულ დამახინჯებებს ან არაობიექტურ განცხადებებს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ კონტექსტი გულისხმობს, რომ მაგ., ჭარ-ნელაქანი, აზერბაიჯანის ტერიტორიადაა მიჩნეული.

ვკითხულობთ: „1801 წელს ყაზახის და შამშადილის სასულთნოები (ალბათ, უნდა იყოს სახანოები – ავტორები), რომლებიც იმ დროს იმყოფებოდნენ საქართველოს დაქვემდებარებაში, შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. დაიწყო აზერბაიჯანის დაპყრობის პროცესი. 1803 წელს დაპყრობილი იქნა ჭარ-ბელაქნის ჯამაათი...“

დასასრულს, საერთო დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ზემოდასახელებული ორი აზერბაიჯანული გამოცემა წარმოადგენს საქართველოს ისტორიის საკითხების გაყალბებისა და ფალსიფიკაციის იშვიათ შემთხვევას. ეს განსაკუთრებით ეხება წიგნს: „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩის მქსოველები“.

წიგნის ავტორმა და სარედაქციო კოლეგიაში შემავალმა „მეცნიერებმა“ (ქართველი მეცნიერების გარდა), ფაქტობრივად, საქართველოში ქართველების ადგილი არ დატოვეს და მთელი სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია თურქულ-მუსლიმური მოსახლეობის ისტორიულ ტერიტორიებად გამოაცხადეს.

ჩვენ ვეკითხებით ზემოაღნიშნული გამოცემების ავტორებს და მათს მხარდამჭერებს: ასე გავაგრძელოთ, ბატონებო, მეზობელი მეგობარი ქვეყნის „დაპყრობა“ ისტორიის ფურცლებზე და მოვამზადოთ ისტორიულ-იდეოლოგიური საფუძველი მის წინააღმდეგ ერთ მშვენიერ დღეს აგრესიის წამოსაწყებად? თუ ასეა, მაშინ გვეყოს გამბედაობა და ვთქვათ, რომ ჩვენ აღარ ვართ პარტნიორი და მეგობარი ქვეყნები, რომლისკენაც მოგვიწოდებენ ჩვენი სახელმწიფოების ხელისუფლებები, ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი ისტორია და მეცნიერული კეთილსინდისიერება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

იუბილე

მერაბ კალანდაძე

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი – დიდი ერუდიტი და ინტელიგენტი

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს (1924-1999) დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა ღვაწლმოსილი მეცნიერის საიუბილეო თარიღი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სათანადო პატივი მიაგეს ღირსეულ პიროვნებას, მეცნიერს და მამულიშვილს. ბატონი ნოდარი ამას სავსებით იმსახურებდა.

მრავალრიცხოვან ღონისძიებებს შორის ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ყურადღების ცენტრში ძირითადად ის თემატიკა იდგა, რომლის შესწავლის საქმეში პროფ. ნოდარ შოშიაშვილს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის. მე ამ კონფერენციაში არ ვმონაწილეობდი და სრულიად შემთხვევით, სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით თავი ამოვყავი ამ კონფერენციაზე. მივესალმე მის შვილიშვილს პატარა ნუკრის, დაველაპარაკე ჩემს კოლეგას პროფ. გიორგი ოთხმეზურს, მოვიკითხე ქალბატონი მარიკა, რომელიც ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობს და ძალიან მალე წამოვედი. წამოსვლის შემდეგ რაღაც უკმარობის გრძნობა გამიჩნდა და გული დამწყდა. უმალ მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ხელსაყრელი შანსი გავუშვი ხელიდან. აუცილებლად უნდა მეთქვა პატარა სიტყვა. გამეხსენებინა ბატონი ნოდარი. მე ხომ მას დიდ პატივს ვცემდი. ეს უნდა დამეფიქსირებინა. მიხარია, რომ ახლა მეძლევა შესაძლებლობა და მას აუცილებლად გამოვიყენებ.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, რომ მე ვიგონებ ბატონ ნოდარს, რადგან მე მისი მოწაფე არ ვყოფილვარ. ის არც ჩემი ლექტორი არ ყოფილა. მე არ ვარ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი. მე მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი ვარ. თითქოსდა ჩვენ შორის შეხების წერტილები ნაკლებად იყო, მით უმეტეს, ის ასაკითაც ბევრად დიდი იყო ჩემზე. ეს მართლაც ასე

იყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მცირე შეხება მასთან მაინც მქონდა და ამ ერთი ეპიზოდის დავიწყების უფლება არ მაქვს. უმადური ვერ ვიქნები.

ვინც იცნობდა ბატონ ნოდარს მე (როგორც უმცროსი კოლეგა, მიმართვის ამ ფორმას ვარჩევ) უეჭველად დამეთანხმება, რომ ის იყო ჭეშმარიტი პროფესიონალი, უდიდესი ერუდიტი, თხემით-ტერფამდე ინტელიგენტი. ამიტომ მას ხშირად მიმართავდნენ კონსულტაციებისთვის არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის სპეციალისტები, არამედ სხვა დარგის წარმომადგენლები. ჩემდა საბედნიეროდ, მათ შორის აღმოვჩნდი მეც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის საკითხი. ჩემმა მასწავლებელმა პროფ. კოტე ანთაძემ მთხოვა, რომ ამ ნაშრომში შევხებოდი საქართველოს ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციასაც. თავიდან გავუძალიანდი არ ვარ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი-მეთქი, მაგრამ ბოლოს ბატონი კოტეს შეუვალმა პოზიციამ თავისი გაიტანა და გარკვეული ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი. ჩვენ არც ერთი საქართველოს ისტორიის სპეციალისტები არ ვიყავით და, ბუნებრივია, მივმართეთ სპეციალისტებს, პირველ ყოვლისა კი, აკად. მ. ლორთქიფანიძეს, აკად. რ. მეტრეველს და პროფ. ნ. შოშიაშვილს. მე ადრეც ვიცნობდი ბატონ ნოდარს და მოხიბლული ვიყავი მისი ერუდიციით. ახლა საშუალება მქონდა უშუალოდ დავმტკბარიყავი მისი უზადო ცოდნით. მან მოგვიწონა არჩევანი და რამდენიმე საინტერესო რჩევა მოგვცა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში, რომლის ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალისტი თავად ბრძანდებოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით მან თავისი წვლილი დიადო ჩვენი კარგად დაკვალიანების საკითხში. მას მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, ესეც საკმარისი იქნებოდა, მისი თანადგომა ამით არ ამოიწურა. მან დიდი დახმარება გაგვიწია ცალკეული საკითხების წყაროთმცოდნეობაში გარკვევის საქმეში. მახსოვს, ხშირად ვურეკავდი სახლში, ის მისახელებდა წყაროებს და ლიტერატურას, რომელსაც უნდა გავცნობოდი და სწორ გზაზე მაყენებდა. ამის დავიწყების უფლება არ მაქვს.

ჩვენი ახლო ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა და როგორც უფროსი და უმცროსი კოლეგის ურთიერთობა მთელი 90-იანი წლები გრძელდებოდა. ამ საკითხზე მაქვს ერთი კარგი მოგონება. ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, როდესაც ერთხელ მან დამიძახა და თავისი წიგნი მაჩუქა, მეტად თბილი წარწერით. ცხადია, დიდი მადლობა გადავუხადე და გახარებული

დავრჩი. როდესაც მისი ავადმყოფობის შესახებ გავიგე, ძალიან მეწყინა. მისმა გარდაცვალებამ ყველას გული გვატკინა.

დღევანდელი გადასახედიდან საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განქიქება, ალბათ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პროფ. ნოდარ შოშიაშვილის მთელი შემოქმედება ამგავრი სკეპტიკური დამოკიდებულების გაბათილების საუკეთესო ნიმუშია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ნოდარ შოშიაშვილი იყო ევროპული დონის მკვლევარი-ისტორიკოსი. მისი სახით საქმე გავქვს XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში პოზიტივისტური მიმართულების ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელთან. ეს არაა ქათინაური, რომელსაც ტრადიციულად ამბობენ იუბილარის მიმართ, ეს რეალობაა.

და ბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ მოწაფეების ვალია, პატივი მიაგონ მასწავლებლების ხსოვნას. ეს ელემენტარული მადლიერების გრძნობის გამოხატულებაა. ვიმედოვნებთ, რომ მოსწავლეები გულმოდგინედ, გამოწვლილვით შეისწავლიან პროფ. ნ. შოშიაშვილის წვლილს ქართულ ისტორიოგრაფიაში და მასზე საგანგებო, სოლიდურ ნაშრომს დაწერენ, რითაც ხელთუქმნელ ძეგლს დაუდგამენ საყვარელ მასწავლებელს. ეს მათი ვალია. მიზანშეწონილი იქნებოდა იმ ნაშრომების პუბლიკაცია, რომლებიც ბატონი ნოდარის არქივში გამოუქვეყნებელი დარჩა. ეს შრომები ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა. ამით მისი მოწაფეები კიდევ ერთ კარგ საქმეს ითავებენ.

პროფ. ნოდარ შოშიაშვილის შრომები XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურს განეკუთვნება, ხოლო მისი ავტორის შემოქმედება სავსებით იმსახურებს საგანგებო შესწავლას, მონოგრაფიას.

ამ მოგონებას აქ დავასრულებდი, რომ არა ერთი გარემოება. მე ძალიან კარგად ვიცნობდი ბატონი ნოდარის ვაჟს მამუკას. ჩვენ 80-იანი წლების მეორე ნახევარში და 90-იანი წლების დასაწყისში ერთად ვმუშაობდით ისტორიის ინსტიტუტში, ევროპული ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც სათავეში ედგა შესანიშნავი პიროვნება პროფ. ილია ტაბაღუა. მამუკამ ძალიან კარგად იცოდა გერმანული და საკმაოდ პერსპექტიული ისტორიკოსი იყო. მისგან საკმაოდ კარგი გერმანისტი დადგებოდა, მაგრამ 90-იანი წლების ძნელბედობამ ის რთული არჩევანის წინაშე დააყენა. ის ჩამოშორდა ისტორიულ მეცნიერებას. მას თავისუფლად შეეძლო თავისი სიტყვა ეთქვა

ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დასასრულს ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ბატონი ნოდარის შვილიშვილზე, პატარა ნუკრიზე. ჩემო ნუკრი, შენ სწორედ ასე მოგმართავ. ის ჩემი სტუდენტი იყო. ვასწავლიდი, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში. კარგი სტუდენტი იყო, მონდომებული, ცოდნის შეძენის სურვილი გააჩნდა. ბატონი ნოდარის ტრადიციები უნდა გაგრძელდეს.

არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მე უნივერსიტეტის „ოქროს ხანის" კუდს მოვესწარი. უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ტრიალებდა დიდი ივანე ჯავახიშვილის სული. იმ მრავალრიცხოვან კეთილ ადამიანებს შორის, რომელთაც შევხვედრივარ, პროფ. ნოდარ შოშიაშვილი უდაოდ ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო. ბატონ ნოდარზე მოგონებაც ამით გვინდა დავასრულოთ.

იუბილე

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

2014 წლის 27-28 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც პროფესორ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის სამეცნიერო კვლევის ინტერესი ისტორიის დამხმარე დისციპლინების დიდ ნაწილს მოიცავდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები და ჩანაწერები პალეოგრაფიის, ეპიგრაფიკის, დიპლომატიკის, გენეალოგიის, ვექსილოლოგიის საკითხების გარშემო. კონფერენციის მთავარი მიზანი იყო ისტორიის დამხმარე დისციპლინების როლისა და თანამედროვე მდგომარეობის წარმოჩენა.

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა საქართველოს ისტორიისა და ბატონი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის კვლევის სფეროებს, ასევე, არაერთ მნიშვნელოვან საკითხს უძველესი დროიდან თანამედროვე პრობლემატიკის ჩათვლით.

კონფერენცია შინაარსითა და წარმომადგენლობით იყო ინტერდისციპლინური და ინსტიტუტთაშორისი: საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების გარდა, მასში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ისტორიის სპეციალისტებმა, ფილოლოგებმა, არქეოლოგებმა, ეთნოლოგებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და სხვ. მოხსენებები იყო ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, კულტურულ-ანთროპოლოგიური შინაარსის. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, ყველა მოხსენებას საქართველოს ისტორიის პრობლემატიკა აერთიანებდა. კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მას ესწრებოდა დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრი.

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

ისტორიის დამხმარე დისციპლინები – თანამედროვე ტენდენციები

27-28 ნოემბერი, 2014 წელი

პროგრამა

თსუ I კორპუსი,
აუდიტორია 212
რეგლამენტი 20 წუთი

სხდომა I
27 ნოემბერი, 10:00 - 13:00
სხდომის თავმჯდომარე პროფ. თედო დუნდუა

დარეჯან თვალთვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი – მისასალმებელი სიტყვა

გიორგი ოთხმეზური, პროფ. ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

მარიამ ლორთქიფანიძე, მოგონებები ნოდარ შოშიაშვილზე

მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გორგასლის დინასტიური კუთვნილების საკითხი: წყაროთმცოდნეობითი ასპექტი

მიხეილ ბახტაძე, „ისტორიანი და აზმანის“ ერთი ცნობის შესახებ

მურმან პაპაშვილი, დღემდე უცნობი წყაროები საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების შესახებ (XVII საუკუნის 80-იანი წლები)

დარეჯან თვალთვაძე, კალიპოსის ოთხთავის ანდერძები

გოჩა ჯაფარიძე, ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის (1484-1523 წწ.) წერილი სამცხის ათაბაგ მზეჭაბუკისადმი

თედო დუნდუა, სამონეტო ემისიები პროტოფეოდალურ და ადრეფეოდალურ საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა – ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის პრეზენტაცია).

სხდომა II
27 ნოემბერი, 15:00 - 18:00
სხდომის თავმჯდომარე პროფ. გოჩა ჯაფარიძე

როლანდ თოფჩიშვილი, ქართული ანთროპონიმები იმერხევში
ქეთევან ქუთათელაძე, „მოქცევა ქართლისაჲს“ წყაროში მოხსენიებული ტოპონიმების ძიებანი და მათი შედარებითი ანალიზი სხვა ქართულ წაყროებში არსებულ შესაბამის ფორმებთან
ნათელა ფოფხაძე, მთა იალბუზისა და მთა მყინვარწვერის/ყაზბეგის სახელწოდებები
ნესტან სულავა, ქართული ჰიმნოგრაფია, როგორც საისტორიო წყარო და პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი
ნინო სილაგაძე, ორჯუკის (თურქეთი) ციხის ახლადაღმოჩენილი ეკლესია (2014 წლის ოქტომბრის ექსპედიციის მასალები)
ეკა კვირკველია, ათონის ქართული კოლექციის სახარების ხელნაწერები (კოდიკოლოგიური ანალიზი)
საბა სალუაშვილი, „მოქცევა ქართლისაჲს“ ერთი მონაკვეთის გააზრებისათვის
მამუკა წურწუმია, ახალი მონაცემები შუა საუკუნეების ქვეითთა შესახებ
ზურაბ თარგამაძე, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პერსპექტივები.

სხდომა III
28 ნოემბერი, 10:00 - 14:00
სხდომის თავმჯდომარე ასოც. პროფ. გიორგი ოთხმეზური

თემურ თოდუა, პომპეუს ტროგუსის ერთი ცნობის დეფინიციისთვის
აკაკი ჩიქობავა, კოლხური თეორი. პირველი ტიპის დიდრაქმის სტილის შესახებ
ემილ ავდალიანი, ახალი მასალები ქართლში სასანიდური ირანის თავდაცვითი სისტემის შესახებ
აპოლონ თაბუაშვილი, ნათია ფიფია, ოლივერ უორდროპის პირად არქივში დაცული XVII-XVIII საუკუნეების რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი
ქეთევან ნადირაძე, წყაროთმცოდნეობითი კვლევა XIX საუკუნის II ნახევრის ისტორიოგრაფიაში
ნინო პოპიაშვილი, ზეპირი ისტორიები – ისტორიის განსხვავებული ხედვა
ელენე გოგიაშვილი, გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული და ჩრდილოკავკასიური ფოლკლორული წყაროები (1846-1900)

თენგიზ სიმაშვილი, ახალი საარქივო დოკუმენტები იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) შესახებ

მიხეილ ქართველიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ანგარიში რელიგიის რწმუნებულის აპარატისადმი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო

ბონდო კუპატაძე, გიორგი თარხნიშვილის მემუარი, როგორც წყარო XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ისტორიისთვის

ნოდარ შოშიაშვილი, ნაციონალიზმის აზრის ისტორია და ისტორიოგრაფია, საქართველოს ისტორიის მაგალითზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ქრონიკა

ლერი თავაძე,
თედო დუნდუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია
Georgia Between the Empires before the Coming of Islam
(თბილისი, თსუ, 2015 წლის 26 ივნისი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზების მრავალწლიანი პრაქტიკა არსებობს. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ. მართლაც, უკვე შესაძლებელი გახდა პოსტსაბჭოთა სივრცის გარედან მკვლევართა ხშირი მოწვევა.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საქმიანობა ძალზედ საინტერესოა. აღნიშნული ინსტიტუტი გამოსცემს ორ სამეცნიერო ჟურნალს (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები; ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი და მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი). სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის გარდა, ყოველწლიურად ტარდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია. ეს კონფერენცია ქართველოლოგიურ მეცნიერებათა დარგში ერთ-ერთი წამყვანია. ამის გარდა, ეწყობა თემატური და საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციები. მნიშვნელოვანია ასევე თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის წევრთა ჩართულობა (ხელმძღვანელის სტატუსით) საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეც-

ნიერო კონფერენციებში. ყველაფერი ზემოხსენებულის ფონზე ერთგვარი სიახლეა ინგლისურენოვანი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება, რომელიც თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით 2015 წლის 26 ივნისს თსუ პირველი კორპუსის 212-ე აუდიტორიაში ჩატარდა. აღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია თემატური სახის იყო და აქცენტირდებოდა ანტიკურ და პოსტანტიკურ ხანაზე. კონფერენციის სათაური ასეთი იყო: Georgia Between the Empires before the Coming of Islam. როგორც კონფერენციის სათაურიდან ჩანს, მისი თემატიკა ეხებოდა საქართველოს და მეზობლად მდებარე იმპერიებს არაბთა გამოჩენამდე. ამგვარი თემატური სამეცნიერო კონფერენციები მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა ქრონოლოგიური შეზღუდვიდან გამომდინარე, მონაწილეთა რაოდენობა დიდი არ იყო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა ექვსმა მომხსენებელმა მიიღო, ხოლო სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი თედო დუნდუა. სწორედ მან გახსნა აღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია. მომხსენებელთა შორის პირველი იყო პენსილვანიის ვილანოვას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქრისტოფერ ჰაასი. ის აუდიტორიის წინაშე წარსდგა შემდეგი მოხსენებით: Cultural Identity in Late Antiquity: Comparativist Perspective. ქრიტოფერ ჰაასის მოხსენება საკმაოდ ვრცელი გამოდგა. მან განიხილა იდენტობის საკითხი გვიანანტიკურ ხანაში, გარკვეული პარალელები ქართველურ სამყაროსთანაც გაავლო.

მეორე მომხსენებელი იყო თსუ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი – Forging Georgian Identity in Late Antiquity: Myth of Ethnic Election. მ. ჩხარტიშვილის გამოსვლაში აქცენტები, უპირატესად, გვიანანტიკურ პერიოდში, რელიგიური მოქცევის კონტექსტში, შექმნილ ქართველთა ღვთითრჩეულობის იდეოლოგიაზე გაკეთდა.

რიგით მესამე მომხსენებელი იყო თსუ პროფესორი თედო დუნდუა – Georgia (Colchis and Iberia) Between the Empires as Seen in Coinage. მოხსენებაში განხილული იყო საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი სხვადასხვა სამონეტო ჯგუფები: კოლხური თეთრი, ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები, ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები, დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები, არისტარქე კოლხის დრაქმა, რომაული ფულის იბერული მინაბაძები, ქართულ-სასანური დრაქმები და სხვ. თ.

დუნდუას თქმით, ყველა აღნიშნული სამონეტო ტიპი ადასტურებს კოლხეთსა და იბერიაზე სხვადასხვა იმპერიების ძლიერ გავლენას. ნუმიზმატიკური მასალა მნიშვნელოვნად ავსებს სხვა კატეგორის წყაროების მონაცემებს.

კონფერენციაზე მეოთხე მოხსენება წარმოადგინა თსუ ასოცირებულმა პროფესორმა ნინო სილაგაძემ – Georgia (Iberia) Between the Empires as Seen in the Fine Arts. ნ. სილაგაძის მოხსენებაში დახასიათებული იყო საქართველოში დამზადებული ოქრომჭედლობის და ტორევტიკის ნიმუშები, გემები, რელიეფები და სხვ. მათზე კარგად იკვეთება ის კულტურულ-პოლიტიკური გავლენა, რომელსაც რომის იმპერია, ბიზანტიის იმპერია, სასანიანთა ირანი ახდენდა ქართულ სამყაროზე.

რიგით მეხუთე მომხსენებელი, თსუ ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე, კონფერენციაზე წარდგა მოხსენებით – Gubaz II, King of Lazica, and Imperial Silentiarios of Byzantium. ლ. თავაძის მოხსენებაში განხილული იყო პროკოპი კესარიელთან დაცული ცნობა ეგრისის მეფე გუბაზ II-ის მიერ სილენტიარიოსის ტიტულის ფლობის შესახებ. მომხსენებლის მიხედვით, გუბაზმა საიმპერატორო კარის სილენტიარიოსობა მიიღო კონსტანტინოპოლში ყოფნისას 538 წლისთვის. ამ პერიოდში ის ჯერ კიდევ უფლისწულია და ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქში ცხოვრობს. გუბაზი სილენტიარიოსია მომდევნო წლებშიც, თუმცა სარგოს არ იღებს იმპერატორისგან, რისი მიზეზიც, მომხსენებლის აზრით, გუბაზის ეგრისში დაბრუნება იყო. 541 წელს ახლად გამეფებული გუბაზ II ბიზანტელთა თავგასულობის მიზეზით უჯანყდება მათ და ქვეყანაში ირანელებს შემოიყვანს. ამის შემდეგ, 541-548 წლებში, ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებული გუბაზი აღარ სარგებლობს სილენტიარიოსის პრივილეგიებით. თუმცა ის 548 წელს ირანელთა მუხანათობის გამო კვლავ უბრუნდება პრობიზანტიურ ორიენტაციას და აღიდგენს ძველ პატივს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებს.

კონფერენციაზე რიგით მეექვსე და ბოლო მომხსენებელი იყო თსუ დოქტორანტი ემილ ავდალიანი მოხსენებით – Sasanian Empire: Strategy for Global Dominance. ე. ავდალიანის გამოსვლაში აქცენტი გაკეთდა სასანიანთა ირანის დიდ სტრატეგიაზე, მასში ქართლის და ეგრისის ადგილზე.

შეიძლება ითქვას, რომ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის აღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია ძალზედ საინტერესო გამოდგა. აქ წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა როგორც საქართველოს, ასევე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის

არაერთ მნიშვნელოვან საკითხს. განხილული იყო სხვადასხვა ტიპის საისტორიო წყაროები, გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები და შენიშვნები. ყოველივე კარგი დასაწყისია იმისთვის, რომ ამავე ინსტიტუტის ეგიდით მომავალშიც დაიგეგმოს და ჩატარდეს ანალოგიური კონფერენციები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX
თბილისი. 2015

ხსოვნა

გამოსათხოვარი გიორგი ჟუჟუნაშვილს

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 48 წლის ასაკში გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის დეპარტამენტი) გიორგი (გოგიტა) ჟუჟუნაშვილი. გიორგი ჟუჟუნაშვილი იყო აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

გიორგი ჟუჟუნაშვილი იმ ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან, როდესაც მეცნიერ ისტორიკოსებს შემოქმედებითი სიმწიფის ხანა უდგებათ, როდესაც ისინი თავიანთი დაგროვილი ცოდნის რეალიზების ახალ ეტაპს იწყებენ. ის იყო ფართო პროფილის მკვლევარი, რომელიც სამეცნიერო ნაშრომებს ქმნიდა საქართველოს, რუსეთისა და კავკასიის ისტორიაში. სამეცნიერო და პედაგოგიური მოქმედების ასპარეზი კი ჰქონდა მშობლიურ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გიორგი ჟუჟუნაშვილი თსუ ისტორიის ფაკულტეტზე 1984-

1991 წლებში სწავლობდა. აქვე 1994-1997 წლებში გაიარა ასპირანტურის სრული კურსი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სპეციალობით. საკანდიდატო დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტურის სრული კურსის გავლისთანავე დაიცვა (1997 წელი) თემაზე „XV-XVIII საუკუნეების რუსეთის საარქივო მასალები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“.

გიორგი ჟუჟუნაშვილმა თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995 წლიდან დაიწყო. ის იყო ჯერ რუსეთის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, შემდეგ – დოცენტი. პარალელურად, 1999-2003 წლებში მას იგივე თანამდებობები ეკავა თსუ-ს ახალციხის ფილიალში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლდათ.

2008 წლიდან გიორგი ჟუჟუნაშვილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჯერ ასისტენტ-პროფესორი და შემდგომ უკვე ასოცირებული პროფესორი იყო. ამავე დროს მას ფაკულტეტზე ეკავა ფრიად პასუხსაგები რესურსების მართვის სამსახურის უფროსის თანამდებობა. ეს თანამდებობა მას საშუალებას აძლევდა დიდი ფაკულტეტის ყველა მიმართულების პროფესორსა და რიგით თანამშრომელთან ჰქონოდა ურთიერთობა. აქ გამოჩნდა მისი ცოდნა, ერუდიცია, ინტელექტი, სხვადასხვა ხასიათის ადამიანებთან ურთიერთობის უნარი.

გიორგი ჟუჟუნაშვილის სამეცნიერო საქმიანობა მრავალხრივი და მრავალფეროვანი იყო. მან ქართულ საისტორიო მეცნიერებას 60 ნაშრომზე მეტი დაუტოვა, რომელთაგან რამდენიმე მონოგრაფიაა. მისი კვლევის სფერო და არეალი ფართო იყო. როგორც აღინიშნა, ის დასტრიალებდა საქართველოს, კავკასიისა და რუსეთის ისტორიის საკითხებს, რომლებიც ქრონოლოგიურად ვრცელ პერიოდს მოიცავდა – შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე. რუსეთის ისტორიის ღრმა ცოდნას ის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის პრობლემების, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ურთიერთობების ასახსნელად იყენებდა. ამ საისტორიო საკითხების წინ წამოწევის მიზანი კი თანამედროვე რუსულ-ქართული და რუსული-კავკასიური ურთიერთობების ადვილად ახსნა იყო. მის განსაკუთრებულ ინტერესის სფეროს კი კავკასიაში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა წარმოადგენდა. მონოგრაფიებში ძირითადად ეს პრობლემა აქვს წინ წამოწეული. 2012 წელს დაისტამბა გ. ჟუჟუნაშვილის მონოგრაფია „საისტორიო ეტიუდები“, რომელ-

შიც მან თავი მოუყარა წლების განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გაბნეულ სამეცნირო ნაშრომებს. 2006 და 2009 წლებში გამოიცა მნიშვნელოვანი მონოგრაფიები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ. ის თანაავტორია 2005 წელს გამოცემული რუსეთის ისტორიის ქრესტომატიისა. გიორგი ჟუჟუნაშვილმა 2014 წელს გამოსცა მეუღლის, ნანა ბერიძის მიერ გერმანულიდან თარგმნილი ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის მიხაკო წერეთლის წიგნი „კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები", რომელიც საქართველოში და საერთოდ ქართული საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო. იმავე წელს პროფესორ დიმიტრი შველიძესთან ერთან მოახდინა პუბლიკაცია წიგნისა, რომლის სათაურია „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო". გამოსაცემად მომზადებული დარჩა მიხაკო წერეთლის ასევე გერმანულ ენაზე გამოცემული და ქართული საზოგადოებისათვის უცნობი წიგნი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე.

გარდა პოლიტიკური ისტორიისა, გიორგი ჟუჟუნაშვილის ინტერესის სფეროს ისტორიის სხვა საკითხებიც მოიცავდა, რომელთა შორისაც მონღოლების დროინდელი საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიური ეტიკეტი, ელჩთა მიღების წესი შუა საუკუნეების საქართველოში და ეკლესიის ისტორია შეიძლება დავასახელოთ. სამეცნიერო ნაშრომები მას დაბეჭდილი აქვს არა მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ რუსულ და პოლონურ ენებზე.

მან გამოსცა თავისი მასწავლებლის, პროფესორ ვალერიან მაჭარაძის ხელნაწერი წიგნები. საერთოდ, გიორგი ჟუჟუნაშვილის დამოკიდებულება მასწავლებლის მიმართ მისაბაძი უნდა იყოს მომავალი თაობებისათვის. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამეცნიერო კონფერენციაში (მოსკოვი, ყაზანი, ყარსი, კიშინიოვი, პეტერბურგი, ტიუმენი, პოზნანი...). ბოლო დროს სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები კავკასიაში ხელოვნურად გაღვივებულ კონფლიქტებს ეხებოდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი ჟუჟუნაშვილის მიერ წაკითხული საბაკალავრო და სამაგისტრო სალექციო კურსები მისი დიდი ცოდნისა და ერუდიციის დამადასტურებელია, რომელთაგანაც არ შეიძლება არ გამოვყოთ მის მიერ შექმნილი ისეთი კურსები, როგორიცაა „რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა XV-XX საუკუნეებში", „რუსეთი, საქართველო და ამიერკავკასიის სახანოები XVI-XX საუკუნეებში", „კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა". მას კოლეგასთან ერთად დაწყებული ჰქონდა მუშაობა „კავკასიის ხალხთა ისტორიის"

სახელმძღვანელოზე. სამწუხაროდ მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ეს კარგი წამოწყება შუა გზაზე შეაჩერა.

გიორგი ჟუჟუნაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო ქართული საისტორიო საზოგადოებისათვის, არამედ სტუდენტებისათვის, რომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა თავისი შესანიშნავი ლექციებითა და ადამიანური ურთიერთობებით მოიპოვა. ის იყო სადოქტორო და არაერთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, შესანიშნავი სამეცნიერო რედაქტორი, ღირსეული მოქალაქე და პატრიოტი, ერთგული მეგობარი, კარგი მამა და მეუღლე. გიორგი ჟუჟუნაშვილის უდროოდ გარდაცვალება დიდი დანაკლისია საისტორიო მეცნიერებისათვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და მთლიანად უნივერსიტეტისათვის. დასანანია, რომ მას ბევრი წამოწყება, გეგმა დარჩა განსახორციელებელი.

გიორგი ჟუჟუნაშვილის ძირითადი ნაშრომები:

1. მასალები სალექციო კურსისთვის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა X საუკუნიდან 1801 წლამდე. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 2015.
2. მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის. იოსებ შაგუბატოვი აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აპოლონ თაბუაშვილმა და გიორგი ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015.
3. კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები. მიხეილ წერეთელი (გერმანულიდან თარგმნა ნანა ბერიძემ, კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გიორგი ჟუჟუნაშვილმა). მონოგრაფია. თბ. 2014.
4. „კეისრის საბრძანებლოში“: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსისა და სტრუქტურის პრობლემა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). მონოგრაფია. ანტონ რიბაკოვი (ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო გიორგი ჟუჟუნაშვილმა). თბ. 2014.
5. ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო. მონოგრაფია. თბ. 2014 (დ. შველიძესთან თანაავტორობით).
6. კონსტიტუციური ცვლილებები „ოსმალოს საქართველოში“ (ბატონყმობის და წოდებრიობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI-XIX საუკუნეებში). თბ. 2013) (თ. დუნდუასთან და ა. თაბუაშვილთან თანაავტორობით).
7. ისტორიული ტექსტის ინტერპრეტაციის საკითხისათვის. ტექსტზე ორიენტირებული კვლევები – სტატიების კრებული მიძღვნილი პროფესორ ვიოლა ფურცელაძის 85 წლისთავისადმი. თბ. 2014 (ნ. ბერიძესთან თანაავტორობით).
8. Илья Чавчавадзе и современность. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XV. თბ. 2014.
9. ექვთიმე თაყაიშვილი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (სამეცნიერო მოღვაწეობა). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 2013-2014 (ს. სალუაშვილთან თანაავტორობით).

10. Changing the Imperial Pattern: Life in the South-West Georgia under the Ottomans and the Russians (1870-1914). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 2013-2014 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით).
11. მიხაკო წერეთლის ნაშრომი: „რასისა და კულტურის პრობლემები კავკასიაში". კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი (მასალები). 2013 (ნ. ბერიძესთან ტანაავტორობით).
12. „კავკასიის დაპყრობა" – გამოყენებული მეთოდები და საშუალებები (თანამედროვეთა შეფასებები). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. 2012
13. Некоторые аспекты колонизационной политики Российской империи на Кавказе. изд-во ЮНЦ РАН. Сборник материалов Всероссийской научной конференции «Национальная политика и модернизация системы управления на юге России: исторический опыт и современные вызовы. Ростов-на-Дону. 2012.
14. ყარსის ხელშეკრულების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტების განხილვა თანადროულ ქართულ პრესაში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2011.
15. «Назад в будущее»?!. Грузинская русистика. Сборник научных трудов. Кн. 5. Тб. 2011.
16. „ამანათობის ინსტიტუტი" საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში (XVI-XVIII სს.). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011.
17. Эволюция социальных коммуникаций и информационная целостность общества. Русский язык и литература во времени и пространстве. XII конгресс международной ассоциации преподавателей русского языка и литературы. Т. 4. Шанхай. 2011 (დ. გოცირიძესა და ნ. გაფრინდაშვილთან თანაავტორობით).
18. ტახტის მემკვიდრეობის საკითხისათვის. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011 (ა. გოგოლაძესთან თანაავტორობით).
19. ვალერი სილოგავას გამოსათხოვარი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011.
20. ქართველები სარიყამიშის ბრძოლაში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011.

21. რეცენზია აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომზე – „ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის“. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011.
22. Царистско-большевистская авантюра в «новорусском» одеянии. Konflikty na Kaukazie południowym, pod redacja Przemysława Adamczewskiego. Poznan. 2010 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
23. Будущее грузинской государственноси в контексте федерализма. Konflikty na Kaukazie południowym, pod redacja Przemysława Adamczewskiego. Poznan. 2010 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
24. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები. მონოგრაფია. თბ. 2009.
25. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკა – საუკუნის ანალოგიები (წერილი პირველი). კავკასიოლოგიური ძიებანი. I. თბ. 2009 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
26. ქვემო ჯავახეთი. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ. 2009 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
27. Аспекты колонизационной политики России на Кавказе. Грузинская русистика. Сборник научных трудов. Кн. 4. Тб. 2009 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
28. Восточный вопрос во внешней политике России – как его понимать. Грузинская русистика. Сборник научных трудов. Кн. 4. Тб. 2009.
29. რამდენიმე ცნობა ანთიმოზ ივერიელის შესახებ (პროფ. ვ. მაჭარაძის არქივიდან). საქართველო და ევროპული სამყარო – ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი. ტ. I. მიძღვნილი ანთიმოზ ივერიელის ხსოვნისადმი. თბ. 2009 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
30. Колонизационная политика России на Кавказе и русская бюрократия. Славистика в Грузии. Т. 10. Тб. 2009 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
31. Вопросы периодизации политического процесса в России на рубеже XX-XXI веков. Грузинская русистика. Сборник научных трудов посвященный памяти проф. К. С. Герасимова. Кн. 3. Тб. 2008.
32. О геополитической стратегии РПЦ. Грузинская русистика. Сборник научных трудов посвященный памяти проф. К. С. Герасимова. Кн. 3. Тб. 2008.
33. იმპერატორი პავლე პირველი და მისი დრო. აღმოსავლეთი და კავკასია. № 6. თბ. 2008.

34. ბერძენი მიტროპოლიტის ქრიზანთეს „ახსნა-განმარტებანი“ როგორც მნიშვნელოვანი წყარო XVIII საუკუნის საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის შესწავლისათვის. მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. X. თბილისი-ახალციხე. 2008 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
35. ეთნოპოლიტიკის სტანდარტები. მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. X. თბილისი-ახალციხე. თბ. 2008 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
36. ფედერალიზმი და საქართველოს სახელმწიფოს მომავალი. შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტის შრომების კრებული. ტ. I. რუსთავი. 2008 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
37. მონღოლებისდროინდელი საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. IX. თბ. 2008.
38. О дипломатическом этикете в грузинских государствах в 16-17 веках. Славистика в Грузии. Т. 9. Тб. 2008.
39. Из дневниковых записей проф В.Г. Мачарадзе. Журнал этнологии и культурологии Института культурного наследия АН Молдовы. Т. 3. Кишинев. 2008 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
40. ერთი ძველი, ახლადრეანიმირებული იდეის გამო. საისტორიო ძიებანი. ტ. 10-11. თბ. 2008 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
41. ვალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. I (გამოსაცემად მოამზადეს, რუსული თარგმანი, შენიშვნები და საძიებელი დაურთეს გურამ კუტალაძემ და **გიორგი ჟუჟუნაშვილმა).** მონოგრაფია. თბ. 2007.
42. კონცეფციის მოსკოვი – მესამე რომის განვითარების ძირითადი ეტაპები. მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. VIII-IX. თბილისი-ახალციხე. 2007.
43. ვ. მაჭარაძე. პლატონ იოსელიანის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობიდან (გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები დაურთეს გურამ კუტალაძემ და **გიორგი ჟუჟუნაშვილმა**). მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. VI-VII. თბილისი-ახალციხე. 2007
44. შერი დანა. კავკასიელები: წარმოდგენები კავკასიაზე და იმპერიის პოლიტიკა კავკასიის კორპუსის ოფიცერთა მემუარებში (1834-1859 წლები). ინგლისურიდან თარგმნა დიანა მიქელაძემ, გამოსაცემად მოამზადეს გურამ კუტალაძემ და **გიორგი ჟუჟუნაშვილმა.** მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. VIII-IX. თბილისი-ახალციხე. 2007.
45. К памяти проф. В. Г. Мачарадзе. Вестник МГУ. Серия 13. Востоковедение. №1. Москва. 2006 (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).

46. ერთი წერილის გამო. თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. I. ახალციხე. 2006.
47. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნეში. მონოგრაფია. თბ. 2006.
48. ვ. მაჭარაძე. რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმება (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟუჟუნაშვილმა, გ. კუტალაძემ) მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. VI-VII. თბილისი-ახალციხე. 2005.
49. ვ. მაჭარაძე. მოლდავური დღიურიდან (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟუჟუნაშვილმა, გ. კუტალაძემ). მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. VI-VII. თბილისი-ახალციხე. 2005.
50. რუსეთში ქართველთა დასახლების პრობლემათა კვლევა პროფ. ვ. მაჭარაძის შემოქმედებაში. ქართული კულტურისა და თეორიის საკითხები. ტ. XVIII. თბ. 2004.
51. Теплота и любовь привезенная из Петрограда в Тбилиси (к памяти проф. М. А. Полиевктова). LOGOS. Сборник к 300 летию основания Санкт-Петербурга. СПб. 2003.
52. საბუთთა სახეები XVIII საუკ. რუსულ საქმისწარმოებაში (გენერ. რეგლამენტის მიხედვით). მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. IV. თბ. 2001.
53. პროფესორი ვ. მაჭარაძე – გახსენება. მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. IV. თბ. 2001.
54. 1625 წლის ასპინძის ბრძოლა. ასპინძა. საისტორიო კრებული. ახალციხე. 2000.
55. პროფ. ვ. მაჭარაძე – საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მკვლევარი. პროფ. ვ. მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 2001 (მ. გურამიშვილთან ტანაავტორობით).
56. ნარკვევი VIII საუკ. II ნახევრის საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. პროფ. ვ. მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 2001.
57. საქართველოს ისტორიის სწავლების ზოგიერთი საკითხი. სკოლა და ცხოვრება. თბ. 1999.
58. საარქივო საქმის განვითარება რუსეთში XVIII საუკუნეში. მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. III. ახალციხე. 1999.
59. რუსული არქივები და წიგნთსაცავები საქართველოს შესახებ XV-XVII საუკუნეებში. მესხეთი. საისტორიო კრებული. ტ. II. ახალციხე. 1998.
60. XVI-XVII საუკუნეების საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტთა გაფორმების საკითხისათვის (საწერი მასალა, საწერი იარაღი, ბეჭდები). ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. V. თბ. 1998.

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები:

- ერთი ეპიზოდი დიდი მოურავის ცხოვრებიდან. ისტორიანი. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. №5 (17). 2012. (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით)
- რაზმი №731 ანუ თეთრ ხალათებში გამოწყობილი მკვლელები. ისტორიანი. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. №12. 2011.
- „შაითან კაპიტანი“. ისტორიანი. ისტორიულ შემეცნებითი ჟურნალი. №5. 2011.
- „საქართველოს სამეფოს“ გერბი. ისტორიანი. ისტორიულ შემეცნებითი ჟურნალი. №8. 2011.
- „ოსეთის“ ავტონომიის შესახებ. გაზეთი „რუსთავი“. 2008 წლის 14, 21 მაისი (გ. კუტალაძესთან თანაავტორობით).
- რუსები. საქართველო არის ესე. საკითხავი ყმაწვილთათვის. წ. 8. თბ. 2003.